

ტფილისის უნივერსიტეტის

მ მ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ
ТИФЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

BULLETIN
DE L'UNIVERSITÉ DE TIFLIS

X

ტფილისი
1930

დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის განკარგულებით.

ბეჭდვა დამთავრდა 30 იანვარს 1930 წელს.

ჰროფესორი

ალექსანდრე ცაგარლის

ხსოვნას

ПАМЯТИ

Профессора Александра Антоновича

ЦАГАРЕЛИ

A la mémoire

du professeur

Alexandre Zagareli

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|-----|
| ა. შ. პროფ. ალ. ცაგარელი (ნეკროლოგი) | VII |
| ალ. ვაჩიშვილი, Kelsenის მოქცევა სამართალსა და სახელმწიფოზე | 1 |
| *დ. ალაძე, ზროხელის სისხლის თვისებათა კვლევა განვითარების სხვადასხვა სტადიებში | 97 |
| ა. ნამორაძე, ადმინისტრაციული მეურვეობა და სამუნიციპალო მართვებობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს | 149 |
| ი. ბერიტაშვილი, ხერხემლიან ცხოველთა ქცევის შედარებითი შესწავლისათვის. მოხსენება I. ჩვენი პრობლემა და პირველი შედეგები | 225 |
| ა. ბრიგვაძე, ხერხემლიან ცხოველთა ქცევის შედარებითი შესწავლისათვის. მოხსენება II. კვების ინდივიდუალური რეჟიმის გამომუშავება შინაურ კურდღლებზე | 233 |
| შ. აფურია, ხერხემლიან ცხოველთა ქცევის შედარებითი შესწავლისათვის. მოხსენება III. დაცვის ინდივიდუალური რეჟიმების განვითარება და დიფერენციაცია ძაღლის ლეკვებზე | 253 |
| ა. აცირიძე, აქვს თუ არა მნიშვნელობა სიმპათიკურ ნერვულ სისტემას ე. წ. „სეგრენოვის შეკაების“ წარმოშობაში? | 262 |
| ა. ხმალაძე, მასალები შრომის პირობათა სანიტარულ-ჰიგიენური დახასიათებისათვის საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში | 277 |
| ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. II. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა | 292 |
| **ბ. ლოლობერიძე, მუცლის ღრუში ორსულობის საკითხისათვის | 305 |
| კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში | 313 |
| *პ. ლანყვენი, ორი ლექცია ტფილისის უნივერსიტეტში | 01 |



ერთი ვარსკვლავი (*) აღნიშნავს, რომ სათაური წარმოადგენს ორიგინალის სათაურის თარგმანს; ორი ვარსკვლავი (**) კი გვიჩვენებს, რომ გამოკვლევას თან ახლავს საგანგებო რუხუმის თარგმანი.

СОДЕРЖАНИЕ

SOMMAIRE

| | стр. | | page |
|--|------|--|------|
| *А.Ш. Проф. А. Загарели (некролог). | V | *A. Ch. Prof. A. Zagareli (nécrologie). | V |
| *А. Вацейшвили, Ученне Kelsen'a о праве и государстве | 1 | *A. Vatchéichvili, Doctrine de Kelsen du droit et de l'état | 1 |
| *Д. Агладзе, Исследования свойств крови крупного рогатого скота в разных стадиях развития | 97 | D. Agladze, Untersuchungen über die Blutbeschaffenheit beim Rinde in verschiedenen Stadien der Entwicklung | 97 |
| *А. Наморадзе, Административная опека и муниципальный строй во Франции при старом режиме | 149 | *A. Namoradzé, La tutelle administrative et le régime municipal en France sous l'ancien régime | 149 |
| *И. Беряташвили, К сравнительному изучению поведения позвоночных животных. Сообщение I. Наша проблема и первые результаты | 225 | *J. Beritashvili, Zur vergleichenden Studierung des Verhaltens der Wirbeltiere. I. Mitteilung. Unser Problem und die ersten Ergebnisse | 225 |
| *А. Брегадзе, К сравнительному изучению поведения позвоночных животных. Сообщение II. Образование пищевого индивидуального рефлекса на кроликах | 233 | *A. Bregadze, Zur vergleichenden Studierung des Verhaltens der Wirbeltiere. II. Mitteilung. Heranbildung eines individuellen Nahrungsreflexes an Kaninchen | 233 |
| *Ш. Топурия, К сравнительному изучению поведения позвоночных животных. Сообщение III. Развитие и дифференциация оборонительного индивидуального рефлекса на щенках | 253 | *S. Topuria, Zur vergleichenden Studierung des Verhaltens der Wirbeltiere. III. Mitteilung. Heranbildung und Differenzierung des individuellen Abwehrreflexes an den jungen Hunden | 253 |
| *А. Гоциридзе, Имеет ли значение симпатическая нервная система в происхождении так называемого „Сеченовского торможения“? | 262 | *A. Goziridze, Hat das Sympathische Nervensystem bei Entstehung der sogenannten „Setschenoff'schen Heimung“ eine Bedeutung? | 262 |
| *А. Хмаладзе, Материалы для санитарно-гигиенической характеристики условий труда в горной промышленности Грузии | 277 | *A. Khmaladzé, Matériaux pour caractéristique des conditions sanitaires et hygiéniques du travail dans l'industrie minière de la Géorgie | 277 |
| *В. Топурия, Фонетические наблюдения над картвельскими языками. II. Последовательность звуковых явлений | 292 | *V. Topuria, Observations phonétiques des langues Kartvéles. II. Succession des phénomènes phonétiques | 292 |
| **Б. Гогоберидзе, К вопросу о брюшной беременности | 305 | **B. Gogoberidzé, Sur la grossesse abdominale | 305 |
| *К. Кекелидзе, Канонический строй в древней Грузии | 313 | *K. Kékélidzé, Le régime canonique dans l'ancienne Géorgie | 313 |
| *П. Ланжевэн, Две лекции в Тифлисском Университете | 01 | P. Langevin, Deux conférences à l'Université de Tiflis | 01 |

Одною звездочкою (*) отмечается заглавие, которое является переводом заглавия оригинала, а двумя звездочками (**) указывается, что в переводе дано и особое резюме.

Le titre marqué d'un astérisque (*) est une traduction du titre original; deux astérisques (**) montrent que l'article original est résumé en une traduction spéciale.

პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

(1844 — 1929)

გადმოცემით ცაგარლები ლეჩხუმლები არიან, ცაგერიდან. პაპა ალექსანდრესი, მღვდელი თომა, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ამაღლაში ყოფილა, როცა იგი ტფილისს მოიყვანეს 1810 წელს, და სოლომონის ახალციხეში გაქცევის შემდეგ იგიქართლში დარჩენილა და დილომში დასახლებულა¹.



დოქ. ალექსანდრე

ალექსანდრე დაიბადა 1844 წ. 14 ნოემბერს (ძველი სტილით 27-ს) კასპში, რადგანაც მისი მამა, მღვდელი ანტონი, დილომში ადგილის უქონლობის გამო, პირველად კასპში გაუწესებიათ, მაგრამ იგი მალე გადმოუყვანიათ თავის მამის ადგილზე დილომში. დედა ალექსანდრესი, უთნელიშვილის ქალი სალომე,

¹ ამ თომადან მომდინარეობს, ალბათ, ცაგარელების ამ შტოს მეორე გვარი პირველი ხანის რუსულ საბუთებში *Томинъ*, ან კიდევ *Томинъ-Цагарели*. მაგალითად, თვით ალექსანდრე ცაგარელი *Томинъ*-ად არის მოხსენებული სემინარიის დასრულების ატესტატში.

მეტად ცუკიანი აღამიანი ყოფილა და თანაც კარგი მცოდნე ქართული ენისა. ალექსანდრე ყოფილა პირველი შვილი¹. ბავშობა ალექსანდრემ დიღომში გაატარა. წერა-კითხვა ისწავლა შინ, ხოლო შვიდისა თუ რვა წლისა მიზარებულ იქნა ტვილ-სასულ-სასწავლებელში. სასულ-სასწავლებლის გათავების შემდეგ (1859 წ.) სწავლობდა სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში იმ დროს ძველი ენების სწავლება (ლათინურისა და ბერძნულისა) არ ყოფილა. მათ მაგივრად ასწავლიდნენ თათურულსა და ოსურს. ალექსანდრეს ამათგან ოსური ჰქონდა არჩეული და სწავლობდა მას დანიელ კონქაძის ხელმძღვანელობით. სემინარიაშივე დაიწყო ბერძნულის სწავლა ორი ბერძენი ამხანაგისაგან, რომელნიც აქაურები იყვნენ. სემინარიაში არც ახალი ევროპული ენები ისწავლებოდა, მაგრამ ალექსანდრე ცაგარელი, თავის ამხანაგ ვასილ პეტრიაშვილთან ერთად (რომელიც შემდეგ ქიზიის პროფესორად იყო ოდესაში) კერძოდ სწავლობდა ფრანგულ ენას. ერაზმელ სემინარიის რექტორს, არქიმანდრიტ ვიქტორინს, კიდევაც მოუსწრია მათთვის ვასილ პეტრიაშვილის ოთახში (რომელიც მას სემინარიის საავადმყოფოსთან ჰქონია), რომ ფრანგულს უსხედან და სწავლობენ. არქიმანდრიტს აულია წიგნი და იქ ერთ წინადადებაზე მიუთითებია მათთვის, სადაც წერებულა, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვსო (faites chaque chose en son temps). ალექსანდრესა და ვასილს ეს მითითება რექტორის გადაკრული საყვედურის ნიშნად მიუღიათ, რადგანაც ეს ამბავი გაკვეთილის დროს მომხდარა.

ა. ცაგარელმა სემინარია 1865 წელს გაათავა. როდესაც კიევის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით გაგზავნა, ვასილ პეტრიაშვილის უარის შემდეგ (პირველი მოწაფე ის ყოფილა), ალექსანდრეს შესთავაზეს, მანაც უარი განაცხადა, და იმავე წელს გადავიდა კლასიკურ გიმნაზიაში (მაშინ გიმნაზია ტფილისში ერთი იყო მხოლოდ), სადაც მიღებულ იქნა მერვე კლასში. გიმნაზიის დასრულების შემდეგ, გაემგზავრა პეტერბურგს და 1867 წელს შემოდგომაზე შევიდა მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ მალე გადავიდა უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომ შეესწავლა ენათმეცნიერული მეთოდი და გამოეყენებინა იგი ქართული ენის კვლევა-ძიების საქმეში. აქ იგი სწავლობდა ორ წელს. შემდეგ ჰავე ვერ აიტანა, ავად გახდა და ექიმებმა პეტერბურგიდან წასვლა ურჩიეს.

პეტერბურგიდან ალექსანდრე ცაგარელი გადავიდა მუნხენში, სადაც ლექციებს კითხულობდა პროფ ჰაუგი ახალი ინდური ენების შესახებ. ერთი წლის შემდეგ იგი გადავიდა ტიბინგენში, სადაც სანსკრიტისა და შედარებითი ენათმეცნიერების კათედრა ეკირა პროფ. როტს. სანსკრიტის საფუძვლიანი შესწავლა იმად ჰსურდა მას, რომ შეემოწმებინა, თუ რამდენად სამართლიანი იყო ენათმეცნიერების მამათ-მთავრის ბოპპის მიერ წამოყენებული თეორია ქართულის ნათესაობისა ინდოეთ-ევროპის ენებთან და კერძოდ სანსკრიტთან (F. Bopp, Die Kaukasischen Glieder des Indoeuropäischen Sprachstamms, Berlin 1847). ტიბინგენშივე უსმენდა პროფ. მერქსს არაბულ ენაში და სწავლობდა აგრეთვე სომხურსა და სპარსულ ენასაც. ამ ხანებში ქართულზე მუშაობდა

¹) დანარჩენი შვილები ანტონ ცაგარისა: ვლადიმერ, ვეფემია, კოტე, ავქსენტი (ცნობილი დრამატურგი), ივანე და გიორგი.

ვენის პროფ. ფრიდრიხ მილერი (Fr. Müller), რომელიც უარყოფდა ბოპის აზრს ქართულისა და ინდოეთ-ევროპის ენათა ნათესაობის შესახებ, და ალ. ცაგარელიც მასთან წავიდა ლექციების მოსასმენად ვენაში. ეს ის დრო იყო, როცა ატყდა ომი საფრანგეთსა და პრუსიას შორის და ვენაში ჩასულ ალექსანდრეს პროფესორმა ფრ. მილერმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ფრანგები გაიმარჯვებდნენ, უთხრა: კარგი გიქნია, რომ აქ წამოხვედ, თორემ იქ რომ დარჩენილიყავ, ფრანგები მოვიდოდნენ და ტყვედ ჩაგიგდებდნენო. ვენაში დაყო ერთი წელიწადი და პროფესორ ფრიდრიხ მილერისაგან შეითვისა სალი შეხედულება ქართული ენის შესახებ.

ვენიდან ა. ცაგარელი პეტერბურგს დაბრუნდა, სადაც აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე საკანდიდატო ეგზამენი დაიჭირა და როდესაც, 1871 წელს, პროფ. დ. ჩუბინი შეიღმა უნივერსიტეტს თავი დაანება სამსახურის ვადის შესრულების გამო და ქართული ენის კათედრა განთავისუფლდა, აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ვასილ გრიგორიევმა წინადადება მისცა ალექსანდრეს, რომ განთავისუფლებული ადგილი დაეჭირა. ალექსანდრე ცაგარელი ტფილისში დაბრუნებასა და აქ მოღვაწეობას ეპირებოდა, მაგრამ პროფესორ ვ. გრიგორიევის წინადადება მიიღო, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული ენის კათედრას გაუქმება მოელოდა. ლექციების კითხვის უფლების მოსაპოვებლად (pro venia legendi) ალექსანდრეს სადისერტაციო შრომის დაწერა მოუხდა. ამისათვის მან თემად აიღო Сравнительный обзор морфологии Иберийской группы Кавказских языков, რომელიც უსახსრობის გამო ლიტოგრაფიულად გამოსცა ორმოცდა შეიდი ცალი (პეტერბ. 1872 წელს) და 1872 წ., დისერტაციის დაცვის შემდეგ, პრივატ-დოცენტად იქმნა დამტკიცებული (9 აპრილიდან) ქართული სიტყვიერების კათედრაზე. 1873 წ. გამოვიდა პეტერბურგში О грамматической литературе Грузинского языка, რომელიც მან დისერტაციად წარადგინა და 1874 წელს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა, რის შემდეგაც დამტკიცებულ იქმნა დოცენტად (23 სექტემბრიდან), ხოლო ექვსი წლის შემდეგ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: Мингрельские этюды. Первый выпуск. Мингрельские тексты с переводом и объяснениями; Второй выпуск. Опыт фонетики мингрельского языка (СПБ. 1880), 1886 წლის 8 მაისიდან იგი ითვლებოდა ორდინარ პროფესორად, 1890 წლის 1 იანვრიდან ორდინარად, ხოლო 1897 წლის 10 აპრილიდან დამსახურებულ პროფესორად პეტერბურგის უნივერსიტეტში.

რევოლუციის შემდეგ ალ. ცაგარელი დაბრუნდა სამშობლოში და აქ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით (8 მაისს 1922 წ.) მიენიჭა ხარისხი ტფილისის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორისა და, რამდენადაც ჯანმრთელობა ნებას აძლევდა, ლექციებსაც კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიიდან და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან.

პროფ. ალ. ცაგარლის მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე მრავალ-მხრივია. პირველ-ყოველისა იგია ენათმეცნიერი, რომელმაც ქართული ენის კვლევადიების საქმე ერთბაშად სათანადო სამეცნიერო ღონეზე დააყენა პირველსავე

შრომაში (Сравнительный обзор), რომელიც ზემოთ არის დასახელებული და რომელიც ამ ეამად იშვიათი საშოვნელია. შემდეგი მისი წერილი О предполагаемом сродстве грузинского языка с индоевропейскими и туранскими языками (Журнал Министерства Народного Просвещения. Сентябрь 1872 года) შეიცავს საფუძვლიან კრიტიკას უმთავრესად ფ. ბოპპისა და მაქს მილერის (Max Müller) თეორიებისას, რომელთაგანაც პირველს (ბოპპს) ქართული ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფში შეჰყავდა, ხოლო მეორე (მაქს მილერი) მას ურალ-ალტაის ენათა ჯგუფში ათავსებდა. აღ. ცაგარელი სამართლიანად უარყოფს ერთსაც და მეორესაც და იზიარებს ფრიდრიხ მილლერის აზრს, რომ ქართულ ენას განკერძოებული ადგილი უჭირავს, და ამ აზრს იგი კიდევაც ასაბუთებს ქართული ენის დამახასიათებელ თვისებათა აღწერებით. შემდეგ წელს გამოსულ სადისერტაციო შრომაში (О граммат. литературе груз. языка) უფრო ვრცლად არის განხილული სხვა-და-სხვა თეორია ქართული ენის ნათესაობის შესახებ. ამას გარდა აქ არის მშვენიერი მიმოხილვა მთელი გრამატიკული ლიტერატურისა, რომელიც კი არსებობდა მანამდე ქართულის შესახებ ქართულად ან უცხო ენებზე.

აღ. ცაგარელი გრძნობდა, რომ ქართულის საფუძვლიანი შესწავლისათვის საჭიროა ცოდნა მეგრულისა და სვანურისა. ამიტომ მან 1876, 1877 და 1878 წლებში სამჯერ მოიარა სამეგრელო, სადაც შეისწავლა ენა და ჩაწერა ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. მისი კვლევა-ძიების შედეგია ორ წიგნად გამოსული Мингрельские этюды (1880), რომელიც იმ დროს დიდი შენაძენი იყო მეცნიერებისათვის. კანურსა და სვანურზედაც მუშაობდა სპეციალურად, მაგრამ გამოკვევებით არა გამოუქვეყნებია რა. აქვე უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე მის მიერ გამოცემული ზურაბ შანშოვანის გრამატიკა (პეტერბ. 1881), რომელიც ანტონ კათალიკოზის გრამატიკაზე უფრო ადრინდელია (1737 წ.) და ამ მხრით ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორს ალექსანდრე ცაგარელს აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე. მან აღწერა მრავალი ძეგლი, რომლებიც წინად ცნობილი არ იყო. ლიტერატურულ საკითხებს იგი ეხებოდა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს („ჩვენი უბედური მწიგნობრობა მეცხრამეტე საუკუნეში“ და სხ. „დროება“-ში); მაგრამ სისტემატურ კვლევა-ძიებას ამ დარგში აწარმოებს 1881 წლიდან, როდესაც მეხუთე საარქეოლოგო კრებაზე ტფილისში (რომლის ერთ-ერთი განყოფილების მდივანადაც თვითონ იყო) წაიკითხა მოხსენება: Сведения о памятниках Грузинской письменности. ეს პატარა მოხსენება, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა კრების შრომებში (Труды V-го Археологического съезда в Тифлисе, Москва 1887), თანდათან გადიდდა და სამ წიგნად იქცა (Выпуск I, СПб. 1886; Выпуск II, СПб. 1889; Выпуск III, СПб. 1894). სამსავე წიგნში ძვირფასი ცნობებია არა მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის კერძოდ, არამედ ჩვენი კულტურის ისტორიისათვის საზოგადოდ. პირველ ორ მათგანს დართული აქვს პალეოგრაფიული ტაბულები და ზოგიერთ შესანიშნავ ხელნაწერთა სურათები.

პროფ. ალ. ცაგარლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ მან 1883 წელს, საგანგებო მიზნით, მოიარა სინას მთა, პალესტინა და ათონი, სადაც ქართულ ხელნაწერებსა და სხვა სიძველეებზე მუშაობდა. ამ მოგზაურობის ნაყოფია, სხვათა შორის, მისი Памятники Грузинской старины в Святой земле и на Синае (Православный палестинский сборник. Том IV, Выпуск первый. 1888). აქ მოთხრობილია მისი მოგზაურობა აღმოსავლეთში, მიმოხილულია საქართველოს მკიდრო კულტურული ურთიერთობა პალესტინასა და სინას მთასთან, აღწერილია ქართული ძეგლები, რომლებიც არქეოლოგიური მოგზაურობის დროს უნახავს და დაუთვალეიერებია და მოყვანილია ცნობა ქართველი კოლონისტების შესახებ პალესტინაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მან რუსულად თარგმნა სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ (Книга мудрости и лжи, СПб. 1878) და აგრეთვე გამოსცა ისეთი სალიტერატურო ძეგლი, როგორცაა „ჩქება-ჩქებათა“ სოლომონისი, ათონის რედაქციით, რომელსაც ფილოლოგიური კომენტარები უძღვნა (დართულია Сведения-ს პირველი წიგნის ბოლოს).

ალექსანდრე ცაგარელი ცნობილია აგრეთვე, როგორც გამომცემელი ისტორიული დოკუმენტებისა. ჯერ კიდევ 1883 წელს გამოაქვეყნა მან Новые архивные материалы для истории Грузии XVIII столетия (Журнал Министерства Народного просвещения, январь 1883), ხოლო უფრო ინტენსიურად ამ საქმეს 1889 წლიდან მოჰკიდა ხელი. პროფესორ ცაგარლის მთელი ყურადღება თითქმის რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობისაკენ იყო მიპყრობილი. 1891 წელს 8 თებერვალს, პეტერბურგის უნივერსიტეტის წლიურ აქტზე წაიკითხა მოხსენება Сношения России с Кавказом в XVI — XVIII столетиях (დაიბეჭდა იმავე წელს პეტერბურგში) და იმავე წელს გამოსცა Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том I. ერთი ნაწილი აქ გამოქვეყნებული დოკუმენტებისა, რომლებიც 1768 — 1770 წლებს ეკუთვნის (გვ. 1 — 196), ცალკე წიგნადაც გამოვიდა ერთი წლით ადრე მერვე სა-არქეოლოგიო კრების გამო რამოდენიმე ცალად და სხვა სათაურით: Перелиска Грузинских царей и владетельных князей с государями Российскими в XVIII столетии СПб. 1890. Грамотების პირველ ტომში მოთავსებულია უმთავრესად რუსული და ქართულიდან რუსულად ნათარგმნი დოკუმენტები, ამოღებული სხვა-და-სხვა არქივიდან. მეორე ტომის პირველ წიგნში კი (პეტერბ. 1898) მოთავსებულია მხოლოდ ქართული დოკუმენტები, ხოლო მეორე წიგნი (პეტერბ. 1902) შეიცავს რუსულსა, ანდა რუსულად ნათარგმნ საბუთებს. ამას გარდა მისი რედაქციით გამოვიდა Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев, СПб. 1901.

ყველა ამ გამოცემაში პროფ. ალექსანდრე ცაგარელი თავს დასტრიალებს საქართველოს პოლიტიკურ ბედს და ცდილობს ფართო საზოგადოებას დაანახოს, თუ როგორი იყო ქართველთა ნამდვილი მისწრაფება რუსეთთან პოლიტიკურად დაახლოვების დროს და რა ზომებს ხმარობდა იმ დროინდელი რუსეთი საქართველოს განადგურებისათვის. ამ მხრით მეტად დამახასიათებელია პროფ.

ცაგარლის მოღვაწეობისათვის Статьи и заметки по Грузинскому церковному вопросу, СПБ. 1912, რომელიც გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ასი წლის თავზე და სადაც ერთად არის თავმოყრილი მისი წერილები საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომლებიც მას ან მოხსენებად წაუკითხავს თუ წარუდგენია 1906-სა და 1907 წელს Предсоборное присутствиის მეორე განყოფილებაში, სადაც საქართველოს საეკლესიო საკითხი ირჩეოდა, ან კიდევ ჟურნალ-გაზეთებში დაუბეჭდავს 1906 -- 1910 წლებში. ასეთივე ხასიათისაა მისი Непререкаемые права Грузии на признание ее независимости и на восстановление ее государственных границ, რომელიც გამოვიდა ტფილისში 1919 წელს.

რა თქმა უნდა, აქ ვერ აღენუსხავთ ყველა იმას, რაც დაუწერია და გაუკეთებია პროფ. ცაგარელს საქართველოს შესწავლის საქმეში. დავსძენთ მხოლოდ, რომ იგი წვერი იყო მრავალი სამეცნიერო დაწესებულებისა და მხურვალე მონაწილეობა მიუღია სამეცნიერო კონგრესებში რუსეთში თუ დასავლ. ევროპაში.

ასეთია მოკლედ პროფ. ალექსანდრე ცაგარლის მოღვაწეობა და ამაგი ქართული ენათმეცნიერებისა, ლიტერატურისა და ისტორიის წინაშე, ამაგი, რომლის სათანადო დაფასებაც მხოლოდ სპეციალისტს თუ შეუძლია.

როგორც ადამიანი, პროფ. ალექსანდრე ცაგარელი იყო მეტად თბილი და თავისი ენაწყლიანობით, ოხუნჯობით და ტკბილი შექცევით ყოველთვის და ყველასათვის სანდოში და საყვარელი. როგორც მოქალაქე, იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს, რაც ხდებოდა ირგვლივ და განსაკუთრებით გული უცემდა საქართველოს აღორძინებისათვის. მისი ბიბლიოთეკა, რომელიც ბევრ ძვირფას წიგნს შეიცავს, მისავე სიცოცხლეში იქმნა გადმოზიდული ლენინგრადიდან და ტფილისის უნივერსიტეტს გადაეცა.

პროფ. ალ. ცაგარელი თავის დროზე კარგი აგებულებისა და მოხდენილი შეხედულებისა იყო, თანაც მეტად ჯანმრთელი კაცი, მაგრამ ღრმად მოხუცებულობამ თავისი ქნა და უკანასკნელ წლებში ლოგინად იყო ჩავარდნილი. გარდაიცვალა პროფ. ა. ცაგარელი 85 წლისა 12 ნოემბერს 1929 წ. და 15 ნოემბერს, თანახმად მისი სურვილისა, მიწას მიაბარეს მთაწმინდაში, სადაც განისვენებენ მისი თანამედროვეები და მეგობრები: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე.

ალ. ვაჩეიშვილი.

KELSENის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოში.

(გაგრძელება)

თ ა ვ ი IV.

სუბიექტური სამართალი.

ჩვენ ვნახეთ, რომ Kelsenი ობიექტური სამართლის ცნებას ამყარებს შემდეგ დებულებაზე: იურიდიული ნორმები გამოხატავენ სახელმწიფოს ნებისყოფას (Staatswille); სახელმწიფოს ნებისყოფის საგანი კი შეიძლება იქნეს მისი საკუთარი მოქმედება. ამგვარი შეხედულება ლოლიკური აუცილებლობით გამომდინარეობს იმ ნებისყოფის ცნებიდან, რომელსაც იძლევა Kelsenი. ნებისყოფა იურიდიული მნიშვნელობით არაა ის ნებისყოფა, რომელიც ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს; ფსიქოლოგიურად ნებისყოფა შინაგანი აქტია, რომელიც იმნაირადვე ემორჩილება კაუზალობის პრინციპს, როგორც სხვა ბუნებრივი მოვლენები; ნებისყოფა იურიდიული მნიშვნელობით კი სხვა ბუნებისაა. იურიდიული მნიშვნელობით ნებისყოფა წარმოადგენს კონსტრუქციას, ე. ი. ნორმატიულ ცნებას. ეს განსხვავება ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, როდესაც ვლაპარაკობთ Kelsenის მოძღვრების შესახებ. Kelsenისათვის ნებისყოფა, როგორც ნორმატიული ცნება, არის ჩათვლის საბოლოო პუნქტი (Endpunkt der Zurechnung); ნებისყოფისა და ჩათვლის საგანი ერთიდაიგივეა. სუბიექტს ჩაეთვლება (zuge-rechnet wird) მხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება; ნებისყოფის საგანიც (gewollt) შეიძლება იქნეს მისი საკუთარი ყოფაქცევა.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს Kelsenი, როდესაც იგი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს ნებისყოფის საგანი მხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება არისო¹.

სახელმწიფოს ნებისყოფა გამოიხატება იურიდიულ ნორმებში; ნორმა ჰიპოთეტიური მსჯელობაა; როგორც ჰიპოთეტიური მსჯელობა, ნორმა აღნიშნავს

¹) Der Staat nicht anderes wollen kann, als seine eigene Handlungen. „Gewollt“ im ethisch-juristischen Sinne ist nur das Zugerechnete, das zugerechnete Verhalten aber ist identisch mit dem eigenen.“ Ib 189. „...ist das Wollen fremden Verhaltens für die ethisch-juristische Betrachtung ein nonsens.“ Ib.191.

იზას, რომ სახელმწიფოს განსაზღვრულ პირობებში ჰსურს იმოქმედოს ამა თუ იმ სახით. ნორმა, მაშასადამე, უშუალოდ გამოსთქვენს სახელმწიფოს ნებისყოფას და ანავე დროს ამყარებს სახელმწიფოს მოვალეობას.

იურიდიული ნორმები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ ისინი ვის მოვალეობას ამყარებენ; იმ შემთხვევაში, როცა ნორმაში აღნიშნულია მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობა, ჩვენ გვაქვს ნორმა ფართო მნიშვნელობით; მაშინ კი, როცა ნორმა, სახელმწიფოს მოვალეობის გარდა, აწესებს კიდევ სხვა სუბიექტების მოვალეობას, ჩვენ გვაქვს ნორმა ვიწრო მნიშვნელობით.

იურიდიული ნორმების შეერთება წარმოადგენს იმას, რასაც ეწოდება იურიდიული წყობილება (Rechtsordnung). მაგრამ სამართლის მეცნიერებაში, ობიექტური სამართლის გარდა, არსებობს კიდევ მეორე ცნება: სამართალი სუბიექტური მნიშვნელობით. ეს უკანასკნელი იურიდიულ ლიტერატურაში ითვლება ერთ-ერთ უძნელეს და ურთულეს საკითხად.

Kelsenის სუბიექტური სამართლის საკითხშიაც შეაქვს თავისებური მეთოდი. ამ საკითხსაც იგი იკვლევს იმ მეთოდისა და ძირითადი ცნების საშუალებით, რომლებსაც ჩვენ გავეცანით წინანდელ თავებში.

სამართლის მეცნიერებაში, ამბობს Kelsenი, სუბიექტურ სამართალს ეძღვევა ცალმხრივი მნიშვნელობა; ამ სახელწოდებით ესმით მხოლოდ სუბიექტური უფლებები, იურიდიულად დაცული ინტერესი ან ნაბისყოფა. მაგრამ სამართალი სუბიექტური თვალსაზრისით შეიცავს უფლების გარდა მოვალეობასაც; იურიდიული ნორმები ამყარებენ არა მარტო უფლებას, არამედ მოვალეობასაც; მაგალითად, კრედიტორის უფლების გვერდით არსებობს დებიტორის მოვალეობა; მოქალაქეს საარჩევნო უფლება იურიდიული წყობილების მიმართ იმავე სუბიექტური ბუნებისაა, როგორც ქვეშევრდომთა გადასახადის მოვალეობა. ამიტომ სამართლის მეცნიერებამ უნდა გამოარკვიოს ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს იურიდიულ ნორმებსა და უფლება-მოვალეობას შორის, უნდა გამოიყვანოს უფლება-მოვალეობა ობიექტურ სამართლიდან; ეს ამოცანა სამართლის მეცნიერებამ აქამდის შეასრულა მხოლოდ სუბიექტური უფლების შესახებ; აქამდის იურისპრუდენცია შეისწავლიდა მხოლოდ უფლებასა და მის დამოკიდებულებას იურიდიულ ნორმებთან; სუბიექტური მოვალეობის ცნება კი თითქმის უყურადღებოდ იყო დატოვებული; სამართალი სუბიექტური მნიშვნელობით და უფლება მიჩნეულია, როგორც იდენტური ცნება; სამართლის მეორე სუბიექტური ფორმა — მოვალეობა — მივიწყებულია. მაგრამ იურიდიული მოვალეობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია; იგი თავდაპირველი (ursprüngliche) და ნამდვილი სუბიექტური ფორმაა სამართლისა. იურიდიული ნორმის არსებითი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ის აწესებს იურიდიულ მოვალეობას (Rechtspflicht); იურიდიული ნორმა შეუძლებელია უიმისოდ, რომ იგი არ აწესებდეს მოვალეობას („Kein Rechtssatz ohne Rechtspflicht“). მაგრამ ყოველივე იურიდიული ნორმა არ ამყარებს უფლებას; ყოველივე მოვალეობას უფლება უპირისპირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლება გაგებულია, როგორც ინტერესი, დაცული სხვა პირის მოვალეობის საშუალებით. სწორედ ამ შემთხვევაში აშკარავდება მოვალეობის პირველადი ბუნება (die primäre Natur) შედარებით უფლებასთან, რადგან უკა-

ნასკნელი აქ წარმოიშება მოვალეობის დაწესებით. მაგრამ, თუკი უფლებას არ მიეაწეროთ ამ მნიშვნელობას, ე. ი. არ წარმოვადგენთ მას, როგორც „მოვალეობის რეფლექსს, მაშინ შესაძლოა ისეთი იურიდიული წყობილების დაშება, რომელიც არ ანიჭებს სუბიექტებს არავითარ უფლებებს; სოციალისტურ სახელმწიფოში ანტი-ინდივიდუალისტური ტენდენცია შეიძლება იქნეს იმდენად ძლიერი, რომ სუბიექტებს ექნებათ მხოლოდ მოვალეობა და უფლება კი არა; მაგრამ ყოველ შემთხვევაში წარმოუდგენელია ისეთი იურიდიული წყობილება, რომელიც მოვალეობას არ ამყარებდეს¹.

ისე, როგორც იურიდიული ნორმის სპეციფიური ხასიათი აშკარაა მისი შედარებიდან ზნეობრივ ნორმასთან, იურიდიული მოვალეობის შინაგანი ბუნებაც ირკვევა ზნეობრივ მოვალეობასთან შედარების გზით.

როგორ ესმით საერთოდ ზნეობრივი მოვალეობა?

ზნეობრივი მოვალეობა საერთოდ ესმით, როგორც სუბიექტის შინაგანი შებორკვა (innere Gebundenheit), გამოწვეული ზნეობრივი კანონით. Kanti განსაზღვრავს მოვალეობას, როგორც რომელიმე მოქმედების ობიექტურ აუცილებლობას, რომელიც გამომდინარეობს ვალდებულებიდან („die objektive Notwendigkeit einer Handlung aus Verbindlichkeit“). სხვა ავტორები სხვანაირად ახასიათებენ მოვალეობას; მოვალეობა ზოგჯერ გაგებულა, როგორც ვალდებულების შეცნობა, ზოგჯერ კი—როგორც მოვალეობის გრძნობა. ზნეობრივი მოვალეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი გულისხმობს სუბიექტის შინაგან მდგომარეობას („Status“), ე. ი. იგი ნიშნავს ადამიანის რეალურ ფსიქიურ განწყობილებას; ეს ნიშნავს, რომ ადამიანის ნებისყოფა განიცდის ზნეობრივი იმპერატივის გავლენას. ავტონომიური ზნეობის თვალსაზრისით ეს ფსიქიური აქტი მიმდინარეობს შემდეგნაირად: ადამიანს პირველ ყოვლისა უნდა ჰქონდეს ნორმის შეგნება, რადგან მხოლოდ ამ პირობით ზნეობრივი ნორმა ამყარებს მოვალეობას; მაგრამ ეს ნორმის შეგნება საკმარისი არაა; ზნეობრივი კანონი იჭრება ადამიანის გონებაში, როგორც შიშველი იმპერატივი; მარტოოდენ წარმოდგენა იმისა, თუ რომელი მოქმედებაა სავალდებულო, ჯერ კიდევ არ ახდენს გავლენას ნებისყოფაზე. იმისათვის, რომ მოხდეს ამგვარი მოტივაციური გავლენა, საჭიროა კიდევ მეორე ფსიქიური აქტი, რომლითაც ინდივიდი ითვისებს ნორმას, ემორჩილება მას; ეს მეორე ფსიქიური აქტი არის ნორმის აღიარება (Anerkennung der Norm). ყველა ავტორები, რომლებიც იკვლევენ ამ საკითხს, ასახელებენ ამ აქტს, მხოლოდ სხვადასხვა ტერმინებით. ამ აღიარების აქტში უნდა ვეძიოთ ზნეობრივი მოვალეობის არსებითი მომენტი². ამგვარად ზნეობრივ დარგში მოვალეობის დამყარების აქტი მოტივაციის პროცესს წარმოადგენს. ამ აქტის განხილვა აბტრაქციებს, რომ მოვალეობა არის ფსიქიური მდგომარეობა, გამოწვეული იმით, რომ ადამიანი აღიარებს შეცნობილ ნორმას. აქ მოვალეობა არის ნებისყოფის დაკავშირება ზნეობრივ ნორმასთან და, მაშასადამე, წარმოადგენს ობიექტურ ზნეობრივი კანონის კაუზალურ შედეგს; მაგრამ, თუ შევხედავთ ამ კანონს არა ობიექტურ-

1) Ib. 312.

2) Ib. 314.

რი თვალსაზრისით, არამედ მისი წარმოშობის მხრივ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ზნეობრივი ნორმა და ზნეობრივი მოვალეობა ერთიდაიგივეა; ორივეს საფუძვლად აქვს ერთიდაიგივე რეალური ფაქტი: ზნეობრივი სწრაფვა, ნებისყოფის ზნეობრივი მიმართულება. სახელწოდების განსხვავებას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ტერმინი „ნორმა“ გამოხატავს სწრაფვის, როგორც ცნობიერი ბრძანების საყოველთაო ღირებულებას (Allgemeingültigkeit), ხოლო ტერმინი „მოვალეობა“ აღნიშნავს იმას, რომ ვალდებულებას (das Soll) ცალკე ინდივიდისათვის აქვს ღირებულება¹.

ასეთი მნიშვნელობა აქვს მოვალეობის ცნებას ზნეობის დარგში. ეხლა საკიროა იმის გამოკვლევა, თუ როგორაა გაგებული „მოვალეობა“ სამართლის მეცნიერებაში. Kelsenის აზრით, იურისტები არ ასხვავებენ იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობის ცნებას; მოვალეობა მიჩნეულია, როგორც საერთო ორივე დარგისათვის; იურიდიული მოვალეობის კონსტრუქცია აგებულია ანალოგიის გზით: იურიდიულ მოვალეობასაც უყურებენ, როგორც რეალურ ფსიქიურ მდგომარეობას; მაგალითად, Jellinek გამოსთქვამს აზრს, რომ ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობის ცნებები ერთანაზრებიან ერთმანეთს; მისი სახელმწიფოებრივი მოვალეობის კონსტრუქცია პირდაპირ დამყარებულია ზნეობრივ თვითდავალების (Selbstverpflichtung) ცნებაზე; დავალების აქტი Jellinek წარმოდგენილი აქვს, როგორც მოტივაციის პროცესი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ნებისყოფას უნდა მიეცეს განსაზღვრული მიმართულება. მოვალეობისათვის სულერთია, საიდან გამოიმდინარეობს ეს მოტივაცია—სხვისი გონებიდან, თუ თვით მოქმედის პიროვნებიდან. ფსიქოლოგიური მეთოდით ხელმძღვანელობს აგრეთვე Hold von Ferneckი, რომელიც მიდის იქამდე, რომ იურიდიულ მოვალეობას ფორმალურად იდენტურად სთვლის ზნეობრივ მოვალეობასთან; მისთვისაც იურიდიული მოვალეობა ფსიქიური მოვლენაა².

მაგრამ ამგვარი გაიგივება ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობისა Kelsenის დაუშვებლად მიაჩნია. ამ შეხედულების შედეგია ის, რომ იკარგება იურიდიული მოვალეობის, როგორც განსაკუთრებული, დამოუკიდებელი ცნების საფუძველი; რომ მივიღოთ ეს შეხედულება, უნდა ვთქვათ, რომ არსებობს მხოლოდ-დამხოლოდ ერთგვარი მოვალეობა, რომელსაც აღამიანი თავისუფლად კისრულობს; ეს მოვალეობის ცნება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ეთიკას; სამართალი ამ შეხედულებით არ ჰქმნის მოვალეობას ისე, როგორც იგი არა ჰქმნის სიკეთეს ან ინტერესებს; იგი მათ მხოლოდ იცავს; ასეთი შეხედულება, Kelsenის აზრით, ენათესავება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას და გამოთქმული იყო უკვე Feuerbachის მიერ: „ბუნებითი სამართალი არის მეცნიერება უფლების შესახებ, ხოლო ეთიკა—მეცნიერება მოვალეობის შესახებ“³.

იმ იურისტებს შორის, რომლებიც ზნეობრივ და იურიდიულ მოვალეობას არ ასხვავებენ, Kelsenი ასახელებს Heinzel. Heinzel მოძღვრება საინტერესოა აგრეთვე იმ მხრივ, რომ მასში ჩვენ ვნახულობთ ნორმის თეორიას, რომელიც

¹) Ib. 318.

²) Ib. 319.

³) Ib. 320.

განავითარა Bindingმა და რომელმაც დიდი მნიშვნელობა მიიღო თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში. Heinze უყურებს მოვალეობას, როგორც ნორმის სუბიექტურ შედეგს და გამოჰყოფს ნორმას სისხლის სამართლის კანონისაგან; ნორმა არსებობს კანონისაგან დამოუკიდებლად. მისი არსებობა გამოიყვანება ადამიანთა სოციალურ ცხოვრებიდან და საგანთა ბუნებიდან (Natur der Dinge); იგი ცხადია ყოველივე ადამიანისათვის, რომელიც ცხოვრობს კულტურულ წრეში, სადაც მოქმედებს ეს ნორმა. სწორედ ეს ნორმა და არა სახელმწიფოს მიერ დაწესებული კანონი, ჰქმნის მოვალეობას; ამ ნორმასა და არა კანონს არღვევს დამნაშავე. ამ დებულებაში გამოთქმულია აზრი, რომ იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობა ერთიდაიგივეა; აქ in nuce მოცემულია Bindingის თეორია, რომელიც ხასიათდება იმით, რომ ასხვავებს ნორმასა და სისხლის სამართლის კანონს¹.

იმ შეხედულებას, რომ იურიდიული მოვალეობა არ გამომდინარეობს სახელმწიფოებრივ კანონებიდან, ემბრობა, სხვათა შორის, Schlossmannი თავის ცნობილ შრომაში „Der Vertrag“. Schlossmannი უყურებს იურიდიულ ნორმას, როგორც იმპერატივს. კანონი და ადათობრივი სამართალი იურიდიულ მოვალეობას არ ამყარებენ; Schlossmannის აინტერესებს სამართლის ღირებულების საფუძველი (Geltungsgrund), ის უზენაესი წყარო, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იურიდიული მოვალეობა. მას აინტერესებს საკითხი—არსებობს კანონის და ადათობრივი სამართლის ღირებულების საფუძველი, თუ არა, და რა ხასიათისაა ეს საფუძველი; ეს საკითხი, ამბობს Kelsenი, მიმართულია პოზიტიური სამართლის ზნეობრივ შეფასებაზე. Schlossmannის მიერ დასმული საკითხის მნიშვნელობა შემდეგია. შეუძლია სახელმწიფოს ზნეობრივი თვალსაზრისით გასცეს ბრძანება, დააწესოს მოვალეობა, თუ არა? ზნეობრივად ევალება ადამიანს კანონის შესრულება თუ არა? ამგვარად Schlossmannი სამართალს უქვემდებარებს ზნეობას და საბოლოოდ მხოლოდ უკანასკნელს სთვლის მოვალეობის წყაროდ; ამიტომაცაა, რომ იგი სავალდებულო ძალას მიაწერს არა კანონსა და ადათობრივ სამართალს, არამედ სხვა ფაქტორებს. ეს სხვა ფაქტორებია „სამართლიანობა“, „სამართლის გრძნობა“ („Gerechtigkeit“, „Rechtsgefühl“). იურიდიულ მოვალეობას ჰქმნიან, მაშასადამე, წმინდა ეთიკური ფაქტორები და აქედან ცხადია, რომ Schlossmannის შეხედულებით, დამოუკიდებელი იურიდიული მოვალეობის შესახებ სინანდილში ლაპარაკი არ შეიძლება².

უახლეს დროში M. E. Mayerმა წამოაყენა ახალი კონსტრუქცია. Mayerი კანონის სავალდებულობას ასაბუთებს იმით, რომ იურიდიული ნორმა ეთანხმება კულტურის ნორმებს, რომლებსაც ინდივიდი იცნობს და აღიარებს: „კულტურის ნორმებად“ Mayerი სთვლის სარწმუნოებრივ, ზნეობრივ, კონვენციონალურ და სხვა სოციალური ხასიათის წესებს; სამართლის ნორმები არ ჰქმნიან მოვალეობას ქვეშევრდომთათვის; უმეტეს შემთხვევაში ქვეშევრდომნი არ იცნობენ კანონებს; რადგან Mayerი იზიარებს შეხედულებას, რომ მოვალეობა არის სუბიექტური, ფსიქიური მდგომარეობა, ამიტომ იგი ნორმის სავალდებულობისათვის

1) Ib. 322.

2) Ib. 326.

საჭიროდ სცნობს არა მარტო ნორმის ცოდნას, არამედ მის აღიარებასაც; ქვე-
წევრდომთა მოვალეობა კულტურის ნორმებას შედეგია; მოვალეობა იმდენადაა
იურიდიული ხასიათისა, რამდენადაც იგი სახელმწიფოსა და სპეციალურად სსსა-
მართლის მიერ მიჩნეულია, როგორც მოვალეობა. Mayerის შეხედულებითაც
მოვალეობის წყაროდ უნდა ჩაითვალოს არა სახელმწიფო, არამედ სხვა სოცია-
ლური ფაქტორები, რომელთაც იგი უწოდებს „კულტურის ნორმებს“; ეს თეო-
რია Heinzel მოძღვრებას ძლიერ ენათესავება¹.

რომ გადავხედოთ საერთოდ თანამედროვე იურისპრუდენციის თეორიებს
იურიდიული მოვალეობის შესახებ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ მათ ახასიათებს ბუ-
ნებითი სამართლის გავლენა; სხვა საკითხებში სამართლის ნეკნიერებას ცხადად
ემჩნევა ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან განთავისუფლების ტენდენ-
ცია; მაგრამ ამ საკითხში სამართლის მეცნიერება ჩამორჩენილია: სწო-
რედ მოვალეობის საკითხში სამართალი მკვეთრად გამოყოფილი არაა ზნეო-
ბისაგან. ეს ყველაზე უფრო ცხადია იმ თეორიებში, რომლებიც იურიდიულ
მოვალეობას უყურებენ არა როგორც იურიდიული წყობილების შედეგს, არამედ
როგორც ზნეობრივ ან სხვა სოციალურ მოვალეობას, რომელიც მხოლოდ დაცუ-
ლია ობიექტური სამართლის საშუალებით. მაგრამ ეს შეხედულება აშკარად
ეწინააღმდეგება თანამედროვე პოზიტიური სამართლის შემეცნებას, რომლის
თანახმად სამართალი და მოვალეობა არის მხოლოდ ის, რაც ამ სახით პოზი-
ტიურად არის დაწესებული, ზნეობისა, სარწმუნოებისა, ზნე-ჩვეულებისა და კულ-
ტურის პოსტულატებისაგან სრულიად დამოუკიდებლად. თანამედროვე იურისპრუ-
დენციის დასახელება იმაშია, რომ მან მიიღო მეთოდოლოგიური პრინციპი, რომ-
ლის მიხედვით იურიდიული ცნება გამოყვანილი უნდა იქნეს მხოლოდ დადებითი
სამართლიდან და არა ისეთი დებულებებიდან, რომლებიც სამართლის დარგს არ
ეკუთვნიან; ამ მეთოდს ივიწყებენ ის იურისტები, რომლებიც პოზიტიურ სამარ-
თალს არ სცნობენ მათი კონსტრუქციების უკანასკნელ საფუძვლად და სუბიექტური
სამართალი გამოჰყავთ დადებითი სამართლის ზემდებარე წყობილებიდან².

იურიდიული მოვალეობის ზნეობისაგან დამოუკიდებელი არსებობის დაშვება
დამოუკიდებელი იურიდიული ნორმების აუცილებელი შედეგია. ნორმასა და მოვა-
ლეობას შორის არის შინაგანი კავშირი; ამიტომ, თუ მიღებულია, რომ ზნეობრივ
ნორმას ეთანაბრება ზნეობრივი მოვალეობა, მიღებული უნდა იქნეს ისიც, რომ
იურიდიული ნორმა გულისხმობს სათანადო იურიდიულ მოვალეობას. სამართლის
ნორმა დამოუკიდებელია ზნეობრივ ნორმისაგან, იურიდიული მოვალეობაც ზნე-
ობრივ მოვალეობისაგან დამოუკიდებელი უნდა იქნეს. როდესაც ობიექტურ
სამართალს გამოვჰყოფთ ზნეობისაგან და იურიდიულ ნორმებზე ვმსჯელობთ
დადებითი სამართლის მიხედვით, მაშინ უაზრობაა იურიდიული მოვალეობის
გამოყვანა ზნეობიდან; იურიდიული მოვალეობა არის იურიდიული ნორმის მხო-
ლოდ სუბიექტური ფორმა.

შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ იურიდიული მოვალეობა არის
ზნეობრივი, კულტურული ან სხვა რაიმე მოვალეობა, მხოლოდ სამართლის სა-

¹) Ib. 327.

²) Ib. 328.

შუალებით დაცული, აუცილებლად უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ იურიდიული მოვალეობა არ არსებობს ყველა იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ყოფაქცევა ითვლება სამართლის დარღვევად და იწვევს სათანადო იურიდიულ შედეგებს (სასჯელს ან აღსრულებას), მაგრამ ამავე დროს ზნეობის მიერ აკრძალული არაა; ასეთი შემთხვევები ხშირია: ეს ყოფაქცევა შეიძლება ზნეობრივად სრულიად ინდიფერენტულია; შესაძლოა კიდევ, რომ იურიდიული წყობილება პირდაპირ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს¹. აღნიშნული შეხედულება გულისხმობს, რომ ნორმა, რომელიც დამყარებულია არა სახელმწიფოს, არამედ ზნეობისა ან სხვა სოციალური ფაქტორის მიერ და რომელიც აწესებს იურიდიულ მოვალეობას, ობიექტურად ცხადია და სავალდებულოა ყველა სუბიექტისათვის; მაგრამ ეს აზრი მცდარია; არის შემთხვევები, როდესაც ობიექტურად არსებობს საკანონმდებლო დადგენილება, მაგრამ გაურკვეველია, არსებობს სათანადო ზნეობრივი, კულტურული ან სხვა რაიმე სოციალური ნორმა, თუ არა; რომ ამგვარი შემთხვევა იშვიათი არაა, მტკიცდება იმით, რომ ზნეობას, კულტურასა და სხვა სოციალურ ფაქტორებს აქვთ სუბიექტური ხასიათი.

ზოგიერთი ავტორი—მათ შორის აქ დასახელებული იყო Schlossmannი—იზიარებს ამ შეხედულებას იმიტომ, რომ სინამდვილეში ამჩნევენ, რომ ობიექტური სამართალი სოციალური ძალების ზეგავლენით უშედეგოდ რჩება, და შესაძლოა კიდევ, რომ ამ ძალებმა წარმოშვან ახალი სამართალი, რომელიც იკავებს ძველი სამართლის ადგილს, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება ფორმალურად გაუქმებული არაა; ეს არის საკმაოდ ცნობილი და ექვემოთნაწილი დეროვაცია კანონისა ადამის გზით; ასეთი იყო არსებითად ის შემთხვევა, როდესაც Carolinal სასტიკი დადგენილებანი გაუქმებული იქნენ ფაქტიური გამოუყენებლობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ისინი არსებობდნენ ეს აიხსნება იმით, რომ მათ ეწინააღმდეგებოდა უფრო განვითარებული სამართლიანობის გრძნობა. ზემოთ მოყვანილი შეხედულება ხასიათდება იმით, რომ იგი ყურადღებას აქცევს იურიდიული ცხოვრების ფაქტებს; ამაში მდგომარეობს მისი მეთოდოლოგიური შეცდომა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის იურიდიული მოვალეობა, დამოუკიდებელია ფაქტიურ სინამდვილისაგან; იურიდიული ნორმისა და მოვალეობის ბუნების გამოკვეთვა არ შეიძლება დაფუძნდეს იმას, ტარდება ისინი ცხოვრებაში, ასრულებენ მათ სინამდვილეში, თუ არა. იურიდიული ნორმა არაა ის, რაც გამოიყენება სინამდვილეში და იურიდიული მოვალეობა არაა ის, რასაც ფაქტიურად ასრულებენ; ორივე—ნორმა და მოვალეობა—წარმოადგენენ იმას, რაც უნდა (Soll) იქნეს გამოყენებული და შესრულებული². ფორმალურად არსებული იურიდიული ნორმის გამოუყენებლობა სამართლის საწინააღმდეგოა, ისე, როგორც მოქმედება, რომელსაც სამართალი უკავშირებს სამართლის დარღვევის შედეგებს (Unrechtsfolge), მოვალეობის სა-

1) Ib. 329.

2) „Denn Rechtsatz ist nicht jener, der wirklich d. h. in der Welt des Seins angewendet, und Rechtspflicht nicht, was tatsächlich befolgt wird, sondern beides stets nur, was angewendet, resp. befolgt werden soll“. ib. 333.

წინააღმდეგოა, თუნდაც რომ ეს ნორმის გამოუყენებლობა ეთანხმებოდეს ზნეობრივ გრძნობას და მოქმედება ფაქტიურად არ ისჯებოდეს.

თუ როგორ უქმდება იურიდიული ნორმა, რომელსაც არ გამოიყენებენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თუ როგორ მოვალეობა ხანგრძლივი შეუსრულებლობის გამო თანდათანობით კარგავს თავის ხასიათს, თუ როგორ ირღვევა ვალდებულება არსის ზეგავლენით და, პირიქით, ვალდებულება ჩნდება არსიდან—ეს მოვლენა იურიდიული კონსტრუქციისათვის გაურკვეველია. („für die juristische Konstruktion nicht erfassbare Tatsache, ist juristisch ein Mysterium“): ამიტომ შეცდომაა, იურიდიული კონსტრუქციის დამყარება სწორედ ამ მოვლენაზე. სანატლის წარმოშობისა და მოსპობის ფაქტი არ შედის იურიდიული შემეცნების სფეროში².

ამრიგად, Kelsenი თანამედროვე სამართალში გაბატონებულ მოვალეობის თეორიას აფასებს იმ ძირითადი პრინციპების მიხედვით, რომლებიც უკვე დახასიათებული იყო. Kelsenის მოძღვრების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს „ვალდებულებისა“ (Sollen) და „არსის“ (Sein) განსხვავება; ამის მიხედვით განსხვავდება შემეცნების საგანიც და მეთოდიც. იურიდიული შემეცნების საგანია ნორმა, რომელშიაც გამოიხატება ვალდებულება; ფაქტიური დამოკიდებულება მოვლენათა შორის, მათი მიმდინარეობა, ცვალებადობა, სამართლის მეცნიერებისათვის მიუწვდომელია; ამგვარად, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ჩნდება ვალდებულება ანდა როგორ ისპობა იგი, „მეტაიურიდიული“ საკითხია. ნორმის ფაქტიური გამოუყენებლობა ფორმალურად არ სპობს ამ ნორმას, რადგან იგი ეკუთვნის არსისა და არა ვალდებულებების ქვეყანას.

საინტერესოა, რომ Kelsenი იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით იურიდიულ მოვალეობას წარმოშობენ სოციალური ფაქტორები და სამართალი კი მხოლოდ აძლევს მას სანქციას, უკავშირებს სისხლის სამართლის მეცნიერებას; ამ შეხედულებას, ამბობს Kelsenი, მომხრეები ჰყავს უმთავრესად კრიმინალისტებს შორის; აქ თეორიის მთავარი წარმომადგენელი არიან: Heinze, Bindingი და Mayerი; სამივე კრიმინალისტებია და ეს გარემოება ბევრ რასმე არკვევს; სისხლის სამართლის დარგში თითქოს არსებობს იმის საბუთი, რომ იურიდიული მოვალეობა მიჩნეული იქნას, როგორც მეორეხარისხოვანი შედარებით ზნეობრივ მოვალეობასთან, და რომ ზნეობრივი ნორმა ამყარებს იურიდიულ მოვალეობას, რომელსაც სისხლის სამართალი იცავს თავის სანქციის საშუალებით; ამგვარად იურიდიულ მოვალეობას ეკარგება დამოუკიდებელი ხასიათი; საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მოქმედება, რომელსაც სისხლის სამართალი უკავშირებს სასჯელს, იმავე დროს აკრძალულია ზნეობრივი ნორმებით; შესაძლოა, რომ ზნეობრივი და იურიდიული ნორმების ამ გარეგნულმა თანხმობამ გამოიწვია

²) „Wie ein Rechtssatz, der dauernd nicht angewendet wird, aufhöret Norm zu sein, wie eine langjährige Pflichtverletzung allmählig anfängt ihren Charakter zu verlieren; wie ein Sollen durch ein Sein zerstört oder aus einem Sein ein Sollen wird, das ist eine... für die juristische Konstruktion nicht erfassbare Tatsache, ist juristisch ein Mysterium.... Das Faktum der Entstehung und Zerstörung des Rechtes fällt ausserhalb der Ebene der juristischen Erkenntnis, ist eine ihrer Voraussetzungen“, ib. 334.

ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობის გაიგივება (Identifizierung). სამართლის ამ დარგში იშვიათია შემთხვევა, როცა იურიდიული ნორმის დარღვევა იმავე დროს არ გულისხმობდეს ზნეობრივი ნორმის გადალახვასაც. მაგრამ, თუ მივაქცევთ ურადლებას სამოქალაქო სამართალს, ვნახავთ, რომ აქ ზნეობრივ და იურიდიულ მოვალეობას შორის უკვე არ არსებობს ის მჭიდრო კავშირი, რომელსაც თითქოს ადგილი აქვს სისხლის სამართალში. თუმცა აქაც ვხვდებით შემთხვევებს, როცა იურიდიული მოვალეობა ეთანაბრება ზნეობრივ მოვალეობას; ასეთია ის შემთხვევები, როცა კანონი იურიდიულ მოვალეობას უკავშირებს მხარეების გარიგებას; საყოველთაო ზნეობრივი ნორმა, რომელიც მოითხოვს შეთანხმების შესრულებას, მოითხოვს აგრეთვე იურიდიული ხელშეკრულების შესრულებასაც; ამგვარად თითქოს აქაც შესაძლოა იურიდიული მოვალეობის კონსტრუქცია, როგორც მოვალეობისა, რომელსაც სამართლის წყობილება კი არ ამყარებს, არამედ მხოლოდ იცავს; მაგრამ ასეთი კონსტრუქციის უსაფუძვლოება მტკიცდება მაშინვე, როდესაც მხედველობაში ვიღებთ ყველა იმ სამოქალაქო სამართლის მოვალეობებს, რომლებსაც კანონი ამყარებს მხარეების ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად; რომ ამ უკანასკნელ შემთხვევებში ნამდვილი იურიდიული მოვალეობა არსებობს, ამაში ექვის შეტანა შეუძლებელია; ექვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ აქ სავალდებულო ყოფაქცევა რომელიმე ზნეობრივი ავტორიტეტით დადგენილი არაა¹.

ზემოთ განხილული იყო მოვალეობის თეორიების ორი ჯგუფი: ერთი უყურებს იურიდიულ მოვალეობას, როგორც დამყარებულს არა სხვა ავტორიტეტის, არამედ თვით სამართლის წყობილების მიერ; მაგრამ ზნეობრივ და იურიდიულ მოვალეობას არ ასხვავებს იმდენად, რამდენადაც ორივე მოვალეობას მიაწერს ერთდაიმავე შინაგან აგებულებას, ე. ი. როგორც ზნეობრივი, ისე იურიდიული მოვალეობა მიჩნეული აქვს, როგორც რეალური, ფსიქიური შებორკვის მდგომარეობა (Zustand realpsychischer Gebundenheit); მეორე ჯგუფის შეხედულებით მოვალეობა მყარდება არაიურიდიული ფაქტორებით და თავის დაცვას ჰპოვებს სამართალში; ორივე ჯგუფის საფუძველი ერთდაიგივეა: იურიდიული მოვალეობა ორივეს ესმის, როგორც ნებისყოფის შინაგანი შებორკვა, როგორც ფსიქიური მდგომარეობა; იურიდიული მოვალეობა აქ წარმოდგენილია, როგორც მოტივაციის საბოლოო შედეგი, მოტივაცია კი გამომდინარეობს იურიდიული წყობილებიდან; მოვალეობის დამყარების აქტი (Verpflichtungsakt) ამ შეხედულებით ფსიქიური იძულების პროცესია, რომელიც იურისტებს წარმოდგენილი აქვთ იმავე სახით, როგორც ზნეობრივ დარგში².

მაგრამ Kelsenის აზრით, ამ შეხედულებას აუცილებლად აქვს ის შედეგი, რომ ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთ ფსიქიურ იძულებას სინამდვილეში ადგილი არ აქვს სხვადასხვა მიზეზების გამო—ინდივიდს არა აქვს სამართლის დარღვევის მოტივი, ანდა იძულებას ინდივიდზე ახდენს სხვა ძალა და არა სამართალი, უმთავრესად კი მაშინ, როდესაც სამართალი ირღვევა, ე. ი., როდესაც

¹) Ib. 335, 336.

²) Ib. 336.

საც სამართლის წყობილება ვერ იჩენს მოტივაციურ ძალას—იურიდიული მოვალეობის არსებობა უნდა იქნეს უარყოფილი. იურიდიული მოვალეობა ამ თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდი ნოქმედებს მართლზომიერად სამართლის მიერ დაწესებული სანქციის შიშის ზვეავლენით¹. ასეთია ის შედეგი, რომელიც Kelsenს ლოლიკურად გამოჰყავს ზეცოთ დახასიათებულ შეხედულებიდან.

ამ შეხედულებასთან დაკავშირებით Kelsenი იკვლევს „ალიარების თეორიას“ (Anerkennungstheorie), რომელსაც თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში წინაწინააღმდეგობა ადგილი უკავია.

იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებულმა იურიდიული მოვალეობის მოძღვრებამ, რომლის მიხედვით მოვალეობა არის ნებისყოფის შებორკვის ფსიქიური პროცესი, გამოწვეული იურიდიული წყობილების მოტივაციური ძალით, ზნეობრივი მოვალეობის ცნება შეუწყველად გადაიტანა სამართლის დარგში; ამგვარად დავიწყებული იყო ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ზნეობრივ და იურიდიულ ნორმებს შორის; ზნეობა თავისი ბუნებით ავტონომიურია და მხოლოდ ზნეობრივ თვალსაზრისით მოვალეობა ნებისყოფის შინაგან შებორკვას წარმოადგენს; მიჩნევა მოვალეობისა, როგორც რეალური ფსიქიური აქტისა, შესაძლოა მხოლოდ იმდენად, რაპდენდაც დაკულია ავტონომიის პრინციპი; ზნეობაში თვით ადამიანის ნებისყოფა არის კანონმდებელი: მოვალეობა აქ არის თვით ნორმა, რომელშიაც გამოისახება ზნეობრივი სწრაფვა. მაგრამ სამართალს, ექვს გარეშე, აქვს ჰეტერონომიული ხასიათი; სამართლის ნორმები იმისთვისაც კი ჰქმნიან მოვალეობას, ვისაც მათი შესრულება არ ჰსურს, ვინც მათ კიდევ სრულიად არ იცნობს. ზნეობრივი ნორმა არსებობს მხოლოდ სუბიექტურად, რადგან ზნეობრივი ნორმა სინაპტილურად სინიღისის ხმაა, ნებისყოფის ცნობიერი, ზნეობრივი მიმართულება; ამიტომაც ზნეობრივი მოვალეობის წარმოდგენა შესაძლოა მხოლოდ ნებისყოფის შინაგანი შებორკვის სახით. სამართლის ნორმა კი, პირიქით, არსებობს ობიექტურად, დამოუკიდებლად იმ სუბიექტებისაგან, რომლებსაც ეკისრება რაიმე მოვალეობა; მოვალეობის დაკისრების აქტი ობიექტური ხასიათისაა და ამიტომ საკითხი იმის შესახებ, არსებობს იურიდიული მოვალეობა, თუ არა, უნდა გადაიქრას ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით².

ზნეობრივი მოვალეობის ცნების გადატანამ სამართლის დარგში გამოიწვია მკდარი წარმოდგენა იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც იურიდიულ ნორმასა და იურიდიულ მოვალეობას შორის არსებობს; ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ მათ შორის კაუზალური კავშირია და იურიდიულ ნორმას უყურებენ, როგორც მიზეზს, იურიდიულ მოვალეობას კი სთვლიან ნორმის შედეგად. მაგრამ ყოველივე იურიდიული ნორმა თავისი ბუნებით ამყარებს სათანადო მოვალეობას და ეს თვისება მას ყოველთვის თან ახლავს; მოვალეობა და ნორმა როგორც სამართლის, ისე ზნეობის დარგში, წარმოადგენენ ერთიანობას (Einheit). ამით უარყოფილია ის აზრი, რომელიც იურიდიულ მოვალეობას სთვლის ფსიქიურ აქ-

¹) Ib. 336.

²) Ib. 347.

ტად და ღებულობს კაუზალურ დამოკიდებულებას ნორმასა და მოვალეობას შორის. ამგვარად Kelsenმა უარყო სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად მოვალეობა ფსიქიური აქტია, კაუზალურად დაკავშირებული ნორმასთან. როგორ უყურებს თვითონ Kelsenი მოვალეობას და რა დამოკიდებულებას ნახულობს იგი ნორმასა და მოვალეობას შორის?

Kelsenის აზრით, „ლაპარაკი სუბიექტური იურიდიულ მოვალეობაზე ობიექტური სამართლის ნორმის გვერდით შეიძლება იმდენად, რამდენადაც ამით გამოითქმება ამ ნორმის სუბიექტივიზაციის უნარი, ე. ი. მისი შეფარდების შესაძლებლობა კონკრეტ სუბიექტთან“. ობიექტური, ყველასათვის სავალდებულო იურიდიული ნორმა იქცევა ცალკე სუბიექტის მოვალეობად იმიტომ, რომ იგი ეფარდება ამ სუბიექტს, იმიტომ რომ სუბიექტს თვით ნორმის მიერ განსაზღვრულ პირობებში უნდა შეეფარდოს ის მანვე შედეგები, რომლებსაც ითვისისწინებს ეს ნორმა. პრობლემის გადაჭრას Kelsenი, მაშასადამე, ეძებს იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაციის უნარიანობაში; ეს სუბიექტივიზაცია მას ესმის, როგორც ნორმის შეფარდება ცალკე სუბიექტთან; სუბიექტური მოვალეობა გამოყვანილი უნდა იქნეს ობიექტურ ნორმიდან¹.

აქედან ირკვევა ის კავშირი, რომელიც არსებობს იურიდიული ნორმის ლოლიკურ ფორმასა და მოვალეობის დამყარების უნარიანობას შორის; იურიდიულ ნორმას აქვს ლოლიკური ფორმა და ამავე დროს მას აქვს მოვალეობის დაკისრების უნარი; როგორაა დაკავშირებული ეს ორი თვისება? Kelsenი ცდილობს გამოარკვიოს ეს კავშირი; იურიდიული ნორმა, ამბობს იგი, უნდა შეიცავდეს თავის გამოყენების პირობას (Anwendungsklausel); ასეთი გამოყენების პირობა იმპერატივში არაა; ცარიელი იმპერატივი, მაგალითად, „ნუ მოქალაქე“, რასაკვირველია, გულისხმობს შესრულების სუბიექტურ შესაძლებლობას, მაგრამ იგი არ იძლევა გამოყენების სპეციალურ პირობას და იმიტომ მას არ შეუძლია გამოარკვიოს საკითხი, თუ როგორ გამომდინარეობს სუბიექტური მოვალეობა ობიექტური იურიდიული ნორმიდან. ამ საკითხს სჭირს მხოლოდ ის თეორია, რომელიც უყურებს იურიდიულ ნორმას, როგორც ჰიპოთეტიურ მსჯელობას; ჰიპოთეტიური მსჯელობა გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფას, რომელიც სუბიექტის განსაზღვრულ ყოფაქცევას უკავშირებს განსაზღვრულ მანვე შედეგებს². ამგვარად აქვს Kelsenს წარმოდგენილი ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს იურიდიული ნორმის ორ თვისებას შორის: იურიდიულ ნორმას აქვს ლოლიკური ფორმა; ამ მხრივ იგი ჰიპოთეტიური მსჯელობაა; მეორეს მხრივ, იგი ამყარებს სუბიექტების მოვალეობას; ორივე თვისება მჭიდ-

1) „Von einer subjektiven Rechtspflicht kann neben den objektiven Rechtssatze nur insoferne die Rede sein, als damit Subjektivierungsfähigkeit, d. h. seine Anwendbarkeit auf ein konkretes Subjekt zum Ausdrucke kommt.... In dieser Anwendbarkeit auf ein konkretes Subjekt, in dieser Fähigkeit zur Subjektivierung ist die Lösung des Problems gegeben: aus dem objektiven Rechtssatze die subjektive Rechtspflicht abzuleiten, genauer: den Rechtssatz als Rechtspflicht zu begreifen.“ lb. 348, 349.

2) lb. 349.

როდ დაკავშირებულია ერთმანეთთან: იურიდიულ ნორმაში გამოთქმულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მოცემულ პირობებში იმოქმედებს განსაზღვრული სახით (მაგალითად, დაადებს სასჯელს); აქედან უკვე გამოიყვანება სუბიექტების მოვალეობა; მაშასადამე, თვით იურიდიული ნორმა გვაძლევს იმის კრიტერიუმს, თუ რა არის ცალკე სუბიექტის მოვალეობა.

იმპერატივის თეორიას ზნეობრივი კანონის ფორმა შეუტყველად გადააქვს სამართლის დარგში; ეს აიხსნება იმით, რომ იმპერატივის თეორია ზნეობრივ და იურიდიულ მოვალეობას სთვლის ერთდამიავედ; ეს შეხედულება გამოიხატება ამ თეორიის დებულებაში: უიმპერატივოდ მოვალეობა არ არსებობს. ზნეობის დარგში ასეთი პრინციპი, რასაკვირველია, გამოადგება; ზნეობრივი ნორმა იმპერატივში ჰყოლებს თავის ადეკვატურ ლოლიკურ ფორმას; ეს იმიტომ, რომ ზნეობრივი ნორმის იმპერატივი ავტონომიური ხასიათისაა: აქ იმპერატივი, რომელიც მიმართულია ინდივიდისადმი, თვით ამ ინდივიდიდან გამომდინარეობს. მაგრამ სამართლის დარგში იმპერატივი ვერასოდეს ვერ გამოიწვევს იქ ნებისყოფის შინაგან შებორკვის მდგომარეობას, რომელსაც გაბატონებული შეხედულება და განსაკუთრებით კი იმპერატივის თეორია უწოდებენ იურიდიულ მოვალეობას; ვერ გამოიწვევს იმიტომ, რომ იურიდიული ნორმის ცოდნა, ურომლისოდ მოტივაცია შეუძლებელია, წარმოადგენს ფიქციას და კიდევ რომ უყურადღებოდ დავტოვოთ ეს მოსაზრება, არ გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს შიშველი ბრძანება გამოიწვევს სუბიექტის სათანადო ყოფაქცევას, რომ სუბიექტი დაემორჩილება მას. თუ იურიდიული ნორმის ლოლიკურ ფორმად ჩავთვლით იმპერატივს, მაშინ იმისათვის, რომ იურიდიულ ნორმამ ნამდვილად გამოიწვიოს სათანადო ყოფაქცევა, ე. ი. გახდეს მოტივაციურ ძალად, აუცილებლად საჭიროა კიდევ ერთი აქტის დაშვება, რომლის საშუალებით სახელმწიფოს ნებისყოფა უნდა გადაიქცეს სუბიექტის ნებისყოფად და სუბიექტი დაემორჩილოს იურიდიულ ნორმას; ეს აქტი იურიდიული ნორმის აღიარებაა; ამგვარად იმპერატივის თეორია თავის აუცილებელ დამატებას ჰყოლებს აღიარების თეორიაში¹.

აღიარების თეორიის მდგომარეობა თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში სრულად უდავოა. არ არის თითქმის არც ერთი მეცნიერი, რომელსაც არ გამოეყენოს იგი რომელიმე შემთხვევაში იურიდიული კონსტრუქციის მიზნით; აღიარებას გულისხმობენ სხვადასხვა ტერმინით: „პატივისცემა“ (Achtung), „მოწონება“ (Billigung), „მორჩილება“ (Unterwerfung) და სხვ. მაგრამ ამ ტერმინების განსხვავებას აღიარების ბუნების თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს. ყველა ეს მათი შინაარსის მხრივ თანასწორი თეორიები დამყარებული არიან მეთოდოლოგიურ შეცდომაზე².

აღიარების თეორიას მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გადაჭრაში, რომლის საგანს შეადგენს სამართლის ღირებულების საფუძვლის (Geltungsgrund des Rechtes) გამოკვლევა. სამართლის ღირებულება შეიძლება გაგებული იქნეს ორგვა-

¹) „die Imperativtheorie findet ihre notwendige Ergänzung in der Anerkennungstheorie“ Ib. 350.

²) Ib. 351.

რი მნიშვნელობით; შეიძლება დავსვათ საკითხი: რატომ ასრულებენ სუბიექტები პოზიტიური სამართლის დადგენილებებს? შესაძლოა კიდევ შემდეგი საკითხი: რატომ უნდა იქნეს შესრულებული ან გამოყენებული სამართლის ნორმები; პირველ საკითხს იურიდიული ხასიათი არა აქვს; რადგან იგი იკვლევს ყოფაქცევის მოტივსა და მიზნებს; მაშასადამე, იგი ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური ბუნებისაა; სამართლის „ღირებულება“ მის ფაქტიურ განხორციელებაში არ მდგომარეობს. მეორე საკითხი, პირველის შეხედვით, უაზროა, რადგან თვით იურიდიული ნორმა გულისხმობს, რომ იგი უნდა (Soll) იქნეს შესრულებული ან გამოყენებული. იურიდიული ნორმის წარმოდგენა უკვე შეიცავს მისი შესრულების ან გამოყენების ვალდებულებას: ასეთ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, თუ კი იურიდიულ ნორმას არ დაუმორჩილებთ სხვა რომელიმე უმაღლეს ნორმას; მაგრამ დაყენებული საკითხი სხვა მნიშვნელობასაც ღებულობს: შეიძლება დაისვას საკითხი იმ ნორმატიული წყობილების შესახებ, რომელიც დგას სამართლის ზევით, მაგალითად, ზნეობის ან სარწმუნოების შესახებ აქ ხდება სამართლის წყობილების შეფასება ზნეობრივი ან სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ეთიკურ ფილოსოფიას, რასაკვირველია, შეუძლია ამგვარი საკითხის დაყენება, მაგრამ იურისტის მდგომარეობა სულ სხვაა. იურისტისათვის სულერთია, ეწინააღმდეგება იურიდიული ნორმა ზნეობას, თუ არა; ზნეობის სფეროში შექრა ნიშნავს დამოუკიდებელი იურიდიული წყობილებისა და იურიდიული მეცნიერების უარპყობას; იურისტს არ შეუძლია დასვას საკითხი სამართლის მატერიალური ღირებულების შესახებ. საკითხი, რომლის დაყენება მას შეუძლია, წმინდა ფორმალურია; იურისტს უნდა აინტერესებდეს „როგორ“ და არა „რატომ“. იურისტი იკვლევს შემდეგ საკითხებს: როგორია ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს ორგანოებმა უნდა გამოიყენონ და ქვეშევრდომებმა კი უნდა შეასრულონ, როგორ უნდა შევიცნოთ ეს ნორმები? როგორია მათი ლოლიკური ფორმა?

ამგვარად საკითხი სამართლის ღირებულების საფუძვლის შესახებ ორივე მნიშვნელობით იურიდიულად ირრელებანტურია; იგი ან იკვლევს ყოფაქცევის მოტივებს და ამ სახით ფსიქოლოგიური საკითხია, ანდა იძლევა ზნეობრივ გამართლებას და, როგორც ასეთა, მოთავსებული უნდა იქნეს ეთიკის სფეროში.

მიუხედავად ამისა, იურისტები მაინც აყენებენ ამ საკითხს; მათ სწამთ, რომ იურიდიულ მეცნიერებას შეუძლია მისი გადაჭრა. ფსიქოლოგიური და ეთიკური პრობლემის შეტანას ფორმალურ იურისპრუდენციაში აქვს თავისი შედეგი: ფიქცია; ეს ფიქცია არის აღიარება („und diese Fiktion ist die Anerkennung“)¹.

აღიარების თეორიას, რომელიც სამართლის ღირებულების, იურიდიული ნორმების სავალდებულობის საფუძველს პოულობს მათ აღიარებაში სუბიექტების მხრივ, შეიძლება მიეწეროს ორგვარი მნიშვნელობა; ერთის მხრივ, შესაძლოა, რომ მისი მიზანია სუბიექტების ყოფაქცევის ფსიქიური მოტივების გამოკვლევა; მეორეს მხრივ კი, მას შეიძლება მიზნად ექნეს იურიდიული წყობილების გამართლება (Rechtfertigung); მაგრამ ამ თეორიის მომხრეები ამ ორ მომენტს მკა-

¹) lb. 353.

ფიოდ არ ასხვავებენ; ჩვეულებრივად ალიარების თეორია ენსახურება ორივე მიზანს—როგორც ახსნას, ისე გამართლებას.

ალიარების თეორიის უდიდესი წარმომადგენელია Bierlingი, რომელმაც ყველაზე უფრო ღრმად განავითარა იგი.

Bierlingის აზრით, ფორმულები: სამართალი არის სახელმწიფოს ნებისყოფა, ღვთაების ნებისყოფა ან ხალხის რწმენა, არ არკვევენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია კანონის სავალდებულო ძალის საფუძველი; ამ საფუძველს იგი სხვა ფაქტორში ეძებს; მართლაც, თუ იურიდიული მოვალეობა გავიგეთ როგორც ნებისყოფის შებორკვა—და სწორედ ასეთია Bierlingის შეხედულება—მაშინ სახელმწიფოს ნებისყოფის ცნება ვერ ხსნის ამ ფსიქიური მდგომარეობის წარმოშობას; Bierlingის მიერ დაყენებულ პრობლემას არა აქვს იურიდიული ხასიათი. ამ პრობლემას აქვს წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათი, რადგან იგი იკვლევს ფსიქიურ პროცესს; ეს კი ნორმატული იურისპრუდენციის თვალსაზრისით დაუშვებელია. საკითხის დაყენება, მაშასადამე, იმთავითვე მცდარია. როგორ უნდა გავიგოთ ეს ალიარება, რომელიც თან ერთვის ობიექტურ სამართალს და ანიჭებს მას სავალდებულო ძალას?

საერთოდ „ალიარებას“ აქვს ორი მნიშვნელობა: ერთის მხრივ, იგი ნიშნავს ინტელექტის მოქმედებას, მსჯელობას, რომლითაც ერთი ადამიანი სცნობს მეორე ადამიანის მსჯელობის კეშმარტებას; მეორეს მხრივ, ალიარება შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ნებისყოფის აქტი; უკანასკნელ შემთხვევაში ალიარება გულისხმობს თავისი ნებისყოფის სხვისი ნებისყოფისადმი დაქვემდებარებას. ორივე მნიშვნელობით ალიარება უსათუოდ გულისხმობს იმის ცოდნას, რაც უნდა იქნეს ალიარებული; ამიტომ შეუძლებელია ალიარების დაშვება, თუკი ნისი საგნის ცოდნა არაა. რომ დაუკვირდეთ ალიარების თეორიას, ვნახავთ, რომ მისი მომხრეება ალიარების მტკიცე, პოზიტიურ განსაზღვრას არ იძლევიან; ამ ტერმინს ისინი უფრო ნეგატიურად ახასიათებენ, ე. ი. აღნიშნავენ, თუ როგორ არ უნდა იქნეს იგი გაგებული; ამიტომ ჩვენ ვღებულობთ ბუნდოვან, გაურკვეველ წარმოდგენას ალიარების შინაარსის შესახებ; ამის ტიპურ მაგალითს იძლევა Bierlingი; ზოგჯერ იგი გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მას თითქოს ალიარება ესმის, როგორც ნებისყოფის აქტი. მაგრამ საბოლოოდ ირკვევა, რომ Bierlingის აზრის ამგვარი გაგება შეცდომა იქნებოდა; თვითონ Bierlingი ამბობს, რომ მას ალიარება ყოველთვის არ ესმის, როგორც „ცნობიერი ნებისყოფა“ ანდა როგორც „რწმენა“; ალიარება შეიცავს არა მხოლოდ იძულების გზით გამოწვეულს, არამედ აგრეთვე არაცნობიერ ალიარებასაც. ამ ფართო მნიშვნელობით ალიარების აქტი გაუგებარი რჩება. ალიარებით Bierlingი არ გულისხმობს გარდამავალ განკერძოებულ აქტს; მას იგი ესმის, „როგორც ხანგრძლივი, ჩვეულებრივი ყოფაქცევა, დაკავშირებული სათანადო იურიდიულ პრინციპებთან“; მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ჩვეულებრივი ყოფაქცევა, თუ რომელ ფსიქიურ აქტებისაგან შესდგება იგი, ალიარების თეორია არ იძლევა არავითარ პასუხს¹.

¹) Ib. 357.

მიუხედავად იმისა, თუ როგორია აღიარების ბუნება—არის ის გარდამავალი აქტი, თუ ხანგრძლივი, ჩვეულებრივი ყოფაქცევა—ყოველ შემთხვევაში მას უნდა ექნეს რეალური, ფსიქიური ფაქტის მნიშვნელობა. ამგვარი ფაქტის არსებობა. რასაკვირველია, დამტკიცებელი უნდა იქნეს ემპირიული გამოკვლევის გზით; მაგრამ ასეთი არაა ის გზა, რომლითაც სარგებლობენ იურისტები, როდესაც ისინი ამტკიცებენ აღიარების არსებობას; ისინი სინამდვილეში მიმართავენ ფიქციას. აღიარების ფიქტიური ბუნება ცხადად ირკვევა მაშინ, როცა ჩვენ ამ თეორიას ვუყენებთ შემდეგ კითხვებს: ვისგან გამომდინარეობს აღიარება? უველა სუბიექტებიდან, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ნებისყოფის-უნარიანობისა, თუ არა? ყველას აღიარებაა საჭირო, თუ მხოლოდ ნაწილის? თუ უმრავლესობის აღიარებაა საჭირო, როგორია ეს უმრავლესობა და როგორ შეიძლება მისი გამორკვევა? როგორ უნდა დავახასიათოთ სამართლის დამრღვევის ყოფაქცევა? რაზეა მიმართული აღიარება—ცალკე იურიდიულ ნორმაზე, მთელ სამართლის წყობილებაზე, თუ სხვა ნორმებზე, რომლებიც არ ეკუთვნიან პოზიტურ სამართალს?

რაც შეეხება აღიარების შინაარსს, Bierlingი აცხადებს, რომ აღიარება თავისი შინაარსის მხრივ ყოველივე ცალკე იურიდიულ ნორმაზე მიმართული არაა; საკმარისია აღიარება იმ ზოგადი ნორმისა, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფოს კანონები სავალდებულოა. მაგრამ საყოველთაო აღიარება სახელმწიფოს კანონებისა სინამდვილეში აღიარება არაა; წინასწარი თანხმობა სახელმწიფოს ყველა ნორმებზე ფაქტიურად ნაშნავს ყოველივე აღიარების უარპყოფას. Bierlingის შეხედულებას არ შეუძლია ახსნას შემდეგი შემთხვევა: აღიარება გულისხმობს, რომ განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ გამოსცენ სავალდებულო ნორმები; ეს ორგანოები განსაზღვრულია კონსტიტუციით; რესპუბლიკაში, მაგალითად, აღიარება შეეხება პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციას; წარმოიდგინოთ, რომ სახელმწიფოში რესპუბლიკანური ფორმა შეიკვალა და დამყარდა მონარქია; იცვლება ამ შემთხვევაში ახალი პირობების მიხედვით აღიარების შინაარსი, თუ არა?

Bierlingის თეორიას არ შეუძლია აგრეთვე ახსნას ის შემთხვევები, როდესაც სამართალი ირღვევა; სამართლის დარღვევის შემთხვევა პირდაპირ ეწინააღმდეგება აღიარების თეორიას, რადგან სამართლის დამრღვევი თავის მოქმედებით ამყარად ამტკიცებს, რომ იგი არ აღიარებს სამართალს; მიუხედავად ამისა, სამართალი მისთვის მაინც სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს; მისთვის განსაკუთრებით სავალდებულოა ის იურიდიული ნორმა, რომელიც მან დაარღვია, რადგან მის მიმართ გამოიყენება სწორედ ეს ნორმა.

Bierlingის თეორია ფიქციის უმაღლეს წერტილს აღწევს მაშინ, როდესაც იგი იძლევა პასუხს შემდეგ კითხვაზე: როდის და როგორ ხდება ეს აღიარება სუბიექტების მხრივ? Bierlingი ფიქრობს, რომ აღიარება ოჯახის თავის მხრივ (Anerkennung des Familienhauptes) გულისხმობს ოჯახის ყველა წევრების აღიარებასაც და ამგვარად თანამედროვე ოჯახის თავს ანიჭებს იმ ზღვარს, რომლის

რომელიც რომის სამართალში ჰქონდა *pater familias*¹. სინამდვილეში, Kelsenის აზრით, შეუძლებელია იმ ფსიქიური მოვლენის აღმოჩენა, რომელსაც უნდა მიეწიროს ნორმების აღიარების მნიშვნელობა; ადამიანი იბადება და ცხოვრობს სახელმწიფოში, მაგრამ უმრავლესობა არ ფიქრობს იმაზე, შეუძლია სახელმწიფოს გაზისცეს სავალდებულო ნორმები, თუ არა.

როდის იწყება და სრულდება ეს აღიარება? ამ საკითხის გადაჭრა უსათუოდ სუბიექტური ხასიათისაა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ აღიარების არსებობა აქამდის დამტკიცებული არაა; Bierlingმაც ვერ შესძლო მისი დამტკიცება; მან მხოლოდ შექმნა აღიარების პრეზუმპცია; მაგრამ აღიარებამ მიიღო ფიქციის ხასიათი, რადგან ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში რის არსებობა დამტკიცებული არაა, მიჩნეულია, როგორც არსებული; ეთიკური იურიდიული საჭიროებისათვის შექმნილ კონსტრუქციას, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ ვალდებულების სფეროს, მინიჭებული აქვს რეალური ხასიათი; მთელი თეორიის მეთოდოლოგიური შეცდომა ამაში მდგომარეობს; ეს თეორია ისახავს უცნაურ მიზანს: იგი ცდილობს კაუზალურად ახსნას სინამდვილე იურიდიული კონსტრუქციის საშუალებით².

Kelsenის შეხედულებით, თანამედროვე მოძღვრება იურიდიული მოვალეობის შესახებ ბუნებით სამართალზეა დამყარებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ საკითხში სამართალი და ზნეობა მკაფიოდ განსაზღვრული არაა; ბუნებითი სამართლის გავლენა განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება აღიარებისა და სამართლის ცოდნის ფიქციაში; ვისაც ნათლად აქვს წარმოდგენილი აღიარების თეორიის ბუნება, მისი წარმოშობა და ის თეორიული მოთხოვნილება, რომელსაც ეს თეორია ემსახურება, იგი იძულებულია მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ აღიარების თეორია მხოლოდ ძველი ბუნებითი სამართლის ხელშეკრულების მოძღვრების ერთერთი სახეა. აღიარების სახელწოდებით განაგრძობს თავის არსებობას „*contrat social*“ის მოძღვრება, რომელსაც ასე ებრძვიან თანამედროვე იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელნი. ერთიდაიგივე საკითხის დაყენება გამოიწვია როგორც საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ისე აღიარების ფიქცია; ეს იყო საკითხი სახელმწიფოებრივი ნორმების სავალდებულო ძალის საფუძვლის შესახებ; იმის მაგივრად, რომ აგებული ყოფილიყო იურიდიული წყობილების მხოლოდ ფორმალური კონსტრუქცია, ორივე თეორიამ—ხელშეკრულებისა და აღიარებისამ—წამოაყენეს იურიდიული წყობილების მატერიალური გამართლების პოსტულატი; ორივე მიმართულება დაყენებულ საკითხს ერთნაირად სჭრის; ბუნებითი სამართლის სკოლა გამოდიოდა იმ ეთიკურ დებულებიდან, რომ ინდივიდის დავალება შეიძლება მხოლოდ მისი საკუთარი ნებისყოფის ბრძანებით (*Willensgebot*) და ამიტომ იგი სახელმწიფო ავტორიტეტისა და იურიდიული წყობილების დამყარებისათვის საჭიროდ სცნობდა დახმარებას ინდივიდის მხრივ; ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების წარმოდგენა აუცილებლად იწვევდა იმ აზრს, რომ ყოველივე დავალება თვითდავალებაა (*Selbstverpflichtung*).

1) Ib. 360, 361.

2) Ib. 361.

ასეთი მნიშვნელობა უნდა მივაწეროთ ბუნებითი სამართლის დებულებას, რომლის თანახმად უფლებასა და მოვალეობას ამყარებს მხოლოდ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თეორია და აღიარების მოძღვრება ორივე გულისხმობენ თვითდავალების ზნეობრივ პრინციპს, როგორც იურიდიული წყობილების გამართლების მომენტს¹.

აღიარების თეორიის წარმომადგენელი ცდილობენ დაფარონ ეს შინაგანი კავშირი *contrat social*-ის მოძღვრებასთან; ისინი ართმევენ აღიარების აქტს ყველა იმ თვისებებს, რომლებითაც აღიარება ენათესავება ხელშეკრულების დადებას—აცხადებენ, რომ აღიარება ჩვეულებრივი ედგომარეობაა და ამ ცნების შეზღუდვაში მიდიან ისე შორს, რომ საბოლოოდ ცნების შინაარსიდან არაფერი არ რჩება. მაგრამ, თუ კი კანონი, იურიდიული ნორმა მიჩნეულია, როგორც სახელმწიფოს ნებისყოფა და აღიარება კი, როგორც თანხმობა სუბიექტის მხრივ, მაშინ მოკეშულია ის, რასაც იურისპრუდენცია ხელშეკრულებას უწოდებს; არის ეს თანხმობა ძიმართული ცალკე იურიდიულ ნორმაზე, თუ ერთ რომელიმე ზოგად ნორმაზე, რომელიც გულისხმობს ყველა დანარჩენ ნორმებს, ამას არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველა ამ შემთხვევაში აღიარების საგანია სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსი ან მიზანი.

ასეთია მოკლედ აღიარების თეორიის კრიტიკა, რომელსაც იძლევა Kelsen. Kelsen-ის აზრით, აღიარების თეორია უკვე დახასიათებული იმპერატივის თეორიის შედეგია; მათ შორის აუცილებელი ლოგიკური კავშირია; ცარიელი იმპერატივი ვერასოდეს ვერ გამოიწვევს გათვალისწინებულ შედეგებს, ე. ი. სუბიექტების განსაზღვრულ ყოფაქცევას; ამისათვის საჭიროა კიდევ მისი ცოდნა და მასთან თანხმობა; თუ მას არ ემატება ეს თანხმობა, იმპერატივი კარგავს ყოველივე მნიშვნელობას. ამგვარად უკავშირებს Kelsen ერთმანეთს იმპერატივის, აღიარებისა და ხელშეკრულების თეორიებს და მათ საერთო წყაროს ეძებს ბუნებითი სწავრის მოძღვრებაში. დახასიათებულ თეორიებს იგი უპირისპირებს თავის საკუთარ შეხედულებას, რომლის თანახმად იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეტიკური მსჯელობა; Kelsen დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მაშინ, როცა იურიდიული ნორმა გავებულია, როგორც ჰიპოთეტიკური მსჯელობა, შესაძლო ხდება ხელშეკრულების თეორიის სრული დაძლევა, რადგან იმპერატივის ცნებასთან ერთად საფუძველი ეკარგება აღიარების ფიქციასაც².

იმპერატივის თეორიამ გამოიწვია კიდევ ერთი პრობლემა, რომლის საგანია ი-ის გამორკვევა, თუ ვისკენ არის მიმართული იურიდიული ნორმა³. ამ სა-

¹) Ib. 376.

²) „Damit ist der innere Zusammenhang von Imperativ-, Anerkennungs- und Vertragstheorie sowie der naturrechtlichen Ursprung dieses Anschauungskomplexes erwiesen. Damit ist auch die innere Bedeutung der hier vertretenen formalen Auffassung der Rechtsatzes als eines hypothetischen Urteiles, das den bedingten Willen des Staates zu eigenem Verhalten beinhaltet in eine neue Beleuchtung gerückt: Nur die Erkenntnis von der hier als richtig erklärten logischen Form des Rechtsatzes führt zu einer vollständigen Überwindung der naturrechtlichen Vertragstheorie, da mit dem Imperativ auch die Fiktion der Anerkennung vermieden wird.“ Ib. 378.

³) რასაც უწოდებენ: „die Adresse der Rechtsnormen“. ib. 378.

კითხის შესახებ არსებობს სხვადასხვა თეორია. იურიდიული ნორმების „ადრესატებად“ (Adressaten) მიჩნეულია ან ქვეშევრდომი, ან სახელმწიფო ორგანო, ანდა თვითონ სახელმწიფო, ზოგჯერ კი ყველა ერთად. იმპერატივის თეორიას ყველაზე უფრო ეთანხმება ის თეორია, რომელიც იურიდიული ნორმების ადრესატებად სთვლის ქვეშევრდომებს; რადგან იმპერატივის თეორიას იურიდიული ნორმა წარმოდგენილი აქვს, როგორც ბრძანება, რომელიც მოითხოვს მართლ-ზომიერ მოქმედებას, ამიტომ საკითხი ნორმის ადრესატის შესახებ შეიძლება დასმული იქნეს შემდეგნაირად: ვინ ანხორციელებს სამართლის მიზანს, ე. ი. მართლზომიერ მოქმედებას? ამაზე პასუხი შეიძლება იქნეს მხოლოდ ერთი: ის, ვისგანაც მოითხოვენ ამ მოქმედებას; ეს კი პირველ ყოვლისა ქვეშევრდომია; მაგრამ ქვეშევრდომის გარდა ადრესატად შეიძლება იქნეს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოც; იმპერატივი სახელმწიფო ორგანოსაგანაც მოითხოვს განსაზღვრულ მოქმედებას, ისე როგორც ქვეშევრდომისაგან; იმპერატივის თეორიის სისუსტე სწორედ იმაშია, რომ მას არ შეუძლია გამოიხატოს განსხვავება სახელმწიფო ორგანოსა და ქვეშევრდომის იურიდიულ მდგომარეობაში; ორივე ასრულებენ იმპერატივის და იურიდიული ნორმების მიმართ ორივეს არსებითად უკავია ერთგვარი მდგომარეობა.

Kelsenის თვალსაზრისით, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის იურიდიული ნორმის ადრესატი, უსაფუძვლოა. იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეტური მსჯელობა; ამიტომ ადრესატი მისთვის საჭირო არაა¹. ამ მხრივ იურიდიული ნორმა გარეგნულად ემსგავსება ბუნებრივ კანონს, რომელიც არავისკენ არაა მიმართული და რომლის მნიშვნელობა დამოუკიდებელია იმისაგან, იცნობენ და აღიარებენ მას, თუ არა. იურიდიული ნორმა, როგორც ჰიპოთეტური მსჯელობა, შესაძლოდ ხდის მხოლოდ შემდეგ კითხვას: ვის ეკისრება მოვალეობა იურიდიული ნორმის საშუალებით? პასუხი ამაზე პრინციპიალურად უკვე მოცემულია. ყოველივე იურიდიული ნორმა ამყარებს სახელმწიფოს მოვალეობას, ზოგიერთი ნორმები კი—სხვა სუბიექტების მოვალეობასაც; სხვა სუბიექტებს შორის Kelsenი ასხვავებს ქვეშევრდომებსა და სახელმწიფო ორგანოებს².

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ სახელმწიფო მოვალეობის დახასიათებაზე.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ Kelsenი სახელმწიფოს უყურებს, როგორც პიროვნებას. ამ მნიშვნელობით სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს უფლებისა და განსაკუთრებით კი მოვალეობის სუბიექტს. თუ კი საჯარო სამართალი დამყარებული იქნა ამ საფუძველზე, მაშინ ისმება საკითხი, როგორი კონსტრუქცია უნდა მიეცეს სახელმწიფოს უფლებასა და მოვალეობას ქვეშევრდომთა უფლება-

¹) „Das hypothetische Urteil, diese Regel des staatlichen Verhaltens bedarf keiner Adresse, an die sie gerichtet ist, weil sie nicht vernommen oder angenommen zu werden braucht“. ib. 379.

²) „Darin gleicht das Rechtsgesetz—äusserlich—dem Naturgesetze, das an niemanden gerichtet ist und ohne Rücksicht darauf, ob es gekannt oder anerkannt wird, gilt. . . Jeder Rechtssatz verpflichtet den Staat; gewisse Rechtssätze. . . auch die übrigen Rechtssubjekten, innerhalb welcher zu unterscheiden sind die Staatsorgane und die Untertanen“. ib. 395.

მოვალეობის გვერდით; არაჩვეულებრივი სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია ამ საკითხის გადაჭრასთან, აიხსნება იმ გარემოებით, რომ თეორიაში მიღებულია აზრი, რომელიც სახელმწიფოს, როგორც სუბიექტს, არსებითად ასხვავებს სხვა სუბიექტებისაგან: უკანასკნელს უყურებს, როგორც „ფიზიკურ“ პიროვნებას, როგორც ბუნებრივ სუბიექტს, ხოლო სახელმწიფოს „იურიდიულ“, ხელოვნურ პიროვნებას მიაწერს; ამასთან ერთად სახელმწიფო ითვლება სხვა სუბიექტების ზემოთ მდებარე „ბატონობის სუბიექტად“ (Herrschaftssubjekt). ის აზრი, რომ „ფიზიკური“ და „იურიდიული“, პიროვნების განსხვავებას არა აქვს არავითარი საფუძველი, რადგან იურიდიული სუბიექტობის თვისება რაიმე ბუნებრივი, თანდაყოლილი არაა, რომ იგი ყოველთვის ხელოვნურია და მყარდება სამართლის წყობილების საშუალებით და, მაშასადამე, სახელმწიფო წარმოადგენს „პიროვნებას“ იმავე მნიშვნელობით, როგორც რომელიმე ფიზიკური ადამიანი, უკვე გამოთქმული იყო იურიდიულ ლიტერატურაში; მაგრამ ნებისყოფის ბუნების უცოდინარობამ, რწქენამ, რომ იურისპრუდენციაში ნებისყოფას აქვს ფიქტიური აქტის მნიშვნელობა, ხელი შეუშალა ამ სწორი აზრის თეორიულ დამუშავებას.

სახელმწიფოს მოვალეობის კონსტრუქციის ძირითადი პოსტულატი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს მოვალეობა მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც მოვალეობის ზოგადი ცნების სპეციალი სახე; ასეთია იმ დებულების მნიშვნელობა, რომ სახელმწიფო წარმოადგენს იმავე პიროვნებას, როგორც სხვა სუბიექტები (ebendieselbe Person wie die anderen Subjekte), რომ სახელმწიფოსაც აქვს იგივე იურიდიული მოვალეობანი, რაც სხვა სუბიექტებს. ამიტომაც სახელმწიფოს მოვალეობის კონსტრუქციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გავიგებთ ქვეშევრდომთა იურიდიულ მოვალეობას. თუ მოვალეობა გავგებული იქნა, როგორც ნებისყოფის შინაგანი შებორკვის ფიქტიური მდგომარეობა—რასაც ვხედავთ თითქმის ყველა თეორიებში—მაშინ სახელმწიფოს მოვალეობა, ექვს გარეშე, შეუძლებელია: შეუძლებელია იმ მოსაზრებით, რომ ამგვარი იურიდიული მოვალეობა გულისხმობს ინდივიდუალურ ფიქტიკას და მისი დაშვება შეიძლება მხოლოდ ცალკე ადამიანში. მაგრამ სახელმწიფოს ნებისყოფა ინდივიდუალური ფიქტიკის მოვლენა არაა; იგი არც სოციალური ფიქტიკის მოვლენაა, რადგან ხალხთა ფიქოლოგიაში მიღებული „საერთო ნებისყოფა“ არაა ის, რასაც სახელმწიფოს ნებისყოფა ეწოდება.

სახელმწიფოს ნებისყოფა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, წარმოადგენს არა ფიქტიურ ფაქტს, არამედ იურიდიულ კონსტრუქციას, რომელიც აგებულია ჩათვლის მიზნით; იურიდიული თვალსაზრისით პიროვნება და ნებისყოფა ამ კონსტრუქციის მნიშვნელობით ერთადიგევეა; საერთოდ პიროვნებასა და კერძოდ სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებას აქვს მხოლოდ ნებისყოფა; უფრო სწორად რომ ვთქვათ: პიროვნება იურიდიული მნიშვნელობით არის მხოლოდ ნებისყოფა. ამიტომ იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს პიროვნება წარმოშობს სახელმწიფოს ნებისყოფას, შეცდომა იქნებოდა, რადგან ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო „წარმოშობს“ თავის თავს. მთელი ის მოქმედება, რომელსაც ეწოდება კანონმდებლობა, სახელმწიფოს ნებისყოფასთან არაა დაკავშირებული, როგორც მიზეზი

თავის შედეგთან; კანონმდებლობა წარმოადგენს მხოლოდ იურიდიული ნორმის, ე. ი, ჩათვლის წესის (Zurechnungsregel) არსებობის პირობას; კანონმდებლობა თავისი ლოლიკური ბუნებით წარმოადგენს იურიდიული ნორმის შემეცნების საფუძველს (Erkenntnisgrund) ¹.

სახელმწიფო, Kelsenის შეხედულებით, არ ჰქმნის სამართალს; სახელმწიფო მხოლოდ სამართლის მატარებელია (Träger des Rechtes ist). აქ Kelsenის წინ ბუნებრივად დგება საკითხი—რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას იურიდიული თვალსაზრისით? ამ საკითხზე Kelsenი გვაძლევს გარკვეულ პასუხს. სახელმწიფოს ნებასყოფის წარმოშობა, ამბობს იგი, არ ეკუთვნის სამართლის სფეროს, რადგან უკანასკნელი იწყება მხოლოდ მაშინ, როცა პირველი გათავებულა. იურიდიული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დასრულებულ სახელმწიფოს ნებისყოფას; ყველა აქტები, რომლებიც ხდება კანონის ძალაში შესვლამდე იურიდიულად უმნიშვნელოა: საკანონმდებლო პროცესი სახელმწიფოსა ან სამართლის ფუნქციას არ შეადგენს; იგი მხოლოდ მათი პირობაა და მდებარეობს მათი ფარგლების გარეთ; მაშასადამე, კანონმდებლობა არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ მოქმედებას; იგი არის სოციალური ფუნქცია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საზოგადოება და სახელმწიფო მკვეთრად დაპირისპირებულია ერთმანეთთან. სახელმწიფო მხოლოდ საზოგადოების ფორმაა, საზოგადოება კი ამ ფორმის შინაარსია. სამართალი და სახელმწიფო სოციალური ცხოვრების განმტკიცებელი ფორმაა. მაგრამ ეს ფორმა ყოველმხრივ დახურული არაა. არის ერთი ადგილი, საიდანაც სოციალური ცხოვრების მდინარე განუწყვეტლავ იჭრება სახელმწიფოს ორგანიზმში და სადაც საზოგადოების უფორმო ელემენტები გადადიან სახელმწიფოსა და სამართლის მტკიცე ფორმებში; ეს ადგილი არის იქ, სადაც ზნე-ჩვეულება, ზნეობა, ეკონომიური და სარწმუნოებრივი ინტერესები იქვეიან სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსად; ეს არის საკანონმდებლო აქტი². მაგრამ ეს პროცესი სოციალური ხასიათისაა; სახელმწიფო ნებისყოფას წარმოშობს საზოგადოება. ამიტომ წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სამართლისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს მნიშვნელობა არა აქვს. იურიდიულად სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ როგორც სამართლის მატარებელი და არა როგორც სამართლის შემოქმედი ძალა.

ზემოთ დასახელებული შეხედულება, რომლის მიხედვით სახელმწიფო არ ჰქმნის იურიდიულ წყობილებას, რომ იურიდიული ნორმა სახელმწიფოებრივი ფუნქციის კაუზალური შედეგი არაა, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ თითქოს სახელმწიფო და იურიდიული წყობილება სრულიად იდენტური ცნებებია;

¹) Ib. 407, 408.

²) „Wenn die Gesetzgebung auch nicht als Tätigkeit des Staates qualifiziert werden kann, so muss sie doch zweifellos als soziale Funktion erkannt werden... Der Staat ist nur eine Form der Gesellschaft, die als das substantielle Element, als der Inhalt dieser Form zu denken ist... Es ist dies die Stelle, wo Sitten und Moral, wo wirtschaftliche und religiöse Interessen zu Rechtssätzen, zum Inhalt des Staatswillens werden: im Gesetzgebungsakte“.
ib. 410, 411.

თუკი, ერთის მხრივ, მართებულია ის აზრი, რომ სახელმწიფო და სამართალი ერთიანი ძველი მოვლენის ორი სხვადასხვა სახეა, ყოველთვის უნდა ეიკონიოთ მხედველობაში, რომ სახელმწიფოსა და სამართალს ჩვენ ვლებულობთ ორი სხვადასხვა თვალსაზრისის საშუალებით; ის, რაც ერთი თვალსაზრისით სახელმწიფოა, მეორე თვალსაზრისით წარმოადგენს სამართალს; სახელმწიფო იურიდიული პიროვნებაა და, როგორც ასეთი, იგი არის ნებისყოფა; სამართალს კი პიროვნება არა აქვს: იგი ჰიპოთეტიურ მსჯელობათა, ე. ი. იურიდიულ ნორმათა კრებულებაა. როგორც პიროვნება, ე. ი. უფლებისა და მოვალეობის სუბიექტი, სახელმწიფო ისეთივე დამოკიდებულებაშია სამართალთან, როგორც სხვა სუბიექტები; როკელიმე პიროვნების გაიგივება იურიდიულ წყობილებასთან დაუშვებელია; ამიტომ სახელმწიფოს პიროვნება იდეალურად ყოველთვის გამოყოფილი უნდა იქნეს იურიდიულ წყობილებისაგან. ზოგიერთი ავტორი სცნობს ამგვარ იდენტიფიკაციას, მაგრამ ეს ნიშნავს იურიდიული ნორმების პერსონიფიკაციას (Personifizierung); ეს ანთროპომორფიული შეხედულება სახელმწიფოზე გამოიხატება ჩვეულებრივად მიღებულ ტერმინოლოგიაში, რომლის მიხედვით იურიდიული წყობილება „ბრძანებს“, „აკრძალავს“, „სჯის“, „ავალდებს“, „უფლებას ანიჭებს“ და სხვ. ამ შეხედულებით სახელმწიფოს აქვს ორი პიროვნება: სახელმწიფო, როგორც უფლებისა და მოვალეობის სუბიექტი და სახელმწიფო, როგორც იურიდიული წყობილება¹.

ამგვარი პერსონიფიკაციის მიზეზი ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იურიდიული წყობილება მიჩნეულია, როგორც მოვალეობის წყარო; მოვალეობის დამყარებაში ხედავენ „ბრძანებას“, „ბატონობას“. ეს დამოკიდებულება გულისხმობს ორ სუბიექტს: ზემდებარესა და დაქვემდებარებულს; ამ თვალსაზრისით იურიდიული წყობილება, რომელიც დამყარებს მოვალეობას, წარმოდგენილია, როგორც ბატონობის სუბიექტის ერთ-ერთი სახე („eine Erscheinungsform für das Machtsubjekt“)². მაგრამ Kelsenის აზრით, ამგვარი შეხედულება უსაფუძვლოა; იურიდიული ნორმისა და იურიდიული მოვალეობის დამოკიდებულება კაუზალური ხასიათის არაა; ის დამოკიდებულება წმინდა ფორმალურია. იურიდიული მოვალეობა იგივე იურიდიული ნორმაა მხოლოდ განხილული სუბიექტურის მხრივ.

ყოველივე ობიექტური იურიდიული ნორმა შეიცავს სახელმწიფოს მოვალეობას, რადგან იგი სახელმწიფოს ნებისყოფას გულისხმობს; მაგრამ იურიდიული ნორმას შეუძლია დაამყაროს სხვა სუბიექტების მოვალეობაც; აქ ნორმა იძლევა მეორე სუბიექტივობის შესაძლებლობას; ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ ნორმა ეფარდება რომელიმე სუბიექტს. იურიდიული კონსტრუქციის მთავარი პოსტულატი—მოვალეობის ცნების ერთიანობა—აქ დაკუთვნილი იმითომ; რომ ერთი და იგივე სამართლის ნორმა დამყარებს როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა სუბიექტების მოვალეობას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მო-

¹) Ib. 434.

²) Ib. 434.

ვალეობის ცნება ერთიანია, სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტების მოვალეობა ერთნაწილისაგან ზოგიერთის მხრივ მაინც განსხვავდება; ეს განსხვავება შემდეგია:

პირველ ყოვლისა საყურადღებოა ის, რომ მოქმედება, რომელიც სახელმწიფოს მოვალეობის საგანს შეადგენს, უშუალოდ აღნიშნულია იურიდიულ ნორმაში; მაშასადამე, სახელმწიფოს მოვალეობას ახასიათებს მისი უშუალობა; იგი პირდაპირ გამოთქმულია ნორმაში. სხვა სუბიექტების მოვალეობას ამგვარი ხასიათი არა აქვს; მათი მოვალეობა უშუალოდ ნორმაში გამოთქმული არაა; მაშინ, როგორ უნდა აღმოვაჩინოთ ამ მოვალეობის არსებობა? Kelsenის შეხედულებით, ეს შესაძლოა მხოლოდ არაპირდაპირი გზით: ნორმა აღნიშნავს, რომ განსაზღვრულ პირობებში სახელმწიფო იმოქმედებს განსაზღვრული სახით და სხვა სუბიექტებისათვის სავალდებულოა ის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ნორმაში აღნიშნულ შემადგენლობას; მაგალითად, იურიდიული ნორმა ამბობს: ვინც ჩაიდენს ქურდობას, სახელმწიფო მას დასჯის; აქ გამოთქმულია სახელმწიფოს მოვალეობა—სასჯელის დადება; აქედან გამოგვაყავს სხვა სუბიექტების მოვალეობა—არ ჩაიდინონ ქურდობა.

მაშასადამე, სხვა სუბიექტების მოვალეობა ირკვევა იურიდიული ნორმის იმ შემადგენლობითი ნაწილის გადაბრუნებით (Umkehrung), სადაც განსაზღვრულია ფაქტური პირობები, რომლებსაც სახელმწიფო უკავშირებს თავის მოქმედებას (ადებს სასჯელს); ამას გულისხმობს Kelsen, როდესაც იგი ამბობს, რომ სხვა სუბიექტების მოვალეობის არსებობას ჩვენ შევიცნობთ არაპირდაპირი გზით (indirekt erkannt wird)¹.

ამ განსხვავებასთან დაკავშირებულია მეორე განსხვავებაც: სახელმწიფოს მოვალეობა ყოველთვის პირობითია და ამ მხრივ მას იგივე ხასიათი აქვს, რაც იურიდიულ ნორმას; Kelsenის თეორიაში ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეტური მსჯელობა; ეს ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ განსაზღვრულ პირობებს უკავშირებს მასში აღნიშნულ შედეგებს, ე. ი. Kelsenის ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, ნორმაში გამოთქმულია მსჯელობა, რომ სახელმწიფოს მოქმედება დაკავშირებულია წინასწარ განსაზღვრულ პირობებთან; ამ მნიშვნელობით, იურიდიული ნორმა, რასაკვირველია, პირობითია; რადგან იურიდიული მოვალეობა იგივე იურიდიული ნორმაა, მხოლოდ სუბიექტური სახით, ანიტომ სახელმწიფოს მოვალეობასაც ყოველთვის პირობითი ხასიათი აქვს („stets bedingt ist“); მაგრამ როდესაც სინამდვილეში ხდება ის ფაქტები, რომლებიც გათვალისწინებულია იურიდიული ნორმით, მაშინ სახელმწიფოს მოვალეობა აბსოლუტურ მოვალეობად იქცევა; სხვა სუბიექტების მოვალეობას კი სხვა ხასიათი აქვს: იგი ყოველთვის პირობითი არაა; ქვეშევრდომთა აბსოლუტური მოვალეობა ხშირი მოვლენაა; ასეთია ჩვეულებრივად უმოქმედობის მოვალეობა (Unterlassungspflichten); ქვეშევრდომი ყოველ პირობებში და მუდმივად მოვალეა არ ჩაიდინოს მკვლელობა, არ ითაღლითოს, არ დაარღვიოს სხვისი ქონებრივი უფლება, იმ დროს, როდეს-

¹) Ib. 435.

საც სესხის გადახდის მოვალეობა ამ სესხის მიღებისაგან არის დამოკიდებული და მისი გადახდისთანავე ისპობა¹.

სახელმწიფოს აბსოლუტური მოვალეობის დაშვება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მივიღებთ, რომ სახელმწიფოს მოვალეობის საგანია არა მარტო დადებითი მოქმედება, არაჲდ უმოქმედობაც; მაგრამ ასეთი დაშვება არ ეთანხმება იმ იურიდიული ნორმის ბუნებას, როპელიც სახელმწიფოს მოვალეობას შეიცავს; სახელმწიფოს არ შეუძლია ჰქონდეს უმოქმედობის მოვალეობა. სახელმწიფოს ნებისყოფის ცნება, როგორც ზენ ვიცით, ნორმატიული ცნებაა და აგებულია ჩათვლის მიზნისათვის; ამიტომ იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს უნდა ჩათვალოს უმოქმედობა, სინამდვილეში ნიშნავს, რომ მას უნდა ჩათვალოს არარაობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ნებისყოფა არ არსებობს და, მაშასადამე, არც იურიდიული ნორმაა მოცემული².

ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით, ამბობს Kelsen, უმოქმედობის სურვილი შესაძლოდ ხდის ნეგატიური შემადგენლობის (negativen Tatbestandes) ჩათვლას; მაგრამ ამ ნეგატიური შემადგენლობის ჩათვლას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც რომელიმე პიროვნებას ევალეობა და განსაზღვრული მოქმედება და მან უსამართლოდ (mit Unrecht) არ შეასრულა იგი; ჩათვლის დროს უმოქმედობას იურიდიულად აქვს მხოლოდ უსამართლობის მნიშვნელობა; სახელმწიფოს კი უსამართლობის ჩადენა არ შეუძლია; ამიტომ Kelsen უაზრობად მიაჩნია უმოქმედობის ჩათვლა სახელმწიფოსათვის; უმოქმედობის ჩადენა შეუძლია სახელმწიფოებრივ ორგანოს, მაგრამ ორგანოს მიერ ჩადენილი უმოქმედობა არასოდეს არ ჩათვლება თვით სახელმწიფოს³.

სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტების მოვალეობის უმნიშვნელოვანესი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს „ვალდებულება“ (Sollen) და მისი „ნებისყოფა“ (Willen) ყოველთვის ერთიდაიგივეა; სხვა სუბიექტების შესახებ კი ამის ოქმა არ შეიძლება, რადგან მათ ვალდებულებასა და ნებისყოფას შორის შეიძლება არსებობდეს უთანხმოება. სახელმწიფოს არ შეუძლია სამართლის დარღვევა (Unrecht); Kelsen ორიგინალურად ასაბუთებს ამ აზრს. სახელმწიფოს მოვალეობის შინაარსი მისი შეხედულებით იგივეა, რაც სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსი; ჩათვლა დამკარებელია იურიდიულ ნორმაზე, ნორმა კი გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფას; ამგვარად, ლოლიკურად შეუძლებელია იმის დაშვება, რომ სახელმწიფო, რომელიმე შემთხვევაში არღვევს სამართალს; იმის წარმოდგენა, რომ სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს სამართლის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფოს სამართლის წყობილებაში ჰსურს სხვა რაინმე, ვიდრე აღმასრულებელ სფეროში (in der Exekutive), ნიშნავს სახელმწიფოს ნებისყოფის მთლიანობისა და ამავე დროს სახელმწიფოს პიროვნების მოსპობას⁴; აქე-

¹) Ib. 436.

²) Ib. 437.

³) Ib. 437, 438.

⁴) „Ein unrecht handelnder Staat, das heisst ein Staat, der in der Rechtsordnung etwas anderes will als in der Exekutive, bedeutet die völlige Zerstörung der Einheit des Staatswillens und damit der Staatsperson“. Ib. 446, 447.

დან ცხადია, თუ რატომ ის იურიდიული ნორმა, რომელიც აწესებს სახელმწიფოს მოვალეობას, არ შეიკავს სამართლის დარღვევის შედეგებს თვით სახელმწიფოს წინააღმდეგ, ე. ი. არ შეიკავს იმას, რასაც ეწოდება სანქცია და რასაც ადგილი აქვს სხვა სუბიექტების მიმართ; Kelsenის თვალსაზრისით, ასეთი სანქციის დაწესება უსაფუძვლო იქნებოდა, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია დაარღვიოს სამართალი: მისი „მოვალეობა“ იგივეა, რაც მისი „ნებისყოფა“.

ასეთია ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელსაც Kelsen თავის კონსტრუქციაში ანიჭებს სახელმწიფოს მოვალეობას; სხვა სუბიექტების იურიდიული მოვალეობა მას, პირიქით, მიაჩნია, როგორც დამყარებული სწორედ სამართლის დარღვევის შესაძლებლობაზე; ობიექტური იურიდიული ნორმა მხოლოდ იმიტომ დებულობს რომელიმე პიროვნების სუბიექტური მოვალეობის სახეს, რომ ეფარდება ამ პიროვნებას, ე. ი. მის მიმართ გამოიყენება სამართლის დარღვევის შედეგები; განსაზღვრული ყოფაქცევა ვინმეს ვეალება იმიტომ, რომ საწინააღმდეგო ყოფაქცევის შემთხვევაში ეს პიროვნება ან ისჯება, ან მის მიმართ მიიღება აღსრულების ზომები („bestraft oder exequiert wird“)¹.

ამგვარ განსხვავებას ნახულობს Kelsen სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტების მოვალეობას შორის. მაგრამ, მისი აზრით, იურიდიული მოვალეობის ცნების მთლიანობა, მიუხედავად ამ განსხვავებისა, მაინც დაცულია, რადგან იურიდიული კონსტრუქცია ხელმძღვანელობს სამართლის ნორმის ობიექტური ერთიანობის პრინციპით, რომელიც ყველა სუბიექტებისათვის ერთიდაიგივე რჩება².

ჩვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება ამ კონსტრუქციის ერთ მომენტს. Kelsen საერთოდ სუბიექტების მოვალეობას, გარდა სახელმწიფოსი, აყარებს სამართლის დარღვევის შესაძლებლობაზე: როდესაც ვინმე არღვევს სამართალს, იგი ამით იწვევს თავის წინააღმდეგ განსაზღვრულ შედეგებს, მაგალითად, სასჯელს; ამ მხრივ იგი თითქოს უახლოვდება ეგრეთწოდებულ „იძულების თეორიას“. მაგრამ თვითონ Kelsen აღნიშნავს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ამ თეორიასა და მის საკუთარ შეხედულებას შორის; იგი უყურებს სამართლის დარღვევის შედეგებს—სასჯელს ან აღსრულებას—წმინდა ფორმალური თვალსაზრისით; ამ თვალსაზრისით სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, იქონიებს იძულება გავლენას სუბიექტზე, თუ არა; ეს საკითხი აინტერესებს მხოლოდ სოციალურ კვლევა-ძიებას. იურიდიული ნორმა აყარებს მოვალეობას არა იმიტომ, რომ იგი შეიკავს იძულების შუქარას, არამედ იმიტომ, რომ მისი გამოყენება სამართლის დამრღვევის წინააღმდეგ შესაძლოდ ხდის ამ ნორმის სუბიექტივიზაციას; მაშასადამე, ობიექტური იურიდიული ნორმა იქცევა მოვალეობად მხოლოდ მისი გამოყენების შესაძლებ-

¹) „Der subjektive Rechtspflicht der übrigen Subjekte dagegen wurzelt gerade in der Möglichkeit des Unrechtes. Darum allein ist ein objektiver Rechtssatz die subjektive Rechtspflicht jemandes, weil er auf ihn angewendet werden, d. h. weil die Unrechtsfolge ihn treffen kann. Zu einem bestimmten Verhalten ist jemand verpflichtet, nur weil und insofern er im Falle des gegenteiligen Verhaltens—d. h. dem Unrechtsfalle—bestraft oder exequiert wird“ ib. 447.

²) Ib. 447.

ლობის გამო¹. ამნაირად ესმის Kelsen სანქციის მნიშვნელობა და, როდესაც მას ეს მომენტი შეაქვს მოვალეობის კონსტრუქციაში, იგი გაგებულნი უნდა იქნეს ამ წმინდა ფორმალური მნიშვნელობით.

Kelsenი ასხვავებს სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტებს; თუ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება, უკვე აღნიშნული იყო. სხვა სუბიექტებს შორის Kelsenი ათავსებს სახელმწიფოებრივ ორგანოებს; მაგრამ ამით სახელმწიფო ორგანოები თითქოს იმავე მდგომარეობას იკავებენ, როგორც ქვეშევრდომნი; ამიტომ Kelsenი იკვლევს სახელმწიფო ორგანოებისა და ქვეშევრდომთა განსხვავებას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ორგანოს სპეციალურ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ იგი ახორციელებს იურიდიულ ნორმაში გამოთქმულ სახელმწიფოს ნებისყოფას; იმ დროს, როდესაც ქვეშევრდომნი მხოლოდ „ასრულებენ“, ან არ ასრულებენ იურიდიულ ნორმას, სახელმწიფო ორგანო „ახორციელებს“ ამ ნორმაში გამოხატულ სახელმწიფოს ნებისყოფას; ამგვარად ასაბუთებს Kelsenი იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ქვეშევრდომსა და ორგანოს შორის. მაშასადამე, იურიდიული ნორმის „განხორციელება“ შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს². რა დასკვნა გამოდინარეობს ამ დებულებიდან? ის, რომ სახელმწიფო ორგანოდ მიჩნეულია მხოლოდ აღჰასრულებელი ორგანო (der Exekutive), რადგან „განხორციელება“ მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლია; აქედან ბუნებრივია ის დასკვნა, რომ საკანონმდებლო ფაქტორებს ორგანოს მდგომარეობა არ ენიჭება. Kelsenი, მართლაც, იზიარებს ამ შეხედულებას; წინ მიერ მოცემული ორგანოს განსაზღვრა გულისხმობს აღმასრულებელ და არა საკანონმდებლო ხელისუფლებას; თავისი შეხედულებას იგი ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომელიც ზემოთ უკვე იყო მოყვანილი, სახელმწიფო იმით, რომ სახელმწიფოს ნებისყოფის „წარმოშობა“ არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც სახელმწიფოს ფუნქცია: იგი წარმოადგენს სოციალურ პროცესს, როგორც სოციალური პროცესი, კანონმდებლობა ეკუთვნის იმ საფეხურს, სადაც სამართალი ჯერ-ჯერობით თავისი სრული სახით არ არსებობს. სამართალი არის მოცემული მაშინ, როდესაც ეს საკანონმდებლო პროცესი უკვე დამთავრებულია. კანონმდებლობა სახელმწიფო ფუნქციის პირობაა და არა თვით ეს ფუნქცია; როდესაც ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყველა ის აქტები, რომლებიც ეკუთვნიან კანონმდებლობას, სახელმწიფოს ფუნქციას შეადგენენ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიძლევიან ამ აქტების იურიდიულ კონსტრუქციას; მაგრამ იურიდიული კონსტრუქცია აუცილებლად გულისხმობს იურიდიული წყობილების არსებობას; იგი გულისხმობს, რომ იურიდიული ნორმები და სახელმწიფოს ნებისყოფა, რომლებიც ამ ნორმებში გამოიხატება, უკვე დამთავრებული სახითაა მოცემული³. ამგვარად საკანონმდებ-

1) „Vielmehr ist es das formale Moment der Anwendungsmöglichkeit, das den objektiven Rechtssatz zur subjektiven Rechtspflicht werden lässt. Nicht weil der Rechtssatz eine zwingende Drohung enthält, statuiert er juristisch eine Pflicht, sondern weil er durch seine Anwendung auf den unrecht Handelnden subjektiviert werden kann“ ib. 448.

2) „Den Rechtssatz „realisieren“, d. h. den in ihm enthaltenen Staatswillen zur Tat machen, kann nur das Staatsorgan“ ib. 464.

3) ib. 466.

ლო ფაქტორები, რადგან ისინი წინ უსწრებენ სამართალს და შედიან სამართლის წარმოშობის პროცესში, არ წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოებს. ასეთია ის შეხედულება, რომელსაც ჩვენ ვხვდებით Kelsenის შრომაში; ეს შეხედულება, რასაკვირველია, უნდა ჩაითვალოს მისი ძირითადი პრინციპების ლოლიკურ შედეგად: მთელი მისი თეორია აგებულია იმ დებულებაზე, რომ იურიდიული ნორმა ფორმალურად დამოუკიდებელია და ფაქტიურ პროცესებზე არ დამოკიდებულია; იურიდიული კონსტრუქცია მოთავსებული უნდა იქნეს იმ ფარგლებში, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია ნორმის ცნებით. აქედან ცხადია, რომ კანონმდებლობა, რომელიც ჰქმნის იურიდიულ ნორმას, სამართლის სფეროში არ შედის და ამიტომ არც სახელმწიფოს ფუნქციას წარმოადგენს. კანონმდებლობა მხოლოდ სოციალური ფაქტორია.

ამ შეხედულებასთან ლოლიკურად დაკავშირებულია Kelsenის თეორიის შენდები თვისებებია: თანამედროვე სახელმწიფო სამართალში საერთოდ მიღებულია მოძღვრება, რომელიც ჰყოფს სახელმწიფო ფუნქციებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებად. მაგრამ Kelsenის თვალსაზრისით, ფუნქციების ასეთი დაყოფა უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს; ჩვენ ვნახეთ, რომ იგი კანონმდებლობას არ სთვლის სახელმწიფო ფუნქციად; იგი უპირისპირებს ერთმანეთს არა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციას, არამედ იურიდიულ წყობილებას (Rechtsordnung) და მართველობას (Verwaltung). რა განსხვავებაა მათ შორის? Kelsenის აზრით, „იურიდიულ წყობილებაში გამოიხატება ნებისყოფილი სახელმწიფო, ხოლო მართველობაში მოქმედი სახელმწიფო“¹. ამაში უნდა ვეძიოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს სამართალსა და მართველობას შორის.

იურიდიულ წყობილებაში სახელმწიფოს ნებისყოფა პირობითი ხასიათისაა; ეს ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ ნორმაში გამოთქმულია მსჯელობა, რომ სახელმწიფოს განსაზღვრულ პირობებში ჰსურს იმოქმედოს განსაზღვრული სახით, მაგალითად, დაადევას სამართლის დამრღვევს სასჯელი; ამიტომაც სახელმწიფოს ნებისყოფა პირობითია: მისი მოქმედება მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში იწყება. მაგრამ, როდესაც ეს პირობები დგება, ე. ი., როცა სამართალი ნამდვილად დარღვეულია, მაშინ სახელმწიფო სჯის განსაზღვრულ პიროვნებას; ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ნებისყოფა ღებულობს აბსოლუტურ ხასიათს.

ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ Kelsenის აზრი, რომ იურიდიულ წყობილებაში და მართველობაში ერთიდაიგივე სახელმწიფოს ნებისყოფა გამოიხატება და განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში ნებისყოფა პირობითია (bedingt), ხოლო მეორე შემთხვევაში მას აბსოლუტური ხასიათი აქვს (unbedingt auftritt)².

ამგვარად, Kelsenის თეორიის მიხედვით, მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებს ენიჭება სახელმწიფოებრივი ფუნქცია; საკანონმდებლო დაწესებულებანი

¹) „So erscheint in der Rechtsordnung der wollende, in der Verwaltung der handelnde Staat.“, ib. 511.

²) „Es ist somit derselbe Staatswille, der in der Rechtsordnung und in der Verwaltung erscheint; der Unterschied liegt aber darin, dass der Staatswille in der Rechtsordnung bedingt, in der Verwaltung unbedingt auftritt.“, ib. 513.

ასრულებენ სოციალურ და არა იურიდიულ ფუნქციებს; ისინი სახელმწიფოს ორგანოებს არ წარმოადგენენ¹.

არის სახელმწიფო ორგანო იურიდიული პიროვნება, თუ არა? Kelsen ამ კითხვაზე იძლევა დადებით პასუხს. როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა სუბიექტების პიროვნება ხელოვნურადაა შექმნილი; პიროვნება მხოლოდ იმ ჩათვლის პროცესის შედეგია, რომელსაც ამყარებს იურიდიული წყობილება². პიროვნების აღიარების საქმეში იურიდიული წყობილება სრულიად სუვერენულია; ეს სამართლის სუვერენობა მოვალეობის სუბიექტების აღიარებაში და პიროვნების დაშუქიდებლობა ადამიანის ცნებასთან მტკიცდება არა მარტო იმით, რომ ყველა ადამიანები სამართლის მიერ პირებად მიჩნეული არ არიან—მაგალითად, მონები--არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ სამართალი იცნობს სუბიექტებს, რომლებიც ადამიანებს არ წარმოადგენენ; ასეთია, ეგრეთწოდებული იურიდიული პირები.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, სახელმწიფო ორგანო ახორციელებს სახელმწიფოს ნებისყოფას; აქედან ბუნებრივად იბადება საკითხი—როგორ შეუძლია მას დაიკავოს დამოუკიდებელი იურიდიული პიროვნების მდგომარეობა, ე. ი. გახდეს მოვალეობის სუბიექტად? ამ რთულ საკითხზე Kelsen იძლევა შემდეგ პასუხს. თუ კი სახელმწიფო ორგანოს ევალება სპეციალური მოქმედება, მაშინ უნდა გავასხვავოთ ორგანო იურიდიული ნორმები: ნორმა, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფასა და განსაზღვრული მოქმედების მოვალეობას და ნორმა, რომლის მიხედვით ორგანომ უნდა განახორციელოს ეს სახელმწიფოს ნებისყოფა; იმ ნორმიდან, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფოს ჰსურს დამნაშავეს დასჯა, სრულიადაც არ გამომდინარეობს რომელიმე ორგანოს მოვალეობა, რომ კონკრეტ შემთხვევაში ეს სასჯელი სისრულეში იქნეს მოყვანილი; ეს ნორმა მხოლოდ ამყარებს, ერთის მხრივ, სახელმწიფოს მოვალეობას, რომ დამნაშავე იქნეს დასჯილი და მეორეს მხრივ, ქვეშევრდომთა მოვალეობას, რომ დანაშაული ჩადენილი არ იქნეს. მაშასადამე, ამ ნორმით დაწესებულია მხოლოდ სახელმწიფოსა და ქვეშევრდომთა მოვალეობა და ცხადია, რომ, თუ დავჩივებით ამ ნორმის ფარგლებში, ჩვენთვის შესაძლო იქნება მხოლოდ სახელმწიფოსა და ქვეშევრდომის მოვალეობის კონსტრუქცია; სახელმწიფო ორგანოს მოვალეობის იურიდიული კონსტრუქცია კი აუხსნელი რჩება. სწორედ ამ მოსაზრებით ასხვავებს Kelsen ნორმების ორ ჯგუფს. პირველი ნორმის განსახორციელებლად, ამბობს იგი, საჭიროა კიდევ განსაკუთრებული ნორმა, რომელიც აწესებს დისციპლინარულ შედეგებს იმ შემთხვევისათვის, როდესაც სახელმწიფო ორგანო არ ახორციელებს სახელმწიფოს ნებისყოფას. ამგვარად ორივე ნორმა ერთმანეთთან დაკავშირებულია; პირველ ნორმაში გამოიხატება სახელმწიფოს ნებისყოფა, რომლის საგანია განსაზღვრული მოქმედება; ეს ნორმა აწესებს სახელმწიფოსა და ქვეშევრდომის მოვალეობას; მეორე ნორმაში

1) „... das Parlament und der Monarch (als Gesetzgeber) keine Staatsorgane sind...“. ib. 467.

2) „... sie lediglich als das Resultat eines durch die Rechtsordnung begründeten Zurechnungsprozesses angesehen werden muss“. ib. 518.

კი გამოთქმულია სახელმწიფო ორგანოს მოვალეობა, რომლის საგანია პირველი ნორმის შესრულება. ასეთია ის ლოდიკური კავშირი, რომელიც, Kelsenის აზრით, არსებობს სხვადასხვა სუბიექტების მოვალეობას შორის; აქ ერთმანეთთან დაკავშირებულია სახელმწიფო, მისი ორგანოები და ქვეშევრდომნი.

სახელმწიფო ორგანოს მოვალეობის კონსტრუქცია Kelsenის მოძღვრებაში, როგორც ირკვევა ზემოთ დახასიათებული სქემიდან, დისციპლინარული ნორმის ცნებაზეა დამყარებული. დისციპლინარულ ნორმაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ორგანოს მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინარული ზომები მაშინ, როდესაც იგი არ ასრულებს პირველი ჯგუფის ნორმებს; ამ შემთხვევაში მას დაედება დისციპლინარული სასჯელი; სახელმწიფო ორგანოს მოვალეობა წარმოადგენს, მაშასადამე, დისციპლინარული ნორმის სუბიექტივიზაციას¹.

როგორც ყოველი მოვალეობის სუბიექტს, სახელმწიფო ორგანოსაც აქვს იურიდიული პიროვნება. იურიდიული პიროვნება სახელმწიფო ორგანოს ენიჭება მხოლოდ მეორე ჯგუფის ნორმების ე. ი. დისციპლინარული ნორმების მიმართ, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი ამყარებენ მის მოვალეობას. ამ ნორმების თვალსაზრისით სახელმწიფო ორგანო წარმოადგენს პიროვნებას, ე. ი. მოვალეობის სუბიექტს; Kelsenის ეს აზრი გასაგები ხდება, თუ მოვიგონებთ, რომ მისი შეხედულებით, მოვალეობა არის ნორმის სუბიექტივიზაცია, ნორმის შეფარდება სუბიექტთან; ამ თვალსაზრისით ცხადია, რომ მხოლოდ დისციპლინარული ნორმა ეფარდება სახელმწიფო ორგანოს, რადგან მას შეუძლია მხოლოდ ამ ნორმის დარღვევა. ამგვარად დისციპლინარული ნორმა ამყარებს ორგანოს მოვალეობას და ამავე დროს ჰქმნის მის პიროვნებას; ამ მნიშვნელობით ორგანო წარმოადგენს ჩათვლის საბოლოო პუნქტს ისე, როგორც ყოველივე პიროვნება².

მაგრამ პირველი ჯგუფის ნორმების მიმართ სახელმწიფო ორგანო პიროვნება არაა. პირველი ჯგუფის ნორმები, როგორც იყო ნათქვამი, ამყარებენ სახელმწიფოს და არა მისი ორგანოს მოვალეობას; ამ მხრივ ორგანოები მხოლოდ ასრულებენ სახელმწიფოს ნებისყოფას; ამიტომ ამ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ, Kelsenის ტერმინოლოგიით, ჩათვლის გასასვლელ პუნქტს (Durchgangspunkt der Zurechnung); მათი მოქმედება ჩათვლება არა მათ, არამედ თვით სახელმწიფოს; აქ სახელმწიფო ორგანო კარგავს დამოუკიდებელი იურიდიული პიროვნების თვისებას³.

იმის მიხედვით, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენ შეგვიძლია Kelsenის მიერ წამოყენებული მოვალეობის კონსტრუქცია მოკლედ დავახასიათოთ შემდეგნაირად:

მოვალეობის დამყარების აქტი Kelsenს არ ესმის, როგორც ფსიქიური პროცესი; მას იგი წარმოდგენილი აქვს ნორმატიული დამოკიდებულების სახით, უკეთ რომ ვთქვათ, მოვალეობას იგი უყურებს, როგორც იურიდიული ნორმის დაკავშირებას სუბიექტთან. მოვალეობა ყოველთვის გულისხმობს პიროვნებას,

¹) „Der Disziplinarrechtssatz ist es, der in seiner Subjektivierung die Rechtspflicht des Staatsorganes bedeutet“. ib. 527.

²) Ib. 529.

³) Ib. 529.

რომელსაც Kelsenი უწოდებს ჩათვლის საბოლოო პუნქტს; პიროვნებას ჩათვლება მისი მოქმედება და ამ ჩათვლის შესაძლებლობაზე დამყარებულია თვით ნოვალეობის კონსტრუქცია. როგორც ჩათვლის საბოლოო პუნქტს ყოველივე პიროვნებას აქვს ერთიადიგივე იურიდიული ბუნება. მოვალეობის იურიდიული ბუნებაც ერთგვარია; იურიდიული მოვალეობა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის წარმოადგენს ნორმის სუბიექტივიზაციას, ე. ი. ნორმის შეფარდების, გამოყენების შესაძლებლობას სუბიექტის მიმართ. მაგრამ მოვალეობა ღებულობს სხვადასხვა სახეს იმისდა მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის იგი. Kelsenი ასხვავებს სუბიექტების სამ ჯგუფს და იძლევა მათი მოვალეობის დახასიათებას. ეს სუბიექტები შემდეგია: სახელმწიფო, ქვეშევრდომი და სახელმწიფო ორგანოები. Kelsenი იკვლევს, თუ როგორ მყარდება მათი მოვალეობა.

რაც შეეხება სახელმწიფოს, Kelsenის აზრით, ყოველივე ნორმა შეიცავს სახელმწიფოს მოვალეობას. ნორმა ფართო მნიშვნელობით გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფას და ამიტომ მასში ყოველთვის მოცემულია რომელიმე მოქმედების მოვალეობა. ამ მოვალეობის შინაარსი უშუალოდ ირკვევა თვით ნორმიდან; თვით ნორმა გვაძლევს იმის საზომს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ განსაზღვრულ პირობებში; ნორმას პირობითი ხასიათი აქვს და ამიტომ სახელმწიფოს მოვალეობაც პირობითია.

ქვეშევრდომთა მოვალეობა მყარდება იმ ნორმით, რომელსაც Kelsenის ტერმინოლოგიით ეწოდება ნორმა ვიწრო მნიშვნელობით; ქვეშევრდომთა მოვალეობას არა აქვს ის უშუალობა, რომელიც სახელმწიფოს მოვალეობას ახასიათებს; ქვეშევრდომთა მოვალეობის არსებობას ჩვენ ვარკვევთ არა პირდაპირი გზით; იურიდიულ ნორმაში გამოთქმულია ისჯელობა, რომ სახელმწიფო განსაზღვრულ შემთხვევაში მიიღებს განსაზღვრულ ზომას, მაგალითად, დასჯის სამართლის დარღვევს; ექედან ჩვენ გამოგვყავს დასკვნა, რომ ქვეშევრდომისათვის სავალდებულოა ის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება იურიდიულ ნორმაში აღნიშნულ ყოფაქცევას. ანგვარად ერთიადიგივე ნორმა ამყარებს როგორც ქვეშევრდომთა, ისე სახელმწიფოს მოვალეობას; მაგრამ ყოველივე ნორმა ქვეშევრდომთა მოვალეობას არ აწესებს; მათ მოვალეობას ამყარებს მხოლოდ ის ნორმა, რომელიც შეიცავს განსაზღვრულ სანქციას—სასჯელს ან აღსრულებას.

სახელმწიფო ორგანოების მოვალეობა, Kelsenის თეორიის მიხედვით, განსაკუთრებული ხასიათისაა. სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ სახელმწიფოს ნებისყოფას; ამიტომ აქ ლოლიკური აუცილებლობით იბადება საკითხი—აქვთ ამ ორგანოებს დამოუკიდებელი მოვალეობა და ამავე დროს წარმოადგენენ ისინი იურიდიულ პიროვნებას, თუ არა? სახელმწიფო ორგანოების მოვალეობის დასაბუთების მიზნით Kelsenი იძლევა ორიგინალურ კონსტრუქციას; იგი ჰყოფს ნორმებს ორ ჯგუფად: ნორმების ერთი ჯგუფი გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფას, რომლის განხორციელება ევალება ორგანოებს; ამ ზრვი, ორგანოები მხოლოდ ასრულებენ სახელმწიფოს მოვალეობას და, მაშასადამე, მათ ამ ნორმების შიშვართ არა აქვთ არც საკუთარი მოვალეობა და არც იურიდიული პიროვნება. ნორმების მეორე ჯგუფი შეიცავს დისციპლინარულ სანქ-

ციას იმ შენთხვევისათვის, თუ კი სახელმწიფო ორგანო არღვევს თავის თანამდებობრივ მოვალეობას და ამ ნორმების საშუალებით მყარდება ორგანოების მოვალეობა; დისციპლინარულ ნორმებიდან გამოიყვანება ორგანოების მოვალეობა, რადგან ეს ნორმები გამოიყენება ორგანოების მიმართ, ე. ი. სუბიექტივზაცია აქ მათი საშუალებით ხდება. ამ ნორმებზე ამყარებს Kelsen სახელმწიფო ორგანოების დამოუკიდებელი მოვალეობისა და პიროვნების კონსტრუქციას.

მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელსაც ეხედავთ სხვადასხვა სუბიექტების მოვალეობის კონსტრუქციაში, მოვალეობის იურიდიული ბუნება ერთიდაიგივე რჩება. ყველა შემთხვევაში იურიდიული მოვალეობა წარმოადგენს იურიდიული ნორმის სუბიექტივზაციას, ე. ი. მის შეფარდებას სუბიექტთან.

ჩვენ გავეცანით იურიდიული მოვალეობის კონსტრუქციას Kelsenის თეორიის მიხედვით. მაგრამ სუბიექტურ სამართალს მოვალეობის გარდა აქვს კიდევ მეორე სახე; ეს მეორე სახე სუბიექტური სამართლისა არის უფლება. სამართლის მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს უფლების ბუნება და გამოარკვიოს მისი მდგომარეობა საერთო სისტემაში. იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს სისტემის მთლიანობა, Kelsen უფლება, ისე როგორც მოვალეობა, გამოჰყავს ობიექტური სამართლიდან. ზემოთ დახასიათებული იყო ის გზა, რომლითაც ობიექტური იურიდიული ნორმა იქცევა განსაზღვრული სუბიექტის მოვალეობად; ეხლა საკიროა იმის გამოარკვევა, თუ როგორ ღებულობს იურიდიული ნორმა სუბიექტური უფლების მნიშვნელობას; მხოლოდ ამგვარად უნდა დავაყენოთ საკითხი, თუ კი მივიღებთ იმ შეხედულებას, რომ მოვალეობა და უფლება მყარდებიან ობიექტური იურიდიული წყობილების საშუალებით და იურიდიული წყობილებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ.

იურიდიულ ლიტერატურაში ყველაზე უფრო გამოკვლეულია უფლების ცნება. უფლების ცნება იმდენად იყრობდა ყურადღებას, რომ მოვალეობის ცნება, რომელსაც თანასწორი მნიშვნელობა აქვს, თითქმის სრულიად მივიწყებული იყო; ეს ფაქტი განსაკუთრებული სიცხადით გამოიხატება როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში ჩვეულებრივად მიღებულ ტერმინოლოგიაში, რომლის მიხედვით „სამართალი სუბიექტური მნიშვნელობით“ მხოლოდ უფლებას ნიშნავს. ამგვარად, ტერმინი, რომელიც გულისხმოს სუბიექტური სამართლის ორივე მონენტს— უფლებასა და მოვალეობას— უწინარეს ყოვლისა კი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მოვალეობას, გამოყენებულია მხოლოდ ერთად-ერთი მონენტის აღსანიშნავად. ამ შეხედულების დასაბამი, Kelsenის აზრით, უნდა ვეძიოთ ბუნებითი სამართლის თეორიაში. უკვე ბუნებითი სამართლის წარმომადგენელთ „სუბიექტური სამართალი“ და „უფლება“ მიჩნეული ჰქონდათ, როგორც იდენტური ცნება; ბუნებითი სამართლის მოძღვრების გავლენით აიხსნება ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ერთიდაიგივე სიტყვით „Recht“ გამოხატავენ როგორც ობიექტურ სამართალს, ისე სუბიექტური სამართლის ერთ-ერთ სახეს— უფლებას¹.

¹) Ib. 568. ობიექტურ სამართალსა და უფლებას ვეროპიულ ენებზე აქვთ ერთიდაიგივე სახელწოდება: Recht, Droit, Right. ქართულად კი ჩვენ ვსარგებლობთ ორი ტერმინით: სამართალი და უფლება; პირველი გამოხატავს ობიექტურ სამართალს, ხოლო მეორე— სუბიექტურ სამართალს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ტერმინოლოგია აიხსნება ისტორიულ-ფსიქოლოგიური მიზეზებით; ეს თეორია წარმოადგენდა პოლიტიკურ რეაქციას აბსოლუტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ყოველმხრივ ზღუდავდა პიროვნებას. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოყენებული იქნა თეორიის სახით პოლიტიკური პოსტულატი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანი ბუნებრივად თავისუფალია და სახელმწიფოს ამართლებდა იმდენად, რამდენადაც იგი იცავს ამ თავისუფლებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას ჰქონდა ეთიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა, ჩვენთვის გასაგები ხდება ამ მოძღვრების დებულება, რომლის მიხედვით სამართალი არის ბუნებრივი, თანდაყოლილი „თავისუფლება“, რომელსაც სახელმწიფო კი არ ჰქვინის, არამედ მხოლოდ ზღუდავს. ბუნებითი სამართლის ცნება იმთავითვე სუბიექტურია და თავისი შინაარსით ცნობიერად ეწინააღმდეგება იმას, რასაც თანამედროვე იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით მხოლოდ შეიძლება მიეწეროს „სამართლის“ მნიშვნელობა: პოზიტიურ სამართალს.

ბუნებითი სამართლის ცნებას აქვს მატერიალურ-პოლიტიკური ხასიათი და, რასაკვირველია, იგი ეწინააღმდეგება სამართლის ფორმალურ-იურიდიულ გაგებას, რომელიც უკვე იყო დახასიათებული. Kelsenის აზრით, ბუნებითი სამართლის გაელენა ემჩნევა თანამედროვე თეორიებს, რომლებიც იძლევიან სუბიექტური უფლების კონსტრუქციას. უფლების ყველა კონსტრუქციაში შეიძლება აღმოჩენილი იქნეს ბუნებითი სამართლის კვალი: ყოველგან მიღებულია მხედველობაში იმ მოვლენის სუბსტანციური ელემენტი, რომლის მიმართ სამართალი შეადგენს მხოლოდ ფორმას¹.

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს სამი მთავარი თეორია უფლების შესახებ:

1. მიზნის ანუ ინტერესის თეორია, რომელიც ეკუთვნის Iheringს.
2. ნებისყოფის თეორია, რომლის მთავარი წარმომადგენელია Windscheid, Arndtsი და სხვ.
3. ნებისყოფისა და ინტერესის შეერთების თეორია (Kombinationstheorie); ეს თეორია დამყარებული იყო Bernatzikის მიერ; შემდეგ ეს თეორია მიიღო Jellinekმა, რომელმაც იგი თავისებურად განავითარა.

უმთავრესი არგუმენტი Iheringის თეორიის წინააღმდეგ იმაში მდგომარეობს, რომ მიზნის ცნების საშუალებით იურიდიული კონსტრუქციის აგება შეუძლებელია. იურიდიულ კონსტრუქციას ყოველთვის ფორმალური ხასიათი აქვს; ამიტომ მიზნისა ან ინტერესის შეტანა იურიდიულ ცნებაში დაუშვებელია. მაგრამ ამ მეთოდოლოგიურ შეხედულებას Iheringი არ იზიარებს; წმინდა ფორმალურ იურიდიულ კონსტრუქციას ღვი უარჰყოფს; ამიტომ Kelsenი ცდილობს გამოარკვიოს Iheringის მოძღვრების სუსტი მხარეები თვით Iheringის მეთოდის საშუალებით. Iheringის თეორია, Kelsenის სიტყვით, ემსგავსება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას იმ მხრივ, რომ „თავისუფლებას“ და „ინტერესს“ უკავიათ

¹) Ib. 570.

ერთგვარი მდგომარეობა: ის, რასაც ბუნებითი სამართლის მოძღვრება უყურებს, როგორც ინდივიდის თანდაყოლილ, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ „თავისუფლებას“, Iheringის თეორიაში მიჩნეულია, როგორც ინტერესი; როგორც ბუნებითი სამართლის თეორიას, ისე Iheringს უფლება არ გამოჰყავთ ობიექტური სამართლიდან, არამედ უფლებასა და ობიექტურ სამართალს ისინი უყურებენ როგორც არსებითად განსხვავებულ ცნებებს; უფლებას, როგორც Iheringი, ისე ბუნებითი სამართლის თეორია, მიაწერენ მატერიალურ თვისებას: იგი დაცვის საგანია (das Geschützte); ობიექტური სამართალი კი, მათი აზრით, ფორმალური ბუნებისაა: იგი არის დაცვა ან და შეზღუდვა (Schutz oder Beschränkung); ორივე თეორია უფლებასა და ობიექტურ სამართალს ერთმანეთს უპირისპირებს, როგორც მატერიასა და ფორმას; ეს დაპირისპირება იმდენად სრულია, რომ ამ ორი მოწინააღმდეგე მომენტის აღნიშვნა ერთი და იგივე სიტყვით „სამართალი“ უკვე ტერმინოლოგიურად დაუშვებელია. Iheringის თეორია თითქოს განსხვავდება ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან იმ მხრივ, რომ უფლების ცნებაში მას შეაქვს „თავისუფლების“ ნეგატიური მომენტის მაგივრად „ინდივიდის ინტერესის“ პოზიტიური მომენტი; მაგრამ, Kelsenის აზრით, Iheringის „ინტერესი“ სინამდვილეში რგოვია, რაც ბუნებითი სამართლის თეორიის ნეგატიური თავისუფლების სფერო, ე. ი. დაცული ანდა შეზღუდული მდგომარეობა. Iheringს უფლება სინამდვილეში წარმოდგენილი აქვს, როგორც იურიდიული მოვალეობის მატერიალური რეფლექსი; სხვა ცნების შედგენა მან ვერ შესძლო¹.

Iheringი ამტკიცებს, რომ იურიდიული წყობილების მიზანია ინდივიდთა ინტერესების დაცვა. როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს ინტერესი? ინტერესი ინდივიდუალური ფსიქიკის მოვლენაა; თუ კი ინტერესს, Iheringის თეორიის მიხედვით, გავიგებთ ამ ინდივიდუალური ფსიქიკური მოვლენის მნიშვნელობით, ე. ი., როგორც სულიერ მდგომარეობას, რომელსაც ინდივიდი განიცდის კონკრეტ შემთხვევაში, მაშინ ჩვენ უნდა მივიღეთ ისეთ დასკვნამდე, რომელიც მიუღებელია. ამ თვალსაზრისით ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტის კონკრეტი ინტერესი არ არსებობს, იურიდიული წყობილება არ აწვდის ინდივიდს დაცვას და, მაშასადამე, უფლებასაც არა აქვს ადგილი; მაგალითად, ინდივიდი ჩაითვლებოდა რომელიმე ნივთის მესაკუთრედ მხოლოდ იქამდე, სანამ მას ექნებოდა ამ ნივთის ინტერესი; უფლება სესხის დაბრუნებაზე არ იქნებოდა, თუ კი სათანადო ინტერესი არაა და სხვ. რა თქმა უნდა, ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება ობიექტური სამართლის დადგენილებებს; არც ერთი იურიდიული ნორმა უფლებისა და სათანადო მოვალეობის არსებობას არ უკავშირებს ფსიქიკური ინტერესის არსებობას. აშკარაა, რომ უფლების იურიდიული კონსტრუქციისათვის ინდივიდუალურ ინტერესს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს².

მაკრამ Iheringსაც ინტერესი არ ესმოდა ნამდვილი, კონკრეტი ფსიქიკური ფაქტის მნიშვნელობით. მას იგი ესმოდა, როგორც ის „საშუალო ინტერესი“ (Durchschnittsinteresse), რომელსაც კანონდებელი ითვალისწინებს და იცავს იურიდიული წყობილებით.

¹) Ib. 572, 573.

²) Ib. 574.

ამ გაგებითაც ინტერესის ცნება მიუღებელია, რადგან სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესი; სიტყვა „საშუალო ინტერესი“ აღნიშნავს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ რომელიმე ინტერესი ჩვეულებრივად მოცემულია; ეს სიტყვა არ ნიშნავს თვით ინტერესს, არამედ გამოსთქვენს ინტერესთა დამოკიდებულებას (Verhältnis von Interessen) ისე, როგორც „საერთო ნებისყოფა“ აღნიშნავს მხოლოდ დამოკიდებულებას არა ნებისყოფას; ამიტომ იურიდიულ წყობილებას შეუძლია ინტერესის დაცვა, „საშუალო ინტერესის“ დაცვა კი არასოდეს. ამგვარად, ინტერესი არ შეადგენს უწყობის ნიშანდობლივ თვისებას. ინტერესის ცნება მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც ფიქცია. Iheringის კონსტრუქციაში უფლება განსაზღვრულია, როგორც სამართლის მიერ დაცული ინტერესი; ეს განსაზღვრა აღიარებულია როგორც სწორი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფაქტურად ინტერესი არ არსებობს და, მაშასადამე, მიღებული განსაზღვრის თანახმად არც უფლება უნდა არსებობდეს; მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევებშიაც მიღებულია უფლება; ეს კი ნიშნავს ინტერესის პრეზუმპციას ფაქტების წინააღმდეგ. ე. ი. ფიქციას¹.

რაც შეეხება Iheringის კონსტრუქციის ნეორე მომენტს, რომელსაც იგი ფორმალურს უწოდებს, ეს მომენტი ზას წარმოდგენილი აქვს, როგორც „დაცული მდგომარეობა“ (Geschütztsein); Kelsenის აზრით, Iheringი ამ მომენტს შეცდომით უწოდებს ფორმალურს, რადგან ეს დაცული მდგომარეობა სინამდვილეში მხოლოდ იურიდიული წყობილებით დაწესებული დაცვის მატერიალური რეფლექსიაა; ფორმალური მომენტი არის თვით ეს დაცვა და არა ის, რაც დაცულია².

უფლების მეორე კონსტრუქცია, რომელსაც ჩვეულებრივად უპირისპირებენ Iheringის თეორიას, უფლების შინაარსს ნებისყოფაში ხედავს; უფლება აქ გაგებულია, როგორც ნებისყოფის ძალა (Willensmacht), აღიარებული (anerkannte) ობიექტური სამართლის მიერ; ამ მიმართულების ტიპურ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს Windscheid. Windscheid ასხვავებს უფლებათა ორ ჯგუფს: უფლებას საკუთარ მოქმედებაზე და უფლებას სხვა პიროვნების მოქმედებაზე; ამ უკანასკნელი უფლების მიხედვით Windscheidის შეხედულება ძლიერ ემსგავსება Iheringის ინტერესის თეორიას, რამდენადაც ინტერესი მიმართულია სხვის მოქმედებაზე; განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ Windscheid ინტერესის მაგივრად ასახელებს ნებისყოფას; Iheringის წინააღმდეგ Windscheid ამტკიცებს, რომ ობიექტური სამართალი იცავს არა ინტერესს, როგორც ასეთს, არამედ ნებისყოფას, რომელიც მიმართულია სიკეთის შეძენაზე; მაგრამ, როგორც შენიშნავს Kelsen, ამ პუნქტში Iheringსა და Windscheidს შორის არსებითი განსხვავება არაა, რადგან რომელიმე სიკეთის ინტერესი ყოველთვის დაკავშირებულია მისი შეძენის სურვილთან.

1) „...ein solches Interesse gegen die Tatsachen präsumieren, d. h. fingieren“ Ib. 577.

2) „Denn dieser Zustand des Geschützeins... ist tatsächlich nur der materielle Reflex des durch die Rechtsordnung statuierten Schutzes, und dieser Schutz nicht das Geschützte ist das formale Moment“. Ib. 583.

Windscheidის თეორიის წინააღმდეგ Kelsenის მოპყავს იგივე მოსაზრება, რაც Iheringის წინააღმდეგ: Windscheidმა უნდა აღიაროს უფლების არსებობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სათანადო ნებისყოფას ადგილი არა აქვს და მაშინაც კი, როცა ნებისყოფა ეწინააღმდეგება უფლებას; Kelsenის აზრით, Windscheidის კონსტრუქცია საერთოდ ბუნდოვანია და ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ნებისყოფის დეცლარ გავებაში; Windscheidი გამოდის იურიდიულად სწორ დებულებიდან, როდესაც იგი ამტკიცებს, რომ უფლება-უნარიანობა და ნებისყოფის უნარიანობა, რომ პიროვნება და ნებისყოფა ერთიდაიგივეა; მაგრამ ნებისყოფა მას ესმის არა იურიდიული მნიშვნელობით, არამედ როგორც ფსიქიური ფაქტი¹. ამაშია მისი მთავარა შეცდომა. ნებისყოფა იურიდიული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობით სულ სხვადასხვა ცნებებია; რეალური ფსიქიური მომენტის გამოყენება იურიდიული კონსტრუქციისათვის აუცილებლად იწვევს ფიქციასა და წინააღმდეგობებს, რომლებსაც ვხვდებით თანამედროვე იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

Windscheidის თეორიასაც, ისე როგორც Iheringისას, Kelsenის აზრით, ემჩნევა ბუნებითი სამართლის გავლენა; ეს გავლენა გამოიხატება იმაში, რომ უფლება აქაც წარმოადგენს ინდივიდის სფეროს, შემოფარგლულს იურიდიული წყობილებით და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელს; იგი აქაც იურიდიული წყობილებით დაწესებული მოვალეობის მატერიალური რეფლექსია².

მესამე მიმართულებას, რომელიც უფლების ცნებას ამყარებს ინტერესისა და ნებისყოფის შეერთებაზე (Kombinationstheorie), აქვს იგივე ნაკლი, რაც ცალკე-ცალკე ინტერესისა და ნებისყოფის თეორიას; ამიტომ მის წინააღმდეგ ძალაში რჩება იგივე არგუმენტები, რომლებიც მოყვანილი იყო ამ თეორიების წინააღმდეგ. შეერთების თეორიას სხვადასხვა ავტორების შრომებში სხვადასხვა ხასიათი აქვს. Bernatziki, მაგალითად, უფლების კონსტრუქციაში მეტ მნიშვნელობას მიაწერს ინტერესის ანუ მიზნის ცნებას; უფლებას იგი ახასიათებს, როგორც ადამიანის მიზანს, რომლის განსახორციელებლად იურიდიული წყობილება აღიარებს ნებისყოფის ბატონობის (Willensherrschaft) შესაძლებლობას იმით, რომ ნებისყოფას, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უკავშირებს იურიდიულ შედეგებს; ამ ფორმულიდან ცხადია, რომ Bernatziki ხაზს უსვამს მიზნის მომენტს. Bernatziki-ის კონსტრუქცია სინამდვილეში Iheringის თეორიისაგან არსებითად არ განსხვავდება; იგი მხოლოდ გარეგნულად სცელის Iheringის თეორიას. რაც შეეხება ამავე მიმართულების მეორე წარმომადგენელს, Jellinekს, იგი უფრო იხრება ნებისყოფის თეორიისაკენ, რადგან უფლებას სთვლის „ნებისყოფის ძალად“. მისი განსხვავება ნებისყოფის თეორიისაგან მხოლოდ იმაშია, რომ მას უფლების განსაზღვრაში შეაქვს ნებისყოფის შინაარსიც—ინტერესი. მაგრამ აქაც განსხვავება გარეგნულია: თავისთავად ცხადია, რომ ნებისყოფას უნდა ჰქონდეს რაიმე შინა-

¹) Ib. 589.

²) „... Windscheid, ganz ebenso wie Ihering, in den spezifisch naturrechtlichen Begriff des subjektiven Rechtes geraten ist. Als subjektives Recht erscheint nun auch bei Windscheid der ganze Kreis der von der Rechtsordnung unigrenzten staatsfreien Sphäre des Individuums, der materielle Reflex der durch die Rechtsordnung statuierten Pflichten.“ Ib. 592.

არსი; ამას არც ნებისყოფის თეორია უარყოფს, რადგან მას ნებისყოფა ესმის ფსიქოლოგიური მნიშვნელობით და ფსიქოლოგიურად კი უმინაარსო ნებისყოფა შეუძლებელია; ნებისყოფა აუცილებლად რაიმე სიკეთეზე ან ინტერესზე უნდა იქნეს მიმართული; ამაში Windscheidს, ნებისყოფის თეორიის უდიდეს წარმომადგენელს, ეჭვი სრულიადაც არ შეუტანია. ამგვარად Jellinekის შეხედულება Windscheidის შეხედულებისაგან არსებითად არ განსხვავდება. Jellinekის მიერ უფლების განსაზღვრაში შეტანილი ინტერესის მომენტი ზედმეტია, ვინაიდან იგი თავისთავად იგულისხმება¹.

მაშასადამე, სამივე მიმართულება, რომლებიც ცდილობენ უფლების იურიდიული ბუნების გამორკვევას, Kelsenის თვალსაზრისით მცდარია. მათი ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საკითხს სწორად არ აყენებენ; ისინი უფლებასა და ობიექტურ სამართალს უყურებენ, როგორც არსებითად განსხვავებულ ცნებებს. უფლებისა და ობიექტური სამართლის ამგვარი განსხვავება წარმოადგენს საკითხის უპართებულო დაყენების შედეგს; იურისტები ეძებენ უფლების ცნებას, მაგრამ მათ არა აქვთ გარკვეული წარმოდგენა იმაზე, თუ რომელი საკითხი უნდა გადაიჭრას ამ ცნებით; ამიტომაც მიღებული უფლების ცნება შეიცავს ისეთ ელემენტს, რომელიც სამართლის დარგს სრულიად არ ეკუთვნის. დაყენებული იყო საკითხი: რას იცავს ან აღიარებს ობიექტური სამართალი? ამ საკითხის შედეგი, რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო სუბსტანციური მომენტის შეტანა სამართლის ცნებაში. მაგრამ იურისტისათვის ამ მომენტს მნიშვნელობა არა აქვს; მას აინტერესებს არა ის, თუ რას იცავს სამართალი, არამედ თუ „როგორ“ იცავს იგი, ე. ი. მხოლოდ ფორმა; სამართალი ფორმაა და არა უმინაარსი, იგი არის დაცვა და არა ის, რაც დაცულია².

ამრიგად, Kelsenის თვალსაზრისით, თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული თეორიები არ იძლევიან მეცნიერულად დასაბუთებულ უფლების კონსტრუქციას; მათ შეაქვთ უფლების კონსტრუქციაში მატერიალური ელემენტები და ამით ისინი არღვევენ იურიდიული მეცნიერების მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვით იურიდიულ ცნებას ყოველთვის უნდა ექნეს ფორმალური ხასიათი. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ Kelsenს სუბიექტური სამართლის ერთ-ერთი შემადგენლობითი ელემენტი—მოვალეობა—გამოჰყავს ობიექტური სამართლიდან; მოვალეობა იგივე იურიდიული ნორმაა, მხოლოდ განხილული სუბიექტთან დამოკიდებულების მხრივ; მოვალეობა არის ნორმის სუბიექტივიზაციის შედეგი.

ამავე თვალსაზრისით უყურებს Kelsen სუბიექტური სამართლის მეორე ელემენტს—უფლებას. მისი აზრით, უფლება არის იურიდიული ნორმა და განსხვავება ობიექტურ სამართალსა და უფლებას შორის უნდა ვეძიოთ მხოლოდ განსაზღვრულ დამოკიდებულებაში; ამიტომ უნდა დაისვას შემდეგი საკითხი: როგორ იქცევა ობიექტური სამართალი სუბიექტურ სამართალად, როგორ გადადის ობიექტური სამართალი უფლებაში? ამგვარი საკითხის დაყენებით უფლება მიჩნეულია არა როგორც „ნებისყოფა“, „ინტერესი“, „სიკეთე“ ან სხვა რაიმე ობიექტი, დაცული იურიდიული წყობილებით, არამედ როგორც თვით ეს დაცვა,

¹) Ib. 617.

²) Ib. 618, 619.

იურიდიული წყობილების ნაწილი, ე. ი., როგორც იურიდიული ნორმა მის განსაკუთრებულ გამოკიდებულებაში სუბიექტთან¹. თუ კი საკითხი ამგვარადაა დასმული, მაშინ იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაციის, ე. ი. ნორმის უფლებაში გადასვლის პროცესის გამოარკვევა სიძნელეს უკვე არ წარმოადგენს; ვინმეს მოვალეობის დამწესებელი იურიდიული ნორმა ლებულობს ჩემი უფლების მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც მე ამ ნორმის დადგენილების მიხედვით ვდგები ნასთან ისეთ დამოკიდებულებაში, რომ იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ჩემი კუთვნილება („dass er als der meinige, als mir zugehörig bezeichnet werden kann“); ამგვარია მდგომარეობა მაშინ, როდესაც ეს იურიდიული ნორმა ჩემს განკარგულებაშია, ე. ი., როდესაც იურიდიული ნორმაში გამოთქმული სახელმწიფოს სურვილი განსაზღვრული მოქმედებისა, სხვა პირობებს შორის, ჩემგანაც არის დამოკიდებული². ამ აზრს Kelsenი განმარტავს შემდეგნაირად.

ზემოთ დახასიათებული იყო, თუ რას წარმოადგენს იურიდიული ნორმა. ვიწრო მნიშვნელობით. ნორმა ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო განსაზღვრულ პირობებში გამოიყენებს სანქციას სისხლის სამართლის (Strafe), ან სამოქალაქო სახით (Exekution); ეს ნორმა აწესებს ქვეშევრდომთა მოვალეობას; მაგრამ ამავე დროს იგივე ნორმა ამყარებს ყველა იმ პირების უფლებას, რომელთა ძიებნისაგან (Klage, actio) დამოკიდებულია სანქციის გამოყენება, ე. ი. განხორციელება იმ იურიდიული შედეგებისა, რომლებსაც იურიდიული ნორმა სამართლის დარღვევას უკავშირებს. მაშასადამე, სამართლის დარღვევას აქ ემატება კიდევ ძიება; ორივე ერთად განსაზღვრავს სახელმწიფოს ნებისყოფას, ე. ი. იწვევენ სახელმწიფოს მოქმედებას³. ავიღოთ მაგალითი: იურიდიული ნორმა ამბობს: უკეთუ ვინმემ მიიღო სესხი, თავის დროზე არ დააბრუნა იგი, და მომჩივანმა აღძრა ძიება, სახელმწიფო მიიღებს აღსრულების ზომებს; რადგან სახელმწიფოს მოქმედება, ე. ი. აღსრულება, სესხის მიმცემის ძიებისაგან არის დამოკიდებული, მთელი იურიდიული ნორმა, რომელიც ამყარებს სესხის დაბრუნების მოვალეობას, შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც სესხის მიმცემის უფლება; რამდენადაც იურიდიული ნორმა სუბიექტურად გამოიხატება მოვალეობაში, ერთი პირის მოვალეობა წარმოადგენს მეორე პირის უფლებას; რამდენადაც იურიდიული ნორმა ჩემი უფლებაა, ამ ნორმით დამყარებული სხვისი მოვალეობაც ჩემს უფლებას შეადგენს, სხვანაირად რომ ვთქვათ, მე მაქვს უფლება სხვისი მოვალეობის შესრულებაზე. იურიდიული ნორმის ორივე სუბიექტური ფორმა ისეთ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, რომ ერთის უფლება ყოველთვის მეორეს მოვალეობაზე არის მიმართული; პირიქით კი, რასაკვირველია, არა, რადგან ყოველივე იურიდიული ნორმა ამყარებს მო-

¹) „Damit wird das subjektive Recht nicht als „Wille“ oder „Interesse“ oder als „Gut“ oder wie sonst die von der Rechtsordnung geschützten Objekte benannt werden mögen, sondern selbst als Schutz, als Bestandteil der Rechtsordnung, nämlich als der Rechtssatz erkannt und zwar als der Rechtssatz in einer besonderer Beziehung auf ein Subjekt“ lb. 619.

²) lb. 619.

³) „Diese Klage tritt neben den Unrechtstatbestand als ein weiteres, den Staatswillen bedingendes Moment hinzu“ lb. 619.

ვალეობას, მაგრამ ყოველივე ნორმა უფლებას არ ამყარებს; სამართლის დარღვევის შედეგების გამოყენება აუცილებლად ძიებისაგან დამოკიდებული არაა. აქედან ცხადია, რომ მოვალეობა წარმოადგენს იურიდიული ნორმის აუცილებელ სუბიექტურ ფორმას, უფლება კი იურიდიული ნორმის მხოლოდ შესაძლო სუბიექტური ფორმაა¹.

იურიდიული ნორმა აწესებს ორგვარ მოვალეობას: ერთის მხრივ, სახელმწიფოს მოვალეობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ სამართლის დარღვევას უნდა დაუკავშიროს განსაზღვრული შედეგები; მეორეს მხრივ კი, ქვეშევრდომის მოვალეობას, რომელიც მოითხოვს, რომ უკანასკნელის მოქმედება უნდა იქნეს მართლზომიერი; უფლება მიმართულია ორივე მოვალეობაზე; მაგალითად, სესხის მიმცემს უფლება აქვს არა მარტო სესხის მიმღების, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ: მას აქვს უფლება, ერთის მხრივ, მოითხოვოს მოვალისაგან სესხის დაბრუნება და, მეორეს მხრივ, მოითხოვოს, რომ სახელმწიფომ მიიღოს აღსრულების ზომები; აქ ორი სხვადასხვა უფლება არაა; ეს ერთი და იგივე იურიდიული ნორმაა, მხოლოდ სხვადასხვა მიმართებით².

როგორც აღნიშნული იყო, ნორმებს ეიწრო მნიშვნელობით აქვთ ორი სხვადასხვა სახე; თუმცა ყველა ეს ნორმა გამოსთქვამენ სახელმწიფოს ნებისყოფას, მაგრამ მათ შორის მინც განსხვავებაა; ეს განსხვავება არსებობს იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო მოქმედებას ზოგ შემთხვევაში აქვს სამოქალაქო ხასიათი — აღსრულება (Exekution), ზოგ შემთხვევაში კი იგი გამოიხატება სისხლის სამართლის სანქციაში — სასჯელში (Strafe); ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ Kelsenის მიერ მოცემული უფლების კონსტრუქცია სავსებით ეთანხმება სამოქალაქო სამართლის სანქციას, რადგან ის, რასაც Kelsen უწოდებს აღსრულებას, დამოკიდებულია რომელიმე ქვეშევრდომის ძიებისაგან; ამგვარად უფლების ცნება Kelsenის თეორიაში შეფარდებულია სამოქალაქო სამართალთან. მაგრამ სახელმწიფოს მოქმედებას აქვს მეორე სახეც: იგი განსაზღვრულ პირობებში სამართლის დარღვევას უკავშირებს სასჯელსაც, ე. ი. გამოიყენებს საერთოდ მიღებული ტერმინოლოგიით სისხლის სამართლის სანქციას; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხადია, რომ სახელმწიფოს მოქმედება ქვეშევრდომის ძიებისაგან დამოკიდებული არაა. არის აქაც უფლება, თუ არა, და ვის ეკუთვნის იგი? თვითონ Kelsen იძლევა პასუხს ამ კითხვაზე; ჩვეულებრივად, ამბობს იგი, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს ნებისყოფა ქვეშევრდომის ძიებისაგან დამოკიდებული არაა; პროცესუალური მიზეზების გამო ბრალდების აღძვრა ეკუთვნის სახელმწიფო ორგანოს — პროკურატურას — და ამ ბრალდების აღძვრისაგან არის დამოკიდებული სამართლის დარღვევის შედეგების განხორციელება. ამიტომ, რასაკვირველია, შესაძლოა იმის დაშვება, რომ აქ სახელმწიფოს ეკუთვნის უფლება, რომელიც გაბატონებულ თეორიას საჯარო უფლებად მიაჩნია ისე, როგორც ქვეშევრდომის მოვალეობა, რომ დანაშაული არ იქნეს ჩადენილი, საჯარო მოვალეობად არის მიჩნეული. მაგრამ, Kelsenის აზრით, ამ უფლების დამყარებისათვის სრულებითაც არაა სა-

¹) Ib. 620.

²) Ib. 620.

ქირო სახელმწიფოს მხრივ ბრალდების აღძვრა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ პროცესუალურ—ტექნიკურ აქტს. ბრალდების აღძვრის სურვილი სახელმწიფოს უკვე იმ წამში აქვს, როდესაც მას აქვს სასჯელის დადების სურვილი, ე. ი. მაშინვე, როდესაც დანაშაულებრივი ქმედობა შესრულებულია; იმის დაშვება, რომ სახელმწიფო თავისაგანაა დამოკიდებული, ნიშნავს, რომ სახელმწიფო სინამდვილეში დამოუკიდებელია. ამგვარად, სახელმწიფოს საჯარო უფლების კონსტრუქციისათვის განსაკუთრებული პროცესუალური აქტი, ე. ი. ბრალდების აღძვრა, საკურო არაა¹.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ Kelsenის სუბიექტური სამართლის ორივე სახე—მოვალეობა და უფლება—გამოჰყავს იურიდიული ნორმის ცნებიდან. მოვალეობა და უფლება წარმოადგენენ იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაციის შედეგს, ე. ი. ნორმის შეფარდებას სუბიექტთან; ქვეშევრდომის მოვალეობა ირკვევა ნორმის გამოყენებიდან, რადგან ამ გზით ნორმა მიგვიითიებს იმაზე, თუ როგორი უნდა იქნეს სამართალთან შეთანხმებული ყოფაქცევა. მეორეს მხრივ, იგივე ნორმა გვაძლევს ქვეშევრდომის უფლების შეცნობის საშუალებას: უფლება ნოცენულია მაშინ, როცა ნორმის გამოყენება თვით სუბიექტისაგან არის დამოკიდებული; იგი არსებობს იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მოქმედება იწყება რომელიმე პირის ძიებით. ორივე შემთხვევაში საერთო საფუძველი ნორმაა. მაგრამ მოვალეობასა და უფლებას შორის, მიუხედავად ამ საერთო საფუძვლისა, ის განსხვავებაა, რომ მოვალეობა ყოველთვის არის მოცემული; თუ არსებობს რომელიმე ნორმა, აუცილებლად არსებობს მოვალეობაც. უფლებას კი ასეთი ხასიათი არა აქვს: იგი მხოლოდ იურიდიული ნორმის შესაძლო სახეა.

აღნიშნული მოსაზრებების მიხედვით Kelsenი უფლებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

უფლება არის იურიდიული ნორმა მის მიმართებაში იმ პირთან, რომლის განკარგულებისაგან დამოკიდებულია იურიდიულ ნორმაში გამოთქმული სახელმწიფო ნებისყოფის განხორციელება².

თუმცა Kelsenი უფლებას უყურებს, როგორც იურიდიულ ნორმას, მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ამ ცნებებს იგი იდენტურად არ სთვლის. ობიექტური მნიშვნელობით ნორმა მუდმივი ხასიათისაა, უფლების არსებობა კი შეზღუდულია; იურიდიული ნორმა არსებობს, თუნდაც რომ არ არსებობდეს უფლება, უფლებას კი ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულია ის თავისებური დამოკიდებულება სუბიექტთან, რომელსაც Kelsenი უწოდებს ნორმის სუბიექტივიზაციას. ამგვარად, სახელმწიფოს მოქმედება ორ მთავარ პირობასთან არის დაკავშირებული; ეს პირობებია: სამართლის დარღვევა და სუბიექტის მიერ ძიების აღძვრა (Unrechtstatbestand und die actio des berechtigten Subjektes)³. სა-

¹) Ib. 620, 621.

²) „Das subjektive Recht ist hier der Rechtssatz in seinem Verhältnis zur derjenigen Person, von deren Verfügung die Realisierung des im Rechtssatze ausgesprochenen Willens des Staates zur Unrechtsfolge abhängig gemacht ist“. Ib. 625.

³) Ib. 626

ხელწიფოს მოქმედება იწყება იმ შემთხვევაში, როცა ორივე პირობა მოცემულია. ამ მნიშვნელობით უნდა გაეიგოს Kelsenის ფორმულა, რომლის მიხედვით უფლება შეადგენს ისეთ დამოკიდებულებას ნორმასა და სუბიექტს შორის, როცა სახელმწიფოს ნებისყოფის განხორციელება სუბიექტის განკარგულებაშია; ძიების აღძვრით სუბიექტი ჰქნის იმ პირობას, რომლითაც იწყება ნორმაში გათვალისწინებული სახელმწიფოს მოქმედება და ამავე დროს იგი ახორციელებს თავის საკუთარ უფლებას. ამაში მდგომარეობს ნორმის სუბიექტივიზაციის პროცესი და ამ გზით, Kelsenის აზრით, წარმოიშობა უფლება.

მაშასადამე, უფლება არაა, როგორც ეს საერთოდ მიღებულია სამართლის მეცნიერებაში, ფსიქოლოგიური მდგომარეობა—ნებისყოფა, ინტერესი ან სხვა რამ; იგი არის სპეციფიური დამოკიდებულება, რომელიც არსდება ნორმასა და სუბიექტს შორის და რომლის უკანასკნელი საფუძველი უნდა ვეძიოთ თვით იურიდიული ნორმის ბუნებაში.

თანხედროვე სამართლის მეცნიერება ჰყოფს ყველა უფლებებს სამ ჯგუფად: 1. ქვეშევრდომის უფლება სხვა ქვეშევრდომის მიმართ; 2. ქვეშევრდომთა უფლებები სახელმწიფოს მიმართ; 3. სახელმწიფოს უფლება ქვეშევრდომების მიმართ; პირველი ჯგუფი მიჩნეულია კერძო უფლებად, ხოლო ორი დანარჩენი ჯგუფი საჯარო უფლებად. Kelsenი უარჰყოფს ამ განაწილებას; მისი აზრით, სამივე ჯგუფის უფლებები ერთგვარი ავტულობისაა¹. საჯარო და კერძო უფლებათა განსხვავება გადმოტანილია რომის სამართლიდან და ეყრდნობა იურიდიული ნორმების დაყოფას; ეს დაყოფა ხელმძღვანელობს იურიდიული ნორმების მიზნით: კრიტერიუმად აღებულია ის ინტერესი, რომელსაც ემსახურება ნორმა. საჯარო სამართლის მიზანია საზოგადო ინტერესი, ხოლო კერძო სამართლისა—კერძო ინტერესი. მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად იყო აღნიშნული, რომ ყოველივე იურიდიულ ნორმას შეუძლია ემსახუროს როგორც საზოგადო, ისე კერძო ინტერესს. იურიდიული წყობილების თვალსაზრისით, ყველა უფლებები არსებობენ საერთო ინტერესისათვის, ე. ი. მათ აქვთ საჯარო ბუნება; სუბიექტური თვალსაზრისით კი ყოველივე უფლება კერძო ინტერესისათვის არის დაწესებული, ე. ი. კერძო ხასიათისაა. ამ ორი სხვადასხვა თვალსაზრისით საკუთრება შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც საჯარო, ხოლო საარჩევნო უფლება როგორც კერძო უფლება. იურიდიული ნორმა ქურდობის შესახებ იმგვარადვე ემსახურება დაზარალებულის ინტერესს, როგორც ნორმა სესხის შესახებ კრედიტორის ინტერესს. საერთოდ იურიდიული ნორმებისა და უფლებების განსხვავება მიზნის თვალსაზრისით Kelsen უსაფუძვლოდ მიაჩნია უკვე იმიტომ, რომ მიზნის მომენტი წმინდა იურიდიულ კონსტრუქციისათვის ფორმალურ კრიტერიუმს არ იძლევა².

ჩვეულებრივად მიღებულ საჯარო და კერძო სამართლის განსხვავებას Kelsen, მაშასადამე, უარჰყოფს. მაგრამ ამ განსხვავებას იგი მაინც ერთნაირ მნიშვნელობას მიაწერს; კერძო სამართლის სახით თავმოყრილია ყველა ის იურიდიული ნორმები, რომლებიც შეიცავენ სამართლის დარღვევის სპეციფიურ შე-

¹) „Vielmehr sind die subjektive Rechte aller dreier Gruppen hier ihrer Struktur nach gleich“ lb. 631.

²) lb. 631.

დებს: აღსრულებას; ამგვარად კერძო სამართალში მოთავსებულია იმ ნორმათა ერთ-ერთი ჯგუფი, რომლებსაც Kelsenის ტერმინოლოგიით ეწოდება ნორმები ვიწრო მნიშვნელობით; ამ ნორმებს ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით. სისხლის სამართალი კი შეიცავს ამავე ნორმების მეორე ჯგუფს. მაშასადამე, კერძო და სისხლის სამართალი, ერთად აღებული, წარმოადგენენ ნორმებს ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან ეს ნორმები შეადგენენ ობიექტური სამართლის იმ ნაწილს, რომელიც აწესებს ან სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სანქციას (აღსრულებას ან სასჯელს—Exekution oder Strafe). სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს შორის Kelsenი ნახულობს შინაგან ნათესაობას და გამოჰყოფს მათ სხვა ნორმებისაგან; მათი შინაგანი ნათესაობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნორმები, სახელმწიფოს მოვალეობის გარდა, ამყარებენ კიდევ სხვა სუბიექტების მოვალეობასაც. აქედან ცხადია, თუ რისთვის Kelsenს უსაფუძვლოდ მიაჩნია ის გაყოფა, რომელიც მიღებულია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში: ამ გაყოფის მიხედვით სისხლის სამართალი გადააქვთ საჯარო სამართალში და ამნაირად სისხლის სამართლის ნორმები, ე. ი. ნორმების ვიწრო მნიშვნელობით ერთ-ერთი ჯგუფი, მოშორებულია იმ დარგს, რომელსაც ისინი მათი შინაგანი ბუნებით ეკუთვნიან¹.

მაგრამ, მიუხედავად ნორმების ამ თავისებური დაყოფისა, რომელსაც ჩვენ ვხვდებით Kelsenის თეორიაში, მისი აზრით, ყველა ნორმები მაინც საჯარო ხასიათისაა; კერძო და საჯარო სამართალი არ უნდა იქნენ ერთმანეთისაღმი დაპირისპირებულნი, ვინაიდან კერძო სამართალი შედის საჯარო სამართალში, როგორც ერთ-ერთი მისი ნაწილი. საჯარო და კერძო სამართალი ერთმანეთს არ უარჰყოფენ; პირიქით, საჯარო სამართალი შეიცავს კერძო სამართალს. ამ ფართო საჯარო ხასიათის ნორმებს Kelsenი უწოდებს ნორმებს ფართო მნიშვნელობით.

ჩვენ ვნახეთ, რომ Kelsenს, ერთის მხრივ, ქვეშევრდომის უფლება ქვეშევრდომისა და სახელმწიფოს მიმართ, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს უფლება ქვეშევრდომების მიმართ გამოჰყავს იმ ნორმებიდან, რომლებსაც იგი უწოდებს ნორმებს ვიწრო მნიშვნელობით. მაგრამ უკვლების გამოყვანა, Kelsenის აზრით, შესაძლოა აგრეთვე სხვა ნორმებიდან; განსხვავება იმაშია, რომ უკანასკნელი ჯგუფის ნორმები ამყარებენ უფლებებს მხოლოდ სახელმწიფოს და არა სხვა სუბიექტების მიმართ².

ასეთია სუბიექტური სამართლის კონსტრუქცია Kelsenის მოძღვრებაში სუბიექტურ სამართალში Kelsenი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოვალეობის ცნებას; უკანასკნელი, მისი აზრით, სამართლის სისტემის უძირითადესი ცნებაა; მოვალეობა მას გამოჰყავს იურიდიული ნორმის ცნებიდან; სუბიექტური სამართლის მეორე შემადგენლობითი ელემენტიც—უფლებაც—ნორმის ცნებაზეა დაყვარებული; უფლება არის მხოლოდ იურიდიული ნორმის. სუბიექტივიზაციის

¹) Ib. 656.

²) „Nur Rechte gegen den Staat können nämlich jene Rechnessätze gewähren,... die nicht Rechtsätze im engeren Sinne sind, während die letzteren neben den Rechten der Untertanen gegen den Staat auch solche der übrigen Subjekte untereinander gewähren können“. Ib. 657

შედგე; როგორც მოვალეობა, ისე უფლება მხოლოდ იურიდიული ნორმის სუბიექტურ გამოხატულებას (die subjektiven Erscheinungsformen der Rechtsatzes) წარმოადგენენ.

იგივე თავისებური თვალსაზრისი შეაქვს Kelsen იურიდიული ნორმების განჯგუფების საკითხში. კერძო და საჯარო სამართლის განსხვავებას იგი უარყოფს; მისთვის მთელი სამართალი საჯარო ხასიათისაა; ტრადიციულად მიღებული ნორმების განჯგუფების მაგიერად იგი იძლევა ახალ განჯგუფებას.

თავი V.

KELSENის თეორიის შემდეგი განვითარება და მისი საერთო მნიშვნელობა.

Kelsenის მიზანია იურიდიული თეორიის აგება, რომელსაც უნდა ექნეს მწყობრი და ლოლიკურად მთლიანი ხასიათი; იგი ცდილობს მოგვეცეს ისეთი კონსტრუქცია, რომლის ყველა რგოლები ერთმანეთთან მკიდროდ უნდა იქნენ გადაბმული და ერთ მთავარ პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდნენ. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მან ამ მიზანს მიაღწია. მართლაც, როგორც იყო გამორკვეული, Kelsen სამართლის თეორიის ძირითადი ცნებები—ობიექტური სამართალი, სახელმწიფო, მოვალეობა, უფლება, იურიდიული ნორმების განჯგუფება და სხვა—იურიდიული ნორმის ცნების ლოლიკური განვითარების გზით გამოჰყავს. მაგრამ, მიუხედავად ამ ლოლიკური მთლიანობისა, Kelsenის მოძღვრებაში ეხვდებით ისეთ ელემენტებს, რომლებიც მის საერთო სისტემასთან შეთანხმებული არ არიან. შემდგომში, როდესაც Kelsenმა განავითარა თავისი თეორია და შეიტანა მასში სხვადასხვა ცვლილება, ეს უთანხმოება ცალკე ნაწილებისა საერთო სისტემასთან ბუნებრივად უფრო გაღრმავდა და უფრო საგრძნობი შეიქნა.

ჩვენს მიზანს შეადგენს: შესწავლა იმ ცვლილებებისა, რომლებიც Kelsen შეაქვს თავის იურიდიულ კონსტრუქციაში; გამოვკვევა, თუ რამდენად ეს ცვლილებანა შეთანხმებულია Kelsenის მოძღვრების საერთო საფუძვლებთან, ან თუ რამდენად ისინი ეწინააღმდეგებიან ამ საფუძვლებს და ამიტომ არღვევენ სისტემის ლოლიკურ მთლიანობას; დასასრულ, ჩვენ დავახასიათებთ Kelsenის მოძღვრების მნიშვნელობას თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში.

ცვლილება, რომელიც ემჩნევა Kelsenის თეორიის მისი უკანასკნელი, დამთავრებული სახით გამოხატება იმაში, რომ Kelsenმა აღიარა:

1. სახელმწიფოსა და სამართლის სრული იდენტურობა და
2. სამართლის დინამიკური ხასიათი.

ამ ორ მთავარ საკითხში Kelsenი გაჰოსთქვამს ახალ შეხედულებას. იმისათვის, რომ გავეცნოთ ამ ახალ შეხედულებას, უნდა მივმართოთ მის შრომას — „Der soziologische und der juristische Staatsbegriff“ და აგრეთვე ვიხელმძღვანელოთ „Hauptprobleme“-ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობით. პირველ საკითხში—თუ რა დამოკიდებულებაა სამართალსა და სახელმწიფოს შორის—„Hauptprobleme“-ში გამოთქმულია აზრი, რომელიც გვაძლევს საბუთს ვითქვით, რომ Kelsen სახელმწიფოსა და სამართლის სრული იდენტურობა არ სწამს; თვით სამართლის ბუნების განსაზღვრაში იგი ზოგჯერ გამოსთქვამს აზრს, რომელიც მის მიერ წამოყენებულ სამართლის წმიდა ფორმალურ კონსტრუქციას არ ეთანხმება. მართ-

ლატ. Kelsen, ერთის მხრივ, ცდილობს განდევნოს სამართლის დარგიდან ყველაფერი, რასაც კი რეალობის ხასიათი აქვს, გინაიდან სამართალი მისთვის წმიდა ვალდებულების სფეროს წარმოადგენს, მეორეს მხრივ კი, თითქოს შეაქვს სამართლის შესწავლაში სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდიც; ამგვარად ჩვენ ვლბებულვით შთაბეჭდილებას, რომ Kelsen თავის მეთოდის სიწმიდეს სასტიკად ვერ იცავს. „Hauptprobleme“ს ერთ ადგილას იგი ამბობს: „თავისთავად გასაკებია, რომ იურისტის სასტიკად ნორმატიული მეთოდი არის ცალმხრივი და მას სრულებით არ შეუძლია გაიგოს სამართლის მოვლენის მთლიანობა („Gesamt-Rechtsserscheinung“). არ შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ იურისტი ვერ აწარმოებს სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ისტორიულ გამოკვლევას. პირიქით! ასეთი საჭიროა; იურისტმა მხოლოდ უნდა იცოდეს, რომ იგი, როგორც სოციოლოგი, ფსიქოლოგი ან ისტორიკოსი, მიღის სულ სხვა გზით, ვიდრე ის გზა, რომელსაც იგი მიჰყავს მის სპეციფიურ იურიდიულ შემეცნებისაკენ; მას არასოდეს არ შეუძლია ექსპლიკატიური თვალსაზრისის შედეგები შეიტანოს ნორმატიულ ცნებათა კონსტრუქციაში“¹. ამ სიტყვებიდან ცხადად ირკვევა, რომ Kelsen თავისი თეორია საესებით ფორმალური სახით წარმოდგენილი არა აქვს; სამართლის ცნება, რომელიც მისი ძირითადი პრინციპის მიხედვით მხოლოდამხოლოდ ფორმალურ ვალდებულებას უნდა გამოხატავდეს, აქ დახასიათებულია, როგორც ისეთი მთლიანობა, რომელიც თავისი ყოველმხრივი შესწავლისათვის მოითხოვს გარდა იურიდიული მეთოდისა, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ისტორიულ კვლევა-ძიებას. იმისათვის, რომ მეცნიერმა შეისწავლოს სამართალი, როგორც „Gesamt-Rechtsserscheinung“, მან ექსპლიკატიური მეთოდითაც უნდა იხელმძღვანელოს; ეს კი ნიშნავს სამართლის დარგში რეალური ელემენტის შეტანას. რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება სრულებით არ ეთანხმება Kelsenის თეორიის საფუძვლებს; იმავე აზრის დასამტკიცებლად „Hauptprobleme“ დან მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს; როდესაც Kelsen არკვევს ტელეოლოგიური მეთოდის უფარვისობას სამართლის დარგში, იგი ამბობს: „სამართლის მეცნიერების მეთოდი, მიმართული ტელეოლოგიური კონსტრუქციის წინააღმდეგ, გამოდის იმ დებულებიდან, რომ იურისპრუდენციის საგანია მხოლოდ ფორმა იმ მოვლენისა, რომლის შინაარსს სოციოლოგია და ისტორიულ-პოლიტიკური დისციპლინები შეისწავლიან,—იმ მოვლენისა, რომელსაც, როგორც მთლიანობას (in ihrer Totalität) შეიძლება ეწოდოს „სამართალი“, თუკი შეგნებულა ის, რომ „სამართლის“ მეცნიერებისათვის მისი სპეციფიური შემეცნების საშუალებით მისაწვდომია მხოლოდ ერთი მხარე ამ „სამართლის“ მოვლენისა“². აქაც Kelsen სამართალს უყუარებს, როგორც „მთლიანობას“, რომელიც შეიცავს ორივე მომენტს—ნორმატიულსა და რეალურს; სამართალს აქვს ორი მხარე: ერთი გამოხატავს ვალდებულებას და შეისწავლება იურიდიული მეთოდის საშუალებით; მეორე კი ეკუთვნის არსს და შეადგენს სოციოლოგიისა და ისტორიულ-პოლიტიკურ მეცნიერებათა საგანს.

Hauptprobleme. S. 42.

²) Ib. 92.

ამგვარად Kelsen სამართლის განსაზღვრაში შეაქვს ორივე მომენტი, რაც, რასაკვირველია, მის სამართლის თეორიას სრულებით არ ეთანხმება; „ორმხრივობის“ თვისება ემჩნევა აგრეთვე მის შეხედულებას სახელმწიფოზე: აქაც ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოსა და სამართლის დამოკიდებულების საკითხში Kelsen „ორმხრივობის“ ცნება შეაქვს. იგი უარყოფს თეორიას, რომელიც სახელმწიფოს უყურებს, როგორც სამართლის „შემოქმედ ძალას“; „ასეთი დამოკიდებულება, ამბობს Kelsen, სახელმწიფოსა და საპარტალს შორის, რომლის თანახმად პირველი არის prius, ხოლო მეორე—posterius, გადაქრით უნდა იქნეს უარყოფილი, რადგან სახელმწიფო სამართლის გარეშე იმდენადვე წარმოუდგენელია, როგორც სამართალი სახელმწიფოს გარეთ; იურიდიული კვლევა-ძიება სამართლისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დასაბამს განცალკევებულად ვერ გვიჩვენებს. ექვს გარეშეა, რომ სახელმწიფო და სამართალი განხილული უნდა იქნენ, როგორც ერთდამივე მოვლენის ორი სხვადასხვა მხარე (Staat und Recht müssen zweifellos als zwei verschiedene Seiten derselben Tatsache betrachtet werden)“¹.

სახელმწიფოსა და სამართლის დამოკიდებულება Kelsen, მაშასადამე, წარმოდგენილი აქვს არა ისტორიული თანმიმდევრობის სახით, არამედ როგორც ისეთი მიმართება, სადაც ისინი ერთსადამივე ფაქტის ორ სხვადასხვა მხარეს შეადგენენ; აქ მოცემულია სახელმწიფოსა და სამართლის იდენტურობის ცნება, მაგრამ ეს იდენტურობა ჯერ კიდევ სრული სახით ჩამოყალიბებული არაა.

მაშასადამე, ორმხრივობის მომენტს Kelsen თეორიაში მისი პირვანდელი სახით ჩვენ ვხვდებით როგორც სამართლის განსაზღვრაში, ისე სახელმწიფოსა და სამართლის დამოკიდებულების დახასიათებაში. ბუნებრივია კითხვა, თუ რა გავლენით აიხსნება ამ ცნების შეტანა Kelsen თეორიაში, რომელიც თავისი საფუძვლებით და აგებულებით ამგვარ შეხედულებას ეწინააღმდეგება; ეს შეხედულება უეჭველად წარმოადგენს იმ თეორიის ზეგავლენის შედეგს, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია იურიდიულ მეცნიერებაში და რომელსაც ეწოდება Zwei-Seiten-Theorie. თვითონ Kelsen აღიარებს, რომ „Hauptprobleme“ ში გამოთქმულია აზრი, რომელიც Zwei-Seiten-Theories ემსგავსება: „Allerdings, ამბობს იგი, machen sich die „Hauptprobleme“ gelegentlich selbst eines Rückfalles in eine ganz ähnliche Zwei-Seiten-Theorie schuldig, wenn sie Recht und Staat als zwei Seiten eines und desselben Dinges—welches?—behaupten oder das Recht als die normale Soll-Form eines Phänomens bezeichnen, dessen Inhalt die natürlich realen, kausalgesetzlich determinierten Seinsvorgänge des sozialen Lebens sind“². ეს შეხედულება Kelsen „Hauptprobleme“-ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში უკვე მიუღებლად მიაჩნია, რადგან ის არ ეთანხმება Sein და Sollen წინააღმდეგობის პრინციპს³. თავისი თეორიის უმნიშვნელოვანეს მიღწევად იგი სთვლის სახელმწიფოსა და სამართლის წყობილების ერთიანობის შემეცნებას („die Erkenntnis der Einheit von Staat und Rechtsordnung“); როგორც შედარებით უმაღ-

1) Ib. 406.

2) Hauptprobleme. Zweite Auflage. Vorrede. XX.

3) Ib. XX.

ლესი იძულებითი წესრიგი ადამიანის ყოფაქცევისა, სახელმწიფო იგივეა, რაც სამართლის წყობილება („Als relativ höchste Zwangsordnung menschlichen Verhaltens ist der Staat mit der Rechtsordnung ident“) ¹. სახელმწიფო სამართლის თეორიისათვის სახელმწიფო არ წარმოადგენს ბუნებრივ რეალობას, რომელიც ემორჩილება მიზეზობრივ კავშირს; სახელმწიფო უნდა იქნეს განსაზღვრული, როგორც იურიდიული არსება (Rechtswesen) იურიდიული მეთოდის საშუალებით. როგორც პიროვნება, სახელმწიფო მიჩნეული უნდა იქნეს „ჩათვლის საბოლოო პუნქტად“, სპეციფიური იურიდიული შემეცნების საშუალებად. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ ესმის Kelsenს „ჩათვლის საბოლოო პუნქტი“. ის აზრი, რომ სახელმწიფო არის მხოლოდ სამართლის წყობილების გამოხატულება, მხოლოდ ამ წყობილების პერსონიფიკაცია, უკვე გამოთქმული იყო „Hauptprobleme“ში; მაგრამ იქ, როგორც ლაპარაკობს Kelsen, პერსონიფიკაციის ბუნების სრული ცოდნის უქონლობამ ხელი შეუშალა იმის შეგნებას, რომ პერსონიფიკაციაქმნილი ობიექტი და ნისი პერსონიფიკაცია შედგენენ არა ორ სხვადასხვა საგანს, არამედ ერთ საგანს; თუმცა „Hauptprobleme“ ძლიერ უახლოვდება სწორ აზრს, მაგრამ იგი მაინც ვერ თავისუფლდება იმ შეხედულებისაგან, რომ სახელმწიფო და სამართალი ერთისადიათავე საგნის ორი სხვადასხვა მხარეა; აქ ის, რაც არსებითად უკვე მიჩნეულია როგორც იდენტური, მაინც წარმოდგენილია, როგორც ორი განსხვავებული მხარე. ამის მიზეზს Kelsenი ხედავს იმ შეხედულებაში, რომელიც სამართლის წყობილებას ვიწროდ ახასიათებს, ვინაიდან მას ეს წყობილება ესმის მხოლოდ ზოგადი იურიდიული ნორმების მნიშვნელობით; სამართლის წყობილება ამ მნიშვნელობით არ შეიძლება გაიგივებული იქნეს სახელმწიფოსთან, რადგან სახელმწიფო განსაკუთრებული სიტხადით ამჟღავნდება ინდივიდუალურ იურიდიულ აქტებში ².

სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ პირს, Kelsenი იურიდიული პიროვნების საერთო ცნებას უკავშირებს. როგორ ესმის მას იურიდიული პიროვნება? „პიროვნება“ (Person) არის პერსონიფიკაცია სამართლის ნორმებისა, რომლებიც აწესებენ ადამიანის ყოფაქცევას; ის, რომ პიროვნებას აქვს მოვალეობა, ნიშნავს, რომ იურიდიულად სავალდებულო ყოფაქცევა დაკავშირებულია ნორმითა სისტემასთან. Kelsenის აზრით, სწორად რომ ვილაპარაკოთ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ სამართლის წყობილება აკისრებს პირებს მოვალეობას, რადგან პირები ამ წყობილების ნაწილებია; იურიდიულ წყობილებასა და პირებს შორის მთლიანობისა და ნაწილის დამოკიდებულება არსებობს. სახელმწიფოს პიროვნებას კი ამ მხრივ თავისებური მდგომარეობა უკავია: იგი გამოხატავს არა სამართლის წყობილების ერთ რომელიმე ნაწილს, არამედ ამ წყობილების მთლიანობას (Ganzheit); აქედან Kelsenი დაასკვნის, რომ სახელმწიფოს, როგორც იურიდიული სუბიექტისა, და სამართლის წყობილების სრული იდენტურობის შეგნება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გვეჩვენება მთლიანი ცნება იურიდიული პიროვნების შესახებ ³.

¹) Ib. XVI.

²) Ib. XVII.

³) Ib. XVIII.

⁴) Ib. XIX.

თუ მიღებულია სახელმწიფოსა და სამართლის იგივეობა, აშკარაა, რომ ამით სავსებით იქნება დაძლეული ეგრეთწოდებული *Zwei-Seiten-Theorie*, რომლის ერთგვარი გავლენა ემჩნევა Kelsenის მოძღვრებას მისი პირუანდელი სახით.

რას ამტკიცებს *Zwei-Seiten-Theorie* და როგორია ის მოსაზრებანი, რომლებიც მოჰყავს Kelsenს თავის შრომაში „*Der soziologische und der juristische Staatsbegriff*“, სადაც მისი მოძღვრება დასრულებული სახით არის ჩამოყალიბებული?

თვითონ Kelsenი ახასიათებს *Zwei-Seiten-Theorie*ს ბუნებასა და მის სახეებს. Kelsenის აზრით, ამ თეორიის საშუალებით გაბატონებული მიმაოთულება ცდილობს შეასუსტოს სახელმწიფოსა და სამართლის დუალიზმი; ეს ხდება იმით, რომ სახელმწიფო და სამართალი აღიარებულია არა როგორც ორი განცალკევებული საგანი, არამედ როგორც ორი სხვადასხვა მხარე ერთდამივე საგნისა. ამ შეხედულებით სახელმწიფო მიჩნეულია, როგორც ფაქტიური მხარე (*Faktizität*), ხოლო სამართალი, როგორც ნორმატიული მხარე (*Normativität*). მაგრამ ფაქტიურობა შეიძლება მიეწეროს სამართალს იმავე მნიშვნელობით, როგორც სახელმწიფოს და, მეორეს მხრივ, ნორმატიობა მიეწეროს სახელმწიფოსაც და სამართალსაც; ეს უქანასკნელი შეხედულება არსებობს: ჩვენ ეხედებით იურისტებს, რომლებიც სამართალს ეძებენ რეალურ ფაქტებში და აგრეთვე მეცნიერთ, რომლებიც სახელმწიფოს უყურებენ, როგორც ნორმატიულ წყობილებას. უველაზე უფრო გავრცელებულია ის ფორმა *Zwei-Seiten-Theorien*სა, რომელიც ფიქრობს, რომ სახელმწიფოს აქვს ორი სახე—რეალური და იდეალური, რომელსაც ეთანაბრება ორი სხვადასხვა მეთოდი—ეკსპლიკატიური და ნორმატიული. სხვადასხვა ავტორები *Zwei-Seiten-Theorie*ს ანეითარებენ როგორც სოციოლოგიურის, ისე იურიდიული თვალსაზრისით. სოციოლოგიურის მხრივ ამ თეორიას ემბრობა და სახელმწიფოს ბუნებას იკვლევს Kistiakowski; იურიდიულის მხრივ კი ამ თეორიის მთავარ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს G. Jellinek. Kelsenი იძლევა ორივე ავტორის კრიტიკას¹. ჩვენ არ შევეუდგებით იმის განხილვას, თუ რა მოსაზრებები მოჰყავს Kelsenს მათ წინააღმდეგ; ჩვენი მიზნებისათვის საკმარისი იქნება აღვნიშნოთ ის ზოგადი ხასიათის არგუმენტი, რომლითაც Kelsenი ცდილობს დაამტკიცოს *Zwei-Seiten-Theorie*ს უსაფუძვლობა.

ავიღოთ ამ თეორიის მთავარი ფორმა. რას ამტკიცებს იგი? იგი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს აქვს ორი არსებითად განსხვავებული მხარე: ფაქტიური, რომელიც შეიცნობა კაუზალური მეთოდის საშუალებით და ნორმატიული, რომლის შესწავლა წარმოებს იურიდიული მეთოდის საშუალებით. მაგრამ, ამბობს Kelsen, თუ სახელმწიფო შეიცნობა იურიდიულად, იგი უნდა იყოს სამართალი, ვინაიდან რაიმესი იურიდიულად შეცნობა ნიშნავს მის შეცნობას, როგორც სამართლისას; ეს თავისთავად ცხადია; მაგრამ, მიუხედავად ამ სიცხადისა, გაბატონებული სამართლისა და სახელმწიფოს მოძღვრება ამ შეხედულებისაგან ძლიერ დაშორებულია; მას შესაძლოდ მიაჩნია იმავე საგნის, რომელსაც იგი იურიდიულად განსაზღვრავს, კიდევ სხვა თვალსაზრისით განხილვა, თუმცა ეს.

¹) *Der soziologische und der juristische Staatsbegriff*. 1922. §§ 19, 20.

უკანასკნელი იურიდიული თვალსაზრისისაგან არსებითად განსხვავდება. კაუზალური შემეცნება მიმართული უნდა იქნეს ბუნებრივ სინამდვილეზე, ხოლო იურიდიული — ნორმაზე, ვალდებულებაზე. შემეცნების საგანსა და მეთოდს შორის აუცილებელი კორრელაცია არსებობს; თუ სპეციფიური მეთოდი განსაზღვრავს სპეციფიურ საგანს და, პირიქით, საგანი განსაზღვრავს მეთოდს, მაშინ შეუძლებელია, რომ ორი სხვადასხვა გზით მიმართულ შემეცნების საშუალებით აღმოჩენილი იქნეს ერთიდაიგივე შემეცნების საგანი, შეუძლებელია, რომ ის, რაც შეისწავლება ერთდამივე დროს კაუზალური და ნორმატიული თვალსაზრისით, იქნეს ერთიდაიგივე იდენტური სახელმწიფო¹. ამგვარი შეხედულების ძირითადი შეცდომა იმის დაშვებაშია, რომ თითქოს ნორმატიობა და ფაქტიურობა შეიძლება ეხებოდეს ერთსადაიმევე საგანს („Der grundlegende Fehler liegt eben in dem immer wieder hervorzuhebenden Irrtum, als ob Normativität oder Faktizität sich auf dasselbe Ding beziehen könnte“). Kelsenის აზრით, აქ სინამდვილეში მოცემულია ორი სულ სხვადასხვა საგანი: ნორმატიობა გულისხმობს სულიერ შინაარსს (geistige Inhalt), ხოლო ფაქტიურობა — ფსიქიურ პროცესს².

ამ საკითხებთან დაკავშირებით საკიროა გამოკვლევა, თუ როგორ უყურებს Kelsen იმ თეორიებს, რომლებიც იძლევიან სოციალურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ (Soziallehre vom Staat); ეს სოციალური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, ჩასაკვირველია, მიჩნეულია, როგორც სოციოლოგიის შემადგენლობითი ნაწილი; სოციოლოგიური თვალსაზრისი დამახასიათებელია არა მარტო Zwei-Seiten-Theorieსათვის; მას ვხვდებით იმ მოძღვრებაშიც, რომელიც სახელმწიფოსა და სამართალს სთვლის ორ განსხვავებულ არსებად (zwei voneinander verschiedene Wesenheiten). უკანასკნელისათვის სახელმწიფო წარმოადგენს მოქმედ ძალას (Kraft, Macht, Gewalt), რომელიც დგას სამართლის გარეთ და რომელსაც სამართალი იდეალობის, ე. ი. ცარიელი Sollenის, სფეროდან რეალობაში გადაწყაეს; ეს ძირითადი წარმოდგენა სხვადასხვა თეორიაში არის გამოთქმული; ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო „წარმოშობს“ სამართალს ანდა უზრუნველყოფს, ახორციელებს მას, ზოგჯერ კი, რომ სახელმწიფო არის სამართლის მატარებელი (Träger des Rechtes), გარეგანი, იძულების მატერიალური აპარატი, რომელიც იდეალურ სამართალს ატარებს ცხოვრებაში. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ძირითადი ტენდენცია ყოველგან ერთიდაიგივეა: სახელმწიფო აქ წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი ზეადამიანი, რომელიც სამართალს „აწესებს“, „ახორციელებს“ და სხვ.³ სახელმწიფოს აქ საზოგადოებრივი კავშირის მნიშვნელობა ენიჭება და ამ სახით იგი სამართლისაგან, ე. ი. ნორმისაგან, გამოყოფილია.

სოციოლოგიურ მიმართულებას, მაშასადამე, სახელმწიფო საზოგადოებრივი კავშირის ერთ-ერთ სახედ მიაჩნია. მაგრამ, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს კავშირი? ამ საკითხის დასმით Kelsenს გადადის სოციოლოგიის დარგში და იძ-

¹) Ib. S. 106.

²) Ib. S. 106.

³) Ib. S. 2,3.

ლევა სხვადასხვა თეორიებისა და მათი საერთო პრინციპის შეფასებას; ამ შეფასების შედეგი, როგორც ვნახეთ, სოციოლოგიისათვის სასარგებლო არაა. Kelsenის აზრით, თუ სოციოლოგია თავის გამოკვლევებში სახელმწიფოს ცნებით ხელმძღვანელობს, იგი სინამდვილეში ეკრძნობა სახელმწიფოს იურიდიულ ცნებას, რომელიც სულ სხვა დარგს ეკუთვნის; თანამედროვე სოციოლოგიაში შეუმჩნეველად გამოყენებულია მისთვის სრულიად უცხო ცნება და ამგვარი ნდგომარეობის ბუნებრივი შედეგია ის, რომ სოციოლოგია ზოგჯერ ნორმატიული მეცნიერების ხასიათს ღებულობს, როგორც ამას აქვს ადგილი, მაგალითად, Spencersისა და Durkheimის მოძღვრებაში. სახელმწიფოს ცნება სოციოლოგიისათვის მიუწევდომელია, რადგან სოციოლოგიის მეორეი კაუზალური ხასიათისა და მიმართულია არსის შესწავლაზე, სახელმწიფოსა და სამართლის მეთოდი კი არის ნორმატიული და მხოლოდ ვალდებულებას გამოხატავს; ამ ორი მეთოდის აღრევა ერთმანეთში ყოველთვის იწვევს სხვადასხვა ნეცნიერების პრინციპების აღრევას.

რადგან Kelsenის არგუმენტაცია ამ საკითხში დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც იურისტიკისათვის, ისე სოციოლოგიისათვის, აქ მოკლედ შევჭერდებით იმ მოსაზრებებზე, რომლითაც იგი თავის შეხედულებას ასაბუთებს.

თუ სახელმწიფოს, ამბობს იგი, როგორც სოციოლოგიის საგანს, „რეალობა“ მიეწერება, ეს რეალობა უნდა იქნეს ისეთივე ხასიათის, როგორც საერთოდ ყოველივე სოციალური ფაქტი. თანამედროვე სოციოლოგიაში სოციალური ფაქტი გაგებულია ფსიქიური პროცესის მნიშვნელობით და ამავე დროს, როგორც სპეციფიური კავშირი (Verbindung) ადამიანთა შორის, რომელიც გამოიხატება ფსიქიურ ურთიერთმოქმედებაში (Wechselwirkung), ე. ი. იმაში, რომ ერთი ადამიანი ფსიქიკა ახდენს გავლენას მეორე ადამიანის ფსიქიკაზე და, თავის მხრივ, განიცდის უკანასკნელის გავლენას. ამგვარად, სოციალური ფაქტის სფეროდ გაბატონებული სოციოლოგიური შეხედულებით მიჩნეულია ფსიქიური ქვეყანა და არა ფიზიკური. მაგრამ თუ სახელმწიფო იქნა გაგებული ფსიქიური ფაქტის მნიშვნელობით, მაშინ როგორ უნდა შევთანხმდეთ ეს ვრცეულობის გარეშე მდგომი ფსიქიურობა სახელმწიფოს ვრცეულობით თვისებებს, როგორცაა, ტერიტორია და ხალხი? უკვე იმიდან, რომ ეს პრობლემა ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური თვალსაზრისით აუხსნელი რჩება, მტკიცდება ამ თვალსაზრისის შეუძლებლობა¹. რომ დაუყვირდეთ Kelsenის ამ არგუმენტს, შევეჩვენეთ, რომ იგივე მოსაზრება შეიძლება მოყვანილი იქნეს თვით Kelsenის მოძღვრების წინააღმდეგ, რადგან სახელმწიფო, როგორც იდეალური ვალდებულების გამოხატულება, არ ეთანხმება სახელმწიფოს ვრცეულობით ნიშნებს—ტერიტორიასა და ხალხს. მაგრამ Kelsenის მთავარი არგუმენტი სოციოლოგიური მეთოდის წინააღმდეგ ეს არაა; მთავარი არგუმენტი შემდეგია.

სოციოლოგიისათვის სახელმწიფო შეადგენს ადამიანთა კავშირის ფსიქიური ურთიერთმოქმედების მნიშვნელობით. მაგრამ, Kelsenის შეხედულებით, ყოველივე ურთიერთმოქმედება სოციალური ელემენტების კავშირს არ ნიშნავს.

¹) Ib. S. 7.

სოციოლოგიური გამოკვლევა უპირისპირებს ერთმანეთს ორ მოვლენას: ასოციაციას, რომელიც ჰქმნის საზოგადოებას, როგორც ერთიანობას, და დისოციაციას, რომელიც საზოგადოებას არღვევს. ურთიერთმოქმედება ადამიანთა შორის კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მოცემულია ის სპეციფიური კავშირი, რომელიც უბრალო მრავლობიდან ჰქმნის საზოგადოებას; საზოგადოებაში არსებობს ეკონომიური, სარწმუნოებრივი და სხვაგვარი წინააღმდეგობა; რა თქმა უნდა, იმით, რომ ერთი ინდივიდი ან ჯგუფი ეწინააღმდეგება მეორე ინდივიდს ან ჯგუფს, ისინი საზოგადოებიდან არ გამოდიან, მაგრამ ინდივიდი იმყოფება საზოგადოებაში არა „ურთიერთმოქმედების“, არამედ იმ კავშირის გამო, რომელიც მას სხვებთან აერთებს რომელიმე ჯგუფში. ვისაც „ურთიერთმოქმედება“ მიაჩნია საზოგადოების საფუძვლად, მან უნდა ახსნას „შემაერთებელი“ ურთიერთმოქმედების თავისებურება შედარებით იმ ურთიერთმოქმედებასთან, რომელიც „ჰყოფს“, თიშავს; მაგრამ ეს Kelsen უიმედო საქმედ მიაჩნია, რადგან ის, რასაც სოციოლოგები „კავშირს“ (Verbindung) უწოდებენ, ურთიერთმოქმედების ცნებას საშუალებით არ გამოიყვანება; ეს უკანასკნელი ცნება არ ხასიათდება იმ თვისებით, რომელიც „კავშირის“ ცნებას ეკუთვნის. „კავშირი“ რომ იგივე იყოს, რაც ფსიქიური ურთიერთმოქმედება, მაშინ არც დაყოფასა და დიფერენციაციას ექნებოდა ადგილი და მხოლოდ ერთად ერთი საზოგადოება იარსებებდა¹. თუ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ ამ შემაერთებელი ურთიერთმოქმედების კრიტერიუმით, მაშინ სრულიად შეუძლებელია უთვალავ ჯგუფებიდან, რომლებიც შეადგენენ კაცობრიობას, გამოყოფა და შეცნობა იმ განსაკუთრებული კავშირისა, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება; ოჯახი, ეროვნება, მუშათა კლასი, სარწმუნოებრივი საზოგადოება—ყველა ესენი ამ თვალსაზრისით იქნებოდნენ ურთიერთმოქმედების გზით ერთგვარად შეკავშირებული ერთეულები და მათი ერთმანეთისაგან და სახელმწიფო კავშირისაგან განსხვავება შესაძლო გახდებოდა ამ ერთეულების და განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ისეთი ცნების საშუალებით, რომელსაც სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური ხასიათი არ ექნებოდა.

თანამედროვე სოციოლოგია, Kelsenის აზრით, სოციალურ სინამდვილეს უყურებს სწორედ ასეთი ცნების თვალსაზრისით, რომელიც გადმოტანილია სხვა რეცენერებიდან². სახელმწიფოს ერთიანობა ნაგულისხმევია, როგორც მოცემული. თუ წივილეთ მხედველობაში ასოციაციის დამრღვევი ძალები, მაშინ სრულიად გაუგებარია, როგორ ხდება ის, რომ ეკონომიური, ეროვნული, სარწმუნოებრივი ან სხვა ინტერესებით განსაზღვრულ ჯგუფებში შეერთებული, ხოლო ამ ჯგუფების გარეშე იმავე ინტერესებით განცალკევებული ადამიანები, რომელთა შეკავშირება შესაძლოა სამართლის, ე. ი. ვალდებულებების, ნორმის საშუალებით, ფაქტიურადაც უნდა იქნენ შეკავშირებულნი, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა; თუ სოციოლოგია სახელმწიფოებრივ კავშირში არკვევს კლასთა ეკონომიურ დანაშაფს, მაშინ მტკიცება იმისა, რომ ეკონომიური ინტერესებით გაყოფილი

¹) Ib. 7, 8.

²) „Dass man in der modernen Soziologie mit einem solchen von einer anderen Disziplin hergehobten Begriff des Staates ausgerüstet, an die vermeintliche soziale Wirklichkeit herantritt kann keinem Zweifel unterliegen“. ib. 8.

ინდივიდები შეერთებულია სახელმწიფოს მიერ, გამოუვალ წინააღმდეგობას წარმოადგენს; აქ ლაპარაკია ფსიქოლოგიური რეალობის, ე. ი. ცნობიერების ფაქტების შესახებ; ამიტომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მწარმოებელი და მუშა ერთდამივე დროს გაყოფილი არიან კლასობრივი წინააღმდეგობის ცნობიერებით და შეერთებული სახელმწიფო კავშირის შეგნებით; იმისათვის, რომ სახელმწიფო კავშირმა იარსებას, როგორც სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიურმა ერთიანობამ, საკიროა, რომ კლასობრივი წინააღმდეგობა გაქრეს ცნობიერებიდან. კლასობრივი, ეროვნული და სხვა ინტერესები შეიძლება უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოებრივი ცნობიერება, შესაძლოა, რომ ისინი აკავშირებენ სოციალურ ჯგუფებს იურიდიული საზღვრების მიუხედავად; ამ შემთხვევაში სახელმწიფოს იურიდიული ერთიანობა და ამ იურიდიულ ფარგლებში მოქცეული სოციალური ჯგუფი უკვე ერთიდაიგივე არ იქნებოდა ¹.

ფსიქოლოგიურ საფუძველზე დამყარებული სოციოლოგია სცვლის თავის მიმართულებას, როდესაც იგი ფსიქიური „ურთიერთმოქმედების“ ცნებიდან გადადის იმ სოციალური ფორმების (soziale Gebilde) შესწავლაზე, რომლებიც ამ ურთიერთმოქმედებიდან გამომდინარეობენ და სოციოლოგიის სპეციფიურ საგანს შეადგენენ. სოციოლოგია ამ საგნის შესწავლაში სრულებით ახალი მეთოდით სარგებლობს. Kelsenი ფიქრობს, რომ აქ სოციოლოგები, უმეტეს შემთხვევაში მათთვის შეუმჩნევლად, სტრუქტურულ ფსიქოლოგიურ ნიადაგს და გადადიან სულ სხვა სფეროში, სადაც ჰქმნიან ყალბ ცნებებს, ყალბს იმეტი, რომ მათ ენიჭებათ მათთვის უცხო, ე. ი. ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. სოციოლოგია ამტკიცებს, რომ სოციალურ ფორმებს, რომლებიც „მაგრდებიან“. „მკვირვდებიან“ ურთიერთმოქმედების ნიადაგზე, აქვთ ზეინდივიდუალური ბუნება. მაგრამ, რადგან ფსიქიურს აქვს ადგილი მხოლოდ ინდივიდში, ყველაფერი ზეინდივიდუალური, ე. ი. ის, რაც მდებარეობს ინდივიდის გარეშე, მეტაფსიქოლოგიური ხასიათისაა; უკვე ინდივიდთა შორის „ურთიერთმოქმედების“ ცნება ზეინდივიდუალურსა და მეტაფსიქოლოგიურს გულისხმობს. სოციოლოგებს, Kelsenის აზრით, ამის შეგნება არა აქვთ; ისინი ფიქრობენ, რომ ფსიქიურიდან შესაძლოა „ურთიერთმოქმედების“ საშუალებით გადასვლა ზეინდივიდუალურზე როგორც ფსიქიურის უფრო მაღალ ფორმაზე. სინამდვილეში კი აქ ხდება *ματαχθαις εις άλλε γήσας*; ამ გზით შეიძლება ინდივიდუალური სულის გარდა დაშვება კოლექტიური სულისა, რომელიც ინდივიდის გარეშე არსებობს; სოციოლოგია მაინც ამგვარ შეხედულებიდან დიდად დაშორებული არაა ². სოციოლოგები სოციალურ ფორმებს ობიექტივობას მიაწერენ. მაგრამ სინამდვილეში ერთად ერთი რეალური არის ის ფსიქიური პროცესი, რომელიც ინდივიდში ხდება. ფსიქოლოგიური სოციოლოგიისათვის მხოლოდ ამ ინდივიდუალური ფსიქიკის ფაქტებს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. გაურკვეველია, თუ როგორ ეს რეალური სუბიექტური პროცესი მხოლოდ უბრალო გამარაგებისა და მიმატების საშუალებით იქცევა ობიექტურ რეალობად. ცარიელი სიტყვაა იმის მტკიცება,

¹) Ib 10

²) Ib. 34.

რომ სოციალურ ფორმებს აქვთ სინთეტიური ხასიათი, რომ ისინი წარმოადგენენ მეტ რასმე, ვიდრე ფსიქიური ელემენტების უბრალო ჯამს, რომ ეს ფორმები მეტია, ვიდრე წარმოდგენათა, გრძნობათა ან ნებისყოფათა აგრეგატი, რომ მათ აქვთ შემოქმედი ძალა და სხვა¹.

დახასიათებულ სოციოლოგიურ შეხედულებას ემზრობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიული თეორია; მაგრამ ეს თეორია სოციალურ ფორმებში ხედავს არა მარტო ფსიქიურ კავშირს, არამედ ორგანიულ კავშირსაც; სახელმწიფოს სული თითქოს სახელმწიფო ორგანოებში ცოცხლობს; სახელმწიფო ორგანიზმის არსებობას ორგანიული თეორია გარკვეულად ამტკიცებს. ორგანიული თეორია Kelsenს მხოლოდ ფსიქოლოგიური სოციოლოგიის განვითარებად მიიჩნია. „ურთიერთმოქმედების“ ცნებაში, რომელიც სოციალური ფორმების საფუძვლად ითვლება, Kelsenი ხედავს საერთო წყაროს როგორც სახელმწიფო ორგანიზმისა, ისე სახელმწიფო სულისა. თუმცა ფსიქოლოგიური სოციოლოგია უარყოფს მითოლოგიური ორგანიზმის თეორიის შედეგებს, მაგრამ იგი მაინც იძულებულია მიმართოს ორგანიზმის ცნებას უფრო მეტი მნიშვნელობით, ვიდრე უბრალო ანალოგიის სახით, იმ მიზნით, რომ გასაგები იქნეს, თუ რაა ადამიანთა „რეალური“, „ობიექტური“ კავშირი; ისინიც კი, რომლებიც ორგანიულ თეორიას უარყოფენ, მაინც დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი კავშირი უბრალო მექანიკური კავშირი არაა; ანორგანიული მასსა, აგრეგატი არის მხოლოდ გარეგანი ერთიანობა; მაგრამ საზოგადოების შინაგანი კავშირი ორგანიული ხასიათის უნდა იყოს; ორგანიზმის ცნებით მხოლოდ შეგდარება არაა ნაგულისხმევი. ამ მოსაზრების გამო Kelsenი ფიქრობს, რომ მთელი განსხვავება ორგანიულსა და ფსიქოლოგიურ თეორიას შორის იმაშია, რომ პირველი სრულიად კონსექვენტურად აღიარებს სოციალური სულის გარდა სოციალური ორგანიზმის არსებობასაც, ხოლო მეორე კმაყოფილდება ორგანიული კოლექტიური სულის ცნებით².

Kelsenს მოყავს Simmelის შეხედულება იმ სოციოლოგიურ მოძღვრებაზე, რომელიც „ხალხის სულს“, „საზოგადოების ცნობიერებას“ რეალურ შემოქმედ ძალად სთვლის. ამ შეხედულებას Simmelი უყურებს, როგორც ერთგვარ მისტიციზმს. ამ მისტიციზმის თავიდან ასაცილებლად Simmelი ასხვავებს კონკრეტ ფსიქიურ ფაქტებს, რომლებშიაც სხვადასხვა სოციალური მოვლენები, როგორიცაა, ზნე ჩვეულება, ენა, კულტურა, სამართალი, სარწმუნოება და სხვ. ნამდვილად არსებობენ და ამ სოციალური ფორმების იდეალურ შინაარსს (Simmelი ამბობს: „ideellen, für sich gedachten Inhalten“). Kelsenი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ განსხვავებით უკვე დატოვებულია ის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელზედაც Simmelი, და მასთან ერთად სოციოლოგთა უმრავლესობა, სოციოლოგიას აშენებენ. თუკი სახელმწიფო, ამბობს Kelsenი, ისე, როგორც სხვა სოციალური ფორმა, წარმოადგენს ფსიქიური პროცესის შინაარსს (Inhalt) და არა თვით ამ პროცესს, თუ სოციოლოგია ამ შინაარსს შეისწავლის და არა იმ სუ-

1) Ib. 35. 36.

2) Ib. 38.

ლიერ პროცესს, რომელიც მისი მატარებელია, ისე, როგორც, მაგალითად, სამკუთხედი, თუმცა წარმოდგენაა, ე. ი. ადამიანის ფსიქიურ ფაქტთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც გეომეტრიის საგანი, იგი შეისწავლება მხოლოდ როგორც ფსიქიური აქტისაგან დამოუკიდებელი შინაარსი, — მაშინ სოციოლოგიას იმნაირადღე არ შეუძლია შეიცნოს „სახელმწიფო“ ან სხვა რომელიმე სოციალური ფორმა, როგორც ფსიქოლოგიას არ შეუძლია დაიკავოს გეომეტრიის ადგილი; მაშინ ფსიქოლოგიური გამოკვლევა სოციოლოგიაში იმგვარადღე უაზროა, როგორც ფიზიკაში; ასეთი გამოკვლევა სოციალურ ცნებათა განსაზღვრაში უმნიშვნელოა ისე, როგორც, მაგალითად, პითაგორის თეორემის განსაზღვრაში; სახელმწიფოს გავება ფსიქიურ ურთიერთობათა რეალურ ერთიანობის მნიშვნელობით ნიშნავს იმასვე, რაც ელიპსის თავისებურების გამოყვანა რომელიმე ფსიქიური აქტის თვისებებიდან ¹.

ყოველივე „ცნება“ ფსიქოლოგიურად წარმოიშობა და რეალურად კონკრეტ პროცესში არსებობს. მაგრამ შეუძლია ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიებას მოგვეცეს მისი სპეციფიური შინაარსი, თუ არა? რა თქმა უნდა, რომ Kelsenის თვალსაზრისით ეს შეუძლებელია. Simmelის სოციოლოგიური მისტიციზმის თავიდან ასაცილებლად ანსხვავებს „კონკრეტ სულიერ პროცესებს“ და მათ „იდეალურ შინაარსს“; ამ იდეალური შინაარსის სპეციფიურ არსებობას იგი გამოხატავს სიტყვით — „Gelten“. ამ მნიშვნელობას მიაწერს იგი სოციალურ ფორმებს, როგორიცაა, სამართალი, ენა, კულტურა და სხვა. Simmelის აზრით, „Gültigkeit“ ფსიქოლოგიური პროცესისაგან დამოუკიდებელია. აქედან Kelsen გამოყავს დასკვნა, რომ, თუ სახელმწიფო, როგორც სოციალური ფორმა, არსებობს სპეციფიური „Gültigkeit“-ის მნიშვნელობით, რომელიც ფსიქიური რეალობისაგან გამოყოფილია, მაშინ სრულიად გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფოს ერთიანობა თითქოს ფსიქიურ ურთიერთ მოქმედებაში უნდა იქნეს აღმოჩენილი ².

სახელმწიფო, მაშასადამე, იდეალურ შინაარსს წარმოადგენს; მაგრამ ამით სახელმწიფოს სრული ცნება ჯერ კიდევ მიღებული არაა; პრობლემა აქ მხოლოდ იწყება. შემეცნების საგანია ფსიქიური პროცესების შინაარსი (Inhalt seelischer Vorgänge) თვით ამ პროცესების გამორიცხვით; აქ მოცემულია მხოლოდ უარყოფითი განსაზღვრა — აღიარებულია, რომ სახელმწიფოს ფსიქოლოგიური ხასიათი არა აქვს. ამიტომ Kelsenი ცდილობს მოვეცეს სახელმწიფოს დადებითი განსაზღვრაც. რომ დაუუკვირდეთ, ამბობს იგი, თუ როგორ ახასიათებს სოციოლოგია საერთოდ საზოგადოებრივ „ფორმებს“ (Gebilde) და კერძოდ სახელმწიფოს, გარკვეულად აღმოვაჩინოთ იმ მიმართულებას, რომლითაც უნდა ვეძიოთ სახელმწიფოს შინაარსი. საგულისხმოა ის, რომ სოციოლოგია, რომელიც სოციალური ფორმების გამოკვლევაში კაუზალური მეთოდით ხელმძღვანელობს, მიაწერს სახელმწიფოს ინდივიდების მიმართ ზემდებარე მდგომარეობას (Ueberordnung). სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო სინთეზია ელემენტურ-

1) Ib. 41.

2) Ib. 43.

ბისა, რომლების მიმართ იგი რაღაც „უფრო მაღალს“ (adhères) წარმოადგენს. ამავე დროს ცხადია, რომ სახელმწიფოს უფრო მაღალი მდგომარეობა მხოლოდ ლოლიკური ხასიათის არაა, არამედ გამოხატავს სახელმწიფოს სპეციფიურ ღირებულებას ანდა მეტიღირებულებას (Mehrwert). კაუზალური, წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისი ამგვარ ცნებას ვერ მოგვეცემს, რადგან ცხადია, რომ აქ ხდება შეფასება (Wertung), რომელიც კაუზალურ შემეცნებისაგან არსებითად განსხვავდება. სახელმწიფოს უფრო მაღალი მდგომარეობის ცნებაში გამოიხატება აზრი, რომ სახელმწიფო ღირებულებაა და ამ ღირებულებას აქვს ობიექტური ხასიათი. ამგვარად, დაასკენის Kelsenი, სოციოლოგია ფსიქოლოგიის სფეროდან გადადის ვალდებულებების, ღირებულების ქვეყანაში, ე. ი. ნორმების ქვეყანაში. სახელმწიფოს ერთიანობა სინამდვილეში ღირებულებათა სისტემის ერთიანობას წარმოადგენს¹.

ამ მოსაზრებებით ასაბუთებს Kelsenი თავის აზრს, რომ სოციოლოგია დანოქციდებლად კი არ ჰქნის სახელმწიფოს ცნებას, არამედ სარგებლობს იმ ცნებით, რომელიც შემუშავებულია იურიდიულ მეცნიერებაში; მაგრამ Kelsenი ამით კიდევ არ კმაყოფილდება; იგი ამტკიცებს, რომ ცალკე სოციოლოგიურ სისტემებს აქვთ ნორმატიული ხასიათი. თანამედროვე სოციოლოგია ნორმატიული მეთოდით ხელმძღვანელობს; მხოლოდ ეს მეთოდი ფარული ხასიათისაა; ასეთი კოიპტო-იურიდიული მეთოდის ტიპიურ მაგალითს Kelsenი ხედავს Spencersის თეორიაში. Spencersის სოციოლოგია ბუნებისმეტყველების საფუძველზეა აგებული და ბიოლოგიის გარკველებას წარმოადგენს; Spencersი ასხვავებს ანორგანიულს, ორგანიულსა და ზეორგანიულს განვითარებას და ამის მიხედვით სამგვარ „აგრეგატს“ ასხვავებს: ანორგანიულს, ორგანიულსა და ზეორგანიულს; საზოგადოება ზეორგანიული აგრეგატია; იგი საერთო განვითარების უმაღლეს საფეხურს შეადგენს. განვითარების ცნების ნორმატიული ბუნება—ამ ცნებას უკვე ბუნებისმეტყველებაში ფარულად შეაქვს შეფასების ელემენტი—სოციოლოგიაში განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება; განვითარება გულისხმობს უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას და ამიტომ ეს ცნება გამოიყენება იმ ფაქტის გასაგებად, რომ სოციალური ფორმა მის შემადგენელ ინდივიდების მიმართ არის რაღაც „უფრო მაღალი“. საზოგადოების დახასიათებაში Spencers შეაქვს ნორმატიული, იდეალური ნომენტი, ობიექტური მიზნის ცნება; ამ ცნების საშუალებით იგი განსაზღვრავს კონკრეტი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთიანობას².

იმავე ნორმატიულ საფუძველს ხედავს Kelsenი Durkheimის სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელის თეორია თითქოს ობიექტურ პრინციპზეა აშენებული. Durkheimის აზრით, სოციალური მოვლენა ბუნებრივი მოვლენაა; სოციოლოგიამ უნდა შეისწავლოს სოციალური ფაქტები, როგორც „საგნები“ (les choses); გავრცელებულ თეორიებს იგი უპირისპირებს თავის საკუთარ შეხედულებას, რომლის თანახმად სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ეკ-

¹) „Die Einheit des Staates entpuppt sich als die Einheit eines Wertsystems, als die Einheit einer gültigen Ordnung im Sinne einer Norm oder eines Normkomplexes“. ib. 44.

²) ib. § 7.

ვლევს სოციალურ რეალობას; სოციალური ფაქტი მას „საგნად“ მიაჩნია იმდენად, რამდენადაც იგი ცალკე ადამიანისაგან დამოუკიდებელია და არსებობს მის გარეშე; Kelsen იკვლევს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სოციალური ფაქტი ამ ობიექტური მნიშვნელობით და ამტკიცებს, რომ Durkheimის თეორია ამ მხრივ გამოუვალ წინააღმდეგობას შეიცავს. Durkheimს სოციალური ფაქტი ზოგჯერ ესმის, როგორც ის, რაც გარეგან შეგარძნებაშია მოცემული, მაგრამ არამატერიალური მოვლენის მნიშვნელობით, ზოგჯერ კი, როგორც ფსიქიური რაჰ, რომელიც ინდივიდის გარეთ არის მოცემული, მაგრამ არაფსიქოლოგიური მნიშვნელობით. როგორი ბუნებისაა ეს სოციალური ფაქტი, თუკი იგი არც ფსიქიურია და არც მატერიალური? სწორედ ეს წინააღმდეგობა, ეს ფსიქიურისა და მატერიალურის კატეგორიის უფარვისობის აღიარება, Kelsenის აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ Durkheimს ჰსურს შეიცნოს რაღაც ობიექტი, რომლის შეცნობა კაუზალური მეთოდის საშუალებით შეუძლებელია; ეს „რაღაც“ არის ადამიანის ყოფაქცევის ნორმა მისი საეალღებულობის მნიშვნელობით („in ihrer spezifischen Sollgeltung“). Kelsenი ფიქრობს, რომ ეს დასკვნა თვით Durkheimის თეორიიდან გამომდინარეობს: სწორედ ეს ნორმატიული მომენტი აქვს Durkheimს მხედველობაში. ამავე აზრს ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ Durkheimის შეხედულებით, სოციალურ ფაქტს ინდივიდის მიმართ იმპერატიული თვისება ახასიათებს: მისთვის „სოციალური“, „კოლექტიური“ და „ვალდებულებითი“ ერთიდაიგივე მნიშვნელობისაა; საზოგადოება ყოველივე ვალდებულების წყაროს წარმოადგენს, სახელმწიფო კი არის საზოგადოება, როგორც მთლიანობა: Durkheimის სოციოლოგია გადადის იურიდიულ მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ¹.

ამგვარად, თუ გავიზიარებთ Kelsenის აზრს, უნდა ვთქვათ, რომ სხვადასხვა სოციოლოგიურ სისტემაში; მათი ავტორების შეუმჩნეველად, ნორმატიული მეთოდია ნაგულისხმევი. როდესაც სოციოლოგები განსაზღვრავენ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, ისინი თუმცა გარეგნულად კაუზალური მეთოდით სარგებლობენ და ამ მეთოდის შეიწუებით ცდილობენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დასაბუთებას, მაგრამ სინამდვილეში ხელმძღვანელობენ იმ ცნებით, რომელიც იურიდიულ დარგს ეკუთვნის და მხოლოდ ამ დარგში შესაძლოა იქნას გამოუმუშავებული. აქედან Kelsenისათვის ცხადია, რომ სოციოლოგიური მეთოდი სახელმწიფოსა და სამართლის კონსტრუქციაში სრულებით უფარვისია; იგი ვერასოდეს ვერ მოკცეპს სწორ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რაა სახელმწიფო. მისი შეტანა სახელმწიფო თეორიაში ლოლიკურად დაუშვებელია, რადგან თვით სოციოლოგია გულისხმობს იურიდიულ ცნებას. ასეთია მთავარი მოსაზრება, რომელიც Kelsenს მოყავს იმ მიმართულების წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოა თვლის სოციალურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ (Soziallehre vom Staat).

ჩვენ შევჩერდით ამ საკითხზე იმიტომ, რომ სოციოლოგიური მეთოდის კრიტიკა, მოცემული Kelsenის შრომაში „Der soziologische und der juristische

¹) Ib. § 8.

Staatsbegriff“ დიდ ინტერესს წარმოადგენს. მისი მიზანია სამართლის მეცნიერების გაწმენდა იმ ცნებებისაგან, რომლებიც თავისი ბუნებით ამ მეცნიერებას არ ეკუთვნიან; მაგრამ ამავე დროს Kelsen იძლევა სოციოლოგიური მეთოდის ისეთ შეფასებას, რომ მისი კრიტიკა ფართო მნიშვნელობას ღებულობს; აქ უკვე დგება საკითხი არა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მეთოდს სამართლის შესწავლისათვის, არამედ—თუ რა ღირებულება აქვს მას საერთოდ სოციოლოგიურ მეცნიერებაში, ე. ი. აქ დგება საკითხი თვით სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, ღირებულების შესახებ. Kelsens არგუმენტაცია, ამგვარად, სწვდება უფრო შორს, ვიდრე ეს მის პირდაპირ მიზანს შეადგენს; მისი პირდაპირი მიზანია იმ სოციალური მოძღვრების უვარგისობის დამტკიცება, რომელსაც ჩვენ ხშირად ვხვდებით თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში; ამავე დროს იგი ამტკიცებს, რომ სოციოლოგიური თეორიები ნორმატიულ ცნებებს გულისხმობენ; ცხადია, რომ ეს არსებული სოციოლოგიური სისტემების უვარგისობის აღიარებას ნიშნავს. მართლაც, ომ დაუფიქვრდეთ Kelsens შეხედულებას, ვნახავთ, რომ, მისი აზრით, „სოციალური ურთიერთმოქმედების“ ცნება, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე სოციოლოგია, ვერ ახსნის სოციალურ „კავშირს“ (Verband) შინაგანი ერთიანობის მნიშვნელობით (als Einheit); ეს უკანასკნელი კი აუცილებლად საჭიროა საზოგადოების ცნებისათვის; Kelsens სიტყვით, „ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ცალკე ადამიანის სული ნამდვილად არის უფანჯრო მონადა. ამასთან ერთად მთელი სოციოლოგია ზენდიდიელულურ მიზანზეა მიმართული“... („Für die psychologische Betrachtung ist die Einzelseele wirklich eine fensterlose Monade. Und dabei ist alle Soziologie auf ein überindividuelles Ziel gerichtet“)¹. ის, რასაც Kelsen ამტკიცებს ფსიქოლოგიური სოციოლოგიის, შესახებ, შეიძლება ითქვას ყოველივე სოციოლოგიური მიმართულების შესახებაც, რადგან სოციოლოგია საერთოდ, განურჩევლად სხვადასხვა მიმართულებისა, „საზოგადოებრივი ურთიერთმოქმედების“ ცნებას გულისხმობს. ამიტომ, თუ უარყოფილი იქნება ეს „ურთიერთმოქმედება“ და აქედან „სოციალური კავშირის“ გამოყვანის შესაძლებლობა, სოციოლოგიური კვლევა-ძიება თავის მნიშვნელობას დაკარგავს. Kelsen მართალია იმ მხრივ, რომ ამ „კავშირის“ ობიექტური რეალობის დაშვება სინამდვილეში გაუგებარი მითოლოგიური არსების აღიარებას ნიშნავს. ეს აზრი უკვე Simmelის მიერ იყო გამოთქმული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, Simmel სოციალურ ფორმებს, როგორცაა, სამართალი, კულტურა და სხვა, თავისებურ არსებობას მიაწერს; ეს ფორმები, მისი აზრით, იდეალური Gültigkeitის სახით არსებობენ. თვითონ Kelsen ამ აზრს ეთანხმება და სოციალური ფორმების „იდეალური არსებობა“ Sollens, ე. ი. ნორმატიულ სფეროში გადააქვს.

Kelsens არგუმენტაცია ფსიქოლოგიური სოციოლოგიის წინააღმდეგ არის მიმართული. Kelsen, ერთის მხრივ, ამტკიცებს, რომ „ფსიქიური ურთიერთმოქმედების“ ცნება ვერ მოგვეცემს იმის შემეცნებას, თუ რაა სოციალური კავშირი, ვინაიდან ურთიერთმოქმედება შეიძლება იქნეს როგორც შემაერთებული,

¹) Ib. S. 15.

ისე გამთიშველი, მეორეს მხრივ კი, თვით ურთიერთმოქმედების შესაძლებლობას უარყოფს იმ მოსაზრებით, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ინდივიდუალური ფსიქიკა „მონადას“ წარმოადგენს. ამ ორ მთავარ დებულებაში გარკვეულად გამოიხატება Kelsenის შეხედულება თანამედროვე სოციოლოგიაზე; ცხადია, რომ მისთვის თანამედროვე სოციოლოგია მიუღებელია, რადგან სოციოლოგიის საფუძველს შეადგენს სწორედ ეს „ურთიერთმოქმედების“ და მასზე დამყარებული სოციალური კავშირის ცნება. მართალია, Kelsenი ლაპარაკობს ფსიქოლოგიური სოციოლოგიის შესახებ, მაგრამ „ურთიერთმოქმედების“ ცნებას ჩვენ ვხვდებით ყველა სოციოლოგიურ მიმართულებებში; ამ ცნებას გულისხმობენ არა მარტო ფსიქოლოგიური სოციოლოგიის წარმომადგენელი, მაგალითად, Tarde¹, Lester F. Ward², Le Bon³ და სხვ.; მას გულისხმობენ აგრეთვე ის ავტორები, რომლებიც სოციალური ცხოვრების ძირითად ფაქტორად გარეგანი ქვეყნის მოვლენებს თვლიან; უკანასკნელიც „ფსიქიურ ურთიერთმოქმედებას“ არ უარყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითად სოციალურ ფაქტორს ობიექტურ გარემოში ეძებენ; ეს ობიექტური გარემო ჰქმნის „ფსიქიურ ურთიერთმოქმედებას“, განსაზღვრავს მას; მაგრამ ფსიქიური ურთიერთმოქმედება სოციალური კავშირისათვის მაინც აუცილებელია. ამგვარი „ურთიერთმოქმედება“ სოციალური ცხოვრების უდავო ფაქტია. ის არგუმენტი, რომ ეს ფაქტი ვერ ხსნის „კავშირს“, რადგან სინამდვილეში „კავშირის“ გარდა ჩვენ ვხვდებით „გაყოფასაც“, „დიფერენციაციასაც“, სოციოლოგიის მნიშვნელობას სრულადაც არ ამცირებს; თვით „გაყოფა“, „დიფერენციაცია“ სოციალური ურთიერთმოქმედების შედეგს წარმოადგენს. სოციოლოგია იცნობს ურთიერთმოქმედების ზოგად პრინციპს და ასხვავებს ამ პრინციპის ორ სახეს: „კავშირის“ (Verbindung) და დიფერენციაციას; პირველში მოცემულია რაიმე საერთო ინტერესი, მიზანი, ხოლო მეორეში განსხვავება და ხშირად წინააღმდეგობაც. მაგრამ ორივეში მოცემულია ძირითადი სოციალური ფაქტი: ურთიერთმოქმედება.

Kelsenის შეხედულება სწორია იმდენად, რამდენადაც იგი უარყოფს ზოგიერთი სოციოლოგიური მოძღვრების ტენდენციას, რომლის თანახმად ფსიქიური კავშირი მიჩნეულია, როგორც ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებული; ამ შეხედულებას Kelsenი სამართლიანად „მითოლოგიურს“ უწოდებს. „ხალხის სულის“, „სოციალური ცნობიერების“ ობიექტური არსებობის დაშვება ნიშნავს სოციოლოგიის დამყარებას მითოლოგიურ, მისტიურ საფუძველზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს თვისება ყველა სოციოლოგიურ სისტემას არ ახასიათებს.

რაც შეეხება Kelsenის აზრს, რომ სამართალი და სახელმწიფო წმინდა ნორმატიულ ცნებებს წარმოადგენენ, ეს აზრიც მიუღებელია. ნორმატიული, ე. ი. იურიდიული მეთოდი სამართლისა და სახელმწიფოს ძირითად ცნებებს ვერ მოგვეცემს; იგი ამ ცნებებს უკვე თავის გამოყენების დასაწყისში გულისხმობს და

¹) Tarde, Les lois de l'imitation. 1895.

²) Lester F. Ward, The psychic Factors of Civilisation.

³) Le Bon, Les lois psychologiques de l'évolution des peuples. 1894.

მათ ეყრდნობა. საშარტლოს ბუნებისა, მისი არსებითი თვისებებისა და მოცულობის განსაზღვრა აკ შეადგენს იმ მეცნიერების საგანს, რომელიც ხელმძღვანელობს ნორმატიული მეთოდით და რომელსაც ეწოდება იურისპრუდენცია ამ სიტყვის ვიწრო ნიშნავლობით. იურისპრუდენცია, როგორც ნორმატიული დისციპლინა, სისტემატიურად აშუშავებს რომელიმე პოზიტიურ სისტემაში მოცემულ იურიდიულ მასალას. მაგრამ საშარტლოს მეცნიერება იურისპრუდენციით არ ამოიწურება. იურისპრუდენციის გარდა არსებობს კიდევ სხვა მეცნიერება, რომელიც იკვლევს სამართლის ძირითად ცნებებს; უკანასკნელი ნორმატიული დისციპლინა არაა; იგი იკვლევს სამართალს, როგორც არსს; ამ მნიშვნელობით იგი Seinswissenschaftს წარმოადგენს. როგორც Seinswissenschaft, იგი ნორმატიული მეთოდით ვერ ისარგებლებს: მან უნდა გამოიყენოს შემეცნების სხვა საშუალება.

ამ საკითხს ჩვენ შემდეგში უფრო დაახლოებით გავცნობით; ჩვენ მოვიყვანთ მოსაზრებებს, რომლებიც ასაბუთებენ იმ შეხედულებას, რომ სამართლის, სახელმწიფოს და სხვა ძირითადი იურიდიული ცნებები ნორმატიული მეთოდის საშუალებით არ გამოიყვანება. ეხლა კი გამოვარკვიოთ ის ცვლილება, რომელიც ემჩნევა Kelsenის მოძღვრებას მეორე მიმართულებით.

ზემოთ დახასიათებული იყო, თუ როგორ უყურებს Kelsenი სახელმწიფოსა და სამართლის დამოკიდებულებას; ჩვენ ვნახეთ, რომ ამ საკითხში იგი ანეითარებს თავის პირვანდელ შეხედულებას. ის აზრი, რომელიც გამოთქმული იყო Hauptproblemeში და რომლის მიხედვით სამართალი და სახელმწიფო ერთისადაიმავე მოვლენის ორ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ, მან შემდეგში განავითარა და მეორე შრომაში— „Der soziologische und der juristische Staatsbegriff“—იგი უკვე სახელმწიფოსა და სამართლის სრულ იდენტურობას აღიარებს. მაგრამ Kelsenმა თავისი მოძღვრება მეორე მიმართულებითაც შეცვალა; ცვლილება მას ეტყობა მეორე მნიშვნელოვან საკითხშიც; ეს საკითხი შემდეგია: სამართალი არის წმინდა სტატიკური კატეგორია, თუ მას აგრეთვე დინამიკური მომენტიც ახასიათებს?

„Hauptprobleme“ში გადმოცემული სისტემა გარკვეულად სტატიკურია; ეს სისტემა წარმოადგენს ცნებათა ლოგიკურ მთლიანობას, საიდანაც ყოველივე დინამიკა გამოიციხულია. ამის დასამტკიცებლად საკმარისი იქნება მოვიყვანოთ თვით Kelsenის აზრი; როდესაც Kelsenი ახასიათებს სახელმწიფო მოვალეობას, იგი ამბობს: აქ უნდა დაისვას საკითხი არა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვება სახელმწიფოს იურიდიული მოვალეობა, არამედ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მოვალეობის კონსტრუქცია¹. ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოს მოვალეობის საკითხში, რომელიც დაკავშირებულია მოვალეობის საერთო ცნებასთან, დინამიკური თვალსაზრისი სრულებით უარყოფილია. იმავე აზრს Kelsenი გამოსთქვამს, როცა იგი არკვევს საკანონმდებლო ფაქტორის მნიშვნელობას იურიდიულ სისტემაში. საკანონმდებლო ფუნქცია მას სახელმწიფო ფუნქციად არ მიაჩნია; საკანონმდებლო ფუნქცია, მისი შეხედულებით, ჰქმნის, „წარმოშობს“ სახელმწიფოს პიროვნებას; იგი არის პუნქტი, სადაც საზოგადოებრივი პროცესი

¹) Hauptprobleme. S. 397.

გადადის სახელმწიფოში; Kelsenი ამტკიცებს, რომ კანონმდებლობა სოციალურ პროცესს წარმოადგენს. ამ მოსაზრებით იგი კანონმდებელს სახელმწიფო ორგანოს მნიშვნელობას არ ანიჭებს; სახელმწიფო ორგანო არის მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება (die Exekutive). მსჯელობა, რომ ვინმეს ეკუთვნის სახელმწიფო ორგანოს მდგომარეობა და მისი მოქმედება არის სახელმწიფო ფუნქცია, შესაძლოა მხოლოდ უკვე არსებული იურიდიული ნორმის საფუძველზე¹. აქედან Kelsenი დაასკვნის, რომ ის პროცესი, რომელიც წინ უსწრებს იურიდიული ნორმის არსებობას, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სახელმწიფო ფუნქციად. კანონმდებლობას Kelsenი უყურებს, როგორც სახელმწიფოს „წარმოშობის“ სოციალურ პროცესს და ადვილი გასაგებია, თუ რატომ კანონმდებლობა ამ უკანასკნელი მნიშვნელობით მისი კონსტრუქციის გარეშე რჩება („die sogenannte „Erzeugung“ des Staatswillens ausserhalb des Konstruktionsbereiches fällt“)².

მაგრამ, თუ კანონმდებლობა, როგორც სახელმწიფოს „წარმოშობის“ აქტი, სახელმწიფოს იურიდიული კონსტრუქციიდან გამორიცხულია და, მაშასადამე, ამ მხრივ უაჩუფილია დინამიკური მოჩენტი, შეიძლება ეს დინამიკური მომენტი აღმოჩენილი იქნეს აღმასრულებელ ფუნქციაში, ე. ი. მართველობაში (die Verwaltung); ამ უკანასკნელ შეხედულებას Kelsenის მოძღვრებაში, მართლაც, ვხვდებით; „Hauptprobleme“ ში Kelsenი ამბობს, რომ მართველობა წარმოადგენს სახელმწიფოს ნებისყოფის განხორციელებას, რომ იგი არის სამართლის წყობილების „აქტუალიზაცია“ („Aktualisierung der Rechtsordnung darstellt“)³. მაგრამ ეს შეხედულება, როგორც თვითონ Kelsenი აღნიშნავს, შემთხვევითი ხასიათისაა (gelegentlich); არსებითად კი „Hauptprobleme“ ში მოცემული თეორია სტატიკურ პრინციპზეა დამყარებული და ამიტომ მას არ შეუძლია შეიცნოს სამართლის წარმოშობის პრობლემა, როგორც იურიდიული პრობლემა („Allein im Wesentlichen halten sie doch an der Statik fest und sind daher ausser stande, das Problem der Rechtserzeugung als Rechtsproblem ein zusehen“)⁴.

ეს სტატიკური თვალსაზრისი Kelsenმა შემდეგში შეცვალა. „Hauptprobleme“-ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი უკვე ამტკიცებს, რომ სამართლის სტატიკური შემცენების გარდა საჭიროა კიდევ დინამიკური თვალსაზრისის გამოყენებაც. როგორ ასახულებს Kelsen ამ აზრს?

Kelsenი ასხეავებს ზოგად და ინდივიდუალურ იურიდიულ ნორმებს (generelle und individuelle Normen). „Hauptprobleme“-ს ყურადღება, მისი სიტყვით მიქცეულია ზოგად ნორმებზე; იქ ზოგადი ნორმები და სამართლის წყობილება მიჩნეულია, როგორც ერთიდაიგივე. სახელმწიფოს ნებისყოფა სამართლის წყობილებაში აბსტრაქტული ხასიათისაა, სახელმწიფო მოქმედება კი, პირიქით, ყოველთვის კონკრეტია. ამასთან დაკავშირებულია ის განსხვავება სახელმწიფოსა და სამართლისა, რომელსაც ვხვდებით „Hauptprobleme“ ში. მაგრამ ეს პირვანდელი შე-

1) Ib. 465, 466.

2) Ib. 491.

3) Ib. 511.

4) Hauptprobleme. 1923. Vorede zur zweiten Auflage. S. XIV.

ხელდება Kelsenმა შემდეგში უარყო. რადგანაც მან აღიარა სახელმწიფოსა და სამართლის სრული იდენტურობა, აქედან ბუნებრივი იყო ის დასკვნა, რომ სახელმწიფოს კონკრეტი მოქმედება აღსრულების სფეროში უნდა შეადგენდეს იურიდიულ აქტს იმიტომ, რომ ამ მოქმედებაში გამოიხატება იგივე სახელმწიფოს ნებისყოფა, რაც აბსტრაქტულ ნორმაში; სახელმწიფოს ინდივიდუალური აღმასრულებელი აქტი გაგებულია იურიდიული ნორმის მნიშვნელობით და ამ აქტის შინაარსი, როგორც იურიდიული ნორმის შინაარსი; სამართლის წყობილება, მაშასადამე, შეიცავს, როგორც ზოგად, ისე ინდივიდუალურ იურიდიულ ნორმებს. „Hauptprobleme“ში ეს აზრი ჯერ-ჯერობით გამოთქმული არაა, რასაც Kelsenი ხსნის იმით, რომ იქ სახელმწიფო და სამართალი მიჩნეულია, როგორც განსხვავებული ცნებები¹. მაგრამ, თუ ზოგადი იურიდიული ნორმა და სახელმწიფოს ინდივიდუალური აქტი ერთ მთლიან სამართლის სისტემას წარმოადგენენ, ეს მთლიანი სისტემა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ინდივიდუალური ნორმა თითქოს სტატიკურად მოცემულია ზოგად ნორმაში. ამგვარი გაგება Kelsenს შეცდომად მიაჩნია, რადგან ინდივიდუალური ნორმა თავისი შინაარსით ზოგად ნორმას სკარაბოზს: იგი შინაარსის მხრივ ზოგად ნორმაზე მეტია. თუ ასეთია მათი შინაარსის განსხვავება, როგორ ათავსებს Kelsenი მათ ერთ დიმივე მთლიან სისტემაში? ამ კითხვით ჩვენ უკვე მივედით Kelsenის მოძღვრების დინამიკის მთავარ ცნებასთან; პასუხი ამ კითხვაზე იქნება პასუხი იმაზე, თუ რაში ხედავს Kelsenი სამართლის დინამიკის საფუძველს.

სამართლის სისტემის მთლიანობა, სადაც მოთავსებულია, ერთის მხრივ, ზოგადი იურიდიული ნორმები, მეორეს მხრივ კი, კონკრეტი იურიდიული აქტები, Kelsenის სიტყვით, წარმოადგენს მხოლოდ „წარმოშობის წესის მთლიანობას“ („Hier muss offenbar eine dynamische Betrachtung einsetzen, die gesuchte Einheit kann nur die Einheit einer Erzeugungsregel sein“)². ამგვარად Kelsenი უახლოვდება იმ თვალსაზრისს, რომელიც მანვე თავის პირვანდელ თეორიაში უარყო; ეხლა მას უკვე თავის მოძღვრებაში შეაქვს ის ცნება, რომელიც მას წინათ „არასახელმწიფოებრივ და ამიტომ არაიურიდიულ“ („nicht-staatlich und darum metarechtlich“) ცნებად მიაჩნდა. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ესმის Kelsenს „წარმოშობის წესი“, დიდ ინტერესს წარმოადგენს თვით მის მიერ მოცემული განმარტება ამ ცნებისა; სამართალს, ამტკიცებს Kelsenი, აქვს თვითგანსაზღვრის შესაძლებლობა, იგი თვითონ აწესრიგებს თავის წარმოშობასა და განვითარებას; მაგრამ ამ დამოუკიდებელ თვითგანსაზღვრის პროცესში ჩვენ ლოდიკურად მივდივართ პირველ ნორმამდე, რომელიც სხვა რომელიმე უმაღლეს წარმოშობის იურიდიულ წესს უკვე არ ექვემდებარება; ამ ლოდიკურად პირველ იურიდიულ ნორმას Kelsenი უწოდებს „ძირითად ნორმას“ (die Grundnorm); ძირითადი ნორმა სხვა იურიდიული ნორმების მიმართ წარმოშობის უმაღლეს წესს წარმოადგენს, თვითონ კი ყოველთვის წინასწარ ნაგულისხმეობა; როგორც ასეთი, იგი, რასაკვირველია, სხვა იურიდიული ნორმით და-

1) Ib. XIII, XIV.

2) Vorrede zur zweit. Auflage der „Hauptprobleme“. S. XIV.

წესებული არაა; აქედან ბუნებრივია დასკვნა, რომ ეს უმაღლესი ნორმა თავისი წარმოშობის მხრივ სამართლის დარგს არ ეკუთვნის. Kelsen, მართლაც, გამოჰყავს ეს დასკვნა; მთელი იურიდიული სისტემის დამფუძნებელი ნორმა, ამბობს იგი, თავისი წარმოშობით ამ სისტემის გარეშე ქვეყანას ეკუთვნის¹.

Grundnormის ამგვარი გაგებით Kelsen, რა თქმა უნდა, შეაქვს თავის მოძღვრებაში დინამიკური თვალსაზრისი; ეს არის ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია იურიდიული წყობილების ერთიანობა; ამ ძირითად ნორმიდან გამოიყვანება ყველა ნორმები, როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური. Kelsenის აზრით, აქ ჩვენ უძრავი ნორმის ცნებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სამართლის ნორმის წარმოშობასა და განვითარებასთან (Erzeugen, Werden der Norm). ეს დინამიკური შეხედულება სამართალზე, როგორც შენიშნავს თვითონ Kelsen, განვითარებულია Verdrossისა და Merklის შრომებში. Merklმა წამოაყენა თეორია, რომელიც სამართალს უყურებს, როგორც იურიდიულ ნორმათა გენეტიურ სისტემას, სადაც სამართლის კონკრეტიზაცია ხდება საფეხურების მიხედვით (stufenweise), კონსტიტუციიდან მოყოლებული აღსრულების ინდივიდუალურ იურიდიულ აქტებამდე.

როცა ვუკვირდებით ამ ახალ ცნებას Kelsenის მოძღვრებაში, ჩვენს წინ აუცილებლად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ეთანხმება დინამიკური შეხედულება Kelsenის თეორიის საერთო საფუძვლებს, რომლებიც წინა თავებში იყო დახასიათებული.

Grundnormის საშუალებით Kelsen აერთებს სამართლის სისტემაში ზოგად და ინდივიდუალურ ანუ აბსტრაქტულ და კონკრეტ იურიდიულ ნორმებს. ცხადია, რომ უკანასკნელი, ე. ი. კონკრეტი ნორმა უშუალოდ დაკავშირებულია იმ ფაქტიურ პროცესებთან, რომლებიც იურიდიულ სინამდვილეშია მოცემული; იურიდიულ აქტში რომელიმე ნორმა უშუალოდ ეფარდება იურიდიულ ცდაში მოცემულ ფაქტიურ შემადგენლობას; შეიძლება ითქვას, რომ თვით კონკრეტი იურიდიული აქტი იურიდიული ცდის შემადგენლობითი ნაწილია. აქ, მაშასადამე, ნორმა, რამდენადაც იგი კონკრეტ აქტში გამოიხატება, გადადის Seinის სფეროში. კონკრეტ იურიდიულ აქტში Sollenი თავისი წმიდა სახით დაცული არაა. საგულისხმოა ის, რომ Sanderი, რომელიც თავის თეორიას იურიდიული ცდის ცნებაზე ამყარებს (Theorie der Rechtserfahrung) და იკვლევს იურიდიული აქტის ბუნებას, Sollenის ცნებას სამართალში სრულიად უაპოფს; იურიდიულ დებულებაში გამოთქმულ მსჯელობას Sanderი საესებით უთანასწორებს ბუნებისმეტყველების კანონს; ეს შეხედულება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იურიდიული აქტი იურიდიულ ცდას გულისხმობს; იურიდიული ცდა კი იურიდიული სინამდვილის მარჯვენებელია. Kelsenმა აღიარა, რომ სამართალი ზოგად

1). „... darf doch nicht übersehen werden... dass die Grundnorm zwar als oberste, die Einheit des Gesamtsystems begründende Erzeugungsregel für die Setzung anderer Rechtsnormen auftritt, dass sie aber selbst als solche vorausgesetzt und nicht als rechtsgemäss gesetzt angenommen, ihre Erzeugung also als ein ausserhalb des Rechtssystems stehender Tatbestand angesehen werden muss“. ib. S. XIV, XV.

ნორმების გარდა შეიცავს კიდევ კონკრეტ იურიდიულ აქტებს და სამართლის მთლიანი სისტემის საფუძვლად გამოაცხადა უზენაესი ნორმა, რომელსაც Grundnorm ეწოდება; ამით მან, რასაკვირველია, სამართლის თეორიაში დინამიკური თვალსაზრისი შეიტანა, მაგრამ ამავე დროს შეასუსტა თავისი მოძღვრების მთლიანობა, რადგან დინამიკა მისი კონსტრუქციის საფუძვლებთან შეთანხმებული არაა. დინამიკური თვალსაზრისის გამო Sollen და Sein ერთმანეთთან დაახლოვებულია; როდესაც Grundnormიდან გადავდივართ კონკრეტ აქტებზე, ის მანძილი, რომელიც ასხეავენს და აშორებს ერთმანეთისაგან Sollenსა და Seinს, ისპობა.

დინამიკის შესაბამობა Kelsenის საერთო სისტემასთან კიდევ სხვა გზითაც ირკვევა. Grundnorm, Kelsenის აზრით, არის უზენაესი ნორმა, რომლიდანაც გამომდინარეობენ ყველა დანარჩენი ნორმები; მაგრამ თვით ამ უზენაესი ნორმის საფუძველი სამართლის დარგში არ უნდა ვეძიოთ, რადგან თავისი წარმოშობით იგი იურიდიულ ქვეყანას არ ეკუთვნის; ამიტომ ბუნებრივია კითხვა—სად უნდა ვეძიოთ ამ ძირითადი ნორმის დასაბამი? თავისთავად ცხადია, რომ იგი იურიდიული ხასიათის არაა და არც შეიძლება იქნეს ამ ხასიათისა, ვინაიდან ამისათვის მას უნდა ჰქონდეს იურიდიული საფუძველი. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მას ამგვარი საფუძველი არა აქვს; ეს ლოლიკურად შეუძლებელია: Grundnorm არის სხვა ნორმების წარმოშობის წესი, თვითონ კი იურიდიული საზომისაგან თავისუფალია; სხვანაირი გაგება circulus vitiosus გამოიწვევდა. აქედან აუცილებელია დასკვნა, რომ ეს ცნება გაურკვეველი ბუნებისაა; ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ მას აქვს „მეტაიურიდიული“ ხასიათი, და თუ იგი „მეტაიურიდიულია“, მაშინ როგორ უნდა შევთანხმდეთ ეს ცნება Kelsenის მიერ აღიარებულ სამართლის სუვერენობასთან, რომლის მიხედვით სამართალი სხვა ნორმების სისტემებისაგან სრულიად დამოუკიდებელია. თვითონ Kelsen ამტკიცებს, რომ სუვერენიტეტი შეადგენს როგორც სახელმწიფოს, ისე სამართლის არსებით ნიშანს, რომ სამართალი არის „eine höchste, von keinem anderen Normsystem ableitbare Ordnung...“¹.

Kelsenის მოძღვრებაში დინამიკური მომენტის გამოხატულებად მიჩნეულია „Grundnorm als oberste Erzeugungsregel“; ამ ცნებით კი Kelsen სამართალში შეაქვს უცხო ელემენტი, რომელიც მის სისტემასთან შეთანხმებული არაა.

ამავე ცნებას ჩვენ ვხვდებით Kelsenის მეორე შრომაში: „Der soziologische und der juristische Staatsbegriff“; უკანასკნელში მას ეწოდება „Ursprungsnorm“. ვნახოთ, თუ როგორ განსაზღვრავს Kelsen ამ ცნებას. სახელმწიფო Kelsenის წარმოდგენილი აქვს, როგორც „უზენაესი იძულებითი წყობილება“ (soveräne Zwangsordnung); იგი ასხეავენს კონკრეტ, ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნორმათა სისტემას, რომელიც მოცემულია ისტორიულად არსებულ სახელმწიფო კავშირში, და ამ სისტემის წარმოშობ ნორმას, რომელიც მის უმაღლეს და უკანასკნელ წყაროს შეადგენს. ეს უმაღლესი ნორმა Kelsenის სახელმწიფოს არსებობის საფუძვლად (Existenzgrund des Staates) მიაჩნია; უმაღლეს ნორმას ახასია-

1) Der soziolog. und der jurist. Staatsbegriff“. S. 87.

თებს ის, რომ იგი აწესებს (einsetzt) უზენაეს ავტორიტეტს, რომელსაც ამით ნორმების დადგენის კანონიერი საფუძველი ეძლევა („sie ein oberste Autorität einsetzt, die dadurch zur Normsetzung legitimiert erscheint“)¹; როგორც არ უნდა იყოს მის მიერ დამყარებული უზენაესი ავტორიტეტი, იგი ყოველთვის იურიდიული სისტემის წარმოშობისა და განვითარების უმაღლესი წესია. თუ კონსტიტუციით დაწესებული ავტორიტეტი, საკანონმდებლო ორგანო, ადგენს ზოგად ნორმებს, ამ კონსტიტუციის საფუძვლებზე შექმნილი ზოგადი ნორმები, თავის მხრივ, ინდივიდუალური ნორმების წარმოშობის წესებს შეადგენენ, ე. ი. ზოგადი ნორმები აწესებენ ავტორიტეტებს, რომლებიც ჰქმნიან ინდივიდუალურ ნორმებს. ამრიგად კონსტიტუციის ძირითადი ნორმა საფეხურებით ეშვება ქვევით ინდივიდუალურ იურიდიულ აქტამდე. ამ საფეხურებით გადასვლაში სახელმწიფო ანუ სამართლის წყობილება თანდათანობით ივსება, მდიდრდება კონკრეტი შინაარსით. აღნიშნულ პროცესში, რომელშიაც ძირითადი ნორმა ლოლიკურად დაკავშირებულია კონკრეტ აქტებთან, Kelsen ასხვავებს ორ მომენტს: ნორმის მნიშვნელობას (Geltung) და მის შინაარსს (Inhalt). ყოველივე კონკრეტი ნორმა, ამბობს იგი, თავის ღირებულებას ღებულობს უმაღლეს ნორმიდან, ხოლო შინაარს ფაქტიური სინამდვილიდან („aus den Seinstatsachen des Urteils und des Gesetzesbefehls“)². სახელმწიფოს ან სამართლის ნორმატიული სისტემა მხოლოდ ძირითადი ნორმით იწყება; თუ ეს უკანასკნელი მიღებულია სხედველობაში, წმიდა ღირებულების სფერო ამით უკვე ნაპოვნია („ist die reine Geltungssphäre gewonnen“) და გამორიცხულია ფაქტიურობა. ის გარემოება, რომ ძირითადი ნორმით დაწესებული ავტორიტეტის ნებისყოფის აქტები რეალურ ქვეყანას ეკუთვნიან, ნორმების ვალდებულებით თვისებას (Sollenscharakter der Normen) სრულიად არ შეეხება. როგორც ძირითადი ნორმა რჩება ნორმად, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი შინაარსით განსაზღვრულ ფაქტებს ეთანაბრება, ისე ამ ძირითად ნორმაზე დამყარებული ნორმათა სისტემაც თავის ნორმატიულ ხასიათს არ კარგავს მაშინაც, როდესაც იგი აღამიანის კაუზალურად განსაზღვრულ მოქმედებას ეთანხმება³.

აქ მოკლედ გადმოცემულია Kelsenის შეხედულება Grundnormაზე. Kelsen ასაბუთებს Grundnormის მნიშვნელობას თავის ახალ კონსტრუქციაში. მაგრამ ამ ნორმის ბუნება გარკვეულად მაინც არაა დახასიათებული. ნაჩვენებია მხოლოდ ის, რომ ეს ნორმა იურიდიული წყობილების Geltungის საფუძველს წარმოადგენს და ამ საფუძველზე აშენებულია სამართლის დინამიკური მოძღვრება, რომელიც ნორმათა „stufenweise Abfolge“-ში გამოიხატება.

იმისათვის, რომ უფრო გარკვეულად, უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ Grundnormის ბუნება, ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ შემდეგი კითხვა: არის ეს ნორმა წმიდა ფორმალური კატეგორია, ე. ი. უშინაარსო ცნება, თუ მას აქვს რაიმე შინაარსი? პირველი შეხედვით, ჩვენ თითქოს გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იგი უშინაარსოა; მაგრამ Kelsen იგი აწინააღმდეგებს და ამის დასაბუთებას

1) Ib. S. 94.

2) Ib. S. 94.

3) Ib. 102, 103, 104.

ცებლად მოვიყვანთ თვით Kelsenის სიტყვებს; თავის პოლემიკაში Erich Kaufmannთან, რომელიც ამტკიცებს, რომ Kelsenის Sollennis ფორმალურ, ცარიელ ცნებიდან გამოყავს პოზიტიური დასკვნები, Kelsenი ამბობს: „როგორც სამართლის წყობილების Geltungის საფუძველი, მიუხედავად იმისა, იქნება ეს ცალკე სახელმწიფოს იურიდიული წყობილება, თუ საერთაშორისო სამართლისა... მე არასოდეს არ მქონია მიჩნეული წმინდა, უშინაარსო Sollenni, არამედ კონკრეტ შინაარსით საესე ძირითადი ნორმა, რომელსაც კიპოთეტიური და არა აბსოლუტური ღირებულება აქვს. Sollenni მე გამოვიყენე, როგორც იურიდიული ნორმის გამოთქმის ფორმა, როგორც იურიდიულ ნორმაში მოცემული პირობისა და შედეგის სპეციფიური კავშირის გამოხატულება. მხოლოდ ძირითადი ნორმის.. განსაკუთრებული შინაარსის საშუალებით Sollenni იქცევა იურიდიულ Sollენად. წმიდა Sollენიდან კონკრეტი იურიდიული წყობილების გამოყვანა შესაძლოა მხოლოდ ფარულის გზით (durch Erschleichung).. ეს ძირითადი ნორმა არის მხოლოდ წარმოშობის წესი, მხოლოდ ნორმა, რომლის მიხედვით წარმოიშობა კონკრეტი სამართალი. რა თქმა უნდა, მე არასოდეს არ ვამტკიცებდი, რომ პოზიტიური სამართლის კონკრეტი დებულებანი გამოყვანილი უნდა იქნენ ძირითადი ნორმიდან მხოლოდ სპეკულიაციის საშუალებით“¹. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ, Kelsenის აზრით, ძირითად ნორმას, რომელიც სამართლისა და სახელმწიფოს საფუძვლად არის მიჩნეული, აქვს თავისი შინაარსი, რადგან ცარიელ ცნებიდან კონკრეტი დადებითი სამართლის გამოყვანა შეუძლებელია. კიდევ უფრო ცხადად მტკიცდება ეს აზრი Kelsenის სიტყვებით: ძირითად ნორმას აბსოლუტური ღირებულების მნიშვნელობა არა აქვს; მას აქვს მხოლოდ მიმართებითი, კიპოთეტიური ღირებულება². რომ დაუპირისპიროთ ეს შეხედულება Kelsenის მოძღვრების საერთო პრინციპებს, რომლებსაც ჩვენ წინათ გავეცანით, მათ შორის ჩვენ წინააღმდეგობას აღმოვაჩენთ. ჩვენ ვნახეთ, რომ Kelsenის სამართალი ესმის ლოგიკური კატეგორიის მნიშვნელობით, როგორც წმიდა Sollenni, რეალური ქვეყნის ფაქტებისაგან სრულიად დამოუკიდებელი. თავის მოძღვრების განვითარების პროცესში იგი ჰქმნის Grundnormის ცნებას, რომელიც მას რეალურ ღირებულებად მიაჩნია. რეალური ღირებულება კი შეიძლება მიეწეროს მხოლოდ იმას, რაც ფაქტიურ, ე. ი. ემპირიულ სინამდვილედან არის ამოღებული. სამართლის იდეალურ ბუნებას—Kelsenის ძირითადი შეხედულება კი სწორედ ასეთია—ეს აზრი არ ურიგდება.

გარდა ამისა, Kelsenის მოძღვრება ძირითადი ნორმის შესახებ კიდევ ერთ გაუგებრობას იწვევს. Grundnorm არის ფორმალური ცნება; მაგრამ მას, Kelsenის სიტყვით, მაინც აქვს განსაზღვრული დადებითი შინაარსი. როგორი ბუნებისაა ეს შინაარსი? ცხადია, რომ იმისთვის, რომ ამ ნორმამ წარმოშვას სამართალი, ეს შინაარსი მასში წინასწარ უნდა იქნეს მოცემული; სხვანაირად შეუძლებელია, რადგან თვითონ Kelsenი ამტკიცებს, რომ კონკრეტი სამართლის წყობილება ცარიელი Sollენიდან არ გამოიყვანება („Aus dem reinen Sollen

¹) იხ. 101.

²) იხ. 102.

könnte eine konkrete Rechtsordnung gewiss nur durch Erschleichung gewonnen worden“¹⁾; აქედან აუცილებელია დასკვნა, რომ სამართლის დაწესების წინ Grundnormის რაღაც შინაარსი აქვს; თუ დავეუქვებთ ამ აზრს Kelsenის სიტყვებს, რომ Grundnormის წყარო სამართლის გარეშე მდებარეობს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მისი შინაარსიც სამართლის გარეთ მდებარე ქვეყანას უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარად, Grundnorm არც თავისი წარმოშობით და არც შინაარსით სამართლის დარგს არ ეკუთვნის; ამ ცნებით Kelsenის თეორიაში შეტანილი იქნა ისეთი ელემენტი, რომელიც მის მთლიანობას არღვევს. Kelsenი ცდილობს განდევნოს სამართლიდან ყველაფერი, რასაც კი აქვს „მეტაიურიდიული“ ხასიათი; მაგრამ აშკარაა, რომ თვითონ მას შეაქვს თავის კონსტრუქციაში „მეტაიურიდიული“ ცნება. ამ თვალსაზრისით Sanderს აქვს ერთგვარი საფუძველი, როდესაც იგი ამტკიცებს, რომ სამართლის შინაარსის დაშვება პოზიტიური სამართლის წინ ბუნებითი სამართლის თეორიის დაშვებას ნიშნავს²⁾. Sanderის არგუმენტაცია Kelsenის წინააღმდეგ სწორია იმ მხრივაც, რომ პოზიტიური სამართლის გამოყვანა Grundnormიდან სინამდვილეში ნიშნავს სამართლის მეცნიერების აღიარებას პოზიტიური სამართლის წყაროდ³⁾.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ Kelsenის მოძღვრების განვითარება მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, Kelsenისათვის ირკვევოდა სახელმწიფოსა და სამართლის სრული იდენტურობა; ამ გზით დაძლეული იქნა Zwei—Seiten—Theorie გაელენა, რომელიც ძლიერ იშვიათად, ძლიერ სუსტად, მაგრამ მაინც ემჩნევა Kelsenის პირვანდელ კონსტრუქციას. ამ მიმართულებით, ექვს გარეშეა, რომ Kelsenი ლოლიკურად ანვითარებს თავის შეხედულებას და მიღის ისეთ შედეგამდე, რომელიც მის მოძღვრებასთან ბუნებრივად შეთანხმებულია; მეორე მიმართულებით Kelsenს შეაქვს თავის თეორიაში დინამიკური თვალსაზრისი, რომლის ნიხედვით სამართალი უკვე არ წარმოადგენს წმიდა სტატიკურ კატეგორიას: იგი ერთგვარ მოძრაობაშიც იმყოფება. სამართლის შინაგანი დინამიკის საფუძველად Kelsenმა აღიარა Grundnorm, რომლის საშუალებითაც იგი ცდილობს ახსნას მთელი დადებითი სამართლის წარმოშობა და განვითარება ზოგადი ნორმებიდან დაწყებული კონკრეტ იურიდიულ აქტებამდე. მაგრამ, როგორც ნაჩვენებია იყო, Grundnormის და მასთან დაკავშირებული დინამიკის ცნებამ დაარღვია ის ლოლიკური მთლიანობა, რომელიც ამ მოძღვრებას მისი პირვანდელი სახით საერთოდ ახასიათებდა.

გადავიდეთ Kelsenის მოძღვრების საერთო მნიშვნელობის დახასიათებაზე.

1) id. 101.

2) Sander, „und wie nennt man einen solchen Rechtsinhalt vor dem Inhalte des positiven Rechtes anders als—Natrecht“. Kelsen's Rechtslehre 1923. S. 37.

3) Sander. „Diese Lehre Kelsen's ist die bisher schärfste Fassung des Dogmas von der Rechtswissenschaft als Rechtsquelle und findet ihren Ausdruck in Kelsen's Lehre von der Ursprungshypothese“. Das Recht als Sollen und das Recht als Sein. Archiv für Rechts-und Wirtschaftsphilosophie. B. XVII. Heft 1. 1923/24. S. 39.

Spiegelო ამტკიცებს, რომ Ursprungshypotheseს საშუალებით „wird die Welt des Seins in die des Sollens (sozusagen „hinten herum“) eingeschmuggelt“- Spiegel. Kelsen's Rechtslehre. Prager juristische Zeitschrift. Heft I/II S 17.

Kelsenის თეორია აგებულია იურიდიული ნორმის ცნებაზე; იურიდიული ნორმა მიჩნეულია, როგორც ჰიპოთეტიური მსჯელობა; ამ თვისებით იგი უახლოვდება ბუნებრივ კანონს; იურიდიული ნორმა ემსგავსება ბუნებრივ კანონს იმ მხრივ, რომ იგი არ გულისხმობს რომელსამე „ადრესატს“, ე. ი. არაეისკენ მიმართული არაა. გაბატონებული შეხედულებით, სამართალი იმპერატივთა სისტემაა; Kelsenის აზრით, იმპერატივი აუცილებლად გულისხმობს „ადრესატს“ და აღიარებას ამ ადრესატის მიერ; ამ თვალსაზრისით სამართალი ღებულობს სუბიექტურ ხასიათს, რადგან სამართლის საფუძველი არის აღიარება (Anerkennung); იმპერატივის თეორია სამართალს სუბიექტურ თვისებას ანიჭებს. მაგრამ, თუ იურიდიული ნორმა იქნა მიჩნეული, როგორც ჰიპოთეტიური მსჯელობა, მაშინ შესაძლოა სამართლის დამყარება ობიექტურ საფუძველზე. Kelsenის მოძღვრების მიზანია, მისი საკუთარი სიტყვით, სამართლის ობიექტივობის დასაბუთება¹. ანიტომაც მისთვის ნორმა ობიექტური მსჯელობაა და არა სუბიექტური იმპერატივი („Darum objektives Urteil, nicht subjektiver Imperativ“)², მაგარი ანალოგია იურიდიულ ნორმასა და ბუნებრივ კანონს შორის სრული არაა; მათი სრული გათანასწორება შეუძლებელია, ვინაიდან სამართალს შედარებით ბუნებრივ კანონზომიერებასთან აქვს თავისებური წდგომარეობა, რომელსაც Kelsenი უწოდებს „Eigengesetzlichkeit des Rechtes“. რაში მდგომარეობს ეს სამართლის თავისებურება? სამართლის ნორმა ისე, როგორც ბუნებრივი კანონი, განსაზღვრულ პირობებს განსაზღვრულ შედეგს უკავშირებს; ეს მათი საერთო თვისებაა; მაგრამ ბუნებრივ კანონში ეს დამოკიდებულება კაუზალურია, სანართლის ნორმაში გამოხატული კავშირი კი სხვა ხასიათისაა; ის დამოკიდებულება, რომელსაც იურიდიული ნორმა ჰქმნის ფაქტიურ შემადგენლობასა და იურიდიულ შედეგს შორის, გამოიხატება „ველდებულებაში“. ამით დახასიათებულია ბუნებრივი კანონის და იურიდიული ნორმის ძირითადი განსხვავება; ანალოგია მათ შორის, მაშასადამე, შეზღუდულაა Kelsenი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობს დაასაბუთოს სამართლის ობიექტივობა, მაინც არ ათანასწორებს ერთმანეთთან ბუნებრივ კანონს და იურიდიულ ნორმას; მას არ გამოჰყავს ის დასკვნა, რომელიც, როგორც ჩვენ ვნახეთ შემდეგში, გამოიყვანა Sanderმა; Sanderს გაჰყავს სრული ანალოგია ბუნებისმეტყველების კანონსა და სამართალს შორის; მისი შეხედულებით, ორივეს ერთიდაიგივე ლოლიკური აგებულება აქვს: მსჯელობა, გამოთქმული ბუნებრივ კანონში, თავისი ლოლიკური შენადგენლობით, სრულიად ემსგავსება იურიდიულ ნორმაში გამოთქმულ მსჯელობას; ორივეში გამოიხატება ერთიდაიგივე დამოკიდებულება; აქედან აუცილებელი იყო დასკვნა, რომ სამართალს Sollennის თვისება არ ახასიათებს. Sanderი, ნართლაც, მიდის ასეთ დასკვნამდე და სრულიად უარჰყოფს სამართალში Sollennის ნონენტს; მის თეორიაში ყოველივე ნორმატივობის ელემენტი სამართლიდან განდევნილია. Kelsenი კი, პირიქით, სამართალს დამოუკიდებელ და თავისებურ

¹) „und diese Grundtendenz zielt offenkundig darauf, die Objektivität des Rechtes zugleich mit seiner Positivität—nach allen Richtungen hin sicherzustellen“. Hauptprobleme, 1423 Vorrede. VII.

²) Ib. VII.

მდგომარეობას ანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ მან იურიდიული ნორმა აღიარა „ობიექტურ მსჯელობად“ და ნორმაში მოცემულ დამოკიდებულებას იგივე აუცილებლობის ხასიათი მიაწერა, რაც ბუნებრივ კავშირს. ეს გარემოება ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ Solleლისა და Seinის განსხვავება Kelsenს ძირითად, შეურიგებელ განსხვავებად მიაჩნია. სამართალი Solleლის სფეროს ეკუთვნის და ამიტომ მასში შეტანა იმ ელემენტებისა, რომელიც მოცემულია Seinის ქვეყანაში, მისთვის მეთოდოლოგიურად დაუსუვებელია. ამით აიხსნება Kelsenის წინააღმდეგობა ყველა იმ თეორიების მიმართ, რომლებსაც ამა თუ იმ სახით სამართლის შესწავლაში რეალისტური მეთოდი შეაქვთ. Kelsenი უარპყოფს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციოლოგიურ მიმართულებას სამართლის მეცნიერებაში. როგორც ანტიფსიქოლოგისტი, იგი ემხრობა Husserლის შეხედულებას და ამ ნათესაობას Husserლის თეორიასთან თვითონ აღიარებს¹. მაგრამ Husserლსა და Kelsenს შორის, ჩვენის აზრით, მაინც მნიშვნელოვანი განსხვავებაა. Kelsenისათვის სამართალი ნორმატიულ მეცნიერებას წარმოადგენს; ნორმატიულ მეცნიერებათა ჯგუფში იგი ათავსებს კიდევ ლოლიკას, გრამატიკას, ესთეტიკასა და ეთიკას; ნორმატიულ მეცნიერებათა საგნად იგი თვლის იდეალურ ვალდებულებას; ყველა ამ დისციპლინების თვალსაზრისი ნორმატიული ბუნებისაა². ეს შეხედულება Husserლისას არ ეთანხმება. Husserლს ლოლიკის საგანი ნორმატიული მნიშვნელობით არ ესმის; ფორმალური ლოლიკის საგანი ნორმატიული იდეალობა არაა, რადგან ნორმატიული მნიშვნელობით იდეალობა რეალობას არ უარპყოფს³; ასეთია Husserლის აზრი ამ საგანზე. ფორმალური ლოლიკა მისთვის წმიდა თეორიული მეცნიერებაა; აქედან ცხადია, თუ რაშია განსხვავება Husserლსა და Kelsenს შორის. Husserლი ბუნებრივი კანონისა და ნორმის დაპირისპირების მაგივრად უპირისპირებს ერთმანეთს ბუნებრივ და იდეალურ კანონს⁴; ამასთან დაკავშირებით იგი ასხვავებს რეალურ და იდეალურ მეცნიერებას⁵. წმიდა ლოლიკა მისთვის წარმოადგენს თეორიულ დებულებათა, და არა ნორმათა, სისტემას. თვითონ Kelsenი აღნიშნავს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მის თეორიასა და Husserლის შეხედულებას შორის⁶.

¹) ib. IX.

²) „Die Logik, Grammatik, Ästhetik, Ethik und Rechtswissenschaft sind die Disziplinen, die sich mit solchen „Normen“ befassen; ihre Betrachtungsweise wird darum als normative bezeichnet“. Hauptprobleme. S. 6. იხ. აგრეთვე „Der soziol. und der jurist. Staatsbegriff. § 12.

³) Husserl. „Die Idealität im gewöhnlichen, normativen Sinne schliesst die Realität nicht aus“. Logische Untersuchungen. Zweiter Band. 1913. S. 102. იხ. აგრეთვე Logische Untersuchungen. Erster Band. 1913. S. 156.

⁴) Husserl. „Der Gegensatz von Naturgesetz als empirisch begründeter Regel eines tatsächlichen Seins und Geschehens ist nicht das Normalgesetz als Vorschrift, sondern das Idealgesetz im Sinne einer rein in den Begriffen (Ideen, reinen begrifflichen Wesen) gründenden und daher nicht empirischen Gesetzmäßigkeit“. Logische Untersuchungen. Erster Band. 1923. S. 164. 165.

⁵) Husserl. Ideen zu einer reinen Phänomenologie und phänomenologischen Philosophie. 1913. Einleitung.

⁶) Kelsen. Der soziolog. und der jurist. Staatsbegriff. S. 81.

F. Kaufmannი ამტკიცებს, რომ Kelsenის მიერ აღიარებული Sollenისა და Seinის დუალიზმი არსებითად იგივეა; რაც იდეალური და რეალური არსის დაპირისპირება¹ და ცდილობს დაამყაროს Kelsenის მოძღვრება ფენომენოლოგიურ საფუძვლებზე; მაგრამ Kelsenი მთავარ მნიშვნელობას მიაწერს არა იდეალური და რეალური Seinის, არამედ Sollenისა და Seinის დაპირისპირებას; ეს უკანასკნელი წინააღმდეგობა Kelsenისათვის უფრო მნიშვნელოვანია.

Kelsenის სიტყვით, მისი თეორია დამყარებულია Kantის მიერ აღიარებულ Sollenისა და Seinის წინააღმდეგობის პრინციპზე („Darum gehen die „Hauptprobleme“ von dem fundamentalen Gegensatz zwischen Sollen und Sein aus, den Kant... gleichsam erst entdeckt hatte“). Kelsenი ემბრობა Kantის იმ ინტერპრეტაციას, რომელსაც იძლევიან Windelbandი და Simmelი, და Sollenში ხედავს სამართლის თავისებურებას, რომლითაც სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერების საგანი, უპირისპირდება სოციალურ სინამდვილეს, როგორც სოციოლოგიის საგანს².

მაშასადამე, Sollenისა და Seinის დუალიზმი მიჩნეული უნდა იქნეს Kelsenის მოძღვრების ძირითად ფილოსოფიურ საფუძვლად.

Sollenის ცნებით ნაგულისხმევია ღირებულება (Wert). აქ საჭიროა გამოჩვენება, თუ როგორ ესმის Kelsenს ღირებულება. Kelsenი ასხვავებს ღირებულების ორ მნიშვნელობას: სუბიექტურსა და ობიექტურს. ღირებულება პირველი, ე. ი. სუბიექტური მნიშვნელობით, შეადგენს ნებისყოფის ფუნქციას და არა Sollenისას. ჩემთვის ღირებულება არის ის, რაც მე წარმოდგენილი მაქვს, როგორც მოთხოვნის დამყარების საშუალება, რასაც მე მიზნად ვისახავ, მიუხედავად იმისა, მაქვს მე ღირებულად მიჩნეული ობიექტის მიმართ რაიმე ვალდებულება, თუ არა, არსებობს ჩემსა და ამ ობიექტს შორის რაიმე ნორმატიული კავშირი, თუ არა; ღირებულება სუბიექტური გაგებით ნორმატიული თვალსაზრისის შედეგს არ წარმოადგენს; იგი რეალური ფსიქიური ფაქტია, რომელიც შეიძლება გახდეს ფსიქოლოგიური შემეცნების საგნად. სხვა ხასიათისაა ღირებულება ობიექტური მნიშვნელობით. მსჯელობა, რომელშიაც ეს უკანასკნელი გამოიხატება, მხოლოდ აღნიშნავს მიმართებას რომელიმე ეთიკურ, იურიდიულ, ესთეტიურ ან სხვა ნორმისადმი; ობიექტური ღირებულება არის Sollenის ფუნქცია³. მაგრამ, Kelsenის აზრით, მსჯელობას სუბიექტური ღირებულების შესახებ (das subjektive Werturteil) ყოველთვის რაიმე ობიექტისათვის აქვს მნიშვნელობა, ხოლო მსჯელობას ობიექტური ღირებულების შესახებ (das objektive Werturteil)—ყოველთვის რომელიმე სუბიექტისათვის („das subjektive Werturteil gilt immer einem Objekte, das objektive Werturteil immer einem Subjekte“)⁴. ამ აზრს, რომელიც პირველი შეხედვით თითქოს გაუგებარია,

¹) F. Kaufmann. „Auch der Kelsensche Dualismus—das kann keinem aufmerksamen Leser der „Hauptprobleme“ verborgen bleiben—meint im Grunde der Gegensatz von idealem und realem Sein“. Logik und Rechtswissenschaft. 1922. S. 61.

²) Hauptprobleme. 1923. Vorrede, S. VI.

³) Hauptprobleme. S. 66.

⁴) Ib. 66.

Kelsenი განმარტავს შემდეგნაირად: სუბიექტურად ღირებულება ყოველთვის წარმოდგენის, სწრაფვის, სურვილის საგანს შეადგენს; აქ ის, რაც ღირებულებად არის მიჩნეული, როგორც ობიექტი ფსიქიურ კავშირშია ადამიანთან; მსჯელობა ობიექტურ ღირებულებაზე კი, რომელიც გულისხმობს ნორმის შესრულებას ან გადალახვას, თავის ბუნებით არის ჩათვლა (Zurechnung); ჩათვლა, რასაკვირველია, ხდება სუბიექტის, ე. ი. პიროვნების მიმართ; ამიტომ ღირებულება ობიექტური მნიშვნელობით ყოველთვის შეეხება რომელიმე პირს, საგანს კი არასოდეს, ვინაიდან ამ მსჯელობაში გამოითქმება შესრულება ან გადალახვა ნორმისა, რომლის არსებითი თვისება არის მოვალეობა და, მაშასადამე, აქ ყოველთვის ნაგულისხმევია რომელიმე პიროვნება; ამიტომაც ეს მსჯელობა ნიშნავს პერსონიფიკაციას; ჩათვლის საშუალებით „ღირებულება იქცევა პიროვნებად“ („wird das Gewertete zur Person“)¹. Kelsenს მოყავს შემდეგი მაგალითი: მსჯელობაში — „სურათი მშვენიერია“ — ღირებულების მატარებელი საგანია, რომელიც ჩენს ესთეტიურ გრძნობას აკმაყოფილებს; ამ შემთხვევაში მხატვარის პიროვნებასთან საქმე არ გვაქვს; ეს არის ის, რასაც Kelsenი უწოდებს „subjektive Werturteil“. მაგრამ, როცა გამოთქმულია მსჯელობა, რომელიც აღნიშნავს არა სურათის ფსიქიურ კავშირს შემფასებელ ადამიანთან, არამედ მის დამოკიდებულებას მხატვრობის ესთეტიურ ნორმებთან, რომლებიც სურათში შესრულებულია ან გადალახული, მაშინ პირველ პლანზე დგება მხატვარის პიროვნება. მხატვრობის წესები ამ პიროვნებისადმი მიმართული; მხოლოდ მან უნდა შეასრულოს ეს წესები; სურათი დადებითად ან უარყოფითად ჩაეთვლება მხატვარს; ამ მსჯელობას, რომელსაც Kelsenი „objektives Werturteil“-ს უწოდებს, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მხატვარის პიროვნებისათვის. Kelsenის აზრით, უფრო ცხადად, ვიდრე ესთეტიკის დარგში, სადაც საყოველთაოდ სავალდებულო ნორმების უქონლობის გამო სუბიექტური თვალსაზრისი გაბატონებულია, ზემოთ ნათქვამი მტკიცდება ზნეობისა და სამართლის დარგში. რომელიმე გარეგანი ფაქტი ობიექტური ღირებულების თვალსაზრისით არც კარგია და არც ცუდი; კარგი ან ცუდი შეიძლება იქნეს მხოლოდ სუბიექტი, რომელსაც გარეგანი ფაქტი უნდა ჩაეთვალოს ზნეობრივი ან იურიდიული ნორმების მიხედვით².

აქ გარკვეულად არის გამოთქმული Kelsenის აზრი Sollenისა და Wertის დამოკიდებულების შესახებ. ღირებულებას აქვს ორგვარი მნიშვნელობა: სუბიექტური და ობიექტური; პირველი გავებით იგი დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიური ცხოვრების ფაქტებთან — ნებისყოფასა და წარმოდგენასთან; მეორე მნიშვნელობით კი იგი ფსიქიური მოვლენებისაგან სრულიად დამოუკიდებელია; ამ უკანასკნელი, ე. ი. ობიექტური მნიშვნელობით, ღირებულება გამოხატავს იმასვე, რასაც Sollen. მაშასადამე, ობიექტური ღირებულება იგივეა, რაც ვალდებულება, ნორმა; როგორც ნორმა გაწმენდილია ყოველივე ფაქტიური შინაარსისაგან, ისე ღირებულებაც ფორმალურის მნიშვნელობით არის გაგებული; ნორმა და ვალდებულება წარმოადგენენ საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია ჩათვლა; ღირებუ-

¹) Ib. 66.

²) Ib. 67.

ლებაც იმავე ბუნებისაა: იგივე შესაძლოდ ხდის ჩათვლასა და პერსონიფიკაციას. თავისთავად ცხადია, რომ ეს შეხედულება Kelsenის მოძღვრების ბუნებრივი, აუცილებელი შედეგია; მისი წყარო უნდა ვეძიოთ იმ დუალიზმში, რომელიც ზემოთ იყო დახასიათებული. ნორმა და ნებისყოფა Kelsenის მოძღვრებაში ერთმანეთისაგან სრულიად გათიშულია; ნორმას არც მიზნობითი მომენტი ახასიათებს. მიზანი მას აქვს იმდენად, რამდენადაც იგი ტელეოლოგიის საგნად ხდება; წმიდა ფორმალური თვალსაზრისით კი მიზნის შეტანა სამართალში დაუშვებელია. Kelsenის თეორიის მიხედვით მიზნის ელემენტი ღირებულების ცნებინაც უნდა იქნეს განდევნილი, რადგან ნორმა, ვალდებულება და ღირებულება (Norm, Sollen, Wert) მას ესმის ერთისადიამავე ფორმალური მნიშვნელობით. ნორმატივობასა და ღირებულებას იგი ფსიქოლოგიურ საფუძველზე არ ამყარებს; ორივე მას გაგებული აქვს თავისებური მნიშვნელობით.

ჩვენ გავეცანით Kelsenის მოძღვრების ძირითად დებულებებს და ვნახეთ, თუ რაში მდგომარეობს ამ მოძღვრების თავისებურება. Kelsenი ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელსაც ნორმატივისტული ეწოდება. მაგრამ ამით მისი დანოუქიდებელი მდგომარეობა დახასიათებული, რასაკვირველია, არაა, რადგან ნორმატივისტული მიმართულება გაბატონებულია სამართლის მეცნიერებაში. ნორმატივისტულ მიმართულებას ახასიათებს ის, რომ იგი სამართალს ამყარებს. ნორმის, Sollenის ცნებაზე და სამართლის მეცნიერებას თვლის ნორმატიულ მეცნიერებად; მაგრამ, რომ დავუკვირდეთ ამ მიმართულების სხვადასხვა წარმომადგენლებს, ვნახავთ, რომ მათ სამართლის თეორიაში სხვადასხვა სახით შეაქვთ მატერიალური ელემენტები, ე. ი. ისინი სარგებლობენ იმ ცნებებით და მეთოდით, რომლებიც ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას ან ისტორიულ დისციპლინებს ეკუთვნიან; ისინი Sollenის ცნებას უკავშირებენ ფსიქიურ პროცესებს—ნებისყოფას ან წარმოდგენას; ამიტომაც მათ შეიძლება ვუწოდოთ მატერიალურ-ნორმატიული თეორიები. ამ ჯგუფში უნდა მოვათავსოთ Iheringის თეორია, ვინაიდან იგი სამართლის საფუძველად თვლის ინტერესსა და მიზანს¹; ამავე ჯგუფს ეკუთვნის საერთოდ იმპერატივის თეორია, რადგან იგი ნორმას ნებისყოფას უკავშირებს; აქვე ექნება ადგილი Zitelmannის თეორიას, მიუხედავად იმისა, რომ Zitelmannი იურიდიული ნორმა ჰიპოთეტურ მსჯელობად და არა იმპერატივად აღიარა; Zitelmannიც საბოლოოდ სამართალს ფსიქოლოგიურ საფუძველზე ამყარებს². ამავე ჯგუფში შედის Stammierის მოძღვრებაც; უკანასკნელი იმ მოსაზრებით, რომ თუმცა Stammierმა შეეცადა აეგო წმიდა ფორმალური სამართლის თეორია, მაგრამ სამართალი მან მაინც ტელეოლოგიური თვალსაზრისით დაასაბუთა³. ტელეოლოგიური მეთოდი კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს Kelsenი, კაუზალური მეთოდისაგან არსებითად არ განსხვავდება და აუცილებლად ნებისყოფას, ე. ი. ფსიქიურ აქტს გულისხმობს⁴. ყველა ამ თეორიების მიმართ, რომლებიც ხელმძღვა-

¹) Ihering, Geist des römischen Recht. III. 1871; Zweck im Recht.

²) Zitelmann, Irrtum und Rechtsgeschäft. 1879.

³) Stammier., Theorie der Rechtswissenschaft. 1911.

⁴) Hauptprobleme. Kapitel III.

შეადგენს. ამისდამიხედვით Stammern ასხვავებს სამართლის ფორმასა და სამართლის მატერიას (Rechtsform und Rechtsstoff); მისი აზრით, ისტორიულ კვლევა-ძიებას წინ უნდა უძღოდეს სისტემატიური კვლევა. მაგრამ, შენიშნავს F. Kaufmannი, Stammierმა ვერ შესძლო ამ პრობლემის გადაჭრა; მან მხოლოდ სწორად დააყენა ეს პრობლემა; როდესაც Stammლი ცდილობს მიღებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე ააშენოს სამართლის თეორია, იგი არ ამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს, ვინაიდან მის მიერ წამოყენებული „unverletzbar selbstherrlich verbindende Wollen“ სამართლის ცნებას არ შეადგენს. F. Kaufmannის შეხედულებით, სამართლის თეორიის ნამდვილ და სწორ გაგებას ჩვენ გვაძლევს. ნხოლოდ Kelsenი და ამ მეცნიერების დაარსების მომენტად მას მიაჩნია „Hauptprobleme“ს გამოქვეყნება („wird man trotz der wichtigen Vorarbeiten als Geburtsjahr der Rechtstheorie das Erscheinungsjahr der „Hauptprobleme“ zu bezeichnen haben“)¹. რომ ეს აზრი Kelsenს გადაჭარბებულ მნიშვნელობას მიაწერს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სამართლის თეორიის ნამდვილი ამოცანა უკვე Stammლიერის მიერ გარკვეულად იყო დახასიათებული. სხვა საკითხია, შეასრულა მან ეს ამოცანა, თუ არა. ამგვარი საკითხი შეიძლება თვით Kelsenის თეორიის შესახებაც წამოიჭრას; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ Kelsenის მოძღვრებასაც აქვს ნაკლი. მეორეს მხრივ, Kelsenის იურიდიული კონსტრუქცია სრულიად ახალი, რასაკვირველია, არ არის. მას ჰყავს თავისი წინამორბედნი. Seinისა და Sollenის განსხვავებას სხვა იურიდიულ მოძღვრებაშიაც ვხვდებით. ამ განსხვავებას ვხვდებით, მაგალითად, Jellinekის შრომებში; რაც შეეხება ფორმალურ მეთოდს, იგი ხომ მთელი იურიდიული დოგმატიკის დამახასიათებელი, ძირითად თვისებას შეადგენდა და კიდევ შეადგენს. ამიტომ F. Kaufmannის აზრი, რომ თითქოს Kelsenმა პირველად დაარსა სამართლის თეორია, რომ თითქოს „Hauptprobleme“ს გამოქვეყნება სამართლის თეორიის „Geburtsjahr“ს წარმოადგენს, მიუღებელია; უფრო სწორი და სინამდვილესთან შეთანხმებული იქნება ვთქვათ, რომ Kelsenმა ის პრინციპი, რომელიც უკვე აღიარებული და გამოყენებული იყო სამართლის მეცნიერებაში, გაწმინდა უცხო ელემენტებისაგან და განავითარა მის უკიდურეს შედეგამდე. Kelsenის თავისებურება ამაში უნდა ვეძიოთ. Seinისა და Sollenის განსხვავება, სამართლის ნორმატივობა, ფორმალური მეთოდი—ყველა ეს Kelsenის თეორიის შემადგენლობითი ელემენტები იურიდიული მეცნიერებისათვის უცნობი რამ არ ყოფილა; Kelsenმა ამ ელემენტებიდან შექმნა ახალი კონსტრუქცია და ამ კონსტრუქციის საშუალებით შეეცადა იმ წინააღმდეგობათა დაძლევის, რომლებსაც ხშირად ვხვდებით თანამედროვე იურიდიულ თეორიებში.

თუ F. Kaufmannი Kelsenს გადამეტებულ მნიშვნელობას მიაწერს, მეორეს მხრივ, არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომელიც Kelsenის თეორიის მეცნიერულ ღირებულებას თითქმის სრულიად უარჰყოფს. ამგვარ შეხედულებას გამოსთქვამს, მაგალითად, Baumgartenი; Baumgartenის აზრით, Kelsenის თეორია, როგორც უკიდურესად ფორმალური, ყოველივე შინაარსს მოკლებულია და ცნე-

¹) F. Kaufmann, Logik und Rechtswissenschaft. S. 54.

ბათა განსხვავებას ვერ იძლევა. „Wir meinen, ამბობს Baumgarten, dass wer das Sollen in allem und jedem zum Sein in Gegensatz bringen will, mit dem Sollen unvermeidlich ins absolut Leere gerät“¹.

არსებითად იმავე აზრს Kelsensის შესახებ გამოსთქვამენ Brodmann² და Erich Kaufmann³. სხვა შინაარსისაა Kelsensის კრიტიკა, რომელსაც იძლევა Sander⁴.

ჩვენ აქ მოკლედ გავეცნობით ამ ავტორების არგუმენტებს Kelsensის წინააღმდეგ. Brodmannის შეხედულებით, უდავოა ის, რომ ექსპლიკატიური და ნორმატიული მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იქნენ; სწორია ის დებულებაც, რომ ექსპლიკატიურ მეცნიერებას აქვს საქმე ისეთ დარგებთან, სადაც Sollenი არაა („wo es ein Sollen nicht gibt“); მაგრამ ის აზრი, რომ ნორმატიული მეცნიერების საგანს შეადგენს ისეთი დარგი, საიდანაც ყოველივე Sein გამოირიცხულია, სრულიად მცდარია. Sein და Sollen კატეგორიებს წარმოადგენენ; მაგრამ პირველადი კატეგორია არის Sein („Aber die Urposition ist nur das Sein“)⁵. თავის აზრს Brodmannი შემდეგნაირად ასაბუთებს. Sollenის წარმოდგენა არ არის დამოუკიდებელი იმავე მნიშვნელობით, როგორც Seinის; ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ Sein ისე, რომ ამავე დროს არ ვიფიქროთ მის წარმოშობაზე, მაგალითად, იმ შემოქმედ ძალაზე, რომელმაც იგი არარაობიდან გამოიწვია. Sollenის წარმოდგენა კი სხვა ბუნებისაა; იგი აუცილებლად მიუთითებს რომელიმე ავტორიტეტის ნებისყოფაზე. Sollenის სრული წარმოდგენა შეუძლებელია ისე, რომ იმავე დროს მეტი თუ ნაკლები სიცხადით არ წარმოვადგინოთ ის ავტორიტეტი, რომლის ნებისყოფაზეც იგი დამყარებულია. უფრო ძლიერად ამას ვგრძნობთ ზნეობაში, ნაკლებად ესთეტიკისა და ლოლიკის დარგში. Sollenი ყოველთვის ნებისყოფიდან გამომდინარეობს. Brodmannი არ ეთანხმება ნორმების იმ დაყოფას, რომელსაც გვაძლევს Somló. Somló ჰყოფს ნორმებს ორ მთავარ ჯგუფად—ემპირიულ და აბსოლუტურ ნორმებად—და მხოლოდ პირველი, ე. ი. ემპირიული ნორმების ჯგუფი, დაჰყავს ნებისყოფაზე. Somlós აზრით, ეთიკურ ნორმებს აქვთ აბსოლუტური ხასიათი და ამ ნორმებში გამოხატულ Sollenს ნამდვილად აქვს პირველადი და Seinისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა; ამ მოსაზრებით Somló თვლის, რომ ზნეობრივი ნორმები ნებისყოფას არ გამოხატავენ; რაც შეეხება ემპირიულ ნორმას, როგორცაა, მაგალითად, იურიდიული ნორმა, იგი, პირიქით, ნებისყოფასთან დაკავშირებულია; აქედან ადვილი გასაგებია, რომ Somlós თეორიით, ემპირიულ ნორმაში გამოთქმული Sollenი Seinს არ ეწინააღმდეგება. Brodmannი ამ შეხედულებას არ ეთანხმება; მისთვის ყოველივე Sollenი რომელიმე ავტორიტეტის ნებისყოფას

¹) Baumgarten, Die Wissenschaft vom Recht und ihre Methode. 1920. I. S. 234, 225.

²) Brodmann, Recht und Gewalt. 1921.

³) Erich Kaufmann, Kritik der neukantischen Rechtsphilosophie. 1921.

⁴) Sander, Kelsens Rechtslehre. 1923.

⁵) Recht und Gewalt. S. 25.

გულისხმობს¹. Sollenn თავისი შინაარსის მხრივ, შედარებით Seinთან, დამოუკიდებელი და დასრულებული კატეგორია არაა; Sollenn, როგორც ასეთი, არ არსებობს, იმ დროს, როდესაც Seinი არსებობს თავისთავად; სინამდვილეში არსებობს მხოლოდ რომელიმე არსის Sollenn („es gibt nur Sollen eines Seins“); ადამიანს არ აქვს საერთოდ ვალდებულება; მის ვალდებულებას უნდა ექნეს კონკრეტი შინაარსი („Der Mensch kann nicht einfach sollen, er kann nur etwas sollen“). აქედან Brodmannო დაასკვნის, რომ Sollenn არის მხოლოდ Seinის მოდალიტეტი; ამიტომ Sein და Sollennის მაგივრად შეიძლება ლაპარაკი Seinსა და Sein-Sollennის შესახებ².

ასეთია ის არგუმენტები, რომლებიც მოჰყავს Brodmannის Kelsenის თეორიის ძირითადი დებულების წინააღმდეგ. Brodmannო სრულიად უარყოფს Kelsenის თეორიას; იგი თვითონ აცხადებს ამ მოძღვრების შესახებ: „Es muss Verdienste besitzen, für die ich farbenblind bin“³. მეორე ადგილას იგი ამბობს: „So kann ich nicht finden, dass diese Betonung des Gegensatzes von Sein und Sollen, seine Verwertung für die Methode der Rechtswissenschaft gute Früchte eingebracht hätte“⁴. მისი აზრით, ამგვარი კონსტრუქციები სქოლასტიკას წარმოადგენენ.

Kelsenის მოწინააღმდეგეთა შორის Brodmannის, როგორც ჩანს ზემოთ ნათქვამიდან, უკიდურესი ადგილი უკავია; იგი ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელიც Kelsenის თეორიის ღირსებას სრულიად არ სცნობს. მაგრამ ამგვარი შეფასება Kelsenის მოძღვრებისა სწორი არაა; Kelsenის თეორიის მეთოდოლოგიური ღირებულების უარყოფა შეუძლებელია. რამდენადაც იგი არკვევს იურისპრუდენციის მეთოდის ბუნებას, უნდა ითქვას, რომ Kelsenის მოძღვრება იძლევა შედეგებს, რომელთა შესწავლა და გამოყენება დოგმატიურ გამოკვლევაში აუცილებლობას წარმოადგენს. ამ საკითხზე ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით შემდეგში, როდესაც გადავალთ Somlóს თეორიის განხილვაზე.

Erich Kaufmannოც უარყოფითად უყურებს Kelsenის მოძღვრებას. მისი შეხედულებით, ამ მოძღვრებამ მანვე გაველენა იქონია იურიდიულ აზროვნებაზე; Er. Kaufmannის Kelsenო მიაჩნია იმ მიმართულების წარმომადგენელად, რომელმაც სამართლის მეცნიერებაში შეიტანა გადაქარბებული სახით ფორმალური კონსტრუქცია, ცნებათა მკვეთრი ანტითეზა, სისტემატიკა და კლასიფიკაცია; ეს ფორმალიზმი, ამბობს იგი, ამ მიმართულებაში იმ ზომამდე გაბატონებულია, რომ მისი წარმომადგენელი ყველას, ვინც კი სარგებლობს სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეთიკური ან ისტორიული ცნებებით, უარყოფითად უყურებენ; ხშირად ვლებულობთ შთაბეჭდილებას, რომ იურისპრუდენციამ თითქოს დაკარგა თავისი სივანი; (Kaufmannო ამბობს: „dass aus dem Bedürfnis nach „Juristischer“ Reinheit die Jurisprudenz eine „Rechtswissenschaft ohne Recht“ geworden war“⁵; აქ იგი

¹) Ib. 27.

²) Ib. 28.

³) Ib. 31.

⁴) Ib. 23.

⁵) Erich Kaufmann. Kritik der neukantischen Rechtsphilosophie. S. 52.

სარგებლობს Nelsonის ცნობილი სიტყვებით „Rechtswissenschaft ohne Recht“¹. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ Kelsenის მთავარი მიზანია, სამართლის ობიექტივობის უზრუნველყოფა და სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს იგი, როდესაც უარყოფს იმპერატივის სუბიექტურ თეორიას და იურიდიულ ნორმას სთვლის ჰიპოთეტიურ მსჯელობად (როგორც Kelsenი ლაპარაკობს: „Darum objektives Urteil, nicht subjektiver Imperativ“).

ფორმალური თეალსაზრისის გამო, განაგრძობს E. Kaufmannი, სამართლის ქვეყანა გაქვევდა, იურიდიულმა აზროვნებამ მიიღო წმიდა სტატიკური ხასიათი; „იურიდიული“ სიწმიდე ფეტიშად გადაიქცა და იურისტებმა ვერ შეაძწინეს, რომ ცარიელ ცნებათა ფორმებში სამართლის იდეასაგან აღარაფერი დარჩა; ნეოკანტიანიზმს დიდა დანაშაული მიუძღვის იმაში, რომ მან დაფარა, გაამაგრა ეს მოძრაობა. *Cohensის სისტემაში იურიდიულზე ფორმალიზმი მიჩნეულია, როგორც წმიდა ნებისყოფის ეთიკის მეთოდოლოგიური საფუძველი. Kelsenის „ნორმოლოგიური“ სისტემის საფუძველსაც E. Kaufmannი ნეოკანტიანიზმში ხედავს („Kelsens „normlogische“ Energie ist tief im Neukantianismus verwurzelt“)². Kelsenისათვის სახელმწიფო მხოლოდ იურიდიული ნორმით შექმნილ „ჩათვლის პუნქტს“ წარმოადგენს; იგი არ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ უკავშირებს იურიდიული ნორმა ჩათვლას ერთ რომელიმე განსაზღვრულ პუნქტს; ყველა ამგვარი საკითხი, რომელიც არაა მხოლოდ ფორმალური, არამედ სამართლის არსებითი საკითხია, ნორმოლოგიური სამართლის თეორიის გარეშე რჩება³. ასეთია ის მთავარი მოსაზრებანი, რომლებიც Er. Kaufmannს Kelsenის წინააღმდეგ მოჰყავს. რაც შეეხება Er. Kaufmannის აზრს, რომ Kelsenის თეორია არ ხსნის, თუ რატომ უკავშირებს იურიდიული ნორმა ჩათვლას ერთ რომელიმე პუნქტს, ეს აზრი სწორია; Kelsenი მართლაც არ ხსნის ამას; შეიძლება დაისკას კიდევ სხვა კითხვა: რატომ არის ჩათვლის პუნქტი მხოლოდ ნებისყოფა? თუ ჩათვლის პუნქტი (Zurechnungspunkt) არის მხოლოდ იურიდიული კონსტრუქცია, მაშინ ამგვარ პუნქტად რატომ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ნებისყოფა და არა გონება, ინტელექტი? (ასეთ საკითხს აყენებს, ნაგალითად, Wielikowski — „Die Neukantianer in der Rechtsphilosophie“)⁴. ამ კითხვაზე Kelsenის მოძღვრება პასუხს არ გვაძლევს.

მაგრამ იურიდიული ფორმალიზმის უარყოფა, როგორც ამას ვხედავთ Er. Kaufmannის შრომაში, დაუშვებელია; იურიდიულ ფორმალიზმსაც აქვს თავისი ღირებულება; ფორმალური მეთოდი იურისპრუდენციის ბუნებრივ მეთოდს შეადგენს; თუ მივიღებთ ამ დებულებას, მაშინ Er. Kaufmannის არგუმენტაცია Kelsenის წინააღმდეგ გადაქარაბებულად უნდა ჩაითვალოს; შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ ფორმალური, ე. ი. ნორმატიული მეთოდი იურისპრუდენციის დარგში სრულიად მიზანშეწონილია და ამიტომ მის უარყოფას არავითარი საფუძველი არა აქვს.

¹) L. Nelson, Die Rechtswissenschaft ohne Recht. 1917.

²) Er. Kaufmann, Kritik der neukantischen Rechtsphilosophie. S. 53.

³) Ib. S. 80.

⁴) Brodmann, Recht und Gewalt. S. 22.

მიუხედავად მოყვანილ მოსაზრებებისა, Er. Kaufmannი მაინც სცნობს Kelsenის თეორიის მნიშვნელობას. Kelsenის დამსახურებას იგი ხედავს იმაში, რომ Kelsenმა მოგვცა თანამედროვე იურიდიული თეორიების კრიტიკა, გამოარკვია იურისპრუდენციაში მიღებული ცნებების შინაგანი წინააღმდეგობა; Er. Kaufmannი ამბობს: „Der grosse Erfolg von Kelsen und auch sein grosses Verdienst beruhen zum grossen Teil darauf,... dass er alle die „Halbwahrheiten“ als solche erkannt und anerkannt hat. Er ist der Meister des Rechtsformalismus, der die anderen „meistert“... Insofern seine Werke Halbwahrheiten bekämpfen, sind sie von höchsten kritischem Wert“¹. ამგვარად, იგი Kelsenის მიერ მოცემულ გავრცელებულ თეორიების კრიტიკას დიდ მნიშვნელობას მიაწერს.

სხვა თვალსაზრისით უდგება Kelsenის თეორიის შეფასებას Sanderი. Sanderმა წამოაყენა „იურიდიული ცდის თეორია“ (Theorie der Rechtserfahrung). სამართლის საგნად იგი თელის კონკრეტ ფაქტს, რომელიც დროში და სივრცეშია მოცემული. იგი ასხვავებს ორგვარ მსჯელობას: სამართლისა და სამართლის მეცნიერებისას (Urteile des Rechts und Urteile der Rechtswissenschaft); სამართლის მსჯელობა უშუალოდ მიმართულია კონკრეტ ფაქტებზე; ამ მსჯელობას Sanderი რეალურს ანუ ეკზისტენციალურს უწოდებს (Real oder Existentialteil); ხოლო იმ მსჯელობას, რომელიც მოცემულია სამართლის მეცნიერებაში რეფლექტურს უწოდებს (Reflexionsurteil). Sanderის აზრით, იურიდიულ ნორმაში გამოთქმული მსჯელობა გამოხატავს იმავე აუცილებლობას, რაც ბუნებრივი კანონი; ორივე ჰიპოთეტიური ხასიათისაა; როგორც კაუზალური, ისე იურიდიული მსჯელობა გამოხატავენ ერთდამიმავე ჰიპოთეტიურ კავშირს კონკრეტ ფაქტებს შორის. Sanderი ფიქრობს, რომ მხოლოდ მისი თეორია ხსნის სამართლის პოზიტივიზმს, რადგან მას სამართლის საგნად კონკრეტი სინამდვილე მიაჩნია; სამართლის მეცნიერების მიზანია იურიდიული აქტების ანალიტიური აღწერა; მთავარი ცნება Sanderის მოძღვრებაში არის „იურიდიული ცდის“ (Rechtserfahrung) ცნება: Rechtserfahrung კი კონკრეტ, ემპირიულად განსაზღვრულ სინამდვილეს წარმოადგენს; სამართლის მეცნიერება მხოლოდ მაშინ არის პოზიტიური, როდესაც იგი შეისწავლის ამ სინამდვილეს. აქედან ცხადია, რომ Sanderისათვის მიუღებელია თანამედროვე იურიდიულ დოგმატიკაში გაბატონებული აზრი სამართლის ნორმატიული ბუნების შესახებ. იურიდიული მსჯელობა არავითარ Sollenს არ გამოხატავს; Sollenის ცნება განდევნილი უნდა იქნას სამართლის მეცნიერებიდან, რადგან სამართალი ეკუთვნის მხოლოდ Seinის სფეროს. Kelsenიც იურიდიულ ნორმას „მსჯელობას“ უწოდებს; მაგრამ ეს ტერმინოლოგია Sanderს საეჭვოდ მიაჩნია; ნორმა, მისი აზრით, მსჯელობა არაა; ნორმა უფრო „იმპერატივი“ Kantის გაგებით, ანდა „Gemütsintention“, Brentanos ტერმინოლოგიით. ნორმატიულობის ცნება სამართლის დადებით ხასიათს ვერ ხსნის². Sanderი ამტკიცებს, რომ სამართლის ნორმატიულობა არის „ბუნებრივი სამართლის

¹) Er. Kaufmann, Kritik der neukantischen Rechtsphilosophie S. 79.

²) Sander, Das Recht als Sollen und das Recht als Sein. Archiv für Rechts- und Wirtschaftsphilosophie. B. XVII. 1923/24. S. 42.

ფანტაზია* („Die deskriptive Analyse des Rechtes erweist das Dogma von der Normativität des Rechtes als naturrechtliche Phantasie“)¹.

ამ მოკლე გადმოცემიდან ჩანს, თუ რა შედეგამდე მივიდა Sandernი. მან სამართალი საესებით გადაიტანა Seinის სფეროში და ამისდამიხედვით იურიდიული ნორმა გამოაცხადა რეალურ მსჯელობად, რომელშიაც არავითარ Sollenს ადგილი არა აქვს და რომელიც იმავე მნიშვნელობით არის მსჯელობა იურიდიულ ცდაში მოცემულ ფაქტიურ დამოკიდებულებათა შესახებ, როგორც ბუნებრივი კანონი; მაშასადამე, Sollennისა და ღირებულების ცნება სრულიად უარყოფილია Sandernის თეორიაში. ბუნებრივი კანონისა და იურიდიული ნორმის ანალოგია, რომელსაც პირველად ვხვდებით Zitelmannის შრომაში—„Irrtum und Rechtsgeschäft“, და რომელიც შემდეგში განავითარა და ახალ საფუძველზე დაამყარა Kelsenმა, Sandernის მოძღვრებაში მივიდა თავის უკიდურეს ლოლიკურ შედეგამდე. იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეტიური მსჯელობა; როგორც ასეთი, იგი ემსგავსება ბუნებრივ კანონს. ასეთია Kelsenის შეხედულება. მაგრამ Kelsenი, მიუხედავად ამ მსგავსებისა, მაინც სდებს საზღვარს იურიდიულ ნორმასა და ბუნებრივ კანონს შორის; მათი განსხვავება მაინც ძირითადია, ვინაიდან იურიდიული ნორმა გამოხატავს Sollenს და ამ სახით, რასაკვირველია, არსებითად განსხვავდება ბუნებრივ კანონისაგან. Sandernისათვის კი ეს განსხვავება არ არსებობს: მისთვის ანალოგია არის სრული. ამ შეხედულების აუცილებელი შედეგი უნდა ყოფილიყო Sollennისა და, მაშასადამე, ნორმატივობის უარყოფა სამართლის დარგში.

ჩვენს მიზანს Sandernის თეორიის შეფასება არ შეადგენს. აქ ჩვენ იგი გვინტერესებს იმდენად, რამდენადაც მასში ვხვდებით ზოგიერთ მოსაზრებებს Kelsenის წინააღმდეგ, რომლებიც, ჩვენის აზრით, საფუძვლიანია. რაც შეეხება Sandernის თეორიის მთავარ დებულებას, რომ სამართალს თითქოს არავითარი ნორმატივობა არ ახასიათებს, ეს დებულება, რა თქმა უნდა, მხოლოდ Kelsenის მოძღვრების წინააღმდეგ მიმართული არაა. სამართლის ნორმატივობის ცნება საერთოდ მიღებულია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში; ეს არის გავრცელებული, გაბატონებული შეხედულება. ამიტომ, რამდენადაც Sandernი უარყოფს სამართლის ნორმატიულ ბუნებას, იმდენად იგი მიდის ამ გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ. აღებული ამ ფართო მნიშვნელობით, Sandernის მოძღვრება სერიოზულ და დამარწმუნებელ არგუმენტებს არ იძლევა; იგი ვერ ამტკიცებს, რომ სამართალი ეკუთვნის მხოლოდ Seinის ქვეყანას. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სამართალს ნორმატიული თვისებაც ახასიათებს. მაგრამ კერძოდ, Kelsenის მოძღვრების შეფასებაში Sandernი ზოგჯერ გამოსთქვამს აზრს, რომელიც მართებულად უნდა ჩაითვალოს. ასეთია, მაგალითად, Sandernის შენიშვნები Grundnormის შესახებ, რომელსაც, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ Kelsenის თეორიის გადმოცემისას, ამ თეორიაში დიდი ადგილი უკავია. Grundnormის ანუ Ursprungsnormის ცნებით Kelsenს თავის მოძღვრებაში შეაქვს უცხო ელემენტი, რადგან ეს ძირითადი ნორმა თავისი წარმოშობით და შინაარსით სამართლის

¹) Sander, lb. 24, 25.

დარგს არ ეკუთვნის; ეს საკითხი ზემოთ უკვე იყო გამოჩვენებული. საფუძვლიანია აგრეთვე Sanderის აზრი იმის შესახებ, რომ დინამიკური თვალსაზრისი Kelsenის საერთო სისტემასთან შეთანხმებული არაა, ვინაიდან ეს სისტემა თავისი ბუნებით, თავისი შინაგანი აგებულებით სტატიკური ხასიათისაა¹.

ჩვენ დავახასიათებთ ზოგიერთი ავტორის შეხედულებას Kelsenის მოძღვრებაზე და აღვნიშნეთ ორი მოწინააღმდეგე მიმართულება ამ მოძღვრების შეფასებაში: ერთი მააწერს მას გადამეტებულ მნიშვნელობას, მეორე ამცირებს და ზოგჯერ კი სრულიად უარყოფს მის ღირებულებას სამართლის მეცნიერებაში. ჩვენის აზრით, არც ერთი მათგანი Kelsenის თეორიის ნამდვილ მეცნიერულ მნიშვნელობას არ გამოხატავს. Kelsenის მოძღვრების ნამდვილი ღირებულების წარმოდგენას ჩვენ გვაძლევს Somló. Somló არკვევს, თუ რა ბუნებისაა Kelsenის თეორია და რა შეუძლია მას მისცეს სამართლის მეცნიერებას, რაში მდგომარეობს ამ თეორიის ნაკლი და რა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დასაბუთებული და ამ სახით იურიდიულ მეცნიერებაში იქნეს გამოყენებული.

ყველა ამ საკითხების გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა Somlóს თეორიის ძირითადი შეხედულების დახასიათება. მხოლოდ Somlóსა და Kelsenის მთავარ დებულებათა დაპირისპირების გზით ჩვენ გამოვარკვევთ, თუ რაში ეს ორი ავტორი ეთანხმება, ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამ ორი მოძღვრების შედარება მოგვცემს Kelsenის თეორიის შეფასების საფუძველსაც. თავისთავად ცხადია, რომ მთელი საკითხი, რომელიც ჩვენ ეხლა გვაინტერესებს, შეეხება სამართლის მეცნიერების საგანსა და მეთოდს. რა ბუნებისაა სამართლის მეცნიერება, როგორია მისი საგანი და მეთოდი? ასეთია ის მთავარი საკითხები, რომელთა გადაჭრას უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამართლის დარგში. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ სჭირს ამ საკითხებს Kelsen. ეხლა მოკლედ დავახასიათოთ Somlóს შეხედულება ამავე საკითხებზე².

Somlóს მოძღვრება დამყარებულია იმ დებულებაზე, რომ არსებობს ორგვარი სამართლის მეცნიერება: ერთი შეისწავლის სამართლის შინაარსს, ხოლო მეორე—სამართლის ფორმას; პირველს ეკუთვნის იურისპრუდენცია ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც იძლევა განსაზღვრული იურიდიული წყობილების შინაარსის სისტემატიურ დამუშავებას; იურისპრუდენციის საგნად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე სხვადასხვა იურიდიული წყობილების შედარება და შესწავლა. მაგრამ სამართლის ნორმების შინაარსის გამოკვლევა შეიძლება რომელიმე ღირებულების თვალსაზრისითაც; აქ სისტემატიურ დამუშავებას ადგილი უკვე არა აქვს; აქ ისმება საკითხი, თუ როგორი უნდა იქნეს სამართლის შინაარსი იმისათვის, რომ იგი ეთანხმებოდეს მიღებულ ღირებულების საზომს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ვაქვს საქმე იმ დისციპლინასთან, რომელსაც სამართლის პოლიტიკა ეწოდება; რასაკვირველია, ღირებულების თვალსაზრისი იურისპრუდენციაშიც არსებობს, მაგრამ ღირებულების საზომი იქ მოცემულია თვით სამართლის შინაარსში, იმ დროს როდესაც სამართლის პოლიტიკაში ღირებულების პრინციპი აღე-

¹) Sander, *Kelsens Rechtslehre*. 1923. S. S. 36-39.

²) Somló, *Juristische Grundlehre*. 1927.

ბულია სამართლის გარეთ; ამავე ჯგუფში, იურისპრუდენციისა და სამართლის პოლიტიკის გარდა, შედის სამართლის ისტორია, რომელიც შეისწავლის სამართლის შინაარსს მისი წარმოშობის, ცვლილებისა და მოსპობის მხრივ; ყველა ამ დისციპლინებს—იურისპრუდენციას, სამართლის პოლიტიკას და სამართლის ისტორიას—ახასიათებს საერთო თვისება: ისინი იკვლევენ სამართლის შინაარსს (Rechtsinhalt). მაგრამ სამართლის მეცნიერების დარგი ამ დისციპლინებით არ ამოიწურება. მათ გვერდით არსებობს კიდევ ერთი მეცნიერება, რომლის ყურადღება სამართლის ფორმაზე (Rechtsform) მიქცეული; ამ უკანასკნელ მეცნიერებას Somló „Juristische Grundlehre“-ს უწოდებს. რა განსხვავებაა ამ სხვადასხვა დისციპლინებს შორის? ერთნი შეისწავლიან სამართლის შინაარსს, ხოლო „Juristische Grundlehre“ შეისწავლის სამართლის ფორმას. მაგრამ ამით ჯერ-ჯერობით მათი განსხვავება გარკვეულად ნაჩვენებია არაა; Somló უფრო დაახლოვებით არაკვევს ამ განსხვავებას; მისი აზრით, იურისპრუდენციის, სამართლის პოლიტიკის და სამართლის ისტორიის საგანი მოქცეულია სამართლის ცნების ფარგლებში, Juristische Grundlehre კი შეისწავლის თვით სამართლის ცნებას; აქედან Somló დაასკვნის, რომ, ვინაიდან Juristische Grundlehre იკვლევს სამართლის ცნებასა და მისგან გამომდინარე შედეგებს, იგი გამოდის სამართლის სფეროდან; თავისი ამოცანის შესასრულებლად იგი უნდა გადავიდეს უფრო ფართო დარგში, ასე ვთქვათ, უნდა აიწიოს სამართლის დარგის ზევით და ამ გზით აღმოაჩინოს სამართლის ცნება, გამოპყოს სამართლის დარგი სხვა მონათესავე დარგებისაგან. ვინაიდან იგი იძულებულია სამართლის განსაზღვრის დროს დასტოვოს სამართლის სფერო, ეს მეცნიერება რამოდენადმე მაინც უკვე მხოლოდნამხოლოდ იურიდიული მეცნიერება არაა (Indem sie also über rechtliche Gebiet hinauszu gehen gezwungen ist, ist sie gewissermassen nicht mehr Rechtswissenschaft)¹. სამართლის მეცნიერებას იგი წარმოადგენს იმ მხრივ, რომ მისი მიზანია სამართლის ცნების აღმოჩენა, მაგრამ ამავე დროს იგი არაა მხოლოდ სამართლის მეცნიერება იმდენად, რამდენადაც იგი ამ მიზნის მისაღწევად სტოვებს იურიდიულ დარგს და იჭრება ზემდებარე სფეროში, სადაც ეძებს სამართლის ცნებას („Sie ist jedoch insoweit nicht nur Rechtswissenschaft, als sie zu diesem Behufe vorerst das juristische Gebiet verlassen und sich auf ein übergeordnetes Gebiet begeben musste, um daselbst nunmehr den Rechtsbegriff zu suchen“)².

მეცნიერებებს, რომლებიც სამართლის შინაარსს იკვლევენ, თანაბარი მდგომარეობა უკავიათ (gleichgeordnet nebeneinander stehen); თითოეული მათგანი სხვებისაგან დამოუკიდებლად მუშაობს თავის დარგში და მხოლოდ შემთხვევით მიმართავს მეორე დარგს. მაგრამ იმ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის სამართლის ძირითად ცნებებს, აღნიშნულ მეცნიერებების მიმართ უკავია უფრო მაღალი მდგომარეობა (ist ihnen übergeordnet); იგი მათ ლოლიკურ საფუძველს წარმოადგენს. მისი მუშაობა უნდა იქნეს დამთავრებული იმისათვის, რომ სხვა მეცნიერებებმა დაიწყონ მათი მუშაობა, ანდა განაგრძონ იგი განსაზღვრულ ფარგლებში

¹) Somló, Juristische Grundlehre. 3. 5.

²) Ib. S. 6.

გარეთ. სამართლის ძირითადი მეცნიერება აწეღის ცალკე დისციპლინებს თავის შედეგებს; როდესაც ამას არა აქვს ადგილი, მაშინ ცალკე დისციპლინა იძულებულია კონკრეტ შემთხვევისათვის თვითონ საკუთარი საშუალებით გამოიმუშაოს ანკვარი ცნებები. მაშასადამე, Somlóს აზრით, იურისპრუდენციის, სამართლის ისტორიისა და სამართლის პოლიტიკის არსებობისათვის საჭიროა, რომ წინასწარ გამორკვეული იქნეს თვით სამართლის ცნება. სხვანაირად რომ იყოს საქმე, საიდან ეკოდინებოდა, მაგალითად, სამართლის ისტორიას, თუ რა შეადგენს მის განსაკუთრებულ სფეროს და რაშია მისი განსხვავება სხვა ისტორიულ დარგებისაგან. ეს აზრი ყველაზე უფრო მართალია იურისპრუდენციის მიმართ; იურისპრუდენცია ყველაზე უფრო საჭიროებს სამართლის ცნების რაც შეიძლება მტკიცე და გარკვეულ განსაზღვრას; მისთვის აუცილებელია ამ ცნების ყველა შემადგენლობითი ნაწილების გამომუშავება, რადგან უამისოდ მისი მთავარი ამოცანა— იურიდიული ნორმების შინაარსის სისტემატიური გადმოცემა— შეუსრულებელი რჩება.

Somlóს შეხედულებით, წინასწარი მუშაობის წარმოება, ე. ი. სამართლის ცნების გამოყვანა, იურისპრუდენციას მისი ჩვეულებრივი საშუალებით არ შეუძლია; იურიდიული ნორმების შინაარსიდან (dem Inhalte von Rechtsnormen) სამართლის არსება (Wesen des Rechts) არ გამოიყვანება; იურისპრუდენციის მეტოდი შექმნილია ამ შინაარსის დასამუშავებლად და, ცხადია, რომ სამართლის ფორმის გამოსაკვლევად იგი არ გამოდგება¹. ანგვარად Somló იურისპრუდენციას გამოჰყოფს იმ მეცნიერებისაგან, რომელსაც იგი Juristische Grundlehre უწოდებს.

მათი საგანი მკაფიოდ არის განსაზღვრული: იურისპრუდენცია იკვლევს სამართლის შინაარსს, ხოლო Juristische Grundlehre — სამართლის ფორმას. თუ ასეთია Grundlehre საგანი, მაშინ როგორია მისი დამოკიდებულება სამართლის ზოგად თეორიასთან (Allgemeine Rechtslehre)? შეადგენენ ისინი ერთდამივე მეცნიერებას, თუ არა? Somlóს აზრით, ამ ორ მეცნიერებას შორის არსებითი განსხვავებაა; ის მეცნიერება, რომელსაც Allgemeine Rechtslehre ეწოდება, იძლევა ცნებებს, რომლებიც გამოყვანილია იურიდიული ნორმების შინაარსიდან აბსტრაქციის საშუალებით; იგი სინამდვილეში იკვლევს კონკრეტ ნორმათა სისტემას ფართო თუ ვიწრო მოცულობით. მისი ცნებები თვით სამართლის შინაარსს წარმოადგენენ და არა ყოველივე სამართლის შინაარსის საფუძველს („Sie sind keineswegs Voraussetzungen jeglichen Rechtsinhaltes, sondern bilden selbst einen Rechtsinhalt“)². სამართლის ზოგადი თეორია იკვლევს იმას, რაც საერთოა სხვადასხვა იურიდიულ წყობილებისათვის; მაშინაც კი, როდესაც იგი იძლევა უზოგადესი ხასიათის ცნებებს, იგი სინამდვილეში იკვლევს მხოლოდ სამართლის შინაარსს; ეს ცნებები ყოველივე წარმოდგენილი სამართლისათვის აუცილებელი არ არიან. შესაძლოა ისეთი იურიდიული წყობილების წარმოდგენა, სადაც ეს შინაარსი არ იქნებოდა; ამ მნიშვნელობით ეს შინაარსი მხოლოდ შე-

1) Ib. S. 7.

2) Ib. S. 6.

მთხვევითია, როგორც საერთოდ სამართლის ყოველივე შინაარსი. ჩვენ ვხედავთ, რომ აქ *Somló* უახლოვდება *Stammli*-ის შეხედულებას სამართლის მეცნიერებაზე; *Stammli*-ის ასხვავებს სამართლის ფორმასა და შინაარსს; მისი აზრით, მხოლოდ ფორმა შეადგენს სამართლის წმიდა თეორიის საკანს; მაგრამ *Stammli*-მა ეს პრობლემა თავისებურად გადაჭრა. უფრო სწორად უდგება საკითხს *Somló*. როგორ ესმის *Somló*-ს სამართლის აუცილებელი ელემენტები, რომლებიც *Grundlehre*-ს ნამდვილ საკანს შეადგენენ?

იმისათვის, ამბობს იგი, რომ გამოაკვეთილი იქნეს სამართლის აუცილებელი ცნებების ბუნება, უნდა დაისვას კითხვა—შესაძლოა უიმისოდ რომელიმე იურიდიული წყობილების წარმოდგენა, თუ არა? თუ შესაძლოა, მაშინ ეს ცნება, მიუხედავად მისი საყოველთაო ხასიათისა, იქნება მხოლოდ ზოგადი იურიდიული ცნება, რომელსაც განსაზღვრული სამართლის შინაარსისათვის აქვს მნიშვნელობა. თუ შეუძლებელია, მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე სამართლის ძირითად ცნებასთან და, როგორც ასეთი, იგი არავითარი სამართლის შინაარსიდან არ გამოიყვანება; *Somló*-ს მოჰყავს მაგალითები; ქორწინების, საკუთრების და თვით ხელშეკრულების ცნება სამართლის წყობილებისათვის აუცილებელი არაა; შესაძლოა ისეთი წყობილების დაშვება, სადაც მათ ადგილი არ ექნებათ; ამგვარი წყობილების წარმოდგენა წინააღმდეგობას არ ნიშნავს; ოჯახურ დამოკიდებულებათა მოუწესრიგებლობა, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არაა, მაგრამ ამით კიდევ არ ისპობა იურიდიული წესრიგი. სულ სხვა მნიშვნელობა აქვს მოვალეობის ანდა ნორმის აღრესატის ცნებას; ეს უკანასკნელი ცნებები ნაგულისხმევათ თვით იურიდიული წყობილებით. იურიდიული მოვალეობის ცნება არ არის ზოგადი ცნება, გამოყვანილი სამართლის შინაარსიდან; იგი არის ძირითადი ცნება და წარმოადგენს ყოველივე შესაძლო სამართლის მეცნიერების საფუძველს.

იურისპრუდენციის უზოგადესი ნაწილიც იცვლება სამართლის ცვალებადობის მიხედვით, ხოლო სამართლის და მასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები შეადგენენ ყოველივე იურისპრუდენციის საფუძველს, რომელიც სამართლის შინაარსის ცვლილებისაგან დამოუკიდებელია¹.

Juristische Grundlehre იცვლევს სამართლის აუცილებელ ცნებებს; იურისპრუდენციის საგანი კი სხვაა; მისი მეთოდიც სხვა ხასიათისაა; თავისი მეთოდის საშუალებით მას არ შეუძლია ძირითადი ცნებების გამომუშავება; იგი არის მოცემული სამართლის შინაარსის სისტემატიური გადმოცემა. ამის მიხედვით *Somló* იურისპრუდენციას ახასიათებს, „als eine fortlaufende Neuredaktion eines irgendwo gegebenen Rechtsinhaltes“².

თუმცა იურისპრუდენცია შეზღუდულია მოცემული შინაარსით, მაგრამ ამ შინაარსის გამოთქმისა და დალაგების მხრივ იგი თავისუფალია; მასალა, რომელსაც ამუშავებს იურისპრუდენცია, მუდმივ მოძრაობაშია და ამიტომ უკანასკნელი იძულებულია განუწყვეტლივ შეუფარდოს მას თავისი სისტემა, ე. ი. განუწყვეტლივ შეცვალოს იგი; კიდევ რომ დაუშვათ, რომ სამართლის დამდგე-

1) Ib. S. 10.

2) Ib. S. 16.

ნელა აპარატმა შეაჩერა თავისი ნუშაობა, იურისპრუდენცია მინც ვერ შეჩერდება, რადგან იგი უნდა ჩიპყვეს ცხოვრების მოძრაობას. მისი ამოცანაა იურიდიული ნორმების შინაარსის აღნიშვნა ანდა ამ შინაარსის გადამუშავება; არც ერთის გზით და არც მეორეთი მას არ შეუძლია მოგვეცეს ძირითადი ცნებების შეწყენება.

ეს ძირითადი ცნებები მას ესაქიროება, მაგრამ მათი მიღება თავისი საშუალებით მას არ შეუძლია („Die Jurisprudenz kann diese nicht entbehren, aber auf dem Wege ihrer besonderen Leistungsmöglichkeiten kann sie sie nicht gewinnen“) ¹.

იურისპრუდენციას Somló სთვლის „ნომოგრაფიულ მეცნიერებად“ (nomografische Wissenschaft); პოზიტივიზმი, ამბობს იგი, იურისპრუდენციას, როგორც მეცნიერებას, უარყოფდა; ბუნებისმეტყველებისა და კულტურის მეცნიერების დაპირისპირებაც ვერ არკვევს იურისპრუდენციის მდგომარეობას, თუნც ამით პოზიტივიზმის შეხედულება უკვე აღარღვეულია. Seinისა და Sollens თვალსაზრისის დაპირისპირებამ წამოაყენა ნორმატიული მეცნიერების ცნება და გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი იურისპრუდენციის ბუნების სწორ გაგებისაკენ. მაგრამ ნორმატიულ მეცნიერებებს შორისაც არსებობს განსხვავება; ყოველ მეცნიერებას, რომელსაც საგნად აქვს ნორმა, ნორმატიული არ ეწოდება; ნორმატიული ეწოდება ისეთ მეცნიერებას, რომელიც გამოსთქვამს ნორმის შინაარსს („deren Aufgabe es ist, einen Norminhalt zum Ausdruck zu bringen“); პირიქით, შენაძლოა, რომ მეცნიერება, რომელსაც ნორმა აქვს საგნად, იქნეს „არსის წყნიერება“ (Seinswissenschaft); ასეთია, მაგალითად, ნორმათა ისტორია, რომელიც აღწერს ნორმების წარმოშობასა და მოსპობას; სამართლის ისტორია იკვლევს ნორმის შინაარსს, მაგრამ იგი სრულებითაც არაა ნორმატიული, რადგან მის მიზანს ნორმების შინაარსის სისტემატიური გადმოცემა არ შეადგენს ².

ნორმატიულ მეცნიერებებს შორის Somló ორ ჯგუფს ასხვავებს: ნორმის დამდგენელ (normsetzende) და ნორმის გადმომცემელ (normdarstellende oder dogmatische) მეცნიერებას; პირველს იგი აგრეთვე ნომოთეტიურს უწოდებს (nomothetische Wissenschaft), ხოლო მეორეს—ნომოგრაფიულ მეცნიერებას; პირველი არკვევს თვით ნორმას; მას, როგორც ამბობს Somló, „გამოყავს ნორმა გონების სიღრმიდან სინათლეზე“ („Sie bringen sie aus den Tiefen der Vernunft ans Tageslicht“); ასეთია, მაგალითად, ლოლიკა ან ეთიკა; მეორეს კი, ე. ი. ნომოგრაფიულ მეცნიერებას, აქვს მოცემული უკვე დადგენილი ნორმები, რომლებიც მან მხოლოდ უნდა დაამუშაოს; მისი მიზანია არაა ნორმების აღმოჩენა, არამედ ამ მოცემული ნორმების ახსნა-განმარტება და სისტემატიზაცია. იურისპრუდენცია ეკუთვნის ნომოგრაფიულ, ანუ დოგმატიურ მეცნიერებათა ჯგუფს; ამავე ჯგუფში Somló ათავსებს გრამატიკასაც. აქედან აღვილი გასაგებია Somლოს სიტყვები: „ეგრეთწოდებული იურიდიული აზროვნება“ ნიშნავს ამ აზროვნების შებოკვას ნორმის შინაარსით“ („Das sogenannte „juris-

¹) Ib. 22.

²) Ib. 22.

tische Denken“ bedeutet weiter nichts als die Gebundenheit dieses Denkens an Norminhalte“¹⁾. ამ სიტყვებით აღნიშნულია ის ფაქტი, რომ იურიდიულ აზროვნებას საქმე აქვს მხოლოდ დადგენილი ნორმის შინაარსთან (gesetzte Norminhalt).

იმის მიხედვით, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, Soml-ის იურისპრუდენციისა და Grundlehre-ს ურთიერთდამოკიდებულებას ახასიათებს შემდეგნაირად: იურისპრუდენცია არის ნომოგრაფიული მეცნიერება, ხოლო Juristische Grundlehre „არსის მეცნიერებას“ (Seinswissenschaft) წარმოადგენს; Juristische Grundlehre ნორმატიული მეცნიერება არაა; თუმცა მასაც აქვს საქმე ნორმებთან, მაგრამ იგი არ ცდილობს გააოაშკაროს ნორმის შინაარსი, არამედ გამოსთქვამს ქეშმარიტებას ნორმების შესახებ²⁾.

ნომოთეტიური, ე. ი. ნორმის დადგენელი მეცნიერების ცნება იმ მნიშვნელობით, რომლითაც მას ვხვდებით Soml-ის მოძღვრებაში, ზოგიერთს დაუშვებლად მიაჩნია. F. Kaufmann-ის აზრით, ამგვარი მეცნიერება nonsens-ს წარმოადგენს; „გონების სიღრმიდან“ ნორმები არასოდეს არ გამოიყვანება, ვინაიდან ნორმატიული ქეშმარიტება, ნორმატიული a priori არ არსებობს; ლოგიკის დებულებანი, რასაკვირველია, გონების სიღრმიდან წარმოიშვებიან, მაგრამ ისინი არიან „იდეალური არსის“ კანონები (Wesensgesetze idealen Seins) და არა ნორმები³⁾. ამ მოსაზრებით F. Kaufmannი „normsetzende“ მეცნიერების შესაძლებლობას უარყოფს; მაგრამ საგულისხმოა ის, რომ იგი იქვე ამბობს: ლოგიკა იქცევა ნორმატიულ მეცნიერებად, ე. ი. სწორი აზროვნების ხელოვნებად, როდესაც თორმალური ლოგიკის ქეშმარიტებას ემატება ნორმა: „იზროვნე სწორად“. აქ F. Kaufmannი მხოლოდ იმეორებს Husserl-ის აზრს, რომლის მიხედვით ყოველივე თეორიული დებულება შეიძლება გარდაიქცეულ იქნას ნორმატიულ დებულებად⁴⁾; თუ მივიღებთ მხედველობაში ლოგიკის ამ ნორმატიულ ნხარეს, მაშინ ცხადია, რომ F. Kaufmann-ის არგუმენტს თავისი ძალა ეკარგება, რადგან ლოგიკა შეიძლება ნორმატიული მნიშვნელობითაც იქნეს გაგებული; წინააღმდეგობა აქ არაა; ლოგიკა შეიძლება იქნეს გაგებული, როგორც „Kunstlehre“; ამ მნიშვნელობით იგი იქნება „ნომოთეტიური“ მეცნიერება, რადგან ექვს გარეშეა, რომ ლოგიკა, როგორც ხელოვნება, შეიცავს სწორი მსჯელობის წესებს. Soml-ის შეხედულების მიღება ამგვარი შესწორებით შესაძლოა.

Soml-ის მიერ წამოყენებული „ნომოგრაფიული მეცნიერების“ ცნება აგრეთვე მისაღებია. როგორც იყო ნათქვამი, Soml-ის ნომოგრაფიულად მიაჩნია ის მეცნიერება, რომელიც მუშაობს უკვე მოცემული ნორმების მიხედვით; იურისპრუდენცია თავისი ბუნებით ამგვარ მეცნიერებას წარმოადგენს. ლოგიკა განხილუ-

1) Ib. 24.

2) „... während die Jurisprudenz eine nomographische Wissenschaft ist, die juristische Grundlehre überhaupt keine normative Wissenschaft, sondern eine Seinswissenschaft ist. Sie has es zwar auch mit Normen zu tun, sucht aber nicht einen Norminhalt zum Ausdruck zu bringen, sondern stellt Wahrheiten über eine Normenart auf.“ ib. 24.

3) F. Kaufmann, Logik und Rechtswissenschaft. 62.

4) Husserl. Logische Untersuchungen. I. S. 156, 157.

ლი, როგორც „Kunstlehre“, აუცილებლად იძლევა აზროვნების პრაქტიკულ ნორმებს; იურისპრუდენცია კი არავითარ იურიდიულ ნორმას არ იძლევა; იგი მხოლოდ ხსნის და სისტემატიურ ფორმაში აყალიბებს იმ ნორმებს, რომლებსაც განმზადებული სახით იურიდიულ სინამდვილეში ნახულობს.

F. Kaufmannი ფიქრობს, რომ ეთიკა, როგორც მეცნიერება, შესაძლოა მხოლოდ მოცემული ზნეობრივი ნორმების განმარტების და სისტემატიზაციის მნიშვნელობით¹; ამ აზრს ჩვენ ვერ დავეთანხმებით; ეთიკას აქვს ზნეობრივი ყოფაქცევის ნორმების დაწესების უნარი; ეს ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ ზნეობის ავტონომიურ ხასიათს; ეთიკაც, რასაკვირველია, ნახულობს განმზადებული სახით ნორმებს, რომლებიც შემუშავებულია ზნეობრივ ცნობიერებაში; მაგრამ იგი ამ ნორმებით შეზღუდული მანძილ არაა; მას შეუძლია შემოქმედების უნარიც გამოიჩინოს. იურისპრუდენციის დარგში კი ეს შეუძლებელია; აქ იურისტი ხვდება უკვე რომელიმე გარეგანი ავტორიტეტით დაწესებულ ნორმებს და, როგორც ამბობს Somló, „შებორკილია ამ ნორმების შინაარსით“; მას შეუძლია მხოლოდ არსებული ნორმების დამუშავება. იმ შემთხვევაში, როდესაც იურისტი სტრუქტურის თავის პირდაპირ ამოცანას და იწყებს შემოქმედებას, იგი იურისპრუდენციიდან გადადის სამართლის პოლიტიკაში.

ამგვარად, ნორმატიულ მეცნიერებათა თავისებური დაყოფა ორ ჯგუფად — „normsetzende“ და „normdarstellende“ (oder dogmatische) Wissenschaften — რომელსაც ვეძღვევს Somló, ჩვენის აზრით, მისაღებია. იურისპრუდენცია, როგორც იყო აღნიშნული, შედის მეორე ჯგუფში; იგი დოგმატიური მეცნიერებაა; იურისპრუდენციისაგან Somló მკაფიოდ გამოყოფს სამართლის Grundlehreს; პირველი თავისი ბუნებით ნორმატიულია, მეორე კი იკვლევს სამართალს, როგორც არსს; ამიტომ იგი „Seinswissenschaft“ს წარმოადგენს; მისი ამოცანაა სამართლის ძირითადი ცნებების შესწავლა. Somlóს, მაშასადამე, სამართლის მეცნიერება არ მიაჩნია ერთგვაროვან მეცნიერებად; ასეთი გაგება შეცდომა იქნებოდა. სამართალი შეადგენს ორი სხვადასხვა მეცნიერების საგანს, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან მათი ამოცანებით და მეთოდებით. იურისპრუდენცია იკვლევს მოცემული იურიდიული ნორმების შინაარსს და ნორმატიული მეთოდით სარგებლობს, ხოლო Juristische Grundlehre შეისწავლის სამართლის ფორმას, ე. ი. სამართლის აუცილებელ ცნებებს და ხელმძღვანელობს არსის შემეცნებელ მეთოდებით. Somló გარკვეულად საზღვრავს ამ ორ დარგს და თითოეულ მათგანს თავის განსაკუთრებულ მეთოდს მიაწერს. ამიტომ Somlóს თეორიის წინააღმდეგ იმ მოსაზრების წამოყენება, რომ Somlóს შრომაში დაშვებულია „მეთოდების სინკრეტიზმი“², გაუგებრობის შედეგია. „მეთოდების სინკრეტიზმზე“ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთდამავე დისციპლინაში ორი სხვადასხვა მეთოდად გამოყენებული, მაგალითად, როდესაც იურისპრუდენციაში შეტანილია სხვა დარგის მეთოდი და, პირიქით, იურისპრუდენციის მეთოდი გამოყენებულია სხვა დარგში. მაგრამ, თუ დავუკვირდებით Somlóს მოძღვრებას, ვნახავთ, რომ

1) F. Kaufmann. op. cit. S. 62.

2) Ib. S. 54.

აქ ასეთ მეთოდების აღრევას ადგილი არ აქვს: Somlön გარკვეულად ამტკიცებს, რომ ერთი დარგის მეთოდი მეორეში არ გამოდგება.

Kelsenსა და მის მომხრეებს მოჰყავთ ის მოსაზრება, რომ „მეტაიურიდიული“ ელემენტის შეტანა სამართლის ცნებაში დაუშვებელია, რომ სამართლის ცნება განსაზღვრული უნდა იქნეს მხოლოდ იურიდიული მეთოდის საშუალებით, ვინაიდან სამართლის შემეცნებას სხვა მეთოდი, გარდა ნორმატიულისა, ვერასოდეს ვერ მოგვცემს. მაგრამ სამართლის თეორიის მთავარი საკითხი ამაში მდგომარეობს: შესაძლოა მხოლოდ ნორმატიული მეთოდის საშუალებით მიღება სამართლის ძირითადი ცნებისა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ყოველივე იურიდიულ კვლევა-ძიებას, თუ არა? Kelsenის აზრით, შესაძლოა. Somlön კი ამტკიცებს, რომ ამგვარი ბასუბი დაყენებულ კათხვაზე ნიშნავს ორი სხვადასხვა დარგის ამოცანებისა და მეთოდების ერთმანეთში აღრევას და სამართლის ძირითადი თეორიის (Juristische Grundlehre) ამოცანების დაკისრებას იმ დისციპლინისათვის, რომელსაც სამართლის დოგმატიკა ეწოდება და რომელიც ამ ამოცანას ვერ შეასრულებს; სამართლის დოგმატიკა, ე. ი. იურისპრუდენცია ვიწრო მნიშვნელობით (Jurisprudenz in engerem Sinne) ვერასოდეს ვერ შეასრულებს ამ ამოცანას, რადგან მისი მეთოდი ნორმის შინაარსის შესწავლაზეა მიმართული; პირიქით, იგი თავისი ნაყოფიერი მუშაობისათვის ყოველთვის გულისხმობს სამართლის ძირითად ცნებებს უკვე განმზადებული სახით. ამ საკითხს ჩვენ შემდეგში კიდევ დაუბრუნდებით, ესლა კი უფრო დაახლოებით გავეცნობით Jurisprudenzისა და Grundlehres განსხვავებას Somlönს თეორიის მიხედვით.

Somlönს აზრით, ამ ორი დისციპლინის მკვეთრი განსხვავება აუცილებლად საჭიროა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმ საკითხების სწორი გადაჭრა, რომლებიც ორივე დარგისათვის მნიშვნელობას წარმოადგენენ. ეს საკითხები შეეხება სამართლის ცნების ბუნებას და მის სახეებს. პირველყოლისა განსხვავებული უნდა იქნეს სამართლის შინაარსისა და სამართლის ფორმის ცნება. იურიდიულ-ნორმატიული გზით მხოლოდ პირველს, ე. ი. სამართლის შინაარსის ცნებას ვღებულობთ; სამართლის ფორმის ცნებას კი—ამ სიტყვით Somlön გულისხმობს ძირითად ცნებას—ამ გზით ვერ მივიღებთ. აქედან გასაგები ხდება Somlönს აზრი, რომ „სამართლის ცნება იურიდიული ცნება ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით არაა“ („Der Begriff des Rechtes ist kein Rechtsbegriff im engeren Sinne des Wortes“)¹. ეს აზრი, რომელმაც პირველი შეხედვით შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, გაგებული უნდა იქნეს იმ მნიშვნელობით, რომ სამართლის ცნება იურიდიული, ე. ი. იურიდიული დოგმატიკის მეთოდით არ გამოიყენება; Somlönსათვის იურიდიული დოგმატიკა იგივეა, რაც იურისპრუდენცია; იურისპრუდენცია შეისწავლის მხოლოდ ნორმების შინაარსს; ნორმატიული, ე. ი. წმინდა იურიდიული მეთოდის საგანი ეს შინაარსია.

იურიდიულ ცნებებს შორის Somlön ასხვავებს ორ ჯგუფს: ძირითად ცნებებს, რომლებსაც განსაზღვრავს ნორმის წარმომშობი ფაქტორი და ცნებებს, რომლებზედაც ამ ფაქტორს არაერთი გავლენა არა აქვს („Solche, deren Bestim-

¹) Juristische Grundlehre. S. 26.

mung dem Urheber der Norm zusteht, und solche, auf die er keinen Einfluss zu üben vermag“¹⁾: იგი იძულებულია ისარგებლოს ამ უკანასკნელი ცნებებით, როდესაც იგი ჰქმნის იურიდიულ ნორმებს; ეს ცნებები მოცემულია ნორმების იმ სახეობასთან ერთად, რომელსაც „სამართალი“ ეწოდება; ეს ყოველივე სამართლის აუცილებელი ცნებები Juristische Grundlehre-ს საგანს შეადგენენ და მათზეა დამყარებული თვით იურისპრუდენციის შესაძლებლობაც; ამგვარად ახასიათებს Somló ყოველივე იურიდიული სისტემის აუცილებელ ცნებებს და უწოდებს მათ „Juristische Grundbegriffe“; ყველა დანარჩენი ცნებები კი, მისი აზრით, წარმოადგენენ „Rechtsinhaltsbegriffe“²⁾.

სამართლის ფორმისა და სამართლის შინაარსის განსხვავებით Somlóმ წამოაყენა ის პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ უკვე Stammle-რის მოძღვრებაში³⁾. საგულისხმოა ის, რომ ეს აზრი სხვადასხვა იურისტების შრომებშია გამოთქმული. ამავე პრობლემას აყენებს Bierling-ი. ამ მხრივ Bierling-ი უახლოვდება Somlóს შეხედულებას, მაგრამ მისი „Juristische Prinzipienlehre“ შეიცავს ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც უფრო სამართლის ზოგად თეორიას ეკუთვნიან⁴⁾. Kelsen-იც როგორც ვნახეთ, ასხვავებს სამართლის ფორმასა და შინაარსს და სამართლის მეცნიერების საგნად მხოლოდ ფორმის შესწავლას თვლის. Kelsen-ისა და Somlóს გარდა ყველაზე უფრო გარკვეულად ფორმისა და შინაარსის განსხვავება დაახასიათა Stammle-რმა. Stammle-რის „Reine Rechtslehre“ სწორედ ამ საკითხის გადაჭრის ცდას წარმოადგენს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, ყველა ეს თეორიები დაყენებული პრობლემის გადაჭრაში ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან; როდესაც ისინი გადადიან „სამართლის ფორმის“ განსაზღვრაზე, მათ ამ განსაზღვრაში შეაქვთ თავისებური, ხშირად კი მოწინააღმდეგე, ელემენტები. ამის დასამტკიცებლად საკმარისია თუნდაც Stammle-რისა და Kelsen-ის შეხედულების შედარება; პირველს სამართლის ფორმაში შეაქვს მიზნისა და ნებისყოფის ცნება, მეორე კი ამ ცნებებს სრულიად უარყოფს. აქედან ცხადია, რომ „სამართლის ფორმა“ ერთგვაროვანი ცნება არაა და სამართლის მეცნიერებაში მას სულ სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ, მაინც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს პრობლემა განმეორებით ისმება; ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ სამართლის მეცნიერება ამ მიმართულებით ეძებს თავის მთავარ ამოცანას; იგი ცდილობს აღმოაჩინოს სამართლის ლოგიკურად აუცილებელი ელემენტი და ამ უკანასკნელზე დაამყაროს ცალკე იურიდიული დისციპლინების მეცნიერული მუშაობა. წმინდა ნორმატიული მეთოდი ასეთ აუცილებელ, ძირითად ცნებებს, ცხადია, რომ ვერ აღმოაჩენს. ამ მხრივ Somlóს შეხედულება მართებულიად უნდა ჩაითვალოს.

თავისი თეორიის წინამორბედად Somlóს სთვლის Austin-ს. Austin-ი ასხვავებს სამართლის ორგვარ პრინციპებს: აუცილებელს, ურომლისოდაც სამართლის

1) Ib. 27.

2) Ib. 27.

3) Stammle, Theorie der Rechtswissenschaft. 1911. Einleitung.

4) Bierling, Juristische Prinzipienlehre. B. I. V. Zur Kritik der juristischen Grundbegriffe. B. I, II.

წყობილება წარმოუდგენელია და ისეთებს, რომლებსაც ეს თვისება არ ახასიათებს; (იგი ამბობს: „Of the principles, notions, and distinctions which are the subjects of general jurisprudence, some may be esteemed necessary“)¹. ეს განსხვავება Soml-მ დაუდვა საფუძვლად თავის მოძღვრებას; მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ სამართლის ეს აუცილებელი შემადგენლობა Austin-ის ესმის უფრო ფართოდ, ვიდრე Soml-ს; Austin-ის შეაქვს შიგნით ისეთი ცნებები, რომლებიც Soml-ის თვალსაზრისით აუცილებელი არ არიან.

Juristische Grundbegriffe, Soml-ის თეორიის მიხედვით, წარმოადგენენ იმ ცნებებს, რომლებიც თავისთავად მოცემულია ყოველივე იურიდიულ წყობილებაში; როგორც ასეთი, ისინი აპრიორული ხასიათის უნდა იყვნენ; მართლაც, Soml-მ მათ აპრიორობას მიაწერს; მაგრამ ამ თვისებას იგი თავისებურად განმარტავს; მისი აზრით, Grundbegriffe აპრიორულია იურისპრუდენციის მიმართ, რადგან ისინი იურისპრუდენციის საფუძველს წარმოადგენენ; თავისი წარმოშობის მხრივ კი Grundbegriffe ემპირიული ცნებებია; ისინი გაწმენდილია ყოველივე სამართლის შინაარსისაგან; მაგრამ მათი სიწმიდე სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ისინი ცდისაგან დამოუკიდებელია („Ihre Reinheit bedeutet nicht Reinheit von jeder Erfahrung, sondern bloss von jedem Rechtsinhalt“); Soml-ის ტერმინოლოგიით, ეს „წინა-იურიდიული ცნებებია“ (vorjuristische Begriffe), ე. ი. მათ არა აქვთ იურიდიული ხასიათი ამ სიტყვის ტექნიკური მნიშვნელობით; მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ემპირიული ცნებებია („Nichtsdestoweniger sind es Erfahrungsbegriffe“); აუცილებელი და საყოველთაო მნიშვნელობა მათ აქვთ მხოლოდ ყოველივე სამართლის შინაარსის მიმართ; Grundbegriffe არაეტიარის სა-მართლის შინაარსით განსაზღვრული არ არიან².

მაშასადამე, Soml-ის შეხედულებით, სამართლის ცნება ემპირიული ცნებაა. სამართალი, გაგებული ამნაირად, რასაკვირველია, რეალური ფაქტის მნიშვნელობას ღებულობს; ამიტომაც Soml-მ სამართლის დამახასიათებელ თვისებებს სოციალურ სინამდვილეში ეძებს და სამართალს განსაზღვრავს, როგორც „Normen einer gewöhnlich befolgten, umfassenden und beständigen höchsten Macht“³.

რომ ვეცნობით Soml-ის განმარტებას აუცილებელი იურიდიული ცნების შესახებ, ჩვენ ვღებულობთ შთაბეჭდილებას, რომ აქ თითქოს წინააღმდეგობას აქვს ადგილი. სამართლის ცნება Soml-სათვის აუცილებელიცაა და ემპირიულიც. აუცილებლობა კი გულისხმობს აპრიორობას. მაგრამ სინამდვილეში აქ წინააღმდეგობა არაა, რადგან, Soml-ის აზრით, სამართლის ცნება ემპირიულია თავისი წარმოშობის მხრივ; ხოლო, რაც შეეხება მის დამოკიდებულებას სამართლის შინაარსთან, იგი აპრიორულია; თვით ეს აპრიორობა რელატიური ხასიათისაა („Der Rechtsbegriff ist also ein empirischer, nur kein rechtsinhaltlich-empirischer Begriff, er ist ein relatives Apriori der Rechtswissenschaft“)⁴.

¹) Austin. Lectures on Jurisprudence. 1879. v. II. p. 1108.

²) Juristische Grundlehre. S. 47.

³) Ib. 105.

⁴) Ib. 127.

ზემოთ ნათქვამიდან საკმაოდ ირკვევა, თუ რა დამოკიდებულება არსებობს Kelsenისა და Somlის შეხედულებას შორის სამართლის მეცნიერების საგნისა და მეთოდის საკითხში. მაგრამ საინტერესოა თვითონ Somlის აზრი Kelsenის მოძღვრების მნიშვნელობის შესახებ. Soml თქვამს, რომ მის მიერ წამოყენებული მოძღვრება Kelsenისას არ ეწინააღმდეგება, რადგან Juristische Grundlehre იკვლევს ისეთ დარგს, რომელიც ნორმატიული მეთოდის დარგისაგან განსხვავდება. Soml ამბობს: „Und zwar steht die hier geforderte juristische Grundlehre nicht in Widerspruch zur normativen Methode Kelsens, da sie ein vom Gebiete dieser verschiedenes Gebiet der Untersuchung für sich in Anspruch nimmt“¹. არსებითად ეს აზრი სწორია იმდენად, რამდენადაც Kelsenი მკვეთრად ასხვავებს „normative Wissenschaft“-სა და „Seinswissenschaft“-ს და უკანასკნელის მეთოდს მკაფიოდ გამოყოფს იურისპრუდენციისაგან. მაგრამ, როგორც აღნიშნავს თვითონ Soml, Kelsenს ავიწყდება, რომ იურისპრუდენციას არ შეუძლია აწარმოოს თავისი მუშაობა, თუ მას არა აქვს მოცემული ყველა ის „არსის ცნებები“ (Seinsbegriffe), რომლებიც სამართლის ცნებასთან არიან დაკავშირებული. Kelsenს ჰსურს თავისი გამოკვლევით მოგვეცეს ისეთი შედეგი, რომელსაც ყოველივე იურიდიული სისტემისათვის ექნება მნიშვნელობა; ეს გარემოება უკვე ამტკიცებს, რომ მისი „Hauptprobleme“ მხოლოდ სამართლის შინაარსის პრობლემებს არ წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათი გადაჭრა იურისპრუდენციის ნორმატიული მეთოდის საშუალებით შეუძლებელია. ამგვარად Kelsenი იტყობს იმ დარგში, რომელიც წინ უძღვის იურისპრუდენციას და ვერ ამჩნევს, რომ ამით იგი სტოვებს სამართლის ნორმატიული კონსტრუქციის სფეროს („Kelsen greift in das Gebiet der Voraussetzungen der Jurisprudenz über und übersieht dabei, dass er damit das Gebiet der normativen Rechtskonstruktion verlassen musste“)². მას სწამს, რომ სამართლის წარმოშობისა და მოსპობის ფაქტი იურიდიული შეგუენების გარეშე მდებარეობს; ეს კი, რასაკვირველია, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სამართალი არის ფაქტი, რომელიც სპეციალ ტექნიკურ-იურიდიულ მეთოდისათვის მიუწვდომელია და არა იმას, რომ ამ ფაქტის შეუცნობლად იურისპრუდენციას თითქოს შეეძლოს ტექნიკურ-იურიდიული მეთოდის გამოყენება. იურისპრუდენციას არ შესწევს ძალა თავისი მეთოდის საშუალებით გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის სახელმწიფო და სამართალი. მისი მეთოდის გამოსაყენებლად სრულიად არაა საკმარისი უბრალო აღიარება, რომ სამართალი არსებობს. ამისათვის საჭიროა კიდევ დაახლოვებით გამოიკვლია, თუ რა არის და რა არაა სამართალი. Kelsenი ლაპარაკობს სამართლის წყობილების არსებობის იურიდიულ შემეცნებაზე („von einem juristischen Erfassen des Wesens der Rechtsordnung“). მაგრამ, Somlის აზრით, ეს შეუძლებელია, რადგან Kelsenისათვის „იურიდიული“ ნიშნავს იურისპრუდენციის, როგორც „სამართლის შინაარსის მეცნიერების“, სპეციალური მეთოდის გამოყენებას („da juristisch

¹) Ib. 24.

²) Ib. 25.

für Kelsen die Anwendung der speziellen Methode der Jurisprudenz als Rechtsinhaltswissenschaft bedeutet“)¹.

Somló სცნობს Kelsenის თეორიის ღირსებას; იგი Kelsenს აღარებს Rickertს; Somlós სიტყვით, როგორც Rickertმა გაიყვანა საზღვარი ბუნებისმეტყველებასა და კულტურის მეცნიერებებს შორის, ისე Kelsenმა იურისპრუდენციის მეთოდოლოგიური გაწმენდის მიზნით გამოარკვია არსის მეცნიერების და ნორმატიული მეცნიერების ცნებათა საზღვარი. Kelsenის მოძღვრება იძლევა იურისპრუდენციის მეთოდოლოგიის დაფუძნების შესაძლებლობას („dadurch ist die Möglichkeit für die Grundlegung einer Methodologie der Jurisprudenz gegeben“)².

ამ თვალსაზრისით Somlós თეორია თითქოს Kelsenის მოძღვრების ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. Somló მსჯელობს შემდეგნაირად: Kelsenმა მოგვცა იურისპრუდენციის მეთოდის დახასიათება; იურისპრუდენცია Somlós ესმის ვიწრო მნიშვნელობით (Jurisprudenz in engerem Sinne); ეს მეთოდი ნორმატიული, ე. ი. წმიდა ფორმალური ხასიათისაა; იგი სამართლის ძირითადი ცნებების (Juristische Grundbegriffe) გამოსარკვევად არ გამოდგება; სამართლის ძირითადი პრობლემები სულ სხვა მეთოდს მოითხოვენ. როცა იურისპრუდენცია შეუდგება თავისი დარგის დაშუალებას, მას უკვე უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რაა სამართალი, მოვალეობა და სხვა. ამ ძირითად ცნებებს იკვლევს ის მეცნიერება, რომელსაც Somló „Juristische Grundlehre“-ს უწოდებს. ამგვარად Kelsenისა და Somlós მოღვრებას შორის თითქოს ათავითარი წინააღმდეგობა არაა: იურისპრუდენციასა და Grundlehreს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული დარგები; თითოეული მათგანი ნუშაობს თავის დარგში და თავისი საკუთარი მეთოდით ხელმძღვანელობს.

მაგრამ, რომ დავუკვირდეთ ამ ორ თეორიას, ჩვენ მათ შორის დიდ განსხვავებას აღმოვაჩენთ. Somlós, როგორც იყო აღნიშნული, ნორმატიული მეთოდის არეს ზღუდავს იურისპრუდენციით და ეს უკანასკნელი სამართლის დოგმატიკის მნიშვნელობით ესმის; Kelsenის შეხედულება კი ასეთი არაა; Kelsenის აზრით, ნორმატიული მეთოდის გამოყენების სფერო მხოლოდ სამართლის დოგმატიკით არ განისაზღვრება; ამავე მეთოდის საშუალებით იგი ცდილობს გამოარკვიოს სამართლის თეორიის ყველა მთავარი საკითხები; Kelsenის მოძღვრების გადმოცემის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ ერთადერთი მეთოდი, რომლითაც იგი სარგებლობს, არის ნორმატიული; ამ მეთოდის საშუალებით გამოჰყავს მას აპრიორულად მიღებულ პრინციპიდან სამართლის თეორიის ყველა მნიშვნელოვანი ცნებები—სამართალი, სახელმწიფო, მოვალეობა, უფლება და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ Somlósა და Kelsenის მოძღვრებას შორის წინააღმდეგობა არ იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ Kelsenის მოძღვრების მნიშვნელობას შევზღუდავდით სამართლის დოგმატიკის, ე. ი. იურისპრუდენციის დარგით. სწორედ ამას გულისხმობს Somló, როდესაც იგი ამბობს, რომ მის

¹) Ib. 25.

²) Ib. 26.

Es war eben die Rede vom Stoffaustausch zwischen Blutkörperchen und Plasma, unter dessen Einfluss das R-Volumen steht. Der Grad dieses Stoffaustausches kann nach Jacobsen⁹³ eine Frage der Kondition sein, und überhaupt die ganze Viskosimetrie von erheblicher Bedeutung für die Züchtungsbiologie. Die wichtigsten Beziehungen der Blutviskosität, sowie des Serums zum Organismus sind erstmalig von Jacobsen vom tierzüchterischem Standpunkte aus betrachtet worden. Von den entsprechenden Darlegungen möchte ich, zum Schluss, besonders zwei Punkte hervorheben: 1. Die Bedeutung, welche der viskosimetrischen Untersuchungen in der Fütterungslehre zugeteilt werden kann, und 2. die Notwendigkeit die Blutuntersuchungen durch die Untersuchungen der Serumviskosität zu ergänzen, denn Veränderungen und Verschiebungen der Serumbestandteile (Globulin-Albuminverhältnis u. a.), welche in dessen Viskosität zum Ausdruck kommen, den Gebiete der Konstitution sehr nahe stehend sind.

Es ist schon verschiedentlich erwähnt worden, dass die innere Medizin die Bestimmungen der Viskosität mehr und mehr in den Kreis ihrer Betrachtungen und diagnostischen Hilfsmittel einbezieht, und, ferner, dass mit der Wandlung von anatomisch-morphologischen zum allgemeinbiologischen Denken die Blutbeschaffenheit auch in der Tierzucht zu einem wichtigen Erkenntnissfaktor werden kann. Insbesondere erwartet man, dass die Viskositätsbestimmungen weitere Aufklärungen über das Verhalten der Blutbewegung und des Blutdruckes bei Gesunden, sowie bei Kranken,— da dieser physiologischer Faktor in hämodynamischer Beziehung eine Rolle spielt— sowie in Verbindung mit der Feststellung anderer physikalischer Eigenschaften das Auffinden neuer wichtiger Gesichtspunkte ermöglichen werden. Neben der Notwendigkeit, bestehende Methoden der Blutuntersuchung in die Züchtungsbiologie einzuführen, steht die tierzüchterische Forschung vor der Aufgabe, das Zuchtmaterial unter Berücksichtigung züchterisch wichtigen Fragen von diesem neuen Standpunkte aus zu betrachten und

zu prüfen. Mit Recht sagt D e t e r m a n n²⁸, dass die Bestimmung der Viskosität nicht etwa dadurch unnötig wird, dass eine andere, leichter zu ergründende Eigenschaft des Blutes mit ihr in genauem Parallelitätsverhältniss steht, denn die Viskosität darf in dieser Beziehung als ein gewissermassen unabhängiger Faktor betrachtet werden, wofür in beschränkten Umfange meine Untersuchungen eine Bestätigung liefern. Wir haben gesehen, dass die Zahl der roten Blutkörperchen und die Viskosität eine verhältnissmässig grosse Parallelität aufweisen, jedoch sind auch hier solche Unterschiede und soviel Ausnahmen von der Regel vorhanden (vergl. D e t t e r m a n n), dass die Feststellung der Zahl der Erythrozyten keineswegs genügt, um auch über die Viskosität ein sicheres Urteil zu bilden. In diesem Zusammenhange bemerkt D e t e r m e n: „Die Zahl der Formelemente allein kann uns ja auch kein vollständiges Bild der Masse derselben geben, da ihre Grösse besonders in Krankheitszuständen gewissen Differenzen unterliegt“. Dazu hält er es für besser, das Volumen der Blutkörperchen mit den Viskositätswert zu vergleichen. Wir haben aber gesehen, dass R-Volumen in seinem Einfluss auf die Viskosität als gleich Null angesehen werden kann, weil es ziemlich unverändert bleibt. Ob der schon erwähnte Ausgleich von R-Zahl und -Volumen, unter Voraussetzung bestimmter Bedingungen, allgemein besteht, werden künftige Untersuchungen entscheiden müssen.

Ebenso wenig kann das spez. Gewicht des Blutes einen Anhaltspunkt über die Viskosität geben, denn ein Vergleich der in den Haupttabellen angegebenen Viskositätswerte des Blutes mit denen des spez. Gewichtes zeigt, dass die Abweichungen von der Gleichsinnigkeit beider Grössen viel gross sind, um durch die Feststellung der einen ein Bild von dem Verhalten des anderen gewinnen zu können. Für diese Abweichungen ist besonders der Umstand massgebend, dass das spez. Gewicht von allen Teilen des Blutes abhängt, während für die Viskosität nicht alle Stoffe des Blutes zur Wirkung kommen. „Das Blut ist innerhalb sich selbst isoviskös; die Blutkörperchen enthalten viel visköser Substanzen als das Serum und diese hochviskösen Substanzen sind gewissermassen von ihrer Verwendung für die Viskosität der gesamten Blutflüssigkeit ausgeschlossen“. (D e t e r m a n n²⁸). Der Vergleich der Viskosität von deckfarbenen und lackfarbenen Blut liefert hierfür einen Beweis.

Das spez. Gewicht des Blutes ist die Funktion der in ihm gelösten oder suspendierten festen Bestandteile und steigt und fällt im allgemeinen mit der Menge derselben, weil diese Bestandteile grösstenteils schwerer sind als das Lösungsmittel, im gegebenen Falle das Wasser. Nur das Fett bildet eine Ausnahme. Es ist spezifisch leichter als das Wasser und daher erscheint ein fettreiches Blut oder Plasma im Vergleich zu der Gesamtmenge der darin enthaltenen festen Bestandteile spezifisch leicht. Das spez. Gewicht des Blutes ist die Resultierende aus den spez. Gewichten der Blutflüssigkeit (Plasma oder Serum) und der Blutkörperchen unter Berücksichtigung ihrer Mengenverhältnisse. Das besagt, dass ein Blut im allgemeinen spezifisch um so schwerer sein muss,

je reicher es an Blutkörperchen ist und umgekehrt. Ein vollkommener Parallelismus zwischen Plasmagehalt bzw. Blutkörperchen und spezifischen Gewicht ist aber deshalb nicht zu erwarten, da letzteres auch für jeden dieser beiden Bestandteile an sich ganz beträchtlichen Schwankungen unterworfen sein kann. Diese Verhältnisse kommen in der Tabelle 7 einigermaßen deutlich zum Vorschein. Hier sind die spez. Gewichte von Plasma, Erythrozyten und Gesamtblut nebeneinander angegeben und dem Gewichtsverhältniss von Plasma und Blutkörperchen (in $\frac{0}{0}$) gegenüber gestellt. Für die Gewinnung, eines Überblickes über die quantitative Beziehung beider Blutbestandteile scheint mir dieses Verhältniss gut geeignet zu sein, weil in ihm alle Korrelationen—wie z. B. für R-Zahl-Grösse und -Gesamtvolumen festgestellt worden sind, eventuell aber auch andere,—endgültig ausgedrückt sein müssen. Von allen in der Tabelle 7 zusammengestellten Werten sind in den Haupttabellen nur spez. Gewichte der Erythrozyten und des Blutes angegeben. Das Gewichtsverhältniss von Plasma und Erythrozyten sowie das spez. Gewicht des Plasmas wurden mit Hilfe des Hämatokrites bzw. Thoma'schen Mischpipette bei der Berechnung des spez. Gewichtes der roten Blutkörperchen bestimmt. In der Tabelle 7 sind nur einige Beispiele angegeben, da bei der sehr geringgradigen Schwankung des spez. Gewichtes des Plasmas weitere Angaben dieser Werte nichts Neues gezeigt hätten.

Man sieht also, dass die Blutflüssigkeit, von verhältnissmässig niedrigen und die Blutkörperchen von verhältnissmässig hohem spez. Gewicht tatsächlich sich die Wage halten, und dass das spez. Gewicht des Blutes den Ausdruck dieses Gleichgewichtshaltens darstellt. Aus der Tabelle ist weiter ersichtlich, dass das eben erwähnte Gleichgewicht sich sehr verschieden verhält und zwar sowohl bei demselben Individuum wie auch beim Vergleich mehrerer Tiere. Hierbei ist es nicht das spez. Gewicht des Plasmas, sondern das der Erythrozyten, welches die Aufrechterhaltung des Gleichgewichtes übernommen hat.

Bei Besprechung der roten Blutkörperchen komme ich nochmals auf ihre spez. Gewichte zurück. Vorweg sei aber bemerkt, dass in Anbetracht der sehr grossen Schwankungen der Zahl und Grösse der roten Blutkörperchen—sei es im Zusammenhange mit Alter, verschiedenen pathologischen und physiologischen Verhältnissen, Tageszeiten, auch Rasse, Geschlecht, Ernährung u. s. w.—die von verschiedenen Autoren beobachteten erheblichen Differenzen im spez. Gewicht des Blutes derselben Tierart oder desselben Individuums nichts Unerwartetes sein muss.

So fand Richter¹⁰⁸ für Rinder

| | |
|---|---------------------------|
| unter einem Jahr ein spez. Gewicht von: | 1059,1 |
| von 1—4 " " " " " | 1055,0 im Mittel |
| " 4—6 " " " " " | 1059,8 ohne Rücksicht |
| " 6—10 " " " " " | 1058,1 auf Rasse u. s. w. |

Während bei den eigenen Untersuchungen die Durchschnittswerte für Tiere unter einem Jahr (ohne Rücksicht auf Rasse, Geschlecht u. s. w.) 1050, 02 und

Tiere von 1—1½ Jahr 1050,50 sind. Holz⁶¹ (pyknometrische Methode) hat beim Rinde eine Schwankung der Durchschnittswerte von 1053,1—1050,7 gefunden. Diese Durchschnittszahlen sind jedoch nur mit grösster Vorsicht zu verwenden, weil die Zahl der untersuchten Tiere meistens ziemlich gering war. So hat beispielsweise Richter in der ersten Gruppe nur zwei, in der dritten vier, und in der vierten, sechs Tiere gehabt; auch bei meinen Untersuchungen ist die Zahl der Versuchstiere nicht weit davon entfernt. Auch spielt dabei die erhebliche individuelle Schwankung, die aus den Haupttabellen sehr deutlich zu ersehen ist, eine grosse Rolle. Diese Schwankung erreicht bei einigen Tieren im Laufe der Untersuchungsdauer eine Breite von 1040,56—1050,35 (Nr. 1385) oder 1040,56—1059,44 (Nr. 1546), während in anderen Fällen sie sich auf eine solche von 1050,35—1056,62 oder 1050,35—1053,38 beschränkt (Nr. Nr. 1519,1520). Im allgemeinen darf gesagt werden, dass diese Schwankung nicht an irgend eine Altersstufe gebunden und für eine bestimmte Entwicklungsperiode charakteristisch ist, obwohl sie bei jüngeren Tieren häufiger auftritt, als bei den Erwachsenen. Wir werden noch sehen, dass mit fortschreitendem Wachstum auch die Schwankung der Erythrozyten eine immer geringere wird und wenn wir uns an dieser Stelle daran erinnern, was über die Beziehung zwischen der Blutkörperchenmenge und dem spez. Gewicht des Blutes gesagt worden ist (S. 144), so wird die Ursache der Schwankungsverminderung des spez. Gewichtes mit fortschreitendem Alter in grossen Zügen leicht verständlich. Dass sie aber auch bei Erwachsenen vorkommen kann, und zwar in demselben Umfange, wie bei jüngeren Tieren, zeigen die Tiere Nr. 1385 und Nr. 1524. Ausser der R-Menge sind zugleich auch andere Momente mit zu berücksichtigen, worüber teilweise noch die Rede sein soll. Auf diese Momente lässt sich der auffallende Unterschied zwischen den spez. Gewicht des Tieres Nr. 1385 und dem der anderen teilweise zurückzuführen, weshalb er nicht als von besonderen Bedeutung anzunehmen ist. Alle diese Differenzen treten sehr weit zurück, wenn man die Durshschnittszahlen für die einzelnen, sowie die für die in Altersgruppen zusammengestellten Tiere mit einander vergleicht:

| | | |
|----------------|--------------------------------|------------------|
| Nr. 63—1049,76 | Nr. 52—1048,41 | Nr. 1521—1049,91 |
| „ 62—1047,74 | „ 51—1050,85 | „ 1524—1050,26 |
| „ 61—1050,21 | „ 58—1053,46 | „ 1519—1053,59 |
| | I. 5 Tage — 4½ Mon. —1049,77 | |
| | II. 4½ Mon. — 8½ Mon. —1050,61 | |
| | III. 8½ „ — 12¾ „ —1050,76 | |
| | IV. 12¾ „ — 16½ „ —1050,11 | |

Vergleicht man nun das oben gesagte mit dem, was über die Viskosität gesagt worden ist, dann wird es klar, dass ein gleichartiges Verhalten von Viskosität und spez. Gewicht nur in gewissen Grenzen zu beobachten sein wird; aus

den Haupttabellen ersieht man, dass niedrige Viskositätswerte auch mit hohem spez. Gewicht vereinbar sind und umgekehrt.

Auch der Hämoglobingehalt entspricht keineswegs immer dem Grade der Viskosität, wenngleich auch hier meistens ein ähnliches Verhalten beider Grössen statt hat (s. Determan²³)

Es bleibt noch übrig, den Hämoglobingehalt des Blutes zu besprechen.

Der Hämoglobingehalt in 100 ccm Blut nimmt mit fortschreitendem Wachstum beständig zu. Der Grad dieser Zunahme ist aber für die einzelnen Tiere sehr verschieden, wobei jedoch niemals eine sprunghaft verlaufende Vergrößerung des Hämoglobingehaltes zu bemerken ist. Von der ersten Jugend an bis zu späterer Zeit hält sie vielmehr einen, im allgemeinen, regelmässig mittleren Schritt. Dass sich diese Verhältnisse bei einzelnen Individuen tatsächlich so gestalten, ist aus den Haupttabellen zu ersehen, ein gleiches Verhalten ergibt sich auch bei den verschiedenen Altersgruppen:

| | | | |
|----------|----------|----------|-----------|
| Gruppe I | 5 Tag.— | 4½ Mon.— | 8,206 gr. |
| " II | 4½ Mon.— | 8½ Mon.— | 8,971 " |
| " III | 8½ " | —12¾ " | — 9,852 " |
| " IV | 12¾ " | —16¾ " | —10.106 " |

Die hier beobachtete ständige Zunahme geht weiter. So hat Richter¹⁰⁸ beobachtet dass der Hämoglobingehalt in diesen Zeiten am höchsten ist, während er in der Entwicklungszeit von 2—4 Jahren und dann wiederum im späteren Alter, von 6 Jahren ab, weit geringer ist. In Anbetracht einer solchen periodischen Schwankung des Häm-Gehaltes war zu erwarten, dass das Alter auf ihn keinen, oder nur geringen Einfluss ausübt (s. Richter und dort angeg. Literatur). Da aber, ausserdem, mit fortschreitendem Alter die R.-Menge stetig abnimmt (s. weiter unten), so geht daraus nun hervor, dass auch zwischen der R.-Zahl und dem Häm.-Gehalt des Blutes kein direktes Verhältniss besteht (Süstschowa¹²⁴ und Richter¹⁸⁰). Gegen diesen Zusammenhang sprechen u. a. auch die verschiedenen Ergebnisse, zu welchen Böttger¹⁷ gelangt ist und bei eigenen Untersuchungen sich zeigten. Während nämlich, nach Böttgers Untersuchungen der Korrelationskoeffizient für diese beiden Grössen +0,8271 betragen soll, zeigen meine Ergebnisse, dass der Zunahme des Häm.-Gehaltes eine Abnahme der R.-Zahl entspricht (Tabelle III), oder der erstere keinen gleichen Schritt mit der Schwankung der letzteren hält. Anders verhält sich der Trockensubstanzgehalt des Blutes wie später noch gezeigt werden soll.

Es ist nicht uninteressant, dass, obwohl — wie schon erwähnt — der Grad der Häm.—Zunahme bei einzelnen Tieren zu verschiedenen Perioden verschieden ist, die Mittelwerte für die Gesamtuntersuchungsdauer doch sehr gute Übereinstimmungen zeigen. So beträgt z. B. der Häm.-Mittelwert bei der Jersey-Färse Nr. 1520, im Alter von ca. 8—13 Mon., 10,111 gr. und ebenso hoch ist er auch bei der Färse Nr. 1519 (Jersey x Schwarzbunt) — 10,130 gr., in unge-

Tabelle III.

| | -6. | -5. | -4. | -3. | -2. | -1. | 52 0. | +1. | +2. | +3. | +4. | +5. | +6. | |
|---------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------|----------------|----------------|----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|------|
| -7. | | | | | | | | 1 ₁ | | | | 1 ₃₅ | 1 ₁₂ | 3. |
| -6. | | | | | | | | | | | | 2 ₃₀ | | 2. |
| -5. | | | 1 ₁₀ | 1 ₁₅ | | | | 1 ₈ | 1 ₁₀ | 1 ₁₅ | 2 ₁₀ | 2 ₃₆ | | 9. |
| -4. | | | | 4 ₁₁ | 2 ₈ | 1 ₈ | 4 ₀ | 3 ₁ | 4 ₈ | 7 ₁₁ | 3 ₁₆ | | | 28. |
| -3. | | | | 1 ₉ | 2 ₀ | 2 ₃ | 4 ₀ | 2 ₃ | | 3 ₀ | 1 ₁₃ | | | 15. |
| -2. | | 2 ₁₀ | | 1 ₀ | 5 ₁ | 4 ₃ | 1 ₀ | | 1 ₄ | | 1 ₁ | | | 15. |
| -1. | 2 ₀ | | | 1 ₈ | 1 ₃ | | | 2 ₁ | | 1 ₃ | | | | 7. |
| 8,20 0. | | | | 1 ₀ | 1 ₀ | 1 ₀ | | | | 1 ₀ | 1 ₀ | 1 ₀ | 2 ₀ | 8. |
| +1. | | | | | | | 1 ₀ | | 1 ₃ | 1 ₃ | | 1 ₃ | | 4. |
| +2. | | 1 ₁₀ | | 1 ₈ | 1 ₄ | | | 1 ₃ | | | | | | 4. |
| +3. | 1 ₁₈ | 1 ₁₅ | 1 ₁₃ | | 1 ₈ | | 1 ₀ | | 1 ₀ | | | | | 6. |
| +4. | | | | 1 ₁₃ | | | | | | | | | | 1. |
| +5. | | | | | | 1 ₃ | | | | | | | | 1. |
| +6. | | | | | | | | | | | | | | — |
| +7. | | | | | | | 1 ₀ | | | | | | | 1. |
| | 3. | 4. | 2. | 11. | 13. | 9. | 12. | 10. | 8. | 14. | 8. | 7. | 8. | 104. |

$$r = -0,3224$$

$$R = 0,0715.$$

Hämometerzahl u. Zahl d. R.

(als supponierte)

fähr demselben Alter. Sehr ähnlich sind diese Werte auch bei den Tieren Nr. 52. u. 51:

9,699 gr.—Nr. 52 im Alter von ca. 8—12 Mon. schwarzbunte

9,495 " — " 51 " " " " 8—12³/₄ " Ostfriesen
sowie bei den Farsen Nr. 1521 und 1524;

9,188 gr.—Nr. 1521 im Alter von ca. 8—12³/₄ Mon. Jersey x

9,149 " — " 1524 " " " " 8—12³/₄ " schw. bat.

Das gleiche ist zu sagen in Bezug auf noch jüngere Tiere; so beim

Kalb Nr. 58 im Alter von ca. 2—6¹/₂ Mon.—9,342 gr.

" " 61 " " " " 1¹/₂—5 " —9,342 " schw-bnt

" " 62 " " " " 1¹/₂—1¹/₄ " —8,592 " Ostfriesen

" " 63 " " " " 1¹/₄—3 " —8,477 "

Die männlichen Tiere zeigen etwas kleinere Hämoglobinwerte, jedoch ist auch hier erwähnte Ähnlichkeit zu beobachten. Die Unterschiede zwischen den Hämoglobinwerten der einzelnen Tiere liegen im Allgemeinen in den Grenzen, welche bei Vergleich der Durchschnittswerte für einzelne Tiere mit dem der entsprechenden Alters- und Rassengruppe, sowie beim Vergleich mit dem Gesamtdurchschnittswert sich zeigen.

Da das Hämoglobin als der spezifisch schwerste Bestandteil des Blutes (wegen seines Eisengehaltes) den wichtigsten Faktor für die Höhe des spezifischen Gewichtes darstellt, so wäre theoretisch zu erwarten, dass das spezifische Gewicht des Blutes sich ähnlich, wie der Hämoglobingehalt, verhalten würde. In einzelnen Fällen ist ein gleiches Verhalten dieser Grössen zwar nicht zu erkennen, weil die Fett- und fettähnlichen Substanzen des Blutes deren spezifisches Gewicht unter 1000 liegt, einen gewissen Einfluss ausüben dürften, und in jedem einzelnen Falle zu berücksichtigen wären, jedoch lässt sich im Durchschnitt von mehreren Bestimmungen ein solcher Zusammenhang einigermaßen erkennen, wie folgende Mittelwerte des Hämoglobingehaltes und des spezifischen Gewichtes zeigen:

| | | | | | | | |
|----------|-----|------------------|-----------------|-------------------|-------|--------|-----------|
| Gruppe I | 5 | Tage— | 4 $\frac{1}{2}$ | Mon. | 8,206 | gr. | 1049,77 |
| " | II | 4 $\frac{1}{2}$ | Mon— | 8 $\frac{1}{2}$ | " | 8,971 | " 1050,61 |
| " | III | 8 $\frac{1}{2}$ | " | —12 $\frac{2}{3}$ | " | 9,852 | " 1050,16 |
| " | IV | 12 $\frac{2}{3}$ | " | —16 $\frac{1}{3}$ | " | 10,106 | " 1050,11 |

Hier muss allerdings—insbesondere bezüglich der vierten Gruppe—erwähnt werden, dass die Zahl der Einzelbestimmungen nicht gross genug war, um die bestehende Schwankung—die durch sehr abweichende Werte bei den männlichen Tieren ganz besonders verstärkt wurde—auszugleichen. Wenn wir nun aber die beiden Grössen für die weiblichen Tiere, bei denen mehr Regelmässigkeit vorhanden ist, miteinander vergleichen:

| | | | | | | |
|----------|-------------------|----|------------------|-------|--------|-----------|
| Gruppe I | 1 $\frac{1}{2}$ — | 3 | Mon. | 8,384 | gr. | 1050,67 |
| " | II | 3— | 3 $\frac{2}{3}$ | " | 10,284 | " 1052,60 |
| " | III | 8— | 13 $\frac{1}{4}$ | " | 9,755 | " 1051,14 |

dann wird das gleiche Verhalten vom Hämoglobingehalt und spez. Gewicht des Blutes deutlicher erkennbar.

(Schluss folgt).

ადმინისტრატივი მეურვეობა და სამხუნიციპალო მართ- ველობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს.

შესავალი

„ის, რასაც დღეს ადმინისტრატივი მეურვეობა ეწოდება (la tutelle administrative), წარმოადგენს ძველი რეჟიმის ინსტიტუტს“¹, ანბობს ტოკვილი, მაგრამ თუ ჩვენ ადმინისტრატივ მეურვეობას გავიგებთ ისე როგორც მონარქიის ერთგვარ მზრუნველობას კომუნებისადმი, მზრუნველობას, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა უფრო მონარქიის საკუთარი ინტერესების დაცვა და მისი ავტორიტეტის განმტკიცება საკომუნალო მართველობის სფეროში, ვიდრე თვით კომუნების ნამდვილი ინტერესები და მათ ნამდვილ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა, მაშინ გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ინსტიტუტი „ძველ რეჟიმზე“ გაცილებით ადრე არსებობდა².

მას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, ვიდრე ტოკვილის მიერ ნაგარაუდვევი ქრონოლოგიური ფარგლები.

ადმინისტრატივი მეურვეობის დასაბამი შეიძლება მივაკუთნოთ იმ ხანას, როდესაც საფრანგეთის მონარქია იმდენად მომაგრდება და გაძლიერდება, რომ უკვე შეეცდება დაუქვემდებაროს თავის ინიციატივას საკომუნალო თვითმართველობა. ასეთგვარ პრეცედენტებს ჩვენ ვხვდებით, უკვე საშუალო საუკუნეების დამლევის, და მაშასადამე, ეგრეთწოდებული ადმინისტრატივი მეურვეების დასაბამიც საშუალო საუკუნეების ფარგლებში უნდა ვეძიოთ.

ჩვენ ვიცით, რომ ცენტრალურ მთავრობის პოლიტიკა ქალაქების მიმართ წარმოადგენდა მეურვეობის დამყარების იმ შეუწყვეტელ პროცესს, რომელსაც მხოლოდ დიდმა რევოლუციამ მოუღო ბოლო.

მაშასადამე, მას არა ნაკლებ ხუთი საუკუნის ისტორია ჰქონია და აქ თავისთავად იბადება საკითხი, გარდა მისი გენეზისისა, იმის შესახებაც, თუ რა ევოლუცია განიცადა აღნიშნულმა ინსტიტუტმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის სივრცეზე, თუ რა ეტაპები განვლო მან თავის განვითარებაში, თუ რითი ხასიათდება ყოველი მისი ეტაპი და რა საფუძველი და მნიშვნელობა ჰქონდა ყოველს მათგანს კონკრეტ საისტორიო სინამდვილეში.

აქ თავის თავად წამოიჭრება საკითხი შესახებ იმისა, თუ რა სამსახური გაუწია მონარქიის მეურვეობამ საფრანგეთის საკომუნალო მართველობას.

1) Tocqueville, A. L'Ancien régime et la Révolution. Paris 1877. p. 63. „Comment ce qu'on appelle aujourd'hui la tutelle administrative est une institution de l'ancien régime“.

2) საკითხი, ხსენებული ინსტიტუტის შესახებ, მოხსენებულ იქმნა საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 30 მარტს და 17 აპრილს 1928 წ.

აი ეს საკითხები, რომელთა განხილვაც წინამდებარე წიგნის საგანს წარმოადგენს, ვგონებთ არ არიან მოკლებულნი ერთგვარ ინტერესს იმდენად, რამდენათაც ინტერესს მოკლებული არ არის თვით საფრანგეთის საკომუნალო მართველობის ისტორია.

ის საკითხი, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებდა ცენტრალი მთავრობა ქალაქების მიმართ იგივეა, რაც ადმინისტრაციული მეურვეობის საკითხი, რადგანაც საფრანგეთის ცენტრალი მთავრობის პოლიტიკა ქალაქ-კომუნების მიმართ სწორედ ამ მეურვეობაში გამოიხატა.

თუ ინგლისის ადგილობრივი მართველობის სფეროში თავიდანვე განმტკიცებულ იქმნა საპოსამართლო ფორმა კონტროლისა, სამაგიეროდ საფრანგეთში მთავარი ადგილი იმ თავიდან დღევანდლამდე საადმინისტრაციო კონტროლს უკავია¹. სწორედ ასეთი თავისებურობა საფრანგეთის სინამდვილისა ჰქმნიდა იმ გარემოებას, რომლის წყალობითაც მნიშვნელოვანი როლი ეძლეოდა მთავრობის მეურვეობას საფრანგეთის ადგილობრივი მართველობის სფეროში.

ამ მხრივ ადმინისტრაციული მეურვეობის ისტორია თითქმის იგივეა, რაც საფრანგეთის საკომუნალო მართველობის ისტორია. აღნიშნული საკითხი იმდენად საინტერესოა და მნიშვნელოვანია საფრანგეთის პოლიტიკურისა და ეკონომიური ისტორიისათვის, რომ იგი ღირსია საფუძვლიანად იქმნეს შესწავლილი.

წინამდებარე წიგნი არ შეიცავს ხსენებულ ინსტიტუტის ზუთასი წლის დეტალურ ისტორიას, რომელიც მოითხოვდა მრავალ ტომს და სულ სხვა გარემოებას;—ამგვარი შრომა, ვსარგებლობთ შემთხვევით და აღვნიშნავთ, საჭიროა და აუცილებელი, ვინაიდან არ მოიპოვება ასეთი ხასიათის ნაწარმოები; იგი თუ ოდესმე დაიწერება, ფრიაღ საინტერესო და მნიშვნელოვანი იქმნება საფრანგეთის სამუნიციპალო ისტორიისათვის.

ჩვენ აქ განვიხილავთ აღნიშნულ ინსტიტუტს უმთავრესად მე-XVII—XVIII-ე საუკუნის ფარგლებით ანუ ეგრეთწოდებული „ძველი რეჟიმის“ (l'ancien régime) ჩარჩოების მიხედვით.

„ძველი რეჟიმი“ კი არ წარმოადგენს ერთს მთლიანს ეპოქას, თავიდან ბოლომდე თანაგვარსა და თანამსგავსს.

როდესაც ვეხებით საფრანგეთის „ძველ რეჟიმს“, უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვეხებით ერთს ეპოქას კი არა, არამედ მთელ რიგს ეპოქებისას, რომელთაგანაც შემდგარია იგი. აუცილებელიც საჭიროა ვარჩევდეთ მასში ერთგვარ ქრონოლოგიურ ელემენტებს, რომელთაც ცალკადაც აღებულთ თავისი განსაკუთრებული ფიზიონომია აქვთ. ის სხვა საკითხია, თუ რომელი ისტორიკოსი რა ქრონოლოგიურ ელემენტებს უნდა განარჩევდეს „ძველ რეჟიმში“, ეს თვით მისი კვლევა-ძიების საგნის ხასიათისაგანაა დამოკიდებული. უდავოა მხოლოდ ის, რომ იმდენად, რამდენადაც „ძველი რეჟიმი“ თვით შიგნით გა

¹) ამ მხრივ თანამედროვე რესპუბლიკანური საფრანგეთი პირდაპირი შთამომავალია დიდ რევოლუციამდე არსებული საფრანგეთისა. П е р с и А ш л е й, Местное и центральное управление. Сравнительный обзор учреждений Англии, Франции, Пруссии и Соединенных Штатов. Т. 1. გ. პარიზი ინგლისური პროფ. დერიუჟინსკისა, 1910 წ., გვ. 183.

წიციდა ერთგვარ ევოლუციას, მისი ანალიზი, მისი დაყოფა შემადგენელ ქრონოლოგიურ ელემენტებად აუცილებელი საჭიროა.

უკეთ რომ ვთქვათ, აქ უნდა იქმნეს დაცული საისტორიო პერსპექტივის მოთხოვნილება. ეს უკვე მეთოდოლოგიური საკითხია, მართალია ელემენტარული, მაგრამ ამავე დროს იგი საისტორიო მეთოდოლოგიის ერთ უმთავრეს მოთხოვნილებათაგანია. მისი ლალატი ლალატი თვით კონკრეტი საისტორიო სინამდვილის მიმართ.

მეურვეობის ისტორიის განხილვა ძველი რეგიმის ფარგლებში უნდა წარმოებდეს სწორედ იმავე წესით, რომელსაც მოითხოვს თვით „ძველი რეგიმის“ განხილვა, ე. ი. ხსენებულ საკითხშიაც უნდა ვარჩევდეთ ქრონოლოგიურ ელემენტებს, ანდა, რაც იგივეა, — აქაც დაცული უნდა იქმნეს საისტორიო პერსპექტივა. საკმე იმაშია, რომ მეურვეობის საკითხი დღევანდლამდე ვერ არის წესიერად დასმული საგნის საისტორიო ლიტერატურაში. ჩვენ აქ გვაინტერესებდა აღნიშნული საკითხის მეთოდოლოგიური მხარეც, მისი წესიერი დასმა.

ჩვენ გვინდოდა დაგვეყო იგი, მისი ანალიზის მიხედვით, იმ პერიოდებად, რა პერიოდებიც ნაკარნახევი ჰქონდა მას თავის ევოლუციაში თვით კონკრეტი საისტორიო სინამდვილის მიერ.

მეურვეობის სახით ჩვენ იმ პოლიტიკას ვგულისხმობთ, რომელსაც აწარმოებდა ცენტრალი მთავრობა ქალაქების მიმართ და თუ ეს ასეა, უნდა ვიკითხოთ თუ არა, თუ რა პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები იქონია ცენტრალი მთავრობის პოლიტიკამ (ერვო, მეურვეობამ) ქალაქებისათვის, ე. ი. უნდა განვარჩევდეთ თუ არა მეურვეობის ხანგრძლივ ისტორიაში პოლიტიკურსა და ეკონომიურ ელემენტებს? ეს უკანასკნელი კი მიგვიყვანს იმ საკითხამდის, თუ რა დროს რა ხასიათისა იყო აღნიშნული მეურვეობა. მას შემდეგ, რაც ჩვენ ეს საკითხი უკვე შევისწავლეთ, შეგვიძლიან გადავპრით ვუპასუხოთ—თავდაპირველად მას ჰქონდა უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი, შემდგომში კი მას უმთავრესად ფისკალი ხასიათი მიეცა.

მაშასადამე, იმ კითხვაზე, თუ რა ეტაპებს უნდა განვარჩევდეთ მეურვეობის ისტორიაში, ჩვენ ვუპასუხებთ—უნდა განვარჩევდეთ ორს მთავარ ეტაპს—პოლიტიკურსა და ეკონომიურს, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ფისკალურს. მართლა და ყოველად შეუწყნარებელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთავრობის მეურვეობა მე-VXIII-ე საუკუნის განმავლობაში თითქოს იმავე ხასიათისა ყოფილიყო, როგორც ხასიათისაც იყო მე-XVII-ე საუკუნის მეურვეობა. როგორც ჩვენ ამას ქვევით დავინახავთ, პირველი უმთავრესად ეკონომიური ხასიათისაა, მეორე კი უმთავრესად პოლიტიკური ფიზიონომიის მატარებელია. სამწუხაროდ, ასეთი სადემარკაციო ხაზი მეურვეობის ამ ორ ეტაპს შორის არ გაჰყავს არც ერთ ისტორიკოსს და ყოველი მათგანი განიხილავს მეურვეობის ისტორიას en bloc, მთელი ძველი რეგიმის ფარგლებით. თვით ტოკვილიც, რომელიც, ასე ვთქვათ, მამამთავარია ადმინისტრატივი მეურვეობის ისტორიისა, ამის შესახებ სრულიად დუმს. მისმა შემდგომმა ისტორიოგრაფიამაც ბევრი ვერაფერი დაუმატა ამ მხრივ აღნიშნულ საკითხს.

მართალია ის, რომ პროფ. არლაშევი, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობაც მეოცე საუკუნის დასაწყისის ეკუთვნის, ცდილობს ერთგვარი ანალიზით მიუღდეს საკითხს იმ მიზნით, რომ არ უღალატოს საისტორიო პერსპექტივას, მაგრამ მისი ანალიზი, როგორც ჩვენ ამას შემდეგში დავინახავთ, ხელოვნურია და კონკრეტ საისტორიო შინაარს მოკლებული.

გარდა ამისა მომეტებული ნაწილი ისტორიკოსებისა ცთებიან იმაშიაც, როდესაც საკომუნალო მართველობის ისტორიას იკვლევენ იურიდიული მეთოდით, ე. ი. საკანონმდებლო აქტების მიხედვით, არა არის რა კი ისეთი სახითათო, როდესაც მკვლევარი შეუდგება ძველი რეიმიის რომელიმე ინსტიტუტის შესწავლას მართა და მხოლოდ საკანონმდებლო აქტების მიხედვით. მკვლევარი შეიძლება ძალიან ადვილად იქმნეს შეცთობაში შეყვანილი.

1764 წლის აგვისტოს ედიქტი მთელ საფრანგეთში ამყარებდა ერთსა და იმავე ტიპის სამოქალაქო მართველობას. მაგრამ აქედან თუ ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ საფრანგეთის სამოქალაქო მართველობაში 1764 წლიდან ერთფეროვნობა იქმნა დამყარებულიო, დიდ შეუწყნარებელ შეცთობას დაუშვებთ, რადგან, როგორც ეს ეპოქის ადმინისტრატივი მიწერ-მოწერიდან ჩანს, სხენებულ ედიქტი ნახევრად განუხორციელებული დარჩა¹.

ამ მხრივ საჭიროა საკანონმდებლო აქტებს გვერდში ჰქონდეს ამოყენებული ისეთი კონკრეტი საისტორიო მასალა, როგორსაც ეპოქის ადმინისტრატივი მიწერ-მოწერა წარმოადგენს. ჩვენ უმთავრესად ვეყრდნობოდითა ამგვარ კონკრეტ მასალას², მაგრამ ამავე დროს არ გვავიწყდებოდა ეპოქის იურიდიული აქტები³. ამ აქტებით უმთავრესად ვსარგებლობდით მაშინ, როდესაც მთავრობის ფისკალ პოლიტიკას ვიხილავდით.

დაბოლოს არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის სიძნელენი, რომლის გადალახვაც სჭირდება საკომუნალო თვითმართველობის ყოველ მკვლევარს. საქმე იმაშია, რომ სიძნელენი გამომდინარეობენ თვით კვლევა-ძიების ობიექტის განსაკუთრებული თვისებებიდან. „ძველი რეიმიის“ არც ერთი ინსტიტუტი არ არის აღბეჭდილი ისეთი განსაკუთრებული მრავალფეროვნობითა და სხვადასხვაობით, როგორი მრავალფეროვნობითაცაა აღბეჭდილი ქალაქ-კომუნების სამუნიციპალო დაწესებულებანი. აქ თითქმის არც ერთი ქალაქი არ წააგავს მეორეს თავისი ორგანიზაციით. ამ მხრივ საინტერესოა ტოკვილის აზრი: საფრანგეთში არ მოიპოვება უთუოდ ორი ისეთი ქალაქი, რომელიც სავსებით ერთმანეთს ჰგავდეს,

¹) როგორც მაგალითად ბრეტანში და ბურგონში და სხვა. იხ. ქვეით თავი V.

²) რომელიც შეკრებილი აქვთ დეპინგსა და ბუალილს, Depping, Correspondance administrative sous le règne de Louis XIV. Paris 1850—1855, 4 vs. („Collection des documents inédits“). Boisliet, Correspondance des contrôleurs généraux des finances avec les intendants de provinces. Paris, 1874—1890. 3 vs. („Collection des documents inédits“). Clément, Lettres, instructions et mémoires de Colbert. Paris 1861—1892, 7 vs.

³) Recueil général des anciennes lois françaises, depuis l'an 420 jusqu'à la Révolution de 1789, par M. M. Jourdan, Decrusy, Isambert. Paris, 1824—1827 29 vs

მაგრამ ეს განსხვავება მხოლოდ ფიქტიურია, რომელიც ჰფარავს მსგავსებას— ამბობს იგი¹.

აღნიშნული განსხვავება მართლა მხოლოდ ფიქტიურია, თუ უაღრესად არსებითი, ეს ჯერ კიდევ დიდი საკითხია. ყოველ შემთხვევაში საისტორიო კვლევა-ძიებისათვის არც პირველია ხელსაყრელი და არც მეორე.

ეს გაგრძობა იმდენად აფერხებს ძველი რეჟიმის საკომუნალო მართველობის შესწავლას, რომ აუცილებლად ჰხდის მთელი მონოგრაფიების დამუშავებას ყოველი ცალკე აღებული ქალაქ-კომუნის შესახებ. ამიტომაც, რომ საკომუნალო მართველობის ისტორია დაუშუშავებელია და ძალიან ღირებია სპეციალი ლიტერატურით. აქედან ადვილი გასაგებია პროფ. არ და შევის სიტყვები: *История городского управления во Франции до революции представляет один из наименее исследованных уголков истории дореволюционной Франции*²—ამბობს იგი და ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა თვით საისტორიო კვლევა-ძიების ობიექტშია. ეს უკანასკნელი იმდენად მრავალფეროვანია და ქაოსებრივი, რომ სრულიად არ წარმოადგენს მადლიერ საგანს კვლევა-ძიებისას. იმდენად უსაზღვროა კომუნების სამუნიციპალო დაწესებულებათა განსხვავება, რომ საგნის ისტორიის ერთს ფრიად ცნობილს მკვლევარს ალბერტ ბაბოს ხსენებული განსხვავება თვით მთელი ძველი რეჟიმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებამდის აჰყავს: „*La diversité des institutions municipales est un des caractères de l'ancien régime*“—ამბობს იგი³.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, თუ რა სიძნელეთა გადალახვა სჭირდება ყოველ მკვლევარს საფრანგეთის საკომუნალო მართველობის შესასწავლად.

პ. ს. გულწრფელ ღრმა მადლობას ესწირავთ პროფ. გრიგოლ ნათაძეს ყოველ იმ რჩევისათვის და დახმარებისათვის, რომელიც წინამდებარე შრომისათვის დაგვიკირდა.

¹) „Il n'y a peut-être pas deux villes en France où tout se ressemble absolument, mais c'est là une diversité trompeuse, qui cache la similitude“. Tocqueville, *L'ancien régime*. p. 65.

²) Ардашев, П. Провинциальная администрация во Франции в последнюю пору старого порядка, 1900. ტ. I. გვ. 494.

³) B a b e a u. „La Ville sous l'ancien régime“. p. 51.

აღმინისტრაციის მუხრამოვის საკითხი საისტორიო ლიტერატურაში.

1789 წლის ფრიად „ცნობილ საჩივრების რეგულაში“ (Cahiers des doléances) ხშირად შევხვდებით შემდეგვარ მოთხოვნილებებს: „კომუნებს ისევ უნდა დაუბრუნდეს სამუნიციპალო მოხელეების დანიშვნის უფლება“¹, ვკითხულობთ ერთს ალაგას. „მუნიციპალური საბჭოს წევრების (échevinage) დანიშვნა უნდა წარწოდეს თვით კომუნების მიერ“², ვკითხულობთ მეორე ალაგას. „ქალაქების მართველობის თანამდებობათა პირების არჩევნები უნდა წარმოებდეს თავისუფლად—ე. ი. ზეგავლენის გარეშე—და თუ აქნობამდის პედავდენ კომუნების დაჩაგვრას და უზობდენ მათ ხსენებულ უფლებას, ამიერიდან იგი ისევ კომუნებს უნდა დაუბრუნდეს, როგორც მათი კანონიერი და განუყრელი უფლება“³, ვკითხულობთ მესამე ალაგას. „კომუნების ქონება და შემოსავალი განთავისუფლებული უნდა იქმნეს მინისტრებისა და ინტენდანტების ზედახედველობისაგან და კონტროლისაგან, ყოველივე ეს უნდა გადავიდეს ახლად არჩეული სანუნიციპალო თანამდებობის პირების სრულს განკარგულებაში“⁴, ვკითხულობთ მეოთხე ალაგას. ერთი სიტყვით, აღნიშნული საჩივრების რეგულაში სავსეა ანალოგიური შინაარსის მოთხოვნილებებით, მხოლოდ სხვა და სხვა ვარიაციითა და რედაქციით.

1789 წლის „რეგულაში“ თითქმის ერთხმად მოითხოვენ კომუნების დამოუკიდებლობისა და მათი ძველი კონსტიტუციების აღდგენას. მოყვანილი საჩივრებიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საფრანგეთის ქალაქები იმ დროის განმავლობაში, რომელიც ძველი რეგიმის სახელწოდებითაა ცნობილი. ქალაქებს დაუკარგავთ სამუნიციპალო მოხელეების თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევნების უფლება. მათ აღმინისტრაციისათვის მონარქიას მაგ-

¹) „Cahiers des doléances de 1789 dans le département du Pas-de-Calais“ par Henri Loriquet. Arras 1891. 2 vol. t. I. p. 68 § 152. „Rendre à la commune le droit de nommer les officiers municipaux“.

²) ibidem t. I. p. 442. § 6. „Que les membres des échevinages et des Etats d'Artois soyent nommés par les communes des villes et des campagnes“.

³) ibidem. t. I. §. 7. „... droit imprescriptible qu'on a osé lui usurper jusqu'ici“.

⁴) ibidem. t. I. p. 492. §. 30. „Et enfin la réintégration des privilèges des villes du royaume principalement en ce qui concerne la libre élection des officiers municipaux et l'entière disposition des revenus des communes, lesquels ne seront plus soumis à l'inspection des commissaires départis ni à celles des ministres“.

რა ჩაუქიდა ხელი და თავისი მკიდრო დამოკიდებულების ქვეშ დაუყენებია. მონარქია შეპყრილა ქალაქების სამეურნეო სფეროშიც და მთელი მათი ქონება და შემოსავალი თავისი მინისტრებისა და ინტენდანტების უშუალო მეურვეობის ქვეშ მოუქცევა. ამ რიგად მონარქიას მთლიანად მოუსპია ის კონსტიტუციები, ის თავისუფლებანი და დამოუკიდებლობანი, რომლითაც ასე ამაყობდნენ ოდესღაც საფრანგეთის კომუნები. და თუ აღნიშნული „რეველუები“ ისე გადაჭრით მოითხოვენ კომუნალი მეურნეობის მთლიანად განთავისუფლებას მთავრობის მეურვეობისაგან, იგივე „რეველუები“ არა ნაკლები კატეგორიული და ენერგიული ტონით აცხადებენ: ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ აღძრულ იქნეს შუამდგომლობა, რათა გამოცემული იქნეს ისეთი კანონი, რომელიც ხელახლად აღუდგენს ქალაქებს მათ სათვითმართველო საარჩევნო უფლებებს“¹, ასეთია ფრიალ შესანიშნავი რეველუების ლოზუნგი ქალაქების მართველობის საკითხში. როგორც ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს, საფრანგეთის ქალაქებს მთლიანად დაუპარგავთ დამოუკიდებლობა, როგორც საადმინისტრაციო, ისე სამეურნეო სფეროში ე. ი. ის, რასაც დამოუკიდებელ და ფართო დემოკრატიულ პრინციპზე აგებული საარჩევნო თვითმართველობა ეწოდება. და ეს მოწმობა აღნიშნული წყაროებისა ჩვენთვის უდავოა და უაპელაციო. ამიტომ საეჭვოდ მივაჯანია და გვეძინებდა დაუჯეროთ ალ ბ ე რ ტ ბ ა ბ ო ს, რომლისთვისაც თვით დიდი რევოლუციის დაწყებამდე — „Les assemblées générales... persistent dans les petites villes et dans les bourgs de quelques provinces“². მაგრამ უკვე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით პროფ. არლაშეს, რომელიც ამტკიცებს, რომ მცხოვრებთა საერთო ყრილობები ძველი ფართო დემოკრატიული ხასიათით კიდევ არსებობდნენ მე-XVIII-ე საუკუნის დამლევამდე არა მარტო პატარა ქალაქებში, არამედ ისეთს დიდ ქალაქებშიც კი, როგორც ქალაქი ნანტი იყო³. თვით ტოკვილის ის ადგილიც კი, სადაც იგი ამბობს: On en rencontre — ლაპარაკია ქალაქებზე — jusque vers la fin du XVII-e siècle, qui continuent à former comme de petites républiques démocratiques, où les magistrats sont librement élus par tout le peuple et responsables envers lui, où la vie municipale et publique est active, où la cité se montre encore fière de ses droits et très jalouse de son indépendance“⁴, ერთგვარ განსაზღვრას თხოულობს. შეიძლება დავეთანხმით ტოკვილს, რომ მე-XVII-ე საუკუნის დამლევამდე ჯერ კიდევ საღმე მოიპოვებოდა ისეთი ქალაქები, რომელნიც პატარა რესპუბლიკებს წააგავდნენ, მაგრამ ასეთი ქალაქები ჯერ ეს ერთი იშვიათ ექსემპლარს წარმოადგენდნენ მთელ საფრანგეთში, მეორეს მხრივ, თუ ასეთი ქალაქები არსებობდნენ საღმე, უთუოდ ისეთს მივიარდნილ, მიყრუებულ ალაგას⁵, რო-

1) Henri Loriau, „Cahiers des doléances t. I. p. 60 § 61. „Rendre aux communes le droit de nommer les officiers municipaux des villes de la province et qu'il soit en conséquence demandé incessamment une loi qui permette de procéder librement à l'élection desdits officiers“.

2) Babeau, „La ville“, p. 60.

3) Арташев, „Провинциалы.“ ტ. I. გვ. 504.

4) Tocqueville, „L'ancien régime“, p. 63.

5) სამწუხაროა, რომ ტოკვილი არ აღნიშნავს, თუ რომელ ქალაქში ჰპოვებდა იგი „რესპუბლიკანურ“ წყობილებას. მისი შრომის დიდ ნაწლს წარმოადგენს სამეცნიერო კრიტიკული აპარატის უქონლობა. ეს ნაკლი დიდ ზეზრხულობას იწვევს.

გორსაც წარმოადგენდა, მაგალითად, ლაბურის მხარე თავისი ქალაქებით. იგი ბასკების ქვეყანაშია¹ და ანგარიშში მისაღები არ არის, რამდენადაც აშგვარი ქალაქები თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ სოფლებისაგან და პატარა დაბეებისაგან. სოფლებში კი, როგორც ცნობილია, თვითმართველობის საქმე უფრო ხელშეუხლებელი დარჩა ვიდრე ქალაქებში².

მე-XVII-ე და მე-XVIII-ე საუკუნეებში ჩვენ ვეღარ შევხვდებით ქალაქების ძველ ფართო დემოკრატიულ წყობილებას, მათ ძველ კონსტიტუციებს, მათ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. საფრანგეთის უკიდურესად განვითარებულმა აბსოლუტიზმმა შთანთქა ყოველივე ეს და დანიუკიდებლობის მხოლოდ აჩრდილი დაუტოვა კომუნებს. აბსოლუტიზმის გზაზე დამდგარ მთავრობას თავისი ადმინისტრაციე მეურვეობის წყალობით იმ მდგომარეობამდის მიუყვანია კომუნები, რა მდგომარეობასაც გვისურათებს 1789 წლის საჩივრების რვეულები. რასაკვირველია ეს ერთი ხელის დაკვრით არ მომხდარა. რაც უფრო ვითარდებოდა აბსოლუტიზმი, მით უფრო ძლიერდებოდა მისი მეურვეობა კომუნალური მართველობის სფეროში და რაც უფრო ძლიერდებოდა ადმინისტრაციე მეურვეობა, მით უფრო ღრმად და საბოლოოდ ეცემოდა და ისპობოდა კომუნების დამოუკიდებლობა. კომუნალი კონსტიტუციების დაქვეითებისა და დაცემის ისტორია ისეთივე ხანგრძლივია, როგორც თვით საფრანგეთის აბსოლუტიზმის ისტორია.

მართალია, საისტორიო ლიტერატურაში აბსოლუტური მონარქიისა ანუ აბსოლუტიზმის ხანად საერთოდ მიჩნეულია მე-XVII-ე და მე-XVIII-ე საუკუნე³, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აბსოლუტიზმი ყველა ქვეყნებში ერთსა და იმავე დროს არ დამყარებულა და არც მიუღია მას ერთი და იგივე სახე, ერთი და იგივე ვითარება და სიძლიერე დასავლეთ-ევროპის ყველა სახელმწიფოში⁴. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საფრანგეთში აბსოლუტიზმის დამყარება იწყება მე-XVII-ე საუკუნეზე გაცილებით ადრე. იგი უკვე თავს იჩენს უკანასკნელი კაპეტინგების დროიდან⁵. ამით იმის თქმა გვინდა, რომ აბსოლუტიზმი არ ჰფარავს ზემოაღნიშნულ ტერიტორიასა და ხანას მთელი გეოგრაფიული და ქრონოლოგიური მასშტაბით.

აბსოლუტიზმი, აღნიშნული სამი საუკუნის განმავლობაში, წარმოადგენს დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ფიზიონომიის მხოლოდ უმთავრესს დამახასიათებელ თვისებას. ზოგან ადრე მყარდება იგი, ზოგან გვიან; ზოგიერთ სახელმწიფო-

1) ლაბურის მხარეში ქალაქებს თვით დიდ რევოლუციამდე შეუნახიათ თავისი ძველი კონსტიტუციები და ფართო დემოკრატიული ხასიათის მართველობა. Archives départementales des Basses-Pyrénées, C. 453. ცნობა მოგვყავს არდაშევის მიხედვით—ტ. I გვ. 504. „История...“.

2) Babeau, „Le village“ p. 221—222.

3) თუმცა შერე უფრო ამოკლებს ქრონოლოგიურ ფარგლებს. აბსოლუტიზმის ხანად მას მარტო მე-XVIII-ე საუკუნე აქვს მიღებული. Chérest. „La Chûte de l'ancien régime“ t. I. l'introduction, p. XVI.

4) Ардашев, „Абсолютная монархия на Западе“ 1902. გვ. 1-2 და შემდეგ.

5) Кареев, „Западно-Европейская абсолютная монархия“. 1908. გვ. 61 და შემდეგ.

უოში იგი მიიღებს მხოლოდ მკრთალ გამოხატულებას, ზოგიერთ სახელმწიფოში კი იგი მიაღწევს თავის განვითარების აპოგეას.

უფრო მკაფიო, მკვეთრ, განსრულებულ სახეს და ამავდროს უფრო ტიპურ გამოხატულებას პოლიტიკური აბსოლუტიზმი მიიღებს საფრანგეთის მე-XVII—XVIII-ე საუკუნის მონარქიაში¹. მისი დასაბამი კი შეგვიძლიან მე-XIII—XIV-ე საუკუნეს დაუკავშიროთ. საფრანგეთის აბსოლუტიზმს ხანგრძლივი ისტორია აქვს: მოყოლებული მე XIII-ე საუკუნიდან მე-XVIII-ე საუკუნის დამლევამდე იგი თითქმის შეუწყვეტელივ იზრდება². აღნიშნული დროის განმავლობაში საფრანგეთის მთავრობას მელგარი იერიშები მიაქვს ყოველივე იმ ინსტიტუტზე ან და ყოველ იმ მებრძოლ საზოგადოებრივ ელემენტზე, რომელიც მას ხელს უშლის აბსოლუტიზმის დამყარებაში³. ყოველივე იმას, რაც მას წინ ეღობება, იგი ან იმორჩილებს ან და სრულიად სპობს.

მუნიციპალური დაწესებულებანი თავისი ფართო დემოკრატიული ხასიათით და თავისი სპეციფიური კონსტიტუციებით სწორედ ისეთ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რომელიც არა-სასურველი ელემენტი იყო აბსოლუტიზმისათვის სახელმწიფოს ფარგლებში. აქედან ადვილი გასაგებია, რომ მთავრობის პირველი იერიშები ვერ ასცდებოდა მუნიციპალურ მართველობასაც. უკვე მე-XIII-ე საუკუნიდან ცენტრალი მთავრობა შეიქრება მუნიციპალური მართველობის სფეროში იმ მიზნით, რომ აქაც მოიპოვოს მან პოლიტიკური ბატონობის უფლებები. სულ უძკლესი კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ქალაქებს იმ მხრივ, რომ შეზღუდოს მათი სათვითმართველო საარჩევნო უფლებები, მე-XIII-ე საუკუნეს ეკუთვნის⁴. ყოველ შემთხვევაში ამ რიგის საკანონმდებლო საბუთებს მე-XIII-ე საუკუნეზე ადრე ვერ ვხვდებით. მოყოლებული მე-XIII-ე საუკუნიდან მთავრობა ერევა ქალაქების თვითმართველობის სფეროში და ლამობს მოახვიოს კომუნებს თავისი ინიციატივა.

ცენტრალი მთავრობის ამგვარ ხასიათის ჩარევას მოჰყვება და დამყარდება ცენტრალ მთავრობასა და ქალაქებს შორის ის ურთიერთობა, რომელსაც საისტორიო ლიტერატურაში ადმინისტრაციული მეურვეობას იტყვიან (tutelle administrative). ადმინისტრაციული მეურვეობა თავდაპირველად წარმოადგენს ცენტრალი მთავრობის ერთგვარ ზედამხედველობასა და კონტროლს კომუნალური მართველობის სფეროში, რომელსაც იგი ამყარებს და განახორციელებს თავისი ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით; მაგრამ მეურვეობა საბოლოოდ არ რჩება ხსენებული კონტროლისა და ზედამხედველობის ფარგლებში, როგორც ეს პროფ. არდაშევს აქვს მიღებული⁵; შემდეგში იგი სცილდება ამ ვიწრო ფარგ-

¹) Gaillardin, „Histoire de règne de Louis XIV“ t. II, p.p. 36 suiv.

²) Dareste de la Chavanne, „Histoire de l'administration et des progrès du pouvoir royal en France depuis le règne de Philippe-Auguste jusqu'à la mort de Louis XIV“ t. II p. 86 suiv.

³) Тарле, Е. В. „Падение абсолютизма в Западной Европе“ ნაწ. I. იმ. წიგნის მეორე ნახევარი.

⁴) Avenel, „Richelieu et la monarchie absolue“. Paris 1884-1890. 4 vol. t. IV p. 232. suite.

⁵) Ардашев, „Провинц. адм.“, ტ. I. გვ. 513.

ლებს და მთავრობის ნამდვილ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონობად გარდაიქცევა იმავე კომუნალური მართველობის სფეროში. თვით ტერმინი „მეურვეობა“, „მეურვე“ (tutelle, tuteur) უცხო სიტყვა არ არის საფრანგეთის ძველი რეჟიმისთვისაც. ამ დროის წყაროებში, თუ ოფიციალში არა, სამაგიეროდ არა ოფიციალ წყაროებში მაინც, ხშირად გვხვდება ხსენებული ტერმინი, სადაც იგი ხმარებულია იმავე გაგებით, როგორც ჩვენ ეს გვესმის ამჟამად¹.

რაც შეეხება ადმინისტრაციული მეურვეობის პრინციპს—მისი ოფიციალური ფორმულა აღბეჭდილია იმავე ეპოქის იურიდიულ აქტებში. პირველად ჩვენ მას ვხვდებით 1659 წლის 22 თებთვის მეფის დეკლარაციაში², რომელიც შეეხება ქალაქების პატრიმონიალი ქონების განსხვავებას. აქ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „Voulons que lesdites paroisses et communautés achèvent de se retablir, et aient le secours qui leur est dû en cette rencontre, comme étant réputées mineures“³. გესურს რომ ხსენებული სოფლები და ქალაქები იქმნნენ მოწესრიგებულნი და აღმოჩინოთ მათ დახმარება, რომელსაც ისინი ამ შემთხვევაში საჭიროებენ, როგორც არა-სრულ-წლოვანები. როგორც ჩანს, ცენტრალური მთავრობა ქალაქებსა და სოფლებს „არა-სრულწლოვანებად“ სთვლის, რომელთაც მისი დახმარება და ხელმძღვანელობა ესაჭიროება. ასეთია ოფიციალური მოტივი ადმინისტრაციული მეურვეობისა, მაგრამ de facto, როგორც ჩვენ ამას ქვევით დავინახავთ, მთავრობა მას სულ სხვა შინაარსსა და სულ სხვა დანიშნულებას აძლევს.

ეს შესახებ ეპოქის საისტორიო წყაროებისა. რაც შეეხება საგნის საისტორიო ლიტერატურას—აქ კი პირველი საუკეთესო სურათი ადმინისტრაციული მეურვეობისა მოცემული აქვს ტოკვილის თავის შრომაში: „L'ancien régime et la Révolution“⁴; მართალია ყველაფერში ვერ დავეთანხმებით მას, მაგრამ ხსენებული ინსტიტუტის ნამდვილი შინაარსი, ზოგადი სახით მაინც, გამოაშკარავებული აქვს მას საუკეთესოდ.

ადმინისტრაციული მეურვეობის შინაარსი, როგორც შინაარსი მხოლოდ თვით ტერმინისა, ერთი და იმავე გაგებით ესმით ყველა ისტორიკოსს, იქნება იგი ტოკვილი, ბაბო, არდაშევი, რენუარი, გიუო, ნორმანი, ავენელი, Dupuy⁵, Leberon⁶, Legrand⁷ და რესტ დელა შავანი, შერუ-

¹) ერთ-ერთი ინტენდანტის მენჯარებში, რომელიც მე-XVIII-ე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, აღნიშნულია შემდეგი: „L'intendant... n'est pas seulement le tuteur des communautés, mais le juge de ce qui leur est utile et ne l'est pas“. B a b e a u, „La Province“, t. II, p. 146.

²) I s a m b e r t, t. VII, p. p. 370-373. „Déclaration portant défense aux communautés (de champagne) d'aliéner leurs droits d'usages sans permission du roi et le décret de justice, 22 juin 1659.“

³) I s a m b e r t, t. VII, p. 371.

⁴) T o c q u e v i l l e, „L'ancien régime et la Révolution“ p. p. 63-71.

⁵) მხედველობაში გვაქვს მისი შრომა: „Etudes sur l'administration municipale en Bretagne au XVIII s“. Paris et Rennes 1891. D u p u y.

⁶) L e b e r o n. „Histoire critique du pouvoir municipal“. Paris 1828. მისი შრომა ეყრდნობა მხოლოდ საკანონმდებლო აქტებს

⁷) L e g r a n d. „Senac de Meilhan et l'intendance du Hainaut et du Cambrésis sous Louis XVI. 1868. ეყრდნობა უმთავრესად ადმინისტრაციულ მიწერ-მოწერას.

ელი თუ სხვა. მხოლოდ ყოველი მათგანი სულსხვადასხვა აზრს გამოთქვამს იმ საკითხების შესახებ, თუ რა ხანას ეკუთვნის ადმინისტრატივი მეურვეობის დასაბამი, თუ რა ეტაპები უნდა განეარჩიოს მის ხანგრძლივ ისტორიაში, თუ რა ახასიათებს მის ყოველ ეტაპს და რა საფუძველი და მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ მათგანს კონკრეტ საისტორიო სინამდვილეში და სხვა. აი ამ მხრივ ადმინისტრატივი მეურვეობა წარმოადგენს ბევრს საღაო საკითხს. ზოგიერთი მათგანი ჯერ არც-კია ხეირიანად, წესიერად დასმული ან და სრულიად არ მოიპოვება საგნის საისტორიო ლიტერატურაში. ზოგიერთი მათგანი კი, მართალია, დიდი ხანია რაც წამოყენებულია, მაგრამ მათ შესახებ საგნის ლიტერატურაში აზრების განსაკვიფრებელი სხვადასხვაობა, მრავალფეროვნობა და შეუთანხმებლობა სუფევს.

დავიწყით თუნდა იმ საკითხიდან, თუ რა ხანას უნდა მივაკუთნოთ ადმინისტრატივი მეურვეობის დასაბამი.

ტოკვილი ადმინისტრატივი მეურვეობის დასაბამს უკავშირებს 1692 წლის აგვისტოში გამოცემულ ედიქტს, რომლის ძალითაც მუნიციპალიტეტების თანამდებობანი გადაქცეულნი იქმნენ ეგრეთწოდებულ „ოფიცებად“ (offices).

იგი, შეეხება რა ქალაქების სათვითმართველო საარჩევნო უფლებებს, აღნიშნავს შემდეგს: „Les élections ne furent abolies généralement pour la première fois qu'en 1692“—ხსენებული „არჩევნები საერთო მამრებით პირველად 1692 წელს იქნა მოსპობილი“-ო¹; როგორც ჩანს, ადმინისტრატივი მეურვეობის დასაბამს იგი იწყებს იმ მომენტიდან, როდესაც ქალაქების სათვითმართველო საარჩევნო უფლებების საყოველთაო მოსპობა დაკანონებული იქმნა საზოგადო სახის საქანონმდებლო აქტით. მაგრამ იგი ამ მხრივ შემეტარია. აღნიშნული ედიქტი რევოლუციონური ხასიათისა არ იყო, იგი მოველინა ქალაქებს არა ex abrupto, პირიქით ეს ედიქტი მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რაც ფაქტიურად უკვე განხორციელებული იყო ცხოვრებაში. თითქმის მთელ საფრანგეთში (რასაკვირველია ზოგიერთ მივარდნილის, მიყრუებული ქალაქების გამონაკლისით². ქალაქების სათვითმართველო საარჩევნო უფლებები ფაქტიურად მოსპობილი იყო უკვე 1692 წლის ედიქტზე გაცილებით ადრე. ცენტრალი მთავრობა უკვე თავისუფლად დანავარდობდა ქალაქების მართველობის საარჩევნო უფლებების სფეროში³. აღნიშნული ედიქტი ქალაქების უფრო ეკონომიურ მხარეს შეეხებოდა, ვიდრე პოლიტიკურს; მაგრამ ამის შესახებ ჩვენ კიდევ ქვევით ვიქონიებთ მსჯელობას⁴. ტოკვილი ს ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩვენ მხოლოდ ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიტანოთ, რომ იგი ადმინისტრატივი მეურვეობის დასაბამს უკავშირებს მე-XVII-ე საუკუნეს. რომ ეს ასეა, ეს იქიდანაცა ჩანს, რომ ტოკვილი ადმინისტრატივი მეურვეობას მხოლოდ ძველი რეჟიმის მიერ წარმოშობილ ინსტიტუ-

1) Tocqueville, p. 63.

2) იხ. ზევით გვ. 156.

3) იხ. თავი III.

4) იხ. თავი V.

ტად თვლის. მას თავისი შრომის მესამე თავისათვის სწორეთ ამ შინაარსის სათაური აქვს: „Comment ce qu'on appelle aujourd'hui la tutelle administrative est une institution de l'ancien régime“¹, ის, რასაც დღეს ადმინისტრაციული მეურვეობა ეწოდება—ძველი რეჟიმის დაწესებულებას წარმოადგენს. ძველი რეჟიმის ცნება კი გულისხმობს მე XVII-ე და XVIII-ე საუკუნეებს. მაშასადამე, ტოკვილის აზრით ადმინისტრაციული მეურვეობა იწყება არა უადრეს მე-XVII-ე საუკუნისა.

რაც შეეხება პროფ. ა რ დ ა შ ე ვ ს — იგი გაურკვეველად სტოვებს ამ საკითხს. ერთს ალაგას იგი აღნიშნავს: „Начало административной опеки над коммунальным управлением восходит к эпохе более ранней, чем августовский эдикт 1692-го года“². რას ნიშნავს მისი სიტყვები: — „к эпохе более ранней“ — ამაზე იგი პასუხს არ იძლევა. მეორე ალაგას იგი ამბობს: „Вмешательство королевской власти в назначение меров и других городских чиновников существует издавна“³, მაგრამ რას ნიშნავს ეს უკანასკნელი სიტყვა „издавна“, მას არც ეს აქვს განსაზღვრული და განმარტებული. ყოველივე აღნიშნულით მას უფრო მეტი ბუნდოვანება შეაქვს ხსენებულ საკითხში. ყოველ შემთხვევაში არ დაშვებია, ისე როგორც ტოკვილი, ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამს ქრონოლოგიურად ძველი რეჟიმის ფარგლებს აღარ გადააცილებს.

ნიუმართო რ ე ნ უ ა რ ს. მისი შრომა: „Histoire du droit municipale en France sous la domination romaine et sous les trois dynasties“ შეიცავს ორ ტომს და, როგორც თვით შრომის სათაური გვიჩვენებს, მისი ავტორი უფრო მოვალე იყო, შედარებით ტოკვილთან და არდაშევთან, ხსენებული საკითხისათვის გაცილებით მეტი ყურადღება მიექცია. მისი შრომის მიზანი და შინაარსი მოითხოვდა, როგორც თვით ადმინისტრაციული მეურვეობის დეტალურად შესწავლას, ისე მისი დასაბამის საკითხის გამოკვლევასა და გამორკვევას, მაგრამ, სამწუხაროდ, მის შრომაში ჩვენ ვერ ვპოულობთ საკმაოდ გარკვეულს, ვერც პარველ⁴ ა და ვერც მეორეს.

უნდა ვითქვითო, რომ იგი მეურვეობის დასაბამს მე-XIII-ე საუკუნეს უკავშირებს, სახელდობრ, ლუდოვიკო მე IX-ს მეფობის ხანას. იგი ამბობს „Les plus anciens monuments de la legislation des rois de la troisième dynastie touchant les mairies et les municipalités remontent à Louis IX“⁴. — უძველესი საკანონმდებლო აქტები, მერებისა და მუნიციპალიტეტების შესახებ ლუდოვიკო მე-IX-ს დროს ეკუთვნიან-ო. მაგრამ იგი მაინც გარკვეულად არ ამბობს, რა მხრივ და რა ზომით ეხება მერებს და მუნიციპალიტეტებს ის უძველესი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მას მხედველობაში აქვს.

იმ საკითხზე, რომელიც ჩვენ ამ ქამად გვაინტერესებს, უფრო გარკვეულს. მკაფიო და გადაჭრილ პასუხს იძლევა ისევ ა ლ ბ ე რ ტ ბ ა ბ ო , რომლის შრომაც:

¹) Tocqueville, I. II, Ghp. III p. 62.

²) А р л а ш е в , „Провинц. адм.“ ტ. I. გ . 513

³) Ibidem. „Провинц. адм. ტ. I. გვ. 514.

⁴) Raynouard, M. t. II. p. 337.

„La Ville sous l'ancien régime“¹, წარმოადგენს უფრო საისტორიო მასალე-ბის კრებულს, ვიდრე საისტორიო კონსტრუქტივი ნაწარმოებს. აქ ვკითხულობთ შემდეგს: „Depuis le XII-e siècle, la monarchie intervint dans l'administration des villes“². მე-XII-ე საუკუნის აქეთ მონარქია შეიჭრება ქალაქების მარ-თველობაში-ო.

როგორც ჩანს, ალბერტ ბაბო ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამს მე-XIII-ე საუკუნის უკავშირებს. მართალია, როგორც ეს უკვე აღნიშნეთ, ალ-ბერტ ბაბო უფრო გადაჭრილ, გარკვეულ პასუხს იძლევა, მაგრამ ამით მიიწე-არ წყუდება, არ ისპობა ის სხვადასხვაობა და მრავალფეროვნება აზრებისა, რო-მელიც არსებობს საისტორიო ლიტერატურაში ხსენებული საკითხის გარშემო. ასეთია საკითხის მდგომარეობა ადმინისტრაციული მეურვეობის დასაბამის შესა-ხებ საგნის საისტორიო ლიტერატურაში. მაგრამ არა უკეთესს მდგომარეობაშია სხვა დანარჩენი საკითხებიც.

იმ საკითხებს, თუ რა ეტაპები უნდა გავარჩიოთ ადმინისტრაციული მეურ-ვეობის ისტორიაში, თუ რითი ხასიათდება ყოველი ეტაპი და რა საფუძველი და მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველს მათგანს კონკრეტ საისტორიო სინამდვილეში — აი ამ საკითხებს ვერ მოუპოვებიათ შესაფერისი და სათანადო ყურადღება საგ-ნის საისტორიო ლიტერატურაში.

უმეტესი ნაწილი ისტორიკოსებისა გზას უხევეს აღნიშნულ საკითხებს, დანარჩენი ნაწილი კი არ იცავს საისტორიო პერსპექტივის მოთხოვნილებას და ამით ღალატობს საისტორიო სინამდვილეს.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი — ადმინისტრაციული მეურვეობას ხანგრძლი-ვი ისტორია ჰქონდა. ყოველივე ის, რასაც კა ხანგრძლივი ისტორია აქვს, თავ-იდან ბოლომდე უცვლელი და იდენტიური არ რჩება. იგი ყოველთვის და აუცილებლად ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის.

უნდა ვიფიქროთ, არც ადმინისტრაციული მეურვეობა დარჩებოდა უცვლელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის სიგრძეზე, მაგრამ ამ გარემოებას გზას უქცევს ისტორიკოსთა მომეტებული ნაწილი და ამ შემთხვევაში ჰღალატობს იმას, რასაც საისტორიო მეთოდოლოგიის ენით — საისტორიო პერსპექტივას ვუწოდებთ. იგი საისტორიო მეთოდოლოგიის ერთი უმთავრეს მოთხოვნილებათაგანია და მისდამი ღალატი საერთოდ და განსაკრთრებით ძველი რეჟიმის საკითხებში ძა-ლიან სამწუხარო შედეგებს იძლევა.

რ ე ნ უ ა რ ს რომ ყური დაუდგოთ, ისეთს შთაბეჭდილებას მივიღებთ, თითქოს ადმინისტრაციული მეურვეობა ერთისა და იმავე ხასიათისა ყოფილიყოს მრელი თავ-ისი ხანგრძლივი ისტორიის სიგრძეზე.

ამ მეცნიერს აზრადაც არ წოსდის ერთგვარი ანალიზით მიუდგეს აღნიშ-ნულ ინსტიტუტს.

მართალია, საისტორიო ანალიზი ადმინისტრაციული მეურვეობის საკითხში არა აქვთ დაცული არც სხვა ისტორიკოსებს, გარდა პროფესორ არდა შე-

1) Babeau, „La Ville sous l'ancien régime“ Paris 1880.

2) Babeau, „La Ville“.p.70

ვისა, მაგრამ ის, რაც ეპატიება ბაბოს, ტოკვილს, არდაშევს, ნორმანს, დიუჰუსის, O'Reilly-ს, Prudhomme-ს, Fabvier-ს, Bonnardot-ს და ბევრ სხვას, არ ეპატიება რენუარს, რადგანაც აღნიშნულ მეცნიერთა შრომები ან ძალიან ვიწრო სპეციალი სახის მონოგრაფიებია ან და სრულიად არ წარმოადგენენ სპეციალ შრომებს მუნიციპალური საკითხების შესახებ — რენუარის შრომა კი განიხილავს საფრანგეთის სამუნიციპალო უფლებათა ისტორიას მოყოლებული რომაელების ბატონობიდან და გათავებული მე-XVIII-ე საუკუნით.

რენუარს უფრო ჰპარებდა მეტი ყურადღებითა და დაკვირვებით მისდგომოდა საკითხს. მაგრამ რენუარი შემცდარია იმაშიაც, რომ ქალაქების უფლებრივ მდგომარეობას იკვლევს უმთავრესად ეპოქის იურიდიული აქტების მიხედვით. იმ დროს, როდესაც მათი უფლებრივი მდგომარეობა, მოყოლებული მე-XIII-ე საუკუნიდან ვიდრე დიდ რევოლუციამდე, განსაკუთრებით კი მე-XVII-ე საუკუნის დამლევამდე, განისაზღვრებოდა უფრო ეგრეთწოდებული ადმინისტრაციული პრაქტიკის მიერს შექმნილი ვაგემოებით, ვიდრე ოფიციალი, საზოგადო ხასიათის იურიდიული ნორმებით.

მაგალითად, რომ ავიღოთ მერის დანიშვნის წესი სამი კანდიდატის სიიდან — რომელიც ასე მომაკვდინებელი აღმოჩნდა საკომუნალო მართველობისათვის — მის კანონს, მის საზოგადო ხასიათის იურიდიულ გამოხატულებას, იურიდიულ აქტს ვერ ვიპოვით თვით მე-XVIII-ე საუკუნის პირველი ნახევრის დამლევამდე¹. მანამდის კი, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ამ წესს ცენტრალი მთავრობა ახორციელებდა ადმინისტრაციული პრაქტიკის საშუალებით და მხოლოდ შემდეგშილა თანდათან იგი ჰქმნიდა ამ პრაქტიკიდან, ამგვარ ადმინისტრაციული „usus“-იდან თავის ნამდვილ უფლებას, ნამდვილ ადმინისტრატულ „jus“-ს.

მე-XVIII-ე საუკუნის დამლევამდე ადმინისტრაციული მეურვეობა ეყრდნობოდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას და ეს უკანასკნელი კი აღბეჭდილია ადმინისტრაციული მიწერ-მოწერაში და არა-ოფიციალი, საზოგადო ხასიათის კანონმდებლობაში. მაშასადამე, თუ გვინდა გავიგოთ ნამდვილი უფლებრივი მდგომარეობა საფრანგეთის ქალაქებისა აღნიშნულ ხანაში, მაშინ ამისათვის შესაფერისი მასალები უნდა ვეძიოთ არა იმდენად იურიდიულ აქტებში, რამდენადაც ადმინისტრაციული მიწერ-მოწერაში.

ეს იმას არ ნიშნავს, თათქოს მეურვეობის შესწავლისათვის უარყოფილი უნდა იქნეს იურიდიული მეთოდი — არა, იგი აუცილებელივე საჭიროა, მხოლოდ არა იმდენად და არა იმ წესით, როგორც ეს რენუარსა აქვს ნასარგებლი. ვინც იურიდიული მეთოდით ხელმძღვანელობს, მას არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს შემდეგი კითხვები „სად“? ან და „როგორ“?, ე. ი. როგორ შემთხვევებში და რა ზომით უნდა იქნეს მოხმარებული აღნიშნული მეთოდი, რადგანაც ძალიან ხშირად დიდი უფსკრული არსებობს იურიდიულ ნორმასას და კონკრეტ საისტორიო სინამდვილეს შორის საერთოდ და განსაკუთრებით კი იმ საფრანგეთისათვის, რომელმაც დიდ რევოლუციამდე იარსება. იურიდიული მეთოდის მოტრფიალეს არ უნდა ავიწყდებოდეს ისიც, რომ იურიდიულ აქტებს კონტროლის სახით

1) იხ. ქვეით თავი V.

გვერდში უნდა ჰქონდეს ამოყენებული სხვა სახის საისტორიო საბუთებიც. ჩვენ ხელთ გვექონდა ეპოქის იურიდიულ აქტებთან ერთად პირველი გვარის საბუთებიც—ეპოქის ადმინისტრატივი მიწერ-მოწერა.

და აი ამ საბუთებს რომ ჩაუკვირდეს ადამიანი, აუცილებლივ ჰპოვებს როგორც ქალაქების ნამდვილ ფაქტიურ უფლებრივ მდგომარეობას, ისე მეურვეობის დამახასიათებელ მომენტებსაც, მაგრამ რენ უ არს ყოველივე ეს გამოჰპარვია ხელიდან, ვინაიდან მას უმთავრესად ეპოქის იურიდიულ აქტებთან ჰქონდა საქმე.

არც ალბერტ ბაბო შედის აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიებაში. ბაბოსაც, ისე როგორც რენ უ არს, ადმინისტრატივი მეურვეობა აღებული აქვს en bloc. მისი შრომიდან ადამიანი ვერც კი გაიგებს ხერიანად, თუ რომელი ხანა ან და რომელი საუკუნე აქვს მას მხედველობაში, როდესაც იგი ადმინისტრატივი მეურვეობის ამა თუ იმ მხარეზე და თვისებაზე ლაპარაკობს. ვერც ტოკვილის შრომა წარმოადგენს ამ ენრიე რაიზე სანუგეშოს. მართლაც, ტოკვილი ცდილობს ღირსეული შეფასება მისცეს მე-XVIII საუკუნის მეურვეობას, მაგრამ მე-XVII-ე საუკუნის შესახებ იგი თითქმის არაფერს ამბობს, იგი მის შეფასებას არ ეხება, და თუ ეხება, ისიც მხოლოდ გაკვრით; ამავე დროს არც იგი შედის იმის ძიებაში, თუ რა დამახასიათებელ მომენტებს უნდა განვარჩევდეთ ადმინისტრატივი მეურვეობის ისტორიაში.

ერთგვარი ანალიზის ცდა ეტყობა მხოლოდ არდაშევს. მისი აზრით უნდა განვარჩევდეთ მეურვეობის ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს. თუ რას გულისხმობს იგი ორივე შემთხვევაში, უკეთესი იქნება განვმარტოთ მისივე ენით. იგი ამბობს: *Опека может проявляться либо прямо—путем непосредственно-го вмешательства административной власти в детали коммунального управления, либо косвенно—путем того или другого воздействия на выбор лиц, стоящих у кормила коммунального управления*¹. ჰროფ. არდაშევიც აზრით პირდაპირ მეურვეობასთან ჩვენ გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც მთავრობა უშუალოდ იღებს მონაწილეობას კომუნალური მართველობის დეტალებში, არაპირდაპირ მეურვეობასთან კი საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც კომუნალური მართველობის მოხელეების არჩევნებზე ამა თუ იმ ზეგავლენას აწარმოებს ცენტრალი მთავრობა.

სადემარკაციო მომენტად მეურვეობის ამ ორგვარ სახეს შორის მას აღებული აქვს 1683 წელი, როდესაც გამოცემულ იქმნა აპრილის ედიქტი, შესახებ კომუნალური მეურნეობის წარმოებისა.

„Этот акт, амбობს არდაშევი, отмечает собою тот момент, откуда можно вести начало прямой административной опеки над коммунальным управлением“². როგორც ჩანს, არდაშევიც პირდაპირი მეურვეობის დასაბამს უკავშირებს 1683 წელს.

რაც შეეხება არაპირდაპირი სახის მეურვეობას—მის შესახებ არდაშევიც აღნიშნავს შემდეგს: „Исторически, косвенная опека предшествует прямой“³.

¹) Ардашев, П. „Провинц. адм.“ ტ. I გვ. 513.

²) Ibidem „Провинц. адм.“ ტ. I გვ. გვ. 516—517.

³) Ардашев, П. „Провинц. адм.“ ტ. I. გვ. 514.

ისტორიულად, არაპირდაპირი მერვეობა წინუსწრობს პირდაპირი სახის მეურვეობას.

მაშასადამე, მისი აზრით არაპირდაპირ მეურვეობასთან ჩვენ გვაქვს საქმე. 1683 წლამდე, მხოლოდ შემდეგ კი მეურვეობას მიეცემა პირდაპირი მეურვეობის ხასიათი¹.

თუ რამდენად მისაღებია აღნიშნული ნომენკლატურა, ამას თვით არდაშევი ააშკარავებს. იქ სადაც იგი მუნიციპალიტეტის მოხელეების დანიშვნის წესს შეეხება, ე. ი. იმას, რასაც თვითონვე არა პირდაპირი სახის მეურვეობას უწოდებს—იქ იგი ამბობს სიტყვა-სიტყვით შემდეგს: „вмешательство королевской власти—прямое или косвенное—в назначение муниципальных чиновников, спольз да рядом сводилось к мнению субделегата“². სუბდელეგატს რომ თავი დაეანებოთ, ურომლისოდაც არაფერს დაჰკარგავს მოყვანილი ციტატის პირველი ნახევარი, აღმოჩნდება, რომ არაპირდაპირი სახის მეურვეობა თავის მხრივ კიდევ ორგვარი ყოფილა: პირდაპირი და არაპირდაპირი.

ახლა თუ იმ მეურვეობასაც შეეხებით, რომელსაც ა რ დ ა შ ე ვ ი პირდაპირი სახის მეურვეობას უწოდებს, აქაც იმავე მდგომარეობას წააწყდებით. ამასაც ორი ქვესახე აღმოაჩნდება—პირდაპირი და არაპირდაპირი³.

ბოლოს და ბოლოს გამოირკვევა, რომ მეურვეობა ორი სახისა ყოფილა: პირდაპირი და არაპირდაპირი სახისა. პირველ სახეს ორი ქვესახე ჰქონია: პირდაპირი და არაპირდაპირი. მეურვეობის მეორე სახესაც ისეთივე ორი ქვესახე ჰქონია: პირდაპირი და არაპირდაპირი.

აღნიშნული გრადაცია, გარდა იმისა რომ უკიდურესად ხელოვნურია და რთული, საკითხს მაინც ვერ სწყვეტს შესაფერისად. სხვა არა იყოს რა, ასეთი ნომენკლატურა აძნელებს ცნებების ხმარებას და უსპობს მათ რეალ, კონკრეტ შინაარსს.

ა რ დ ა შ ე ვ ი ს ნომენკლატურა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. მიუღებელია აგრეთვე ის კვალიფიკაცია, რა კვალიფიკაციასაც აძლევს იგი აღმინისტრაციულ მეურვეობას. ა რ დ ა შ ე ვ ი ს აზრით აღმინისტრაციული მეურვეობას, როგორც მე-XVIII და მე-XVII-ე საუკუნეებში, ისე ამაზე ადრეც, უმთავრესად ეკონომიური ხასიათი ჰქონდა⁴. თუ როგორ ესმის მას ეკონომიური ხასიათი მეურვეობისა—ამას ჩვენ ქვევით განვმარტავთ. აქ კი საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იგი კატეგორიულად უარყოფს მეურვეობის პოლიტიკურ ხასიათს და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მეურვეობას ეკონომიური ხასიათი შესწევდა. იგი ამ შემთხვევაში ეკმათება ტ ო კ ე ვ ი ლ ს და აღნიშნავს შემდეგს: „Против токвилевской характеристики административной опеки можно еще возразить, что он ей придал

¹) ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ორივე რიგის ფაქტების პარალელურად თანა არსებობას შეგვიძლიან შევხედეთ, როგორც 1683 წლამდე ისე მის შემდეგაც Ардашев. „Провинци. адм.“ ტ. I გვ. 516 გვ. 522.

²) Ардашев, II. „Провинци. адм.“ ტ. I. გვ. 521.

³) ibidem. „Провинци. адм.“ ტ. I. გვ. გვ. 527—536.

⁴) პოლიტიკური ხასიათი, ა რ დ ა შ ე ვ ი ს აზრით, შეიძლება მივაწეროთ მეურვეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მიდის ეგრედ წოდებულ „pays conquis“-ს შესახებ და ისიც ერთგვარი განსაზღვრით. Ардашев, II, „Провинци. адм.“ ტ. I. გვ. 543. შენიშვნა 1.

преобладающую политическую окраску, тогда как в действительности она имела преимущественно экономический характер“¹. ჩვენ ხელთ გვექონდა ტოკვილის შრომა— „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“, რომელიც მხედველობაში აქვს არდაშევს და ვერ ვნახეთ ის, რასაც არდაშევი მიაწერს ტოკვილს. მკითხველი იქ ვერ იპოვის ისეთი გადაჭრითი სახის ადგილებს, სადაც მკადიოდ და გარკვეულად ჩანდეს ის, რომ ტოკვილი ნამდვილად და უმთავრესად პოლიტიკურ ხასიათს მიაწერდეს მეურვეობას.

მართალია, მისი შრომის ზოგიერთი ადგილიდან შეიძლება გამოვიტანოთ ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი თითქოს პოლიტიკურ ხასიათს მიაწერს მეურვეობას². მაგრამ ამავე დროს მის შრომაში მოიპოვება ისეთი ადგილებიც, რომელნიც დიამეტრალურ წინააღმდეგ შთაბეჭდილებას სტოვებენ³. ამგვარი ადგილებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იგი უარყოფს მეურვეობის პოლიტიკურ ხასიათს. ასეა თუ ისე არდაშევის მიერ აღძრული საკითხი ტოკვილის შესახებ⁴ ყოველ შემთხვევაში კარგლემბატურია⁵.

ვთქვათ დავეთანხმეთ არდაშევს იმაში, რომ ტოკვილი ადმინისტრაციული მეურვეობას პოლიტიკურ ხასიათს მიაწერს— მაშინ ჩვენ საგნის საისტორიო ლიტერატურაში ადმინისტრაციული მეურვეობის ხასიათის შესახებ ორგვარი აზრი გვექნებოდა: პირველი ტოკვილის აზრი, რომელიც ადმინისტრაციულ მეურვეობას პოლიტიკურ ხასიათს მიაწერს და მეორე— არდაშევს აზრი, რომელიც იმავე მეურვეობას ეკონომიურ ხასიათს მიაკუთვნებს.

¹) Ардашев, П. „Провизия. адм.“ ტ. I. გვ. გვ. 541—543.

²) Tocqueville, „L'ancien régime et la révolution“, p. 372. მაგალითად: „Le prétexte qu'avait pris Louis XIV pour détruire la liberté municipale des villes avait été la mauvaise gestion de leurs finances“. თუ ამ შინიშნას ორგანიულად დაჯავშინებთ იმ ტექსტს, რომელსაც იგი ეყუთვის (გვ. 70. მე-27-ე სტრიქონიდან) და ამავე დროს მხედველობაში ვიჭონიებთ ტოკვილის მთელი წიგნის საერთო შინაარსსა და ხასიათს, მაშინ ისეთი შთაბეჭდილება უნდა გამოვიტანოთ, რომ იგი ადმინისტრაციულ მეურვეობას თითქოს უმთავრესად პოლიტიკურ ხასიათს აძლევს.

³) მაგალითად იქ, სადაც იგი შეეხება 1692 ელიქტს, რომლის ძალითაც მუნიციპალიტეტის თანამდებობანი „ოფიციალად“ გამოცხადდა, ნათქვამი აქვს შემდეგი: „Et, ce qui est bien digne de tous les mépris de l'histoire, cette grande révolution fut accomplie sans aucune vue politique. Louis XI avait restreint les libertés municipales parce que leur caractère démocratique lui faisait peur; Louis XIV les détruisit sans les craindre. Ce qui le prouve, c'est qu'il les rendit à toutes les villes qui purent les racheter. En réalité, il voulait moins les abolir qu'en trafiquer, et, s'il les abolit en effet, ce fut pour ainsi dire sans y penser, par pur expédient de finances“. Tocqueville. -L'ancien régime et la révolution“, p. 64.

⁴) არდაშევს საერთოდ სჩვევია ყოველი თავისი აზრი დასაბუთოს ამა თუ იმ ციტატით ან წყაროებიდან ან და სამეცნიერო შრომებიდან, მაგრამ იქ კი, სადაც იგი ამბობს, რომ ტოკვილმა უმთავრესად პოლიტიკური ხასიათა მისცა მეურვეობას— აო, არდაშევი გაურბის თავის ჩვეულებას. მას სრულიად არ მოჰყავს რომელიმე ადგილი ტოკვილის შრომიდან თავის აზრის დასაბუთებლად. საკვირველია, რომ არდაშევის მუდამ მეტყველი სამეცნიერო კრიტიკული აპარატი ამ შემთხვევაში სავსებით დუმს.

⁵) ბოლოს და ბოლოს არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ეხმად იმ საკითხს, თუ რა ხასიათს მიაწერს ტოკვილი ადმინისტრაციულ მეურვეობას. მართალია, ტოკვილის შრომა ჯერ ისევ „მოძველებული“ არ არის, მაგრამ იგი მაინც „ძველია“.

რომელი იქნებოდა ამათში მართალი ტოკვილი თუ არდაშევი?

არც პირველი და არც მეორე. არდაშევის ბრალდება ტოკვილის მიმართ, სულერთია იქნება იგი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო, მაინც ვერ იხსნის ვერც ტოკვილს და ვერც თვით არდაშევს. საქმე ის არის, რომ ორივენი ძალიან ჰშორდებიან საისტორიო სინამდვილეს, ვინაიდან არცერთი მათგანი არ იცავს წესიერად პერსპექტივის მოთხოვნებს აღნიშნულ საკითხში. მეურვერბის ასე ხელაღებით, en bloc დახასიათება და შეფასება ყოველად შეუძლებელია და მიუღებელი. საისტორიო საბუთებსაც კი რომ ხელი არ ვახლოთ, შეიძლება უკვე à priori ვთქვათ, რომ იგი თავის ხანგრძლივ ისტორიაში ერთგვარ ევოლუციას, ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდიდა. და თუ ჩვენ საისტორიო წყაროებში ჩავიხედავთ და მიუდგომლად დაუკვირდებით, იქ ჩვენ ნათლად დავინახავთ და მკაფიოდ გავარჩევთ ადმინისტრაციული მეურვეობის ორგვარ ეტაპს. ორსავე ეტაპს განსაზღვრული ფიზიონომია აქვს. ერთი მათგანი უმთავრესად პოლიტიკური სახის მატარებელია, მეორე კი უმთავრესად ფისკალი ხასიათისაა. პირველ შემთხვევაში მონარქია ცდილობს პოლიტიკურად დაიმორჩილოს კომუნალი მართველობა და დაიკვმდებაროს მისი ადმინისტრაცია. მეორე შემთხვევაში კი იგი დაეპატრონება უკვე თვით საკომუნალო ქონებას, მის ნივთიერ ავლადიდებს და ამ უკანასკნელს ერთ ფრიად შემოსავლიან წყაროდ გარდააქცევს თავისი დაცარიელებული საღაროს შესავსებლად. ქრონოლოგიურად ეს ორი ეტაპი თავსდება შემდეგ გვარად: პირველი ჰფარავს მე-XVII-ე საუკუნეს, მეორე კი მე-XVIII-ე საუკუნეს. საღმარაკაციო მომენტად აქ ჩვენ ვიღებთ 1692 წელს, წინააღმდეგ პროფ. არდაშევისა¹, რომელსაც თავისი პირდაპირი და არაპირდაპირი მეურვეობის სახეებისათვის გამყოფ მომენტად აღებული აქვს 1683 წელი. მე-XVII-ე საუკუნის მეურვეობა უმთავრესად პოლიტიკური ხასიათისაა, მე-XVIII-ე საუკ. მეურვეობა კი უმთავრესად ფისკალი ფიზიონომიის მატარებელია. ვამბობთ — „უმთავრესად“ და ამის ხაზს ვუსვამთ ფრიად გასაგები მიზეზისა და მოსაზრების გამო, რადგანაც ყოველგვარ დაყოფას საზოგადოდ პირობითი ხასიათი აქვს, განსაკუთრებით კი საისტორიო მოვლენებისათვის. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ორივე რიგის ფაქტებს თანაარსებულებს ჩვენ შეგვიძლიან შევხედეთ, როგორც 1692 წლამდე, ისე მის შემდეგაც, ე. ი. როგორც მე-XVII-ე საუკ., ისე მე-XVIII-ე საუკუნეშია. მხოლოდ ფისკალ ელემენტებს მე-XVII-ე საუკ. შემთხვევითი ხასიათი ექნებათ, პოლიტიკური ელემენტები კი მე-XVIII-ე საუკ. უკვე ლიგალი ფორმით განაგრძობენ არსებობას. უკანასკნელნი აღნიშნულ საუკუნეში. ჰყარგავენ თავის სიმწვავეს და იჩრდილებიან ფისკალი ხასიათის ელემენტებით.

არდაშევის მიერ მიღებული მეურვეობის სახეები—პირდაპირი და არაპირდაპირი—გამოდგებიან მხოლოდ იმ ფორმებად, რა ფორმებშია აშკარადებოდა, როგორც პოლიტიკური სახის მატარებელი მეურვეობა, ისე ფისკალი ხა-

¹) თუ რა მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით ამ შემთხვევაში—ამის შესახებ იხ. თ.ვ. III და V.

სიათის მეურვეობაც. პოლიტიკური ხასიათის მეურვეობა ხორციელდებოდა, როგორც პირდაპირი, ისე არა პირდაპირი სახით ე. ი. ცენტრალი მთავრობა ან პირდაპირ უშუალოდ ერეოდა ქალაქების მართველობაში, როდესაც იგი ამა თუ იმ განკარგულებით ზღუდავდა მათ თვითმართველობის საარჩევნო უფლებებს, ან და არაპირდაპირი სახით, როდესაც იგი ზეგავლენას აწარმოებდა ქალაქების სამუნიციპალო არჩევნებზე თავის საპროვინციო აგენტების საშუალებით.

ფისკალი სახის მეურვეობაც იორგვარად ხორციელდებოდა. ან პირდაპირი სახით, როდესაც მთავრობა უშუალოდ ეპატრონებოდა ქალაქების პატრიმონიალი ქონების შემოსავალს, მათ სხვადასხვა ნივთიერ წყაროებს ანდა არაპირდაპირი სახით, როდესაც მთავრობა გამოაცხადებდა ხოლმე სამუნიციპალო თანამდებობებს ოფიციალურად ე. ი. თავისუფალ სავაჭრო ობიექტად. ეს ის მომენტია, როდესაც მთავრობას გადააქვს მუნიციპალური მართველობის სფეროშიაც თავისი ჩვეულებრივი ფისკალი სისტემა.

ადმინისტრაციული მეურვეობას თავიდანვე პოლიტიკური ხასიათის საფუძველი ჰქონდა ე. ი. მას წარმოშობისთანავე პოლიტიკური ხასიათი დაჰყვა და იგივე ხასიათი შეჰჩა მას მე-XVII-ე საუკუნის დამლევამდე. ამ მხრივ თუ მოიპოვება რაიმე განსხვავება მე-XVII-ე საუკუნისა და წინა საუკუნეების მეურვეობაში—იგი უფრო „რაოდენობის“ ხასიათისაა, ვიდრე „თვისებისა“. მე XVII-ე საუკუნემდე მეურვეობას უფრო სპორადიული ხასიათი აქვს და გამოიხატება იგი სუსტი და ვიწრო სახის ზედამხედველობაში და კონტროლში, მე-XVII-ე საუკუნეში კი, და განსაკუთრებით ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს, იგი მიიღებს უფრო ფართო, უფრო სისტემატიურ და ინტენსიურ ხასიათს. მეურვეობა მე-XVII-ე საუკუნეში მონარქიის ნამდვილ პოლიტიკურ ბატონობად გარდაიქცევა. ამის შემდეგ მეურვეობას საექსპლუატაციო ხასიათი მიეცემა, რომელიც უმთავრესად მე-XVIII-ე საუკუნეს ახასიათებს. ამ მხრივ მე-XVII-ე და მე-XVIII-ე საუკუნეების მეურვეობას შორის არსებული განსხვავება უკვე „თვისების“ ხასიათისაა—პირველი უმთავრესად პოლიტიკური ხასის მატარებელია, მეორე კი უმთავრესად ფისკალი ხასიათისაა.

ასეთია მეურვეობის ხანგრძლივი მსვლელობის გრადაცია თვით კონკრეტი საისტორიო სინამდვილის მიერ ნაკარნახევი. და ვინც მეურვეობას მთლიანად აღებულს, აღებულს en bloc, პოლიტიკურ ხასიათს მიაწერს, უნდა ვთქვათ, იგი დიდ შეცდომაში შევა, რადგანაც მეურვეობას მე-XVIII-ე საუკუნეში უმთავრესად ფისკალი ხასიათი ჰქონდა და არა პოლიტიკური. მაგრამ უფრო დიდ შეცდომაში შედის პროფ. არ და შევი. როდესაც იგი იმავე მეურვეობას აღებულს en bloc მიაწერს ეკონომიურ ხასიათს, რადგანაც ადმინისტრაციული მეურვეობას არც მე-XVIII-ე საუკუნემდე და არც თვით მე-XVIII-ე საუკუნეში არ ჰქონია ისეთი ეკონომიური ხასიათი, როგორც ეს მას ესმის. და თუ როგორც ესმის პროფ. არდაშვეს მეურვეობის ეკონომიური ხასიათი, ამის განმარტებას თვითონვე იძლევა: „Она (ე. ი. მეურვეობა—опека) имела преимущественно экономический характер. Другими словами, центр тяжести этой опеки лежал не в обеспечении авторитета центральной власти в коммунальном управлении, а в

охране коммунальных ресурсов“¹. ამის შემდეგ იგი განაწილდა იმ აზრს, თუ რაში გამოიხატა ცენტრალი მთავრობის ასეთი მორუნველობა ქალაქების მიმართ. იგი აღინიშნავს 1683 წლის რეგლამენტს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს იმისას, თუ როგორ ცდილობდა ცენტრალი მთავრობა დაეცვა ქალაქების რესურსები, მათი ქონება და ავლადიდება მუნიციპალიტეტის იმ მოხელეებისაგან, რომელნიც ისე უთავბოლოდ აწარმოებდნენ ქალაქების საქმეებს და ისე უსაზღვროდ და უპასუხისმგებლოდ ფლანგავდნენ კომუნალურ ქონებას. იგი აღნიშნავს იმ აქტსაც, რომლითაც კოლბერმა დაუბრუნა ქალაქებს საბაზრო და საბაჟო გადასახადების შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ჩამორთმეული ჰქონდათ მათ რიშელიეს მიერ². მაგრამ სამაგიეროდ არ დაშვენი გვერდს უხვევს და თითქმის არაფერს ამბობს იმ ფისკალი ხასიათის ედიქტების შესახებ, რომელთაც საფრანგეთის ქალაქები უკანასკნელ ნივთიერ გალატაკებამდის მიიყვანეს³. ამას იგი მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს და შედეგად ისეთს სურათს იძლევა, თითქოს ცენტრალი მთავრობა ქალაქების მიმართ ერთგვარი ფილანთროპული გრძნობითა და აზრით ყოფილიყოს გატაცებული, თითქოს საფრანგეთის მონარქია გამსჭვალული ყოფილიყოს ერთგვარი მშობლიური ზრუნვით ქალაქების მიმართ და მხოლოდ მათ ნივთიერ კეთილდღეობაზე ეოცნებოს. რასაკვირველია, მეურვეობის ამგვარ შეფასებაში ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფ. არდაშევს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფრიად დიდი ერუდიციითაა აღჭურვილი. ვერ დავეთანხმებით მას იმაშიაც, თუ რა შედეგები იქონია მთავრობის მეურვეობამ საფრანგეთის კომუნალური მართველობისათვის, როგორც ვერ დავეთანხმებით ბაბოს, რენუარს, ტოკვილს, დარესტ დელა შავანს და სხვებს აღმინისტრაცივი მეურვეობის საერთო გაათვალისწინებაში.

¹) Ардашев. „Провинц. адм.“ ტ. I. გვ. გვ. 542—543.

²) Ibidem. ტ. I. გვ. 515.

³) Ibidem. ტ. I. გვ. 513. აქ იგი აღნიშნავს ფისკალი ხასიათის ედიქტებიდან მხოლოდ 1692 წლის აგვისტოსთვის ედიქტს.

ქალაქების მართველობის სტრუქტურა მე-XVII—XVIII-ე საუკუნეში.

„Il semble difficile de dire aujourd'hui précisément comment se gouvernaient les villes au XVIII siècle“¹ — ძნელია დღეს იმის თქმა სავსებით გარკვეულად, თუ როგორი მართველობა ჰქონდათ ქალაქებს მე-XVIII-ე საუკუნეში, ამბობს ტოკვილი, მაგრამ ასევე ძნელია ითქვას რაიმე სავსებით გარკვეული მე-XVII-ე საუკუნის ქალაქების მართველობის შესახებაც². საერთოდ მე-XVII—XVIII-ე საუკუნის ქალაქების მართველობის საკითხი რთულია და ძალიან ნაკლებად გამოკვლეული. მიზეზი ამ უკანასკნელისა, როგორც ეს უკვე შესავალში აღვნიშნეთ, თვით საისტორიო კვლევა-ძიების ობიექტშია. მართლაც და არც ერთი დიდ-რევოლუციამდე არსებული დაწესებულება არ არის აღბეჭდილი ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც იმავე ეპოქის სამუნიციპალო დაწესებულებანი.

თითქმის ყოველი ქალაქის კონსტიტუციას თავისი საკუთარი გენეზისი მოეპოვებოდა, უკეთ რომ ვთქვათ, ყოველს მათგანს თავისი საკუთარი ფიზიონომია და, მაშასადამე თავისი საკუთარი ისტორია ჰქონდა. ქალაქების სამუნიციპალო კონსტიტუციები ერთ შემთხვევაში ეყრდნობოდნენ უხსოვარი დროის ადათს და ჩვეულებებს³, ეგრედწოდებულ „კუთუბებს“; მეორე შემთხვევაში მათი კონსტიტუციები მოითვლიდნენ თავის ისტორიას ჯერ ისევ საშუალო საუკუნეების დროის კომუნალური რევოლუციიდან და საფუძვლად დადებული ჰქონდათ მეფეების ანდა სენიორების მიერ გაცემული სიგელები⁴: მესამე შემთხვევაში მათი კონსტიტუციები ეყრდნობოდნენ უფრო შემდგომი დროის რეგლამენტებს და სხვადასხვაგვარ კერძო ხასიათის დაკანონებებს, მიღებულს ამა თუ იმ ქალაქის მიერ ან მეუფებისაგან ან ადგილობრივი პარლამენტებისაგან ანდა ინტენდანტებისაგან⁵.

1) Tocqueville, „L'Ancien régime, p. 65.

2) Avenel. „Richelieu et la monarchie absolue“ t. III p. 221.

3) „Dans la plupart des villes de Bretagne, la composition du corps municipale n'est fondée sur aucun règlement, mais uniquement sur l'usage immémorial“. Archives nationales, série H 643. Mémoire sur l'administration des villes en Bretagne, par M. Bertrand de Moleville. 1784.

4) Avenel. „Richelieu et la monarchie absolue“. t. IV p. p. 218—219.

5) მაგალითად: „Edit portant règlement pour l'administration des villes et communautés du Languedoc, mai 1766“. Isambert, t. XXI. p. 455 ან და „Lettres-patentes contenant règlement pour l'administration de la ville de Lyon, 15 décembre 1760“. Ibidem t. XXVI p. 403.

ერთი ოლქის სამუნიციპალო მართველობა ხშირად ძალიან განსხვავდებოდა მეორე ოლქის სამუნიციპალო მართველობისაგან და იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთსა და იმავე პროვინციაში სულ სხვადასხვა საფუძვლის სამუნიციპალო რეჟიმი მოიპოვებოდა. „ბრეტანში ორმოცდაორ ქალაქამდგა, აღნიშნავს 1784 წელს თავის მემუარებში ადგილობრივი ინტენდანტი ბერტრანდე მოლეველი, და ყოველს მათგანს სულ სხვადასხვა ორგანიზაცია აქვს“¹. ამ ინტენდანტის სიტყვით, მაშასადამე, მარტო ერთს ბრეტანის პროვინციაში მე-XVIII-ე საუკუნის დამლევს თითქმის ორმოცდაორი სახის სამუნიციპალო რეჟიმი მოიპოვებოდა. ამ მხრივ ბრეტანის პროვინცია პირველი და უკანასკნელი არ იყო მთელ საფრანგეთში.

მე-XVII, XVIII-ე საუკუნეში ქალაქების მართველობა სულ სხვადასხვაგვარ პრინციპზე იყო დამყარებული. ერთ შემთხვევაში იგი ეყრდნობოდა დანიშნით პრინციპს, ე. ი., როდესაც სამუნიციპალო თანამდებობის პირებს ნიშნავდა ან. მეფე ან სენიორი; მეორე შემთხვევაში იგი ეყრდნობოდა ნასყიდობის, მაშასადამე, სამემკვიდრეო პრინციპს, ვხდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ქალაქების მართველობა ემყარებოდა საარჩევნო პრინციპს. ასეთ ქალაქებს თითქოს შენახული ჰქონდაო საარჩევნო მართველობა, მაგრამ, რასაკვირველია, იგი მხოლოდ გარეგნული ხასითისა იყო; ნამდვილად კი ეს შესამეც არსებითად პირველ გვარ რიგის მართველობას შეგვიძლიან მივაკუთვნოთ, რადგანაც ცენტრალი მთავრობა ისეთს ზეგავლენას აწარმოებდა საარჩევნო პროცედურაზე, რომ ყოველთვის თავისათვის სასურველი კანდიდატები გაჰყავდა სამუნიციპალო თანამდებობებზე. დაბოლოს, ზოგიერთი ქალაქის მმართველობა დაფუძნებული იყო შერეულ პრინციპზე, სადაც დანიშნის პრინციპი უერთდებოდა საარჩევნო პრინციპს და ამ პროცესის ორსავე მხარეს ოფიციალი ხასიათი ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული პრინციპების ყოველგვარ შესაძლებელ კომბინაციას, მაშინ ნათლად წარმოგვიდგება ქალაქების კონსტიტუციების მრავალფეროვნება და განსაკვირვებელი განსხვავება, რომლიდანაც ზოგი თუ არა-არსებითი შინაარსისა იყო, სამაგიეროდ დანარჩენი რიგის განსხვავებებს ფრიად არსებითი ხასიათი ჰქონდათ. ძნელია გაერკვეს ადამიანი ამ უამრავ სამუნიციპალო კონსტიტუციებს შორის. ეს გარეულება ძალიან აფერხებს ძველი რეჟიმის სამუნიციპალო მართველობის გამოკვლევას და შესწავლას. საჭირო ხდება იწერებოდეს მთელი მონოგრაფიები ამა თუ იმ ქალაქის მართველობის შესახებ ანდა შესახებ საერთოდ სამუნიციპალო მართველობის მხოლოდ ერთი რომელიმე მხარისა. ამიტომაც რომ ეს დარგი დღევანდლამდე ასე ნაკლებად გამოკვლეულია, ამიტომაც რომ დღევანდლამდე საისტორიო მეცნიერებას შესაფერისი ცოდნა და ცნობა არ მოეპოვება იმ სამუნიციპალო მართველობის შესახებ, რომელიც დიდ რევოლუციამდე არსებობდა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ცოდნას მოკლებული იყო თვით ეპოქის საოლქო ადმინისტრაციაც კი და, მაშასადამე, ზედ-

¹) „Il y a en Bretagne quarante deux villes qui ont le droit de députer aux Etats. Ces villes ont presque toutes des constitutions différentes“. Archives nationales, série H. 643. „Mémoire sur l'administration des villes en Bretagne“, par M. Bertrand de Moleville, intendant de Bretagne, 1784. Avenel. t. IV p. p. 225—230.

მეტია ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რამდენად ჩახედული იყო ქალაქების მართველობის საქმეში ცენტრალი მთავრობა, რომელსაც ამ მხრივ უფრო ნაკლები ცოდნა ჰქონდა, ვიდრე საოლქო ადმინისტრაციას. ამას უდავოდ ამტკიცებს აჟანის სუბდელეგატის (ბორდოს ინტენდანტის ერთი თანაშემწეთაგანის) მაგალითი. იგი 1765 წელს უგზავნის საანკეტო ფურცლებს თავისი სასუბდელეგატო რაიონის ყველა ქალაქს ცნობების მისაღებად, თუ როგორი სამუნიციპალო მართველობა აქვს ყოველს მათგანს¹.

თუ სუბდელეგატი ასე ნაკლებად იცნობდა თავისი რაიონის ქალაქების მართველობას, მაშ რაღა ითქმის ამ მხრივ თვით ოლქის მართველზე — ინტენდანტზე ან და მით უფრო ცენტრალ მთავრობაზე, რომელნიც გაცილებით უფრო დაშორებულნი იყვნენ ამგვარ რაიონებს, ვიდრე თვით სუბდელეგატები. საკმაოდ სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ თვით ძველი რეჟიმი ხერიანად არც კი იცნობდა თავის თავს. ამის დამამტკიცებელი საბუთები შეგვეძლო მოგვეყვანა მრავლად, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა და არც ჩვენი საგნის შინაარსს შეადგენს. ამით ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ხაზი გაგვესვა იმისთვის, თუ რა ძნელია იმის თქმა, თუ როგორი მმართველობა ჰქონდათ ქალაქებს მე-XVII, XVIII-ე საუკუნეში. სინელე კი თვით ქალაქების კონსტიტუციების დაუსრულებელ და უსაზღვრო მრავალფეროვნების ფაქტში უნდა ვეძიოთ. სამართლიანად შენიშნავს ტოკვილი, ვიმეორებთ კიდევ მის სიტყვებს: — „უთოოდ არ მოიპოვება მთელ საფრანგეთში, ამბობს იგი, ისეთი ორი ქალაქი, რომელიც სამუნიციპალო მმართველობის მხრივ მთლიანად წააგავდეს ერთი მეორეს“. და თუ რაიმე საერთო მოეპოვებოდათ ქალაქების უამრავ კონსტიტუციებს, ეს ის Hôtel de ville-ი იყო, რომელიც თანამედროვე გაგებით სამუნიციპალო დაწესებულებას წარმოადგენდა².

იმ ხანაში, რომელიც ამ ეპოქად მხედველობაში გვაქვს, ქალაქების მართველობა ორგანო სახის კრებისაგან შესდგებოდა. აქედან ერთი წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების კრებულს, ეს ასე ვთქვათ, ქალაქის სააღმსრულებლო ორგანო იყო, რომელსაც ეპოქის ენაზე ეწოდებოდა „ქალაქის კოლეგია“ ან და „ქალაქის კორპუსი“ „Corps de villes“, მეორე გვარ კრებულს კი წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „მცხოვრებთა საერთო ყრილობა“ „assemblées générales des habitants“, რომელიც ირჩევდა „ქალაქის კოლეგიას“.

რენუარის სიტყვით: „Le régime municipal existe en France de toute ancienneté“³. მაგრამ სამუნიციპალო რეჟიმი მე-XVII, XVIII-ე საუკუნეში თავისი საერთო ყრილობებით უკვე აღარ წარმოადგენს იმას, რასაც იგი წარმოადგენდა წინა საუკუნეებში. იგი ამჟამად დაცემულა და გადაგვარებულა. თუ წინათ ქალაქის კოლეგია ექვემდებარებოდა მცხოვრებთა საერთო ყრილობას, ახლაკი მის შორის არსებული დამოკიდებულება არსებითად შეცვლილა.

1) Avenel. „Richelieu et la monarchie absolue“ t. IV. p. 222.

2) Babeau. „La ville“ p. 117.

3) Raynouard, M. „Histoire du droit municipal“. t. II p. 361.

განვიხილოთ ჯერ მცხოვრებთა საერთო ყრილობა „assemblée générale des habitants“.

როგორც ვთქვით, აღნიშნული ეპოქის „assemblées générales“ უკვე აღარ მოგვაგონებენ მცხოვრებთა იმ საერთო ყრილობებს, რომელთაც ჯერ ისევ ადგილი ჰქონდათ საშუალო საუკუნეების დამლევის და თუნდაც იმავე მე-XV-XVI-ე საუკუნეში. როგორც საშუალო საუკუნეებში, ისე ახლაც მცხოვრებლებს იწვევს საერთო ყრილობაზე ან ქალაქის ოტელის ან და უმთავრესი ეკლესიის ზარი¹. როგორც მაშინ, ისე ახლაც ყრილობები იმართება ან საგანგებოდ აშენებულ სახლში, ან ეკლესიის გალავანში, ან ქალაქის მოედანზე, ან რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულების შენობაში ან და ზოგჯერ სასაფლაო ადგილასაც². საკითხები წყდება ისევე ხნის უმრავლესობით³, მაგრამ თვით ყრილობები კი უკვე ის ყრილობები აღარ არის, რაც წინად იყო.

მართალია, ჯერ ისევ მე-XV-ე საუკუნეში ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც საერთო ყრილობებს ესწრებოდა ქალაქის მთელი მოსახლეობა. ამ ყრილობებზე ხალხი ირჩევდა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს და ეს უკანასკნელნი ანგარიშს აძლევენ ხალხს და მასთან ერთად ბჭობდნენ. მაგრამ მდგომარეობა თანდათან იცვლება. მე-XVI-ე საუკუნეში უკვე იშვიათია ამ გვარი ნოვლებები; მე-XVII-ე საუკუნეში კი მათ უკვე ადგილი აღარა აქვთ. მე-XVIII-ე და მე-XVIII-ე საუკუნეში სამუნიციპალო საქმეები უკვე აღარ ეკითხებოდა ხალხს, მას უკვე ანგარიშს აღარაღვენ უწევდა. აღნიშნულ საუკუნეში სახელწოდება „assemblées générales des habitants“ მართალია ისევ შეჰჩინებიათ ხსენებულ კრებებს და, ეპოქის ზოგიერთ წყაროს რომ ყური დაუგდოთ, თითქოს ჯერ ისევ 1699 წელს არსებობდნენ assemblées générales იმ გვარ ქალაქებშიაც, როგორც იყო ნანტი და შალონი⁴, მაგრამ, რასაკვირველია, ამ ყრილობებს მხოლოდ სახელწოდება და ჰქონდათ შენახული „მცხოვრებთა საერთო ყრილობებისა“, ნამდვილად კი მათ ესწრებოდა მარტო განსაზღვრული წრე ნოქალაქებისა და არა ყველა ნოქალაქე. მე-XVII-ე საუკუნის საერთო ყრილობებს აღარ შეუნახავთ აღარც სახე და აღარც შინაარსი ნამდვილი საერთო ყრილობისა. ვარდა შედგენილობისა მათი კომპეტენციაც ხსენებულ საუკუნეში უკადურესად შეკვეცილია და შეზღუდული. თუ წინათ საერთო კრებები უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ სამუნიციპალო მართველობის ზოგიერთ დეტალებშიაც კი, აჰჰამად ხშირად მათი ფუნქციები განისაზღვრება მხოლოდ ნოტაბლების არჩევით.

მიზეზი საერთო ყრილობების ასეთი გადაგვარებისა, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა იმ სოციალ-ეკონომიურ ევოლიუციაში უნდა ვეძიოთ, რომელიც თვით საზოგადოების შიგნით სწარმოებდა. იმისდა მიხედვით, რაც უფრო ვითარდებოდა ვაჭრობა-მრეწველობა და რაც უფრო ძალას იკრებდა სავაჭრო და

¹) Depping. „Corr. adm“. t. I. p. 862.

²) Babeau. „La Ville“. p. 40.

³) Depping. „Corr. adm“. t. I p. 892.

⁴) Dupuy. „Etudes sur l'administration municipale en Bretagne au XVIII s“ p. 15. Boisliste „Corr. des contr. génér“. t. I NN 1067 et 1838.

სამრეწველო ბურჟუაზია, მით უფრო ძლიერდებოდა მისი გავლენა სამუნიციპალო საქმეებზე. მას ეს უკანასკნელი თანდათან გადაჰქონდა თავის ხელში და უკან ახევიანებდა მცხოვრებთა დანაზრუნ მასას.

მთავრობაც ხელს უწყობდა ამგვარ პროცესს. ასე იქცეოდა მე-XV-ე საუკუნეში ლუდოვიკო მე-XI-ე და ამავე პოლიტიკას მისდევდა კოლბერიც მე-XVII-ე საუკუნეში. ლუდოვიკო მე-XI იახლოვებდა ბურჟუებს, აკეთილშობილებდა მათ ტიტულების დასაჩქარებით და ცდილობდა სამუნიციპალო საქმეები მათთვის ზავდო ხელში, რომ ტახტისადმი ერთგული პირები ჰყოლიყო საკომუნალო მართველობაში¹. ასევე იქცეოდა კოლბერიც, რომლის მოღვაწეობაც უკვე ახალ დროს ეკუთვნის. იგი, სამუნიციპალო საქმეებში, უპირატესობას იმავე სამრეწველო და საეკონომიკურ ბურჟუაზიას აძლევდა². მისი პოლიტიკა ამ მხრივ არ განსხვავდებოდა მისივე წინაპრების პოლიტიკიდან. დაბოლოს სამუნიციპალო საქმეები ხელში უვარდებოდა იმ წარჩინებულ ვიწრო ოლიგარხიულ წრეს, რომელიც დანაზრუნ მოქალაქეების ზურგს უკან უპასუხისმგებლოდ განაგებდა ქალაქის საქმეებს. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რად გადაგვარდნის ასემბლées générales, რომლითაც ასე ამჟამად იწოდებოდა საფრანგეთის კომუნები. ამ გვარი იყო უახლოესი მიზნები იმისა, რომ მცხოვრებთა საერთო ყრილობები მე-XVII-XVIII-ე საუკუნეში მოქალაქეების მხოლოდ განსაზღვრული წრისაგან და შედგებოდა.

რაც შეეხება საერთო ყრილობების კომპეტენციის შეზღუდვას—აქ კი პირველი ალაგი ეჭირა მთავრობას და მისი პოლიტიკის საერთო მიმართულებას ქალაქებისადმი. პირველ ხანებში მან მხოლოდ ნაწილობრივად შეზღუდა საერთო ყრილობების კომპეტენცია, შემდეგ მან ეს უკანასკნელი მთლიანად მოსპო. მთავრობა ამაზეც არ შეჩერებულა და მე-18-ე საუკუნეში ბოლო მოჟღერო თვით ამ შეიკეცილ, გადაგვარებულ სახით არსებულ საერთო ყრილობებს და ბევრს ქალაქში შესცვალა ახალი დაწესებულებით—ეგრედწოდებული „ნოტაბლების საბჭოთი“ „assemblées, conseils des notables“³.

ამგვარი საბჭოები შედგებოდნენ ნოტაბლების მხოლოდ ვიწრო, განსაზღვრული წრისაგან. ნოტაბლები წარმოადგენდნენ ქალაქის წარჩინებულ მოქალაქეებს „principaux habitants“, „principaux citoyens“. მათ ირჩევდნენ ორ საფეხურიანი საარჩევნო წესით (suffrage à deux degrés); ეს უკანასკნელი ირჩევდნენ სკაბინებს. სკაბინები კი თავის მხრივ ირჩევდნენ სამს კანდიდატს მერის (ქალაქის თავის) თანამდებობაზე. სია ამ სამი კანდიდატისა წარედგინებოდა ხოლმე მეფეს და იგი სამი კანდიდატიდან ირჩევდა და ამტკიცებდა ქალაქის მერის თანამდებობაზე იმ პირს, რომელიც მისთვის უფრო სასურველი იყო⁴. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ სამუნიციპალო რეჟიმი მე-XVIII-ე საუკუნეში, საჭიროა, გარდა ზემოაღნიშნულისა, გავითვალისწინოთ კიდევ ერთი მხარე—თვით ამომრჩეველების კონტიგენტი. ნაულისხმევ ეპოქაში ყველა მოქა-

¹) Tocqueville. „L'Ancien régime“. p. p. 353-354.

²) იხ. გვ. 181

³) Babeau. „La Ville“. p. 198.

⁴) Wahl. „Les premières années de la Révolution à Lyon“ p. 15.

ლაქეს არ ჰქონდა თანასწორი უფლებანი. თუ ერთი ჯგუფი მოქალაქეებისა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა, აღჭურვილი იყო სრული პოლიტიკური უფლებებით, სამაგიეროდ მოქალაქეების უმრავლესობა ნოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს. დეპინგის მიერ შეკრებილ საადმინისტრაციო წერილებში ვკოვებთ ქალაქ ბორდოს ინტენდანტის წერილს. ამ ინტენდანტს მოუხდენია მოქალაქეების რეგისტრაცია 1662 წელს და აღნიშნავს შემდეგ:—ქალაქ ბორდოში 1620 წლის დადგენილებით სრული სამოქალაქო უფლებები ენიჭება მას, ვისაც აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობს ხსენებულ ქალაქში არა ნაკლებ ორი წლისა¹. ეს ცენზი საფრანგეთის ქალაქებში მე-XVII, XVIII-ე საუკუნეში სულ სხვადასხვა გვარისა იყო; განისაზღვრებოდა იგი ქონებათ და მცხოვრებლობის წლების რაოდენობით. ცენზიანი ანუ სრულუფლებიანი მოქალაქეები ჰქვოდადენ, როგორც სამოქალაქო ისე პოლიტიკურ უფლებებს; დანაოჩენი მოქალაქეები კი ჰქვოდადენ მხოლოდ სამოქალაქო უფლებებს—უფლებებს მხოლოდ თავისი პირადი ინტერესების დაცვისას ქალაქისა ან და კორპორაციების პრეტენზიებისაგან². მაგ., ქ. სედანში ხორცის მოვაკრებებმა, ქალაქთან უთანხმოების გამო, უარი განაცხადეს ხორცის გაყიდვაზე და მიეკეტეს თავისი დუქნები³. მაგრამ ამავე დროს ესენი უცენზო მოქალაქეების კატეგორიას ეკუთვნოდენ—იმ კატეგორიას, რომელიც მოკლებული იყო წარმომადგენლობით უფლებებს და ქალაქის მართვლობის საქმეებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. ამ კატეგორიის მოქალაქეები უცენზო, არა-სრულუფლებიან მოქალაქეებს წარმოადგენდენ და მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას შეადგენდენ, მოკლებულნი იყვნენ სრულიად სამუნიციპალო საარჩევნო უფლებებს.

ახლა თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ნოტაბლების არჩევის უფლებები მინიჭებული ჰქონდათ მხოლოდ ერთ ნაწილს იმ სრულუფლებიანი მოქალაქეების ჯგუფისას, რომელიც თავის თავად უკვე უმცირესობას შეადგენდა, მაშინ ნამდვილი სახეც ნოტაბლების საბჭოსი უფრო ნათლად წარმოგვიდგება. ამ მხრივ მართალია ტოკვილი, როდესაც იგი ამბობს: „Au XVIII s. ce n'est plus le peuple lui-même agissant en corps qui forme l'assemblée générale. Celle-ci est presque toujours représentative... Partout elle est composée de notables“⁴. რომ საერთო ყრილობებს მე-XVIII-ე საუკუნეში მხოლოდ წარმომადგენლობითი ხასიათი და შეპრჩენიან—ამას ამტკიცებს შემდეგი ცნობებიც:—ქ. ეკსში⁵. საარჩევნო კორპუსი შედგებოდა მხოლოდ 105 პრივილეგიის მქონე მოქალაქისაგან, ამასთანავე საკმარისად ითვლებოდა ქეორუმი 64 პირისაგან შემდგარი, რომ არჩევნები კანონიერი ყოფილიყო⁶; ქ. ლიონში საარჩევნო კორპუსი შედგებოდა ხოლმე ქალაქის კოლეგიისაგან და 19 ნო-

1) Depping. „Corr. adm.“. t. I. p. 685.

2) Boisliste. „Corr. des Contr. génér.“ t. I. № 1699.

3) Ibidem. „Corr.“ t. I. № 1694

4) Tocqueville. „L'ancien régime“. p. 68.

5) იგი პროვანსშია.

6) Guibal. „Mirabeau et la Provence en 1789 t. I. p. 8-10.

ტაბლისაგან და ამ გვარად შემდგარ კრებას ეწოდებოდა კომუნის საერთო ყრილობა „assemblée générale de la commune“¹; ქ. რენში საერთო ყრილობა შედგებოდა მუნიციპალიტეტის მოხელეებისაგან, რენის ეპისკოპოსისაგან, გუბერნატორისაგან, მეფის პროკურორისაგან, წინანდელი ყოფილი მერებისაგან და 24 წარმომადგენლისაგან². ასეთი „საერთო ყრილობები“ ზოგან მხოლოდ 50 კაცისაგან შედგებოდა და მათი რიცხვი თითქმის არსად არ აღემატებოდა 300 კაცს³. ჩვეულებრივად სრულუფლებიან დამსწრეთა რიცხვი ისაზღვრებოდა არა იმდენად ქალაქის სიდიდისა და მიხედვით, რამდენადაც იმ ადამიანთა და ტრადიციების მიხედვით, რომელნიც მრავალი წლების განმავლობაში იქმნენ გამოძემუშავებულნი და დამყარებულნი. მაგალითად ქ. ბორდოში, როგორც მე-XVIII-ე საუკუნეში, ისე XVII-ე საუკუნეში, მხოლოდ 130 მოქალაქე იყრიდა თავს საერთო ყრილობაზე⁴.

მოქალაქეები იღებდნენ მონაწილეობას ყრილობებში ან იმ პრივილეგიების ძალით, რომელიც მათ ჰქონდათ მინიჭებული ან და როგორც წარმომადგენელნი ამა თუ იმ კორპორაციისა. ერთი სიტყვით თვით ამომრჩეველები წარმომადგენენ არა ყველა სრულუფლებიან მოქალაქეებს, არამედ მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილს, პრივილეგიების მქონე უმცირესობას. ამასთანავე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველების როლს თვით მუნიციპალიტეტის მოხელეები ეწოდნენ⁵. ამგვარი მოვლენა არსებითად ადოპტივის წარმოადგენდა. ასეთი იყო სამუნიციპალო საარჩევნო წესი, ამ გვარი იყო ის წრე პირებისა, რომელნიც ქალაქის საქმეებს სათავეში უდგებოდნენ და ამ მხრივ ვერ გავიზიარებთ პროფ. არდაშევის საყვედურს ტოკვილისადმი თითქოს ეს უკანასკნელი გადაამეტებდეს იქ, სადაც ამტკიცებს, რომ: „au XVIII siècle le gouvernement municipal avait dégénéré partout en une petite oligarchie“⁶. მართალია, ბერტრან დე მოლევილის მემუარებს რომ ყური დაუვდლოთ, თითქოს ქ. ნანტში ჯერ ისევ მე-XVIII-ე საუკუნის დამლევს არსებობდა საერთო კრებები ძველი ფართო დემოკრატიული მასშტაბით⁷, მაგრამ ამ გვარ ყრილობებს მხოლოდ ეფემერული და დეკორატიული ხასიათი ჰქონდათ. ფართო მასსა დიდხანსია ჩამოშორებული იყო სამუნიციპალო მართებლობას, იგი უკვე აღარ იყო დაინტერესებული ამ უკანასკნელით. ქალაქის მთელ საქმეებს განაგებდა სრულუფლებიან-

¹) Wahl. „Les premières années de la Révolution à Lyon“. p. p. 14-17.

²) 5 du clergé, 2 gentilshommes, 2 avocats, un professeur en droit, un docteur en médecine, un des administrateurs des hôpitaux, 10 magistrats, 2 députés de la communauté des marchands. p. 28. „Etudes sur l'administration municipale en Bretagne au XVIII s“. Dupuy.

³) B a b e a u. „La Ville“. p. 61.

⁴) B a d e a u. „La Ville“. p. 272.

⁵) B a b e a u. „La Ville“. p. p. 67—93.

⁶) T o c q u e v i l l e. „L' Ancien régime“. p. 68.

⁷) ქ. ნანტში. ა.ნიშნავს ბერტრან დე მოლევილი, le Corps municipal composé d'un maire, de six échevins et un procureur-syndic convoque l'assemblée générale pour former une liste de trois sujets (კანდიდატები შერის თანამდებობისათვის); cette liste est ensuite présentée au peuple, et chaque habitant vient piquer le nom de celui des concurrents qu'il favorise“. Dupuy „Etudes sur l'administration“. p. p. 14—15.

ნად სულ რამდენიმე ოჯახი, განაგებდა საიდუმლოდ საზოგადოების ზურგს უკან თავისი პირადი ინტერესების მიხედვით. და მიოლოდ ზოგჯერ მაგისტრატი ვიჩინებდა ხოლმე საკიროდ, რომ თვით ფართე მასსას მიეღო მონაწილეობა ხმის მიცემაში, რათა დაკული ყოფილიყო გარეგნულად მაინც პროცედურა თავისუფალი ფართო არჩევნებსა. ასევე იქცეოდენ, ამბობს ტოკვილი, ყველა მეფეები, რომელთაც კი მოსპეს თავისუფლება. ისინიც ყოველთვის ცდილობდენ შეენახათ თავისუფლების გაჩევიანი ფორმები. ასე იყო და ასე არის მოყოლებული ავგუსტოსიდან დღევანდლამდე — ამბობს იგი. მაგისტრატის სათავეში მდგომი ხალხისათვის სასურველი იყო, რომ ის ზნეობრივი ძალა, რომელსაც იძლევა ყოველთვის საზოგადოების დასტური თან დაერთოთ იმ მოხერხებულად მოწყობილი მდგომარეობისათვის, რომელსაც ანიჭებდა აბსოლუტური ხელისუფლება მათ. ¹ ამით აიხსნება ის, რომ ზოგიერთ ქალაქში, ისე როგორ ნანტში, თითქოს ჯერ ისევ მე-XVIII-ე საუკუნეში კიდევ არსებობდენ საერთო ყრილობები ფართო დემოკრატიული მასშტაბით. განსაკვირვებელია ის, რომ ასეთი გადაგვარებული ხასიათის კრებული ეპოქის საადმინისტრაციო ენაზე ისევ „საერთო ყრილობად“ იხსენიება. მაგალითად, ოვერნის ინტენდანტი წინადადებას იძლევა დაარსებულ იქმნეს საბჭო 52 ნოტაბლისაგან შემდგარი და ამგვარს: ბქოს იგი უწოდებს *assemblée générale* — საერთო ყრილობას ². რასაკვირველია, ამას ჩვენ ვერ ჩამოვართმევთ ოვერნის ინტენდანტს ვერც თავხედობაში და ვერც უეცობაში. ეს სიმპტომატიურია თვით ეპოქისათვის — ეს თვით ეპოქის ენაა. იგი უდავო, უპელაკიო მაჩვენებელია იმისა, თუ რა ღრმად დატყვევდა სამუნიციპალო მართელობა საფრანგეთში აღნიშნულ ეპოქაში და თუ რა არსებობით ევოლუცია განუტედა თვით ტერმინს — „*assemblée générale*“. ტოკვილი მოყვანილი აქვს 1764 წლის სია იმ პირთა, რომელნიც შეადგენენ ქანჯერის საერთო ყრილობას. მართალია ქ. ანჯერის მდგომარეობა არ გამოხატავს საფრანგეთის ქალაქების საერთო, საზოგადო მდგომარეობას, მაგრამ იგი არც გამოჩაქისია. ქ. ანჯერის საერთო ყრილობა (*assemblée générale*) ტოკვილის ცნობით შესდგებოდა 76 პირისაგან. მის შედგენილობაში შედიოდნენ: მერი (ქალაქის თავი), ორი დეპუტატი კაპიტულისაგან, მრევლის სასულიერო პირთა სინდიკი, პრეზიდენტისაგან, პოლიციის მთავარი უფროსი, ოთხი ეშევენი, თორმეტი მრჩეველი (*conseillers échevins*), მეფის პროკურორი პრეზი-

¹) „Inutilement les magistrats essayent de temps en temps de réveiller en lui ce patriotisme municipal qui a fait tant de merveilles dans le moyen âge: il reste sourd. Les plus grands intérêts de la ville semblent ne plus le toucher. On voudrait qu'il allât voter, là où on a cru devoir conserver la vaine image d'une élection libre: il s'entête à s'abstenir. Rien de plus commun qu'un pareil spectacle dans l'histoire. Presque tous les princes qui ont détruit la liberté ont tenté d'abord d'en maintenir les formes; cela s'est vu depuis Auguste jusqu'à nos jours; ils se flattaient ainsi de réunir à la force morale que donne toujours l'assentiment public, les commodités que la puissance absolue peut seule offrir“. Tocqueville. p. 68.

²) Boisliste, „*Corr. des Contr. génér.*“ t. I. № 875.

დილათან მყოფი, ქალაქის პროკურორი, ორი დეპუტატი წყლისა და ტყის სამართველოსაგან, ორი დეპუტატი სავადასახადო ოლქისაგან, ორი დეპუტატი მარილის ამბრების სამართველოსაგან, ორი ვადსახადთა მოიჯარადრეებისაგან, ორი დეპუტატი ფულის სამართველოსაგან, ორი ვეჟილთა და პროკურორთა კოლეგიისაგან, ორი დეპუტატი მოსამართლე კონსულებისაგან (juges consuls), ორი წარმომადგენელი ნოტარიუსებისაგან, ორი ვაჭრებისაგან დაბოლოს 32 დეპუტატი 16 მრევლისაგან, ე. ი. თითო მრევლიდან ოროლი წარმომადგენელი. ეს უკანასკნელნი სამრეწველო კორპორაციების (corps) წარმომადგენელნი იყვნენ, მაგრამ მათ არავითარი გავლენა არ ჰქონდათ ქალაქის საქმეების მართველობაზე, რადგანაც საერთო ყრილობებზე ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდნენ მიუხედავად ქალაქის სააღმასრულებლო ორგანოს, იმ ორგანოს, რომელსაც ეპოქის ოფიციალ ენაზე ქალაქის კორპუსი „corps de ville“ ეწოდებოდა, თუმცა უნდა აღენიშნოთ, რომ ეს ორგანო არ ატარებდა საფრანგეთის ყველა კუთხეში ერთსა და იმავე ოფიციალ სახელწოდებას. ხსენებულ ორგანოს სხვადასხვა ქალაქში სულ სხვადასხვა ოფიციალ სახელწოდება ჰქონდა. კარკასონში მას ეწოდებოდა „სამუნიციპალო კორპუსი“ (corps municipale), ვალანსიენში — „მაგისტრატი“ (magistral), ავღში „ქალაქის საბჭო“ (conseil de ville), კამბრეში — „მაგისტრატის კორპუსი“ (corps de magistrat); დაბოლოს შეიძლება შევხედრიყავით თანამედროვე ოფიციალ ტერმინსაც „სამუნიციპალო საბჭოს“ (Conceil municipal¹).

ქალაქის მაგისტრატის შესაკრებად არსებობდნენ უმეტეს ქალაქებში მიიწვიანსაკუთრებული შენობები, რომელნიც აგრეთვე სხვადასხვა სახელწოდებას ატარებდნენ: hôtel de ville, chambre de ville, maison commune, maison consulaire, loge, parloir და სხვა. არა ნაკლებად მრავალფეროვანი იყო თვით მაგისტრატის შემადგენლობაც. ქ. კამბრეს ქალაქის კორპუსი შედგებოდა 12 სკაბინისაგან და 9 სხვადასხვა მოხელისაგან, რომელთაც სულ სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდათ. ქ. დუეში ქალაქის კორპუსი შეიცავდა 12 სკაბინს და პირველი მათგანი ატარებდა შეთვის სახელწოდებას². ლიონის „ქალაქის კორპუს“-ს შემდეგი შედგენილობა ჰქონდა — 4 სკაბინი (échevins), რომლის სათავეშიც იდგა ეგრეთ წოდებული „ვაჭართა მამასახლისი“ „prevôt des marchands“ და 12 მრჩეველი ქალაქისა „Conseillers de ville“³. ქ. დიჟონში იგივე ორგანო შემდგარი იყო 20 სკაბინისაგან, ერთი პროკურორ-სინდიკისაგან, ერთი მდივნისაგან და ერთი ვადასახადების ამკრეფისაგან⁴. „სამუნიციპალო კორპუსის“ შედგენილობის რაოდენობა ხშირად არ შეეფერებოდა ქალაქის მცხოვრებლების რაოდენობას. ასე მაგალითად, პროვანსის ერთი მეორეხარისხოვან ქალაქთაგანის „კორპუსი“ შედგებოდა 60-დგ სამუნიციპალო მოხელისაგან, ე. ი. იმდენივე მოხელისაგან, რამდენიც მოეპოებოდა თვით ექსის მუნიციპალიტეტს —

¹) Depping. „Corr. adm.“ t. I. p. XXXI—XXXIV.

²) Depping. „Corr adm.“ t. I. p. XXXII.

³) Ibidem. „Corr. adm.“ t. I. p. XXIX.

⁴) Ibidem. t. I. p. XXXI.

პროვანსის დედაქალაქს. შევხედვებოდით ისეთს შემთხვევებსაც, როდესაც ქალაქის მცხოვრებლები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ზემოხსენებულ ქალაქში, მაგრამ სამუნიციპალო მოხელეების რაოდენობა კი 10 ს არ აღემატებოდა¹.

„ქალაქის კორპუსი“ ქალაქის ერთგვარ პრივილეგიას წარმოადგენდა და, თუ რაიმე უფლებრივი განსხვავება არსებობდა ქალაქსა და სოფელს შორის, ეს უმთავრესად და განსაკუთრებით ქალაქის კორპუსის არსებობაში გამოიხატებოდა.

„ქალაქის კორპუსი“, შერუელის სიტყვით, სამუნიციპალო მაგისტრატების კრებულს წარმოადგენს². ბაბოს განსაზღვრით — იგი წარმომადგენლობაა ქალაქისა, მისი სამოქალაქო და პოლიტიკური ფიზიონომიის გამოხატულება — „Le corps de ville, c'est la représentation de la cité; c'est sa personnalité civile et politique“³. იგივე ბაბო ქალაქის კორპუსის შედგენილობის ისტორიაში განარჩევს სამს სისტემას: სინდიკატურს, საკონსულოსა და მერების სისტემას⁴. სინდიკატი ისეთს სისტემას აღნიშნავს, როდესაც ყველა მცხოვრები საერთო ყრილობაზე ირჩევს სინდიკს, და ეს უკანასკნელი წარმოადგენს კრების სააღმასრულებლო ორგანოს. ეს სისტემა სულ უძველესი და მარტივი ფორმაა. მაგრამ იმ ეპოქაში, რომელიც ჩვენ ამ წამად მხედველობაში გვაქვს, იგი უკვე სრულებით აღარა გვხვდება. საკონსულო სისტემა მდგომარეობდა იმაში, რომ სამუნიციპალო მართვლობის სათავეში იდგა კოლექტივი, რამდენიმე პირისაგან შემდგარი. ყოველი მათგანი მორიგეობით ასრულებდა პირველი ეშვეენის ანუ სკაბინის თანამდებობას. დაბოლოს არსებობდა მესამე სისტემა — სისტემა მერებისა, რომელიც იმარჯვებს სხვა დანარჩენ სისტემებზე და საყოველთაო ზაიანთს მიიღებს. მართალია, იგი დიდხანია არსებობდა ჩრდილოეთისა და ცენტრალური საფრანგეთის ქალაქებში, მაგრამ საყოველთაო წესად მთელი საფრანგეთის ქალაქებისათვის იგი მხოლოდ 1692 წლიდან გადაიქცევა. ამ წელს ლუდოვიკო მე-XIV ე აგვისტოს ედიქტით ყველა ქალაქში შემოიღებს მერის თანამდებობას. ამიერიდან ყოველი მუნიციპალიტეტის სათავეში მერი უნდა მდგარიყო.

მე-XVIII-ე საუკუნეში ბრეტანის დედაქალაქის რენის „სამუნიციპალო კორპუსი“ შედგებოდა: მერისაგან (maire), ექვსი ეშვეენისაგან (échevins), პროკურორ-სინდიკისაგან (procureur syndici), მოლარისაგან (trésorier) და მდივნისაგან (greffier).⁵ მართალია სხვადასხვა ქალაქში, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ხსენებული ორგანოს შედგენილობა იცვლებოდა და ამ მხრივ მრავალფეროვნობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ქ. რენის მაგალითი იძლევა დაახლოებით მოხელეების იმ მინიმუმს, რომელიც საერთოდ მიღებული იყო მაშინ ქალაქის მართვლობის სააღმასრულებლო ორგანოსათვის. განვიხილოთ ყოველი მათგანი.

ქალაქის მერი, ანუ თანამდებროვე ტერმინოლოგიით ქალაქის თავი, სათავეში იდგა სამუნიციპალო მოხელეებს. იგი ქალაქის კოლეგიის მხოლოდ თავმჯდომე-

1) Ibidem. t. I. p. XXXVI.

2) Chérueil, A. „Dictionnaire historique des institutions, moeurs et coutumes de la France“ t. I. p. 247.

3) B a b e a u. „La ville“. p. 140.

4) Ibidem. „La ville“. p. 151.

5) D u p u y. „Etudes sur l'administration municipale“. p. 28.

რედ ითვლებოდა და არ შეეძლო პერსონალურად გასძლიოიყო ქალაქის საქმეებს¹ მას უნდა ემოქმედნა სკაბინებთან ერთად შეთანხმებით, საერთოდ „ქალაქის კოლეგიის“ მოქმედება უნდა წარმოებულყო მისი ყველა წევრის საერთო ნებაყოფლობით და თანხმობით², თუმცა, რასაკვირველია, ეს ყოველთვის არა ტარდებოდა სინამდვილეში.

მერი საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში სულ სხვადასხვა ოფიციალ სახელწოდებას ატარებდა. მერს უწოდებდენ საფრანგეთის ჩრდილოეთისა და ცენტრალ ნაწილში; დანარჩენ ნაწილებში კი გვხვდება შემდეგი სახელწოდებანი: „პირველი კონსული“, „მეფის პრეტორი“, „მაიორი“, „ბელ“, „პრევე“, „რე-ვარტი“, „ვიერგი“, „ეპკართა მამასახლისი“, „მცხოვრებთა ლეიტენანტი“ და სხვა.

ამ მრავალფეროვან სახელწოდებათა ქვეშ არსებითად ერთი და იგივე ინსტიტუტი იფარებოდა—თანამედროვე ქალაქის მერის თანამდებობა³. მერის განწესება ძველი რეიმიის დროს სწარმოებდა შემდეგი წესით—ქალაქი წარუდგენდა ხოლმე მეფეს სამი კანდიდატის სიას, მეფე ირჩევდა ერთს ნათვანს და სპეციალი სიგლით ამტკიცებდა მერის თანამდებობაზე⁴. დამტკიცების შემდეგ იწყებოდა საზეიმო ცერემონიალი მერის მიერ თანამდებობის აღსრულების დაწყებისა და ფიცის მიღების გამო⁵. მართალია ამ საზეიმო ცერემონიალს ყველგან ერთი და იგივე ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ რომ იგი ყველგან იყო შემოღებულია ჩვეულებად—ეს კი ექვს გარეშეა⁶. ფიცის მიღებისთანავე მას შემოსავედენ ხოლმე მერისათვის დაწესებული ფორმის ტანისამოსში⁷. მერებს უმეტესს შემთხვევაში ოროლი ფორმის ტანისამოსი ჰქონდათ—ერთი ჩვეულებრივი სხდომებისათვის და მეორე საზეიმო შემთხვევებისათვის⁸. ზედმეტი არ იქნება შევჩერდეთ ამ დეტალზე. საქმე იმაშია, რომ ფორმის ტანისამოსი იმ დროს ძალიან ძვირი იყო და მერები, ისე როგორც მუნიციპალიტეტის დანარჩენი მოხელეები, გაურბოდენ ამ ხარჯებს და ცდილობდენ შემოსილიყვენ ქალაქის ხარჯზე⁹. ქალაქი ზოგჯერ ან ფულს იღებდა მოხელეების ფორმის ტანისამოსის შესაძენად¹⁰ ან და მიაქირავებდა ხოლმე იმ ტანისამოსს, რომელიც ქალაქს წინასწარვე შეძენილი ჰქონდა¹¹. შემდეგში ამგვარი ხარჯები ქალაქების ჩვეულებრივ ხარჯებად გადაიქცა¹². ქალაქის მერებიც ბოროტად იყენებდენ ამ უკანასკნელს.

1) Tocqueville. „L'ancien régime“. p. 68.

2) Babeau, Al. „La ville“. p. 125

3) Boislisle. „Corr. des contr. génér. t. I. №№ 1115, 1338, 1356 1635 და 1905.

4) Depping. „Corr. adm.“. t. I. p. p. 629 et. 630 იხ. სიგლის ნიმუში.

5) Boislisle. „Corr. des contr. génér“. t. I. №№ 1421, 1478, et. 1601.

6) Babeau, Al. „La ville“ p. 126.

7) Boislisle „Corr. des contr. génér.“ t. I № 1179

8) ამიენში საფორმო კოსტიუმი 1669 წელს ღირდა 800 ლივრი; ალბ-ში 1669 წელს იგივე კოსტიუმი ფასობდა 990 ლივრს სხვადასხვა ადგილას, რასაკვირველია, სხვადასხვა ფასი ჰქონდა, მაგრამ ყველგან კი იგი ძალიან ძვირი იყო. Babeau, Al. „La Ville“ p. 130.

9) Depping. „Corr. adm.“ t. I. p. 741.

10) ტულუზში საფორმო კაპიტული იღებდა ქალაქისაგან 950 ლივრს დაწესებული ფორმის ტანისამოსის შესაძენად. Boislisle. „Corr. des contr. génér.“ f. I № 1615.

11) Boislisle. „Corr. des Contr. génér“. t. I № 1574.

12) Depping. „Corr. adm“. t. I. p. 632.

ისინი ყოველს ხელსაყრელ შემთხვევაში, იქნებოდა ეს მეფის სიკვდილის გამო, თუ ახალი წლის ან და სენიორის ქალაქში ზობრძანების გამო, ცდილობდნენ ახალი ტანსაცმელი შეეკერათ ქალაქის ხარჯზე¹. ეს ფრიალ საზარალო იყო ქალაქების რესურსებისათვის. აღსანიშნავია, რომ ინტენდანტები, თავის მხრივ ცდილობდნენ ბოლო მოედოთ ანალოგიური ბოროტმოქმედებისათვის. მაგალითად, არასწი ინტენდანტი შეამცირებს 500 ეკიუთი იმ თანხას, რომელიც გადადებული იყო მუნიციპალიტეტის მოხელეების საფორმო ტანისამოსისათვის². სამუნიციპალო თანამდებობანი პრინციპიალურად უფასო, უჯამაგირო იყო, მაგრამ თანდათან ჩვეულებაში შემოდიოდა მიერთშიათ ხოლმე მოქალაქეებს სხვადასხვა საჩუქარი (présents) თავისი მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის, უმთავრესად მერისათვის, და აენაზღაურებიათ მათი ხარჯები (indemnité)³. შემდეგში ეს ჩვეულება ცაყალდებულო ხასიათს იღებს და მძიმე ტვირთად აწვევა ქალაქების ბიუჯეტს⁴. ამიტომაა, რომ მუნიციპალიტეტის მოხელეების მიმართ ხშირად გაისმოდა ხოლმე პროტესტი მოქალაქეების მხრივ, რომელნიც მოითხოვდნენ ყოველი ზემოაღნიშნული ჩვეულების მოსპობას⁵.

მერის თანამდებობა ანიკებდა მოქალაქეს აზნაურობის ტიტულს⁶ და ამასთან დაკავშირებით ერთგვარ პრივილეგიებსაც. მერებს უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ თავისი განსაკუთრებული მცველები⁷. შემდეგ აზნაურობის ტიტული ანიკებდა მათ არა მარტო საპატიო უფლებებს, ხსენებული ტიტული ათავისუფლებდა მათ გადასახადებისაგან. მერები თავისუფლდებოდნენ tailleისაგან და octroისაგან. ამ გვარი უფლება მინიკებული ჰქონდათ მათ 1692 წლის ავეისტოს ედიქტის ძალით⁸. იმავე 1692 წლის ედიქტის ძალით ქალაქის მერების თანამდებობა გადაქცეული იქმნა ფულით შესაძენ—სამემკვიდრეო თანამდებობად „office à finance“—იმავე ტიტულებით და იმავე ფუნქციებით.

მიუგებრუნდეთ სკაბინებს ანუ ეშევენებს (échevins). ეს უკანასკნელი მუნიციპალიტეტის მოხელეებს წარმოადგენდნენ. პარიზში და ლიონში მათ ეწოდებოდათ სკაბინები, დანარჩენ ადგილებში კი სულ სხვადასხვა სახელწოდებას ატარებდნენ. ასე მაგალითად, ბორდოში მათ ეწოდებოდათ „ეიურატები“ („jurats“), ტულუზაში—„კაპიტულები“ („capitouls“), პროვანსში და ლანგედოკის უმეტეს ქა-

¹) Boislisle. „Corr. des. contr. génér“. t. I. №№ 1645, 1838, et. 1905.

²) „Depping. „Corr. adm.“ t. I. p. 716.

³) Boislisle. „Corr. des. Contr. génér.“ t. I. №№ 717, 824 et. 836. ქ. დიეონი 1662 წელს მართმევს თავის მერს 12 ყუთს ტკბილეულობას და 70 ლივრის სანთელს. 1697 წელს ქ. ლიონი მართმევს „ვაკართა მამასახლისს“ (იგივე მერია) ბრილიანტების დიადემას 6000 ლივრის ლივრებზედმისას—მისი ქალიშვილის გათხოვების გამო.

⁴) Depping. „Corr. adm.“ t. I. p. p. 676 et. 765.

⁵) Depping. „Corr. adm.“ t. I. p. p. 770 et. 775. ზოგიერთ ქალაქში მერები სარგებლობდნენ უფლებით შეეკეთათ თავისი სურათები ქალაქის ხარჯზე. და ეს ჩვეულება გავრცელებული იყო უფრო სამხრეთ საფრანგეთში. მაგ. ქ. ნიშში ასეთი ჩვეულება გვარდება 1611 წლიდან. (Ibidem. „Corr. adm.“ t. I. p. 815).

⁶) მერის თანამდებობა ანიკებდა ტიტულს გრაფისას, ვიკონტისას, ბარონისას და სხვა. Boislisle. „Corr. des. Contr. génér“. t. I. №№ 1017, 1104 et. 1234.

⁷) Boislisle, „Corr. des. contr. génér“. t. I. № 1459.

⁸) იბ. თავი V.

ლაქებში— „კონსულები“ („consuls“), ბოვეში— „პერები“ („paires“)¹ და სხვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკაბინების რაოდენობა სხვადასხვა ქალაქში სულ სხვადასხვა იყო. ამ მხრივ შედგენილობის მრავალფეროვნობას საზღვარი არა ჰქონდა. ცვალებადი იყო არა მარტო მათი რაოდენობა, ცვალებადი იყო აგრეთვე მათი შევსების წესი. ხშირად არავითარი პირობები არ იყო საჭირო ეშვენების თანამდებობაზე ასარჩევად და ადგილი ჰქონდა ისეთს შემთხვევებსაც, როდესაც ეშვენების თანამდებობაზე არჩეულ იქმნენ ისეთი პირები, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სიკვდილით დასჯა².

ეშვენებს ანუ სკაბინებს ირჩევდნენ კორპორაციები წოდებრივობის ან და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მიხედვით და ანგვარ საარჩევნო სისტემას „კიბეს“ უწოდებდნენ.

ასე მაგალითად, გაიაკში პირველი კონსული უნდა ყოფილიყო აზნაური ან ვეკილი. მეორე — ბურჟუა, მესამე — ვაქარი ანდა ნოტარიუსი, მეოთხე — ხელოსანი ანდა გლეხი³. ქ. ეკსში პირველი ორი კონსული აუცილებელიც აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ⁴. გვიანშიც არსებობდნენ ისეთი თანამდებობანი, რომელნიც აუცილებელიც აზნაურების ხელში უნდა ყოფილიყვნენ⁵. მაგრამ უკვე მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან ლანდოკის ზოგიერთ ქალაქში აზნაურებს აღარ უშვებენ საკონსულო თანამდებობაზე⁶, და გრენობლში 1692 წლიდან „მერს“ უკვე აღარ ირჩევდნენ აზნაურთა წოდებიდან⁷. სამღვდლოებასაც სდევნიდნენ სამუნიციპალო დაწესებულებიდან. შარტში ორ სასულიერო პირს ეკავა სკაბინის თანამდებობა, მაგრამ ეს უკანასკნელნი მალე განდევნილ იქმნენ თავისივე კოლეგების მიერ⁸. ქალაქების საქმეების საუკეთესო ხელმძღვანელებს ვაქრები და მრეწველები წარმოადგენდნენ; ამიტომ კოლბერი 1670 წელს აღნიშნავს შემდეგს: „ქ. ნიორის 24 სკაბინს შორის არ მოიპოვება არც ერთი ვაქარი ანდა ისეთი ადამიანი, რომელსაც სამანუფაქტურო საქმე ესმოდეს და ამიტომ საჭიროა სკაბინთა კოლეგიაში არჩეულ იქმნენ აგრეთვე მაუდის მოვაჭრეებიც“⁹. ამის გამო ქ. ბორდოში დადგენილი იქმნა, რომ ორი ყიურატი (სკაბინი) აუცილებელიც ვაქრების წრიდან ყოფილიყვნენ არჩეულნი¹⁰. კოლბერი უთმობს სკაბინების თანამდებობას ქ. მარსელში განსაკუთრებით ბანკების მესაკუთრეებს, ნეგოციანტებს და საერთოდ ბურჟუებს. ამით მას ჰსურდა აღედგინა და გაეცხოველებინა ვაქრობა სახელმწიფოს მთავარ ქალაქებში¹¹.

კომპენტენციების განაწილების დროს დიდი უთანხმოება მოსდიოდათ სკა-

1) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. XXVIII.

2) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. p. 692.

3) Babeau, „La Ville“ p. 113.

4) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. XLI.

5) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 640.

6) Babeau, „La Ville“ p. 123.

7) Bostlisle, „Corr. des. contr. génér.“ t. I № 1649.

8) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1178.

9) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 814.

10) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. p. 815.

11) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. XXXII.

ბინებს იმ ქალაქებში, სადაც მერის თანადგობა არ არსებობდა. სკაბინებს მოსდიოდათ შეცილება პირველობაზე¹. ვის უნდა მისცემიყო უპირატესობა — იმას ვინც წოდებით მაღლა იდგა, თუ ვისაც მეტი ნამსახურობა ჰქონდა სკაბინის თანამდებობაზე? ეპოქის იურისტები იმ აზრისა იყვნენ, რომ „პირველი სკაბინის არჩევნები უნდა სწარმოებდეს ხმის უმრავლესობით, ისევე როგორც ეს სწარმოებს პარიზში², მაგრამ მომეტებულ ქალაქებში სკაბინები არ ხელმძღვანელობდნენ აღნიშნული აზრით. ყოველი მათგანი პირველობას ჩემულობდა და ამ ნიადაგზე დიდი შეცილება, არევე-დარევე და უწყესობა სწარმოებდა, როგორც მაგალითად ამას ალაგი ჰქონდა სუასონში.

ქალაქ სუასონში ოთხი სკაბინია, იწერება ინტენდანტი დორიო 1667 წელს, და რასაც ერთი მათგანი აკეთებს, იმას მეორე სპობს. ამ ნიადაგზე დიდი უთავბოლობა და მუდმივი უწყესობა სუფევს³ ქალაქის საქმეების წარმოებაში.. ანალოგიური უწყესობის მოსასპობად სუასონის ინტენდანტი სთხოვს კოლბერს, რომ თვითონ მან დაუნიშნოს აღნიშნულ ქალაქს მერი. ამ გვარი უწყესობისათვის რომ ბოლო მოეღოთ, ზოგიერთ ქალაქში თვით სკაბინები ინაწილებდნენ კომპეტენციებს მთელი წლის ვადით. კომპეტენციების განაწილებას კენჭის ყრით აწარმოებდნენ⁴.

ასე მაგალითად, ქ. ლიონში პირველი სკაბინი განაგებდა საქმეებს შენობების შესახებ, მეორე — ქალაქის სასურსათო დარგს და საფინანსო კონტროლს, მესამე — გადასახადებს, მეოთხეს უნდა ეზრუნა ხელოსნობაზე და ქალაქის კეთილმოწყობაზე⁵. ქალაქ ბორდოში ორი ეიურატი (იგივე სკაბინი), წოდებით აზნაურები, განაგებდნენ საავადმყოფოებს, თეატრებს, შილიციას, და ჯარის დასაბანაკებელ საქმეს, ორი სხვა ეიურატი, პროფესიით ვეჭილები, განაგებდნენ სწავლავანათლების საქმეს, ციხეებს, სასამართლო პროცესებს და ქალაქის უძრავ ქონებას. ის ეიურატები კი, რომელნიც ნეგოციანტების წრიდან იყვნენ არჩეულნი, თვალყურს ადევნებდნენ ნავთსადგურს, ბაზრებს, ქუჩებს და განაგებდნენ საბაჟო გადასახადების აკრეფას. ამავე დროს ყოველი მათგანი ვალდებული იყო კვირაში ერთხელ მორიგეობა გაეწია ქალაქის „ოტელში“⁶.

ყოველი ზემოხსენებული ვალდებულების აღსრულებისათვის საჭირო იყო ცოდნა და გამოცდილება და ამ უკანასკნელისათვის კი საჭირო იყო დრო, რაცა სრულიად არა ჰქონდათ მუნიციპალიტეტის მოხელეებს, რადგანაც მხოლოდ ერთი წლის ვადით იყვნენ ხოლმე არჩეულნი⁷. შეეჩვეოდა თუ არა მუნიციპალიტეტის მოხელე თავის საქმეს, მისი სამსახურის ვადაც დამთავრდებოდა ხოლმე და მის ალაგს უმეტესს შემთხვევაში ეკავლება ისევე ახალი და გამოუცდელი პირი. რასაკვირველია, ამის გამო საქმე იცარებოდა და ზარალდებოდა; გარდა ამი-

¹) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. p. 641.

²) Babeau, „La ville“ p. 115.

³) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 798

⁴) Depping, „Corr. adm.“ t. I. Introduction. p. XXX.

⁵) Boisliste, „Corr. des contr. génér.“ t. I. 480, 942. 1200, 1423 et 1261.

⁶) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. XXXI.

⁷) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. Introduction p. XXXLX.

სა თვით სკაბინებიც, რომელთაც იმედი არა ჰქონდათ, რომ ხელმეორედ იქმნებოდნენ არჩეულნი, ბოროტად გამოიყენებდნენ ხოლმე თავის თანამდებობას. რომ თავიდან აეცილებინათ სკაბინების გამოუცდლობა, შემოღებულ იქნა ახალი შეესების სისტემა — დაწესებულ იქნა ყოველ წლივ განახლებულიყო ხოლმე სკაბინთა რიცხვის ნახევარი¹.

1704 წლის იანვრის ედიქტით უქმდებოდა სკაბინთა თანამდებობა, როგორც სააჩქენო თანამდებობა. ამ ედიქტის ძალით სკაბინებისა და მუნიციპალიტეტის დანარჩენი მოხელეების თანამდებობანი გადაქცეულ იქმნენ ოფისებად (offices à finance) იმავე ტიტულებითა და ფუნქციებით². ამიერიდან ყოველ მოქალაქეს შეეძლო ფულით შეესყიდა სკაბინის თანამდებობა სამემკვიდრეოდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქის მოხელეთა შორის არსებობდა აგრეთვე პროკურორი-სინდიკი ანუ ქალაქის პროკურორი (procureur de ville) მას ქალაქი ირჩევდა და იგი ერთგვარი დამოუკიდებლობით სარგებლობდა³; შემდეგში იგი გადაიქცა მეფის პროკურორად („procureur du roi“). თავდაპირველად იგი ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იყო, მე-XVII-ე საუკუნის დამლევდიან კი იგი ცენტრალი მთავრობის აგენტის როლს ეწევა და ქალაქის მერს მეტოქეობას უწევს⁴. ქალაქის პროკურორი მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა სამუნიციპალო საქმეში — მას შეეძლო მოეწვია ეშვეინათის კრება, თვალყურს ადევნებდა ქალაქის ქონებას, გადასახადების აკრეფას, სასურსათო საქმეს, იხილავდა გადასახადთა ამკრეფავეების ანგარიშებს და სხვა.

განვიხილოთ ვალდებულებანი ქალაქის მართველობის მდივნისა (greffier) და გადასახადების ამკრეფათა (receveur).

მდივანის მოვალეობაში შედიოდა უმთავრესად ქალაქის სამართველოს კრებათა ოქმების წარმოება და ამავე დროს ჩახედული უნდა ყოფილიყო ქალაქის ყველა საქმეში. ამ მზრივ იგი ქალაქის ცოცხალ ტრადიციას წარმოადგენდა და, როგორც ქალაქის მერი ისე ეშვენები, ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მას სხვადასხვა გვარი ცნობის მისაღებად. იგი განაგებდა აგრეთვე სამუნიციპალო არქივებს და ზოგან, როგორც ეს იყო ამიერში, მცირე მნიშვნელოვან საპოლიციო საქმეებსაც⁵. მდივანს ქალაქი აძლევდა ჯამაგირს, მაგრამ, რადგანაც თვით ქალაქები დავალიანებული იყვნენ, ამიტომ თავის დროზე ვერ ისტუმრებდნენ მათ გასამრჯელოს⁶. თავდაპირველად თვით ხალხი ირჩევდა მათ, შემდეგში კი ეს თანამდებობაც ფულით შესაძენ სამემკვიდრეო თანამდებობად გადაიქცევა.

საფრანგეთში, ძველი რეჟიმის დროს, გადასახადების ამკრეფავეები ატარებდნენ სხვადასხვა სახელს: receveur, trésorier, clavaire, argentier, trésorier-collecteur⁷

¹) Depping, „Corr. adm.“ t. I. Introd. p. XXXII et p. p. 645, 646, 648, 650.

²) Isambert, t. XX. p. 441. „Edit portant création des offices d’archevêques, consuls, capitouls, jurats et autres officiers municipaux“, janvier 1704.

³) Depping, „Corr. adm.“ t. I. Introduction, p. XXIIV.

⁴) Babeau, „La Ville“. p. 259.

⁵) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I № 587.

⁶) Ididem, „Corr. des contr. génér.“ t. I № 1221.

⁷) Ibidem, „Cor.“ t. I № № 319, 1064, 1493 და 1711.

და სხვა. მუნიციპალიტეტის მოხელეები ყოველთვის ცდილობდნენ ამკრეფების თანამდებობაზე თავიანთი კანდიდატები გაეყვანათ, რომ გავლენა ჰქონოდათ სამოქალაქო გადასახადების (taxes) განაწილებაზე.

ქალაქის მთელ საანგარიშო საქმეს ეს ამკრეფები აწარმოებდნენ. ქალაქი მათ აძლევდა განსაზღვრულ პროცენტს მოკრეფილი თანხიდან. ქალაქ ლიონში ამკრეფავეები იღებდნენ ექვს პროცენტს.

მათ, პარიზში და ლიონში, ქალაქის კრებებზე დასწრების უფლება ჰქონდათ სათათბირო ხმით და ამასვე მოითხოვდა ზოგიერთი სხვა ქალაქიც ¹. გადასახადთა ამკრეფების თანამდებობანი შემდეგში „ოფიციალად“ იქმნენ გადაქცეულნი.

ქალაქის მოხელეებს ეკუთვნოდნენ აგრეთვე უბნის ზედამხედველები. ზედამხედველები აუცილებლივ ადგილობრივი მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ. ესენი ესწრობოდნენ ქალაქის კრებებს და მონაწილეობას იღებდნენ არჩევნებში ². 1695 წლამდე მათ ვალდებულებას შეადგენდა ქალაქის კარების დაცვა და დარაჯობა, შემდეგში კი, გარდა ზემოხსენებული ვალდებულობისა, მათ უნდა ეკოფნათ სულობრივი გადასახადი (capitation). მათი თანამდებობაც, ისე როგორც სხვა მოხელეების თანამდებობანიც, სავაჭრო ობიექტად იქმნა გადაქცეული ცენტრალი მთავრობის მიერ მე-XVIII-ე საუკუნის დასაწყისში.

¹) Boisjolis, „Corr. des contr. génér. t. I. № 768 მაგალითად, როგორც ამას მოითხოვდა ქ. რუანი.

²) Depping, „Corr. adm“. t. I p. 765.

პოლიტიკური ზინაასის მეურვეობა ძალაძების მმართველობის სწავლაში.

„Les administrations municipales doivent être immédiatement soumises à l'autorité du roi, sans interposition d'aucune autre autorité,“—ამბობს ბერტრან-მოლეელი, ბრეტანის ინტენდანტი, ერთ-ერთ თავის წერილში¹. არსებითად ეს თვით საფრანგეთის მონარქიის პრინციპია, გამოტანილი ჯერ ისევ საშუალო საუკუნოებიდან და არა ბერტრან-მოლეელის მატო პირადი მრწამსი, ასე გულახდილად აღიარებული მის მიერ მე-18-ე საუკუნის დამლევს².

აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საფრანგეთის მონარქია გამოეხვევა qvasi მზრუნველის ქურქში და მოველინება ქალაქებს, როგორც „კეთილი“ მეურვე.

მოყოლებული უკანასკნელი კაპეტინგებიდან მონარქია უკვე შექრილია საკომუნალო მართველობის სფეროში თითქოს იმიტომ, რომ ერთგვარი მზრუნველობა გაეწია კომუნებისათვის. ნამდვილად კი ამ მხრივ მონარქიას ამოძრავებდა მარტო და მხოლოდ თავისი საკუთარი ინტერესების დაცვისა და თავისი პირადი ავტორიტეტის განმტკიცების სურვილი, და არა კომუნებას ნამდვილი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს წარმოუდგენია.

ტოკვილის³ სიტყვით, მთავრობის მეურვეობა ძველი რეჟიმის კრეტურაა⁴. აქ იგი ცდება. აღნიშნულ ინსტიტუტი ძველ რეჟიმზე გაცილებით ადრე არსებობდა. მისი დასაბამი შეგვიძლიან მე-XIII-ე საუკუნეს დაეუკავშიროთ.

იმ რიგის პრეცედენტს, როდესაც მთავრობა ერევა ქალაქების თვითმართველობაში იმ მიზნით, რომ დაამყაროს და განამტკიცოს შიგ თავისი ავტორიტეტი, ჩვენ ვხვდებით უკვე ლუდოვიკო მე-IX-ს დროს.

პირველი კაპეტინგების ზრახვანი, როგორც ეს საზოგადოდ ცნობილია, მდგომარეობდა იმაში, რომ დაესუსტებინათ ძლიერი თავად-აზნაურობა, რომელიც მათ ძალაუფლებაში ეცილებოდა⁵. ურჩი და თავგასული ფეოდალების

1) აქ იგი საპროვინციო შტატებს გულისხმობს, რომელთაც შესყიდული ჰქონდათ საწინიციპალო თანამდებობანი მთავრობისაგან. Archives nationales, H 534. ა რ და შ ე ვ ი, გვ. 538.

2) როდესაც უკვე თვით მთავრობას ჰქონდა გაყიდული თავისი უფლება საბუნციპალო თანამდებობის პირების დანიშვნისა. იხ. თავი V.

3) ვილბოტ მას, რადგანაც იგი, ასე ვთქვათ, მამამთავარია მეურვეობის ისტორიისა.

4) იხ. შესავალი.

5) Daresté de La Chavanne, „Histoire de l'administration et des progrès du pouvoir royal en France“. t II 97.

წინააღმდეგ სუსტს პირველ კაპეტინგებს სჭირდებოდათ გამოედებნათ თავისდავე სახელმწიფოში ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც აღნიშნული კაპეტინგები გულდამშვიდებით დაეყრდნობოდნენ. ასეთს საზოგადოებრივ ძალას სახელმწიფოში ქალაქები წარმოადგენდნენ. ქალაქებსა და ფეოდალების შორის სრული ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგობა არსებობდა. ამ მხრივ მათ შორის გამუდმებული ანტაგონიზმი სუფევდა. ქალაქები მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ თავიდან ზოეშორებინათ ეკონომიურ-პოლიტიკური დამოკიდებულება ფეოდალებისადმი.

ქალაქები და ფეოდალები ორ მტრულად განწყობილ ბანაკს წარმოადგენდნენ. ამიტომაც პირველმა კაპეტინგებმა მშვენიერი მოკავშირეები მოიპოვეს ქალაქების სახით ფეოდალების წინააღმდეგ. მაგრამ მოკავშირეობა და ერთგულება პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმეებში მარტო პლატონური სიყვარულით და უნაგარო სოლიდარობით არ განისაზღვრება იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ორი მოკავშირე ერთს საერთო მტერს ებრძვის. ამ შემთხვევაში ფართო ალაგი უკავია ურთი-ერთ კომპენსაციებს და კომპრომისებს. ორ მოკავშირეს შორის სუსტი მხარე ჩვეულებრივად მეტს კომპენსაციებს უთმობს თავის უფრო ძლიერ მოკავშირეს. ქალაქებთან შედარებით უფრო სუსტს მხარეს პირველი კაპეტინგები წარმოადგენდნენ. ამიტომ ეს უკანასკნელი ბევრნაირ შეღავათებს აძლევდნენ ქალაქებს, როგორც თავის მოკავშირეებს, რომ ამით კეთილი განწყობილება დაემყარებინათ მათთან — და ეს მით უფრო, რომ ამგვარი შეღავათებით უმეტეს შემთხვევაში იბღალავოდა თვით არისტოკრატიის უფლებები¹. იმ ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლაში, რომელსაც კაპეტინგები აწარმოებდნენ ფეოდალებთან, ქალაქები მომავარდენ ნივთიერად და პოლიტიკურადაც გამდიერდნენ, რაც, რასაკვირველია, სასურველი მოვლენა არ იყო იმავე კაპეტინგებისათვის, რომელნიც აბსოლუტიზმისაკენ მისწრაფოდნენ.

ისტორიულმა მსვლელობამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ადრე თუ გვიან, მეფესა და ქალაქებს შორის ხიდი უნდა ჩატეხილიყო. აბსოლუტური ძალაუფლების მოტრფიალე კაპეტინგებისათვის რა ხელსაყრელი და სასურველი უნდა ყოფილიყო ფართო დემოკრატიულ პრინციპზე აგებული და მათ მიერვე პოლიტიკურად გათამამებული ქალაქები მაშინ, როდესაც ურჩი, ძლიერი არისტოკრატია დასუსტებული და ასე თუ ისე დამორჩილებული აღმოჩნდა.

კაპეტინგებმა დაასუსტეს რა ფეოდალები ქალაქების წყალობით, მერე მუშაობდნენ თვით ქალაქებსაც. ამიტომაცაა, რომ უკანასკნელი კაპეტინგების პოლიტიკა ქალაქების მიმართ არსებითად განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც პირველი კაპეტინგები აწარმოებდნენ.

უკანასკნელი კაპეტინგები და ვალუას დინასტიის წარმომადგენლები ცდილობენ დაადონ თავისი აბსოლუტისტური ხელი ახლა თვით ქალაქებსაც, თავის გუშინდელ მოკავშირეებს. ამ გვარ ცდას უკვე ვატყობთ ლუდოვიკო მე-IX-ის იზამბერის კრებულში ჩვენ ვპოვებთ ორდონანსს, რომელიც აღნიშნულ მეფეს

¹) Chéruel. „Histoire de l'administration monarchique en France depuis l'avènement de Philippe-Auguste jusqu'à la mort de Louis XIV.“ t. I. p. 128 suiv.

ეკუთვნის¹. ეს ორდონანსი ეხება ნორმანდიის კომუნების მართველობას და მერების ამორჩევის წესს. იგი გამოცემულ იქმნა 1256 წელს და ალბერტ ბაბოს სწორედ ეს ორდონანსი აქვს მხედველობაში, როდესაც იგი ამბობს: „On peut faire remonter à saint Louis le système de la nomination des maires par le roi sur une liste de trois membres“². აღნიშნული ორდონანსით მყარდებოდა შემდეგი წესი: მოქალაქეები ვალდებული იყვნენ წარედგინათ ლუდოვიკო მე-IX-სათვის სამი კანდიდატის სია, რომლიდანაც იგი ამოირჩევდა და დამტკიცებდა მერის (ქალაქის თავის) თანამდებობაზე იმ კანდიდატს, რომელიც მისთვის უფრო სასურველი და მისაღები იყო. მაშასადამე, უკვე მის დროს მყარდება მერის დანიშვნის ის წესი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით შემდგომ საუკუნეებში და განსაკუთრებით მე XVII ე. მე-XVIII-ე საუკუნეში.

ეს პროცედურა — მერის შერჩევა სამი კანდიდატის სიიდან და მისი დამტკიცება მეფის — მიერ მხოლოდ იმით იქმნა შემოღებული, რომ ქალაქების სათავეში მდგომ პირებს ეგრძნობოთ თავისი დამოკიდებულება ცენტრალი მთავრობისაკენ.

მთავრობისათვის სულ თვით არ იყო, თუ ვინ იდგებოდა ამ თუ იმ კომუნის სათავეში; იგი ყოველთვის შეეცდებოდა ისეთი პირი ამოერჩია და დაემტკიცებინა მერის თანამდებობაზე, რომელიც მის ავენტობის როლს გასწევდა.

მართალია, ეს წესი არღვევდა კომუნალური თვითმართველობის პრინციპს, მაგრამ იგი საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ლუდოვიკო მე-IX-სათვის, რომ ნორმანდიის კომუნები თავის ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ დაეყენებინა. ეს, ასე ვთქვათ, ცენტრალი მთავრობის პირველი იერიში იყო საფრანგეთის მუნიციპალური მართველობის მიმართ. ლუდოვიკო მე-IX-ს აქტი ნორმანდიის შესახებ ცუდი პრეცედენტი აღმოჩნდა საფრანგეთის დანარჩენი ქალაქებისთვისაც. ამიერიდან საფრანგეთის მთავრობა ცდილობს აღნიშნული წესი გაავრცელოს სხვა დანარჩენ ქალაქებზედაც³. ამ მხრივ ხსენებული აქტი აღნიშნავს იმ მომენტს, საიდანაც იწყება მთავრობასა და ქალაქებს შორის ის ურთიერთობა, რომელსაც ადმინისტრაციული მეურვეობას ვეტყვი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთავრობის იერიშებს ქალაქების მართველობის მიმართ ჯერ კიდევ ვერ მიუღიათ უკანასკნელი კაპიტინგების დროს სისტემატიური და გადამწყვეტი ხასიათი. მათ უფრო სპორადიული და კრძალვითი ხასიათი აქვთ და მხოლოდ ვალუების დინასტიის დროს, განსაკუთრებით კი ას წლიანი ომის შემდეგ, ცენტრალი მთავრობა უფრო ენერგიულად შეუდგება ქალაქების კონსტიტუციების შეზღუდვას.

საერთოდ, საშუალო საუკუნეების უკანასკნელი დროის საფრანგეთის პოლიტიკური ისტორია არსებითად სამეფო ძალა-უფლების გაძლიერების ისტორიას წარმოადგენს⁴. ცენტრალიზმისა და აბსოლუტიზმის გზაზე დამდგარი მონარქია ვერ შეურიგდებოდა ქალაქების ძველ თავისუფლებათა კონსტიტუციებს.

¹) Isambert, t. II, p. p. 278—279, „Ordonnance sur l'élection des maires et l'administration des communes en Normandie 1256“.

²) Babeau Albert, „La ville“ p. 71.

³) იხ. გვ. 191, 202

⁴) Кареев, „З.—Европ. абсолютная монархия“ გვ. გვ. 41 და შემდეგ.

როგორც აღნიშნული იყო, ვალუას დიანასტიის წარმოდგენილები უფრო ენერგიულად შეეცდებოდნენ თავის სრულ მორჩილებაში მოიყვანონ ქალაქები. ამ მხრივ მათ შორის აღსანიშნავია ლუდოვიკო მე-XI-ე¹. სამწუხაროდ ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით იმის განხილვაზე დეტალურად, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებდა ქალაქების მიმართ საფრანგეთის ყოველი მეფე ნოყორლებული მე-XIII-ე საუკუნეიდგან, რადგანაც საგრძნობლად დავშორებოდით იმ ხანას, რომელიც ჩვენ მხედველობაში გვაქვს. ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგში მხოლოდ ზოგიერთი მათგანის პოლიტიკას ქალაქების მიმართ.

ხსენებული ლუდოვიკო მე-XI-ე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ანტი-არისტოკრატიც იყო და ანტიდემოკრატიც, უფრო გაბედულ და კატეგორიულ სახეს აძლევს თავისი ჩარევის აქტებს მუნიციპალური მართველობის სფეროში. მას სძულს თავად-აზნაურობის პოლიტიკური უფლებები, იგი ამ უკანასკნელთა დაუძინებელი მტერია, მაგრამ ამავე დროს იგი ვერ შეპირებებია ბურჟუაზიის პოლიტიკურ უფლებებსაც და ებრძვის მათ ძლიერ კომუნებს. იგი ანგრევს და სპობს კომუნების მართველობის დემოკრატიულ ხასიათს. იგი თვითონვე ჰქმნის ქალაქკომუნების მრავალ ახალ კონსტიტუციას (ანე, მენისა, ტურენისათვის და სხვა) იმ აზრით, რომ ქალაქების თვითმართველობის ორგანო გადააქციოს იმ ვიწრო წრის ოლიგარხიებად, რომელნიც მისი უშუალო დამოკიდებულების ქვეშ იქმნებოდნენ. თუ რა მიზეზი და აზრი ჰქონდა ლუდოვიკო მე-XI-ს ამ გვარ მოღვაწეობას, ამას მშვენივრად განმარტავს ტოკვილი: „Louis XI avait restreint les libertés municipales parce que leur caractère démocratique lui faisait peur“², — ლუდოვიკო მე-XI-მ შეზღუდა მუნიციპალური თავისუფლებანი, რადგან მათი დემოკრატიული ხასიათი მას შიშს ჰკვირიდაო, ამბობს იგი.

მოყვანილი სიტყვები ასაბუთებენ იმას, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ცენტრალიზმის და აბსოლუტიზმის გზაზე დამდგარი მონარქია, რასაკვირველია, ვერ შეღრიგდებოდა ქალაქების დამოუკიდებლობას, მათ კონსტიტუციებს და მათ დემოკრატიზმს. იგი ჩაერყვა მათ მართველობაში და შეეცდებოდა დაუქვემდებაროს ქალაქები თავის ავტორიტეტს. აქედან ფრიად ნათელია, თუ რა ხასიათი უნდა ჰქონიყო მთავრობის იმ მეურვეობას, რომელსაც იგი ამყარებდა მუნიციპალური მართველობის სფეროში. პოლიტიკური მოტივი აშკარად ჩანს. მთავრობის ჩარევის პირველი შემთხვევა ქალაქების საქმეებში, რომელსაც ალაგი ჰქონდა ლუდოვიკო მე-IX ს დროს, იმავე პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული და რაც უფრო ფრიად აღსანიშნავია, იგივე პოლიტიკური ხასიათი შეპრჩა მთავრობის მეურვეობას თვით მე-XVII ე საუკუნის დამლევამდე, რომელსაც ასე უარყოფს პროფ. არდუშევი, ე. ი. იმ დრომდე. როდესაც საფრანგეთში აბსოლუტური ძალა-უფლების ზრდა დამთავრდა და მან თავისი ძლიერების აპოგეას მიაღწია.

თუ ლუდოვიკო მე-XI-ს შიშს ჰკვირიდა ქალაქების თავისუფლებათა დემოკრატიული ხასიათი, იგივე დემოკრატიული ხასიათი ქალაქებისა არა ნაკლებ

¹) Daresté de La Chavanne. t. II p. 95. Кареев. „3.-Е абс. монархия? გვ. 63 Tocqueville „L'ancien régime“ p. 353. Chéruef, „Histoire de l'administration monarchique en France“. t. I. p. 124 etc.

²) Tocqueville, „L'ancien régime.“ p. 64.

შიშსა ჰგვრიდა მის შემდგომ მეფეებსაც. მათ პოლიტიკასაც ქალაქების მიმართ იგივე ანტიდემოკრატიზმი ახასიათებს. მე-XVIII-ე საუკუნემდე ყოველი მათგანი ცდილობდა განემტკიცებინა თავისი სუვერენული უფლებები სამუნიციპალო მართველობის სფეროში.

თავდაპირველად მონარქია ქალაქების სათვითმართველო საარჩევნო უფლებების სფეროში შეიჭრება და ცდილობს მოახვიოს ქალაქებს თავისი ინიციატივა ან პირდაპირი ან და არაპირდაპირი გზით. იგი ზოგჯერ პირდაპირ, აშკარად ზღუდავს აღნიშნულ უფლებებს, ზოგჯერ კი მიმართავს არაპირდაპირ გზას — თავისი აგენტების მეშვეობას. მათი საშუალებით იგი ერთგვარ ზედმოქმედებას აწარმოებს და ერთგვარ ზეგავლენას სტოვებს მუნიციპალიტეტის მოხელეების არჩევნებზე. მაგრამ რაც უფრო აღსანიშნავია აქ, ეს ის გარემოება, რომ მეფეები თითქმის ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე საჯაროდ აღიარებენ ქალაქების თვითმართველობის პრინციპის ხელშეუხლებლობას. ნამდვილად კი ყოველი მათგანი მეთოღიურად და სისტემატიურად სპობს ქალაქების კონსტიტუციებს და თავისუფლად თვითნებობს მუნიციპალური მართველობის სფეროში. ამ მხრივ არ შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ ალ ბერტ ბაბოს, რომელიც ამბობს: „...par la force des choses et des traditions, l'arbitraire fut pour elle (ე. ი. მონარქიისთვის — pour la monarchie) l'expédient, et la liberté électorale le principe“, ¹ მაგრამ ვერ დავეთანხმებით მას შემდეგში: „Malheureusement, elle méconnut trop souvent le principe pour recourir à l'expédient.“ ² რადგანაც ცენტრალი მთავრობა ისევე ხშირად აღიარებს პრინციპებს, რამდენადაც იგი ხშირად მიჰმართავს ხოლმე თავის თვითნებობას და ძალმომრეობას მუნიციპალური მართველობის სფეროში. უფრო რომ დავუვლით ჰენრიხ მე-III-ს — იგი თავის ნოემბრის ორდონანსში, რომელიც გამოსცა მან 1576 წელს ქ. ბლუასში ³ — აცხადებს შემდეგს: Nous voulons que toutes élections de prevosts de marchands, maires, échevins, capitouls, jurats, consuls, conseillers et gouverneurs des villes se fassent librement, et que ceux qui, par autres voyes, entreront en telles charges, en soient ostés, et leurs noms rayés des registres“ ⁴. აქ იგი, როგორც ვხედავთ, ვაჰართა მამასახლისების, მერების, ეშენების, კაპიტულების, კონსულების და მუნიციპალიტეტის დანარჩენი მოხელეების თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკობს. ეს შესახებ ჰენრიხ მესამისა.

ჰენრიხ მე-IV-ს შესახებ რენუარი ამბობს: „Henri IV montant sur le trône avait promis expressément de protéger les libertés municipales“ ⁵, — ავიდა თუ არა იგი ტახტზე, აღუთქვა ქალაქებს, რომ იგი მფარველობას გაუწევდა მათ მუნიციპალურ თავისუფლებებს-ო.

ამ მხრივ არც ლუდოვიკო მე-XIII-ე ჩამოუვარდება მათ. იგი 1629 წლის ელქტში ბრძანებს: „Ordonnons que les élections des maires... échevins et

1) Babeau, „La Ville“. p. 70.

2) ibidem, „La Ville“. p. 70.

3) Raynouard, „Histoire du droit municipal en France“. t. II p. p. 353—354.

4) ibidem, t. II p. 354.

5) Raynouard. t. II p. 355.

autres charges des villes... seront faites à manières accoutumées des personnes plus propres et capables à exercer telles charges pour le bien de notre service, repos et seureté desdites villes"...¹ აქ იგი განკარგულებას იძლევა, რომ მერების, ეშვეენების და მუნიციპალიტეტის ყველა დანარჩენი თანამდებობის პირების არჩევნები წარმოებდეს ადათის მიხედვით. იმავე ედიქტში ნათქვამია შემდეგი: „Nous défendons à tous gouverneurs, gentilshommes, ou autres de quelque qualité qu'ils soient, de... troubler ou empêcher les habitants des paroisses à la nomination libre de leurs syndics, assesseurs et collecteurs ni les outrager en faisant leurs dites charges, sur les peines portées par nos ordonnances“². მართალია, ორდონანსის ეს ადგილი სოფლებს შეეხება, მაგრამ იგი ფრიად დამახასიათებელია და სანიმუშო მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ რიხიანდ და საჯაროდ აღიარებენ თავისუფალ საარჩევნო უფლებებს პრინციპს საფრანგეთის მეფეები და იმავე დროს კი თუ როგორ ზღუდავენ და სპობენ ფაქტიურად იმავე უფლებებს, რომელზედაც მსჯელობას ქვევით ვიქონიებთ.

თვით ძლევამოსილი ლუდოვიკო მე XIV-ე, ეს „მზე მეფე“ (le Roi-Soleil) როგორც უწოდებდნენ მას პირმთენობით მისივე კარისკაცები), რომელიც მთელ დასავლეთ ევროპას, ასე ვთქვათ, ფეხქვეშ სთელავდა, უიმისოდ არ მიმართავდა ხოლმე თავის პატარა ქალაქებსაც კი იმ დროს, როდესაც მათ უფლებებს ბლავდა, რომ არ დაემატებინა ოფიციალი განცხადება: „Ce n'est pas pour nuire à vos privilèges et à vos libertés que nous le désirons, mais seulement parce que nous le croyons nécessaire pour votre bien“³. — ეს იმიტომ კი არა, რომ რაიმე ზიანი მიეცეოთ თქვენს პრივილეგიებს და თქვენ თავისუფლებებს, რომელიც ჩვენთვისვე სასურველია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ საჭიროდ და უცილებლად მიგვაჩნია იგი (ე. ი. განზრახული ზომა) თქვენივე სასიკეთოდ. ასეთია და ამ გვარი ცენტრალი მთავრობის ოფიციალი განცხადებანი და დაპირებანი, ასეთია მისი ორდონანსები, ედიქტები და რეგლამენტები.

ზემოაღნიშნული ოფიციალი ხასიათის განცხადებებს და აქტებს რომ დაეყარნოთ, ისეთს შთაბეჭდილებას მივიღებთ, თითქოს საფრანგეთის ცენტრალი მთავრობა მუდამ დარაჯად ედგა ქალაქების თავისუფლებებს და მათ კონსტიტუციებს. მივიღებთ ისეთს წარმოდგენას, თითქოს იგი ნამდვილი დემოკრატიზმით იყოს გამსჭვალული. რენუარს და არდაშევს სწორედ ამ სახით წარმოუდგენიათ ცენტრალი მთავრობა. ნამდვილად კი აღნიშნული მეფეები ისევე იმ პოლიტიკას განაგრძობდნენ, რა პოლიტიკასაც ეწეოდნენ ქალაქების მიმართ მათი წინაპრები მოყოლებული ლუდოვიკო მე-IX-დან.

მართალია, ჰენრიხ მე-III-ს, თავის ხანმოკლე მეფობის დროს, რაინე ახალი მეთოდი არ შეუტანია მთავრობის არსებულ პოლიტიკაში ქალაქების მიმართ, მაგრამ მიუხედავად თავისი ოფიციალი განცხადებისა თვითმართველობის თავისუფალ საარჩევნო უფლებების შესახებ, იგი მაინც ისევე ძველ გზას ად-

¹) Jzambert, t. XIII. p. 395.

²) Ibidem, t. XIII. p. 386.

³) Depping, „Corr. adm.“ t. I. d. 873.

გია. სისტემა მერების დანიშვნისა სამი კანდიდატის სიიდან მის დროსაც არსებობს და ამასთანავე უფრო ფართო მასშტაბით.¹ მისი ოფიციალი განცხადება 1576 წლის ორდონანსში ხელს არ უშლიდა მას ისე ეწარმოებინა „თავისუფალი,“ სამუნიციპალიო არჩევნები, როგორც ეს მას ჰსურდა, ხსენებული ორდონანსი მხოლოდ სიტყვიერი პასუხი იყო იმ მოთხოვნისა, რომელიც წარუდგინა მას გენერალურმა შტატებმა შეკრეფილმა 1576 წელს ქ. ბლუასში და არა მერი.

როგორც ვთქვით ჰენრიხ მე-IV ე სამეფო ტახტზე ასვლისთანავე პირობას იძლევა, რომ მთავრელობას გაუწევს ქალაქების კონსტიტუციებს და თავისუფლებებს. ეს მეფე, რომელსაც თავი ისე მოაქვს, თითქოს იგი ქალაქების თავისუფლებების ნამდვილი მოტრფიალე იყოს, 1601 წელს lettre de cachet-ს საშუალებით პირდაპირ უბრძანებს ქ. ლიონის მცხოვრებლებს ამოიჩიონ prévôt des marchands-ის² თანამდებობაზე მისი, ჰენრიხ მე-IV ს, მიერ ნაკარნახევი კანდიდატი. ამ ძალმომრეობის აქტმა ერთგვარი მოძრაობა გამოიწვია მცხოვრებლებში. ლიონელებმა მთავარი პროკურორის მეთაურობით პროტესტი განაცხადეს და შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ. მაგრამ ჰენრიხ მე-IV-ე უკან არ იხევის და თავისი ადგილობრივი გუბერნატორის საშუალებით მოქმედობს. გუბერნატორი ემუქრება მთავარ პროკურორს, რომ იგი თვითონ პირადად გაუმასპინძლდება მას ხმლით (menace de lui passer une brasse de son épée à travers le corps), თუ მეფის ბრძანება სისრულეში არ იქნება მოყვანილი.³ დაბოლოს ხსენებულ თანამდებობაზე ის პირი აღმოჩნდება ამორჩეული, რომელიც მეფეს ჰსურდა.

ჰენრიხ მე-IV-ს თუ საქმე ზოგჯერ ამგვარ კომფლიქტების მიჰყავს, დანარჩენ შემთხვევებში იგი ცდილობს საქმე ისე მშვიდობიანად მოაგვაროს, რომ შეტაკება აღარ მოუხდეს ქალაქებთან. ამისათვის კი იგი მიჰმართავს უკვე ნაცად საშუალებას—მერების არჩევის წესს სამი კანდიდატის სიიდან. აღნიშნული წესი არსებითად პირდაპირი დანიშვნის ფარულ ფორმას წარმოადგენდა, რადგანაც ცენტრალი მთავრობა თავისი ადგილობრივი აგენტების საშუალებით ყოველთვის ერთგვარ ზეგავლენას სტოვებდა თვით სამი კანდიდატის სიის შედგენაზედაც. ეს წესი, როგორც ჰენრიხ მე-IV-მდე, ისე მის მეფობის პირველ ხანებშიაც მხოლოდ ზოგიერთი ქალაქისათვის არსებობდა. ჰენრიხ მე-IV-ე კი ცდილობს, წინააღმდეგ თავისი ოფიციალი განცხადებისა, აღნიშნული წესი თავს მოახვიოს ისეთს ქალაქებსაც, სადაც იგი ჯერ დამყარებული არ იყო. მაგალითად, იგი წინადადებას აძლევს ქ. Troyes-ს მცხოვრებლებს შემოიღონ „სამი კანდიდატის“ წესი და, რომ ამავე დროს არ გამოიწვიოს მათი უქმაყოფილება, იგი განუმარტავს მათ, რომ აღნიშნული წესი უკვე არსებობს მისი სამეფოს ბევრს სხვა ქალაქშიაც — „en la pluspart des autres bonnes villes de son royaume“.⁴ არ ვიცით, როგორ შეხედებოდნენ ქ. Troyes-ს მცხოვრებლები ამ წინადადებას—დააშოშმანებდა და დააკმაყოფილებდა მათ მეფის განმარტება თუ არა, მაგრამ ის

¹) Raynouard, M. t. II. p. 365.

²) ქალაქის თავის თანამდებობაზე იხ. გვ. 178.

³) Babeau, Albert, „La Ville.“ p. 73.

⁴) Ibidem, „La Ville.“ p. 71.

კი ვიცით, და ეს დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჰენრიხ მე-IV-ე არც პირველია და არც უკანასკნელია საფრანგეთის იმ მონარქებს შორის, რომელნიც, ვამბობთ ამას წინააღმდეგ ბაბოსა, იმდენად უფრო ხშირად, იმდენად უფრო რიხიანად და ფართოდ აღიარებენ პრინციპებს, რამდენადაც უფრო მეტს გასაქანს და უფრო ფართო საზიხელს აძლევენ თავიანთ თვითნებობას მუნიციპალური მართველობის სფეროში.

ჰენრიხ მე-IV-ს მოადგილეც, გადავდივართ ახლა ლუდოვიკო მე-XIII-ზე, გზას უხვევს იმ საარჩევნო თვითმართველობის ძეგლ ადათს, რომელსაც თვითონვე აღიარებს ისე ფართოდ თავის ედიქტში. მაგრამ ამავე დროს კი იგი პირდაპირ უბრძანებს ქ. დიჟონის ეშვეენებს ხმა მისცენ მერის თანამდებობაზე ასარჩევად მხოლოდ იმ კანდიდატს, რომელიც მის მიერ არის ნაკარნახევი. ¹ ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა არ არის მის პრაქტიკაში. იგი, მართველობის საქმეებში, ექვემდებარებოდა თავის მინისტრს კარდინალ რიშელიეს, რომელიც მის დროს არსებითად პერსონალურად ატრიალებდა მთელ სახელმწიფო საქმეებს და როგორც ეს საზოგადოდ ცნობილია ისტორიაში, იმდენად უკადრესი ცენტრალისტი და აბსოლუტისტი იყო, რომ მკაცრად და უღმობლად სპობდა ყოველსავე იმას, რაც მისი აზრით აბსოლუტიზმის და ცენტრალიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა ². მონარქიას იგი თავგამოდებით იცავდა ყოველივე იმ ინსტრუქსიანსაგან, რასაც კიდევ ოდნავ მაინც შეპრჩინოდა საზოგადოებრივი თვითმომკმედიანობის ნიშან-წყალი. და, რასაკვირველია, იგი კარგს ვერას დააყრიდა ქალაქების თვითმართველობას და მათ თავისუფლებებს. მას თუ ერთგვარი წარმოდგენა ჰქონდა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, იგი ამ თავისებურ კეთილდღეობას აშენებდა იმავე საზოგადოების თავისუფლებათა ნანგრევებზე. მისთვის სახელმწიფოებრივი ინტერესი (*la raison d'état*) ყველა სხვა დანარჩენ ცნებებს შთანთქავდა. მან თავისი გაბედული და მკაცრი ხელით უშიშრად შემუსრა ფეოდალებს, პარლამენტებს და ჰუგენოტებს პოლიტიკური ძლიერება. მან სრულიად მოსპო მათი პოლიტიკური უფლებები და მის მხედველობის არეს, რასაკვირველია, ვერ გამოეპარებოდა ქალაქებიც თავისი კონსტიტუციებით. ეს უკანასკნელიც მის ხელქვეშ მოჰყვა. მან, მართალია, ჩამოართვა პოლიტიკური უფლებები ფეოდალებს, პარლამენტებს და ჰუგენოტებს, მაგრამ ყოველს მათგანს კიდევ მაინც რაიმე დაუტოვა. ჰუგენოტებს შეუნარჩუნა სარწმუნოებრივი უფლებები ³, პარლამენტებს — მათი სამოსამართლო უფლებები და ფეოდალებს კი დაუტოვა მათი სენიორალური უფლებები — ამით, ასე ვთქვათ, იგი არ შეეხო ფეოდალების ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ ქალაქებს კი იგი ორივე მხრივ შეეხო, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად. მან ჩა-

¹) Babeau Albert, „La Ville“ p. 75.

²) იგი იკვირანს თვალთ უყურებდა თვით მეფესაც. სუსტი ნებისყოფის მქონე და მის გაკლენის ქვეშ მყოფ, ლუდოვიკო მე-XIII-ს. იგი თვალყურს ადევნებდა, რომ ამ უკანასკნელს მის დაუკითხავად არ გადაედგა რაიმე ისეთი ნაბიჯები, რაც მონარქიზმის პრესტიჟს შებლაღავდა. რიშელიე იცავდა მონარქიას თვით მონარქიასაგან, როგორც საფრანგეთი, ისე თვით მეფეც, ლუდოვიკო მე-XIII-ე, თავის კონტროლისა და ტერორის ქვეშ ჰყავდა დაყენებული.

³) ეს უფლებებიც ჩამოერთვათ ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს.

მოართვა ქალაქებს საბაზრო და საბაჟო გადასახადების (octrois) მთელი შემოსავალი და გადასცა სახელმწიფო სალაროს ¹. ეს ფაქტი უკვე თავისთავად გულისხმობს იმ გარემოებას, თუ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩაყენებული რიშელიეს დროს ქალაქების მართებლობა და მათი თავისუფლებათა კონსტიტუციები. ამიტომ ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით რენუარს, რომელიც რიშელიეს შესახებ შექმნის ამბობს: „Il ne jugea ni nécessaire ni utile d'attenter aux libertés municipales des villes,“ ² მას არ მიაჩნდა აუცილებელ გარემოებად ან და სასარგებლოდ, რომ რაიმე ზიანი მიეყენებინა ქალაქების მუნიციპალური თავისუფლებებისათვის-ო. პირიქით მის დროს, ისე როგორც ლუდოვიკო მე-XIV-ის დროს, უფრო მეტს გასაქანს მიიღებს ვერც წოდებული lettres de cachet-ს ანუ დახურული წერილების პრაქტიკა და მუნიციპალიტეტის მოხელეების მოსყიდვის სისტემა ³. ერთ მშვენიერს დღეს, ვიდრე სამუნიციპალო არჩევნები დაიწყებოდა, ანდა უმეტესს შემთხვევაში ერთს ბნელ ღამეს ქალაქის ესა თუ ის გავლენიანი პირი, რომლის დასწრებაც სამუნიციპალო არჩევნებზე მთავრობისათვის სასურველი არ იყო, მიიღებდა დახურულ წერილს — lettre de cachet-ს — მეფის ხელმოწერით დაახლოებით შემდეგი შინაარსისას: „ბატონო (ამას მოსდევდა სახელი და გვარი), რადგან თქვენ არღვევთ საზოგადოებრივ წესრიგს არჩევნების დროს, ამიტომ წინადადება გექმევათ ნიატოვით თქვენი საქმეობრებელი ადგილი და ამ წერილის მიღებისთანავე გაბრძანდეთ ქალაქიდან“ „de se retirer de la ville,“ ან და ამგვარი ვარიაციით—„წინადადება გექმევათ გამოიქცვალოთ ჰაერი“—„changer d'air,“ იმ დროის განმავლობაში ვიდრე არჩევნები მოთავდებოდეს. მოქალაქეებიც იძულებულნი იყვნენ ძალაუნებურად ჰაერი გამოეცვალოთ და იძულებულ გასეირნებას მისცემოდნენ.

გარდა ამისა მთავრობა ხშირად მიმართავდა ხოლმე ამა თუ იმ მოქალაქის ან მუნიციპალიტეტის მოხელეების მოსყიდვას. ჩვეულებრივად, სამუნიციპალო არჩევნების წინ ადგილობრივი ინტენდანტი ან გუბერნატორი მიიღებდა ხოლმე თავის განკარგულებაში დიდძალ ფულს იმ პირთათვის დასარიგებლად, რომელნიც ერთგვარ სამსახურს გაუწყედნენ მთავრობას სამუნიციპალო არჩევნების საქმეში ⁴. ლუდოვიკო მე-XIII-ს და მის მინისტრს რიშელიეს საერთოდ ბევრნაირი საშუალება ჰქონდათ ზიანი მიეყენებინათ ქალაქების მუნიციპალური თავისუფლებისათვის.

ლუდოვიკო მე-XIII-ე არც ერთს ზემო ხსენებულ ზომას არ ერიდებდა. მართალია, იგი სიტყვიერად სავესებით აღიარებს მუნიციპალურ თავისუფლებათა პრინციპებს, მაგრამ ფაქტიურად კი იგი სისტემატიურად ღალატობს მათ.

ასევე იქცევა ლუდოვიკო მე-XIV-ე. იგიც ოფიციალურად იმავე პრინციპებს აღიარებს, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო

1) Avenel, t. IV. p. p. 268—290.

2) Raynouard, t. II. p. 354.

3) Caillet, „L'administration en France sous le ministère du cardinal de Richelieu“ t. II. p. 56 suiv., Zeller, „Richelieu et les ministres de Louis XIII. p. 37.

4) Avenel, „Richelieu et la monarchie absolue“ t. II. p. 86 suiv.

უარესად სდევნის ქალაქების კონსტიტუციებს, ვიდრე მისი წინაპრები და სა-
მუდამოდ ბოლოს უღებს ქალაქების თვითმმართველობას და მათ თავისუფლებას.

ლუდოვიკო მე-XIV-ის დროის წყაროებში ხშირად მოიპოვება ისეთი ცნო-
ბები, როდესაც მოქალაქეებს უკვე ამოურჩევიათ ქალაქის თავი, მეფეს ეს პიროვ-
ნება არ მოსწონებია და „lettre de cachet“-ს საშუალებით უბრძანებს მათ
ხელმეორედ შეიყარნენ და ამორჩეული პირის მაგივრად ამოირჩიონ ის პირი, რო-
მელიც თვით მეფისათვისაა სასურველი ¹. 1677 წელს ლუდოვიკო მე-XIV-ე
სწერს ქალაქ ბოვეს ეშვეენებს: „Chers et bien amez... voulant que le sieur Le
Gay, ancien maire de nostre dite ville de Beauvais, fasse les fonctions de maire
pendant la présente année, nous vous faisons cette lettre pour vous dire que non-
obstant l'eslection cy-devant faite du sieur de La Motte, vous ayez à vous
assembler de nouveau à eslire ledit Gay, maire de nostre dite
ville, en la manière accoustumée. Si n'y faites faute, car tel est nostre plai-
sir“ ². როგორც ვხედავთ, აქ ლუდოვიკო მე-XIV-ე პირდაპირ უბრძანებს ქალაქ
ბოვეს მცხოვრებლებს ხელმეორედ შეიკრიბნენ და უკვე ამორჩეული მოქალაქე
Motte-ს მაგივრად აირჩიონ მერის თანამდებობაზე დადებული წესისდა მიხე-
დვით მოქალაქე Gay, ყოფილი ქალაქისთავი, რადგანაც იგი სასურველ პიროვნე-
ბას წარმოადგენს მეფისათვის.

აქ რაღა ადგილი უნდა ჰქონიყო ქალაქების კონსტიტუციებს და მათ თა-
ვისუფლებებს, თუ კი მეფე ასე თავისუფლად თვითნებობდა მათ სათვითმართვე-
ლო, საადმინისტრაციო საქმეში. აღნიშნული ფაქტი, როგორც ამას ჩვენ კიდევ
ქვეით დავინახავთ, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი ლუდოვიკო მე-XIV ს
პრაქტიკაში. იგი წინააღმდეგ თავისი ოფიციალი განცხადებებისა ნამდვილი მპრძა-
ნებლის კილოთი ბლაღავს მათ კონსტიტუციებს. ამრიგად, საფრანგეთის მეფე-
ები, ვამბობთ ამას წინააღმდეგ ალბერტ ბაბოს აზრისა, იმდენადვე ხშირად
აღიარებენ თავისუფალ სამუნიციპალო საარჩევნო უფლებათა პრინციპებს, ე. ი.
მათ ეს „პრინციპები“ არასოდეს არ ავიწყლებათ, რამდენადაც ისინი ხშირად
მიმართავენ ხოლმე თავის თვითნებობას და ძალმომრეობას ხსენებული უფლებე-
ბის სფეროში.

რა იყო ამის მიზეზი? რა და ის გარემოება, რომ მონარქია რიშელიეს
ბატონობამდე, ვერ გრძნობდა თავს სრულს ბატონ-პატრონად სახელმწიფოს
ფარგლებში.

მონარქიას აკლდა მკვიდრი ორგანიზაცია. სამეფო ძალა-უფლებას არ გააჩნდა
მუდმივი და მორჩილი ადმინისტრაციული ორგანოები. ადმინისტრაციული აპარატი არ
იყო ჯერ ხეირიანად ჩამოყალიბებული და დამთავრებული—მას ჯერ კიდევ ბევ-
რი რამ აკლდა. ამიტომ მონარქიას უპირდებოდა თავისი ზრახვებისა და სურვი-
ლების საეესებით განხორციელება და გატარება ქალაქების მიმართ. აბსოლუტიზ-
მის გზაზე დამდგარი მთავრობა თავიდანვე შეეცადა ბოლო მოელო ქალაქების
კონსტიტუციებისათვის, მაგრამ ამას იგი ერთი ხელის დაკვრით, რომელიმე სა-

¹) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. p. 637, 639, 874, 875 etc.

²) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 873.

ზოგადო, ოფიციალი ხასიათის იურიდიული აქტით ვერ მოახერხებდა—ეს შეუძლებელი იყო მისთვის, მეორეს მხრივ კი მოზარდ აბსოლუტიზმისათვის აუცილებლად საჭირო იყო განმეტყულებინა თანდათანობით თავისი ავტორიტეტი სამუნიციპალო მართველობის სფეროშიაც. თვითონ მონარქია, მართალია, ჯერ ისევ სუსტი იყო, მაგრამ ქალაქების დამორჩილების სურვილზე იგი მაინც ხელს არ იღებდა და ცდილობდა საქმე ისე მოეგეარებინა, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, ე. ი. აბსოლუტიზმის მსვლელობისათვისაც გზა გაეკაფა მუნიციპალური მართველობის მიმართულებით და ამავე დროს არც თვით კომუნებისათვის ეგრძობინებინა, რომ იგი ბლაღავს მათ პრეროგატივებს, ამსხვერვს მათ კონსტიტუციებს და სპოზს მათ თავისუფლებებს. აქედან მონარქიას მხოლოდ ერთი გამოსავალი გზა ღა რჩებოდა—არა ლეგალი გზა. იგი კარგად გრძნობდა, რომ ამ გზით იგი ერთის მხრივ მხოლოდ შეძლებისდა გეარად მიიტანდა იერიშებს ქალაქების თვითმართველობაზე და მეორეს მხრივ არც უკანდახევის შესაძლებლობას მოიხსობდა. თუ კი ეს უკანასკნელი მისთვის საჭირო აღმოჩნდებოდა. ამიტომაც, რომ ცენტრალი მთავრობა ერიდებოდა გამასპინძლებიყო ქალაქებს ისეთი საზოგადო ხასიათის იურიდიული აქტით, რომელიც, შესაძლებელია, ერთი ხელის დაკვრით მოსპობდა ქალაქების კონსტიტუციებს, მაგრამ ამავე დროს, შესაძლებელია, ძალიან სახიფათო აღმოჩენილიყო თვით ცენტრალი მთავრობისათვის. ამიტომ იგი ვერ ჰბედავდა საჯარო ომი გამოეცხადებინა ქალაქებისათვის. იგი გრძნობდა თავის სისუსტეს, გრძნობდა იმასაც კარგად, რომ იგი იწყებდა ისეთ საქმეს, რომელიც აღემატებოდა მის ძალებს და მეტი რაღა დარჩენოდა, თუ არა ის გამოსავალი, რომ სიტყვით ერთი ყოფილიყო და საქმით კი მეორე.

ამიტომაც, რომ იგი ოფიციალურად ყოველთვის ფართო სახით აღიარებდა კომუნების თვითმართველობის პრინციპს, მის ხელშეუხებლობას, საჯაროდ პირობას იძლეოდა, რომ მფარველობას გაუწევდა ქალაქების კონსტიტუციებს, მაგრამ სინამდვილეში კი, რამდენადაც იგი უფრო ხშირად აღიარებდა „პრინციპებს“, მათ უფრო ხშირად მიმართავდა ხოლმე საკომუნალო კონსტიტუციებისათვის მოპყვინდებულ არა-ლეგალურ ზომებს. ამიტომაც, რომ იგი ერიდებოდა კანონიერ გზას და მოქმედებდა ყოველ კონკრეტ შემთხვევაში ამა თუ იმ კერძო სახის ზომებით, რომელსაც იგი ახორციელებდა თავის საპროვინციო ადმინისტრაციის საშუალებით. იქნებოდა ეს მოსყიდვის სისტემა, თუ სამუნიციპალო არჩევნების სასურველი გეზით წარმოება ადგილობრივი ადმინისტრაციული აგენტების ხელმოქმედებით და ზეგავლენით, თუ lettres de cachets სპრაქტიკა, თუ შერის დანტყუების წესი სამი კანდიდატის სიიდან, თუ პირდაპირი სახის დანიშვნის წესი ამა თუ იმ მოხელისა, უმთავრესად კი შერისა—ყოველივე ეს ხორციელდებოდა ცენტრალი მთავრობის მიერ ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული სპრაქტიკის საშუალებით. და რაც უფრო ეშორდებოდა საშუალო საუკუნეებს და ვუახლოვდებოდა მე-XVII-ე საუკუნეს, მით უფრო ღრმავდება და ფართოვდება ადმინისტრაციული სპრაქტიკის ფარგლები, მით უფრო ძლიერდება და მტკიცდება მთავრობის მეურვეობა სამუნიციპალო მართველობის სფეროში.

მე. XVII-ე საუკუნეში ეგრეთ წოდებული ადმინისტრატივი მეურვეობა ფაქტიურად ნამდვილი პოლიტიკური ბატონობის სახეს მიიღებს. ადმინისტრატივი მეურვეობის ზრდა პირდაპირ პროპორციულია აბსოლუტიზმისა და ცენტრალიზმის ზრდასთან შედარებით. წინა საუკუნეების მეფეები ვერ ახორციელებდნენ თავის მეურვეობას მუნიციპალური მართველობის სფეროში იმ წარმატებით, როგორც წარმატებითაც ამყარებდა მას ლუდოვიკო მე-XIV-ე და თუნდაც იგივე რიშელიე, რადგანაც რიშელიეს და ლუდოვიკო მე-XIV-ს განკარგულებაში იმყოფებოდა ძლიერი ცენტრალისტური ადმინისტრატივი აპარატი, რასაც საურანგეთის მეფეები მე-XVII-ე საუკუნემდე მოკლებულნი იყვნენ. თუ რად ჰქონდა ასეთი დიდი მნიშვნელობა ცენტრალისტურ ადმინისტრატივ აპარატს ადმინისტრატივი მეურვეობისათვის—ადვილი გასაგებია. როგორც აღვნიშნეთ, მეფეები ადმინისტრატივ მეურვეობას ამყარებდნენ ანა საკანონმდებლო აქტების, არამედ ადმინისტრატივი პრაქტიკის საშუალებით. ეს უკანასკნელი კი ხორციელდებოდა და ტარდებოდა ცხოყრებაში ადმინისტრატივი აპარატის საშუალებით. მაშასადამე, ვის განკარგულებაშიაც იქნებოდა უფრო ძლიერი ცენტრალისტური ადმინისტრატივი აპარატი, ის უფრო წარმატებით და განსრულებულად განახორციელებდა თავის მეურვეობას სახელმწიფოს ყველა დარგში საზოგადოდ და კერძოდ სამუნიციპალო მართველობის სფეროში. ნათქვამის საილუსტრაციოდ ავიღოთ უკვე ხსენებული სისტემა შერას დანიშნისა, მეფის მიერ, სამი კანდიდატის სიიდან. ეს სისტემა თავდაპირველად შემოღებულ იქნა მხოლოდ დაპყრობილი ნორმანდიის კომუნებისათვის, მაგრამ შემდეგში იგი გავრცელებულ იქნა საურანგეთის სხვა დანარჩენ კომუნებზედაც. იგი შემოიღო მთავრობამ იმიტომ, რომ ერთის მხრივ დაეფარა საქმის ნამდვილი ვითარება და მეორეს მხრივ თავისი საქმეც გაეკეთინება—ე. ი. ქალაქების თავები თავის აგენტებად გარდაექცია და სამუნიციპალო მართველობისათვის ხელი ჩაეჭიდა. მოქალაქეები წარადგენდნენ სამს კანდიდატს შერის თანამდებობაზე და მეფე ამტკიცებდა ერთს მათგანს. აქ თითქოს სრულიად არ ირღვევოდა სამუნიციპალო საარჩევნო უფლებები. არსებითად კი აქ ჩვენ საქმე გვაქვს მეფის მიერ შერის პირდაპირი დანიშნის წესთან, რადგანაც, თუ არჩევანი სამი კანდიდატის სიიდან მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული, არც თვით სამი კანდიდატის სიის შედგენა სწარმოებდა თავისუფლად მეფის სურვილებისა და მისი ზეგავლენის გარეშე. ზეგავლენის წარმოება კი თავისი ადმინისტრატივი ორგანოების საშუალებით უფრო წარმატებით და უფრო განსრულებულად შეეძლო იმ მთავრობას, რომელსაც უფრო ნოძრავი, უფრო მოჩილი და უკიდურესად ცენტრალისტური ადმინისტრატივი აპარატი მოეპოვებოდა. აღნიშნული ხასიათის ადმინისტრატივი აპარატის დამყარება იწყება მე-XVII-ე საუკუნედან, განსაკუთრებით რიშელიედან და თავდება ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს¹. ამიტომაც, რომ მე-XVII-ე საუკუნის მთავრობის ხელში აღნიშნული „სამი კანდიდატის“ სისტემა და არა მარტო ეს უკანასკნელი, არამედ ყველა ზემოჩამოთვლილი ელემენტი ადმინისტრატივი პრაქტიკისა უფრო ძლიერ იარაღად გარდაიქცევა ქალაქების თვითმართველობის

¹ П. Ардашев „Абсолютная монархия на Западе“ გვ. 109 შემდეგ.

მიმართ, ვიდრე წინა საუკუნეებში, როდესაც ადმინისტრატივი აპარატი სუსტი იყო.

სამი კანდიდატის სისტემას ფორმის მხრივ არ დაუკარგია სააჩვენო ელემენტი, არსებითად კი იგი აღარაფრით განსხვავდებოდა პირდაპირი დანიშვნის წესისაგან. გარდა ამისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თვით კანდიდატის დამტკიცების უფლება თავის თავად გულისხმობს აგრეთვე არა სასურველი კანდიდატების უარყოფის უფლებასაც და ამ უკანასკნელით კი ხშირად სარგებლობდა ხოლმე მე-XVII-ე საუკუნის მთავრობა¹. კანდიდატის დამტკიცებისა და უარყოფის წესი მთავრობის ჯერ ჩვეულებრივ პრაქტიკაში შედიოდა — მხოლოდ შემდეგში ამ პრაქტიკიდან, ამ ერთგვარი ადმინისტრატიული „სასა“-იდან მთავრობა თანდათან ჰქმნიდა თავის ნამდვილ უკლებას, თავის ნამდვილ ადმინისტრატიულ „Jus“ს.

ხსენებული სისტემა დიდ პრაქტიკაში იყო და ძალიან ხშირად მიმართავდა ხოლმე მას მთავრობა, როგორც მე-XVII-ე საუკ., ისე წინა საუკ — იაც². მხოლოდ სხვადასხვა დროს დანიშვნის სისტემას სხვადასხვა შინაარსი და ძალა ეძლეოდა. მან თავისი ერთგვარი ისტორია გაიარა. შეგვიძლია გავიგეოროთ ავენელის სიტყვები, რომ მე-XVII-ე საუკუნემდე ხსენებული სისტემა თუ არსებობდა არა როგორც წესი, არსებობდა მაინც, როგორც ჩვეულება³. მაგრამ თვით მე-XVII-ე საუკუნეში კი, ვამბობთ ამას უკვე წინააღმდეგ იმავე ავენელისა, აღნიშნული სისტემა მერისა და მოხელეების დანიშვნისა არსებობს უფრო, როგორც წესი, ვიდრე ჩვეულება, ე. ი. მას სავალდებულო და თითქმის საყოველთაო ხასიათი მიუღია ხსენებულ საუკუნეში. რაც შეეხება მე-XVIII-ე საუკუნეს — აღნიშნული წესი აქ უკვე კანონად გარდაიქცევა.

1765 წლის მაისის ედიქტის ძალით იგი მიიღებს საზოგადო ხასიათის ნამდვილი იურიდიული ნორმის სახეს⁴. მაშასადამე მთავრობას ადმინისტრატიული ზომები ჯერ ჩვეულებაში შედიან, მერე წესად გარდაიქცევიან და ბოლოს ნამდვილი საყოველთაო იურიდიული ნორმის სახეს იღებენ.

ასეთია ევოლუცია ადმინისტრატივი პრაქტიკისა, რომლის საშუალებითაც ხორციელდებოდა ეგრეთ წოდებული ადმინისტრატივი მეურვეობა. ადმინისტრატივი პრაქტიკის ელემენტები მე-XVIII-ე საუკუნეში ან ლეგალურ სახეს იღებენ ან და ითვისებენ ისეთს „მოქალაქობრივ უფლებებს“, რომ მათი არსებობა ყველასათვის უკვე ფრიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ამ რიგად მე-XVIII ე საუკუნეში სწარმოებს მხოლოდ თვით ლეგალიზაცია ადმინისტრატივი პრაქტიკისა.

მე-XVII-ე საუკუნის მონარქიამ იმდენად მოიკალათა სამუნიციპალო მართველობის სფეროში და იმდენად დაიმორჩილა მისი ადმინისტრაცია, რომ მე-

¹) იხ. გვ. 202—203

²) B a b e a u. La Ville⁴. p. 71. მერის დანიშვნის აღნიშნული სისტემა ამბობს ალბერტ ბაბო — „fut souvent usité au XVI-e et au XVII-e siècles, sans être prescrit par des ordonnances générales“.

³) A v e n e l. t. IV p. p. 233—238.

⁴) I s a m b e r t. t. XXII. p. p. 434 — 447. „Edit portant règlement pour l'exécution de celui du mois d'août 1764, dans les villes et bourgs du royaume, mai 1765“

XVIII-ე სასუკუნის მონარქიას ამ მიმართულებით გასაკეთებელი თითქმის აღარა ჰჩებოდა რა, გარდა იმისა, რომ დაედასტურებინა და დაეკანონებინა მხოლოდ წინა წაუკუნის მიერ უკვე შექმნილი საქმის ფაქტიური ვითარება და მდგომარეობა, მე XVII-ე საუკუნის მონარქიამ, თუ არა de jure, ყოველ შემთხვევაში de facto მიიწი, სავსებით ზოსპო ქალაქების სამუნიციპალო საარჩევნო უფლებები და სავსებით ბოლო მოუღო მათ ძველ კონსტიტუციებს. ამ მიმართულებით მე-XVII-ე საუკუნის მონარქიამ წინ გაუსწრო წინა საუკუნეების მონარქიას, რომელსაც აკლდა მკვიდრი ადმინისტრაციული ორგანიზაცია. მართალია მე-XVII-ე საუკუნეში არსებულ მონარქიასაც ბევრი მოხელე ჰყავდა (gens du roi, officiers du roi), როგორც ცენტრში ისე პროვინციებში, სულ სხვადასხვა ხარისხისა და სახელწოდებისა — იქნებოდნენ ესენი გენერალ-გუბერნატორები (gouverneurs généraux), თუ მეფის მოსამართლეები (juges royaux), თუ საფრანგეთის მოლარეები (trésoriers de France) და სხვა; მაგრამ ყველა ესენი არ წარმოადგენდნენ ხეირიან ორგანოებს სამეფო ძალა-უფლებისათვის. ყოველი მათგანი თითქმის დამოუკიდებლად მოქმედობდა. გენერალ-გუბერნატორები მე-XVII-ე საუკუნეში ისე იქცეოდნენ, როგორც ნამდვილი მეფეები. მეფის მოსამართლეები, საფრანგეთის მოლარეები და სხვადასხვა მოხელეები, რომელთაც თავიანთი თანამდებობანი შესყიდული ჰქონდათ სამემკვიდრეოდ, ფაქტიურად დამოუკიდებელნი იყვნენ ცენტრალი მთავრობისაგან. ერთი სიტყვით მონარქიას მე-XVII-ე საუკუნემდე არ მოეპოვებოდა მორჩილი ძლიერი ცენტრალისტური ადმინისტრაციული აპარატი. ამიტომ იგი, რასაკვირველია, ვერ დაამყარებდა მუნიციპალური მართვლობის სფეროში თავის მურვეობას ისე, როგორც მე-XVII-ე საუკუნის მონარქია, რომელმაც შესძლო მკვიდრი ცენტრალისტური ადმინისტრაციული აპარატის შექმნა. ეს უკანასკნელი, როგორც ეს საზოგადოდ ცნობილია ისტორიაში, რიშელიესა და ლუდოვიკო მე-XIV-ს კრეატურას წარმოადგენს. ერთიც და მეორეც უკიდურესი აპსოლუტიზმები და ცენტრალისტები იყვნენ მთელს კონტინენტზე.

რიშელიემ მე-XVII-ე საუკუნის დასაწყისში გაბედული ხელით დაიწყო სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის საქმის მოგვარება, ლუდოვიკო მე-XIV-მ კი მოათავა და შესაფერისად დააგვირგვინა მისი დაწყებული საქმე. ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს უკვე მთავრდება უაღრესად მონარქიული ცენტრალისტური ადმინისტრაციული აპარატის ფორმაცია. იგი არ არის რთული. ამ ადმინისტრაციის სათავეში ჩაუდგება გენერალ-კონტროლერი; ეს არის, ასე ვთქვათ, ცენტრი მთელი ადმინისტრაციისა. მას ემორჩილება ყველა სხვა საადმინისტრაციო ორგანო. რაც შეეხება პერიფერიას, იქ კი ბრძანებლობენ ინტენდანტები თავისი სუბდელეგატებით. ეს უკანასკნელნი ემორჩილებიან ინტენდანტებს, ინტენდანტები კი უშუალოდ ექვემდებარებიან გენერალ-კონტროლერს. ასეთია მთავარი ადმინისტრაცია რიშელიესა და უმთავრესად ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს. იგი მარტივია, მაგრამ სამაგიეროდ მოქნილია და ელასტიური; იგი ძლიერია, რადგანაც უკიდურესად ცენტრალისტურია.

პროვინციის ინტენდანტები ძველი დროის სატრაპებს მოგვაგონებენ. ინტენდანტები ყურები და თვალებია ცენტრალი მთავრობისა, უკეთ რომ ვთქვათ, გენერალ-კონტროლერისა, რომელიც თავის მხრივ უშუალოდ ემორჩილება

თვით მეფეს. ესა თუ ის პროვინცია მთლად ინტენდანტის ხელშია; იგი ერთსა და იმავე დროს პროვინციის ადმინისტრატორიც არის და მოსამართლეს. იგი ბატონობს იქ თავის სურვილებსა და მიხედვით. იგი ერთად-ერთი ბატონ-პატრონია მთელი პროვინციისა. ცენტრალი მთავრობა მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ ცნობებს ეყრდნობა და მხოლოდ მის მიერ მიცემულ აზრს (avis) უწევს ანგარიშს. ცენტრალი მთავრობა მოქმედობს იმ გზით, რა გეზსაც აძლევენ მას ინტენდანტები. მთელ საფრანგეთს მე-XVII — XVIII-ე საუკუნეში, შენიშნავს პროფ. არადშევი, მხოლოდ ერთი გენერალ კონტროლერი და 33 ინტენდანტი განაგებდა-ო¹. მართლაც სახელმწიფოს ყოველგვარი საქმე ამ ადმინისტრაციის ხელში იყო. ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის აღნიშნული იერარქია ჰფარავდა მთელ საფრანგეთს, როგორც ტერიტორიალურად, ისე უფლებრივადაც. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ ცენტრალისტური იერარქია ცდილობდა აეღწა ყოველგვარი ადგილობრივი დამოუკიდებლობა და ყველა ის ინსტიტუტი, რომელიც მისი სისტემის გარეშე იდგა და მის საქმიანობას აუერხებდა. ასეთი ცენტრალისტური ადმინისტრაცია, რასაკვირველია, ვერ მოითმენდა სახელმწიფოს შიგნით ვერავითარ პარტიკულარისტურ ადმინისტრაციას საერთოდ და განსაკუთრებით საკომუნალო თეიომართველობის ადმინისტრაციას და ამ უკანასკნელს იგი დაუყოვნებლივ იმორჩილებდა და იქვემდებარებდა. რიშელიემ და ლუდოვიკი მე-XIV-მ ადვილად მოუღეს ბოლო ქალაქების კონსტიტუციებს და მათ დამოუკიდებლობას. მაგრამ რაც ახე ადვილი იყო მე-XVII-ე საუკუნეში, ის ასეთ ადვილ საქმეს არ წარმოადგენდა წინა საუკუნეებში, როდესაც მონარქიული ორგანიზაცია ჯერ ისევ მოუწყობელი იყო და სუსტი. ამ მხრივ თუ რაიმე განსხვავებას ვპოვებთ მე-XVII-ე საუკუნის მეურვეობასა და წინასაუკუნეების მეურვეობას შორის — ეს განსხვავება უფრო „რაოდენობის“ ხასიათისაა, ვიდრე „თვისებისა“².

მე-XIII — XVI-ე საუკუნეების მონარქია მდგარი იერიშების მიტანას ვერა ჰბედავდა — იგი ამისათვის საკმაოდ ძლიერი არ იყო, თუმცა მას არა-ნაკლები პრეტენზიები შესწევდა განემტკიცებინა თავის ავტორიტეტი სამუნიციპალო მართველობის სფეროში. ეს პრეტენზიები მე-XVII-ე საუკუნის მონარქიამ რეალ ფაქტად გარდააქცია და სავსებით უზრუნველყო თავისი ავტორიტეტი სამოქალაქო მართველობის სფეროში.

ძლიერ ცენტრალისტურ ადმინისტრაციას, მართალია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეურვეობის დამყარებისათვის, მაგრამ ამ მხრივ არა-ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეკონომიურ-სოციალურ ევოლუციას, რომელსაც განიცდიდენ შიგნით თვით ქალაქები. ქალაქების მართველობის სათავეში უმთავრესად თავად-აზნაურობა და სამღვდელთობა იდგა. მაგრამ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა აგრეთვე რეალურ ძალთა განწყობილება; სწარმოებდა ამ რეალურ ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება და ქალაქების ერთად-ერთ ბატონ-პატრონად ბურჟუაზია ხდებოდა². მთავრობაც ამას ხელს უწყობდა. მა-

1) Ардашев, П. „Провинц. адм.“ გვ. გვ. 174 და 555—658.

2) Boisot, L. 1178 ქ. შარტრში ეშვენების შორის მოიპოვებოდა ორი

გალითად, კოლბერი, ლუდოვიკო მე-XIV-ის მინისტრი, 1670 წელს წინადადებას იძლეოდა, რომ ქალაქ ნიორ-ის მართველობის კოლეგიაში არჩეულნი ყოფილიყვნენ აგრეთვე ვაჟრები, რომელთაც საქმე ჰქონდათ მულის მანუფაქტურასთან¹. ისეთ ქალაქებში კი, როგორც იყო ლიონი, მარსელი, ბორდო, ნანტი და სხვა, მსხვილი მწარმოებლები და ვაჟრები საგრძნობ სოციალურ ძალას წარმოადგენდნენ.

ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ქალაქში რამოდენიმე დიდი ვაჟარი სამუდამოდ შეინარჩუნებდა ხოლმე ეშვეენის თანამდებობას². მე-XVII-ე საუკუნეში და განსაკუთრებით კოლბერის დროს, მთავრობას სასურველად და აუცილებლად მიაჩნდა ბურჟუაზიის მონაწილეობა ქალაქის მართველობაში. ნაწილი ამ ბურჟუაზიისა იძლეოდა საშუალო და დაბალი მოხელეების კადრს. საარჩევნო წესით, თუ ნასყიდობის ძალით იგი იძენდა სხვადასხვა თანამდებობას, როგორც სამოსამართლო ისე სამოქალაქო საადმინისტრაციო დარგში. თანამდებობის შეძენით ანა თუ იმ პირს ენიჭებოდა ერთგვარი პრივილეგიები. ამგვარად შეიქმნა განსაკუთრებული ჯგუფი მოხელეებისა („noblesse de robe“), რომელმაც ერთგვარი საშუალო ადგილი დაიკავა მესამე წოდებასა და თავადაზნაურობას შორის. ამ ჯგუფმა ხელში ჩაიგდო ქალაქების მართველობა, რომელსაც მან ოლიგარხიული ხასიათი მისცა. ასეთი პროცესი ხელსაყრელი იყო მთავრობისათვის, რადგანაც რაც უფრო ვიწრო განსახლდრულ ჯგუფს ჩაუვარდებოდა ხელში ქალაქებს საქმეები, ცენტრალი მთავრობა მით უფრო ადვილად ჩასჭიდებდა ხელს ქალაქების მართველობას. მაშასადამე, თვით კომუნების შიგნით სწარმოებდა თავისთავად ის ევოლუცია, რომელიც ხელსაყრელი იყო მთავრობისათვის და ეს უქანასკნელიც, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ასეთ პროცესს³. ფართო დემოკრატიული მასა თანდათან ჰშორდებოდა ქალაქების საქმეებს, რადგანაც ეს საქმეები მას უკვე აღარ ეკითხებოდა და რაც უფრო ვითარდებოდა აღნიშნული ხასიათის პროცესი, მით უფრო უადვილდებოდა მთავრობასაც ქალაქების პოლიტიკური, ან და უკეთ რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული დამორჩილება და დაქვემდებარება.

მე-XVII-ე საუკუნეში ფაქტიურად მთავრდება ქალაქების ამ გვარი დამორჩილება და დაქვემდებარება. ჩვენ უკვე შევეხეთ რიშელიეს ხანას, მაგრამ, რომ ანოწურულ იქმნეს მე-XVII-ე საუკუნე, საჭიროა განვიხილოთ ლუდოვიკო მე-XIV-ის პოლიტიკაც ქალაქების მიმართ. ლუდოვიკო მე-XIV-ე, რომლის მეფობაც ჰუარავს მე-XVII-ე საუკუნის ორ მესამედ ნაწილს, იმავე მეთოდებით მოქმედობდა და ხელმძღვანებლობდა, რა მეთოდებითაც მოქმედობდნენ მისი წინამორბედი

სანტლიერო პირი, რომელიც აიძულეს ღელი აეღოთ თავის თანამდებობაზე. ანალოგიურია № 1255,1463,1818 და სხვა. გრენობლში 1692 წლიდან ქალაქის თავის თანამდებობაზე ირჩევდნენ მხოლოდ ვაჟრებს და არა აზნაურებს. Ibidem, t. I. 1649.

1) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 814.

2) Ibidem, „Corr. adm.“ t. I Introduction, p. XXIV.

3) გენერალ-კონტროლერი წინადადებას აქლევს 1662 წელს ქალაქ Saint-Maixans, რომ ნერის თანამდებობაზე ამოირჩიონ ხელზე სამოსამართლო წოდების პირი. Depping, „Corr. adm.“ t. I p. 889. ლანგედოის იტენდანტი სწერს გენერალ-კონტროლერს, რომ ტულუზში სამინისტროს მართველობის კოლეგიაში სკარბოვენ ვეკილები და პროკურორები. ე. ი. იგივე სამოსამართლო წოდების წარმომადგენლნი. Boisistie, t. I. № 1346.

და განსაკუთრებით რიშელიც. მის პოლიტიკაში ჩვენ ვხვდებით იმავე მოსყიდვის სისტემას, იმავე lettres de cachet-ს პრაქტიკას, იმავე პირდაპირი დანიშვნის წესს მუნიციპალიტეტის ნიხელეებისას და საერთოდ ყოველგვარი უკვე არსებული ზედგაუღენის საშუალებებს სამუნიციპალო არჩევნებზე. მხოლოდ ყოველივე ეს ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს წარმოებს უფრო კატეგორიული და განსრულებული სახით, რადგან მის დროს უკვე საესებით ჩამოყალიბებულია ცენტრალი და ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც უფრო პირნათლად და, ასე ვთქვათ, მათემატიკური სისწორით გაატარებს და განახორციელებს მეფის სურვილებს და ზრახვებს.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ რა შინაარსისაა ჰენრიხ მე-III-ს, ჰენრიხ მე-IV-ს და ლუდოვიკო მე-XIII-ს ოფიციალი განაცხადებანი და დაპირებანი, რომლითაც ისინი მიჰპართავენ ქალაქებს თავის ელიტებში და რეგლამენტებში; ჩვენ დავინახეთ ისიც, თუ როგორ ასაბუთებს ლუდოვიკო მე XIV-ე თავის ყოველ ძალმომრეობის აქტს ქალაქების მიმართ— „ეს იმიტომ კი არა, არწმუნებს იგი ქალაქებს, რომ რაიმე ზიანი მივაყუროთ თქვენს პრივილეგიებს და თქვენს თავის სუფლებებს, რომელიც ჩვენთვისაცაა სასურველი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ საქროდ და აუცილებლობად მიგეაჩნია განზრახული ზომა თქვენივე სასიკეთოდ“¹. მაგრამ თავი რომ გავანებოთ ამ ოფიციალ ენას, ოფიციალ იურიდიულ აქტებს და ჩავიხედოთ ეპოქის საადმინისტრაციო მიმოწერაში,—იქ საქმის ვითარება სულ სხვა სხეს მიიღებს, იქ სულ სხვა რამ წარმოვედგება თვალწინ; იქ ჩვენ ნათლად და მკაფიოდ დავინახავთ, როგორც თვით ქალაქების ნამდვილ უფლებრივ მდგომარეობას, ისე ცენტრალი მთავრობის ნამდვილ ფიზიონომიას და მის ნამდვილ ზრახვებს ქალაქების მიმართ.

ამიტომაც, ვიპოვებთ ჩვენ, შემეცდარა ყოველი ის მკვლევარი, რომელიც ადმინისტრაციული მეურვეობის საკითხს მხოლოდ იურიდიული მეთოდით ნიუღდება. იურიდიული მეთოდი ამ შემთხვევაში, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ძლიერ სანეწუხარო შედეგებს იძლევა. ქალაქების ნამდვილი უფლებრივი მდგომარეობა აღბეჭდილია არა იმდენად იურიდიულ აქტებში, რამდენადაც საადმინისტრაციო წერილებში, სულერთია იქმნება იგი კონფიდენციალი თუ არა კონფიდენციალი სახისა.

მართალია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად უნდა უარყუოთ იურიდიული მეთოდი—იგი მაინც საქროა; მხოლოდ იურიდიულ აქტებს გვერდში უნდა ჰქონდეს ამოყენებული ისეთი კონკრეტი მასალა, როგორცაა საადმინისტრაციო მიმოწერა.

როგორც ამგვარი წყაროებიდან ირკვევა, პარიზის მერის არჩევნები ნამდვილ კომედიას წარმოადგენდა. ლუდოვიკო მე-XIV-ე წინასწარვე ნიშნავდა პარიზის მერს და მხოლოდ ამის შემდეგ და წაზმობდა არჩევნები². ამ შემთხვევაში, ქალაქის მერის არჩევნებს უბრალო დეკორაციის ხასიათი ჰქონდა. ქალაქ ამბუაზის მცხოვრებლებს ლუდოვიკო მე-XIV-ე თვითონვე უკარნახებდა, თუ როგორ

¹) იხ. გვ. 190.

²) Depping, „Corr. adm“. t. I. p. 634, 784, 849 და სხვ.

ლი პირი უნდა ამოერჩიათ მერის თანამდებობაზე ¹. ადგილი ჰქონდა ისეთს შემთხვევებსაც, მაგალითად ქალაქ ნანსში, როდესაც ლუდოვიკო მე-XIV-ე lettres de cachets საშუალებით ნიშნავდა ხოლმე აღნიშნული ქალაქის მთელ მაგისტრატს, როგორც მერს, ისე ეშვევნებს ².

ასევე იქცევა იგი ქალაქ იუზეს მიმართ—რომლის კონსულებსაც თვითონვე პირადად ნიშნავს ³. ზოგიერთ ქალაქში კი ისევე ძალაშია მერის დანიშვნის წესი სამი კანდიდატის სიიდან. ლუდოვიკო მეXIV-ს დროს ჩვენ ვხვდებით აღნიშნულ წესს განმტკიცებულს კომპიენში, სუასონში, ანჟერში, ორლეანში, სანსში, როშელში, არასში, რენში, მცვში და კიდეც ბევრ სხვა ქალაქში ⁴.

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ აღნიშნული არჩევის წესი არსებითად ბიოლაპირი დანიშვნის ფარულ სახეს წარმოადგენს. თუ წინათ თვით სამი კანდიდატის სიის შედგენა მეფის ზეგავლენის გარეშე არ სწარმოებდა, მეტადრე ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს მისი შედგენა ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ გამოჰპარებოდა მის ყოვლად ძლიერს და ყოვლის შემძლე ინტენდანტებს და სუბდელეგატებს ⁵. მეტადრე რომ ლუდოვიკო მე-XIV-ს ნაბრძანები ჰქონდა მათთვის: „de tenir la main à ce qu'on n'admette aux charges consulaires que des personnes de probité, bien affectionnez à son service“ ⁶, თვალყური ადევნონ, რომ საკონსულო თანამდებობაზე მიშვებულნი იქმნენ მხოლოდ პატიოსანი და სანსახურიადნი თავდადებული პირები, ე. ი. ისეთი პირები, რომელნიც მთავრობის აგენტობის როლს გასწევდნენ. მერის დასანიშნავად სამი კანდიდატის სიის შედგენა ანიეროდან მთავრობის ადგილობრივი აგენტების-ინტენდანტების მეურვეობისა და მათი ზეგავლენის ქვეშ იქმნა მოქცეული. და თუ მაინც მოხდებოდა შემთხვევა და მოქალაქეები წარმოადგენდნენ ისეთს სამს კანდიდატს, რომელნიც სასურველნი არ იყვნენ ცენტრალი მთავრობისათვის, მაშინ ეს უკანასკნელი უკანვე უბრუნებდა სიას მოქალაქეებს და სხვადასხვა მოსაზრების გამო წინადადებს აძლევდა ახალი სია წარმოედგინათ. ამგვარ ფაქტებს ბლომად ვპოვებთ ეპოქის საადმინისტრაციო წერილებში. მაგალითად Sainte - Menehould-ის სუბდელეგატი სწერს შამპანის ინტენდანტს: „სამი მოქალაქე წარმოადგენილნი, როგორც კანდიდატები მერის თანამდებობაზე, ხანში შესულნი და უძლურნი,

¹) Depping, „Corr. adm.“. t. I. p. 631.

²) Boislisle, „Corr. dec contr. génér.“ t. I. № 1570.

³) Depping, „Corr. adm.“. t. I. p. 637.

⁴) Depping, „Corr. adm.“. t. I. nb. Introduction და აგრეთვე გვ. გვ. 812,630,781,860, 551,550,844 და სხვა. იქვე nb. ნიშნუში მერის დანიშვნის სიგლისა სამი კანდ. სიიდან გვ. 630.

⁵) ისეთ ქალაქებში კი „qui étaient assujetties à la juridiction seigneuriale c'était le seigneur qui désignait. L'abbé de Corbie nommait ainsi le maire sur une liste de candidats. Dans les petites villes, où la présentation était usitée le choix était remis au juge, au sénéchal, au gouverneur ou à l'intendant de la province.“ B a b e a u, „La Ville“ p. 71 არჩევანი უმთავრესად ინტენდანტების ხელში იყო. სადაც მათ ხელი არ მიუწვდებოდათ, იქ მოქმედობდნენ მათი სუბდელეგატები. ყოველ შემთხვევაში არც გუბერნატორები, სენეშალები და მოსამართლეები მოქმედობდნენ ცენტრალი მთავრობის დირექტივების გარეშე.

⁶) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. p. 626,629,781,887. etc,

არიან, ამისათვის საჭიროა კანდიდატების ახალი სია იქმნეს წარმოდგენილი¹. შამპანის ინტენდანტი უთუოდ არ დაავიანებდა ასეთივე აზრი მიეწოდებინა თავის მხრივ გენერალ-კონტროლერისათვის, როგორც ეს ჩვეულებაში იყო, და ეს უკანასკნელი კი უმალ ბრძანებას გასცემდა ინტენდანტის მიერ მიწოდებული აზრის (avis) მიხედვით დაებრუნებინათ ხსენებული ქალაქისათვის ძველი სია და მიეცათ წინადადება დაუყონებლივ წარმოედგინათ ახალი კანდიდატების ახალი სია. ასეთი იყო ლუდოვიკო მე-XIV-ის მიერ შექმნილი ადმინისტრატივი აპარატიც ის ენა, ის კილო, რომლითაც მთავრობა ელაპარაკებოდა ქალაქებს. ასეთი იყო მის დროს ქალაქების მდგომარეობა, რომელთაც მთავრობა ისე ექცეოდა, როგორც ჯერ კიდევ „არა სრულწლოვანებს“ — *Comme étant réputés mineurs* — ვანბობთ ამას იმავე მთავრობის ოფიციალი ტერმინოლოგიით². აბავისი რა საქმე იყო ხსენებული სამი კანდიდატის უარყოფა, თუ კი თვით მოქალაქეებმა სცნეს შესაძლებლად რომელსამე მათგანს დაეკავებინა მერის თანამდებობა და ეს მით უფრო, რომ თვით მთავრობის მოხელეებს შორის არა ნაკლებად მოიპოვებოდნენ ასეთივე მოხუცებულნი და უძლურნი პირნი³. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მთავრობა მხოლოდ თავის მიზანს უწყევდა ანგარიშს. ამისთანა მაგალითები ხშირი იყო მთავრობის პრაქტიკაში და ამისდა გვირგვინად წყაროებშიაც ბლონად მოიპოვება ამის დანამტკიცებელი საბუთები⁴. მთავრობა ცდილობდა ყოველგვარი შემთხვევა თავის ჩარევის საბაზად გამოეყენებინა. მაგალითად, თუ რომელსამე ქალაქში შუალამნდევ არ მოთავდებოდა სამუნიციპალო არჩევნები, მაშინ მთავრობა უფლებას იტოვებდა თვითონვე დაენიშნა მერი ანდა მუნიციპალიტეტის დანარჩენი მოხელეები.

ეკსში (პროვანსშია) თუ შუალამნდევ ვერ მოთავდებოდა არჩევნები, მაშინ თვითონ მეფე ნიშნავდა მოხელეებს დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე⁵. სუასონის ინტენდანტი სოხოვს გენერალ-კონტროლერს კოლბერს, რომ მან თავის სურვილისდა მიხედვით დანიშნოს ვინმე მერის თანამდებობაზე, რადგან თვით ამრჩევლებს შორის დიდი დავა და უთანხმოება არსებობს⁶. თუ რა ხასიათი ჰქონდა მთავრობის ყოველ ანგვარ აქტს, ადვილი გასაკვბია — ყოველ შემთხვევაში არა ეკონომიური და მეტადრე არა ისეთი „ეკონომიურ-ფილონთროპული“ ხასიათი, როგორც ეს პროფ. არდაშეეს ესმის.

ძლიერდება აბსოლუტური მონარქია, მყარდება უკიდურესი ცენტრალიზმი, რომელიც მოითხოვს ერთს აზრს და ერთს ნებისყოფას და ვერ მოითმენს თა-

¹) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 683. „...les trois bourgeois présentés étaient âgés et impotents, et qu'il fallait demander une autre présentation“. ანალოგიურია გვ. გვ. 593, 1250 და 1275. იმავე იჭრება შამპანის ინტენდანტი. Ibid. t. I. გვ. 629 იხ. აგრეთვე გვ. გვ. 641 და 675.

²) იხ. გვ. 158.

³) როგორც მაგალითად 70 წლის სუბდელაგატი არაებუა ან და სუბდელაგატი და იმავე დროს მერი (!) ვინმე გოდრიო, რომელიც იმავე 70 წლისა იყო. Ардашев, „Прованс. адм.“ ტ. I გვ. 343.

⁴) გარდა ზემოაღნიშნულისა იხ. აგრეთვე გვ. გვ. 874, 876, 905, 906, 785 და 722. Depping, „Corr. adm.“ t. I.

⁵) Depping. „Corr. adm.“ t. I. p. 689.

⁶) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. p. 798.

ვისთან ერთად სხვა რაიმე ადგილობრივ დამოუკიდებლობას ან და ისეთს ინსტიტუტს. რომელიც თავისი მართველობით და ადმინისტრაციით მისი კონცეპციის გააუმჯობესებს. უალტერნატივო ცენტრალიზმი, რასაკვირველია, ვერ მოითმენდა აგრეთვე მუნიციპალიტეტების პარტიკულარისტულ ზრახვებს და მისწრაფებებს. მათი ადმინისტრაცია და მათი მართველობა სახელმწიფოს საერთო ცენტრალისტურ ადმინისტრაციაში და მართველობაში უნდა გათქვეფილიყო. თუ მუნიციპალური მართველობა თვითონვე არ გამოიჩენდა ამ ელასტიკობას, მაშინ თვით უსაზღვრო ცენტრალიზმი ძალით მოახრევენიებდა ქედს. ეს ასეც მოხდა.

რა ამოძრავებდა მონარქიას ამ მიმართულებით? რა და — უმთავრესად და განსაკუთრებით თავისი ავტორიტეტის უზრუნველყოფის სურვილი. და ეს ნისი სურვილი სამუნიციპალო მართველობის სფეროში პოლიტიკური გაბატონებისა წარმოადგენს მე-XVII-ე საუკუნის ადმინისტრატივი მეურვეობის უმთავრესს და მახასიათებელ ტენდენციას. მონარქია დაინტერესებულია იმით, რომ ყველაფერი თავისი ცენტრალისტური პოლიტიკის არეში მოაქციოს.

იმავსე ლუდოვიკო მე-XIV-ის გენერალ-კონტროლერი უბრძანებს ყველა ინტენდანტს: „Vous donnerez une attention particulière à tout ce qui se passe dans les assemblées municipales. Vous vous en ferez rendre le compte le plus exact et remettre toutes les délibérations qui y seront prises, pour me les envoyer sur-le-champ avec votre avis“¹. — „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ყოველივე იმას, რაც ხდება სამუნიციპალო კრებებზე. მოსთხოვეთ, რომ ყოველთვის წარმოგიდგინონ ხოლმე, რაც შეიძლება დაწერილებითი ანგარიში, სადაც აღნიშნული იქნება ყველა გამოტანილი გადაწყვეტილება და მიღებისთანავე დაუყოვნებლივ განომარებენ თქვენი დასკვნითი თანდართული“. ეპოქის საადმინისტრაციო წერილებში ჩვენ ბლომად ვპოვებთ ინტენდანტების მოხსენებებს გენერალ-კონტროლერის საპასუხოდ. მაგალითად, ლანგედოკის ინტენდანტი აკნობებს გენერალ-კონტროლერს შემდეგს: — ტულუზის მცხოვრებლები, მართალია, თავდადებულნი არიან მეფისათვის, მაგრამ მათ მაინც შესწევთ ერთგვარა ტრფიალი თავისუფლებისადმი, რომელიც საჭიროა აღმოფხვრილ იქმნეს. ხსენებული ინტენდანტი მთავრობის საწინააღმდეგო აზრების მატარებლად ადგილობრივ პარლამენტს და ქალაქის საბჭოს სთვლის, რომელთა კრებებზედაც თურმე ხშირად გაისმის მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები. დაბოლოს იგი წინადადებას იძლევა — შემციობებულ იქმნეს ქალაქ ტულუზის საბჭოს შტატი და დაყვანილი 20 წევრადის². უთუოდ ეს ზომაც პოლიტიკური მოსაზრებით არის ნაკარნახევი. საერთოდ საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამუნიციპალო მოხელეების რიცხვის შემცირება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ლუდოვიკო მე-XIV ის მეფობის დროს. მხოლოდ ამას იგი სულ სხვა მოსაზრებებით ასაბუთებს. მაგალითად, ქალაქ ორლეანის სკაბინების (ქალაქის მართველობის კოლეგიის წევრების) რიცხვის 12-დან ექვსამდე დაიყვანს იმ მოსაზრებით, რომ ხსენებული ქა-

¹) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1343.

²) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1346.

ლაქის საქმეებისათვის ექვსი კაციც საკმარისია ¹. ზოგიერთ შემთხვევაში თავის ასეთს საქციელს იგი ასაბუთებს საზოგადოებრივი ინტერესების მოსაზრებით — აღნიშნავს, რომ ზედმეტი რიცხვი სამუნიციპალო მოხელეებისა მძიმე და ზედმეტ ტვირთად აწევბა ლარიბ მოქალაქეებს ².

ჩვენ აღნიშნეთ მთავრობის ადგილობრივი აგენტებზე-იტენდანტების საინფორმაციო როლი, მაგრამ მათი მისია მუნიციპალური მართველობის სფეროში მარტო საინფორმაციო ორგანოების როლით არ განისაზღვრება; მათი დანიშნულება უფრო შორს მიდის. მათ ნაბრძანები აქვთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ სამუნიციპალო არჩევნებში და ერთგვარი ზედგავლენა იქონიონ მოხელეების არჩევნებზე. მეფე პირდაპირ უბრძანებს კ. რუანის ინტენდანტს მონაწილეობა მიიღოს ქალაქ რუანის არჩევნებში ³. ოვერნის ინტენდანტი აწარმოებს ქალაქ ორილიაკში კონსულების არჩევნებს და თხოულობს გაუზზავნონ მას ცენტრიდან lettre de cachet იმ შემთხვევისათვის, თუ მისი წინადადება უარყოფილი იქნება ⁴. ორლანის ინტენდანტს ნაბრძანები აქვს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ ქალაქის მერის და ეშევენებელ არჩევნებში ⁵. როგორც საადმინისტრაციო წერილებიდან ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში ქალაქის საბჭო იმუშავებდა კანდიდატების სიას ეშევიჩაყის თანამდებობაზე ამოსარჩევად და შემდეგ ამ სიას იგი წარუდგენდა ინტენდანტს. ინტენდანტი თავის მხრივ ირჩევდა ამ სიიდან მისთვის სასურველ პირებს და ეს უკანასკნელნი მტკიცდებოდნენ ეშევენების თანამდებობაზე ⁶.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ დაპყრობილ ოლქებს — „pays conquis“, ეს კუთხეები იტენდანტების პირდაპირ ნამდვილ სამეფოს წარმომადგენდა. დღეში და ლილში ინტენდანტები პირადად თვითონ ნიშნავდენ მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს ⁷. ასეთივე მდგომარეობა იყო არტუაში ⁸ და ვალონის ფლანდრიაში. კამბრესა და ნანსში ინტენდანტი იღებდა ფიცს მერისა და ეშევენებისაგან, როგორც მეფის წარმომადგენელი ⁹.

ასეთი იყო ადმინისტრაციული პრაქტიკა მუნიციპალური მართველობის სფეროში შექრილი, ასეთი იყო ადმინისტრაციული მეურვეობა, რომელიც მე-XVII ე

1) Depping, „Corr. adm“. t. I. p. 653. „Ayant été informé que le nombre de douze échevins qui sont ordinairement en charges dans nostre ville d'Orleans, est superflus, et que six suffisent pour l'administration des affaires publiques de ladite ville.“

2) Depping, Corr. adm“ t. I. p. 635. „...à cause du peu de gens... .. de l'interest public et du soulagement des pauvres“.

3) Ibidem, „Corr. adm“ t. I. p. 911.

4) Boisliet, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 758.

5) Ibidem, t. I. № 913.

6) Depping, „Corr. adm“ p. 676.

7) Guyot et Merlin, „Traité des droits“.. t. III p. 290. „A Lille, l'intendant renouvelle chaque année le magistrat conjointement avec trois autres commissaires nommés à cet effet par le roi“.

8) Ibidem, „Traité des droits“ ... t. III. 289. „L'intendant a été chargé (en Artois) pendant plus d'un siècle de la nomination des maires, échevins et autres officiers municipaux des villes.“

9) Ibidem, t. III p. 291.

საუკუნეში მონარქიის ნამდვილ პოლიტიკურ ბატონობად გარდაიქცევა იმავე მართველობის სფეროში.

დაბოლოს 1692 წელს ლუდოვიკო მე-XIV-ე გამოსცემს ედიქტს ¹, რომლითაც საყოველთაოდ ისპობოდა მერის არჩევნები და მის მაგივრად მყარდებოდა ხსენებული თანამდებობის სამემკვიდრეოდ შვიდნის წესი შესყიდვის საშუალებით.

ეს ედიქტი უმაგალითო აბუჩად აგდება იქნებოდა ქალაქების დამოუკიდებლობისა და წათ თავისუფლებებისა, რომ ამ აუკანასკნელთ მართლა კიდევ ალაგი ჰქონოდათ ლუდოვიკო მე-XIV ს დროს. მაგრამ ხსენებული ედიქტი რევოლუციონური ხასიათისა არ იყო—იგი მოველინა ქალაქებს არა ex abrupto, პირიქით, იგი მხოლოდ იმას აღნიშნავდა, რაც ფაქტიურად უკვე განხორციელებული იყო ცხოვრებაში.

თითქმის მთელ საფრანგეთში ქალაქების სათვითმართველო საარჩევნო უფლებები ფაქტიურად უკვე მოსპობილი იყო ხსენებულ ედიქტზე გაცილებით ადრე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მივარდნილ, მიყრუებულ ადგილას არსებულ ქალაქებს, რომელნიც უფრო სოფლებს, ანდა უკეთესს შემთხვევაში დაბა სოფლებს წარმოადგენდნენ ².

ამგვარი იყო უფლებრივი მდგომარეობა საფრანგეთის ქალაქებისა მე-XVII-ე საუკუნეში. მაგრამ მათი უფლებებო მდგომარეობა რომ ვეძებთ ეპოქის იურიდიული ხასიათის წყაროებში, ჩვენ იქ ვერც ერთს ისეთს საკანონმდებლო აქტს ვერ ვიპოვებთ 1692 წლამდე მაინც, რომელიც საერთო მასშტაბით სპობდეს მთელ საფრანგეთში ქალაქების სათვითმართველო საარჩევნო უფლებებს.

როგორც ვთქვით, მხოლოდ 1692 წელს გამოიცემა ლუდოვიკო მე-XIV-ის შიერ აგვისტოს ედიქტი, რომელიც ქალაქების თავების თანამდებობას გამოაცხადებს „ოფიცებად“ (offices à finance) ე. ი. თავისუფალ სავაჭრო ობიექტად. ამერიდან ვინც მოისურვებდა, შეეძლო ფულით შეესყიდა და სამემკვიდრეოდ შეეძინა ქალაქის თავის თანამდებობა, სულერთია იქნებოდა იგი თვითონ ქალაქი, რომელიც მოისურვებდა ამ თანამდებობის გამოსყიდვას, თუ რომელიმე კერძო პიროვნება. ჩანს, ლუდოვიკო მე-XIV-ე უკვე ისეთი ნამდვილი მესაკუთრის თვალით უყურებდა საკომუნალო აღმინისტრაციას, რომ სრულიად შესაძლებლად სცნობდა გაეტანა იგი ფართო ბაზარზე, როგორც თავისი ნამდვილი საკუთარი სავაჭრო საქონელი.

აქ უკვე ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად უნდა შენახულიყო ქალაქების თვითმართველობა ძვით დიდ-რევოლიუციის დასაწყისამდე, რითაც ასე დაინტერესებულია პროფ. არდაშევი ³ და ალბერტი ბაბო.

სხვა რომ არა იყოს რა, ამ 1692 წლის აქტიდან მაინც ჩანს, რომ ამიერიდან მთელ საფრანგეთში საერთო მასშტაბით ისპობოდა სათვითმართველო საარჩევნო უფლებები. მართალია ამ ედიქტს სრულიადაც არ ჰქონდა მხედველო-

¹) ხსენებული ედიქტის შესახებ კიდევ გვწვება მსჯელობა, მხოლოდ სხვასთან დაკავშირებით. იხ. თავი V.

²) იხ. გვ. 156.

³) А р д а ш е в „Провинц. зкм.“ ტ. I. გვ. 504.

ბაში ქალაქების საარჩევნო უფლებების და მათი დამოუკიდებლობის მოსპობა — იგი მხოლოდ ფისკალურ მიზნებს ენახებოდა — მაგრამ ამავე დროს მინც მკერპეტეველურად ადასტურებდა ქალაქების ფაქტიურ უფლებებო მდგომარეობას.

ლუდოვიკო მე-XIV-მ იცოდა, რასაც აკეთებდა. თვით კომუნები მის დროს აღარ წარმოადგენდნენ ანგარიშ-გასაწეე ელემენტს სახელმწიფოში. მის დროს ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა მთელ საფრანგეთში აღარც ქალაქების დამოუკიდებლობა და აღარც მათი სამუნციპალო საარჩევნო უფლებები. ამიტომ გვეძნელება დაუფჯეროთ ტოკილს, რომელიც ამბობს, რომ ჯერ ისევ მე-XVII-ე საუკუნის დამლევაძდე მოიპოვებოდნენ საფრანგეთში ისეთი ქალაქები, რომელნიც პატარა რესპუბლიკებს წარჩოადგენდნენ-ო ¹. უფრო გვეძნელება დაუფჯეროთ ალბერტ ბაბოს, რომლის აზრითაც საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქში თვით დიდი რეეოოლიუციის დაწყებაძდე შენახულ იქნა თვითმართველობის თავისუფალი ფორმა ².

იგივე ბაბო იმ თავის შრომაში, სდაც იგი „ძველი რეჟიმის“ ფარგლების მიხედვით განიხილავს ქალაქებსა და მონარქიას შორის არსებულ ურთიერთობასა და დამოუკიდებლობას, აღნიშნავს შემდეგს: „...la monarchie intervint dans l'administration des villes, soit pour favoriser les libertés des habitants, soit pour les restreindre“ ³. მონარქიის ინტერვენციის ისეთი მაგალითები, როდესაც იგი შეიკრება ქალაქების მართველობაში იმ მიზნით, რომ შეზღუდოს ან და სრულიად მოსპოს მოქალაქეების თავისუფლებანი, ჩვენ ბევრი ვნახეთ საისტორიო წყაროებში, მაგრამ ჩვენ ვერ შევხვდით ისეთს ფაქტს და ვერც შევხვდებით მე-XVII-ე საუკუნეში მინც, როდესაც მთავრობა მფარველობას უწყედეს მოქალაქეების თავისუფლებებს. პირიქით, როგორც ჩვენ ეს უკვე დავინახეთ, იგი მუდამ ბლაღადა აძ თავისუფლებებს.

საკირველია და პირდაპირ გასაოცარია ამ შემთხვევაში რენუარის აზრი 1692 წლის ედიქტის შესახებ — „l'édit de 1692 n'eut guère d'autre but que de forcer les communes à se racheter. Autrement cet édit eût été un grand outrage aux droits municipaux, que la nation exerçait depuis tant de siècles, puisqu'il établissait des maires perpétuels en charge d'office“ ⁴. მას ეკვი არც კი ეპარება იმის შესახებ, რომ ლუდოვიკო მე XIV-ს დროს მხოლოდ აჩრდილი და დარჩენილი იმ სამუნციპალო უფლებებისა, რომლითაც, როგორც თვით რენუარი აღნიშნავს, სარგებლობდა საფრანგეთის ერი მრავალ საუკუნეთა სიღრმიდანვე. მას ეკვი არც კი ეპარება და არც აზრად მოსდის, რომ საფრანგეთის ქალაქების სამუნციპალო უფლებები შეურაცხყოფილი და შებლაღული იქნა 1692 წლის ედაქტზე გაცილებით ადრე ⁵. უკეთ რომ ვთქვათ, საფრანგეთის

¹) Tocqueville. „L'Ancien régime“ p. 63.

²) Babeau, Albert. „La Ville“.. p. 61.

³) Ibidem, „La Ville“ p. 70.

⁴) Raynouard, M. „Histoire du droit municipal“ t. II. p. 356.

⁵) აი რას ნაშნავს ის გარეობა, როდესაც მკლევერი უმთავრესად ან და განსაკუთრებით იზრდიულ აქტებს ეყრდნობა მუერვეობის საკითხის განხილვის დროს. ასეთიევა: Leber. „Histoire critique du pouvoir municipale en France“ Paris 1828 ან და M. G. „Dissertation historique sur les communes de France“. და ბევრი სხვა.

ქალაქების უფლებობა მდგომარეობა უკვე რეალს ფაქტს წარმოადგენდა. 1692 წლის ედიქტი, რომლის შესახებაც კიდევ გვექნება მსჯელობა, ყრულ ადასტურებდა იმას, რაც ფაქტიურად უკვე დიდი ხანია აოსებობდა.

ჩვენ ვამოვარკვეით, თუ რა შინაარსისა იყო მეურვეობა მე-XVII ე საუკუნეში, აღვნიშნეთ თუ რა უფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საფრანგეთის ქალაქები ხანებულ საუკუნეში. დაგვრჩა ახლა მე-XVIII-ე საუკუნის მეურვეობის განხილვა.

მე XVIII-ე საუკუნეში უკვე მოიხსნება დღიური წესრიგიდან მეურვეობის პოლიტიკური მხარე და იგი უმთავრესად ფისკალ ხასიათს მიიღებს. მაგრამ ვიდრე მის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა მოკლედ მაინც განვიხილოთ ქალაქების ნივთიერი მდგომარეობა ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ კომუნები იმ დროს, როდესაც მთავრობას გადაჰქონდა თავისი ფისკალი სისტემა საკომუნალო მართველობის სფეროშიაც. ამით საშუალება მოგვეცემა შესაფერისად შევაფასოთ მეურვე მთავრობის პოლიტიკა კომუნების მიმართ.

ამიტომ შემდგომი თავის შინაარსის საგანი ლუდოვიკო მე-XIV-ს დროის ქალაქების ნივთიერი მდგომარეობის აღწერას წარმოადგენს.



თ ბ ვ ი IV.

საფრანგეთის ქალაქების ნიშთიერი მდგომარეობა მე-XVII-ე საუკ.

საფრანგეთის ქალაქები, მე-XVII-ე საუკუნეში უკიდურესს კრიტიკულ ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. როგორც ამიენის ინტენდანტის წერილიდან ჩანს, პიკარდიის ქალაქების შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ იგი ვერც კი ჰფარავდა მათ ჩვეულებრივ მიმდინარე ხარჯებს¹. 1698 წ. 29 დეკემბერს, პუატიეს ინტენდანტი თავის ანგარიშში აღნიშნავს შემდეგს: „ქალაქ ნიორ-ის პატრიმონიალი (სამკვიდრო) ქონების წლიური შემოსავალი („revenus patrimoniaux) არ აღემატება 357 ლივრს“². ეს გარემოება ფრიალ გასაგებია, რადგან საფრანგეთის ქალაქების უმეტესი ნაწილი ჰფლობდა სულ მცირეოდენ სამკვიდრო ქონებას, თუ ისეთ ქალაქებს, როგორც მაკონი და გრე იყო, მოეპოვებოდათ დიდი ფართო მიწდერები და საბალახო, საძოვარი ადგილები³, სამაგიეროდ საფრანგეთის ქალაქების უმეტესს ნაწილს მცირეოდენი საზოგადოებრივი შენობები, მოედნები, ბაზრები, ბალები, ბულვარები და არხები ლა გააჩნდათ⁴.

მათ შეეძლოთ გაეყიდათ ის ბალახი, რომელიც არხების ნაპირებზე მოდიოდა⁵ ან და იჯარით გაეცათ თევზის დაქერის უფლება თავის საკუთარ არხებში⁶; მათ შეეძლოთ მიეჭირავენინათ სხვადასხვა ვაჭრისათვის თავისი მოედნები და ბაზრები⁷, ან მოკლე ვადიანი იჯარით გაეცათ საკომუნალო შენობები და ბალები⁸ ან და განსაკუთრებულ შემთხვევებში გაესესხებინათ საპროცენტოდ თავისი თანხები, თუ კი ეს უკანასკნელი მოეპოვებოდათ მათ⁹.

ზოგიერთი ქალაქი, პატრიმონიალი შემოსავლის („revenus patrimoniaux“) სახით ჰფლობდა აგრეთვე უძველეს დროიდან არსებული გადასახადების აკრეფის უფლებას. ასე მაგალითად, მონტობანს შენარჩუნებული ჰქონდა—„droit de souquet, ქ. ნიორს — droit de coutume, ქ. ნიმს-ს შერჩენია უფლება აეღო ხოლმე ერთი მეცამეტე ნაწილი იმ სახლის ღირებულებისა, რომელიც წლის განმავლობაში სულ ბოლოს იქმნებოდა გაყიდული¹⁰.

1) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I № 673.

2) Ibidem, „Corr. des contr. génér.“ t. I № 1812.

3) Ibidem, t. I № № 1665 et 1589.

4) Ibidem, t. I № 1802.

5) Ibidem, t. I № № 931 et 1206.

6) Depping, „Corr. adm“ t. I. p. 880.

7) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 733, 885 et 1396.

8) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 1443 et 1773.

9) Ibidem, t. I. № 1657.

10) Babeau, „La Ville“ p. p. 259, 260;

მოიპოვებოდა ისეთი ქალაქებიც, როგორც განვილ-ი და ვალონ-ი, რომელთაც სრულიად არავითარი პატრიმონიალი შემოსავალი არ გააჩნდათ¹. ჩვეულებრივად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქები ჰფლობდნენ ერთგვარ უძრავ ქონებას, ერთგვარ გადასახადების აკრეფის უფლებას და მათი ბიუჯეტი ნაწილობრივად ამგვარი ქონების შემოსავლით საზრდოობდა. მართალია, აღნიშნული რიგის შემოსავალი ძალიან მცირე იყო და ქალაქების ჩვეულებრივ ხარჯებსაც კი ვერა ჰფარავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცენტრალ მთავრობას მაინც ყოველთვის ქალაქების ამ პატრიმონიალ ქონებაზე ეჭირა თვალი. მთავრობა ეცილებოდა ქალაქებს ამ გვარ ქონებაში და ყოველთვის ცდილობდა ხელში ჩაეგდო ეს უკანასკნელი. ხშირად ადგილი ჰქონდა იმისთანა შემთხვევას, როდესაც მთავრობა, მიუხედავად ყოველგვარი პროტესტისა ქალაქის მხრივ, პირდაპირ ძალით დაეპატრონებოდა ხოლმე მის სამკვიდრო, პატრიმონიალ ქონებას („biens patrimoniaux“). მაგალითად, ქალაქ ბოარდოს უიურატებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობას, მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობამ მაინც ძალით ჩამოართვა ხსენებულ ქალაქს პატრიმონიალი ქონების ნაწილი და თვითონ დაისაკუთრა². ქალაქ ზაიონის მუნიციპალიტეტის მოხელეები შესჩივიან კოლბერს, რომ მთავრობამ მეფის საბჭოს დადგენილების ძალით ჩამოართვა მათ იმ შემოსავლის ნახევარი, რომელსაც იძლეოდა ეგრეთ წოდებული droit de coutume-ი და რომელიც მათ მინიჭებული ჰქონდათ ჯერ ისევ კარლოს მე-VII-ს მიერ³.

საფრანგეთის ქალაქების მეორე გვარ შემოსავალს შეადგენდა საბაზრო და საბაჟო გადასახადები — „octrois“⁴. ჩვეულებრივად და უმთავრესად დასაბეგრავ საქონელს ღებინო და სპირტიანი სასმელები წარმოადგენდა⁵, მაგრამ დაბეგრავდენ ხოლმე აგრეთვე პირველი მოთხოვნილების საგნებსაც, როგორიცაა მაგალითად: ხორცი, ხორბალი, ფქვილი, თივა, ქვა-ნახშირი და სხვა⁶. ყოველი ქალაქის სრულს თავისუფალ სურვილზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი სახის საქონელს დაბეგრავდა ან და რა ნიხრს დააწესებდა, მაგრამ თვით დაბეგვრის ნებართვა კი, ე. ი. ყოველი ახალი „octrois“-ს დაწესების უფლება ყოველს მათგანს ცენტრალი მთავრობისაგან უნდა მიეღო. ფლანდრიის ინტენდანტი 1688 წელს სწერს გენერალ-კონტროლერს შემდეგს: „იმ უამრავმა და უზომო ხარჯებმა, რომელიც მეფის სამსახურის გამო მაგისტრატმა გასწია, აიძულა ეს უკანასკნელი ეთხოვა მისი უდიდებულესობისათვის ნებართვა octroის დაწესებისა ყველა იმ პროდუქტზე, რომელიც კი გაცვლა-გამოცვლის საგანს წარმოადგენს და უმთავრე-

¹) Boislie, „Corr. des contr. génér“ t. I. № № 804 et 467.

²) Babeau Al., „La Ville“ d. 199.

³) Depping, „Corr. adm“ t. I, p. 728.

⁴) Chéruel A. „Dictionnaire historique des institutions, mœurs et coutumes de la France.“ p. 883. Octrois“ მონათესავე ხმისა octroyer, რაცა ნიშნავს დასაჩუქრებას. მეფე ანიჭებდა უფლებას ქალაქებს აეკრფათ თავიანთ სასარგებლოდ საბაზრო და საბაჟო გადასახადები. ამგვარ უფლებას მეფე აძლევდა ხოლმე ქალაქებს თავისი განსაკუთრებული წყალობის ნიშნად. შერჯელის სიტყვით პირველი ქალაქი, რომელმაც პირველად მიიღო ამ გვარი უფლება (სახელდობრ 1252 წელს) კ. კონიენი იყო.

⁵) Boislie, „Corr“... t. I. № № 88, 956 et 1254.

⁶) Ibidem. t. I. № № 1306, 1422, 1530 et 1845.

სად კი სასმელებზე“¹. როგორც ეპოქის საადმინისტრაციო მიწერ-მოწერიდან ჩანს, ასეთსავე ნებართვას თხოულობდნენ ქალაქ კლერმონის მცხოვრებლები. ეს უკანასკნელნი სთხოვდნენ მთავრობას „octrois“-ს დაწესებას ლენონზე და იმ პირ-უტყვე საქონელზე, რომელიც იკვლებოდა ქალაქის სასაქლაოზე². ნებართვას საერთოდ მეფის საბჭო იძლეოდა, მაგრამ მეფის საბჭო ყოველთვის ეყრდნობოდა ხოლმე იმ მოსაზრებას, იმ აზრს (avis), რომელსაც აწვდიდა მას ინტენდანტი. ქ. Béthune სთხოვდა მთავრობას „octrois“-ს დაწესებას და ამის შესახებ ინტენდანტი აწვდის მეფის საბჭოს შემდეგს მოსაზრებას: აღნიშნული ქალაქისათვის „octrois“-ს დაწესების ნებართვის მიცემა აუცილებლად საჭიროა, რადგან უამისოდ ქალაქი ვერ შესძლებს ვალდების გასტუმრებას³. ეპოქის წყაროებში ვხვდებით ისეთს შემთხვევებსაც, როდესაც ქალაქი სთხოვს მთავრობას „octrois“-ს მოხსნას. ასე ქ.ბორდოს მცხოვრებლები 1685 წელს სთხოვენ მთავრობას შეწყვეტილ იქმნეს „octrois“-ს აკრეფა ექვსი თვით, რადგანაც იგი საზარალოა და ხელს უშლის ვაჭრობას ხობ-ბლეულობით⁴. როგორც ვხედავთ „octrois“-ს არამც თუ მარტო დაწესების უფლება, არამედ მისი შეწყვეტისა ან და სრულიად მოხსნის უფლებაც მთავრობის ხელთ ყოფილა. ახალ „octrois“-თა დაწესება უნდა სწარმოებულყოფოდა თვით მცხოვრებლების თანხმობით, მაგრამ ვინ ჰკითხავდა მათ—ახალი „octrois“-ს დაწესებისათვის საკმარისი იყო ხოლმე მხოლოდ თვით მაგისტრატის დადგენილება, რომელსაც დაადასტურებდა ხოლმე შენდევ მეფის საბჭო, თუ კი ადგილობრივი ინტენდანტი მისცემდა მას თავის მოსაზრებას დადებითი ხასიათისას. ეს საქმე, რომელიც ასე არსებითად ეხებოდა ხალხის ინტერესებს და მათ კეთილდღეობას, უკვე აღარ ეკითხებოდა თვით ხალხს. ამას განაგებდა ის ოლიგარხიული წრე, რომელიც ქალაქის საქმეებს დაჰპატრონებოდა. ცენტრალი მთავრობაც მფარველობდა და ხელს აფარებდა ამგვარ შექმნილ გარემოებას. აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი დეტალი: როდესაც ქალაქები ვერ ასდიოდნენ იმ ვალდებებს, რომელიც მათ მძიმე ტვირთად აწვათ თვით მთავრობის წყალობით იმ მხრივ, რომ ცენტრალი მთავრობა ხელიდან აკლიდა მათ „octrois“-ს შემოსავლის ნახევარს, ან და ავალბდა მათ სხვადასხვა გვარ ხარჯის გაწევას ან თავისივე ან და წარჩინებული პირების სასარგებლოდ⁵, მაშინ თვით მთავრობა ნებართვას აძლევდა ქალაქებს „octrois“-ს გაორკეცების (doublement) უფლებისას, და ამ შემთხვევაში მთავრობა სრულიად ანგარიშს არ უწევდა მცხოვრებთა თანხმობას. მაგრამ იმ შემთხვევებში კი, როდესაც საკითხი თვით ქალაქის კეთილ-მოწყობაზე მიდრ-ოდა ან და თვით ქალაქის საქველმოქმედო საქმეებზე, როგორც საავადმყოფო-ების ანდა საბავშვო და დავრდომილთა სახლების დაარსებაზე, მაშინ მთავრობას, თვით კოლბერის დროსაც კი, უმაღლ მცხოვრებთა თანხმობა გაახსენდებოდა ხოლმე. ასე თვით კოლბერი სწერს ტურის ინტენდანტს: ახალი „octrois“-ს დაწესებისათვის, საქველმოქმედო საქმეებისა და ქალაქის კეთილ-მოსაწყობად, საკი-

1) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 572.

2) Ibidem, „Corr.“ t. I. № 988.

3) Depping, „Corr. des contr. génér.“ t. I. p. 715.

4) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 151.

5) როგორც იყო „don gratuit“, „gratifications“, „pensions“ და სხვა იხ. გვ. 219—220.

როა ყველა მცხოვრების თანხმობა და ერთსულოვნობა¹. ეპოქის წყაროებში ეპოვებთ ისეთს საბუთებს, სადაც ცენტრალი მთავრობა არა ოფიციალური სახით გადაქრით უკრძალავს ქალაქებს მათი შემოსავლიდან რაიმე ხარჯის გაწევას საქველმოქმედო საქმეებისათვის. ამგვარი საქმეები, განუმარტავს მეფე თავის ქალაქებს, უნდა კეთდებოდეს თვით მცხოვრებთა ნებაყოფლობითი შემოწირულებათა საშუალებით². მიუხედავად ამისა იმ ოფიციალ სიგლებში, რომლითაც მეფე ანიჭებდა ქალაქს „octrois“ს დაწესების უფლებას, ხშირად ვხვდებით ისეთს შემთხვევებს, როდესაც მთავრობა ასეთი უფლების გაცემას სწორეთ იმითი ასაბუთებს, რომ ქალაქისათვის საჭიროა საავადმყოფოები, საჭიროა ქალაქის შელამაზება, მისი უკეთესად მოწყობა, ნამდვილად კი, რასაკვირველია, ყოველ ამგვარ შემთხვევაში, მთავრობას აზრად და მიზნად ჰქონდა უფრო ყაზარმებისა, სპატიმროებისა, საინტენდანტო და სამხედრო-საკომენდანტო შენობის აგება და შენახვა octrois შემოსავლით, ვიდრე თვით ქალაქების საკუთარი ინტერესების დაქმაყოფილება³.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების ბიუჯეტი უმთავრესად და ზოგჯერ განსაკუთრებით მხოლოდ ამგვარი გადასახადებით საზრდოობდა, ცენტრალ მთავრობას სწორეთ ამ შემოსავალზე ექირა თვალი. იგი ყოველთვის ცდილობდა ხელში ჩაეგდო აღნიშნული შემოსავალი. 1647 წელს მაზარინიმ საბაჟო გადასახადების მთელი შემოსავალი ჩამოართვა ქალაქებს და გადასცა ხაზინას⁴. ქალაქები იძულებულნი შეიქმნენ სესხისათვის მიემართათ, რამაც გამოიწვია მათი უზომო დავალიანება. მათი ნივთიერი მდგომარეობა იმდენად კრიტიკული შეიქმნა, რომ 1663 წელს კოლბერმა უკანვე დაუბრუნა მათ მაზარინის მიერ ჩამორთმეული საბაჟო გადასახადების ნაწილი⁵. მაგრამ მიუხედავად ამისა 1663 წლის შემდეგაც, იმავე კოლბერის დროს, ჩვენ ვხვდებით ისეთს შემთხვევებს, როდესაც ქალაქები თავის octrois შემოსავლის მთელ ნახევარს⁶ აძლევენ სახელმწიფო სალაროს. 1681 წელს ქალაქი სუასონი აძლევს ხაზინას თავისი „octrois“ს შემოსავლის ნახევარს. ქ. ლიმოჟიკ თავისი octrois შემოსავლის ნახევარს აძლევს იმავე ხაზინას⁷. ამავე წესს ემორჩილება ქ. Caen⁸ და სხვა.

„Octrois“ს განაწილება მცხოვრებთა შორის და მისი სავადსახადო სიების შედგენა პატარა ქალაქებში დამოკიდებული იყო ქალაქის მერზე, დიდ ქალაქებში კი არსებობდენ ამისათვის სავანგებოდ დანიშნული პირები—განმანაწილებელნი, რომელნიც ქალაქის ეშევენებთან ერთად ანაწილებდენ მცხოვრებთა შორის ხსენებულ გადასახადს და ადგენდენ სავადსახადო სიებს. მცხოვრებნი უჩივიან ყოველ იმ პირს, რომელიც უმსუბუქებს გადასახადს ან და

1) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 878.

2) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. p. 876.

3) Babeau Al., „La Ville.“ p. 265.

4) Ibidem, „La Ville“ p. 201.

5) Avenel, „Richelieu et la monarchie absolue“, t. IV. p. 290.

6) Boisliste, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 497.

7) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1731.

8) Ibidem, „Corr. t. I. № 226

სრულიად ათავისუფლებს მისგან თავის მოკეთებებს და უზომოდ ახდევინებს დანარჩენებს¹. ბურგონის სკაბინები თურმე გადასახადებს აწერდნენ მხოლოდ იმ პირებს, ვისაც თვითონ პირადად სცნობდნენ საგადასახადო ობიექტად². ამგვარი განაწილების შემდეგ, რასაკვირველია, გადასახადების მთელი სიძიმე დააწვებოდა ისედაც გლატაკებულ ქალაქის მასას.

საბაზრო და საბაჟო გადასახადებს (octrois) სპეციალი დანიშნულება ჰქონდათ. მისი შემოსავალი ქალაქის საერთო ხარჯებს უნდა მოხმარებულიყო და ამ ნაწილს სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ქალაქის მცხოვრებთა ყველა კლასს მიეღო მონაწილეობა ამგვარ გადასახადებში, მაგრამ, მიუხედავად მისი ასეთი დანიშნულებისა, თავად-აზნაურობა და სამღვდლოება გაუბრუნდა მას და ცდილობდა ყოველთვის თავიდან აეცილებინა იგი. იმ ხანაში, რომელიც მხედველობაში გვაქვს, ალაგი ჰქონდა მრავალგვარ ბოროტმოქმედებას — არსებობდა ჩვეულება, რომლის ძალითაც თავისუფლდებოდნენ ხოლმე გადასახადისაგან (exemption) პრივილეგიების მქონე პირები და საერთოდ გავლენიანი წარჩინებული მოქალაქეები.

ბურგონის თავად-აზნაურობას და სამღვდლოებას კატეგორიული უაჩი განუტყხადებიანთ საქალაქო საბაჟო გადასახადების გადახდაში. ეს ჩანს ადგილობრივი ინტენდანტის წერილიდან. იგი 1666 წელს იწერება შემდეგს: „სამღვდლოებისა და თავად-აზნაურების წინააღმდეგობა უსათუძლოა, რადგანაც არავინ არ უნდა იყოს განთავისუფლებული იმ გადასახადებისაგან, რომელთა შემოსავალიც ქალაქის საერთო ხარჯების დასათარავად არის დაწესებული“³. „გადასახადებისაგან ამგვარი „განთავისუფლებანი“ „exemptions“ წარმოადგენს დიდ ბოროტმოქმედებას, რომელიც საუკროა ძირიან-ფესვიანად ამოფხვრილ იქმნეს“⁴ო სწერს მეორე ინტენდანტი მე-XVII-ე საუკუნის დასასრულს⁵. ქ. მულენის მერი და ეშვენები სთხოვენ მთავრობას შეცვლილ იქმნეს octrois სულობრივი გადასახადით „capitation“, რომელიც გაიწერებოდა გამოუკლებლივ უკვე ყველა მცხოვრებზე პროპორციონალურად ყოველი მათგანის ქონებისა⁶. მაგრამ, მიუხედავად ყთველივე ამისა, მაინც განაგრძობდა არსებობას ძველი წესი. მრავალი წარჩინებული მოქალაქე ეყრდნობოდა რა ზოგიერთ თავის პრივილეგიას ინთავისუფლებდა თავს გადასახადებისაგან. ასე ქალაქ Clermont-ში თავისუფალნი იყენენ ყოველგვარი გადასახადებისაგან — სამღვდლოება, თავად-აზნაურობა, „საფრანგეთის მოლარეები“ — „trésoriers de France“, პრეზიდიალი, წევრები არაპირდაპირი გადასახადების პალატისა⁶ და სხვა.

საბაზრო და საბაჟო გადასახადები საფრანგეთის ქალაქების შემოსავლის ერთ უმთავრესს დარგთაგანს წარმოადგენდა. ქალაქ ტურის შემოსავალი 1696

1) Boisliste, t. I. № 1577.

2) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 667.

3) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. p. 679 et 680.

4) Boisliste, „Cerr. des Contr. génér.“ t. I. № 988 ანალოგიურია № № 1184 და 1107.

5) Boisliste, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 988 ანალოგ № № 1184 და 1107.

6) Ibidem, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1194.

წელს უდრის 15,000 ლივრს ¹. ქ. რუანი 1689 წლამდე ჰკრეფს ყოველწლიურად octroisს სახით 20,000 ლივრს, ხოლო 1689 წლის შემდეგ — 13,000 ლივრს ². იმავე ხანებში ქ. Caen იღებს ყოველწლიურად 142,000 ლივრს ³ და სხვა.

მე-XVIII-ე საუკუნეში მარსელი იღებს ყოველწლიურად octroisს სახით 2,000,000 ლივრს, არლი — 45,000 ლივრს. Aix — 400,000 ლივრს, ტულოზი — 45,000 ლივრს, ქ. პარიზის მარტო საბაჟო გადასახადი აღწევს 36,000,000 ლივრს ⁴ და სხვა.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ქალაქების ბიუჯეტი უმთავრესად და ზოგჯერ კი განსაკუთრებით მხოლოდ ამგვარი გადასახადებით საზრდობდა. ქალაქებს დასკირდებოდათ თუ არა ფული რაიმე საჭიროებისათვის — იქნებოდა ეს ვალის ან სახელმწიფო გადასახადების გასტუმრება, თუ მთავრობის დავალებით ყაზარმების ანდა ციხეების აშენება — უპირველეს ყოვლისა თავის საქალაქო საბაზრო და საბაჟო გადასახადების დაწესებას მიმართავენ ხოლმე. თუ რა ხარჯებს ისტუმრებდნენ ქალაქები ამგვარი შემოსავლიდან, ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელსაც სწერენ ქ. დიუნკირხენის მერი და ეშვეენები კოლბერს, როგორც გენერალ-კონტროლერს. კოლბერს განუზრახავს შეემციკრებინა octrois აღნიშნული ქალაქისათვის და ეს უკანასკნელი კი სთხოვს მას დაუტოვოს octrois უცვლელად, რადგან იგი ქალაქის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, რომელიც სკირდება ნავთსადგურისა და ჯებირების შეკეთებას, ჯარის საჭიროებას, რომელიც დაბანაკებულია მის ტერიტორიაზე და სესხის პროცენტების გასტუმრებას, რომელიც აღწევს 40,000 ლივრს ⁵. გარდა აღნიშნულისა ქალაქები აშენებდნენ თავის თვითმართველობის „ოტელებს“ — „hôtel de ville“ ⁶, საავადმყოფოებს ⁷, გაჰყავდათ გზები, აშენებდნენ ხიდებს და ხშირი იყო ისეთი შემთხვევა როდესაც საინტენდანტო „ოტელის“ აშენება და შენახვა მთლიანად ქალაქის ხარჯზე წარმოებდა. ამგვარი საინტენდანტო ოტელები ქალაქებს უჯდებოდათ 100,000 ლივრიდან — 200,000 ლივრამდე ⁸. გარდა იმისა, რომ ქალაქებს უნდა გაეცათ ჯამაგირი მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის და შეენახათ სამოქალაქო

¹) Boisliste, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1530.

²) Ibidem, t. I. № 768.

³) Ibidem, t. I. № 226.

⁴) Necker, „De l'administration des finances“ t. I. p. 275.

⁵) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 664.

⁶) Boisliste, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 1843, 1784 et 1829.

⁷) Ibidem, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 442. ქ. მარსელი 1687 წელს გაიღებს 20,000 ლივრს საავადმყოფოს ასაშენებლად. ზოგიერთი ქალაქი მოაწყობდა ხოლმე ლოტერეას და შემოსავალს ანდომებდა საავადმყოფოების შენახვას ან და მის აშენებას, თუ იგი არ მოეპოვებოდა ქალაქს. ქ. ლიონი 1687 წელს მოაწყობს ლოტერეას 10,000 ლუდორის (louis) ლივრებზედ მისი თავისი საავადმყოფოს სასარგებლოდ. ibidem № 545.

⁸) Boisliste, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 1119, 1672.

მილიცია¹, მათ უნდა ეზრუნათ აგრეთვე სწავლა-განათლებლაზე², თვით ქალაქის შეღავათებაზე, მის კეთილმოწყობაზე³ და სხვადასხვა გვარ საქველმოქმედო საქმეზე⁴.

ჩვენ აღნიშნეთ ქალაქების შემოსავალი და მათი საკუთარი ხარჯები. როგორც ვთქვით, მოქალაქეები ვერ ასდიოდნენ ხსენებულ ხარჯებსაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი დატვირთულნი იყვნენ კიდევ მრავალგვარი სახელმწიფო გადასახადით და მრავალგვარი შემთხვევითი, განსაკუთრებული სახის ხარჯით, როგორც იყო „Présent“, „Pensions“ „Présents offerts au roi“⁵ და სხვა, რომლითაც მთავრობა უზომოდ უმძიმებდა ქალაქებს მათ უამისოდაც კრიტიკულ ნივთიერ მდგომარეობას,

სახელმწიფო პირდაპირ გადასახადს წარმოადგენდა „taille.“ მის შეწერა წარმოებდა იმ ქონებისა მიხედვით, რომელიც გააჩნდა მოქალაქეს. მე-XVII-ე საუკუნეში, ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს, თუ ბლომად მოიპოვებოდა ისეთი ქალაქი, რომელიც იხდიდა აღნიშნულ გადასახადს (villes taillables“), სამაგიეროდ ქალაქების კარგა საქმაო რიცხვი თავისუფალი იყო მისაგან. ასეთს ქალაქებს უწოდებდნენ — „villes non taillables“, „villes franches“. ლახვდოქში ასეთს villes non taillables“ს წარმოადგენდნენ: Villeneuve, Aigues-Mortes, Carcassone, Saint André⁶ და სხვა. ქ. დიეონი რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში თავისუფალი იყო taillesის გადასახადისაგან⁷. მაგრამ ცენტრალი მთავრობა ყოველთვის ცდილობდა შემცირებია ამგვარი ქალაქების რიცხვი, რათა გაედიდებინა თავისი შემოსავალი⁸.

Taillesის განაწილებას და აკრეფას აწარმოებდნენ თვით მუნიციპალიტეტის მოხელეები ან და ზოგჯერ თვით მოქალაქეები, მხოლოდ იმავე მუნიციპალიტეტის მოხელეების ზედამხედველობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ, როგორც ეს იყო ლანგედოქში, ოვერნიში და ბურგონში⁹. ზოგიერთ ქალაქში taillesის ასაკრეფად ირჩევდნენ განსაკუთრებულ „ამკრეფეებს“ („receveurs, trésoriers-collecteur“). ამ უკანასკნელთა არჩევანი თვით მუნიციპალიტეტის მოხელეებისაგან იყო დამოკიდებული. პიუიში და სანლრსში გადასახადების ამკრეფად თვით სკაბინები ინიშნებოდნენ¹⁰. ქ. ტულუზაში, ნ თვით კაპიტულები ჰკრეფდნენ აღნიშნულ გადასახადს ან და ამ საქმეს მიანდობდნენ ხოლმე თავიანთ მსახურებს¹¹.

1) გარდა მათი ჯამაგირისა ქალაქი ეწეოდა ხარჯებს მათ დასაჩუქრებაზე „gratification.“ ამ გვარ „დასაჩუქრებას“ ქალაქისაგან იღებდნენ ხოლმე აგრეთვე გადასახადების ამკრეფეებიც „collecteur“, „trésorier“. (Boislisle, „Corr. des contr. génér. t. I. № 578, 1537).

2) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 527. ქ. ლიონი 1686 წელს გაიღებს 2,000 ლივრს აკადემიის სასარგებლოდ. ქ. სენტ-ბრიოკი 1691 წელს გაიღებს 600 ლივრს კოლეჯის შესახად. (Ibidem. t. № 920.)

3) Ibidem, t. I. № 292. მონტობანი 1686 წლამდე ყოველწლიურად გაიღებდა ხოლმე 12,000 ლივრს ქალაქის კეთილ მოსაწყობად.

4) საბავშვო სახლებზე, უძღურთა და დაერდომილთა შენახვაზე — საერთოდ სოციალურ უზრუნველყოფაზე. (ibidem. t. I. № 1160 et 861).

5) იხ. გვ. გვ. 219—220.

6) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 661.

7) Ibidem, „Corr.“ t. I. № 133.

8) Babeau, Al. „La Ville.“ p. 232.

9) Boislisle, „Corr. des contr.“ t. I. № № 769, 1190, 1326 et 578

10) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1555.

11) Ibidem, „Corr.“ t. I. № № 875 et 721.

„Taille“-ს განაწილებაში მრავალ ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ მუნციპალიტეტის მოხელეები. ქალაქის მერები ყოველთვის ცდილობდნენ შეემცირებინათ ან და მთლად გაეთავისუფლებინათ აღნიშნული გადასახადისაგან თავისი ნათესავეები და მახლობელნი. ბურგონის მცხოვრებნი, მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში, უჩივიან თავიანთ მერებს tailles-ის განაწილებაში. ამის გამო მეფის საბჭომ 1666 წლის განკარგულებით tailles-ის განაწილება გადასცა „პრიულ-ომებს“ „prud'hommes,“ მაგრამ მერებს არ უნდოდათ დაეკარგათ თავისი პრივილეგიები და შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ¹. ამ მხრივ ოვერნის ინტენდანტი სწერს შემდეგს: „საშიშია, თუ აღნიშნული პრივილეგია შერჩებათ ქალაქის მერებს, რადგან ეს უკანასკნელი ათავისუფლებდნენ tailles-ის გადახდისაგან თავის ნათესავეებს“². ქ. Maringues-ის მერს უნდოდა შეენარჩუნებინა ხსენებული გადასახადის განაწილების უფლება, მაგრამ ინტენდანტმა მას ეს უფლება მოუსპო³. საერთოდ ინტენდანტები უსპობდნენ ქალაქების სამართველოს მოხელეებს აღნიშნულ უფლებებს, მაგრამ ზოგიერთ ქალაქში მათ მიანიც შეინარჩუნეს ხსენებული უფლება⁴.

Taille ძალიან მძიმე ტვირთად აწევებოდა ქალაქებს, განსაკუთრებით ლუდოვიკო მე-XIV-ს მეფობის ხანაში. თუ ჰენრიხ მე-IV-ს დროს საფრანგეთის მცხოვრებლები იხდიდნენ 14 მილიონ ლივრს ხსენებული გადასახადის სახით, ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს კი ეს უკანასკნელი უკვე 42 მილიონს აღწევს, ე. ი. იგი სამეცედება. მომეტებული ნაწილი ქალაქებისა იმდენად კრიტიკულ ნივთიერ. მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ვერ ისტუმრებდა ამ გადასახადს თავისი ჩვეულებრივი შემოსავლიდან და იძულებული იყო ან დაებეგრა პირველი მოთხოვნილების საგნები⁵ ან და ისევ სესხისათვის მიემართა⁶. ზოგიერთ ქალაქს მინიჭებული ჰქონდა უფლება თვითვე გამოეყიდა taille რამოდენიმე წლით ერთგვარი განსაზღვრული თანხის გადახდით „villes abonnées“⁷. ამონემენტის აღება სწარმოებდა მთავრობასთან შეთანხმებით. თვით მთავრობა საზღვრავდა, როგორც ამონემენტის ვადას, ისე იმ თანხის რაოდენობასაც, რომელიც უნდა გადაეხადა ამა თუ იმ ქალაქს ან ერთდროულად ან და ყოველწლივ. ხსენებული გადასახადის მაგიერად. ამონემენტის ტარიფს სახელდობრ თვით მეფის საბჭო იძლეოდა⁸. ქ. ტულუსს 1694 წელს გადაუხდია tailles-ის აბონემენტში 3,000 ლივრი⁹. ქ. Sarlat და Cognac იხდიდნენ 1689 წელს პირველი 300 ლივრს და მეორე 500 ლივრს¹⁰. ამგვარი პრივილეგიის მქონე ქალაქები,

1) Babeau, Al. „La Ville“. p. p. 232—233.

2) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1268.

3) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1267.

4) Ibidem, „Corr.“ t. I. № 133. მაგ. ქ. დიონში და სხვ.

5) Depping „Corr. adm.“ t. I. p. 658. Boislisle. t. I. № № 369, 1118 et 1394.

6) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 309.

7) ამგვარ ქალაქებს შეეძლოთ გამოეყიდათ არა მარტო taille, არამედ სხვა სახის გადასახადებიც, როგორც, იყო „capitation“ და სხვა.

8) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 449.

9) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1291.

10) Ibidem, „Corr.“ t. I. № 815. „Sarlat et Cognac sont des villes abonnées, la première à 300 l., la seconde à 500 l.“.

რასაკვირველია, იხდიდნენ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე დანარჩენი ქალაქები. ჩვეულებრივ პირდაპირ გადასახადებს ეკუთვნოდა აგრეთვე სულობრივი გადასახადი „capitation“, მეთოდი „dixième“ და სხვა. მაგრამ ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს განსაკუთრებულ მძიმე ტვირთად აწევებოდა ქალაქებს მრავალი არაპირდაპირი სახის გადასახადი, როგორც იყო გადასახადი მარილზე „gabelle“¹, შემდეგ „aides“, „droits“² და სხვა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აზნაურები და პრივილეგიის მქონე მოქალაქეები გაურბოდნენ ქალაქის საბაჟო და საბაზრო გადასახადებს,—„octrois“. ასევე იქცეოდნენ ისინი სახელმწიფო გადასახადების მიმართაც. ხსენებული კატეგორიის პირები ყოველთვის ცდილობდნენ თავიდან აეშორებინათ „taille“, „capitation“ და სხვა. ამისათვის ისინი მიმართავდნენ ხოლმე ყოველგვარ ზომას და საშუალებას. ასე ქ. მარსელში 900 აზნაური შეიძინეს „ecuyers“-ის („მეჯინიბის“ ტიტულია) სახელწოდებას, რომელიც ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. ამის

1) Depping, G. B. Correspondance administrative sous le règne de Louis XIV. t. I. p. 689. „Pétition des maire, échevins et syndics de Laval, à Colbert“ A Laval ce XXXI e octobre 1663.—„Mgr, si nous estions en estat de pouvoire aller implorer vostre justice et requérir avec instance dans une extrême nécessité vostre protection, nous sortirions en corps de nostre malheureuse ville, où quoy que ce soit n'ayant pas le moien de faire la moindre dépense, nous sommes réduitz à vous escrire es supplier de considérer que nostre communauté de Laval doit la somme de 600 mil livres, ce qui paroist par un procès-verbal de vérification de nos debtes arresté au conseil du roy; que nostre eslection, composée de 64 paroisses, petites en leur estendue, le fonds desquelles est ingrat, pour estre le pays presque tout en landes, chargé de bois et couvert d'eau, est toutesfois imposée à la somme de 232,500 tt pour la taille de la présente année, dont nous, qui sommes habitans des parroisses de la Trinité et de St-Vérand, portons la somme de 15,000 tt que nous payons, la somme de 162000 tt pour l'imposition du sel, dont nous portons 7,000 tt, 50,000 tt pour les aydes, 80,000 tt pour les traittes, et plus de 400.000 tt tant pour droit sur les toilles et cuirs, sur le vin en gros. redoublement. d'octroiz parisi et autres charges semblables. Cependant, Mgr. quoyque ces levées soient excessives, et qu'en aparence nous ne puissions pas nous en faire quittes tous les ans nous n'avons pas laissé jusques à présent d'y satisfaire en nous espuisant à la vérité; mais puisque aujourd'huy nous avons esté augmentez de 1,100 tt à la taille, et que souz l'authorité et le credit de M. Amelot, abbé d'Esvron, on s'efforce de rejeter sur lesdites deux paroisses 24 minots de sel pour en descharger d'autant les fermiers particuliers du temporel de ladite abbaye d'Esvron, il ne nous reste d'autres espérances que de vous toucher et esmouvoir à considération, Mgr. Nous avons encore plusieurs playes particulières que nous avons montrées à decouvert à M-rs les intendans comme le nombre des officiers qui remplissent nostre ville, sans porter leur part des charges publiques, la disette ou stérilité causée par les temps fascheux qui ont passé et continué, et enfin la notable diminution, pour ne pas dire cessation de nostre petit trafficq de toilles, toutes lesquelles choses, ne fussent—elles point considérées, il suffit de dire que nous sommes imposez trois fois plus que ne sont les habitans dudit Esvron et ceux qui font valloir les terres des environs, de manière qu'il n'y a aucune mesure ny proportion. Pensez donc, s'il vous plaist, Mgr, à faire un acte de justice en cette occasion, et nous demeurons obligez de prier Dieu pour vostre prospérité et santé“.

2) B a b e a u, Al. „La Ville“ p. 235.

შესახებ ინტენდანტი არნული სწერს 1666 წელს შემდეგს: — „მე ჯერ არასოდეს არ მინახავს ამდენი „მეჯინიბეები“ და ასე ცოტა ცხენები“-ო ¹.

ყოველსავე ამას ემატებოდა კიდევ ერთი ბოროტება — თვით მუნიციპალიტეტის მოხელეების ბოროტმოქმედება და მათ მიერ უთავბოლო წარმოება ქალაქის მეურნეობისა.

მუნიციპალიტეტის მოხელეები ვალდებულნი იყვნენ ყოველწლიურად წარედგინათ ანგარიშები, მაგრამ ეს სისრულეში მათ არ მოჰყავდათ. ქ. ტურის მცხოვრებნი 1698 წელს უჩივიან თავიანთ მერს და სკაბინებს, რომელთაც 25 წლის განმავლობაში არაერთი ანგარიში არ წარმოუდგენიათ. „ზოგიერთი მაგისტრათი სარგებლობს ამგვარი უწყისობითა და უკონტროლობით და საზოგადოების ქონების ნაწილი თავის ჯიბეში გადააქვს“-ო ² ჩივიან იმავე ქალაქ ტურის მცხოვრებნი. 1698 წელს ფრანშ-კონტეს მცხოვრებნი უჩივიან მუნიციპალიტეტის მოხელეებს, რომელთაც გაუფლანგავთ 9,000 ლივრი ქალაქის საბაჟო გადასახადების შემოსავლიდან ³. პონტ-ოლამერის მცხოვრებნი 1670 წ. უჩივიან აგრეთვე თავის მუნიციპალიტეტის მოხელეებს, რომელთაც 40 წლის განმავლობაში არაერთი ანგარიში არ წარუდგენიათ ⁴.

მუნიციპალიტეტის მოხელეები ბოროტად გამოიყენებდნენ ხოლმე აგრეთვე „პროცესებს“ „procès“ და „დეპუტაციებს“ „deputations“, რომელთაც არც ისე უკანასკნელი ადგილი ეკირათ ქალაქთა ფინანსების არევე-დაჩვენაში და დასუსტებაში.

„დეპუტაციები“ ეწოდებოდა იმ მივლინებებს, რომელიც ეძლეოდათ მუნიციპალიტეტის მოხელეებს გარეშე ქალაქ-სოფლებში, ჩვეულებრივად კი თვით პარიზში. ხშირად მოხელეები იგზავნებოდნენ სულ უმნიშვნელო საქმის მოსაწყისრიგებლად და ამგვარი მივლინებანი უჯდებოდა ქალაქს ძალიან ძვირად. მაგალითად ქ. ლონგვი ჰგზავნის დეპუტაციას პარიზში ბ. ბარბეზიოს შესახებ, რომელმაც მიაყენა შეურაცყოფა იმავე ქალაქის მუნიციპალიტეტის მოხელეებს ⁵. ქ. პუატიეს ინტენდანტი სწერს 1705 წელს შემდეგს: — „მართო დეპუტაციებზე დაიხარჯა 10,000 ლივრი“-ო ⁶. ქ. მარსელის კონსულებს, ალბერტ ბაბოს ცნობით, დაუხარჯავთ 5,700 ლივრი თავის მივლინებაზე ქ. ექსში, რომელიც მარსელიდან მხოლოდ 25 ვერსითაა დაშორებული ⁷.

¹) Depping, „Corr. adm“, t. I. p. 783. „Je n'ay jamais vu tant d'escuiers et si peu de chevaux“.

²) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1683.

³) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1802.

⁴) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1434.

⁵) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1602.

⁶) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1683. ანალოგ. №№ 1064 1128 და 1686.

⁷) B a b e a u, Al. La Ville“ p. 274. პროფ. არდაშევს მოჰყავს განსაკვირვებელი მაგალითი იმ მართალია ეს ცნობა ეკუთვნის უფრო შემდგომ ხანას. მაგრამ იგი ფრიად დამახასიათებელია საერთოდ მთელი ძველი რეჟიმისათვის. თურმე ქ. ლიონის „ვაჭართა მამასახლისი“ (მერი) ერთს ოფიციალ მივლინებიდან დაბრუნებული წარუდგენს თავის ქალაქს ანგარიშს 35,000 ლივრისას (А р д а ш е в. „Провинц. адм“. ტ. I. გვ. 516.).

ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ასეთი დეპუტაციები ხშირად ერთგვარ საბაბს წარმოადგენდა პარიზში გაესივრნათ ქალაქის ხარჯზე ან პირადი საქმეების მოსაგვარებლად ან და მხოლოდ პირადი სიამოვნებისათვის, რომელსაც ჰპოვებდა ყოველი პროვინციელი საფრანგეთის დედა ქალაქში—პარიზში. ამგვარი დეპუტაციები, რასაკვირველია, ფრიად საზიანო იყო ქალაქების ნივთიერი რესურსებისათვის ¹.

პირადი ინტერესები არ ეუცხოვებოდათ აგრეთვე იმ სამოსამართლო პროცესებსაც „procès“, რომელსაც აწარმოებდნენ ქალაქები. ამგვარი პროცესები იმ დროის მართლმსაჯულების სიძვირის გამო ძალიან ძვირად უჯდებოდათ ქალაქებს. ზოგჯერ „პროცესი“ ვატილებით ძვირად უჯდებოდა ქალაქს, ვიდრე თვით სარჩელი. ქ. მეცს, რომელიც 1695 წელს ედავებოდა ხორცის მოვაჭრებს 50 ლივრს, სამოსამართლო პროცესი დაუჯდა 3.000 ლივრი ². ამ რიგის შემთხვევები ხშირი იყო ლუდოვიკო მე-XIV-ის დროს და სწორედ ამიტომ სამუნიციპალიტეტო მოხელეების მიმართ, როგორც ეს იყო პროვანსში, ხშირად გაისმოდა უკმაყოფილება და ბრალდება „თემის მკამელნი არიანო“ „les mange-communes“ ³. მიუხედავად ასეთი საქციელისა მუნიციპალიტეტის მოხელეების მხრივ, ქალაქები მაინც ვალდებულნი იყვნენ მიერთეთ ხოლმე მათთვის „საჩუქრები“ „présents“ ან ნატურით ან და ფულად. ამგვარი საჩუქრები უნდა გაეცათ ქალაქებს აგრეთვე გუბერნატორებისათვისაც და საერთოდ უმაღლეს საადმინისტრაციო პირებისათვის ⁴. საჩუქრებს მაშინ უყურებდნენ ისე, როგორც მუნიციპალიტეტის მოხელეების შემოსავლის ერთ დარგთაგანს ⁵ და არა ისე, როგორც ქრთამს. მართალია, იგი ძველ ადათს წარმოადგენდა, მაგრამ მე-XVII-ე საუკუნეში, როდესაც გაფართოვდა წრე იმ პირთა, რომელთაც ქალაქები მიაართმევდნენ ხოლმე საჩუქრებს, ხსენებული ადათი ძალიან საზიანო აღმოჩნდა ქალაქების ნივთიერი მდგომარეობისათვის ⁶. საჩუქრები ფულად ქალაქის მხრივ ეძლეოდათ აგრეთვე გუბერნატორისა, ეპისკოპოსისა და ინტენდანტის მოსამსახურეებსაც. მაგალითად, ქ. ლიონი 1684 წელს გაიღებს 1,888 ლივრს არქივის-ეპისკოპოსის მოსამსახურეების დასაჩუქრებლად და 201 ლივრს ინტენდანტის მოსამსახურეებისათვის ⁷.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ლუდოვიკო მე-XIV-ე დაავალბდა ხოლმე ამა თუ იმ ქალაქს გაეცა განსაზღვრული თანხა იმ პირთათვის, რომელთაც მეფე დაუსახელებდა. ფულის ასეთს ვაცემას უწოდებდნენ „pension“-ს. 1699 წელს მეფე დაავალბებს ქ. ლიონს მისცეს თავის შემოსავლიდან 300,000 ლივრი მარ-

¹) Clément, Colbert. Lettres, Instructions, mémoires“ Paris. t. II. p. 17. კობლერი ერთს თავის წერილში 1652 წლის 6 ნოემბერს სწერს: Il n'y a rien qui ruine tant les villes que les députations qu'elles veulent toujours faire par des intérêts particuliers“.

²) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 1743 et 1862, ანალოგ. № № 1170. 1738, 1807 et 1809.

³) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 646 იხ. აგრეთვე მისივე Introduction p. XXXVII.

⁴) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1557.

⁵) Babeau, Al. „La Ville.“ p. 127.

⁶) Ibidem, „La Ville.“ p. 212.

⁷) Boislisle, t. I. № № 1501 et 1694.

შალს ვილერუას ¹. იმავე მარშალს ვილერუას მეფისევე ბრძანებით ქ. ლიონი 1713 წელს აძლევს ისევე 300,000 ლივრს ².

ქალაქები ვალდებულნი იყვნენ გაეღოთ „საჩუქრები“ ფულად მეფისთვისაც. ასეთს საჩუქრებს ეწოდებოდა „présents offerts au roi,“ ან და მარტივად— „don gratuit“—ნებაყოფლობითი საჩუქარი, ზღვენი. 1689 წელს ქ. Nantes გასცემს მეფეს „don gratuit“-ს სახით—50,000 ეკიუ-ს, ქ. Vannes—100,000 ეკიუ-ს, ქ. Saint-Malo—50,000 ეკიუ-ს, Morlaix—100,00 ეკიუ-ს ³. და სხვა. მაგრამ ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს ამ გვარ საჩუქრებს აღარა ჰქონდათ ნებაყოფლობითი ხასიათი. ეს ჩვეულება ჯერ ისევე საშუალო საუკუნეებიდან არსებობდა ⁴. მაგრამ მე-XVII-ე საუკუნეში იგი უკვე სავალდებულო წესად გადაქცეულა. მართალია, 1689 წელს გენერალ-კონტროლერი განუმარტავს ინტენდანტებს: „მის უდიდებულესობას სურს „საჩუქრები“ ვალდებულ იქმნეს ქალაქების მიერ ნებაყოფლობით და არა იძულებით“ ⁵, მაგრამ მიუხედავად ამისა ინტენდანტები იმავე წელს დაბეჯითებით მოუწოდებენ ქალაქებს გაიღონ don gratuit და, რა რომ წააქეზონ ეს უკანასკნელნი, ჰპირდებიან მათ სხვადასხვა გვარ შეღავათს. ინტენდანტების ამგვარ საქციელს ხშირად წმინდა აფერისტული ხასიათი ჰქონდა, რადგანაც თავისი დაპირების შესრულებას ისინი სერიოზულად არც კი ფიქრობდენ. ქ. მარსელის მუნიციპალიტეტის მოხელეებმა გადაწყვიტეს გაეღოთ მეფისთვის საჩუქრად 400,000 ლივრი იმ იმედით, რომ მათ მიეცემოდათ ერთგვარი პრივილეგიები, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ და ორი წლის შენდევ იმედ-გაცრუებულნი საშინლად ჰკიცხავდენ ინტენდანტს, რომელიც მათ პრივილეგიებს ჰპირდებოდა ⁶. შემდეგში ამგვარი „საჩუქრები“—„présents“, როგორც უკვე ნათქვამი იყო, თანდათანობით იძულებით ხასიათს მიიღებს და ცენტრალი მთავრობის ერთ-ერთ საექსპლოატაციო დარგად გადაიქცევა. ქ. ბაიონის ორი ბურჟუა დაპატიმრებულ იქმნა და ჩასმულნი კარცერში მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე არ ჰქონდათ გაცემული მეფისათვის 10,000 ლივრი don gratuitის სახით ⁷. გარდა ამისა ქალაქებს უნდა გაეღოთ „საჩუქრები“ „présents“ ერთგვარ განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში—როგორც იყო მეფის ქორწილი ან და მისი ტახტზე ასვლის დღე ⁸ და სხვა. თუ ქალაქებს არ მოეპოვებოდათ შესაფერისი თანხები ხსენებული ხაჯების დასაფარავად, მაშინ ისინი მიმართავდენ ხოლმე, რასაკვირველია, თვითვე ცენტრალი მთავრობის დასტურით, ან უკვე არსებულ საბაჟო გადასახადების (octrois) გაორკეცებას

¹) Boislisle, „Corr.“ t. I. № 1112.

²) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1102.

³) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 177,578. იბ. № 640 იბ, № № 1501 და 1536.

⁴) Babeau, Al. „La Ville“, p. 228.

⁵) Ibidem, La Ville.“ p. 229.

⁶) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № № 979,672,673 et 686.

⁷) Depping, „Corr. adm.“ t. I. Introduction p. XXXV.

⁸) Babeau, Al. „La Ville“ p. 230,

„doublement,“ ან ახალი საბაჟო გადასახადების დაწესებას ¹, ან და დროებით დაიბეგრადნენ ხოლმე თავს სპეციალი გადასახადებით „taxes locales“.

ქალაქების ნივთიერად შევიწროებულ მდგომარეობას, მე-XVII-ე საუკუნის დამლევს, მთავრობა დაუმატებს კიდევ ერთს საშინელ უცნაურ გადასახადს. იგი სამუნიციპალო თანამდებობებს თავისუფალ საეპრო ობიექტად გადააქცევს, რომლიდანაც მთელ შემოსავალს თვითონ დაისაკუთრებს ². ამიტომაც, რომ ლულო-ვიკო მე-XIV-ს დროს ხშირად გაისმის მოქალაქეთა უკმაყოფილება მთავრობისადმი, რომელიც აგრეთვე ხშირად აშკარა ამბოხების ხასიათს იღებს ³.

ის მრავალგვარი გადასახადი, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, უზომოდ ტვირთავდა საკომუნალო ბიუჯეტს და აიძულებდა ქალაქებს მიემართათ სესხისათვის. ამიტომაც, რომ მე-XVII-ე საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში, ჩვენ ვხედავთ საფრანგეთის ქალაქებს უზომოდ დავალიანებულებს. „ჩვენ შეუწყვეტლივ ვმუშაობთ ქალაქების დავალიანების გამოსარკვევად, სწერს ინდენტანტი Bouchu კოლბერს 1663 წელს, ამ ეამად ჩვენ ვარკვევთ ქ. ბონის ვალებს; ქალაქების დავალიანება უზომოა და მათი ვალები განსაკვიფრებელ თანხებს აღწევს; იმ ანგარიშებიდან, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს, ჩანს, რომ ქ. დიჟონის ვალი აღწევს 500,000 ლივრს, სემიურის ვალი აღწევს 400,000 ლივრს და თვით ქ. ბონის ვალი კი აღემატება 600,000 ლივრს, თუ ამავე დროს მხედველობაში არ მივიღებთ tailleსაგან დაჩრჩილ გადაუხდელ ნაწილს“ ⁴. ქალაქების ამგვარ დავალიანებას ხსენებული ინტენდანტი Bouchu ხსნის ომიანობისაგან გამომწვეული გარემოებით, მაგრამ ამავე დროსვე აღნიშნავს იმასაც, რომ არა ნაკლები როლი მიუძღოდათ ქალაქების დავალიანებაში თვით მუნიციპალიტეტის მოხელეებს, რომელნიც უთავბოლოდ აწარმოებდენ საკომუნალო მეურნეობას და ბოროტად იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს. შამპანის ინტენდანტი უჩივის შალონის მაგისტრატს, რომლისგანაც მან ჯერ ვერ შესძლო ანგარიშების მიღება. მისი სიტყვით საერთოდ ძნელია შალონის ფინანსების გამორკვევა, რადგან მუნიციპალიტეტის მოხელეებს საიდუმლოდ პირი ჰქონიათ მიცემული ადგილობრივ ვაჭრებთან octrois შესახებ და ერთი მეორეს ჰფარავენ. ასევე უჩივის იგი ვიტრის მაგისტრატს ⁵.

პროვანსის ინტენდანტის ცნობით პროვანსის ქალაქების ვალი უდრის 23 მილიონს ლივრს. იგიც ბრალსა სდებს ქალაქების ამგვარ დავალიანებაში მუნიციპალიტეტის მოხელეებს, გადასახადების ამკრეფავენ და ზოგიერთ ადმინისტრატორს ⁶. მომეტებული ნაწილი ქალაქებისა ვერც კი ისტუმრებდა თავისი ჩვეულებრივი შემოსავლით ვალის პროცენტებსაც კი, მაგალითად უკვე ხსენებული ქ. ბონის წლი-

¹) Boisliste, „Corr. des. contr. g n r. t. I. N  1107,1511 et 1802, — „octrois“-თა მომეტებული რიცხვი მოკლე ვადიანია. ვადის საშუალო რიცხვი 10 წელიწადია—იშვითად სამ წელზე ნაკლები და არასოდეს 20 წელზე მეტი.

²) იხ. თავი V.

³) Depping, t. I. p. p. 763,900,908 და სხვა.

⁴) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 666.

⁵) Ibidem, „Corr, adm.“ t. I. p. 750.

⁶) Boisliste, „Corr. des. contr. g n r.“ t. I. N  476.

ური შემოსავალი უდრიდა 17,000 ლივრს და მისი ვალი კი თითქმის 600,000 ლივრს აღემატებოდა ¹, ე. ი. ოცდათხუთმეტჯერ მეტი იყო წლიურ შემოსავალზე. რასაკვირველია, ბონის წლიური შემოსავალი ვალის პროცენტებსაც კი ვერ გაისტუმრებდა. ვალის გაუსტუმრებლობისათვის პირადად პასუხს აგებდნენ მუნიციპალიტეტის მოხელეები და ამის გამო ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ბევრი მათგანი ციხეში ამოჰყუოდა ხოლმე თავს. 1651 წელს ერთი სკაბინი ჩასმულიქმნა ციხეში ქალაქის კრედიტორის საჩივრის გამო ². 1650 წელს, როგორც ეპოქის საადმინისტრაციო მიწერ-მოწერიდან ჩანს, კრედიტორებს აღუძრავთ სამოსამართლო პროცესი იმ ოცდაათი მერისა და ეშვეენების ოჯახების წინააღმდეგ, რომელთაც ჯერ ისევ სიცოცხლის დროს არ გაესტუმრებინათ მათი (კრედიტორების) ვალები ³. ზოგჯერ პასუხისმგებლობას თვით მოქალაქეებს აკისრებდნენ ხოლმე; ასე ქ. ბეტუნის მცხოვრებნი 1664 წელს აღარ სცილდებოდნენ თავისი ქალაქის საზღვრებს, რადგან ეშინოდათ დაპატიმრებისა კრედიტორების ნბრივ ⁴. მაგრამ უმთავრესად კი თვით მუნიციპალიტეტის მოხელეები აგებდნენ პასუხს ვალების გაუსტუმრებლობაში. 1695 წელს დაპატიმრებულ იქმნენ მაკონის სკაბინები და მათი ქონება იქმნა აღწერილი; სკაბინები განთავისუფლდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქმა გადაიხადა ვალი ⁵. მართალია, საკომუნალო ფინანსების დასუსტებაში ერთგვარი როლი მიუძღვოდათ სამუნიციპალო მოხელეებსაც, როგორც ამას აღნიშნავენ ინტენდანტები თავიანთ მოხსენებებში, მაგრამ უმთავრესად კი თვით ცენტრალი მთავრობა იყო დამნაშავე ქალაქების ასეთს გადატაკებაში, მხოლოდ ამ უკანასკნელს ინტენდანტები ვერ აღნიშნავდნენ ან და არ აღნიშნავდნენ თავიანთ მოხსენებებში. ჩვენ კი ზემოთ დავიხატეთ, თუ რა მძიმე ტვირთად აწვა ქალაქების ბიუჯეტს სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, შემდეგ მთავრობის მიერ დავალებული „პენსიონები“, მრავალგვარი „don gratuit“, „gratification“ და სხვა. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა საფრანგეთის ქალაქებს, ცენტრალი მთავრობა კი არ ფიქრობდა გადასახადების შემცირებას მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ მათ ჩვეულებრივ ხარჯებსაც კი ვერ ჰფარავდა. ამიტომ ქალაქების ფინანსიური მდგომარეობა ლუდოვიკო მე-XIV-ს დროს პირდაპირ კატასტროფული იყო. როგორც ეპოქის საისტორიო საბუთებიდან ჩანს, 1692 წელს ქ. არლის ვალები აღწევდა 1,000,000 ლივრს ⁶, ქ. მარსელის ვალი აღწევდა 1,500,000 ლივრს, ტარასკონისა— 600,000 ლივრს ⁷, ეკსისა— 1,700,000 ლივრს ⁸ და სხვა. თუ რა წერტილამდე ასულა ზოგიერთი ქალაქის კრიტიკული ნივთიერი მდგომარეობა, ეს ჩანს ქ. რუანის

1) Avenel, „Richelieu et la monarchie absolue“ t. IV p. 281.

2) Depping, „Corr. adm.“ t. I. p. 725.

3) Ibidem, „Corr. adm.“ t. I. Introduction p. XXXII.

4) Babeau, Al. „La Ville.“ p. 230.

5) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1665.

6) Boislisle, „Corr.“ t. I. № 1111,

7) Boislisle, „Corr. des contr. génér.“ t. I. № 1111.

8) Ibidem, „Corr.“ t. I. № 1427.

მაგალითიდან. ქ. რუანის ეშვეენები სთხოვენ კოლბერს უკანვე გაიწვიოს ის ექიმი, რომელიც შავ-ჭარიანობის დროს გაუგზავნია მათთვის მთავრობას. როგორც ეშვეენების მოხსენებიდან ჩანს, ქ. რუანი იმდენად უსახსროა ნივთიერად, რომ მას არა აქვს არაერთი საშუალება შეინახოს ექიმი და ამის გამო ქალაქი რჩება უექიმიოდ ¹. ქ. რუანის მდგომარეობა, მართალია, ვერ ჩაითვლება საერთო მოვლენად, მაგრამ იგი არც გამონაკლისია.

ფინანსების დასუსტებამ გამოიწვია არა მარტო განსაცვიფრებელი დავალიანება ქალაქებისა, შექმნილმა გარემოებამ მათ ხელიდან გამოაცალა აგრეთვე მათი პატრიმონიალი ქონებაც, რადგან ყოველ იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ქალაქებს დასჭირდებოდათ ფული, ეს უკანასკნელნი მიმართავდნენ ხოლმე, გარდა სესხისა, აგრეთვე თავისი პატრიმონიალი ქონების განსხვისებასა, გაყიდვას ².

მიუხედავად ქალაქების ასეთი კრიტიკული ნივთიერი მდგომარეობისა მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობდა ფეხზე წამოეყენებინა ქალაქების ფინანსები და მოეწესრიგებინა მათი სამეურნეო საქმეები, როგორც ამას ამტკიცებს პროფ. არადაშევი ³.

მართალია, თვით კოლბერს—პროტექციონისტს ეტყობა ერთგვარი განზრახვა განტვირთვის ქალაქები აუარებელი ვალისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ მის *pia desideria*-დ შეიძლება ჩაითვალოს და არა მე-XVII, XVIII-ე საუკუნის მთავრობის საერთო პოლიტიკის მიმართულებად. ცენტრალი მთავრობა, ისე როგორც მისი ადგილობრივი აგენტები, არც კოლბერამდის და არც მის შემდეგ, სრულიადაც არ იზიარებდნენ მის გეგმებს და მის პოლიტიკას ქალაქების მიმართ. თვით კოლბერის მზრუნველობის კეთილი განზრახვანიც კი ქალაქებისადმი ნაკარნახევი იყო არა იმდენად თვით ქალაქების ინტერესებით, რამდენადაც მთავრობის ან და, უკეთ რომ ვთქვათ, ხაზინის ინტერესებით. მას კარგად ესმოდა, რომ სახალხო მეურნეობის კეთილდღეობა ქვაკუთხედი იყო თვით სახელმწიფოს ნივთიერი მდგომარეობისათვის. იგი ამას კარგად გრძნობდა და უფლიდა სახალხო მეურნეობას იმდენად მაინც, რამდენადაც ამას თვით სახელმწიფოს ფინანსების გამოსწორების სურვილი უკარნახებდა. მაგრამ ასეთს შეგნებასაც კი მოკლებული იყო საფრანგეთის მთავრობა შინაური პოლიტიკის საერთო მიმართულებაში. როგორც ცენტრალი, ისე ადგილობრივი ადმინისტრაცია მოკლებული იყო იმ ელემენტარულ ალღოს, რომელიც ჩვეულებრივად შესწევს ყოველ ცოტად თუ ბევრად გონიერს მეპატრონეს, მეურნეს მიმართ თავისი ცოცხალი ინვენტარისადმი.

თვით კოლბერის დროს სულ გულახდილად სწერს მასვე ლანგედოკის ინტენდანტი შემდეგს: „ფული ისე იშვიათია ქ. ტულუზში, რომ საჭიროა შემოღებული იქმნეს თანამდებობების გაყიდვა და მათი იძულებითი შექმნა, რომ ამ საშუალებით მაინც შეეძლოთ წავგლიჯოთ რამოდენიმე ასიოდე ლივრი ხსენებულ

¹) Depping, Corr. adm. t. I. p. 802.

²) Boislie, „Corr. des contr. gencr.“ t. I. nb. № 1396, nb. 1572 და 1653.

³) Ардашев, „Провини. адм.“ т. I. гл. 554.

ქალაქს¹ ინტენდანტის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ფინანსიურ კრიზისს განიცდიდნენ ქალაქები მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევარში; აქედანვე ჩანს, თუ როგორ აზროვნობდა საფრანგეთის ადმინისტრაცია თვით კოლბერის დროსაც კი და თუ რა ზრახვებით იყო გამსჭვალული მთავრობა ქალაქების მიმართ.

ინტენდანტის სიტყვები ფულის ძალით „წაგლეჯის“ შესახებ ქალაქის შემოსავლიდან მჭერმეტყველურად ახასიათებს მე-XVII-ე საუკუნის მთავრობის გახსნილ მადას ქალაქების საექსპლოატაციოდ, მაგრამ ამ უკანასკნელს მხოლოდ კოლბერის სიკვდილის შემდეგ და მიეცემა თავისუფალი გასაქანი. ხსენებული ინტენდანტის სიტყვები თავის პირველს განხორციელებას მე-XVII-ე საუკუნის დამლევის ჰპოვებენ, სახელდობრ 1692 წლის ედიქტში. ცენტრალი მთავრობის საექსპლოატაციოდ გახსნილი მადა კი ფართოდ ფრთას გაშლის და ცხად ჰყოფს თავის „ფისკალ“ გენიალობას მხოლოდ მე-18-ე საუკუნეში, რაიცა შემდგომი (მე-V-ე) თავის საგანს შეადგენს.

¹) *Bolsislis*, „*Corr. des contr. génér.*“ t. I. ob. № 881.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიიდან.
(გამგე პროფ. ი. ბერიტაშვილი)

ხერხემლიან ცხოველთა ქცევის უღარეხიანი შესწავ- ლისთვის.

მოსხმება I.

ი. ბერიტაშვილი.

ჩვენი პრობლემა და პირველი უღებები.

ხერხემლიან ცხოველთა ქცევის შესახებ ცოდნათა მდგომარეობა დღეს ისეთია, რომ არავის შეუძლიან შეიტანოს ექვი იმაში, რომ ქცევის ელემენტები წილობრივ თანშობილ რეფლექსებს წარმოადგენენ, რომელნიც დამოკიდებულნი არიან ცენტრალური ნერვული სისტემის თანშობილ ორგანიზაციაზე, ხოლო წილობრივ კიდევ ინდივიდურად მოპოვებულ რეფლექსებს ეკუთვნიან, რომელნიც ვითარდებიან თანშობილთა ნიადაგზედ ცხოველის ინდივიდური გამოცდილებით. თავისი გარეგნული გამოხატულებით ქცევის თანშობილი ელემენტი არსებითად არ ირჩევა ინდივიდური ელემენტიდან. ამიტომ მოზრდილ ცხოველზე ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ელემენტი ეკუთვნის თანშობილს და რომელი ინდივიდურს. ძნელია იმიტომ, რომ მრავალი თანშობილი ელემენტი ცხოველს გამაჩნდება დაბადებიდანვე კი არა, არამედ ორგანიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. რასაკვირველია, მალე დაბადების შემდეგ ცხოველის ყველა რეფლექსური რეაქცია თანშობილთ ეკუთვნის, მაგრამ ზოგჯერ პირველ დღიდანვე, ზოგჯერ რამდენიმე დღის შემდეგ თანშობილთ ერთიან ინდივიდური რეაქციებიც. ამასთან ერთად ინდივიდური ელემენტები ისე გადაებმიან თანშობილთ, რომ ცხოველის მოძრაობათა ანალიზის საშუალებით შეუძლებელია დანამდილებით გამოარკვევა იმისა, თუ ქცევის რომელი ელემენტი თანშობილია და რომელი ინდივიდური. ცხოველთა ზრდა-განვითარებისას ინდივიდური ელემენტების სფეროც ზრდა-განვითარებას განიცდის. აქედან გამომდინარეობს ერთი მნიშვნელოვანი დებულება ქცევის მკვლევარის წინაშე: ქცევის შესწავლა და მის ელემენტთა შემადგენლობის გამოარკვევა უნდა წარმოებდეს დაბადებისას და მის შემდეგ განვითარების ყველა საფეხურზე.

სხვადასხვა ხერხემლიან ცხოველთა ქცევა თანაბარი ხასიათისა და შემადგენლობისა არ არის. თვითეულ მოდგმას აქვს თავისებური ქცევა. როგორც თავისი მთლიანი სახით, ისე შემადგენელი ნაწილებით ერთი მოდგმის ქცევა ირჩევა მეორისაგან. ამასთან ერთად, რასაკვირველია, ცვალებადობს ინდივი-

დურ და თანშობილ ელემენტთა სფეროც. უნდა მოველოდეთ, რომ რაც უფრო მეტად არის განვითარებული ცხოველი ფილოგენეტიკურად, მით უფრო დიდი უნდა იყოს ინდივიდური სფეროს მნიშვნელობა ცხოველის ყოფა-ქცევაში. ცხადია, ერთი ცხოველის ქცევის შესწავლისას შეუძლებელია დასკვნა გავაკეთოთ საზოგადოდ ცხოველებზე. უსათუოდ თვითეული მოდგმა ცალკე უნდა იყოს შესწავლილი. აქედან გამომდინარეობს ქცევის მეორე ამოცანა: ხერხემლიან ცხოველთა ფილოგენეტიკური განვითარების თვითეული საფეხური ქცევის მიმართ ცალკე უნდა იყოს შესწავლილი.

ქცევის თანშობილი ელემენტების შედარებითი ექსპერიმენტული შესწავლა უკვე თითქმის ასი წელიწადია რაც წარმოებს. ამ უკანასკნელი ორმოცდათი წლის განმავლობაში ხომ იგი ფიზიოლოგთა კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ საგნად ითვლებოდა. ამასთან თანშობილ რეაქციათა კვლევა წარმოებდა არა მარტო ლაბორატორიულ ცხოველებზე, არამედ სხვა მრავალნაირ მოდგმის ცხოველებზედაც. ასე იყო აღმოჩენილი და განმტკიცებული ცენტრალური ნერვული სისტემის რეფლექსური მოქმედების ცნობილი კანონები. ხოლო რაც შეეხება ქცევის ინდივიდური ნაწილის შესწავლას და ამასთან ერთად ცენტრალური ნერვული სისტემის ინდივიდური მოქმედების კანონ-შეწონილობათა გამოკვლევას, ეს სულ ახალი საქმეა. ინდივიდური მოქმედების სისტემატური შესწავლა დაიწყო ამ ოცდა ხუთი წლის წინეთ თითქმის ერთსა და იმავე დროს რუსეთსა და ამერიკაში. ამასთან ჯერჯერობით მთელი კვლევა ძიება უმთავრესად უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებზე წარმოებდა, როგორც არის ზღვის გოქი, თეთრი ვირთაგვები, ძალი და მიმუნდი. ინდივიდურ ელემენტთა შედარებითი შესწავლისთვის დღემდე თითქმის სულ მცირე რამ გაკეთებულა. არსებობს რამდენიმე დაკვირვება თევზებზე [ფრაილი 1], საკმარისად დაწვრილებითი გამოკვლევა ფრინველებზე [კოპოვი 2, ბერიტაშვილი 3, ზავადოვსკი და როხლინა 4, Ten Cate 5]. რეპტილებზე, ამფიბიებზე სათანადო კვლევა-ძიება სრულიად არ წარმოებულა; ბაყაყებზედაც კი არ წარმოებულა ასეთი დაკვირვება. უმაღლეს ძიქუ-მწოვარ ცხოველებზედაც ნაკლებად არის ინდივიდური მოქმედება შესწავლილი მეტადრე ფიზიოლოგიური თვალთა-ხედვით. მაგ. შინაურ კურდღლებზე. ამ ლაბორატორულ ცხოველებზედაც კი გამოკვლევა არ ყოფილა. მხოლოდ ზღვის გოქები და თეთრი ვირთაგვები იყვნენ შესწავლილი დაწვრილებით საზოგადოვარეთ, მაგრამ ეს შესწავლაც წარმოებდა ქცევის ფიზიოლოგიური ბუნების გამოურკველად (Bussard 6 T. Vacek 7, Liu 8, Helson 9 Muenzinger 10. ამას გარდა უმეტეს წილად ამ გამოკვლევებში არ არსებობდა შედარებითი შესწავლის მიზანი. და რადგანაც კვლევა-ძიება წარმოებდა სხვადასხვა ლაბორატორიაში სხვადასხვა მეთოდით, ცხადია მიღებული მასალიდან სულ ცოტა რამ შეიძლება დავასკვნათ ხერხემლიან ცხოველთა შედარებითი ინდივიდური მოქმედების შესახებ.

ჩვენ მიზნად დავისახეთ დავეუვათ ნამდვილი საუძველი ცხოველთა ინდივიდური მოქმედების შედარებით შესწავლას და მით ქცევის მეცნიერული გამოკვლევა უფრო მაღალ დონეზე დავაყენოთ, ვიდრე აქამომდე იყო. ჩვენი მთავარი პრობლემა მდგომარეობს ერთის მხრივ იმაში, რომ აწეწოთ ინდივიდური რე-

ფლექსები, მათი განვითარებისა და გამოწვევის პირობები; მეორე მხრივ, იმაში, რომ ამასთან ერთად გამოვარკვიოთ ცენტრალური ნერვული სისტემის ინდივიდური მოქმედების თავისებური კანონზღვრულობანი, რომელთაგანაც დაზოკიდებულია ინდივიდური რეფლექსების განვითარება, დიფერენციაცია, ცვლადობა, სიმტკიცე და სხვა ინდივიდური მოვლენა.

პირველ ყოვლისა ჩვენ საცვლელ ობიექტად ავიყვანეთ ლაბორატორული ცხოველები, როგორც ბაყაყი და შინაური კურდღელი. ორივე ცხოველი, როგორც აღვნიშნეთ, არ არის ამ მხრივ გამოკვლეული. ბაყაყებზე ინდივიდურ მოქმედებას შეისწავლიდა ნ. ბერულავა. იგი აწარმოებდა ცდებს ან აკვარიუმში, ან სპეციალურად მომზადებულ გალიაში, რომლის ძირზედაც გაბმული იყო მავთული ცხოველის ელექტრული გალიზიანებისათვის. ბაყაყებზე შეისწავლიდა დაცვის ინდივიდური რეფლექსების განვითარებას სხვადასხვა სიგნალებზე. დაცვის ძირითადი რეფლექსი იწყვეოდა ელექტრული გალიზიანებით.

შინაურ კურდღლებზე მუშაობას აწარმოებდა ა. ბრეგაძე. ცდა წარმოებდა რკინის გალიაში. შეისწავლებოდა როგორც კვების მამოძრავებელი ინდივიდური რეფლექსი, ისე დაცვის რეფლექსები. დაწერილებით მეთოდის შესახებ როგორც ბერულავას, ისე ბრეგაძის ცდებისა იხილეთ მათ მოხსენებაში.

ამასთან ერთად ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ძალის ლეკვებზე იმის განოსაკრვევად, თუ რანაირად ვითარდებიან ინდივიდური რეფლექსები და საზოგადოდ რა ნაირია ქცევის ინდივიდური შემადგენლობა ინდივიდის ზრდა-განვითარებას სხვადასხვა საფეხურზე. აყვანილი იყო საცდელად ლაბორატორიაში დაბადებული ლეკვები ზოგი თვალების ახილვის დღიდან, რომელიც მე 10-12 დღეზე ხდებოდა, ზოგი დაბადებიდან 20-23 დღისა და ზოგიც 30 დღისა. ამ ცდებს აწარმოებდა შ. თოფურიას. ამ ცდებში ცხოველი მოქცეულია მრგვალ შემოფარგლულ მაგიდაზე, რომელზედაც ვითარდებოდა დაცვის ინდივიდური რეფლექსები. დაწერილებით იხ. თოფურიას შრომაში.

ჩვენს მეთოდისას აქვს ერთი თავისებურება, რომლითაც იგი არსებითად ირჩევა აკად. ივ. პავლოვისა და ვლ. ბებტერევის მეთოდებიდან. ჩვენს ცხოველებს ჰქონდათ შესაძლებლობა ადგილიდან თავისუფლად გადანაცვლებისა. ამიტომ ქცევის გარეგნული გამოხატულობა არ იყო რამენაირად დამახინჯებული, შეზღუდული ან გამარტივებული, როგორც ამას ალაგი აქვს პავლოვისა და ბებტერევის მეთოდით წარმოებულ ცდებში: ცხოველი მიბმულია ერთ ალაგას, მას არ შეუძლია ადგილი ინაცვლოს; ამასთან ექსპერიმენტატორი რეგისტრაციას უშვრება ან მხოლოდ ნერწყვის სეკრეციას, ან მხოლოდ კიდურების მოძრაობას. ჩვენს ცდებში კი ექსპერიმენტატორი შეისწავლიდა ცხოველის ბუნებრივ ქცევას მთელი თავისი მთლიანობით.

ამ კვლევა-ძიებას მხოლოდ ორი წელიწადია რაც ვაწარმოებთ. ამ პოკლე ხანში ჩვენ უკვე მივიღეთ იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგები, რომ საჭიროდ ვცანით სათანადო გამოკვლევათა სერიის გამოქვეყნება.

აღნიშნული თანამშრომლები თავიანთ მოხსენებებში იძლევიან მუშაობის მთლიან სურათს ფაქტური მასალითა და თეორიული ანალიზით. მე კიდევ აქ

აღვნიშნავ იმ შედეგებს, რომელნიც გამომდინარეობენ ამ შრომებიდან ქცევის შედარებითი შესწავლის მიმართ.

პირველად ყოვლის აღმოჩნდა, რომ უმდაბლესი ძუძუ-მწოვარი ცხოველი, როგორც შინაური კურდღელი, უფრო მეტად განირჩევა ინდივიდური მოქმედების მიმართ უმაღლეს ძუძუ-მწოვარი ცხოველიდან, როგორც ძალი, ვიდრე ფრინველიდან, როგორც მტრედი. კვების ინდივიდური რეფლექსი, ე. ი. ინდივიდურ სიგნალზე, მაგ. ბგერაზე კვების ალაგთან მისვლა, ვითარდება და მტკიცდება შინაურ კურდღლებზე ძლიერ ნელ-ნელა. ერთს ცხოველზე იგი განვითარდა 20 შეუღლების შემდეგ. ცდის მეხუთე დღემდე იგი მერყეობდა, ხან იწვევოდა, ხან არა. მხოლოდ 67 შეუღლების შემდეგ იგი იმდენად მტკიცდება, რომ მუდმივ ხასიათს ღებულობს. ანალოგიურ პირობებში მტრედებზე კვების რეფლექსი ზოგჯერ უფრო მალე ვითარდება, ვიდრე კურდღლებზე (ბერიტაშვილი). მაგრამ ზოგჯერ ძალიან იგვიანებს. მაგ. ერთი ჩემი თანამშრომლის, აბულაძის ცდაში კვების რეფლექსი მტრედზე განვითარდა მხოლოდ 70 შეუღლების შემდეგ. მოზრდილ ლაბორატორულ ძაღლებზე იმავე პირობებში კვების ინდივიდური რეფლექსი ვითარდება ერთიორი შეუღლების შემდეგ.

აგრეთვე ინდივიდური დაცვის რეფლექსის განვითარების მიმართ შინაური კურდღელი უფრო წააგავს მტრედს, ვიდრე ძალს. შინაური კურდღლის დაცვის რეფლექსი მდგომარეობს შემდეგში: თავის მძლავრი საორიენტაციო მოძრაობა, გახშირებული სუნთქვა, ფეხების იატაკზე დარტყმა, ალაგის გადანაცვლება და ხმის ამოღება. ეს რეფლექსი ვითარდება თუმცა უფრო სწრაფად, ვიდრე კვების რეფლექსი, მაგრამ იგი მტკიცდება, როგორც კვებისა, დაგვიანებით მესამე-მეხუთე დღეზე. დიფერენციაციის ხარისხიც ბგერებზე საპასუხო რეფლექსებისა შინაურ კურდღლებზე მტრედებზე თანაბარია: ორ ბგერას, რომელნიც 1 ან $1\frac{1}{2}$ ტონით განსხვდებიან, არჩევენ მხოლოდ მრავალი ასეული შეუღლების შემდეგ მასთან ეს გარჩევა არა მტკიცდება, მერყეობს ცდიდან ცდაში, ე. ი. ხან არის, ხან არა. ძალზედ, როგორც ცნობილია, ადვილად მიიღწევა ტონის ერთი მეოთხედისა და ერთი მერვედის გარჩევა.

კვების თანადროული ინდივიდური რეფლექსის განვითარების დროს, როდესაც ინდივიდური სიგნალი სისტემატიურად კვებასთან ერთად წყდება, შინაურ კურდღლებზე ვითარდება აღნიშნულ რეფლექსთან ერთად მეორე თავისებური დადებითი ინდივიდური რეფლექსი: ინდივიდური გალიზიანების შეწყვეტა იწვევს თავის საკმლიდან აწევას და საკმლიდან გაცილებას, მაშ. კვების რეფლექსის შეწყვეტასა და ცხოველის უკან გაბრუნებას. ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ საკმელი არ გათავებულა და არც მოსცილებია. ამნაირად, ინდივიდური გალიზიანების დასაწყისი არის სიგნალი ერთი დადებითი რეფლექსისა, რომელიც იწვევს ცხოველის საკმლისკენ სვლას და ჭამის აქტს, გალიზიანების შეწყვეტა კიდევ მეორე დადებით რეფლექსს — უკუსვლასა და ჭამის აქტის შეწყვეტას. ანალოგიური მოვლენა პირველად მტრედებზე იყო შემჩნეული (ბერიტაშვილი *), შემდეგ ზღვის გოკებზე (Vacek ?). ჩვენს ლაბორატორიაში იგივე მოვლენა აღმოვაჩინეთ მოზრდილ ძაღლის ლეკვებზე და დიდ ძაღლებზედაც.

ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევებში უკუსვლის რეაქცია იწვევა პირველ რამდენიმე ცდაში, შემდეგ კი იგი არ იწვევა, თუ რომ ძალს საკმელი წინ უძევს. ძალის ლეკვებზე მუშაობამაც მოგვცა საგულსხმო შედეგები. ყველაზე უფრო ახალგაზრდა ლეკვზე, დაბადებიდან 12 დღისაზე, ინდივიდური დაცვის რეფლექსი იმნაირადვე ვითარდება, როგორც შინაურ კურდღელზე. რეფლექსი პირველად გამოაჩნდა 13 შეულლების შემდეგ. არ განმტკიცდა იმდენად, რომ გადასცემოდა მეორე დღეს. უფრო ხნირ ლეკვებზე, 20 - 23 დღისაზე, რეფლექსი განვითარდა სწრაფად, ოთხი შეულლების შემდეგ. მაგრამ აქაც რეფლექსი არ მტკიცდება იმდენად, რომ გარდაეცეს მეორე დღეს. მხოლოდ 30 დღიან ლეკვზე რეფლექსი იმდენად განმტკიცდა პირველ დღეს, რომ მეორე დღეს გარდაეცა. ყველა ნაცად ლეკვზე რეფლექსის გენერალიზაცია იყო უფრო ღრმა და ფართო, ვიდრე ეს დიდ ძალებს აჩნდებათ ხოლმე. დიფერენციაციაც ძალიან ნელა წარმოებდა. ერთ ლეკვზე, რომელზედაც მუშაობა დაიწყო, როდესაც იგი ოცი დღისა იყო, ინდივიდური ბგერიდან ოთხი ტონით დაშორებული ბგერა იწვევდა რეფლექსს მუშაობის მეთექვსმეტე დღეს ინდივიდური ბგერის 150 შეულლების შემდეგ.

შემდეგ საყურადღებოა ძალის ლეკვებზე ინდივიდური რეაქციის დიფუზიური ხასიათი, როგორც ეს შინაურ კურდღლებზე იყო დაკვირვებული: ცხოველი მძლავრად ანძრევს თავს და ხშირად სუნთქავს, კანკალებს მთელი სხეულით. წკმუტუნებს, გადინაცვლებს ადგილს, თუ წევს,—ფეხზე წამოდება. ეს დიფუზიური რეფლექსი თორმეტ დღიან ლეკვზე გამოიწვევა რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის უცვლელად. 20 - 30 დღიან ლეკვებზე კი იგი მეოთხე-მეშვიდე დღეს რთულდება იმ ფეხის მალა აწევით, რომელიც ჩვეულებრივ მას უღიზიანდება. შემდეგში კი რეფლექსი უფრო მარტივდება: ფეხის აწევისას ნაკლებ წკმუტუნებს, ადგილს არ გადინაცვლებს, ნაკლებ ცხცახებს. ბოლოს რეაქცია მაინც დიფუზიური ხასიათისა რჩება. ამგვარივე ცდები დაყენებული იყო ჩვენ მიერ უფრო მოზრდილ ლეკვებზე (რამდენიმე ოცე დაბადებიდან). ამ შემთხვევაში დიფუზიური რეფლექსი ისპობა რამდენიმე დღეში და რეფლექსი განისაზღვრება ფეხის აწევით, წკმუტუნით და თავის საორიენტაციო მოძრაობით. ყველა ეს დაკვირვებანი, თუ რომ მათ შევადარებთ შინაურ კურდღელზე დაკვირვებებს, გვიკარნახებენ შემდეგ დასკვნას: ინდივიდური მოქმედების უნარჩაინაობის ონტოგენეტიური განვითარება ძალზედ განიმეორებს მის ფილოგენეტიურ განვითარებას.

მეტად საგულსხმო აღმოჩნდა ჩენი მუშაობა ამფიბიებზე. ბაყაყებზე დაცვის ინდივიდური რეფლექსი ვითარდება მეტის-მეტად დაყოვნებით და სუსტად და მასთან მხოლოდ მეზობელი ბაყაყის ყოყინზე და ელექტროლამფის სინათლეზე. სხვადასხვა ბგერებზე, როგორიცაა მეტრონომის რახუნი და ორლანოს ხმა, რეფლექსი არ განვითარდა. ყოყინზე რეფლექსი გამოაჩნდა ერთ ბაყაყს მესამე დღეს 26 შეულლების შემდეგ (მაისი), მეორე ბაყაყს 42 შეულლების შემდეგ მეექვსე დღეს [ოქტომბერი], მესამეზე კიდევ უფრო გვიან 131 შეულლების შემდეგ [ოქტომბერი]. ელექტროლამფის სინათლეზე რეფლექსი განვითარდა ერთ ბაყაყზე მესამე დღეს 22 შეულლების შემდეგ (მაისი), მეორეზე მეოთხე დღეს

27 შეულღების შემდეგ [ოქტომბერი], მესამეზე მეექვსე დღეს 58 შეულღებისას [ოქტომბერი]. ინდივიდური რეფლექსი ბაყაყზე გამოიხატებოდა სწრაფად ადგილის გადასაცვლებით და ზოგჯერ გადახტომით, ასე როგორც ელექტრული გალიზიანებისას შერება. მაგრამ არც ერთ ცხოველზე რეფლექსი არ გამტკიცდა იმდენად, რომ მისი გამოწვევა ზედიზედ შეიძლებოდეს, რომ იგი ჩნდებოდეს დღის პირველ ცდაში, რომ შესაძლებელი იყოს მისი ყოველ დღიური დაკვირვება. მაისში ინდივიდური რეფლექსი ვითარდებოდა უფრო სწრაფად, მაგრამ აქაც რამდენიმე დღეში ერთხელ-ორჯერ შეიძლებოდა რეფლექსის დაკვირვება. საკმარისად ხშირად იწვევოდა იმ შემთხვევაში, თუ რომ ინდივიდური გალიზიანება მეორდებოდა მალე შეულღების შემდეგ ასე რამდენიმე ათეული სეკუნდის ფარგალში.

ეს შედეგები მით არის შესანიშნავი, რომ თევზებზე სრულიად მსგავს პირობებში დაცვის ინდივიდური რეფლექსი ვითარდება და მტკიცდება გაცილებით უფრო ადვილად. მაგ. ფროლოვის ცდებში თევზებზე დაცვის რეფლექსი ვითარდებოდა 5—30 შეულღების შემდეგ საპასუხოდ ელექტრული ზარისა და ელექტრული ლამპის სინათლისა. ჩვენც ვაწარმოებდით თევზებზე საკანტაროლო ცდებს სწორედ იმავე პირობებში, როგორშიაც ბაყაყებზე მუშაობა წარმოებდა. ჩვენ შევიძინეთ საცდელად თბილისის ბაზარზე პატარა ლოქო და ერთ წოდებული ცოცხალი თევზი (barbus). ლოქოზე ინდივიდური დაცვის რეფლექსის ნიშნები გამოჩნდა მეშვიდე შეულღებისას და 40 შეულღების შემდეგ იმდენად განმტკიცდა, რომ გამოიწვევოდა ზედიზედ ყოველ შეულღებისას, და აგრეთვე შეუულღებლადაც. მაგ., ერთ დღეს იგი გამოიწვეული იყო ზედიზედ 15-ჯერ ძირითად გალიზიანებასთან შეუულღებლად. რეფლექსი გამოიწვევოდა აგრეთვე რამდენიმე დღის გამოშვებით. ამ გვარივე შედეგები მივიღეთ მეორე თევზზედაც *).

ამ ნაირად, ჩვენ მივიღეთ პარადოქსული შედეგები: ამფიბიები, რომელნიც ფილოგენიტიური განვითარების მიხედვით თევზებზე მალა დგანან, იჩენენ უფრო ნაკლებ უნარს ინდივიდური მოქმედებისადმი, ვიდრე თევზები.

ეს პარადოქსული შედეგები მივიღეთ ჩვენდა მოულოდნელად სწორედ იმ დროს, როდესაც იმავე ხასიათის დასკვნაზე მივიდა ცნობილი ზოოლოგიანატომი იუდსონ ჰერრიკი¹¹. ამფიბიებისა და თევზების ტვინის ანატომო-ჰისტოლოგიური გამოკვლევებიდან იგი დაასკვნის, რომ ამფიბიების ტვინი თავის განვითარებით ზოგიერთ თევზზე დაბლა დგასო, რომ ამფიბიების ტვინი თევზთან შედარებით რეტროგრადულ განვითარებას განიცდისო. აი რას იწერება იუდსონ ჰერრიკი ჩემდამო მომართულ წერილში ამ საკითხის შესახებ:

„მე მგონია, თქვენ მართალი ხართ, რომ თქვენი პარადოქსული შედეგების მიზეზი უნდა ვეძიოთ თევზებისა და ამფიბიების ნერვული სისტემის ანატო-

* შენიშვნა კორექტურის დროს. ნ. ბერულავას შემდეგ ამფიბიებსა და თევზებზე ინდივიდურ რეფლექსურ მოქმედებას შესწავლიდნენ ა. ბრეგაძე, ა. გოცირიძე და ძიძი-შვილი მათი გამოკვლევებიდან ცოტა სხვანაირი შედეგები შეიძლება იყოს დასკვნილი, მაგრამ მე საკმარისად არ ვსცანი ტექსტის სათანადო შესწორება. ჩვენ მიერ მიღებული ყველა შედეგი ერთად იქნება მოყვანილი ერთ-ერთ მუშავებულ მანუსკრიპტში.

მიურ სტრუქტურაში. ძვლოვან თევზებს აქვთ გაცილებით უფრო მაღლად დიფერენცირებული ნერვიული სისტემა, ვიდრე რომელსამე ამფიბიას. მე ამიტომ მოველოდი, რომ თევზებზე რეფლექსები უნდა იწვევოდეს უფრო სწრაფად და მრავალგვარიც უნდა იყოს, ვიდრე ამფიბიებზე. ამფიბიებს იმდენად მრავალი მასიური რეფლექსები აქვთ, რომ პირობითი მოქმედება [ე. ი. ინდივიდური ი. ბ.] გაძნელებულია. მათი ნერვული სისტემა შეიცავს მეტად მცირედ განსაზღვრულ უჯრედოვან ცენტრებს და ნერვულ გზებს. თვითუფრო ნეირონი თითქოს გადაებმის თითქმის ყველა დანარჩენით, რაც ხელს უწყობს მასიურ რეფლექსებს ან ზოგად რეაქციებს. ამიტომ ყველა ის, რაც ხდება უმალეს ნერვულ ცენტრებში, განიტვირთება ერთი და იმავე საბოლოო გზებით. უმალესი ცენტრების სპეციალობის ნაკლუნევაება, რასაკვირველია, ერთის მხრივ ხელს უნდა უწყობდეს პირობით მოქმედებას. მაგრამ ცხადია ამ ცენტრებს არ აქვთ საკმარისი დიფერენციაცია, რომ ეს მოქმედება მოხდეს ადვილად და სწრაფად.

„რაც შეეხება დიდი ტვინის ქერქს, მისი ანასახი თუმცა ანფიბიების ტვინსაც ეტყობა, მაგრამ მეტად პრიმიტიული სახით. ზოგიერთ თევზს მაგ. აქვს უფრო მეტად მნიშვნელოვანი ანატომიური დიფერენციაცია წინა ტვინის ნაცარა ნივთიერების ზედაპირ ფენებში, მაგრამ მე ვეჭვობ, რომ ეს ნამდვილი ქერქი იყოს. ჩვენ მას იმდენად არ ვიცნობთ, რომ ვილაპარაკოთ მის ნამდვილ ფიზიოლოგიურ კავშირებზე და ფუნქციებზე.“

ჩემი პირადი გრძნობა ასეთია, რომ ახსნა იმისა, თუ რატომ ვითარდება თევზებზე პირობითი რეფლექსები უფრო სწრაფად, ვიდრე ამფიბიებზე, მდგომარეობს იმაში კი არა, რომ თევზებს უფრო განვითარებული ქერქი აქვთ, ვიდრე ამფიბიებს, არამედ იმაში, რომ საზოგადოდ პირველთ უფრო მეტად დიფერენცირებული ტვინი აქვთ: აგზების გამტარებლობა წარმოებს უფრო კომპაქტური გზებით და უფრო განვითარებულ სპეციალურ უსთიერთ დამოკიდებულ ცენტრთა შორის—შუა და შუამდებარე ტვინში და მასთან ისევე [და შეიძლება უფრო მეტადაც], როგორც დიდ ჰემისფეროებში“.

რომ დიდი ტვინის ქერქი არ წარმოადგენს ინდივიდუალ-მოპოვებული მოქმედების ერთად-ერთ სუბსტრატს, ეს დღეს აღარ ეკუთვნის საკმათო საგანს. დღეს ცნობილია, რომ ინდივიდუალ რეფლექსები უვითარდებათ აგრეთვე უხერხემლო ცხოველებს, რომელთაც სრულებით არა აქვთ დიდი ტვინის მსგავსი ქერქული ნივთიერება. ჩვენ მიერ კიდევ იყო გამოკვლეული, რომ ფრინველებზე, რომელთაც ნამდვილი ქერქის ჩანასახი აქვთ, უკანასკნელი არ შეადგენს ინდივიდუალ მოქმედების ერთად-ერთ ნერვულ საფუძველს. ქერქის ამოკრის შემდეგაც შესაძლებელია მტრედებზე ინდივიდუალ რეფლექსების განვითარება. ჰერიკის წერილში ახალი და მეტად საინტერესოა ის მტკიცება, რომ თავის ტვინის მთავარ განყოფილებაზე: შუა ტვინისა, შუამდებარე ტვინისა და დიდი ტვინის სტრუქტურული განვითარება თევზებზე უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამფიბიებზე. და ეს მტკიცება სრულიად ეგუება ჩვენს ფიზიოლოგიურ დაკვირვებას, როგორც ამას ჰერიკი ე აღნიშნავს.

აი როგორი შედეგები იყო მიღებული ჩვენი თავდაპირველი გამოკვლევებიდან ხერხემლიან ცხოველთა ქვეყის შედარებითი შესწავლიდან. მომდევნო მოხსენებებში დაწვრილებით იქნება მოყვანილი ავტორების მიერ ის ფაქტური მასალა, რომლიდანაც იყო დასკვნილი აღნიშნული შედეგები.

ლიტერატურა:

1. J. P. Froloff: Pflügers Archiv, ტ. 208, გვ. 261, 1925.
 2. Н. А. Попов: Изв. Аз. Ун-та. 1922. — Н. А. Попов и А. М. Черников. Арх. теор. и практ. Медиц. Баку. 1923.
 3. ივ. ბერიტაშვილი (Beritoff); Pflügers Archiv ტ. 213, გვ. 370, 1926.
 4. I Ten Cate: Arch. néerland. de physiol. de l' homme et des anim. ტ. 8, გვ. 234, 1923.
 5. Б. М. Завадовский С. Г. Рохлина: Мед.-биол. журнал. № 3, 3, გვ. 53, 1927.
 6. Claude Bussard: Année psychol. ტ. 24, გვ. 134, 1924.
 7. Tomàs Vacek: Biol. listy. ტ. 12, გვ. 438, 1927.
 8. S. V. Liu: Jour. of compar. psychol. 8, გვ. 75, 1928.
 9. Harry Helson: Jour. of exper. psych. ტ. 10, გვ. 350, 1927.
 10. E. Karl Muenziger: Jour. of comp. psych. ტ. 8, გვ. 45, 1928.
 11. C. Judson Herrick: Jour. of compar. neurology, ტ. 32, გვ. 429, 1921;—Jour. of comp. neurol. ტ. 43, გვ. 231, 1927.
-

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიიდან.
(გამგე პროფ. ი. ბერიტაშვილი)

სხვადასხვა ცხოველთა კევის შედარებითი შესწავ- ლისთვის *).

მოხსენება II.

პ. ბერიტაშვილი.

კევის ინდივიდუალური ჩვეულების გამოვლენაში ფინანსური კუროლმეცხე.

სხვადასხვა ცხოველთა ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების სრული ცხადყოფა და შემდეგ მათი ურთიერთისაღმის შედარებით საზოგადოდ ც. ნ. ს. ფილოგენეტიკური განვითარების დახასიათება, დღეს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნებისმეტყველური მეთოდებით აღჭურვილი შედარებითი რეფლექსოლოგიის უმაღლეს ამოცანას შეადგენს.

ჩვენც, საკითხისაღმის ასეთი მიდგომით, შესწავლის საგნად გავიხადეთ შინაური კურდღელი (КРОЛИК), რომელიც მღრღნელთა რიგს (Rodentia) ეკუთვნის. ამ რიგს ძუძუმწოვარ ცხოველთა შორის სრულიად განცალკევებული ალაგი უკავია.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ერთი მხრივ კევის დადებითი ინდივიდუალური რეფლექსების გამოვლენას, მათ გენერალიზაცია-დიფერენციაციას და მეორე მხრივ უარყოფითი ინდივიდუალური რეფლექსის გამოვლენას.

1. მეთოდობა.

ესა წარმოებს მდებარე ერთსა და იმავე ოთახში, სადაც დგას რკინის გალია, რომელშიც ცდის განმავლობაში კურდღელი თავსდება. გალიას ორი მხრიდან აფარებული აქვს სქელი გაუმჭირავალი ქაღალდი. ექსპერიმენტატორის მხარისკენ მთელი გვერდის გასწვრივ შუა ადგილზე დატოვებულია 2—3 სანტიმეტრის სიფართოვე აუფარებელი ნაწილი, საიდანაც კურდღლის მოქმედებას ექსპერიმენტატორი თვალს ადევნებს. ექსპერიმენტატორის გვერდში დგას ასპირატორი, რომელიც ჰაერის თანაბარი წნევით ტონეარიატორს სხვადასხვა ტონზე აუღებებს. ძირითად ტონად აღებულია ტონი „Si“ პირველი ოქტავისა, რხევა 439,33. არარეფლექსური, სადიფერენციატორი ტონად ვხმარობთ ორლანოს მილს (დაბალი და ძლიერი ბგერა) და ტონეარიატორია სკალიდან სხვადასხვა ტონს. საკმელოდ შეუღლებიას კურდღელს ყოველ კომპოსტო ჯანით, რომელიც საჭირო მომენტში ძაფის საშუალებით მალიდან დაბლა ეშვება. როდესაც ორლანოს მილს ვხმარობ, მჭირდება ასპირატორიდან გამოყვანილი რეზინის მილიდან ტონეარიატორის მოხსნა და ორლანოს მილის შედება. ამ ოპერაციის ჩატარება კურდღლისათვის ქაღალდითა დაფარული. საერთოდ ვერც ამ შემთხვევაში და ვერც ჯამის ჩამოშვებისას ექსპერიმენტატორის ხელის მოქმედებას კურდღელი ვერ ხედავს. ექსპერიმენტატორის მხრივ ზედმეტ მოძრაობასაც

* პირველი მოხსენება: ი. ბერიტაშვილი, ჩვენი პრობლემა და პირველი შედეგები (გვ. 225—232).

არ აქვს ადგილი: მარჯვენა ხელით რომ ჰაერი მიიშვება ტონვარიატორში, მარცხენა ხელით ჯამი იშვება გალაში.

ინდივიდუური რეფლექსები მუშავდებოდა ორ კურსდღეზე, „შავა“ და „ნაყარაზე“, ორივეზე თანადროული რეფლექსი; ბგერა ძირითადთან (საქმელთან) შეუღლებას ვ“- ნ“ უსწრებდა. მუშაობის პირველ ხანებში საქმელი ორსავე კურსდღეს 25“ განმავლობაში ეძლეოდა, მაგრამ შემდეგში ეს დრო გაუდიდდა, წინაიდან აღნიშნულ ხანში ძლიერ მცირე საკმლის შექმნას ასწრებდნენ (ხანდა-ხან მცირე ნაკერ კომპოსტოს შექმნას თუ მოასწრებდნენ) და ამ ნიდაგზე რეფლექსის შესუსტებასაც ჰქონდა ადგილი. საკმლის მიცემის დრო თვითვე კურსდღეს გაუხანგრძლივდა მათი ინდივიდურობის მიხედვით. სახელდობრ, გამორკეველ ი-ნა, რომ „შავა“ უფრო ნელა სკამდა და ჯიონაც ძლებოდა, ვიდრე „ნაყარა“. ამიტომ „შავა“-ს კვება გაუხანგრძლივდა 50“—1“—დღე, „ნაყარა“-ს კი, 35“—40“—დღე.

ბინახე საქმელი ერთხანს თვალთახობით ეძლეოდათ, მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ კვების ასეთი სისტემა ინდივიდუალ რეფლექსებზე უარყოფით გავლენას ახდენდა; და რათა ეს უარყოფითი გავლენა მომესპო, მივმართე სპეციალურ დაკვირვებას. საქმლის სხვადასხვა წონით მიცემით გამოირკვა, რომ საუკეთესო შედეგებს იძლევა შემდეგი სახით კვება: შემოდგომა — გაზაფხულის თვეებში თვითვე კურსდღეს უნდა ეძლეოდათ ყოველ დღე 40 გრ. ხმელი შავი პური და 20 გრ. თივა. თუ რომ საქმელი მეტი რაოდენობით ეძლეოდათ. მაგ. 100 გრ. რაოდენობით (60 გრ. ხელი პური და 40 გრ. თივა), მაშინ კვების ინდივიდუალ რეაქციები ისპობოდნენ, ან ძლიერ სუსტი სახით გამოივლინებოდნენ; თუ კი ნაკლები რაოდენობით ეძლეოდათ, მაგ., სულ 50გრ., რეფლექსი ძლიერი იყო, მაგრამ დიფერენციალია და უარყოფითი რეფლექსები ძლიერ მერყეენი. 60 გრ. საკვების მიცემისას კი, მყარდებოდა საუკეთესო მდგომარეობა: დადებითი რეფლექსი მტკიცე და ძლიერი იყო, დიფერენციალია მკვიდრი და მასთან უარყოფითი რეფლექსებიც კარგად ვითარდებოდა.

გამზარდი შავი პური ეძლეოდა იმ მოსახრებით, რომ კურსდღე, როგორც მღრღნელთა კატეგორიის ცხოველი, ჩვეულება ხერა-კვებტას; ლაბორატორიაში კი ძნელი იყო სხვა რიგად ბუნებრივ პირობებში მისი ჩაყენება, ე. ი. მოსწრაფელობათა ტრეტებით და ძირებით კვება. ამასთანავე ცნობილია, რომ კურსდღეებს ძლიერ უყვართ ოდნავ მარილიანი საკვები*). ხმელი შავი პური კი, მათ ამ მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა.

დიფერენციალია მუშავდებოდა ინდივიდუალ ბგერის გამოკვლევა — გამტკიცებისთანავე სადიფერენციო ბგერის მოქმედებით.

სადიფერენციო ბგერასა და უარყოფით სიგნალს სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა თანრიგობით ვამქვედი.

2. შინაური კურსდღის ძველის დახასიათება და ცდის პირობებისადმი მათი წინასწარი შებუება.

შინაური კურსდღეები წყნარ და მშვიდ ცხოველთა კატეგორიას ეკუთვნის. ამასთანავე ძლიერ ფაქიზნიც არიან; შეიძლება ითქვას, რომ მთელ დღეებს განუწყვეტილ მოქმედებაში ატარებენ, — მოსვენებულს იშვიათად ნახავთ; ან განუწყვეტილ პირს აცმაკუნებენ, ე. ი. რასმე სკამენ, ან თავს იფაქიზებენ — ტანსა და პირს იბანენ, ან ერთმანეთს ეალერსებიან, თუმცა ხანდახან ეს ალერსი საწინააღმდეგო, მტრულ დამოკიდებულებადაც შეიცვლება ხოლმე. ყოველი ახალი მოვლენა გარეშეში პირველ ხანებში მათ აფრთხობს, მაგრამ თუ აღნიშნულმა მოვლენამ რაიმე ზიანი არ მიაყენა, რამოდენიმე ხნის შემდეგ ისინი მას საკვებით ეგუებიან.

ცდის პირობებისადმი შეგუება ორსავე კურსდღეზე თითქმის თანაბარი სახით მიმდინარეობდა. პირველ დღეს საქმელს არც ჯამიდან და არც გალის

*) К. Корчак, Кролики. 1917 г.

იატაკზე დაყრილს არ სკამდენ; გამუდმებით ყნოსავდენ გალიის კედლებსა და იატაკს, მუდმივ მოძრაობდენ გალიაში, იშვიათად შეჩერდებოდენ და პირს დაიბანდენ. მეორე დღესაც ასეთივე მოძრაობანი და კედლების ყნოსვა-მოუსვენრობა; რბენა ხან ერთ, ხან მეორე კუთხისაკენ. იატაკზე დაყრილ საკმელს ხანდახან სკამდენ. ჯამის ჩამოშვება აფრთხობთ, თუმცა თანდათან ეგუებიან. გარეშე ხმაურობანი, როგორც დერეფანში, ისე თვით ოთახში (ვისიმე შემოსვლა) აფრთხობენ. ჯამის აწვევ-დაწვევას საბოლოოდ ეგუებიან; არაეითარ დაფრთხობის რეაქციებს ჯამის აწვევ-დაწვევაზე ადგილი აღარ აქვს. მესამე დღეს საკმელს ჩემი ხელიდანაც სკამენ. გარე ხმაურობანი — დერეფანში ან ოთახში ვისიმე გავლა, მხოლოდ ძლიერ საორიენტაციო მოძრაობებს იწვევენ. ჯამის ჩამოშვებაზე იწყებენ მისკენ მიახლოვებას — ყნოსვენ, ისევ უკან, ისევ ჯამისაკენ — ხელახლად ყნოსვენ და ასე რამდენჯერმე. ზოლოს კიდევ იღებენ ჯამიდან საკმელს, მაგრამ შალე თავს ანებებენ. მეოთხე დღეს ჯამს უკვე სავსებით შეეჩვივნენ და თვითვე ცდილობენ ჩამოკიდებული ჯამიდან უფხზე ადგომით საკმელის გადმოღებას. ჯამის ყოველ ჩამოშვებისას მიდიან საკმელზე. გარე-ხმაურობანი ხან მოკმედებენ დაფრთხობით, ხან არა. მეხუთე დღე უკვე საბოლოოდ ადასტურებს კურდღლების ცდის პირობებისადმი შეგუებას. მეექვსე დღეს კი ინდივიდუური რეფლექსების გამომუშავებაზე გადავდივარ.

3. დაღვათი ინდივიდუური რეფლექსის განვითარება და გამტკიცება.

კურდღელი „ნაცარა“. საინდივიდუო ბეგრა „სი“ (პირველი ოქტავა), როგორც ახალი, უცხო გამაღიზიანებელი უარყოფითად მოქმედებს და ჯამის ჩამოშვებისას მასთან აღარ მოდის პირველ სამ შემთხვევაში. მეოთხე შეუღლებაზე უკვე იწყო სვლა. ახალი გარეგანი გამაღიზიანებელნი, როგორიც იყო ეზოში თოფის სროლა და ჩემ მიერ ასპირატორის აწვევა, აფრთხობენ; ამის შემდეგ დაფრთხობას იწვევს, უკვე ინდიფერენტულად ქცეული, ჯამის ჩამოშვებისას ჭალის ამოძრავების ხმაც. რეფლექსი პირველ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ 26 შეუღლება მოვახდინე, არ გამომუშავდა; თუ არ მივიღებთ იმ შემთხვევას (მე-26 შეუღლება), როდესაც ბეგრის ძირითადთან შეუღლებამდე წინასწარი გაშვება ჩვეულებრივ 5-ს გადავაცილე და კურდღელს დაეტყო თავის ძლიერი ამოძრავება — ყურების ჯამისაკენ მიპყრობით.

რეფლექსის გამომუშავებას ადგილი ჰქონდა მეორე დღეს მე-34-ტე შეუღლებიდან, მაგრამ მე რეყევი სახით — ზოგ შემთხვევაში იყო, ზოგში არა. მესამე დღეს მე 44 შეუღლებისას კი, მკაფიოდ და ძლიერად იქნა გამოხატული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თოფის ეზოში სროლა და ჩემ მიერ ასპირატორის აწვევა გავლენას ვერ ახდენს.

ცდების ამ ღონეზე მიყვანის შემდეგ, ე. ი. რეფლექსის გამომუშავების მესამე დღის შემდეგ, ადგილი ჰქონდა კურდღლის სქესობრივ აგზნებულებას, რის დროსაც რეფლექსი როგორც ინდივიდუურ, აგრეთვე ძირითად გაღიზიანებაზეც ისპობა, და შეუძლებელი ხდება ცდების წარმოება.

რამოდენიმე დღით შეჩერების შემდეგ (25/III დან—30/III დე), საჭირო გახდა ცდის პირობებისადმი კურდღლის ხელახლად შეგუება; ყველა ის გარეგანი გამაღიზიანებელი, რომელიც უკვე ინდიფერენტულთა კატეგორიას ეკუთვნოდა, ისევ იძენს დამაფრთხილებლის უნარს, მხოლოდ მათ ახლა უფრო მალე ეგუება და ამასთანავე ხელახლად შეგუების მეორე დღეს დაყენებულ ცდებში უკვე მე 8-ე შეულღებაზე რეფლექსი მკაფიოდაა გამოხატული.

ახალი გაღიზიანებისაგან გამოწვეული დაფრთხობის შემდეგ, უკვე ინდიფერენტულად ქცეული გაღიზიანებაც იწვევს დაფრთხობას, მაგრამ უკვე გამტკიცებული ინდივიდური რეფლექსი არ ცვალდება. მაგ., გალიაში ჯამის შემთხვევით ჩამოვარდნა კურდღელს აფრთხობს, ამის შემდეგ ასპირატორის აწვევაც აფრთხობს, მაგრამ 2' შემდეგ ამისა მიცემული საინდივიდურო ბგერა რეფლექსს ჩვეულებრივი სიძლიერით იწვევს. მაგრამ ისეთი არაჩვეულებრივი გამაღიზიანებელი კი, როგორცაა ძაღლების ყუფა, სრულიად სპობს არამც თუ უკვე საკმაოდ ძლიერ გამტკიცებულ რეფლექსს ინდივიდურ ბგერაზე, არამედ სპობს რეაქციებს ძირითად გაღიზიანებაზედაც.

ყოველდღიურ ცდებში რამოდენიმე შეულღების შემდეგ, კურდღელი ხშირად რეაქციებს აღარ იძლევა, არც ინდივიდურ ბგერაზე და არც ჯამის ჩამოშვებაზე, მაგრამ რამოდენიმე ხნით (40'-ით) შესვენების შემდეგ შესაძლო ხდება ცდების ნორმული წარმოება. ზოგჯერ, ასეთ შემთხვევებში, ჯამის ხშირი აწვევა ან ცოტად მძლავრად გალიის იატაკზე ჯამის დარტყმაც მშველის კურდღლის ჯამისაკენ ამოძრავებას. ამასთანავე ხშირი განმეორებისაგან შესუსტებულ რეფლექსს აძლიერებს თავისთავად თითქმის უმოქმედო არაჩვეულებრივი გაღიზიანება.

რეფლექსის გამტკიცების შემდეგ, ინდივიდური ბგერა ჯამის ჩამოშვებასთან მთლიანობას ქმნის, ე. ი. ორივე ერთად აღებული კომპლექსური გამაღიზიანებლის ხასიათს. კურდღელი ბგერის გარეშე ჯამის ჩამოშვებაზე ფრთხილდება და არ ეკარება, მაგრამ თუ ჯამის ჩამოშვება ხშირად რამოდენჯერმე გამეორდა, მაშინ კურდღელი ჯამისაკენ ნელ-ნელა იწყებს სვლას და საკმეფლსაც დიდი სიფრთხილით იღებს.

ბგერის შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ჯამი ისევ ძირსაა, სტიმულია ქამის შეწყვეტისა და კურდღლის უკან გაბრუნებისა. ხელახლად ბგერის მიცემა ისევ ჯამისაკენ წარმართავს, შეწყვეტა ისევ გაბრუნებას იწვევს. მაგრამ აქ აღსანიშნავია რომ, თუ ბგერის შეწყვეტა მოხდა ქამის ახლად დაწყებისას, მაშინ შესაძლოა, რომ მხოლოდ თავის აწვევას, და ქამის განეღებას და არა ქამის სრულ შეწყვეტას ექნეს ადგილი. დამშვიდებისას კურდღელი საკმეფლს ბგერის გარეშეც სკამს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კურდღელი ჯერ კიდევ არა დიფერენცირებულ გაღიზიანებაზე, რეაქციებს იძლევა ამ გამაღიზიანებლის მოქმედების დასრულებამდე.

სიტყვები კურდღელზე რეფლექსის გამოძეწვებას დიდად ხელს უშლიან; ხშირად სრულიადაც შეუძლებელი ხდება ცდების წარმოება.

შესვენების გავლენა. მესამე თვის მუშაობისას, როდესაც შეულღებათა რიცხვი აღწევდა 336-ტს, მუშაობა ათი დღით შეწყვეტიტ. ათი დღის შემდეგ

ინდივიდუური რეფლექსი ისევ ძლიერი იყო. სამი თვის მუშაობის შემდეგ (შეულ-
ლება 395) 2¹/₃ თვით შეწყვეტილმა მუშაობამ, რეფლექსის სიმტკიცეზე გავლენა
ვნერ იქონია.

კურდღელი „შავა“. რეფლექსის გამომუშავების პირველ დღეს მასაც თით-
ქმის ისეთივე რეაქციები აქვს, როგორც „ნაცარა“-ზე ვნახეთ: საინდივიდუო
ბგერა აფრთხობს, ჯამის ჩამოშვება, რომელიც უკვე არ აფრთხობდა, ახლა
აფრთხობს. აგრეთვე ძლიერ აფრთხობს ეზოში თოფის სროლა და ჩემ მიერ ას-
პირატორის აწვევა. პირველ დღესვე მე-17 შეულლებაზე ადგილი ჰქონდა ინ-
დივიდუურ ბგერაზე ამოძრავებას. მეორე დღეს გარეგანი ხმაურობანი; ასპირა-
ტორის აწვევა, პროფესორის დასწრება — კურდღელს არ აფრთხობს. რეფლექსმა
უკვე მე-20—21 შეულლებიდან იწყო თვალსაჩინოდ გამომუშავება, მაგრამ მაინც
ძლიერ მერყევი და სუსტია. რეფლექსის მტკიცე გამოხატულება მე-67-დღე შე-
ულლებიდან (მე-5-ე დღე) გვეძლევა.

ძლიერ გამტკიცებულ რეფლექსზე (შეულ. 312) ახალი გარეგანი გამა-
ლიზიანებელი იწვევს რეფლექსის მოსპობას, მაგრამ როგორც კი ეს ახალი გა-
მალიზიანებელი მოისპობა, რეფლექსი მაშინვე ნორმულ სახესღებულობს. მაგ.
როდესაც ცდები ჩატარდა სტუდენტების საჩვენებლად (რიცხვით 25 კაცი), რო-
მელნიც ცოტა მოშორებით გარს შემოერთყენ გალიას და შესცქეროდენ კურდ-
ღლის რეაქციებს, ინდივიდუურმა ბგერამ მხოლოდ საორიენტაციო რეაქციების
მოცემა იწყო, ძირითადის შეშლლება კი ჩვეულ რეაქციებს იძლეოდა. სტუდენ-
ტების ოდნავ შენძრევაზე კი თავს ზევით სწევდა და ჭამას თავს ანებებდა. მაგ-
რამ როდესაც ასეთივე საჩვენებელი ცდები ჩატარდა იმავე რიცხვის მყოფებლებ-
თან რეფლექსის შედარებით უფრო მეტად გამტკიცებისას (შეულლება 770),
რეფლექსი ჩვეულებრივი სიძლიერისა აღმოჩნდა, არავითარ ცვლილებას მის გა-
მოვლინებაში ადგილი არ ჰქონია.

მუშაობის მესამე თვეში გალიასთან ახალი პირის მოსვლა, ჩემთან ლაპა-
რაკი, ან ცდების დროს იქვე დგომა, რეფლექსზე გავლენას ვერ ახდენს. აგრეთ-
ვე ოთახში კატის კნავილი, დევნა-დაჭერა კატისა—მხოლოდ საორიენტაციო რე-
აქციებს იწვევენ, მაგრამ თვით რეფლექსს ვერ ასუსტებენ. ძაღლების ყფაზე ჭა-
მას ანელებს, მაგრამ არ სწყვეტს.

ბგერა აქაც, როგორც „ნაცარა“-ს მიმართ, ჯამის ჩამოშვებასთან კომ-
პლექსურ გამალიზიანებლად გამოდის; უბგეროდ ჩამოშვებული ჯამი აფრთხობს,
ცხოველი ჯამს არ ეკარება, ან დაჰყნოსს და გასცილდება. ბგერის მიმატებისას
ან ჯამის რამოდენჯერმე გამოხლოვებულად ჩამოშვებისას იწყებს ჭამას.

ბგერის შეწყვეტა სტიმულია ჭამის შეწყვეტისა, მიუხედავად იმისა, რომ
ჯამი აულებელია. აქაც ისე, როგორც „ნაცარა“-ს შემთხვევებში, ბგერის ადრე
შეწყვეტა, იწვევს მხოლოდ თავის აწვევას და ჭამის შენელებას, მაგრამ ჭამას არ
სწყვეტს. არაჩვეულებრივ და გამხოლოვებულად წარმოებულ ინდივიდუური ბგე-
რის მიერ გამოწვეული მოძრაობანი წყდებიან მხოლოდ მათი შეწყვეტისას.

ბგერის შეწყვეტა და ჯამის აწვევა თავიდანვე ერთდროული იყო, შემდეგ-
ში, როდესაც მოვიდნო ბგერის ადრე, დასაწყისშივე 10"—15" შემდეგ შე-
წყვეტა ჯამის აულებლად, დამკირდა სპეციალური გამომუშავება, ვინაიდან პირ-

ველ ხანებში კურდღელი ხშირად ბგერის შეწყვეტისთანავე სწყვეტდა კამას და სცილდებოდა ჯამს.

ასიცხება რეფლექს ასუსტებს და საერთოდ ცდების დაყენებას აბრკოლებს.

შესვენების გავლენა. მესამე თვეზე, როდესაც შეუღლებათა რიცხვი 401 აღწევდა, 10 დღით მუშაობის შეწყვეტამ ერთგვარი გავლენა იქონია: პირველ ცდაში რეფლექსი დადი დაყოვნებით (10"-ით) იწვევა, შემდეგში ხან იწვევა, ხან არა. ორ თვე ნახევრის შესვენება კი (შეუღლებათა რიცხვი 519) იწვევს რეფლექსის ძლიერ დაკნინებას; რეფლექსი მხოლოდ ლეჰა ულაპაში გამოიხატება და საკირო ხდება მისი ხელახალი აღდგენა.

4. რეფლექსის ჩაქრობა-აღდგენა.

კურდღელი „ნაცარა“. რეფლექსის გამომუშავების მე-21 დღეზე (შეუღლება 207) რეფლექსი ჩაქრა მე-7-ე ცდაზე. ამ ჩაქრობის შემდეგ რეფლექსი ნახევარი საათის შესვენებით აღდგა; ხელ ახლად აღდგენილი რეფლექსის ჩაქრობა მოხდა მე-4 ცდაზე. ამის შემდეგ რეფლექსი შეუღლებით მე-3 ცდაზე აღდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე საკმაოდ შესუსტებული რეფლექსი სუსტმა გარეგანმა გამაღიზიანებელმა (კარის კრიალმა) სრულ ნორმამდე აიყვანა.

ჩაქრობის ასეთივე ცდა ნაწარმოები იქნა რეფლექსის გამომუშავების მე-29 დღეზე (შეუღლება 273). ჩაქრა მე-10 ცდაზე; არც ნახევარი საათის დასვენებასა და არც სამჯერ მოხდენილ შეუღლებას აღარ აღუდგენია.

ორთვე ნახევრის შემდეგ წარმოებული მუშაობის მე-20 დღეს, როდესაც შეუღლებათა რიცხვი უდრიდა 451-ს, მოეახდინე სისტემატური ჩაქრობა ინდივიდურ ბგერაზე ყოველგვარი რეაქციის სრულ მოსპობამდე. პირველ დღეს მე-5 ცდაზე რეაქცია ბგერაზე დავიდა სუსტ ნერწყვამდე. ხანდახან ადგილი აქვს ასპირატორის აწვევაზე რეფლექსის გამოცოცხლებას. მეორე დღიდან რეფლექსის დაკნინება ძლიერია და ახლა ინდივიდური ბგერა იწყებს უარყოფითი რეაქციების ძლევას. ნაწარმოები იქნა რეფლექსის სისტემატური ჩაქრობა 12 დღის განმავლობაში (228 ცდა). მთელი ამ ხნის განმავლობაში თანრიგობდა: სუსტი რეაქცია, ურეაქცია, ძლიერი დადებითი და უარყოფითი რეაქციები. უარყოფითი რეაქციები გამოიხატებოდა შემდეგში: თუ კურდღელი ბგერის მიცემისას ჯამის ჩამოშვების ადგილს იჯდა, ადგებოდა, გააზმორებდა, დაამთქნარებდა და წავედოდა მოპირდაპირე მხარისაკენ, ან შებრუნდებოდა ზურგით ჯამისაკენ და თავს განზე გასწევდა. თუ სხვა ადგილს იჯდა, აუცილებელივ აინძრეოდა ზმორებით — წელში გაჭიმვით და ასე გადაინაცვლებდა ადგილს; მაგ.: თუ ჯამის მოპირდაპირე მხარეს იჯდა, გამოემართებოდა სწორი ხაზით და დაახლოებით ჯამის ჩამოშვების ადგილს მოვიდოდა, მაგრამ რომ ეს რეაქცია ჯამის მიმართ არ იყო, ნათლად ჩანდამით, რომ ჩვეულებისამებრ ჯამისაკენ არც ერთხელ არ აიხედავდა და ჯამის ჩამოშვების ადგილთან მისვლისთანავე შემობრუნდებოდა ზურგით ჯამისაკენ; ბგერის ვათავებისთანავე იავე თავის ძველ ადგილს ბრუნდებოდა. ხანდახან

ბგერაზე პირის ბანას იწყებდა, ან ფეხისა, ტანისა და იატაკის ლოკვას (იხ. ოქმი № 1, გვ. 240). ვინაიდან აღნიშნული „უარყოფითი“ მოქმედებანი, ჩემის აზრით, დიდად განსხვავდებიან იმ უარყოფით რეფლექსებისაგან, რომელნიც ვითარდებიან უკუქცევითი კავშირების განვითარებით (ი. ვ. ბერიტაშვილი¹). და ამის გამო ხშირად უდრიან გარეგანი რეაქციის მოსპობას, ამიტომ, განსასხვავებლად მეორეთაგან, მათი ბუნებისადმი უფრო შესაგუო ტერმინად ავიღებ „უკუხვლას“ (ან „გაცლას“).

სისტემატური ჩაქრობის შემდეგ, რამაც 12 დღე გასტანა, 4 დღის შესვენებამ რეფლექსი ვერ აღადგინა. ვერ აღადგინა ვერც ნაწილობრივმა დამშევამ; სრულმა და რამოდენიმე დღის დამშევამ რეფლექსი გამოაცოცხლა, მაგრამ მაინც მერყეობს და ისევ სწრაფად ქრება; მხოლოდ ძირითადთან შეუღლებით მე-3 შეუღლებაზე აღდგა.

კურდღელი „შავა“. რეფლექსის გამომუშავების მე-21 დღეს, როდესაც შეუღლებათა რიცხვი 253 აღწევდა, რეფლექსის ჩაქრობას ადგილი ჰქონდა მე-7 ცდაზე; 30' დასვენებით აღდგა, მაგრამ ხელახლად ჩაქრობისას პირველი ცდის შემდეგ ჩაქრა; ამის შემდეგ 30'-ით ხელახალმა შესვენებამ ნაყოფი არ გამოიღო, შეუღლებით კი მე-5 შეუღლებაზე აღდგა სავსებით. მეორეჯერ ჩაქრობა ნაცადი იქნა მე-28 დღეზე (შეუღლებათა რიცხვი 307); ჩაქრა მე-8 ცდაზე, 45' შესვენებამ აღდგენა არ გამოიწვია, შეუღლებით კი მე-3—4 ცდაზე აღდგა.

სისტემატური ჩაქრობა წარმოებდა იმავე პირობებში, როგორც „ნაცარა“-ზე. უკვე პირველი დღის მე-3 ცდაზე მოხდა რეფლექსის შესუსტება. შემდეგ მთელი 11 დღის განმავლობაში (ცდათა საერთო რიცხვი 111) თანრიგობდა: სუსტი რეაქცია, სრული ურეაქციობა და „უკუსვლის“ რეაქციები. აღნიშნულ კურდღელზე ცდათა ინტერვალი, როგორც რეფლექსის გამომუშავებაზე, აგრეთვე ჩაქრობის შემთხვევებშიც მუდამ 5' განისაზღვრებოდა. ცდათა ინტერვალის 2'—3' დაყვანას ჩაქრობაზე არ უმოქმედნია; ამ პირობებშიც იგი თითქმის ისევე მიჰდინარეობდა, როგორც 5' ინტერვალის შემთხვევებში. ოთხი დღის შესვენებამ რეფლექსი ოდნავ გამოაცოცხლა. ორი დღის განმავლობაში არც ნახევრად დამშევა და არც ზედინდელ ორი დღის სრული დამშევა ახალ ცვილივებს არ იძლევა; შეუღლებით კი აღდგა მე 3 შეუღლებაზე.

5. რაფლექსის დიფერენციაციაცია.

კურდღელი „ნაცარა“. რეფლექსის დიფერენციაციისთვის პირველად სადიფერენციო ბგერად აღებულ იქნა ორღანოს მილი, რომელიც ტემბრითაც და სიმალლითაც ჩვეულებრივი ტონისაგან განსხვავდებოდა. დიფერენციაციის დაწყებისას ინდივიდუალური რეფლექსის სიმტკიცე 97 შეუღლებით გამოიხატებოდა. პირველად სადიფერენციო ბგერის ხმარება იწვევს მხოლოდ ძლიერ საორიენტაციო მოძრაობას; ამას შედეგად მოსდევს მის შემდეგ ნაცად ინდივიდუალური გალიზიანებაზე ინდივიდუალური რეფლექსის შემცირება. მეორე დღიდან სადიფერენციო ბგერა იწვევს ინდივიდუალური ბგერის რეაქციებს; მის შემდეგ რეფლექსის ინდივიდუალური გალიზიანებაზე ხან აფერხებს,

ოქმ. № 1. „ნაუკარა“—20/X 1927 წ. ინდივიდური ჩუქურღელის ჩაქობა. ინდივიდური გამაღიზიანებელი ტონი „აჲ“ (პირველი ოქტავა).

| დრო | სიგრძე | სიღრმე | უძველესი | უძველესი | უძველესი | უძველესი |
|-----|----------|--------|----------|---------------------|--|---|
| 216 | 1ს-14' | ბგ. | Si-30" | კურდ. ზის ჯამის მხ. | ინდივიდუალური ბგერაზე კურდღლის რეაქციები | შენიშვნა გალიაში თეთი ხტევა უღის დასაწყისში. პროფესორი შემოვიდა, მელაპარაკა, კურდღელი მიმართობს. პროფ. გაუიდა. |
| 217 | 1-17' | " | " | " | ბგერაზე დასაწყისადანე პირის ცმაცუნე. იატაკისაკენ თავის დაბრა, ყნოსვა, მოუსვენარი მოძრაობა, გაზიზიზება—ადგილის გადაწევა მოპირდაპირე მხარისაკენ. | { შემოვიდა პროფესორი, ჭკაფი გაალო, გაუიდა. |
| 218 | 1-29' | " | " | " | ბგერაზე პირის ლოკე-ნერწყვა გამდებებით; 15" შემდგე პირის ბანა, 5" შემდგე ისეე ლოკე. | { აესწიე ასპირანტორი. ზის, მომხერხებია. |
| 219 | 1-24 1/2 | " | " | " | ნერწყვა, პირის ლოკე, უფრო ჩაიკეცება-ჩაჯდება; ისეე ნერწყვა, შემდგე ადგება ადგილს გადაინაცვლებს. | |
| 220 | 1-27' | " | " | " | ბგერის მოცემის დროსაც განაგრძობს ყნოსვას, შემდგე საერთო მოძრაობას იწყებს. | |
| 221 | 1-30' | " | " | " | ნერწყვა დასაწყისში. მალე ხმობება და წელში გაკეცება და მოქნარ ბით მოპირდაპირე მხარეზე გადაინაცვლებს. | |
| 222 | 1-33' | " | " | " | ნერწყვა, გაზიზიზება-მოქნარება, ჩაჯდება, ისეე ნერწყვა. | |
| 223 | 1-36' | " | " | " | დაგვიანებით პირის ლოკე;—მაშინვე მოქნარება გაზიზიზება; შემდგე ნერწყვა. | |
| 224 | 1-39' | " | " | " | ბგერის მოცემისთანავე გაიქცევა ჯამის მხარისაკენ და ჯდება იქ ჯამისაკენ ზურგშეკეციით. | { ესწიე ასპირანტორს, მომ-ხერხებია. |
| 225 | 1-42' | " | " | " | ბგერაზე საორიენტაცი; 10" შემდგე გადაინაცვლებს ადგილს ჯამის მხარისაკენ, ჯდება ზურგშეკეციით. | |
| | | | | | თავს ასწევს,—ნერწყვა მხოლოდ დასაწყისში. | |

ხან უკვე ვერა, მეტადრე თუ ეს უკანასკნელი პირველისაგან საკმაო დროთი იქნა დაცილებული. უკვე მე-11 ხმარებიდან სადიფერენციაციო ბგერა, მის შემდეგ ნაცად ინდივიდური ბგერის რეაქციებს სრულიადაც ვერ აკინებებს. სადიფერენციაციო ბგერის მე-35 ხმარებიდან მისი ეფექტი თვალსაჩინოდ სუსტდება და საკმაოდ გამოხატულ დიფერენცირებულ ელემენტებზე უკვე მე-40 ხმარებიდან.

მეორე სადიფერენციაციო ბგერად აღებულ იქნა ტონვარიატორის პირველი ოქტავის „fa“ დიეზი, რომელიც ინდივიდური ტონიდან 2,5 ტონით ირჩევა. (სიმალლით თანაბარია პირველ სადიფერენციაციო ბგერასთან, განსხვავდება მხოლოდ ტემბრით). აღნიშნული ბგერის დიფერენციაცია პირველთან შედარებით გაცილებით სწრაფად წარმოებდა; ამასთანავე იგი თავიდანვე ვერ აკინებებს მის შემდეგ წარმოებული ინდივიდური ბგერის რეაქციებს, სადიფერენციაციო ბგერა ზედიზედ, ერთმანეთის თანმიყოლებით ნაცადიც კი, ვერ აკინებებს მის შემდეგ ნაცადი ინდივიდური გამალიზიანებელის რეაქციებს. აღნიშნული ბგერის სრულ დიფერენციაციულობას ადგილი ჰქონდა უკვე მე-15-ტე ხმარებიდან, როდესაც ინდივიდური ბგერის შეუღლებათა რიცხვი აღწევდა 385-ს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ხშირად მერყეობს, და ხანდახან სრული უეფექტობიდან მძლავრი რეაქციების მოცემას იწყებს; აღნიშნული ბგერა 55-ჯერ იქნა ხმარებული და ქანაობა ხშირად ემჩნეოდა.

მესამე სადიფერენციაციო ბგერა იყო ტონვარიატორისავე ტონი „la“, დაცილებული ინდივიდური ბგერიდან 1 ტონით. ვინაიდან დიფერენციაციის ცდების სპეციალური დაყენება თვენახევარი მივატოვე, ვსცადე ბგერა „la“ იმის გასაგებად, შესაძლოა იყო თუ არა, ინდივიდურის თანდათან გამტკიცებით დიფერენციაციის თავისთავად გამომუშავება. აღნიშნულმა ბგერამ პირველი ხმარებისის ორი დღის განმავლობაში მოგვცა მხოლოდ საორიენტაციო რეაქციები. მესამე დღეს ზედიზედ სამჯერ ცდისას, პირველ ორ ცდაში მოგვცა საორიენტაციო, მესამეჯერ კი დადებითი, ინდივიდური ბგერის რეაქციები.

ერთი დღის დამშევა უკვე გამომუშავებულ დიფერენციაციურ ელემენტებს ორდღის მილისას (პირველი სადიფერენციაციო გამალიზიანებელი) ვერ სპობს; აგრეთვე არა სრულიად დიფერენცირებული ტონვარიატორის ბგერა „fa“ დიეზიც ხანდახან უეფექტობას ან „უუუსვლის“ რეაქციებს იძლევა, თუმცა ხანდახან „უუუსვლის“ რეაქციები ჯამისკენ სელაშიაც გადადიან.

სისტემატიური დამშევა ამშლელად მოქმედებს პირველ დიფერენცირებულ ბგერაზედაც, მაგრამ იგი სწრაფად, შეუღლებლად პირველი ხმარების შემდეგვე, აღიდგენს დიფერენცირებულობას; მე-2 სადიფერენციაციო ბგერის დიფერენცირებულების სისტემატიური დამშევით აშლა კი გრძელდება დამშევის შემდეგაც.

რეფლექსის გამომუშავების მესამე თვეზე მუშაობის 10 დღით შეწყვეტამ (შეუღლება 336) დიფერენცირებულება ორდღის მილისა, ოდნავ შეასუსტა, მაგრამ მეორე ხმარებისთანავე ისევ დაუბრუნდა ძველ მდგომარეობას. ორთენახევრით მუშაობის შეწყვეტის შემდეგ (შეუღლება 395), არც ორდღის მილის და არც „fa“ დიეზის დიფერენცირებულება არ აშლილა; თუმცა უნდა აღინიშნოს

ნოს, რომ ამ ცდების დაყენების პერიოდში კურდღლის რეაქციები, როგორც საინდივიდუო სიგნალზე, აგრეთვე ძირითადად შეესაბამება საკმაოდ შესუსტებული იყო.

კურდღელი „შავა“. პირველ სადიფერენციო გამლიზიანებლად, რეფლექსის გამომუშავების მეთავე დღეზე (78 შეუღლება), აღებულ იქნა ორღანოს მილის ბგერა (იგივე რაც კურდღელ „ნაცარა“-ზე). პირველ ხმარებისას სადიფერენციო ბგერა იძლევა უმთავრესად საორიენტაციო მოძრაობებს, მეორე ხმარებისას კი ინდივიდუო ბგერის რეაქციებს. მის შემდეგ ნაცადი ინდივიდუო გამლიზიანებლის რეაქციები დაკნინებულია. სადიფერენციო ბგერაზე დადებითი (ინდივიდუოს) რეაქციები მეორე დღიდანვე იწყებენ დაკნინებას; მის შემდეგ ნაცადი ინდივიდუო ბგერის რეაქციები ცოტად კნინდებიან, მაგრამ მალე ჩვეულებრივ დონემდე აღიან.

სადიფერენციო ბგერის მე-32 ხმარებიდან (შეუღლება 182) დიფერენცირებულება ნათელია და ამასთანავე მისთვის მის შემდეგ წარმოებული ინდივიდუო ბგერის რეაქციებსაც ვერ აკნინებს—იგი ჩვეულებრივ სიცოვლით წარმოებს. აღნიშნული დიფერენცირებულება არ ზაითვალება მტკიცედ, ვინაიდან მესამე დღეს (შეუღლება 202) ნაცადი-იგი (ე. ი. დიფერენცირებულება) საკმაოდ შესუსტებული აღმოჩნდა.

მე-2-რე სადიფერენციო ბგერად აღებულ იქნა იმავე ტონვარიატორიდან მეორე ოქტავის „fa“ ტონი, რომელიც ინდივიდუო ტონიდან 3,5 ტონით ირჩევა. პირველ ხანებში (შეუღლება 209) აღნიშნული ბგერა ინდივიდუო ბგერის რეაქციებს იძლევა;— მის შემდეგ წარმოებული ინდივიდუო ბგერის რეაქციებს ხან აკნინებს, ხან ვერა. უკვე მე-6-ჯერ ხმარებისას მოჩანს დიფერენცირებულება. მე-14 ხმარებისას (შეუღლება 278) კი, დიუო ცდის დასაწყისშივე მიცემული სრულ უფექტობას იჩენს. აქვე აღსანიშნავია, რომ უკვე დიფერენცირებულობისაკენ გადახრილი ბგერა, იწყებს ინდივიდუო ბგერის სრული რეაქციების ძლევას, თუ რომ იგი ნაცადი იქნა კურდღლის მოძრაობის დროს.

მე-3-მე სადიფერენციო ბგერად აღებულ იქნა იმავე ტონვარიატორის ბგერა „mi“ (მეორე ოქტავა) ინდივიდუო დან ორ ტონ ნახევრით დაცილებული. აღებული ტონი პირველ ხანებში (შეუღლება 303) არავითარ რეაქციებს გარეშე საორიენტაციოსა არ იძლევა; შემდეგში იწყებს ინდივიდუო ბგერის რეაქციების ძლევას, მის შემდეგ წარმოებული ინდივიდუო ბგერის რეაქციებს ვერ აკნინებს. მე-12 ჯერ ხმარებისას იგი იწყებს ურეაქციობაში გადასვლას, მაგრამ ისევ მალე იწყებს ინდივიდუო ბგერის რეაქციების მოცემას. მხოლოდ მე-47-დე ხმარებიდან (შეუღლება 601) მოგვცა საკმაოდ ნათელი ურეაქციობა ან უარყოფითობა, რაც გამოიხატებოდა ბგერის მიცემისას პირის ბანისა ან იატაკის ლოკვის დაწყებაში.

მე-4 სადიფერენციო გამლიზიანებელი იყო ტონვარიატორის ბგერა „do“ (მეორე ოქტავა) დაცილებული ინდივიდუო დან ნახევარი ტონით. ეს სადიფერენციო ბგერა 12-ჯერ იქნა ნაცადი (შეუღლება 620) რამოდენიმე დღის განმავლობაში როგორც ზედიზედ, ისე დაცილებით, მაგრამ მუდამ ინდივიდუო ბგერისადმი შესაბამე რეაქციებს იძლეოდა. შემდეგში დიფერენცირებულების გა-

მომუშავებაზე მუშაობა შეწყვეტილ იქნა ორ თვეზე მეტი ხნით. ინდივიდუალური ბგერის 770 შეუღლების შემდეგ, აღნიშნული სადიფერენციო ბგერა ისევ იქნა ნაცადი, რათა გამეგო ამ ხნის განმავლობაში, ინდივიდუალური ძლიერ გამტკიცების შემდეგ, ადგილი თუ ჰქონდა დიფერენცირებულობის თავისთავად გამომუშავებას. აღმოჩნდა რომ ბგერა „ძ“ უკვე აღარ იძლევა რეაქციებს. შემდეგში 16 დღის სრული უმუშევრობის შემდეგაც იგივე ეფექტი, ე. ი. ურეაქციობა. შემდეგ დღეებში ხელახლად შინჯვისას ადგილი ჰქონდა დიფერენციულობის შესუსტებას, მაგრამ მე-9 ხმარებიდან კი ადგილი აქვს ან სრულ ურეაქციობას ან „უკუსელის“ რეაქციებს, რაც რაზოდენიმე დღის განმავლობაში უცვლელად გრძელდება. ამასთანავე აღნიშნულ დიფერენცირებულებაზე გავლენას ვერ ახდენს ნუშაობის საკმაო დიდი ხნით (2—3 კვირით) შეწყვეტა.

დასვენების გავლენა. „შავა“ზე ისეთივე ხასიათისაა, როგორც იყო „ნაცარა“ ს მიმართ, უკვე მტკიცე დიფერენცირებულობას დასვენება ვერ შლის; არა სასებით დიფერენცირებული ბგერები იწყებენ ინდივიდუალური ბგერის რეაქციების ძლევას, მაგრამ ისევ მალე გადადიან დიფერენცირებულობაში.

6. უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება და მისი სიმძიმე.

კურდღელი „ნაცარა“. უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება დაწყებულ იქნა რეფლექსის დიდი სიმტკიცის შემდეგ; ამ დროს შეუღლებათა რიცხვი აღწევდა 494-ს. უარყოფით სიგნალად აღებულ იქნა მეტრონომის 100 რხევა შემდეგი კომბინაციით: 1' მეტრონომი, 30" პაუზა და შემდეგ ეძლეოდა ინდივიდუალური ბგერა 30" ხანგრძლიობით.

პირველ ხანებში წარმოებდა მეტრონომის ბგერისადმი შეგუება, ე. ი. აღნიშნულ ბგერაზე საორიენტაციო რეაქციების ჩაქრობა, რამაც გასტანა სრული ორი დღე და მხოლოდ მესამე დღეს შეიქნა შესაძლო უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებაზე გადასვლა.

მეტრონომისადმი შეგუების საერთო სურათი ასეთი იყო: პირველ ხანებში მეტრონომის ხმა ძლიერ აფრთხობს, კურდღელი მუდამ გარბი-გამორბის; ამასთანავე უკვე ინდიფერენტული გამაღიზიანებლებიც დამაფრთხობლად მოქმედებენ. მაგ., ასპირატორის აწევა, ელექტრო-ლამპის ანთება, ჩემ მიერ ოქმის წერისას კალმისაგან გამოშვებული ხმა და სხ. მალე მეტრონომის შემდეგ (ინტერვალში $\frac{1}{2}$ -დღე) ინდივიდუალური ბგერა რეფლექსს არ იწვევს; ძირითადის შეუღლებისას მოვა ჯამისაკენ და ისიც ხანდახან. როდესაც ჰქამა დაწყებული აქვს, ამ დროს მეტრონომის გაშვება ჰქამას აწვევტიანებს, თუმცა მალე ისევ განაგრძობს, მაგრამ თუ ამ დროს ინდივიდუალური ბგერა შეგწყვიტეთ და ჯამთან შეუღლებულად მეტრონომი დაეტოვეთ, საკმელს სრულიად აღარ სჭამს. თუ წინასწარ მეტრონომი გავუშვით და მერე მას ინდივიდუალური ბგერა დავემატეთ, უკანასკნელი ეფექტს არ იწვევს. მეორე დღეს საგრძნობ ცვლილებას ჰქონდა ადგილი: თუმცა მეტრონომის ინდივიდუალური ბგერისადმი მიმატება იწვევდა დაფრთხობას, მაგრამ, საწინააღმდეგოდ პირველი დღისა, უკვე გაშვებულ მეტრონომს თუ მიემატა ინდივიდუალური ბგერა, კურდღელი გამოიქმარებდა საკმლისაკენ და კიდევ სჭამს;

ინდივიდური ბგერის შეწყვეტისთანავე კი გარბის. ასევე მესამე დღესაც. ოვით მეტრონომი ცალკე, ინდივიდური ბგერის მიმატებამდე იძლევა ან „უკუსვლით“ რეაქციას ან უფექტობას; მხოლოდ იშვიათად მეტრონომი იძლევა დადებით რეაქციებს. უარყოფითი რეფლექსის გამომუშავების მე 2 დღიდან (მე-4 ცდა)— უარყოფით რეფლექსს დაეტყო ოდნავ გამომუშავება, მაგრამ ძლიერ სუსტად— და ამასთანავე მერყეოდა.

მე 14 - 15 ცდიდან კი უარყოფითი რეფლექსი სავსებით გამომუშავებულად ჩანს. ასე გრძელდება მეორე და შემდეგ დღეებშიც. ასეთი გამომუშავებერს შემდეგ, იგი ნაცადი იქნა დღიური ცდის პირველ ადგილს; მეტრონომი „უკუსვლით“ რეაქციებს იძლევა, ხანინდივიდურო ბგერა კი—დადებით ინდივიდურ რეაქციებს. შენდევ ცდებში უარყოფითი რეფლექსი თანდათან მტკიცდება. მე 2 დღესაც ასეთ შედეგს ჰქონდა ადგილი, ხოლო ამის შემდეგ უარყოფითი რეფლექსი აიშალა:—უარყოფით სიგნალთან კომბინაციაში მყოფი ინდივიდური ბგერა მუდამ ინდივიდურს ეფექტს იძლევა, თუმცა ხანდახან საკმაოდ შესუსტებულს. ხანდახან ადგილი აქვს თვით მეტრონომისაგან დადებითი ინდივიდური რეაქციების გამოწვევას. მე-59 ხმარებიდან უარყოფითობას ისევ აქვს ადგილი, მაგრამ ძლიერ მერყეობს: უარყოფითი კომბინაცია ხან ინდივიდურ რეაქციებს იწვევს (ხან შესუსტებულს და ხან მთლიანს), ხან ურეაქციობას და ხან კი „უკუსვლის“ რეაქციებს. ასეთი მდგომარეობა გრძელდება ზედიზედ ათი დღე. ხუთ დღით შესვენებას არავითარი ცვლილება არ შეაქვს; რაც შეეხება 20 დღით უშაობის შეწყვეტას—უარყოფითი კომბინაცია ისევ „უკუსვლი“-ს რეაქციებს იძლევა (87 - 88 შეულდება).

კურდღელი „შავა“. უარყოფით სიგნალად. ისევე როგორც „ნაცარა“-ს ცდებში, ალებულ იქნა მეტრონომის 100 რხევა, ინდივიდური სიგნალთან შემდეგი კომბინაციით: მეტრონომის ბგერა წარმოებდა წინასწარ 10°, რის შემდეგაც მას ემატებოდა ინდივიდური ბგერა და შემდეგ ორივეს მოქმედება გრძელდებოდა 30°. აქაც ცდების დაყენებას უსწრებდა მეტრონომზე საორიენტაციო რეაქციების ჩაქრობა. პირველად მეტრონომის ხმაზე ფრთხება, ყურებ-აკვეტილი გაჩქარებულად მოძრაობს გალის ერთი კიდიდან მეორე კიდისაკენ. ინდივიდური ბგერა 1'—2' შემდეგ ნაცადი რეფლექსს დაკნინებით იწვევს. შემდეგში მალე მოჩანს შეგუება: შეგუების მე-5 ცდიდან მეტრონომის ბგერა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ინდივიდური ბგერის გაშვებამდე მხოლოდ 5" ადრე წყდება, ინდივიდური ბგერის რეაქციებზე თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. მალე მეტრონომისა და ინდივიდური ბგერის ერთად ამოქმედება იწვევს ინდივიდურ რეაქციებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ცალკე თვით მეტრონომმა იწყო ინდივიდური ბგერის რეაქციების ძლევა, ე. ი. გამომუშავდა უმაღლესი ხარისხის ინდივიდური რეფლექსი. მეორე დღიდან, წინასწარი საკონტროლო ცდის დაყენების შემდეგ, რამაც დაადასტურა მეტრონომზე აღმოცენებული რეფლექსის ჩაქრობა და მისი სავსებით ინდიფერენტულ გამომუშავებულად ქცევა. დაწყებულ იქნა უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება. თავიდანვე კომბინაცია მეტრონომი ინდივიდური ბგერა—იწვევს დადებით რეაქციებს. ამ კომბინაციის შემდეგ 2 მინუტის ინტერვალთ ნაცადი ინდივიდური ბგერის რეაქციები არ

კნინდებიან. ხანდახან თვით მეტრონომიც გამოდის ინდივიდუალური რეაქციების გამომწვევად. მე-10 ჯერ ხმარებიდან (მე-5 დღე), უარყოფითმა კომბინაციამ იწყო ურეაქციობისა და ხანდახან „უქუსლის“ რეაქციების მოცემა. ამის შემდეგ ხშირია თანაორიგეობა, ადგილი აქვს: ხან სუსტ რეაქციებს, ხან ურეაქციობას, ხან ინდივიდურ ძლიერ რეაქციებს და ხან „უქუსლის“ რეაქციებს. მე-31 და მე-32, ხმარებიდან კი ე. ი. უარყოფითი რეფლექსის გამომწვევების მე-16 დღიდან, ხშირად აქვს ადგილი „უქუსლის“ რეაქციებს. მე-23 დღის შემდეგ, როდესაც უარყოფითი კომბინაცია ნაცადი იქნა 75-ჯერ, უარყოფითი რეფლექსი სავესებით და მტკიცედ გამოემუშავდა; ცხოველი, როგორც გამოლოლებულ მეტრონომზე, აგრეთვე ინდივიდუალური ბგერის მიმართებისას—უმთავრესად „უქუსლის“ რეაქციებს იძლევა: მიდის მოწინააღმდეგე მხარეზე და შემდეგ ბგერის გათავებისას ისევე უკან ბრუნდება.

არც ხუთი დღით და არც ორი კვირით მუშაობის შეწყვეტა, აღნიშნულ უარყოფით რეფლექსს აღარ ცვლის.

შემდეგ ამავე კურდღელზე ნაცადი იქნა უარყოფითი რეფლექსის შემდეგ კომბინაციაზე გამომუშავება: მეტრონომის 100 რხ. 10[°] შენდღე წყდება, გადის 5[°] და ეძლევა ინდივიდუალური ბგერა ცალკე. აღნიშნული კომბინაცია პირველ ორ ცდაში არავითარ რეაქციას არ იძლევა, შემდეგ იწყო ქანაობა და მე-4 დღეზე, მე-7 ხმარებიდან, უარყოფითი რეფლექსი საბოლოოდ გამტკიცდა.

ამის შემდეგ ნაცადი იქნა ევვეე კომბინაცია, მხოლოდ 10[°] ინტერვალით, ე. ი. მეტრონომის შეწყვეტიდან ინდივიდუალური ბგერის გაშვებამდე გადიოდა 10[°]. პირველი ცდისთანავე მივიღე სრული უეფექტობა, აგრეთვე შემდეგ დღეებშიაც იგივე შედეგი. ამიტომ გადავედი 15[°] ინტერვალთან კომბინაციაზე უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებაზე. აღნიშნულ შემთხვევაშიაც თავიდანვე მივიღე „უქუსლის“ რეაქციები, ხან ურეაქციობა და ასე შემდეგ დღეებშიაც.

ერთი თვის შესვენებამ, სრულმა უნუშევრობამ, ვერც ერთი უარყოფითი რეფლექსი ვერ აშალა.

7. ფაქტიურ შედეგთა ზოგადი განხილვა.

კურდღლებზე კვების ოფლექსი უკვე პირველ-მეორე დღეზე მუშავდება; ასეთივე სისწრაფით მუშავდება რეფლექსი როგორც მტრედებზე (ივ. ბერიოტა შვილი²), აგრეთვე ზღვის გოჭზე (Vacek³).

ვინაიდან კურდღელი ძლიერ ფრთხილი ცხოველია, ამისათვის საჭირო ხდება ცდის პირობებისადმი წინასწარი ხანგრძლივი შეგუება. ამასთანავე ცდების შემდეგ მსვლელობაში ყოველი ახალი გამაღიზიანებელი ისევე დამაფრთხობლად გამოდის და აგრეთვე დამაფრთხობლობის უნარს, უკვე ინდიფერენტულად ქცეული გაღიზიანებაც იღვენს; ამ ნიადაგზე რეაქციები, როგორც ხელოვნური საინდივიდუალური, აგრეთვე ძირითადი, ე. ი. ბუნებრივ ინდივიდუალური გამაღიზიანებელზე (როგორიცაა საჭმლის დანახვა) ისპობიან. რომ ახალი გამაღიზიანებელის შემდეგ უკვე ინდიფერენტული იწყვეს დაფრთხობას და აგრეთვე რომ მათ შემდეგ ინდივიდუალური რეაქციები ისპობა, ეს მოვლენები სავესებით დამაკმაყოფილებლად, ავზების შეუღლე-

ბული ირადიაციის კანონის ნიადაგზე აიხსნებიან. როდესაც ახალი გამალიზიანების მიერ დაფრთხობის გამოწვევის შემდეგ ინდიფერენტულ გალიზიანებას ვხვართ და ის იწვევს დაფრთხობას, ეს ხდება შემდეგი გარემოების გამო: დაფრთხობის რეაქციაში მონაწილე ქერქული კერები მოდიან აღმატებული აგზნებულების მდგომარეობაში; ამიტომ ინდიფერენტული გალიზიანების მიერ გამოწვეული შედარებით სუსტი აგზნება საკმარისად ხდება ამ კერათა ასამოქმედებლად. მხოლოდ რაც შეეხება იმ მოვლენას, რომ დაფრთხობის შემდეგ ინდივიდური გამალიზიანებელი კარგავს რეფლექსის გამოწვევის უნარს, ეს დამოკიდებული უნდა იყოს დამაფრთხობელ გამალიზიანებელთა ნიადაგზე საერთოდ თავის ტვინში აგზნებულების აღმატებისაგან, რის გამოც ინდივიდური გამალიზიანებელი-საგან გამოწვეული აგზნება საკუთარი გზით ნაკლები ინტენსიობით წარიდინება, — იგი ვრცელდება საერთოდ თავის ტვინში.

რეაქციების, როგორც საინდივიდურო ისე ძირითად გალიზიანებაზე მოსპობას, აგრეთვე ადგილი აქვს ყოველდღიური ცდის დასასრულს, ე. ი. რამოდენიმე შეუღლების შემდეგ. მსგავსი მოვლენები დაკვირვებულია, როგორც მტრედებზე (ბერიტაშვილი²), აგრეთვე ძაღლებზედაც (როზოვა³). ამ მოვლენას ადგილი აქვს იმის გამო, რომ ცხოველის საკმლის ცენტრში რამოდენიმეჯერ შევიდების შემდეგ აგზნებულება ეცემა; ინდივიდური ბგერის კერა კი, როგორც უილით, კავშირშია საკმლის ცენტრთან და აქედან კი მამოძრავებელ აპარატებთან. მაგრამ საკმლის ცენტრის აგზნებულების დაცემის შემდეგ, ინდივიდური ბგერის მიმღები კერიდან აგზნება წარიმართვის რა საკმლის ცენტრისაკენ, აქედან გარეგან ფექტს ვერ იძლევა მისი სუსტი ამოქმედების გამო.

როგორც ფაქტიურ მასალაში აღვნიშნეთ, რეფლექსის საკმოდ გამტკიცების შემდეგ, მართოდ ჯამის ჩამოშვებაზე კურდღელი არ მოდის, პირიქით ფრთხება; საჭიროა ჯამის ბგერისაგან გამხოლოებით ხშირად მიცემა, რომ იწყოს ჯამისაკენ სვლა და იქიდან საკმლის ჭამა. ამასთანავე ჭამის დროს ინდივიდური ბგერის შეწყვეტისთანავე ჭამას თავს ანებებს, თავს ზევით სწევს, ყურებს სკვეტს. აგრეთვე ცხოველი ფრთხება და გარბის, თუ რომ ბგერის შეწყვეტას ადგილი აქვს ჭამის ჩვეულებრივი ვადის გათავებამდე. აქვე აღსანიშნავია ის შემთხვევა, რომ გამხოლოებულად გაშვებულ ინდივიდურ ბგერაზე, თუ გინდ იგი ჩვეულებრივ ხანგრძლივობაზე მეტი ხნით მოქმედებდეს, რეაქციები ისპობიან მხოლოდ მისი შეწყვეტისას.

ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევებში საქმე უნდა გვექნოდეს ორი სხედასხვა კატეგორიის მოვლენასთან: 1) ბგერა და ჯამის ჩამოშვება გალიქენ კომპლექსურ გამალიზიანებლად და 2) ბგერის შეწყვეტა დადებით ინდივიდური სიგნალია ჭამისა და საზოგადოდ ინდივიდურ რეაქციათა შეწყვეტისა და ჯამიდან უკუსვლისა, გაცლისა.

ბგერის შეწყვეტის გავლენა შემჩნეულია აგრეთვე მტრედებზედაც ივ. ბერიტაშვილის მიერ² და ზღვის გოკზე ვაცეკის მიერ³. ივ. ბერიტაშვილი თავის დაკვირვების გადმოცემისას აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ინდივიდური სიგნალის მოქმედების შეწყვეტა ხდება ჭამის შეწყვეტის ინდივიდურ სიგნალად. და რომ ეს მართლაც ასე უნდა იყოს, ამას ადასტურებენ აგრეთვე ის შემთხვე-

ვებიც, როდესაც გამბოლოებული ინდივიდური ბგერის და აგრეთვე სადიფერენციო ბგერათა მიერ გამოწვეული რეაქციები წყდებიან მათი შეწყვეტისათანავე.

რაც შეეხება პირველი სახის მოვლენებს, რომ კურდღელი ჯამის გამბოლოებულ ჩამოშვებაზე არ მოდის, მე მგონია, ამ მოვლენის საფუძველს თვით კურდღლის მოქმედება აშკარაა. გამბოლოებულად ჯამის ჩამოშვებისას ის ისეთ რეაქციებს იძლევა, რომელიც საესებით ემსგავსება რაიმე არაჩვეულებრივ გაღიზიანების მიერ გამოწვეულ მოქმედებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჯამის გამბოლოებულად ხშირი მიცემა, აღარ იწვევს კურდღლის დაფრთხობის რეაქციებს. ამრიგად ჯამის ჩამოშვებისაგან დაფრთხობის რეაქციების გამოწვევა, მასზე ძლიერი საორიენტაციო რაქციის ხელახალ აღდგენაზეა დამოკიდებული, რომელიც დაფრთხობაშიაც გადადის. ის მოვლენა, რომ ჯამისაგან დაფრთხობა მხოლოდ მის გამბოლოებულ ჩამოშვებაზე იწვევა და ასეთს ადგილი არ აქვს, თუ რომ მას წინ დადებითი ინდივიდური სიგნალი უსწრებს, ცხადია, ინდივიდური გზით უნდა განვითარებულიყო; სახელდობრ დადებითი ინდივიდური სიგნალი დაფრთხობის რეაქციის უარყოფით სიგნალად უნდა გამხდარიყო, ამას ადგილი ექნებოდა ინდივიდური სიგნალის კერისაკენ დაფრთხობის მიმოდრავებელ ელემენტებიდან უკუქცევითი კავშირების განვითარების გამო.

როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, რეფლექსის საკმაო გამტკიცების შემდეგ ორთვენახევართ მუშაობის შეწყვეტა რეფლექსზე გაელენას ვერ ახდენს. ამ მხრივ კურდღლები არ განსხვავდებიან არც მტრედებისაგან (ბერიტაშვილი²) და არც ქათმებისაგან (ზავადოვსკი და როხლინა³). უკუქცევითი გზების განვითარებაზე დამყარებული მოვლენების განვითარება, როგორცაა რეფლექსის ჩაქრობა, დიფერენცირებულება და უარყოფითი რეფლექსი (ბერიტაშვილი¹), საკმაოდ ნათელს ყოფენ ჩვენ კურდღელთა ინდივიდურ თავისებურებებს.

საერთოდ ერთხელობრივი ჩაქრობის პროცესი კურდღლებზე ისევე მიმდინარეობს, როგორც მტრედებზე (ბერიტაშვილი², ბაიანდუროვი⁴) და ძაღლებზე. რაც შეეხება სისტემატიურ ჩაქრობას, აქ ადგილი აქვს ხშირ მერყეობას; ხშირად, თითქმის საესებით ჩამქრალი ინდივიდური რეფლექსი, წამოიჭრება მთელი თავისი სიძლიერით. ამასთანავე უნნიშვნელო ან უკვე ინდიფერენტულად ქცეული გაღიზიანებაც კი-საკმარისია ჩამქრალი რეფლექსის ხელახლად გასაღვივებლად. აღნიშნულ მოვლენებს ადგილი აქვს უმთავრესად „ნაცარა“-ს მიმართ. ეს მოვლენები უნდა დაუქვემდებაროთ სხვადასხვა გაღიზიანების გაელენით შინაური კურდღლის მეტის მეტად იოლად ამოდრავებას, რასაც მოსდევს დიდი ტვინის აგზნებულების მომატება, რაც თავის მხრივ აძნელებს ჩაქრობას; ცნობილია, რომ აგზნებულების მომატება აძნელებს რეფლექსის ჩაქრობას, და ჩაქრობილს კი აღადგენს (ბერიტაშვილი¹).

დიფერენციულობის განვითარებაშიაც ასეთსავე სხვაობას აქვს ადგილი: „შავა“ზე იგი მუშავდება უფრო მეტად და მტკიცედ, ვიდრე „ნაცარა“ზე.

დიფერენციაციის მსუელეობაში აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ორივე კურდღელი რეფლექსის ძლიერი გამტკიცების შემდეგ, ინდივიდურ ბგერასთან ახლო მდგარ არაჩვეულებრივ ბგერას თავიდანვე მხოლოდ საორიენტაციო რეაქციებით უპასუხებს. გამოდის თითქო, რომ რეფლექსის გამტკიცებით დიფერენ-

ციაცია თავისთავად წარმოებს. მაგრამ რადგანაც შემდეგ ხელახლა ცდებში აღნიშნული დიფერენცირებული გამალიზიანებული ინდივიდურ რეაქციებს იწვევს და საჭირო ხდება მასზე-დიფერენცირებულების სპეციალური გამოიმუშავება, ამიტომ შეუძლებელია პირველი ურეაქციობა ს. ფ რ ი დ მ ა ნ ი ს მსგავსად⁷ დიფერენცირებულებას მივაწეროთ; თუ ჩვენ სადიფერენციო ბგერის ხმარებისას ვლებულობთ ურეაქციობას, ეს იმის გამო უნდა ხდებოდეს, რომ ცხოველი აღნიშნულ ბგერას უცხო გამალიზიანებლის სახით მიმღებლობს, იძლევა მასზე საორიენტაციო რეაქციებს და ამის გამო დადებითი ინდივიდური რეაქცია კი ისპობა. ამ მოვლენის ფიზიოლოგიური ბუნება, რასაკვირველია, იგივე უნდა იყოს, რაც ინდივიდურ რეფლექსზე საზოგადოდ არაჩვეულებრივი გალიზიანების უარყოფითი მოქმედების; საორიენტაციო მოძრაობის დროს დიდი ტენიის აგზნებულება მატულობს და ის, აგზნების შეუღლებული ირადიაციის კანონის თანახმად, ხელს უშლის ინდივიდური გზით რეფლექსის წარმოებას.

რომ გამალიზიანებლის პირველ ხმარებისას მიღებული დიფერენციულობის მთავარი პირობა იყო საორიენტაციო რეფლექსი, როგორც არაჩვეულებრივ გალიზიანებაზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კურდღელი „ნაცარა“, რომელიც უფრო ფრთხალი იყო, სადიფერენციო ბგერათა პირველი ხმარებისას, გაცილებით ხშირად იძლეოდა საორიენტაციო რეაქციებს, ვიდრე „შავა“; მაგრამ შემდეგ დღეებში აღნიშნულ ბგერათა სისტემატიური ხმარებისას, იწყებდა ინდივიდური ბგერის რეაქციების ძლევას. თუ კი აღნიშნულ ბგერებს ვცდილით რამოდენიმე დღის გამოშვებით, მათი დიფერენცირებულება ისევ თვალსაჩინო ხდებოდა. ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევებში საორიენტაციო რეფლექსის ხელახლად აღდგენა-გამოცოცხლებას უნდა ჰქონოდა ადგილი. პოპოვი⁸, რომელიც იკვლევდა ძაღლებზე საორიენტაციო რეფლექსის ჩაქრობას, დარწმუნდა, რომ ერთხელობრივ ჩაქრობილი საორიენტაციო რეფლექსი 10—15' შემდეგ ისევ თავს იჩენს,—ქრონიკულად ჩაქრობილი კი, რამოდენიმე დღის შემდეგ; აგრეთვე აღნიშნავს, რომ გარემოში ოდნავი ცვლილება, საორიენტაციო რეფლექსის ჩაქრობას ახანგრძლივებს და უკვე ჩამქრალს აცოცხლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფურსიკოვი⁹ ძაღლებზე მუშაობით დაამტკიცა, რომ დიფერენციულობის თავისთავად გამოიმუშავება შეუძლებელია. მისი აზრით თუ წინა ავტორები (ფ რ ი დ მ ა ნ ი და სხ.) ასეთის შესაძლებლობას აღიარებდნენ, ეს დამყარებული იყო იმ გარემოებაზე, რომ ისინი მხედველობაში არ იღებდნენ ახალ სადიფერენციო აგენტისაგან გამოწვეული საორიენტაციო რეფლექსის შემაკავებელ გავლენასო. როზენტალი¹⁰, რომელიც სპეციალურად იკვლევდა დიფერენციულობის პროცესზე საორიენტაციო რეფლექსის გავლენის საკითხს, მსგავსსავე დასკვნამდე მივიდა.

თუ კი ეს დაკვირვებანი სწორია ძაღლების მიმართ, იგი მით უფრო სწორი უნდა იყოს ისეთი ფრთხალი ცხოველის მიმართ, როგორიცაა კურდღელი.

ის მოვლენა, რომ ორი-სამი თვით შესვენება ზოგ დიფერენციულობას ვერ სპობს, ხშირად, სადიფერენციო გამალიზიანებულზე საორიენტაციო რეფლექსის ხელახლად აღდგენაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ვინაიდან შემდეგ ცდებში აღნიშნული დიფერენციულობა აშლილია და განმეორებითი ცდებია საჭირო მის ხელახლად განსამტკიცებლად. ამასთანავე ის შემთხვევა, როდესაც სადიფერენ-

ციო ბგერა დღიური ცდის განმავლობაში პირველად ნაცადი, რეაქციას, საორიენტაციოს გარდა, არ იწვევს, მაგრამ რამდენჯერმე ზედიზედ განმეორებისას იწყებს ინდივიდური რეაქციების მოცემას (ასეთივე მაგალითი ზღვის გოკზე—უ ა-ც ე კ ი ³), ზოგ შემთხვევაში, ამ საორიენტაციო რეფლექსის ჩაქრობაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

საორიენტაციო რეაქციები აგრეთვე უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებაზედაც დიდ გავლენას ახდენენ (ფ უ რ ს ი კ ო ვ ი ს ცდები ძალღებზე ³). კურდღელ „ნაცარა“ზე, როგორც ზევეითაც აღვნიშნეთ, უარყოფითი რეფლექსი მუშავდებოდა, ინდივიდურ ბგერის უარყოფითი სიგნალიდან 30" დაშორებით. „ნაცარა“ს როგორც ძლიერ ფრთხალს უარყოფით სიგნალზე (მეტრონომი) საორიენტაციო რეაქციების ჩაქრობისათვის უფრო მეტი ხანი დასჭირდა, ვიდრე „შავა“ს. შენდევში უარყოფითმა რეფლექსმა უკვე მეორე დღიდანვე იწყო გამომუშავება და შემდეგ დღეებში თანდათან მტკიცდებოდა. მაგრამ საექვო იყო 30" ინტერვალიანი უარყოფითი რეფლექსის კურდღელზე ასე მალე გამომუშავება, იმ დროს, როდესაც ასეთი ძალღებზე სრულიადაც არ ყოფილა მიღებული (ფ უ რ ს ი კ ო ვ ი ¹¹). ამიტომ შესაძლებელი იყო გვეუქპრა, რომ აქ ადგილი ჰქონდა უარყოფითი სიგნალის, როგორც არაჩვეულებრივი გამაღიზიანებლის, უარყოფით გავლენას. მართლაც რამდენიმე დღის ასეთი მუშაობის შემდეგ, აღნიშნული სიგნალის (მეტრონომი) უარყოფითი მოქმედება საცხებით აიშალა, მოისპო და, პირიქით, მან იწყო ხშირად ძლიერი ინდივიდური რეაქციების ძლევა. მუშაობის რამდენიმე (20-დღით) შეწყვეტამ, უარყოფითი რეფლექსი ხელახლად აღადგინა, მაგრამ, რომ ეს აღდგენა არა ნამდვილი ინდივიდური უარყოფითობა იყო, გამოაშკარავდა ნით, რომ შემდეგი დღეების ცდებში, იწყო ისევ დადებითი ინდივიდური რეაქციების ძლევა; ამასთანავე ინდივიდურ რეაქციებს იწვევდა, არამც თუ 30" პაუზიანი უარყოფითი სიგნალი, არამედ სრულიად უპაუზო, ინდივიდურ ბგერასთან უშუალოდ მიმატებულიც.

კურდღელ „შავა“ზე, პირიქით, მეტრონომზე საორიენტაციო რეაქციის წინასწარი ჩაქრობა გაცილებით სწრაფად წახდა, და ამასთანავე უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება, რომელიც მუშავდებოდა უარყოფითი სიგნალის (მეტრონომი) ინდივიდურ ბგერაზე უშუალო მიმატებით, დაყოვნებით მიმდინარეობდა. მაგრამ საბოლოოდ მტკიცედ გამომუშავდა. ამასთანავე შემდეგში შესაძლო ხდება 15" პაუზიანი უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებაც.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენ შემთხვევაში საბოლოოდ გამტკიცებული უარყოფითი რეფლექსის დაგვიანებით გამომუშავება („შავა“ზე მე-75 ცდიდან, მე-23 დღე), სხვათა გარდა, დამოკიდებული უნდა იყოს იმ გარემოებიდანაც, რომ უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება ინდივიდური რეფლექსის ძლიერი გამტკიცების შემდეგ ვიწყეთ (526 შეულღება), რაც, როგორც ცნობილია (ძალღებზე—ფ უ რ ს ი კ ო ვ ი ¹¹) ხელს უშლის მტკიცე უარყოფითობის გამომუშავებას.

დამშვეის შემთხვევებში რეფლექსის ჩაქრობა, დიფერენციულობისა და უარყოფითი რეფლექსის გამომუშავების მიმდინარეობა იმავე ცვლილებებს განიცდის, როგორც ქათმებზე (ზ ა ვ ა დ ო ვ ს კ ი და რ ო ხ ლ ი ნ ა ³) და ძალღებზე (ნ ი კ ი ფ ო რ ო ვ ს კ ი ¹², რ ო ზ ე ნ ტ ა ლ ი ¹³), სახელობრ აშლილობას, დადებითი ინ-

დივიდუარი სიგნალის რეაქციებში გადასვლას. ეს, რასაკვირველია, დამოკიდებული უნდა იყოს დიდი ტვინის აგზნებულების მომატებაზე, როგორც პირდაპირ დამშეული სისხლის გავლენით, ისე ცხოველის მოძრაობათა გაცხოველების გამო. (ივ. ბერიტაშვილი 1).

საბოლოოდ შეეჩერდებით ევრეთწოდებული „უკუსელის“ მექანიზმის ზოგად გათვალისწინებაზე. როგორც ზევით ფაქტიური მასალის გადმოცემისას აღინიშნა, კურდღლებზე რეფლექსის სისტემატიური ჩაქრობისას, დიფერენციულობისა და უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებისას, ადგილი ჰქონდა არა ჯამისაკენ სვლას, არამედ ჯამის მოპირდაპირე მხარისაკენ გადანაცვლების რეაქციებს. აქ თითქოს, ადამიანის ქცევის თვალთახედვით რომ ვიპოვოთ, ცხოველი აღნიშნულ გამალიზიანებლებს — პროტესტით უპასუხებდა.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ გამალიზიანებელთა დმი ცხოველის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება, ფიზიოლოგიურად დაახლოვებით შემდეგი სახით უნდა წარმოვიდგინოთ: სანამ სადიფერენციო გამალიზიანებელზე ან უარყოფითი სიგნალზე მოხდებოდა დიფერენციულობა, ცხოველი მუდამ მიილტვის ჯამისაკენ მაგრამ, ვინაიდან შეუძლებას ადგილი არ აქვს, ის ისევ უკან ბრუნდება. ასეთი რეაქციების ხშირი განმეორებისას ჯამისაკენ მიმართული წინქცევითი კავშირები განიცდიან თანდათან ჩაქრობას; მაგრამ მათ გვერდით მეორე სახის წინქცევითი კავშირები უკან გამობრუნების მამოძრავებელ ცენტრებთან, ანუ უკუსელის ცენტრებთან, თანდათან მტკიცდებიან და ამისათვის სადიფერენციო ბგერის ან უარყოფითი სიგნალის მიმღები ცენტრიდან აგზნება წარიდინება რა „უკუსელის“ ცენტრისაკენ — იწვევს გაცლის რეაქციებს. ვინაიდან კურდღლებზე დიფერენციულობა და უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება წარმოებდა დაყოვნებით, ამისათვის უკუსელის ცენტრის მოქმედების გამტკიცება აქ თვალსაჩინოდ აშკარავდება.

იმის გამო, რომ აღნიშნული უარყოფითი რეაქციები არ უნდა იყონ დამოკიდებულნი თავის ტვინის ქერქში სათანადო. ცენტრთა შორის უკუქცევითი კავშირების განვითარებაზე, რომელიც წარმოადგენენ უარყოფითი რეფლექსების მთავარ პირობას, არამედ ეფუძნებიან დამოუკიდებელ წინქცევით კავშირებს, ამიტომ აღნიშნულ მოვლენებს ჩვეულებრივი უარყოფითი რეაქციებისაგან განასხვავებლად ვუწოდეთ „უკუსელის“ რეაქციები.

დ ა ს კ ვ ნ ა.

1. კურდღლები, როგორც ფრთხილი ცხოველნი, ცდების პირობებისადმი შედარებით ხანგრძლივ შეგუებას მოითხოვენ, და ამასთანავე უკვე შეგუებულნი ხშირად ისევ ფრთხილიან, თუმცა მათ შორის ადგილი აქვს ინდივიდუალ სვობასაც.

2. კურდღელზე კვების ინდივიდუარი რეფლექსი მუშავდება პირველ დღიდანვე; საბოლოო გამტკიცებას აღწევს მე-5 დღიდან (შეუძლება 67); გამტკიცებული რეფლექსი იშვიათად მერყეობს, იგი თითქმის მუდამ მტკიცე და ძლიერია. რეფლექსის გამოვლინებას აფერხებს ყოველი ახალი გამალიზიანებელი, რომელიც მნიშვნელოვან საორენტაციო რეაქციებს იწვევს.

3. რეფლექსის ერთხელობრივი ჩაქრობა მე-7 ცდაზე ხდება. რაც შეეხება სისტემატურ ჩაქრობას, ინდივიდურ ბგერაზე ყოველი სახის რეაქციების მოსპობით, ასეთი თითქმის 200 ცდითაც არ მიიღწევა; ამასთანავე ამ შემთხვევაში (ე. ი. სისტემატური ჩაქრობისას) ადგილი აქვს ხშირ ქანაობას: რეფლექსი ხან იწვევა, ხან არა.

4. დიფერენციულობა და უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება კურდღელზე ძალებთან შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამასთანავე ხშირია დიფერენციულობა -- უარყოფითი რეფლექსის მერყეობა-ქანაობა. ამის გამო ხშირად საექოა მათი გამომუშავების დადასტურება.

5. ხანგრძლივი მუშაობით მიიღწევა დიფერენციულობა $\frac{1}{3}$ ტონზე.

6. უარყოფითი რეფლექსი — ინდივიდური ბგერის უარყოფითი სიგნალიდან 30" ინტერვალზე — ჩვენს შემთხვევაში არ გამომუშავდა. თუმცა იყო შემთხვევები, სადაც ასეთის გამომუშავება თითქოს კიდევ დასტურდებოდა, მაგრამ ასეთი შემთხვევები ჩვენის აზრით, დამოკიდებულია უარყოფითი სიგნალის მიერ გამოწვეული საორიენტაციო რეაქციების გავლენაზე.

7. უპაუზო უარყოფით სიგნალზე, ე. ი. უარყოფით სიგნალზე, რომელსაც უშუალოდ ემატება ინდივიდური ბგერა, მუშავდება მტკიცე უარყოფითი რეფლექსი.

8. უარყოფით სიგნალისადმი უშუალოდ მიმატებულ ინდივიდურ ბგერაზე უარყოფითი რეფლექსის გამომუშავების შემდეგ შესაძლო ხდება უარყოფითი რეფლექსის გამომუშავება მაშინაც, თუ რომ ინდივიდური ბგერა უარყოფითი სიგნალიდან 5", 10" და 15" ინტერვალთა იქნება დაცილებული.

9. ინდივიდური ბგერა და ჯამის ჩამოშვება — ერთად ქნიან კომპლექსურ გამაღიზიანებელს. ამ კომპლექსური გამაღიზიანებლის ცალკე აგენტს, ჯამის ჩამოშვებას, კურდღელი, მსგავსად არაჩვეულებრივი გამაღიზიანებლისა, ფრთხობის რეაქციებით უპასუხებს. მაგრამ დაფრთხობას ადგილი აღარ აქვს, თუ რომ ჯამის ჩამოშვებას დადებითი ინდივიდური სიგნალი უსწრებს: ინდივიდური გზით დადებითი ინდივიდური სიგნალი იქცა დაფრთხობის უარყოფით სიგნალად, ვინაიდან, ჩვენის აზრით, დაფრთხობის მამოძრავებელი ელემენტებიდან ინდივიდური სიგნალის კერისაკენ უნდა განვითარებულიყვენ უკუქცევითი გზები.

10. კურდღლებზე რეფლექსის სისტემატური ჩაქრობისას და აგრეთვე დიფერენციულობისა და უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებისას თავს იჩენს უკუსვლის რეაქციები. ვფიქრობთ, ამას აქვს ადგილი იმის გამო, რომ კურდღლებზე ჩაქრობა, დიფერენციულობა და უარყოფითი რეფლექსის დაყოვნებით გამომუშავების გამო, ჯამისაკენ მიმართული წინქცევითი კავშირები განიცდიან თანდათან ჩაქრობას, ვინაიდან შეუღლებას ადგილი არ აქვს, და, სამაგიეროდ, წინქცევითი კავშირები უკან გამობრუნების მამოძრავებელ ცენტრთან, ანუ „უკუსვლის“ ცენტრთან — თანდათან მტკიცდებიან.

11. დიფერენციულობისა და უარყოფითი რეფლექსის გამომუშავებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საორიენტაციო რეფლექსის გავლენას, რათა საორიენტაციო რეფლექსის გავლენით გამოწვეული მოვლენა არ იქნეს მიჩნეული უკუქცევით კავშირებზე დამოკიდებულ მოვლენად.

დასასრულ დიდად პატივცემულ ჩემს მასწავლებელს პროფესორ ივანე ბერიტაშვილს თემის მოცემისა და უშუალო ხელმძღვანელობისათვის ვუძღვნი დიდს მადლობას.

ლიტერატურა.

1. პროფ. ივ. ბერიტაშვილი, ზოგადი ფიზიოლოგია. რეფლექსოლოგიის საფუძვლებით. 1927 წ. და Über die individuell-erworbene Tätigkeit des Zentralnervensystems: Journal für Psychologie und Neurologie, 1927, №, 113—335.
2. J. Beritoff, „Pflügers Archiv“ 1926 წ., 213, 370.
3. Vacek, Tomas, Berichte u. d. Gesamte Physiologie, 1927, 41, 565.
4. Л. В. Розова, О взаимоотношении различных видов внешнего торможения условных рефлексов. 1914. დისერტაცია პავლოვის ლაბორატორ.
5. Б. М. Завадовский и М. Л. Роханиа, Медико-биологический жур. 1927, 3, 53.
6. Б. Н. Балидуров. Журнал эксперим. биологии и медицины, 1926, 4, 210.
7. С. С. Фридман. Дальнейшие материалы к физиологии дифференцирования внешних раздражений, 1912. დისერტაცია პავლოვის ლაბორატორიიდან.
8. Н. А. Попов, Русский физиол. журнал, 1921, 3.
9. Д. С. Фуряков, Русский физиол. журнал, 1921, 4, 246.
10. И. С. Розенталь, Труды физиологич. лаборат. Павлова, 1925, 1, 141.
11. С. С. Фуряков, Труды физиол. лаб. Павлова, 1925, 1, 3.
12. П. М. Никифоровский, Фармакология условных рефлексов, 1910, დისერტაცია პავლოვის ლაბორატორიიდან.
13. О. С. Розенталь, Влияние годичных на условные рефл., Русский физиологич. журнал, 1911, 3, 9.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიიდან,
(გამგე პროფ. ი. ბერიტაშვილი).

ხერხეულიან ცხოველთა ქცევის შედარებითი შესწავ- ლისთვის.

მოხსენება III.

შ. თოფური.

დაცვის ინდივიდუალური რეაქციების განვითარება და დიფერენ-
ციატა ქალის ლეკვებზე.

I. შესავალი და მეთოდოლოგია.

კვლევის მიზანს შეადგენს განოვარკვიოთ, თუ როგორი სიადვილით ვი-
თარდება დაცვის ინდივიდუალური რეფლექსი ქალის ლეკვებზე და აგრეთვე
აღენიშნოთ ის თავისებურებანი ინდივიდუალური რეფლექსების განვითარებისა, რო-
მლითაც ლეკვები განსხვავდებიან ძაღვებისაგან.

ცდებს ვაწარმოებდით ნ ძალის ლეკვზე. სამი ლეკვი № 1, 3 და 4 ეყუთენის ერთ
ძალს, გაჩნდენ 8 ოქტომბერს 1927 წ. მუშაობა კი მათზე დაიწყო 26 ოქტომბერს. ორი ლეკ-
ვი № 2—5 ეყუთენოდა მეორე ძალს, გაჩნდენ 28 სექტემბერს. მუშაობა დაიწყო ამ ლეკვებზე
იმვე დღეს. რა დღესაც პირველებზე. მეექვსე ლეკვი № 6 ეყუთენოდა სხვა ძალს, იგი აყუ-
ნილია სამუშაოდ 22/IX, გაჩენიდან 12 დღისაა.

საცდელი ცხოველები ცდის დროს თავისუფლად მოძრაობდენ მათთვის სპეციალურად
გაკეთებულ მრგვალ მაგიდაზე. რომელიც გარშემო შეოფარტული იყო რკინის ბადით, რათა
ლეკვი არ გადმოეპოვინილიყო მაგიდიდან.

ჩვენ ვავითარებდით ლეკვებზე დაცვის ინდივიდუალური რეფლექსებს. საინდივიდუალური გამო-
ლიზიანებლად ეხმარობდით ტონოგრაფიის ბეგრას, ელექტრონის ზარს, აგრეთვე სალაზურს
და მეტრონომს. ძირითად განალიზიანებლად ეხმარობდით წინა კიდურის ტერფის ფარჯლის
ფარადიულ კალიზიანებას, რომელიც იწვევდა კიდურის მოხერხისთან ერთად ადგილის გადა-
ნაცვლებას, წამეტუნს, სუნთქვის გაზშირებასა და კანკალს. ცდები წარმოებდა უმეტეს წილად
ყოველ დღე, თვითივე ლეკვზე ცდა გრძელდებოდა ნახევარი—ერთი საათი. შეუღლების რიც-
ხი დი პაუზები ვარიაციას განიცდიდენ პირობების მიხედვით. ყოველი მოძრაობა ცდის დროს
იწერებოდა დაწერილობით, მაგრამ ამასთან ერთად აღინიშნებოდა აგრეთვე ცხოველის ქცევა
პაუზებში.

საცდელი ცხოველების ქცევიდან აღსანიშნავია ის, რომ ხშირად მეტადრე ცდის ზოლო-
ში ისინი მტრის მებრძოლ მოუსვენრად არიან: ცოცავენ მაგიდაზე, ჯეფენ და წამეტუნებენ. ასეთ
შემთხვევაში საკვლის მიცემა ცხოველს აწყნარებდა. ხან კი უკრო მოსვენებით არიან. სოვლემენ
და სძინავთ.

*) პირველი მოხსენება: ი. ბერიტაშვილი, ჩვენი პრობლემა და პირველი შედეგები.
აქვე გვ. 225—232.

მოხსენება მეორე. ა. ბრეგაძე. კვების ინდივიდუალური რეფლექსის გამომუშავება შინაური
კურდღელზე, აქვე გვ. 232—252.

2. დაცვის ინდივიდური რეფლექსების განვითარება და განმტკიცება.

პირველად ყოვლისა ვეცდით ცალკე საინდივიდურო გამალიზიანებელს. თუ რომ იგი გაძლიერებულ საორიენტაციო მოძრაობას იძლეოდა, ჩვენ ვიმეორებდით ამ გალიზიანებას რამდენჯერმე ამ რეფლექსის ჩაქრობამდე. მხოლოდ ამის შემდეგ საინდივიდურო გალიზიანებას ვუერთებდით ძირითად ელექტროგალიზიანებას. ინდივიდური რეფლექსის განსავითარებლად უკანასკნელი გალიზიანება უერთდებოდა 5—10 სექუნდის შემდეგ საინდივიდურო გამალიზიანების დაწყებიდან და ასე ერთად მოქმედებდნენ ორივე გალიზიანება 5—10 სექუნდს. შემდეგ ორივე გალიზიანება წყდებოდა აგრეთვე ერთად. თვითეული შეუღლების დროს ელექტრული გალიზიანება წარმოებდა ორ-სამჯერ. ამ გალიზიანების ზღრუბლი მერყეობდა 7—13 სანტიმეტრამდე დიუ-ბუარეიმონის ინდუქტორიუმზე. ხშირად ზღრუბლი ასეთ ფარგლებში მერყეობდა ერთი დღის განმავლობაში.

ინდივიდური რეფლექსი ვითარდებოდა პირველ დღესვე. ზოგზე მეოთხე შეუღლებიდან, ზოგზე მეექვსე-მეშვიდე და ზოგზე მეცამეტი შეუღლებიდან. ინდივიდური დაცვის რეფლექსი გამოიხატებოდა შემდეგნაირად: თავის ძლიერი მოძრაობა ხან ერთ, ხან მეორე გვერდზე, სუნთქვის გახშირება, საერთო კანკალი და ცოცვა მაგიდაზე. აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო ახალგაზრდაა ლეკვი მით უფრო საძნელოა ინდივიდური რეფლექსის განვითარება. (მაგ. ლეკვის № 6, გაჩენიდან 12 დღისას, განუვითარდა რეფლექსი მე-13-ტე შეუღლებიდან, იმ დროს როდესაც მასზე უფროსებს მეოთხე-მეშვიდე შეუღლებიდან).

რაც უფრო ხნიერია ლეკვი, მით უფრო რთულია ინდივიდური რეაქცია. ასე, მაგალითად, ერთი უფრო ხნიერი ლეკვი (№ 2) იძლეოდა ზემოთ აღნიშნულ რეაქციების გარდა, აგრეთვე წკმუტუნსაც, რომელიც ხშირად ყუფაში გადადიოდა. მეორე ამავ, ხნის ლეკვზედ კი კანკალი და სუნთქვის გახშირება ნაკლებად იყო გამოხატული, სამაგიეროდ წკმუტუნი და ლოკომოცია მკაფიოდ ჩანდა.

ცდის პირველ დღეებში ინდივიდური რეფლექსი უფრო ხშირად არ იწვევოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლეკვებზედ (№ 6—1, 3 და 4). მოგეყვას ოქმი № 1 და 2 ინდივიდური რეფლექსის განვითარებისა, სხვადასხვა ხნოვანების მიხედვით.

ინდივიდური რეფლექსი განიცდიდა ვარიაციას იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ცხოველის წინასწარი მდგომარეობა საინდივიდურო გალიზიანებამდე. მაგ., თუ ცხოველი წკმუტუნებდა, მაშინ საინდივიდურო გალიზიანების ხმაობისას წკმუტუნი წყდებოდა, ან, თუ ცხოველი იწვა, ის დგებოდა, ადგილზე კანკალებდა და ცოცავდა.

მეორე დღეს ცდის დასაწყისში საინდივიდურო გალიზიანება იძლეოდა რეფლექსს მხოლოდ ყველაზე მოზრდილ ლეკვზე (№ 2, 30 დღისაზე გაჩენიდან), რაც გამოიხატებოდა წკმუტუნში და ყუფაში. მხოლოდ ლეკვები № 6, 3 და 4 (12 და 20 დღე გაჩენიდან) ცდის დასაწყისში მეორე დღეს ინდივიდური რეფლექსს სრულიად არ იძლეოდნენ. ამ ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსი განმტკიცდა ცდის მეხუთე დღეს (მაგ. № 3). ამ დროს ცდის დასაწყისში ინდივიდური გალიზიანება იძლეოდა მხოლოდ ცხოველის კანკალსა და ცოცვას მაგიდაზე.

ოქმნი № 1.

ლეკვი № 1, გაჩენიდან ოცი დღისა. ინდივიდური რეფლექსის განვითარების პირველი დღე.

| ცდის დრო | შეუღლებს რიგი ინდივ. სივანლის სახელწოდება ინდივ. სივანლის ცალკე მოქმედება | რეაქციები | | შენიშვნა |
|-------------|---|--------------------------------------|--|--|
| | | პაუზაში | ინდივიდური | |
| 12 ს.—56 მ. | 2. ელექტრიკი 5" | თვლემს, ხან კი კანკალებს. | რეაქცია არ არის; წვეს მაგიჯაზე. | ცხოველი ელექტრულ გაღიზიანებაზე კიდურის ხრის და წკმუტუნებს. |
| 12 ს.—59 მ. | 3. — — | წკმუტუნებს, თავს გვეუღებ ამოძრავებს. | წკმუტუნს წყვეტს, თავს გვეუღებ ჰხრის. | id. |
| 1 ს.—2 მ | 4. — — | ცოცავს და მაგიდან ყნოსავს. | სწრაფად მაგიდაზე წვეება, კანკალებს და ხშირად სუნთქავს. | id. |
| 1 ს.—5 მ. | 5. — — | თვლემს. | რეაქცია არ არის, თვლემს. | ელ. - გაღიზიანებაზე წამოხტა, კიდურს ხრის. |
| 1 ს.—8 მ. | 6. — — | თვლემს და წკმუტუნებს. | წკმუტუნს წყვეტს, კანკალებს, ხშირად სუნთქავს. | ელ.-გაღიზიანებაზე კიდურს ხრის, წკმუტუნებს. |
| 1 ს.—11 მ. | 7. — — | წკმუტუნებს, ხან თვლემს. | ხშირად სუნთქავს, წკმუტუნს წყვეტს და ცოცავს. | id. |
| 1 ს.—14 მ. | 8. — — | ადგილზე წვეს, ფხიზლა არის. | ცოცავს, ხშირად სუნთქავს და კანკალებს. | id. |
| 1 ს.—17 მ. | 9. — — | თვლემს. | თვლემს და რეაქცია არ არის. | ძირითადად რეაქცია არ არის, ღრმადილი. |

მ. ქ. მ. ი. № 2.

ლეკვი № 2 (30 დღისა დაბადებიდან). ცდის პირველი დღე.

| ცდის დრო | შეუღლები რიგი | ინდო. სიგნალის საბელწოდება | ინდო. სიგნალის ცალკე მოქმედება | რეაქციები | | შ ე ნ ი შ ე ნ ა. |
|----------|---------------|---|--------------------------------|-----------------------|---|--|
| | | | | პაუზაში | ინდივიდური | |
| 2 ს.—66' | 1. | ტონვაია-ტოლის ბეგ-რა. ტონი F ₁ | 5 ^ა | თვლემს. | რეაქცია არ არის, წვეს წუნარად. | ელ. გალიზიანებაზე კიდურს ბრის და წკმუტუნებს. |
| 2 ს.—9' | 2. | — | — | თვლემს. | რეაქცია არ არის, მხოლოდ თავს ამოძრავებს. | id. |
| 2 ს.—12' | 3. | — | — | ფიზიკად არის. | თვლებს ახელს, სუნთქვა უზშირდება, წკმუტუნებს და ყურებს ცქვეტს. | id |
| 2 ს.—15' | 4. | — | — | თვლემს. | წკმუტუნებს, საერთო ლოკომოცია. | id. |
| 2 ს.—17' | 5. | — | — | ღრმა ძილი. | რეაქცია არ არის. | ელ. გალიზიანებაზე რეაქცია არ არის. |
| 2 ს.—20' | 6. | — | — | თვლემს. | წკმუტუნებს, ცოცავს და კანკალებს. | ელ. გალიზიანებაზე კიდურს ბრის და წკმუტუნებს. |
| 2 ს.—24' | 7. | — | — | თვლემს. | ყურებს ცქვეტს, წკმუტუნებს. ლოკომოცია. | id. |
| 2 ს.—28' | 8. | — | — | ფიზიკად არის, ცოცავს. | წკმუტუნებს და ლოკომოციას იძლევა. | id. |

საინდივიდურო რეაქცია ცხოველებისა იყო დიფუზური: წკმუტუნი, კანკალი, სუნთქვის გახშირება და სკოპომოცია. ამ პერიოდში არ იყო შემჩნეული მოძრაობა გალიზიანებულ კიღურისა. კიღურის მოძრაობა—მისი მოხრა განვითარდა სხვადასხვა დროს. ასე, მაგალითად, ლეკვი № 2 კიღურს ამოძრავებს და ხრის ცდის მეოთხე დღეს, ხოლო ლეკვი № 3 კი ცდის მეშვიდე დღეს. ასევეა № 4 და 1 ლეკვზე. ამ დროსაც ყოველთვის პირველად იყო ცხოველის საერთო მოძრაობა ადგილის გადანაცვლებით, და მხოლოდ შემდეგ კიღურის მოხრა.

ინდივიდური დაცვის რეფლექსი ლეკვებს განუვითარდა არა მარტო საინდივიდურო გამაღიზიანებელზე, არამედ აგრეთვე მთელი საცდელი ოთახის მოწყობილობაზე. ასე, მაგ., ცხოველი, მოთავსებული მაგიდაზე, კანკალბდა და წკმუტუნებდა; მაგრამ, თუ ცხოველს გაეთავისუფლებდით მაგიდიდან, ის სწრაფად წყნარდებოდა.

ინდივიდური რეფლექსი განვითარდა ყველა ლეკვზე საკმარისი სიმტკიცით. შესაძლებელია მისი ზედიზედ გამოწვევა მარტო ინდივიდური გამაღიზიანებლის ხმაზე. აღსანიშნავია, რომ რეფლექსის ჩაქრობისას აბსოლუტური უმოძრაობის მიღწევა საინდივიდურო გამაღიზიანებელზე იმდენად უფრო საძნელოა, რამდენადაც ახალგაზრდაა ლეკვი. მაგ., მეორე ლეკვზე რეფლექსი ქრებოდა უკვე ხუთი განმეორების შემდეგ, თუ ინტერვალი ინდივიდურ გალიზიანებათა შორის ერთ წამს უდრიდა. იმ დროს როდესაც ლეკვები № 1 და 4 რეფლექსის 15 განმეორების შემდეგაც ინდივიდურ გალიზიანებაზე იძლევიან თავისა და კუდის მოძრაობას.

ჩაქრობილი ინდივიდური რეფლექსი კვლავ აღდგენას განიცდიდა შეუშლელბლად ხუთი წამის შემდეგ ჩაქრობიდან. მეორადი ჩაქრობა ინდივიდური რეფლექსისა ხდებოდა უფრო სწრაფად (იხ. ოქმი № 3).

ინდივიდური რეფლექსის განმტკიცების სტადიაში ელექტროდების გადატანა მეორე კიღურზე არ იწვევს რეფლექსის დარღვევას, ე. ი. რეფლექსი მაინც იმ კიღურზე არის, რომელზედაც იგი განვითარებული იყო.

ასი შეუშლების შემდეგ შემჩნეული იყო, რომ ცხოველი იძლეოდა ჩვეულებრივ რეფლექსს საინდივიდურო ბგერაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ელექტროდები კიღურზე არ იდებ. დაკვირვებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ყოველდღიური ცდების დროს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლეკვებზე, რეფლექსი ხშირად ქრება, პირიქით, დასვენება ერთი-ორი დღით უფრო ხელის შეწყობი პირობაა რეფლექსის განვითარებისათვის.

3. გენერალიზაცია და დიფერენციაცია დაცვის ინდივიდური რეფლექსისა.

დაცვის ინდივიდური რეფლექსი ლეკვებზე დიდ ხანს იმყოფება გენერალიზირებულ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ ლეკვებზე თითქმის შეუძლებელია ისეთი მდგომარეობის აღნიშვნა, როდესაც ცხოველი სრულ სიწყნარეში იმყოფება. პირიქით, ის ან კანკალებს, ანდა თავს აწოძრავებს და ცოცავს; ძილშიაც კი მოუსვენრად არის და კანკალებს. ასეთი ავზნებული მდგომარეობა მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო ახალგაზრდაა ცხოველი. ეს მდგომარეობა, რასაკვირველია, ხელს უწყობს რეფლექსის ხანგრძლივ გენერალიზაციას. ცხა-

მ ქ მ ი № 3.

ლეკვი № 2. (გაჩენიდან 30 დღისა). ცდის დაწყებიდან 40 დღე.

| ცდის დრო | ცდათა რიცხვი | ინდივ. სიგნალი | რ ი ა კ ც ი ე ბ ი | |
|--------------------|--------------|--------------------------|------------------------|--------------------------------|
| | | | პ ა უ ზ ა შ ი. | ი ნ დ ი ვ ი დ უ რ ი. |
| 2 ს.—21' | 1. | ცონვარია-ტორი. ტონით fa. | ადგილზე ზის და თელემს. | წმუტუნებს და მოძრაობს. |
| 2 ს.—22' | 2. | — | თელემს. | მოკლე ხნით წმუტუნი. |
| 2 ს.—23' | 3. | — | id. | სუსტი წმუტუნი. |
| 2 ს.—24' | 4. | — | id. | იგივე რეაქცია. |
| 2 ს.—25' | 5. | — | id. | თავის მოძრაობა, სუსტი წმუტუნი. |
| 2 ს.—26' | 6. | — | id. | სუსტი წმუტუნი. |
| 2 ს.—27' | 7. | — | id. | თელემს. |
| 2 ს.—28' | 8. | — | id. | ლრმა ძილი. |
| 2 ს.—29' | 9. | — | id. | |
| 5 წამით დასვენება. | | | | |
| 2 ს.—34' | 1. | — | თელემს. | თავს ამოძრავებს, წმუტუნებს. |
| 2 ს.—35' | 2. | — | ფიზულად არის. | სუსტი წმუტუნი. |
| 2 ს.—36' | 3. | — | თელემს. | თავს ამოძრავებს. |
| 2 ს.—37' | 4. | — | id. | ლრმა ძილი. |

დია, ამის გამო დიფერენციაციის მიღწევა მით უფრო ადვილი ხდება, რაც უფრო ხნიერია ლეკვი. ასე, მაგ., ხნიერი ლეკვი № 2 ცდის მეორე დღეს არჩევდა მეტრონომის რახუნს, სალამურის ბგერას, ელექტრონის ზარს ტონვატორის ბგერისაგან, რომელიც საინდივიდურო იყო. მასზე ახალგაზრდა ლეკვები კი (№ 6, 1, 3, 4) ცდის მეორე დღეს ყოველსავე ბგერაზე იძლეოდნენ რეაქციას.

ორმოცი შეუღლების შემდეგ (ცდის მეხუთე დღე) უკვე ყველა ლეკვი არჩევს მეტრონომის რახუნს ელექტრული ზარისაგან. მაგრამ შემდეგი დღისათვის ეს დიფერენციაცია ხელახლად იკარგება. გამონაკლისს წარმოადგენს ლეკვი № 2, რომელსაც შემდეგში შენახული აქვს გაპოშუშავებული დიფერენციაცია.

ასი შეუღლების შემდეგ დიფერენციაცია უფრო ინტენსიურია, ცხოველი არჩევს საინდივიდურო ტონვატორის ბგერას (do-ს) ამავე ტონვატორის Fa ტონისაგან, რომელიც ორ ნახევარი ტონით დაბალია პირველზე. თუ რომ ცხოველს პაუზაში მივსცემდით საქმელს, მაშინ გამომუშავებული დიფერენციაცია ირღვეოდა. მიღწეული დიფერენციაცია (გარჩევა do ტონისა Fa ტონისგან) არ იყო მყარი, ვინაიდან როგორც კი ცხოველი ავზნებულ მდგომარეობაში მოდიოდა (და ეს კი ხშირი მოვლენაა ლეკვებზე), მაშინვე დიფერენციაცია ირღვეოდა.

4. მიღებული შედეგების ახსნა-განმარტება.

როგორც მიღებული მასალიდან ჩანს, ჩვენს პირობებში 20—30 დღის ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსები ისევე ადვილად ვითარდებიან, როგორც დიდ ძაღლებზე, ხოლო ძაღლის 12 დღის ლეკვზე რეფლექსი ვითარდება შედარებით გვიან (მე-13 შეუღლებიდან). განვითარების შემდეგ რეფლექსი განიცდის მერყეობას: იგი ხან გამოიწვევა, ხან არა. ეს მერყეობა მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო ახალგაზრდაა ცხოველი.

ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსი დაფუზიური ხასიათისაა: იგი მოიცავს მთელ ორგანიზმს: საერთო მოძრაობა, თრთოლა, წმუტუნე, გაღრმავებული სუნთქვა, თავის მოძრაობა და სხვა. რეფლექსური მოქმედების დიფუზიური მდგომარეობა მით უფრო ინტენსიურია და დიდ ხანს არის, რაც უფრო ახალგაზრდაა ლეკვი. 20—30 დღის ლეკვებზე ეს მდგომარეობა მრავალი შეუღლების შემდეგ სუსტდება, ლეკვი იძლევა ინდივიდურ სიგნალზე განსაზღვრული კიდურის მოძრაობას, რომელიც უღიზიანდება ელექტროდენით. ამავე დროს დანარჩენი სხეულის მოძრაობა ნაკლებად არის გამოხატული. მხოლოდ მე-6 ლეკვზე არ იყო შემჩნეული გენერალიზირებული მოძრაობის შეზღუდვა.

როგორც ჩვეულებრივ, ძაღლის ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსი თავდაპირველად გენერალიზაციას განიცდის. ხოლო ეს მდგომარეობა ლეკვებზე გაცილებით უფრო ღრმა და ხანგრძლივია. მაგალითად, ლეკვი № 6 (12 დღისა, გაჩენიდან), ასი შეუღლების შემდეგაც ვერ არჩევს მეტრონომის რახუნს ელექტრონის ზარიდან, იმ დროს როდესაც მასზე ხნიერი ლეკვები № 1, 3 და 4 ორმოცი შეუღლების შემდეგ არჩევენ ზემოთ დასახელებულ გამაღიზიანებელთ,

ხოლო ლეკვი № 2 (30 დღისა) ცდის მეორე დღეს—მეთორმეტე შეუღლების შემდეგ არჩევს მეტრონომის რაზუნსა და ელექტრონის ზარს ტონვარიატორის ბგერისაგან.

ინდივიდური რეფლექსის დიფუზიური ხასიათი, მისი ხშირი მერყეობა და დიფერენციაციის სიძნელე იძლევა საბაბს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ახალგაზრდა ლეკვებზე დიდი ჰემისფეროები—კერძოდ ქერქი არ იყოს განვითარებული და ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი რეფლექსისა ამის შედეგი იყოს, მაგრამ ამ მოსაზრებას მრავალი დაკვირვება უარყოფს; მაგალითად, მარკაციის მუშაობიდან ჩანს, რომ ლეკვებზე ქერქის მამოძრავებელი ადგილების გალიზიანება იძლევა პერიფერიულ ეფექტს დაბადების დღიდანვე. აგრეთვე ექიმობარის დაკვირვება (ბეტერევის ლაბორატორია) ადასტურებს მარკაციის დაკვირვებას. ამასთან ცნობილია, რომ ლეკვები ძილში ხშირად იძლევიან კიდურის ცალკე მოძრაობას, რაც აგრეთვე ქერქის ფუნქციას შეაღვენს.

ჩვენის აზრით, ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსის მერყეობა, მისი დიფუზიური ხასიათი და ძნელი დიფერენციაცია შედეგია ცხოველის აღმატებული აგზნებულობისა. რომ ცხოველის ცენტრალური ნერვ. სისტემა ძლიერ აგზნებულია, ეს იქიდან ჩანს, რომ შეუძლებელია ცხოველის ისეთი მდგომარეობის შემჩნევა, როდესაც ის წყნარად არის, ძილშიაც კი ლეკვი კანკალებს (განსაკუთრებით უფრო ახალგაზრდა ლეკვები). ამას გარდა, ბეტერევის ლაბორატორიის გამოკვლევიდან ჩანს, რომ ქერქის მამოძრავებელი ზონა ლეკვებზე არ არის ისე დიფერენცირებული, როგორც ძაღლებზე. ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს რეაქციის დიფუზიურ ხასიათს; ვინაიდან, როგორც ძირითად გალიზიანებისას, თუ რომ ქერქის აგზნებულება დიდი, მაშინ საინდივიდურო აგზნების კერადან დიდი ტვინის ქერქში აგზნება მძლავრად ეფინება მთელ ქერქს. ამის გამო ინდივიდური გალიზიანების ქერქული კერა უკავშირდება არა მარტო წინა კიდურის მამოძრავებელ არეს, არამედ აგრეთვე სხეულისა, თავისა, სუნთქვისა, ხმის გამოღების მამოძრავებელ არეებსაც. ამის გამო პერიფერიაზე გვექნება არა კიდურის იზოლიური მოძრაობა, არამედ მთელი სხეულისა, და ინდივიდური რეაქცია იქნება დიფუზიური ხასიათისა.

რეაქციის დიფუზიურ ხასიათს, ე. ი. კიდურის ცალკეული მოძრაობის შეუძლებლობას კიდევ ერთი პირობა უწყობს ხელს. ეს პირობა მეთოდის თავისებურებაა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცხოველი ცდის დროს თავისუფლად მოძრაობდა მაგიდაზე და არ იყო ფიქსაცია ქმნილი ერთ ადგილას. ასეთ შემთხვევაში ლოკომოცია, როგორც დაცვის საუკეთესო რეაქცია, უფრო გამოხატულია პირველ ხანებში. შემდეგ სტადიაში, როდესაც ცხოველი იძლეოდა კიდურის მოხრას საინდივიდურო ბგერაზე, პირველად იგი ყოველთვის იძლეოდა საერთო ადგილის გადანაცვლებას და შემდეგ მხოლოდ აწარმოებდა კიდურის მოხრას ლოკომოციის შეწყვეტასთან ერთად. ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს მეთოდის თავისებურების შედეგად (ეს მოვლენა და მისი გაშუქება პირველად შესრულებულია მტრედებზე პროფ. ბერიტაშვილის მიერ).

ცდების შემდეგ პერიოდში, როდესაც ქერქში მოხდა ინდივიდური გზების განვითარება, რეაქციებიც უფრო გამარტივებული ხასიათისა იყო. მაშასადამე,

სანამ ინდივიდური გზების განმტკიცება არ მომხდარა ქერქში (რაც ლეკვებზე ფერხდება შედეგად მათი აღმატებული აგზნებულებისა), ყოველი პერიფერიული გალიზიანება ვრცელდება ქერქში და უკავშირდება მრავალ მამოძრავებელ ადგილს. ხოლო როდესაც გზები განმტკიცებულია, აგზნებაც მეტი ინტენსივობით მიდის საინდივიდურო გზით და უკავშირდება წინა კიდურის მამოძრავებელ არეს, მაშინ შესაძლებელი ხდება პერიფერიაზე იზოლიური რეაქციის მიღება.

ინდივიდური რეფლექსის დიფერენციაციის სიძნელე აგრეთვე დაშოკიდებულია ქერქის დიდ აგზნებულებაზე.

ამრიგად ქერქისა და საერთოდ ცენტრ. ნერვ. სისტემის დიდი აგზნებულება ხელს უწყობს ერთის მხრივ ინდივიდური რეფლექსის დიფუზიურ მდგომარეობასა და ფართო გენერალიზაციას, და მეორეს მხრივ აფერხებს ინდივიდური რეფლექსის განმტკიცებასა და დიფერენციაციას.

დასკვნა.

1) დაცვის ინდივიდური რეფლექსი ლეკვებზე მით უფრო მალე ვითარდება, რაც უფრო ხნიერია ლეკვი.

2) ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსი დიფუზიური ხასიათისა არის. რეფლექსის დიფუზიური მდგომარეობა მით უფრო ინტენსიურია და დიდი ხნით არის, რაც უფრო ახალგაზრდაა ლეკვი.

3) ინდივიდური რეფლექსი ძალის ლეკვებზე თავდაპირველად გენერალიზაციას განიცდის, ხოლო ეს მდგომარეობა მით უფრო ღრმა და ხანგრძლივია, რაც უფრო ახალგაზრდაა ცხოველი.

4) უფრო ახალგაზრდა ლეკვებზე ინდივიდური რეფლექსი დიდ ხანს მერყეობს, რაც შედეგია ცხოველის აღმატებული აგზნებულებისა. ეს აღმატებული აგზნებულება აფერხებს რეფლექსის განმტკიცებასა და დიფერენციაციას, და მეორეს მხრივ ხელს უწყობს რეფლექსის დიფუზიურ მდგომარეობას.

5) ინდივიდური რეფლექსის გამარტივებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ცხოველი ცდის ღროს თავისუფლად მოძრაობს, რის გამოც ლოკომოცია, როგორც დაცვის საუკეთესო რეაქცია, უფრო გამოხატულია პირველ ხანებში.

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვუცხადებ პროფ. ივ. ბერიტაშვილს თემის მოცემისა და უშუალო ხელმძღვანელობისათვის.

ლიტერატურა.

- 1) В. Бехтерев, Функции головного мозга. Вып. IV, гл. 73. 1905 г.
- 2) J. Beritoff, Über die individuell-erworbene Tätigkeit des Zentralnervensystems bei Tauben (Pflügers Archiv, ტ. 213, 1926).
- 3) ივ. ბერიტაშვილი, ზოგადი ფიზიოლოგია, 1927 წ. გვ. 395—397.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიიდან.
(გამგე პროფ. ი. ბერიტაშვილი).

პლ. გოშირიძე.

აქვს თუ არა მნიშვნელოვანი სიმპათიკური ნერვულ სისტემას ე. წ. „სეჩენოვის შეკავების“ წარმოშობაში?

1. შესავალი.

უკანასკნელ ხანებში ორბელი (1,2) თავისი თანამშრომლებითურთ (3,4,5) ავითარებს სიმპათიკური ნერვული სისტემის უნივერსალური მნიშვნელობის თეორიას. მათის აზრით სიმპათიკური ნერვული სისტემა, როგორც სისტემა ადაპტაციური, გარდიგარდმო ზოლიანი კუნთისა და ნერვულ ქსოვილთა მიმართ ფუნქციური მოქმედების რეგულატორის როლს ასრულებს.

ასე, მაგ., გინეცინსკის აზრით (3) სიმპათიკური ნერვული სისტემა პირდაპირ გავლენას ახდენს გარდიგარდმო ზოლიან კუნთებზე: იგი დალღობს კუნთს შეკუმშვის უნარს ჰმატებს, ტონიკის დაკვირვებით (4) სიმპათიკური ნერვული სისტემა გავლენას იჩენს ზურგის ტვინის ფუნქციურ მოქმედებაზე: ზოგჯერ აუარესებს ამ მოქმედებას, ზოგჯერ კიდევ აუკეთესებს. მისივე აზრით ისეთი ხასიათის რეაქციათა წარმოშობა, რომელნიც ცნობილი არიან „სეჩენოვის შეკავების“ სახელწოდებით, თითქოს საყვებით დამოკიდებულია სიმპათიკურ ნერვულ სისტემაზე (ტონიკი) (5). სახელდობრ იგი იხილავს სეჩენოვის შეკავებას როგორც შემთხვევას ცენტრალური ნერვული სისტემის ერთი განყოფილების მოქმედების რეგულაციისას მეორე განყოფილებაზე სიმპათიკური ნერვული სისტემის საშუალებით.

გინეცინსკის მოსაზრება ერთგვარ საფუძველს პოულობს იმაში, რომ თითქოს დალღობს კუნთის ფუნქცია უმჯობესდებოდეს სიმპათიკური ნერვული სისტემის საშუალებით. მისი ცდები განმეორებული იყო ჩვენს ლაბორატორიაში ვაწაძის მიერ (6). მან გვაჩვენა, რომ გინეცინსკის (3) ცდათა შედეგები უმართებულა და უნდა ჩათვალოს გალიზიანების მეთოდის შეცოთად. ჩვენ განვიზრახეთ აგრეთვე ტონიკის ცდების განმეორება, რომელიც ედება სეჩენოვის შეკავებას.

სეჩენოვის შეკავება გამოიხატება შემდეგში: თუ კი ბაყაყის ისეთს პრეპარატზე, რომელსაც მოცილებული აქვს ჰემისფეროები და შეამდებარე ტვინი (დეცერებრირებული პრეპარატი), შეისწავლით რეფლექსურ მოქმედებას ტურკის (Türk) წესით (ე. ი. მოვახდინთ რეფლექსური რეაქციის ფარული პერიოდის დაკვირვებას უკანა კიდურების 0,1—0,2% გოგირდის სიმკვით გალიზიანების საპასუხოდ), მაშინ აღმოჩნდება, რომ ისეთ შემთხვევაში, როცა კი გამოკვლევას წინ უსწრებს ტვინის კრილობის (საშუალო ტვინის) რაიმენაირი გალიზიანება (NaCl-ის კრის-

ტალი, ლიგნინის შეხება, ელექტროდენი, სიმკვრივით გალიზიანებაზე წარმოშობილი რეაქციის ფარული პერიოდი უფრო გახანგრძლივებული იქნება, ვიდრე უპირობოდ.

პირველად ეს მოვლენა აღმოჩენილი იყო სეჩენოვის (7,8) მიერ 1863 წ. მას სეჩენოვი „შეკავებად“ სთვლიდა (გამომდინარეს შუამდებარე ტენიდან), ამიტომ ამ მოვლენას „სეჩენოვის შეკავება“ უწოდეს.

მაღე სეჩენოვის შედეგები დადასტურებული იყო სხვა ავტორების მიერაც: მატკიევიჩისა (9) 1864 წ., დანილევსკისა (10) 1866 წ. და სხვათა მიერ.

მაგრამ ამავე დროს გამოქვეყნდა შრომა ჭერცენისა (11), რომელმაც გაიმეორა სეჩენოვის ცდები იმავე მეთოდით და მივიდა სრულიად საწინააღმდეგო შედეგებამდე, სახელდობრ, იმ დასკვნამდე, რომ ტენის კრილობის გალიზიანება ხელს უწყობს ტენში აღმატებულ აზნებულების განვითარებას და არა შეკავებითა წარმოშობას. სხვანაირად: ასეთს შემთხვევაში ტენის კრილობის გალიზიანება ხელს უწყობს ტურკის წესით დაკვირვებული რეაქციის ფარული პერიოდის შემოკრებას.

მაგრამ სეჩენოვის შემდეგაც მიემხრო ზოგიერთი ავტორები, მაგ. ლანგენდორფი (12)—1877 წ. ამით სეჩენოვის შეჩედვებამ ერთგვარი საფუძველი პოვა და დიდხანს გაძლო (1919 წლამდე), თუმცა კი ლიტერატურაში მოაოებულ მასალათა მიხედვით ახრთა სხვადასხვაობა მაინც არსებობდა.

სეჩენოვისა და მის თანამოაზრეთა ცდები წარმოებულ იყო მაშინ, როცა ცენტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგია ახლად ვითარდებოდა (1860—80 წწ.). მას შემდეგ კი, რაც გამოქვეყნდა ცნობილი შრომები ისეთი ფიზიოლოგებისა, როგორნიც არიან შერინგტონი (13), გრემბროუნნი (14), მაგნუსი (15), ბერეტაშვილი (16,19) და სხვები, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, და საჭირო გახდა სეჩენოვის ცდების გაყო-რებაც სრულიად ახალ პირობებში.

საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა წილად ჰხვდა პროფ. ბერეტაშვილის მოწაფეს—ბოლოტოვის (20), რომლის შრომაც ამის შესახებ გამოქვეყნებული იყო 1919 წ. (ოდესის უნივერსიტეტიდან). მან დაკვირვება აწარმოვა უფრო გაუმჯობესებული მეთოდით: უბრალო თვალის დაკვირვება შესცვალა ანტაგონისტური კონთების: m. Triceps senioris და m. Semitendinosus-ის მოგრაფიული რეგისტრაციით და სიმკვრივით გალიზიანების ნაცვლად იმხარა ელექტრული (ინდუქციური) გალიზიანება.

ბოლოტოვის გამოკვლევიდან, სხვათა შორის, შედეგი ჩანს: იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებს დეცერებრივულ პრეპარატზე ტენის კრილობის რაიმეხარის გალიზიანება (NaCl, ლიგნინი, ელექტროდენი), ანტაგონისტურ კონთებზე ვითარდება ტონუსი: ზოგჯერ ექსტენსიური, ზოგჯერ კი ფლექსიური. ამასთან ერთად იმ შემთხვევაში, როცა დეცერებრივულ პრეპარატზე ტენის კრილობის გალიზიანება ხელს უწყობს ტონურ ექსტენზიურ ცენტრების ამოქმედებას, მაშინ მისი კომბინაცია მოხრის რეფლექსთან უნდა აფერხებდეს მოხრის რეფლექსის წარმოშობას და იყოს უქტორი ე. წ. „სეჩენოვის“ შეკავების დაკვირვებისა. პირიქით, როცა ტენის კრილობის გალიზიანება იწვევს ფლექსიურ ტონურ ცენტრების ამოქმედებას, მისი კომბინაცია მოხრის რეფლექსთან ერთად, საწინააღმდეგოდ სეჩენოვის დაკვირვებისა, პერიფერიულად ხელს უნდა უწყობდეს მოხრის რეფლექსის წარმოშობას, ე. ი. მოხრის რეფლექსი უფრო უნდა ძლიერდებოდეს.

გარდა ამისა, ბოლოტოვის მიერ იგივე შედეგები მიღებულია არა მარტო დეცერებრივულ, არამედ აგრეთვე ბუბალურ და სპინალურ პრეპარატებზე, რაც თავის მხრივ იმას გულისხმობს, რომ შუა ტენი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას აღნიშნულ მოვლენათა დაკვირვებისათვის. სეჩენოვის ინტერპრეტაცია ცენტრალური შეკავების შესახებ, ამით სრულიად დაეკარგა მნიშვნელობა, რადგანაც სეჩენოვის აზრით შეკავების წარმოშობა უნდა ხდებოდეს შუა ტენში.

უკანასკნელი გამოკვლევა სეჩენოვის შეკავების შესახებ ეყუთენის ტონკისხ (5), რომელიც გამოვიდა ახალი მოტივით და ცდილობს დაამტკიცოს, რომ სეჩენოვის შეკავების წარმოშობა დამოკიდებულია სიმპათიკურ ნერვულ სისტემაზე: მან თითქოს აღმოაჩინა, რომ ნორმულ დეცერებრივულ პრეპარატზე სეჩენოვის შეკავება ისპობა მისი სრულდესიმპათიხაციის შემდეგ.

მაკრამ ჩვენ თავიდანვე გაგვაკვირვა შემდეგმა გარემოებამ: იმავე შრომიდან ჩანს, რომ პარკალური დესიმპათიზაციის სეჩენოვის შეკავების წარმოშობა არ იცლებს; უფრო მეტიც: საკმარისია სადმე სიმპათიკური ნერვული სისტემის ერთი ტოტი დარჩეს გადაუტრეული, რომ სეჩენოვის შეკავების დაკვირვება შესაძლებელი იყოს ისევე, როგორც ნორმულ დეკერებრივებულ პრეპარატზე, რაც უბრალო ანტონოური თვალთსაზრისითაც კი საეჭვოდ უნდა ჩაგვეთვალა.

აი ამ მოსაზრებათა გამო და ამას გარდა იმიტომაც, რომ ტონკიხის ცდები ბოლოტოვის გამოკვლევებს ეწინააღმდეგება, პროფ ივ. ბერიტაშვილმა საჭიროდ სცნო ტონკიხის ცდების გამეორება და მე მომანდო მისი შესრულება.

2. მეთოდისა.

ცდები წარმოება ბაყაყებზე: *Rana ridibunda s. esculenta* 1927/28 სასწავლო წლის განმავლობაში როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე დაკვირვებებზე უფრო ხშირად ვმართობდით დეკერებრივებულ პრეპარატს, ზოგჯერ კი ესარგებლობდით ბულბალური და სპინალური პრეპარატებითაც. ჩვენი ცდები განიყოფებოდა ორ ჯგუფად: პირველ რიგში, რომელთაც თავდაპირველად ვაწარმოებდით, ჩვენ განვიზრახეთ ტონკიხის ცდების განმეორება მეთოდის შეცვლელად; ამიტომ დაკვირვებას ვახდენდით ისევე, როგორც ეს მოთხრობილია ტონკიხის მიერ. ე. ი. ბაყაყზე ოგინის გადაჭრის შემდეგ მუცლის მხრიდან ვკვეთავდით კანსა და კუნთებს და შემდეგ ვაწარმოებდით დესიმპათიზაციას: კვეთავდით *r. communicantes* ყველა ტოტს ორსავე მხარეზე. მათთან ერთად იკვეთებოდა *n. hypoglossus*-აც აგრეთვე ორსავე მხარეს. ოპერაციის დასასრულს იკერებოდა მხოლოდ კუნთები, კანი გაუყვარავი რჩებოდა (განსხვავება ტონკიხის ცდებისაგან); ვინაიდან ჩვენის აზრით გაკერილი კანი უფრო მეტს განაღიზიანებდა ავენტს უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე გაუყვარავი. პარალელურად ამისა ცდები წარმოება საკონტროლო პრეპარატებზე, რომელთა მომზადება წარმოება თითქმის ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ აქ. *r. communicantes* არ იკვეთებოდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სისხლის მიმოქცევა ზოგჯერ უცვლელი რჩებოდა, ზოგჯერ კი ირღვეოდა—ან აორტის გადაკეანით, ან გულის ამოცილებით, ან მთავარი სისხლის ძარღვის შემთხვევით გადაჭრით. ოპერაციის შემდეგ პრეპარატს განსაზღვრულ დროს ვასვენებდით (20—40 მინ). შემდგომ პრეპარატს ვკიდებდით შტატივზე და ვიწყებდით გამოკვლევას ე. წ. ტურკის წესით (ბაყაყის კიკანა კიდურების გაღიზიანება 0,1—0,2% გოკირდის სიმეყის ხსნარით). გასაღიზიანებელი კიდური სიმეყის ხსნარში ყოველთვის ეწებოდა თანაბარ ადგილებამდე—წვივ-ტერფის სახარებაამდე. გაღიზიანების შემდეგ მთელს ინტერვალში სიმეყის ჩასარეცხად კიდურები წყალში იყო ჩამუშებულნი. გაღიზიანებათა შორის ინტერვალში თანაბარა იყო: 3—5 მინუთი. რეაქციის ფარული პერიოდი განისაზღვრებოდა მეტრონომით. გარდა ამისა საჭირო პირობებში განსაზღვრულ დროს ხდებოდა ტინის პრილობის გაღიზიანება (NaCl -ის კრისტალი, ლეგინი, ტვინზე ახალი ქროლის გაყვანა). ასე მოვიქცევით ცდათა ერთ რიგში. ცდათა მეორე რიგში გაღიზიანებას ვაწარმოებდით იმავე წესით, ხოლო უბრალო თვალთ დაკვირვება შეეცალეთ რეფლექსურა რეაქციის მიოგრაფიული რეგისტრაციით. ამიტომ ასეთს შემთხვევებში ბაყაყის ერთ-ერთ კიდურზე ხდებოდა ანტაგონისტური კუნთების: *m. Triceps femoris* და *m. Semitendinosus*ს გამოცალკევება, რომელთაც ვერთებდით ენ გეგმანის პირდაპირ მიოგრაფებთან.

აღსანიშნავია, რომ ანტაგონისტური კუნთების მიოგრაფიული შესწავლა ყოველთვის წარმოება ერთი და იმავე წესით: კომოგრაფზე პირველი მრუდით აღინიშნებოდა—*m. Triceps femoris*, მეორე—*m. Semitendinosus*. მესამე და მეოთხე ხაზი—სასიგნალა. ამასთან ერთად ზემო სასიგნალო ხაზის დაწვეთი აღინიშნებოდა სიმეყით გაღიზიანების მომენტი, აწვეთი—მისი შეწყვეტა. ქვემო სასიგნალო ხაზით კი კომოგრაფზე იწერებოდა დრო, რომლითაც შემდეგში რეაქციის ფარული პერიოდი ისაზღვრებოდა. დრო აქაც აღინიშნებოდა სეკუნდობით მეტრონომის საშუალებით.

3. ცდათა შედეგები.

დასმული ამოცანის შესასრულებლად პირველ ყოვლისა მიზნად დავისახეთ იმის გაგება, თუ რამდენად მისაღებია ცენტრალური ნერვული სისტემის რეფლექსური მოქმედების შესწავლისათვის ტურკის გალიზიანების მეთოდი. ამ მხრივ მიმართულმა კვლევამ დაგვანახვა შემდეგი: ბაყაყის უკანა კიდურების რეფლექსური მოქმედების ფარული პერიოდი სიმკვავით გალიზიანებაზე ცდის მიმდინარეობაში არ წარმოადგენს უცვლელ სიდიდე, არამედ იგი იცვლება მრავალი პირობის გავლენით. ასე, მაგ., იგი დიდად მერყეობს ცდათა შორის ინტერვალთან დამოკიდებულებით. როცა ცდათა შორის ინტერვალთა თანაბარია, მაშინ რეაქციის ფარული პერიოდი ცდის მიმდინარეობაში თანდათან ხანგრძლივდება, ხოლო ზოგჯერ ცდის დასაწყისში ფარული პერიოდი უფრო მცირდება და მხოლოდ შემდგომ იწყებს თანდათანობით ზრდას. როცა ცდათა შორის ინტერვალთა ცვალებადია, მაშინ რეაქციის ფარული პერიოდი ასე მერყეობს: ცდის დასაწყისში ცდათა შორის ინტერვალის შემცირებას მოსდევს ფარული პერიოდის შემცირება; ცდის ბოლოში კი ცდათა შორის ინტერვალის შემცირებას მოსდევს ფარული პერიოდის გახანგრძლივება.

ამასთან რეფლექსური მოქმედების ფარული პერიოდის სიდიდეზე, როგორც გამოირკვა, დიდი გავლენა აქვს პრეპარატის მიმაგრების წესს. როდესაც პრეპარატი თავისთავად ჩამოკიდულია რგოლზე, ისე რომ არსაიდან განიყდის მძლავრს მექანიკურ გალიზიანებას, მაშინ რეაქციის ფარული პერიოდი გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი რაიმენაირად მაგრად არის მიკრული (მაგ., რეზინის გადაჭერით.)


რეფლექსური მოქმედების ფარული პერიოდის სიდიდეზე თავისებური გავლენა აქვს კიდევ ხელოვნურად (მექანიკური გალიზიანებით), თუ სპონტანურად წარმოშობილ ეფექტს, თუ კი მისი წარმოშობა ხდება სიმკვავით გამოკვლევის წინ: რეაქციის ფარული პერიოდი სიმკვავეზე იცვლება (მცირდება ან უფრო ხანგრძლივდება) სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირად, ცდის პირობების მიხედვით.

გარდა ამისა ტურკის წესით გალიზიანებისას რეაქციის ფარული პერიოდის სიდიდეზე მნიშვნელობა აქვს ცდათა შორის ინტერვალში წყლით ჩამორეცხვის თანაბრობას. ჩვენს ცდებში მთელს ინტერვალში (3—5 მინ.) კიდურები ჩაკიდებული იყო წყალში სიმკვავის გამოსარეცხად. თუ ვინიცობაა წყალში ჩაკიდება არ გრძელდებოდა მთელს ინტერვალს, არამედ მასზე ნაკლებ დროს (1--1,5 მინ.), ამ შემთხვევაში ფარული პერიოდი მნიშვნელოვნად მოკლდებოდა. აგრეთვე ცდის მიმდინარეობაში საკვლევი პრეპარატის ტანზე კანის სინამის დაცვას აქვს მნიშვნელობა. შემჩნეულია ჩვენ მიერ, რომ კანის სიმშრალე დეცერებრივებულ პრეპარატზე იწვევს ფარული პერიოდის გახანგრძლივებას.

რეაქციის ფარული პერიოდი კიდურების სიმკვავით გალიზიანებისას დამოკიდებულია იმდენად მრავალ პირობაზე, რომ მისი მართებული სარგებლობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. იგი მოითხოვს ექსპერიმენტატორისაგან დიდს სიფრთხილესა და ყურადღებას, რომ ამ მრავალნაირი პირობისაგან გაუთვალის-


წინებელი არ დარჩეს რომელიმე. მართალია, ჩვენ იძულებული ვიყავით გვესარგებლა ისევე ტურკის გალიზიანების წესით, რადგანაც ჩვენს ამოცანას შეადგენდა ტონკიხის ცდების განმეორება, ხოლო კვლევის დროს მუდამ დიდ ყურადღებას ვაქცევდით, რომ რომელსამე ზემოაღნიშნულ პირობას გავლენა არ ჰქონოდა ჩვენი ცდის მიმდინარეობაზე.

როდესაც ტურკის მეთოდის აეკარგიანობას გავეცანით, ჩვენ მხოლოდ მაშინ შევუდგეთ გამოკვლევას იმისას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიმპათიკურ ნერვულ სისტემას სეჩენოვის შეკავების წარმოშობაში. როგორც აღვნიშნეთ მეთოდიაში, ჩვენ ვაწარმოეთ ორგვარი ცდები: ერთგვარ ცდებში ფარული პერიოდი იზომებოდა, — როგორც ამას ტურკის წესი მოითხოვს, — მეტრონომის რაბუნის დათვლით, მეორეგვარ ცდებში კი ვაწარმოებდით ანტაგონისტური კუნთების რეგისტრაციას კიმოგრაფზე და ფარული პერიოდი აღინიშნებოდა კიმოგრაფზე დროის დაწერით. ორისავე გვარის ცდებში თანაბარი შედეგები მივიღეთ. სულ იყო მიღებული პირველი წესით ოცი დეცერებრირებული და დესიმპათიზირებული პრეპარატი, მეორეთი — ოცდაორი. ყველა ამ პრეპარატზე გარდა რაზდენიმე გამონაკლისისა, რომელზეც ცალკე გვექნება ქვემოთ ლაპარაკი, სეჩენოვის შეკავება წარმოიშობოდა ისე, როგორც ნორმულ პრეპარატებზე. სანიმუშოდ მოვიყვან ორ ოქმს: I და II, რომელნიც მიღებულნი არიან ჩვეულბრივი ტურკის წესით. ამას გარდა, მოვიყვან მიოგრაფიული წესით მიღებულ შედეგებსაც 1, 2 და 3 სურათზე.



სურ. № 1. 12. IV. 1928 წ. ნორმული დეცერებრირებული ბაყაყი (სიმპათიკური ნერვული სისტემა შენარჩუნებულია). სარეგისტრაციო კიფურის გალიზიანება წარმოებს 0,1% გოგ. სიმე. ხსნარით. მე-2 და მე-3 ცდათა შორის თავის ტვინის კრილობის გალიზიანება წარმოებს ლიგნინის შეხებით. ახსნა ნახე ტექსტში.

პირველი სურათი მიღებულია ნორმულ დეცერებრირებულ პრეპარატზე. აქ პირველ ორ ცდაში სიმეყვით გალიზიანებაზე წარმოშობილი რეფლექსური მოძრაობის ფარული პერიოდი სულ მცირეა (2,5—6 სექუნ.). მესამე ცდაში,




სურ. № 2. 12 IV--28 წ. დეცემბერიული და დსიმპათიზირებული ბაყაო. ყველა რ. რ. communicantes და რ. რ. hypoglossi გადაკვეთილია ორსავე მხარეს. სარეგისტრაციო კიდურის გარღვიანება წარმოებს 0,1⁰/₆ ჯოჯორდის სიღრმის ხსნარით. 1. და 2. ცდათა შორის წარმოებს ტვინის კრიოლობის გაღობიანება ლოგინის შეხებით. ახსნა ნახე ტექსტში.

რომელსაც წინ უსწრებს ტვინის ქრილობის გალიზიანება ლიგნინის შეხებით, მიუხედავად იმისა, რომ სიმკვებით გალიზიანება მიმდინარეობს დიდ ხანს (83 სეკ.), რეაქცია არაა. მე-4 ცდაში კი, სადაც უკანასკნელი ცდიდან 10 მინუთია გასული და, მაშასადამე, ლიგნინით გალიზიანების გავლენა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რეაქციის ფარული პერიოდი სავესებით აღდგა (6 სეკ.) და თვით რეფლექსის ხასიათი და ინტენსიობაც ისეთივეა, როგორც დასაწყისში: გამობატულია მქლავრი განთავისუფლების რეფლექსი. ასეთივე შედეგია მიღებული აგრეთვე მეორე სურათზე, რომელიც დაკვირვებულია დესიმპათიზირებულ ბაყაყზე. აქ პირველ ცდაში ფარული პერიოდი უდრის 16-სეკ., მეორე ცდაში, სადაც სიმკვებით გალიზიანებას წინ უსწრებს ტვინის ქრილობის ლიგნინით გალიზიანება, რეფლექსური რეაქცია სრულიად არ გამოიწვევა, მიუხედავად სიმკვებით 115 სეკ. გალიზიანებისა. შემდეგ ცდებში კი (მე-3 და მე-4 ცდა), რომელთაგანაც მე-3 ცდა წარმოებული იყო უკანასკნელიდან 11 მინ. შემდეგ, რეაქცია სავესებით აღდგა, როგორც ფარული პერიოდის ხანგრძლივობისა, ისე ხასიათისა და თითქმის ინტენსიობის მხრივაც. სურ. მე-3-ზე მოყვანილია ერთი შემთხვევა, როდესაც სეჩენოვის შეკავება სრულ დესიმპათიზირებულ პრეპარატზე მიღებულია ტვინის ქრილობის NaCl-ის კრისტალის გალიზიანებით.

ამგვარად, როგორც საილუსტრაციოდ მოყვანილის, ისე სხვა არსებული მასალებიდან, უფლება გვეძლევა გამოვიყვანოთ ის დასკვა, რომ სეჩენოვის შეკავების დაკვირვება ისევე შეიძლება სრულ დესიმპათიზაციაქმნილ პრეპარატზე, როგორც საკონტროლო ბაყაყზე, რომელსაც სიმპათიკური ნერვული სისტემა შენარჩუნებული აქვს. მაშასადამე, ჩვენი მასალებიდან მტკიცდება, რომ სიმპათიკურ ნერვულ სისტემას სეჩენოვის შეკავების წარმოშობაში მნიშვნელობა არ ჰქონია.

თანხმად ბოლოტოვის ცდებისა, სეჩენოვის შეკავება უკანა კიდურების რეფლექსური მოხრის მიმართ დამოკიდებულია ექსტენზორულ ტონუსზე, რომელსაც იწვევს პერიფერიული გალიზიანება მოხრის რეფლექსთან ერთად. ჩვენ გვეკონდა ისეთი დაკვირვება, საიდანაც პირდაპირ ჩანს, რომ კიდურის სიმკვებით გალიზიანება იწვევს თავის ტვინიდან ტონურ გაშლას, ამასთან ისეთს დეცერებორებულ პრეპარატზე, რომელსაც სიმპათიკური სისტემა ორსავე მხარეს გადაჭრილი ჰქონდა (იხ. სურ. 4). მოყვანილი მაგალითის პირველ ცდაში რეფლექსი შერეულია: მის წარმოშობაში მონაწილეობას იღებენ როგორც მოხრის, ისე გაშლის კუნთები. მე-2 ცდაში ევექტი წმინდა მოხრის რეფლექსს წარმოადგენს. ამასთანავე ორსავე შემთხვევაში ფარული პერიოდი მცირეა (11 სეკ.). მესამე ცდაში კი, სადაც მას წინ უსწრებს ტვინის ქრილობის NaCl-ის კრისტალით გალიზიანება, სიმკვებით გალიზიანების საპასუხოდ წარმოიშვა წმინდა გაშლის ტონური რეფლექსი (დეცერებორებული ტონუსი). გარდა ამისა ფარული პერიოდის უფრო ხანგრძლივია (23—42 სეკ.); მე-3 ცდის ბოლოს ტვინის ქრილობიდან NaCl-ის კრისტალი მოცილებულია. მე-4 ცდაში, რომელიც მიღებულია უკანასკნელიდან 20 მინ. შემდეგ და, მაშასადამე, ტვინის ქრილობის NaCl-ის



სურ. № 3. 10. IV—28 წ. დაცურებრივად და დსიმპათიკურად ბაყაყი: ახტ რ. communicantes და ი. ი. hypoglossi ორვე მხარეს გადაკვეთილია. სარეგისტრაციო კოდური ლიზინგება (1/16 გოგ. სმნაით. მე-2 და მე-3 ცდათა შორის ტერის კი-
ლობაზე თავსდება NaCl-ის კრისტალი სულ 2 მანეთი: მოთავსდა 21-ს, მოსყიდდა 29-ს. ახანა ნახე ტექსტში.



ურ. № 4. 3. IV. 1929 წ. დსიმპათიკურად და დსიმპათიკურად ბაყაყი. მე-2 და მე-3 ცდათა შორის ტერის კილობაზე თავსდება NaCl-ის კრისტალი. მე-3 ცდის ბოლოს მართლად კრისტალი მოცულა, ტერის კილობა რინგეირის სმნაით მოგება მისი შემგებში გამოიბოთ. ახანა ნახე ტექსტში.

მ. ძ. მ. ი. ძ.

23/III—28 წ. დეცერებრივებული ბაყაყი. პრეპარატის მომზადება ჩვეულებრივია; წარმოებს დაკვირვება, თუ როგორ იცვლება ც. ნ. ს-ის რეფლექსური მოქმედება, წარმოშობილი უკანა კიდურების მოხრის მიმღებელი ველის (ტერფის მიდამოს) 0,1% გოგირდის სიმკვით გალიზანებისას (წვეტერფის სახსრებამდე), თუ რომ მოხდება ტვინის კრილოზის NaCl-ის კრისტალთ გალიზანება, როგორც ნორმულ დეცერებრივებულ პრეპარატზე, ისე ამავე პრეპარატის დესიმპათიზაციის შემდეგ.

| კვლევა №-ს რიცხვი | დ რ ო. | რეაქციის ფარული პერი- ოდი სეკუნდობით | | შენიშვნა რეაქციის ხასიათის შე- სახებ. |
|----------------------|--------------|--|-------------|--|
| | | მარცხ. კიდ. | მარჯვ. კიდ. | |
| | | ნორმული დეცერებრივებული პრეპარატ. ოპერაცია დამთავრდა 11 ს. 45 მინ. შტატივზე ჩამოიკიდა 15 მინ. შემდეგ, ამ დროს ჰქონდა განთავისუფლების რეფლექსი. | | |
| 1. | 12 სათ. 15' | 12 | 8 | მოხრა. |
| 2. | " 19' | 9 | 7 | " გაშლა. |
| 3. | " 24' | 8 | 6 | " |
| " | 28'; | NaCl-ის კრისტალი დაედო ტვინის კრილოზაზე. | | |
| 4. | " 29' | 10 | 8 | მოხრა, მერმე გაშლა. |
| 5. | " 33' | 100— | 100— | რეფლექსი არაა. |
| " | 34'; | მარილის კრისტალი მოეცალა, ტვინის ქსოვილი რინგერის ხსნარით მოებანა. | | |
| 6. | " 38' | 18 | 18 | გაშლა |
| 7. | " 42' | 15 | 14 | ჯერ მოხრა, მერმე გაშლა. |
| | 12 სათ. 44'. | პრეპარატი შტატივიდან ჩამოიხსნა და მოხდა სრული დესიმპათი- ზაცია ორსავე მხარეს; მათ შორის გადაკვეთილია ე. ი. hypoglossi. | | |
| | 1 სათ. — | პრეპარატი შტატივზე ჩამოიკიდა. | | |
| 8. | " 5' | 28 | 28 | უფრო გაშლაა, ვიდრე მოხრა. |
| 9. | " 10' | 27 | 25 | მოხრა, მერმე გაშლა. |
| 10. | " 13'; | მ. რილის კრისტალი დაედო ტვინის კრილოზაზე. | | |
| 11. | " 14' | 38 | 38 | გაშლა. |
| " | 19' | 100— | 100— | რეფლექსი არაა. |
| " | 21'; | NaCl-ის კრისტალი მოეცალა; მობანა | | |
| 12. | " 26' | 52 | 54 | ჯერ მოხრა, მერმე გაშლა. |
| 13. | " 31' | 42 | 42 | გაშლა. |

მ. შ. მ. ი. II.

23 — III — 1928 წ. დეცემბერიდან დაწყებული პრეპარატი, მომზადება და დაკვირვების მიზანი ოგონია, რაც წინა შემთხვევაში.

| კლასიკური რიგზე. | დ რ. ო. | რეაქციის ფარული პერიოდი სექუნდობით. | | შენიშვნა რეაქციის ხასიათის შესახებ. |
|------------------|--------------|---|-------------|--|
| | | მარტ. კოდ. | მარჯვ. კოდ. | |
| | | ნორმული დეცემბერიდან პრეპარატი. ოპერაცია მოხდა 11 ს. და 25 მინ.; შტატივზე დაიკიდა 11 ს. 35 მინ.; ამ დროს ჰქონდა ძძლავრა განთავისუფლების რეფლექსი. | | |
| 1. | 11 საათ. 45' | 18 | 18 | ჯერ მოხრა, მერნე განთავის. რეფლ.; ძძლავრი რეაქცია. |
| 2. | " 50' | 16 | 16 | განთავისუფლების რეფლექსი. |
| 3. | " 54' | 17 | 17 | ჯერ მოხრა, მერმე გაშლა. |
| | " 57' | პრეპარატი შტატივიდან ჩამოიხსნა და მოხდა სრული დესიმპათიზაცია. | | |
| | 12 საათ 14' | სპრეპარატი დაიკიდა შტატივზე. | | |
| 4. | " 20' | 32 | 32 | ჯერ მოხრა, მერმე გაშლა. |
| 5. | " 24' | 30 | 30 | მოხრა. |
| | " 26' | NaCl-ის კრისტალი მოთავსდა ტვინის კრილობაზე. | | |
| 6. | " 27' | 40 | 40 | გაშლა. |
| 7. | " 30' | 100— | 100— | რეფლექსი არაა. |
| | " 31' | მარილის კრისტალი მოეცალა; მოხანა. | | |
| 8. | " 35' | 70 | 70 | ჯერ მოხრა, მერე გაშლა. |
| 9. | " 40' | 54 | 46 | მოხრა. |
| 10. | 12 საათ. 45' | 39 | 41 | მოხრა. |
| | " 48' | NaCl-ის კრისტალი მოთავსებულია ტვინის კრილობაზე. | | |
| 11. | " 50' | 72 | 72 | უფრო გაშლაა, ვიდრე მოხრა. |
| 12. | " 53' | 100— | 100— | რეფლექსი არაა. |
| | " 54' | მარილის კრისტალი მოეცალა; მოხანა. | | |
| 13. | " 58' | 84 | 90 | მოხრა, გაშლა. |
| 14. | 1 საათ. 4' | 68 | 74 | " |
| 15. | " 9' | 59 | 62 | " |

კრისტალით გამოიზიანებული მოქმედება განვლილად უნდა ჩაითვალოს, ეფექტი თითქმის სავსებით აღდგა: სიმყავით გალიზიანების საპასუხოდ წარმოშობილია წმინდა მოხრის რეფლექსი, რომელსაც რითმული მიმდინარეობა აქვს.

ანით, სხვათა შორის, მტკიცდება, რომ ბაყაყის დეცერებრივებული ტონუსისა და საზოგადოდ დეცერებრივებული პრეპარატის ტონური რეფლექსის წარმოშობაში სიმპათიკური ნერვული სისტემა არსებით როლს არ თამაშობს.

ამას გარდა: ჰერცენისა და ბოლოტოვის შრომებიდან ჩანს, რომ ნორმულ დეცერებრივებულ პრეპარატზე ტვინის ქრილობის გალიზიანებას ყოველთვის არა სდევს სეჩენოვის შეკავების წარმოშობა — საპასუხოდ პერიფერიულ, მოხრის რეფლექსის გამომწვევ გალიზიანებისა. პირიქით, მათის დაკვირვებით, ტვინის ქრილობაზე NaCl-ის კრისტალის მოთავსებისას ზოგჯერ მოხრის რეფლექსის წარმოშობა უფრო უკეთეს პირობებშია, ვიდრე მანამდე. როგორც ბოლოტოვმა გვაჩვენა, ეს არის მაშინ, როცა ტვინის ქრილობის რამენაირი გალიზიანება (NaCl, ლიგნინი, ელექტ. დენი) ხელს უწყობს ტონური ფლექსიური ცენტრების ამოქმედებას.

ანალოგიური მოვლენანი რამდენსამე ცდაში დაკვირვებული იყო ჩვენს მიერაც შემდეგი თავისებურებებით: ასეთს შემთხვევებში, როცა ტვინის ქრილობის NaCl-ით გალიზიანებას ვახდენდით და სიმყავით გამოკვლევეს ვიწყებდით მალე-მის შემდგომ, რეაქციის ფარული პერიოდის სიდიდე დასაწყისში მცირადებოდა. შემდეგ კი, რაც უფრო დიდ ხანს ვტოვებდით NaCl-ის კრისტალს ტვინზე, მით ფარული პერიოდის სიდიდე უფრო მატულობდა. აღნიშნული ჩვენ მიერ დაკვირვებულია როგორც ნორმულ, ისე დესიმპათიზაციაქმნილ დეცერებრივებულ პრეპარატებზე.

ამით, სხვათა შორის, ისიც მტკიცდება, რომ ზოგჯერ პერიფერიული გალიზიანების საპასუხოდ მოხრის რეფლექსის წარმოშობის გაადვილება ტვინის ქრილობის გალიზიანების გავლენით შეიძლება დაკვირვებულ იყოს დესიმპათიზირებულ დეცერებრივებულ პრეპარატზე ისევე, როგორც ნორმულზე.

იმის შემდეგ, როცა დავრწმუნდით, რომ ტონიკის დაკვირვება, — თითქოს სეჩენოვის შეკავების წარმოშობა დამოკიდებული იყოს სიმპათიკურ ნერვულ სისტემაზე, — არ იყო მართებული, ჩვენი შემდგომი გამოკვლევა მხოლოდ იქით იყო მიმართული, რომ გამოგვეჩვენა, თუ რა იყო მიზეზი ტონიკის ცდების იმ თავისებურებათა, საიდანაც ავტორის მიერა შესაძლებლობა ასეთა დასკვნის გამოტანისა


პირველ ხანებში ჩვენ გავვიძინელდა ამ მიზეზის პოვნა, ვიდრე არ წავაწყდით რამდენსამე ფრიად საინტერესო ფაქტს. ერთს შემთხვევაშიდესიმპათიზირებულ პრეპარატზე ცდის დასაწყისში სიმყავით გალიზიანებაზე წარმოშობილი რეაქციის ფარული პერიოდი მცირე იყო (2 სეკ.) და ტვინის ქრილობის NaCl-ის

კრისტალით გალიზიანებისას მივიღეთ მოხრის რეფლექსის ფარული პერიოდის ჩვეულებრივი გახანგრძლივება (34 სექ-დე). მაგრამ, რაც უფრო საინტერესოა, ტვინის კრილობის რინგერის ხსნარით გამორეცხის შემდგომ ფარული პერიოდი მაშინვე არ აღდგა; არამედ, პირიქით, ჯერ გახანგრძლივდა იმდენად, რომ 72 სექუნდით გალიზიანებისას რეაქცია არ იყო. მხოლოდ შემდეგ რეაქციის ფარული პერიოდი თანდათანობით სრულიად აღდგა. მეორე შემთხვევაში ისევ დესიმპათიზირებულ პრეპარატზე, სადაც ტვინის კრილობაზე გასალიზიანებლად NaCl-ის კრისტალი იყო მოთავსებული, სიმეავით გალიზიანებაზე რეაქციის ფარული პერიოდის სიდიდე თითქმის არ შეიცვალა: არც შემცირდა, არც გაიზარდა, ისეთივე დარჩა, როგორც მანამდე იყო. ჩვენ ამ მოვლენამ გაგვაკვირვა და შემოწმებისას ტვინის კრილობის არე, სადაც NaCl-ის კრისტალი იყო მოთავსებული, მშრალი აღმოჩნდა. ამ ორი ფაქტიდან ჩვენ ტონკიხის ცდების მეტოდიკური შეცდომის შესაძლებლობა დავასკვნით.


NaCl მოქმედობს ტვინზე იმიტომ, რომ იგი იხსნება გარემო სითხეში და მერმე დიფუზიის საშუალებით შეიჭრება ტვინის ქსოვილში. თუ რომ სითხე არ არის, მარილი არ გაიხსნება, მის მოქმედებას ტვინზე ალაგი არ ექნება. მაშასადამე, თუ რომ ტვინის კრილობის არე მოკლებულია თავისუფალ სინამეს, — ლიგნინით, ან თავის თავად ამომშრალია, — NaCl-ის კრისტალის ტვინის კრილობაზე მოთავსებისას ტვინის ქიმიური გალიზიანება არ მოხდება და, ამისდა მიხედვით, უკანა კიდურებზე რეფლექსური რეაქციის ფარული პერიოდი არ გახანგრძლივდება.

როდესაც შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ სეჩენოვის შეკავენას არ ჰქონდა ადგილი, თუ რომ ტვინის კრილობა გამშრალი იყო, ჩვენ ამის შესამოწმებლად დავაყენეთ რამდენიმე ცდა სპეციალურად. ცდები ამ მხრივ ნაწარმოებია როგორც დესიმპათიზირებულ, ისე ნორმულ პრეპარატებზე. თვითუფლ პრეპარატზე, თუ რომ ჯერ ტვინს ლიგნინით ავაშრებდით და მერმე ისე მოვათავსებდით მარილის კრისტალს ტვინის კრილობაზე, რეფლექსური რეაქცია არ იცვლებოდა; ხოლო, თუ რომ NaCl-ის კრისტალს ტვინის დასველებულ ადგილას მოვათავსებდით, მაშინ ჩვეულებრივი ცვლილება გამოიწვეოდა. სანიმუშოდ მოგვყავს სურ. მე—5, რომელიც მიღებულია დეცერებრირებულ და სრულ დესიმპათიზაციაქმნილ პრეპარატზე. აქ ნაწილი A წარმოადგენს ცდის დასაწყისს. NaCl-ით გალიზიანება ნაცადია მაშინ, როდესაც ტვინის კრილობას სისველე ჰქონდა. ამას მოჰყვა ფარული პერიოდის გახანგრძლივება (ცდა 2 და 3). კრისტალის მოკლებისას და რინგერის ხსნარით გამორეცხისას, ფარული პერიოდი ისევ შემოკლდა. მეორე, B ნაწილში კი, მარილის კრისტალი მოთავსებული იყო ტვინის წინასწარ ლიგნინით გაშრობისას. აქ მარილმა გავლენა არ იქონია რეფლექსზე. ამის შემდეგ ხელახლად იყო ნაცადი NaCl-ის კრისტალის სისველეში მოთავსება და ხელახლად მოხდა ფარული პერიოდის გახანგრძლივება:

ასეთი ცდების შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტონკიხის ცდების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის დესიმპათიზირებულ ბაყაყზე ტვინის კრილობა მოკლებული იყო სათანადო სინოტივეს მარილის კრისტალის გასახსნელად. ოპერაციის ხანა დესიმპათიზირებულ პრეპარატზე უფრო ტრეილისის უნივერსიტეტის მოაბზე, X.



სურათი № 5. ნაწილი A. 17. V. 28 წ. დეცერებრივებული და დესიმპათიზირებული გა-
 ხაფხულის ბაყაყი. 1 და მე-2 ცდათა შორის ტვინის კრილობაზე თავსდება NaCl-ის კრისტა-
 ლი. აქ ტვინის კრილობის არე თავისთავად სველია, რაც მრუდზე აღინიშნება M-ით. სულ
 მარილის კრისტალი ტვინის კრილობაზე მოთავსებული იყო 5 მინ-ით და მისი მოცილება.
 წარმოებს მე-3 ცდის დასასრულს, რაც მრუდზე აღინიშნება Y-თ. ახსნა ნახე ტექსტში.



სურათი № 5. ნაწილი B. იგივე პრეპარატი. ცდა უშუალოდ გრძელდება. მე-5 და მე-6
 ცდათა შორის ტვინის კრილობაზე თავსდება NaCl-ის კრისტალი. აქ მარილის კრისტალი-
 მოთავსებული იყო ტვინის კრილობის არეს წინდაწინ ლიგნინით ამოშრობისას, რაც მრუდზე
 აღინიშნება C-თი. NaCl ამ შემთხვევაში მოთავსებული იყო 13 მინუტით და მისი მოცილება
 მოხდა მე-8 ცდის დასასრულს = Y. ახსნა ნ. ტექსტში.

დიდია, ვიდრე საკონტროლო ცდებში. ეს ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ
 გავითვალისწინებთ, რომ r. r. communicantes-ის ამოკვეთა, როგორც წერილი ნა-
 წარმოებისა, ისიც ორივე მხარეს, დიდის ყურადღებით უნდა წარმოებდეს
 და ამიტომ დიდ დროს მოითხოვს მომუშავეისაგან. ამასთან უმეტეს წილად
 სისხლის მიმოქცევა ისპობა სისხლის მსხვილი ძარღვების გადაჭრისა და სისხ-
 ლის გარეთ გამოსვლის გამო. საკონტროლო ცდებში კი დესიმპათიზაციის წა-
 რმოების საჭიროება არაა, ამიტომ აქ სისხლის ძარღვთა დაზიანება და ოპე-
 რაციის ხანაც ნაკლებია. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ

ტონიკი თავის გამოკვლევას იწყებს 40 მინ. — 1 საათის შემდეგ ოპერაციის დასასრულიდან, ადვილი გასაგები იქნება, რომ ასეთი ხანგრძლივი დრო, — ოპერაციის დასაწყისიდან ცდის წარმოებამდე, და მასთან სისხლის მიმოქცევის მოსპობისას ან მოღუნებისას, — არის პირობა ტვინის ქრილობის ირგვლივ გამოწვევისა და სისხლის შედედებისა, ამასთან შრატისა და ლიმფური სითხის გამოწვევისა ბამბით ან ლიგნინით, რომლითაც დაფარული უნდა ყოფილიყო ქრილობა როგორც ოპერაციის დროს, ისე შეიძლება შემდეგაც ცდის დაწყებამდის.

ამასთან აღსანიშნავია შემდეგი: ტონიკის აზრით ის გარემოება, რომ სეჩენოვის შეკავება დესიმპათიზაციის შემდეგ ისპობა, არ შეიძლება ახსნილი იყოს სისხლის მიმოქცევის დარღვევით — ვითომდა ამის გამო ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებულების დაცემით. ამის დადასტურებას იგი ცდილობს ასეთი ცდით: ისეთს დეცერებრივებულ პრეპარატზე, რომელსაც შენარჩუნებული აქვს სიმპათიკური ნერვული სისტემა, მაგრამ გული და შიგნეულობა ამოცილილი, სეჩენოვის შეკავების დაკვირვება, — მისი ცდების მიხედვით, — სრულიად შესაძლებელია. ეს ცდა თითქოს ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას ტონიკის მეთოდოლოგიაში შემთხვევითი შესახებ მთავარ ცდებში. მაგრამ ავტორის მიერ არ არის აღნიშნული, თუ რამდენი დრო გადიოდა საკონტროლო ცდებში ოპერაციის დასასრულიდან ცდის დაწყებამდის. ეს დრო, ცხადია, უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სიმპათიკუსზე ოპერაციისას და, ამიტომ, შესაძლებელია საკონტროლო ცდებში ქრილობის სინოტივ საკმარისი იყო, რომ მარილის კრისტალი გახსნილიყო.

დ ა ს კ მ ნ ა.

ჩვენი მიზანი იყო გამოვრება ტონიკის ცდებისა, საიდანაც ავტორს გამოჰყავს დასკვნა სიმპათიკური ნერვული სისტემის უზუალო მნიშვნელობის შესახებ სეჩენოვის შეკავების წარმოშობაში. ცდათა ერთ რიგში ჩვენი გამოკვლევა წარმოებდა ისევე, როგორც ეს მოწოდებულია ავტორის მიერ: ბაყაყის უკანა კიდურების მიმართ რეფლექსური მოქმედების შესწავლა ტურკის წესით (კიდურების 0,1 — 0,2% გოგირდის სიმეავით გალიზინება რეფლექსურ მოქმედებამდე, მისი შემდგომი წყლის გამოვრება). ცდათა მეორე რიგში კი ჩვენი გამოკვლევა წარმოებულია უფრო გაუმჯობესებული მეთოდით: ბაყაყის ერთ-ერთი კიდურის რეფლექსური რეაქციის მთავარადიული რეგისტრაციით. იგი ხდებოდა შესასწავლ კიდურზე ანტაგონისტური კუნთების: *m. Tircps fem.* და *m. Semitendinosus*-ის გამოცალკევებით და მათი მოქმედების კომპარატივ დაწერით. ცდათა შედეგები ასეთია:

1. თვით სიმეავით გალიზინება (ტურკის წესი) იმდენად სათუთაა, რომ მისი მართებული სარგებლობა დიდს სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც რეაქციის ფარული პერიოდის ოდენობა საპასუხოდ სიმეავით გალიზინებისა არ წარმოადგენს მყარ სიდიდეს და იცვლება ცდის მრავალგვარი პირობის მიხედვით.

2. ტონიკის დაკვირვება, თითქოს სეჩენოვის შეკავება დესიმპათიზაციის შემდეგ ისპობოდეს, ჩვენი მასალის მიხედვით არ მართლდება. პირველი, ჩვენი გამოკვლევით (განსაზღვრულ პირობათა დაცვისას) ბაყაყის დესიმპათიზირებულ პრეპარატზე სეჩენოვის შეკავების დაკვირვება ისევე კარგად შეიძლება, როგორც ეს ხდება ნორმულ დეცერებრივებულ პრეპარატზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი მასალიდან ირკვევა, რომ სეჩენოვის შეკავების წარმოშობაში სიმპათიკურ ნერვულ სისტემას მნიშვნელობა არა აქვს.

3. ტვინის ქრილობის NaCl-ის კრისტალით გალიზიანება არ გულისხმობს მარტო პერიფერიული გალიზიანების საპასუხოდ მოხრის რეფლექსის წარმოშობის გაძნელებას, მის შეკავებას. პირიქით, ზოგჯერ ასეთს შემთხვევაში მოხრის რეფლექსის წარმოშობა ადვილდება. აღნიშნული დაკვირვებულობა ჩვენ მიერაც როგორც ნორმულ, ისე დესიმპათიზირებულ პრეპარატზე.

4. სრული დესიმპათიზაციის შემდგომ ბაყაყის დეცერებრირებული ტონუსისა და საზოგადოდ დეცერებრირებული ტონური რეფლექსების წარმოშობა არ ისპობა. სხეანაირად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ წარმოშობაში სიმპათიკური ნერვული სისტემა არსებით როლს არ თამაშობს.

5. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტონიკის გამოკვლევის შედეგები აიხსნება მისი ცდების თავისებურებით და მიჩნეული უნდა იყოს მეთოდოლოგიური შეცდომად. სპეციალურად დაყენებული ცდებიდან ჩანს, რომ NaCl-ის კრისტალის ტვინის ქრილობაზე გამაღიზიანებელი მოქმედება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ტვინის ქრილობის არის სინოტივის, მისი სისველის ხარისხზე; როცა ტვინის ქრილობა მოკლებულია თავისუფალ სინამეს, მაშინ მასზედ NaCl-ის კრისტალის მოთავსებისას არ ხდება ქიმიური გალიზიანება, მას არც მოჰყვება სიმეავით გალიზიანების საპასუხოდ რეაქციის ფარული პერიოდის გახანგრძლივება. ჩვენის აზრით ტონიკის ცდების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის დესიმპათიზირებულ ბაყაყზე ტვინის ქრილობა მოკლებული უნდა ყოფილიყო სათანადო სინოტივის NaCl-ის კრისტალის გასახსნელად.

დასასრულ უღრმეს მადლობას ვუძღვნი ფრიად პატივცემულს ჩემს მასწავლებელს პროფ. ივ. ბერიტაშვილს, როგორც თემის მოცემისათვის, ისე მის დამუშავებისას უშუალო ხელმძღვანელობისათვის.

ლიტერატურა.

1. Л. Орбели, Изв. Петр. Научн. Инст. 1923. ტომი 6.
 2. იგივე, Сборн. посвящ. 75 лети. юб. ак. Павлова 1924, 403.
 3. А. Гиневинский, Русс. физиол. журн. VI — 1,2,3; 138, 1923.
 4. А. Гояких, „ „ „ VIII — 5,6; 31, 1925.
 5. იგივე, „ „ „ X — 1,2; 86, 1927.
- აგრეთვე Труды 2-го Всесоюзн. Съезда Физиологов 1926. გვ. 263, Ленинград.
6. გ. ვაწაძე, Журн. exper. биол. и мед. № 8, 189, 1926.
 7. И. Сеченов, Physiол. St. ueb. d. Hemmsmech. 1863. Berlin.
 8. იგივე, Полное собран. сочин. Сеченова I, 18, 1907. Москва.
 9. Маткевич, Zeitschr. f. rat. Med. ტ. 21, 230, 1864.
 10. А. Давылевский, Arch. f. (Anat. u.) Physiол. 1866, გვ. 677 და 707.
 11. А. Herzen Expér. s. l. central. modér. d. lact. refl. 1864, Turin.
 12. О. Langendorf, Arch. f. (Anat. u.) Physiол. 1877. გვ. 96 და 435.
 13. С. Sherrington, Jnteg. Act. Nerb. Syst. 1906. London.
 14. Graham Brown, Ergebn. d. Physiол. 13, 279, 1913.
 15. R. Magnus, Körperstellung, 1824. Berlin.
 16. ი. ბერიტაშვილი, Учен. об основ. элем. центр. координ. скелетн. мускул. 1916. СПб.
 17. იგივე, Извест. Росс. Ак. Наук 1915. გვ. 649,853,1117.
 18. იგივე, ზოგადი ფიზიოლოგია. 1927. ტფილისი.
 19. იგივე, Pflüg. Arch. 199, 248, 1963.
 20. В. Болотов, Русс. физиол. журн. 38, II, 1919.

ა. ხ მ ა ლ ა მ ი.

მასალები შრომის პირობათა სანიტარულ-ჰიგიენური დახასიათებისათვის საქართველოს სამთამადნო მრეწველ-ლობაში.

სამთამადნო მრეწველობას საქართველოს პირობებში სოციალურისა და პროფესიონალური ჰიგიენის თვალსაზრისით აქვს უპირველესი მნიშვნელობა, ვინაიდან როგორც მასში ჩაბმულ მუშა ხელის რაოდენობითა და მუშაობის პირობების სპეციფიკური თვისებით, აგრეთვე თავისი მნიშვნელობითა და პერსპექტივებით ქვეყნის სამეურნეო განვითარებისთვის ხსენებულ მრეწველობას პირველი ადგილი უკავია. ამის გამო, რასაკვირველია, საქართველოს შრომსახკომის ლაბორატორიის მუშაობის გეგმებში უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს მუშაობის პირობათა გამოკვლევას სამთო წარმოებაში.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმული იყო 1928 წ. იანვართებერვალში, როდესაც ლაბორატორიის ექსპედიციამ გამგის ექ. ხმალაძისა და ლაბორანტ ზ. ქავქავაძის შემადგენლობით, გამოიკვლია შრომის პირობათა ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორები საქართველოს სამთა-მადნო მრეწველობის ორ უმთავრეს წარმოებაში: ტყუბულის ქვანახშირის მალაროებში, კიათურის შავი ქვის მალაროებში და უკანასკნელის დანხმარე წარმოებებში (სარეცხ ქარხანაში და სხვ.)

აქ აღსანიშნავია რომ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ტყუბულში, ისე კიათურაში მუშაობა წარმოებდა უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და აქ მუშაობაში ჩაბმული იყო საქართველოს საზომით ძალიან ბევრი მუშა, რევოლუციის წინა წლების სპეციალურ ლიტერატურაში ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი წერილი, რომლის საგანიც ყოფილიყო ამ სამუშაოების სანიტარულ-ჰიგიენური დახასიათება.

ტყუბულის ქვანახშირის მალაროები.

აქ ქვანახშირის ამოღება უკვე ბევრი ხანი წარმოებს, წარსული საუკუნის 40—50 წლებიდან. წარმოების წინასწარი დათვლილება-გაცნობით აღმოჩნდა, რომ მასში ჩაბმულია 735 კაცი მიწის-ქვეშა სამუშაოებზე, რომელიც წარმოებს განუწყვეტლივ დღე-ღამის განმავლობაში სამ წყებად, და 846 კაცი ზედაპირის სამუშაოებზე. მიწის-ქვეშა სამუშაოებზე მუშაობენ მხოლოდ მამაკაცები,

იქ ქალები და მცირეწლოვანი—მოზარდი ყმაწვილები არ დაიშვებიან. მუშაობის ხანგრძლივობა მიწის ქვეშ თითო წყებისთვის განისაზღვრება 7 საათით.

დამახასიათებელი თვისება ტყიბულის ქვანახშირის ფენებისა არის მათი მეტის-მეტის სისქე (4—7 მეტრი), რაც აძნელებს ქვანახშირის სუფთად და სრულიად ამოღებას. მუშაობა წარმოებს უმთავრესად ორ განცალკევებულ უბანში: დასავლეთისა (ახალი მალაროები) და აღმოსავლეთისაში (ძველი მალაროები). ქვანახშირის ამოღება ორსავე უბანში წარმოებს ჰორიზონტალური დამუშავებით გვირაბებით („შტოლნებით“, — „წოლხვრით“). დონის აუზის მალაროებში, ბელგიაში და სხვ. ქვანახშირის ამოღება წარმოებს მიწის ქვეშ სხვადასხვა სიღრმეზე (20 მეტრიდან 1600 მეტრამდე). ჩაშვებული ევრტიკალური მიმართულებით შახტებიდან გათხრილ გვირაბებში.

ტყიბულში გვირაბები გათხრილია მთის ფერდობის სხვადასხვა სიმაღლეზე (ჰორიზონტები). ძველ მალაროებში ახლა მუშაობა წარმოებს ოთხ ჰორიზონტში, დაწყებული მეორე ჰორიზონტიდან მეხუთე ჰორიზონტამდის. პირველ ჰორიზონტში ხანძარის გამო მუშაობა არ წარმოებს.

ჰორიზონტები დაკავშირებულია ერთი მეორესთან განსაკუთრებული სვლებით — გეზენკებით (სასულებით), კიბეებით და სხვ., რომლის საშუალებითაც წარმოებს მიმოსვლა ევრტიკალური მიმართულებით და ამოღებული ქვანახშირის ჩაშვება ზევითა ჰორიზონტებიდან მეორეში, საიდანაც ნახშირი გამოიზიდება გარეთ, მეორე, მესამე და მეოთხე ჰორიზონტი დაშორებულია ერთმანეთისაგან 130 მეტრის სიმაღლით, მეხუთე კი მეოთხისაგან—70 მეტრით.

თითოეულ ჰორიზონტში მუშავდება ნახშირის სამი ფენი, რის მიხედვითაც მთავარი გვირაბის გასწვრივ ყოველ 20—40 მეტრის მანძილზე არის გადახვევი სვლები—შტრეკები (ზოლსატეხი), რომელნიც აკავშირებენ მთავარ გვირაბს ორ პარალელურ გვირაბთან. გვირაბის სიგრძე უდრის მინიმუმ 160 მეტრს მეხუთე ჰორიზონტში და მაქსიმუმ 420 მეტრს მეორე ჰორიზონტში.

გვირაბებისა და სხვა სვლების სიმაღლე აღწევს მაქსიმუმ ორ მეტრს, მაგრამ ხშირად უფრო ნაკლებია, მეორე ჰორიზონტში შესავალთან განსაკუთრებით სადაც 1 მეტრსაც ძლივს აღწევს, რის გამოც მოძრაობა ძალიან გაძნელებულია და მუშებს ძალიან მოლუნული სპირდებათ სიარული. სიგანე სვლებისა უდრის 1,0—1,5 მეტრს, ამასთანავე, ბევრი ადგილი აქედან დაკავებული აქვს ვიწრო ლიანდაგიან გზას, რომლის საშუალებითაც იქით-აქეთ მიაგორებენ ცარიელ ან სავესე ვაგონეტებს. ამის გამო გვერდებზე დარჩენილია ძალიან ვიწრო საცალფეხო გზა.

ყველა ჰორიზონტში კერიდან წვეთს, ხან კი პირდაპირ გადმოდის დიდძალი წყალი, რაც გამოწვეულია ნიადაგის წყლებისა და ატმოსფერული ნალექების სიმრავლით ტყიბულში, რომელთაც თავისუფალი გზა აქვთ მალაროებში ჩასასვლელად გეზენკების ზევითა გარეგან ხვრელიდან. ამის გამო მალაროებში ძალიან დადი სისველეა და ტლახი, მიუხედავად იმისა რომ გვირაბებში მოწყობილია წყლის გასაყვანი თხრილები და დანიშნულია განსაკუთრებული მუშები მათ მოსაყლელად.

დასავლეთ უბანში (ახალ მალაროებში) მუშაობა წარმოებს ოთხ ქვეითა ჰორიზონტში. სამი ზევითა ჰორიზონტი, რომლებშიაც ხანძრის გამო მუშაობა არ წარმოებს, განცალკევებულია სხვა ჰორიზონტებისაგან კედლებით. დასავლეთ უბნის ჰორიზონტები უფრო ახლოსაა ერთიმეორესთან და სულ რაღაც 20—30 მ. სიმაღლით არიან დაშორებული. გვირაბების სიგრძე აქ უფრო მეტია და უღრის 540—690 მეტრს. წყალი აქ ცოტა უფრო ნაკლებ წვეთს მაგრამ მაინც ბლომდაა.

ქვანახშირის ამოღება აქ წარმოებს სანგრეებში (зандр) და საკანებში (камера), რომლებსაც შემდეგ ამოავსებენ ხოლმე ცარიელი ქანით (ქვიშით, მიწით და სხვ.).

გვირაბისა, შტრეკისა და სხვ. კედლები და ქერი (ცა) გამაგრებულია ქვანახშირისა და სხვა ქანების ჩამონგრევა და ჩამოცვივის თავიდან ასაცილებლად ხის ბოძებით. ეს ბოძები დროთა განმავლობაში ღებება, ფუქდება, ტყდება და ველარ უძლებს დაწოლას, რასაც მოსდევს ჩამოწოლა და იქ მომუშავეთა დაზიანება, ხან კიდევ სრულიად ჩამარხვაც. გაფუქებულ და დაზიანებულ ბოძებს დრო გამოშვებით სცვლიან ახლებით.

სხვა სანიტარული მომენტებიდან უნდა აღინიშნოს, რომ მუშები ჩვეულებრივ სამუშაო ადგილზე საუზმობენ თვით მალაროებშივე ქუქქიანი ხელებით, თან მოტანილი ხმელი პური, უმეტეს შემთხვევაში, რომელიც იქვე აქვთ შენახული, საძველ წყალს განსაკუთრებულ ქურქლებში სამუშაო ადგილებზე იშვიათად შეხვდებით. უმეტეს შემთხვევაში აქ ხმარობენ წყაროს წყალს (აუღულარს). სპეცტანისამოსი, რომელიც ეძლევათ მუშებს, ყოველთვის არ არის შესაფერი თვისებისა და ხშირად მისი დარიგებაც გვიანდება.

ტემპერატურისა, სინესტისა და სხვ. ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების გამოკვლევის საშუალო შედეგები ტუიბულის მალაროებში მოყვანილი გვაქვს შემდეგ ცხრილში (იხ. ცხრილი № 1).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ჰაერის ტემპერატურა (32 განსახლერ.) ქვანახშირის დამუშავების ადგილებზე სანგრეებში („ზაბოი“) და საკანებში აღწევს $+12,2^{\circ}$ -დან $+19,9^{\circ}$ -მდე $^{\circ}$ -ით. განსხვავება გარეთა და მალაროების ჰაერის ტემპერატურას შორის აღის $+6^{\circ}$ -დან $+10^{\circ}$ -მდე $^{\circ}$ -ით.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო მეტია გარეშე ჰაერის ტემპერატურა, მით უფრო მცირეა განსხვავება გარეშე და მალაროების ჰაერის ტემპერატურას შორის. ასე, როდესაც გარეშე ტემპერატურა უღრის $+12,4^{\circ}$ $^{\circ}$ -ით, მაშინ განსხვავება უღრის მხოლოდ $+6,2^{\circ}$ $^{\circ}$ -ით, როდესაც კი გარეშე ჰაერის ტემპერატურა უფრო მცირეა, $6,2^{\circ}$ ან $3,3^{\circ}$, მაშინ განსხვავება უკვე აღწევს $+9,0^{\circ}$ და $+10,1^{\circ}$ $^{\circ}$ -ით. ამიტომ მოსალოდნელია, რომ თბილ დღეებში განსხვავება გარეთა და შიგნითა ტემპერატურას შორის ძალიან მცირდება და ეს კი იწვევს ჰაერის ბუნებრივი მიმოცვლის გაუარესებას მალაროებში.

ჰაერის ტემპერატურა მიწასთან ქვევით და $1,5$ სიმაღლეზე განსხვავდება ერთი მეორისაგან $1,8^{\circ}$ -ით, მაშასადავე, მომუშავეთა ქვედა კიდურები იმყოფებიან საგრძობლად უფრო ცივ ჰაერის ფენში, ვიდრე მათი ტანი.

| № № | გამოკვე- დრო | გამოკვლევის ადგილი | ზანზლო შესაკლი- დან (მეტრობით). | ტემპერატურა (ცელსის გრადუ- სებით). |
|-----|--------------------|---|------------------------------------|--|
| 1 | 1927 წ. 29/12 | გარეთ | — | + 12,4 |
| 2 | დილ. 9 ს. | ძველი მალაროები (ალმოს. უბანი) მე-4-ე ჰორიზონტი, მთავარი გვირაბი, შესავალთანვე | — | + 12,6 |
| 3 | " | მთავარი გვირაბის გასწვრივ | 35 | + 13,0 |
| 4 | " | " " " " | 150 | + 15,0 |
| 5 | " | 7/4-ან ფენ. სანგრ. („ზაბოი“) | 310 | + 18,6 |
| 6 | დლ. 12 ს. | " " " " | — | + 18,3 |
| 7 | 30/12 | გარეთ | — | + 9,8 |
| 8 | დილ. 9 ს. | 7/4-ან ფენ. სანგრ. მიწასთან | 310 | + 14,0 |
| 9 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | — | + 16,0 |
| 10 | დილ. 11 ს. | " მიწასთან | — | + 14,2 |
| 11 | " | " 1,5 სიმაღლეზე | — | + 16,4 |
| 12 | დლ. 2 ს. | " " | — | + 16,0 |
| 13 | " | " გეზენკში | — | + 19,9 |
| 14 | 31—12 | გარეთ | — | + 6,2 |
| 15 | " | მე-4-ე ჰორიზონ. მთავ. გვირაბ. გასწვრივ | 35 | + 8,1 |
| 16 | " | " " " " | 150 | + 11,2 |
| 17 | " | იქვე მე-4-ე ფენ. სანგრ. მიწას. | 300 | + 14,2 |
| 18 | " | " 1,5 სიმაღლეზე | — | + 15,6 |
| 19 | დლ. 2 ს. | " " | — | + 15,8 |
| 20 | 1928 წ. 2 იანვ. | გარეთ | — | + 3,3 |
| 21 | დილ 9 ს. | ახალი მალაროები (დასავლეთის უბანი) მე-4-ე ჰორიზ. გვირაბის შესავალთან: მიწასთან | — | + 5,8 |
| 22 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | — | + 7,2 |
| 23 | " | იმვე გვირ. გასწვ. მიწასთან | 200 | + 12,0 |
| 24 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | — | + 12,4 |
| 25 | " | " მე-12 საკანში | 200 | + 13,4 |
| 26 | " | დასავლეთის უბანის კაპიტალურ გვირაბში. იმვე გვირაბის სანგრევი | 75 150 | + 11,0 + 12,2 |

ცხრილი № 1.

მ ა ლ ა რ ე ბ ი

| შეფარდ. სინესტე (% ² / ₁₀₀ ობით). | კათატერმ. ინ- დექსი. | | პაერ. მოძრ. მეტრო- ბით წუთში. | პერე. ვიდექ. ტემპ. (ცულის გრადუ- სებით). | CO ₂ (% ² / ₁₀₀ ობით). | O ₂ (% ² / ₁₀₀ ობით). | მეტრის რაოდ. მეტრებით 1 კუბ. მეტრ. ჰაერში. |
|--|-------------------------|--------|----------------------------------|--|---|--|--|
| | შრიალი. | სველი. | | | | | |
| 65 | — | — | — | — | — | — | — |
| 76 | 12,0 | — | 0,563 | 6,5 | — | — | — |
| 90 | — | — | — | — | 0,62 | — | — |
| 100 | 11,5 | 26,9 | 0,091 | 7,5 | 1,13 | 19,8 | — |
| 95 | 6,9 | 15,0 | 0,226 | 15,9 | 1,18 | 19,1 | — |
| 100 | 7,0 | 15,0 | 0,203 | 15,8 | — | — | — |
| 70 | 15,2 | 27,1 | 0,681 | 2,9 | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 90 | 6,0 | 17,2 | 0,051 | 16,0 | — | — | 24,0 |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | 5,9 | 17,0 | 0,051 | 16,4 | — | — | — |
| 95 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 80 | 27,1 | 39,6 | 2,03 | — | — | — | — |
| 95 | — | — | — | 0,50 | — | — | — |
| 100 | — | — | — | 6,72 | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | 7,0 | 15,1 | 0,106 | 15,6 | — | — | — |
| 100 | 6,9 | 15,0 | 0,106 | 15,8 | 0,74 | 19,7 | 30,0 |
| 70 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | 0,39 | — | — |
| 100 | — | — | 0,276 | 8,8 | — | — | — |
| 100 | 9,9 | — | 0,181 | 13,0 | 0,62 | 20,1 | 25,0 |
| 100 | 8,3 | — | — | — | 0,51 | — | — |
| 100 | — | — | — | — | 0,51 | 20,6 | 11,0 |

ვარდა ამისა გვირახის გასწვრივ, ჰაერი საგრძნობლად უფრო ცივია, მინიმუმ 1,2°-ით, მაქსიმუმ 7,7°-ით, ვიდრე სანგრევის ან საკანის ტემპერატურა, ასე რომ სანგრევიდან გამოსული მძიმე მუშაობისაგან დაოფლიანებული მწკრეველი აქ ხვდება ცივი ჰაერის სფეროში.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ზამთრის პირობებში ჰაერის ტემპერატურა მალაროებში შედარებით კარგია, დონის აუზის მალაროებში ტემპერატურა გაცილებით უფრო მეტია. იქ უფრო ხშირია ტემპერატურა 22,5°—25°ც.-ით (48%), ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში (10,4%) კი აღის 38°—45° ც.-ით; იმ ადგილებზე, სადაც ტემპერატურა 18°-სა და მეტს აღწევს, მუშები იძულებული არიან გაშიშვლებული იმუშაონ¹. ასეთ მდგომარეობამდის ტყიბულში საქმე არასოდეს არ მისულა.

ჰაერის შეფარდებითი სინესტე (32 განსაზღვრა ავეუსტის ფსიქრომეტრით) ტყიბულის მალაროებში უმეტეს შემთხვევაში აღწევს 90—100%, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი გამოკვლევების დროს გარეთა ჰაერის სინესტეც საკმაოდ დიდი იყო (65—80%). დონის აუზის მალაროებში შეფ. სინ=90—95%. მშრალი კათათერმომეტრით² (21 განსაზღვრა) მივიღეთ ჰაერის გამაცივებელი ძალა მალაროებში 5,9—8,3 მილიკალორია, და სველით 15,0—17,2 მილიკალორია, რაც მკირედ უნდა ჩაითვალოს.

ექვივალენტური ეფექტური ტემპერატურა (11 განსაზღვრა) უდრიდა ტყიბულის მალაროებში 12,0—16,4° ც.-ით, ე. ი. იმყოფებოდა გაგრძობის სფეროში.

ჰაერის მოძრაობის სიჩქარის (23 განსაზღვრა) გაზომვის ცდებმა ანეჰომეტრით სანგრევეებში და საკანებში მოგვცა უარყოფითი შედეგები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აქ ჰაერის მოძრაობა ან სულ არ არის, ან და ძალიან სუსტია (0,5 მ.-ზე ნაკლები).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გამოკვლევის დროს ჰაერის მიწოდება მალაროებში წარმოებდა მხოლოდ ბუნებრივი გზით, ხელოვნური სავენტილაციო მოწყობილობა მაშინ არსად არ მუშაობდა. არავითარი შემუშავებული გგმა მალაროების განიავების შესახებ, როგორც ეს დაწესებულია შრომის სათანადო კანონმდებლობით, ტყიბულის მალაროებში არ ჰქონდათ. არ წარმოებდა აგრეთვე მიწოდებული ჰაერის მოძრაობის სიჩქარის სისტემატური გაზომვა.

კათათერმომეტრით მივიღეთ, რომ ჰაერის მოძრაობა სანგრევეებში და საკანებში უდრის მხოლოდ 0,051—0,226 მ.-ს წუთში, რაც ძალიან მკირეა. საჭიროა ამასთანავე ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ კათათერმომეტრი ხშირად იძლევა ჰაერის მოძრაობის სიჩქარის ვადამეტებულ განსაზღვრას.

უფრო შესამჩნევი ჰაერის მოძრაობა აღნიშნული იყო ანემომეტრით მხოლოდ ორ შემთხვევაში: ერთი იმ კიბის ზევითა თავში, რომელიც აერთიანებს

¹) Лященко, Очерки по гигиене труда горнорабочих каменноугольной промышленности, М. 1926 г.

Его-же. Доклад на X всесоюзн. съезде санит. врачей эпидемиол. и бактериологов в Одессе 1926 г.

²) კათათერმომეტრიისა და ეფექტური ტემპერატურის შესახებ მეთოდოლოგიური ცნობები იხ. ჩემ წერილში „ჯანსახკომის მოამბე“-ში № 2, 1928 წ.

მესამე ჰორიზონტს მეოთხე ჰორიზონტთან ძველ მალაროებში. ამ ადგილას ქვეიდან ზევით ამოდიოდა ჰაერი 43—44 მ.-ს სიჩქარით წამში საშუალოდ, მეორეჯერ კი ახალი მალაროების სასულეების („გეზენკების“) ზევითა გარეთ გამოსავალ თავებში, სადაც ქვეიდან ამომავალ ჰაერს სიჩქარე ჰქონდა 2,5—3.0 მეტრი წუთში საშუალოდ, ე. ი. 150—180 მეტრი წაშში.

მაშასადამე, საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ჰაერის შესაჩნვევი მოძრაობა აღინიშნება მალაროებში მხოლოდ ვერტიკალური მიმართულებით, ე. ი. ქვეიდან ზევით, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ ჰაერის მიმოვლა (омывание) ჰორიზონტალური მიმართულებით საკნებში და სანგრევეებში არ წარმოებს წესიერად, და ქვევითა ჰორიზონტებიდან შემოსული ჰაერი სასულეების საშუალებით პირდაპირ მიიმართება ზევითკენ გარეთ სანგრევეებისა და საკანების მიმოუვლელად გზადაგზა.

აღნიშნული ფაქტი მიგვითითებს მალაროების განიავების არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

ჰაერის მცირე მოძრაობით უნდა აიხსნას ალბათ ის მოვლენა, რომელიც გამოირკვა ჩვენ ნიერ მნგრეველთა დაკითხვიდან გამოკვლევების დროს, სახელდობრ ის, რომ მიუხედავად დამაკმაყოფილებელი თერნიული პირობებისა, სამუშაო ადგილებზე მნგრეველების თერმიული თვითშეგარძნობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენს შეკითხვაზე ამის შესახებ მათგან მუდამ გვესმოდა: „გვცხელა“, და რასაკვირველია არავითარ სიგრილეს აქ არ გარძნობდენ არც მუშები და არც ჩვენ. ობიექტური ნიშნები მუშებზეც ამას ადასტურებდენ. მნგრეველები მეტისმეტად დაოფლიანებული იყვნენ და მათ გახშირებული მაჯისცემა ჰქონდათ (94—108 საშუალოდ, ერთ შემთხვევაში კი 120-ც). ასეთი მოვლენის მიზეზია, ამასთანავე, რასაკვირველია, ის მძიმე ფიზიკური ჯაფა, რომელსაც ეწევიან მნგრეველები.

მხოლოდ უნდა ითქვას კი, რომ, როგორც ამ გამოკვლევებიდან ჩანს, კათათერმომეტრია და ეფექტური ტემპერატურა არ იძლევიან მომუშავე ორგანიზმის თვით შეგარძნობისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობის სწორ გამოხატულებას.

მალაროების განათება გვირაბებში უმეტეს შემთხვევაში წარმოებს ელექტრონის შუქით, მაგრამ სანათურების დაშორება ერთმანეთისაგან ძალიან დიდია (20 მეტრი), სანათურები თანაც ძალიან გაქუქყიანებულია ქვანახშირის მტვრით, დაფარულია ორთქლით და ნისლში ოდნავ ბუტყავენ. სანათურებთანვე განათების ძალის გაზომვამ 20 სხვადასხვა ადგილას ლუქსმეტრის საშუალებით ძლიერ მოგვცა 1—4 ლუქსი. ამის მიზეზია ისიც, რომ ადგილობრივი ელექტრონის სადგური ვერ იძლევა საკმარის ენერგიას, რის გამოც სანათურების გავარვარება ძალიან სუსტია.

თვით სანგრევეებში და საკანებში მუშაობა წარმოებს ვოლფის ხელის სანათურებით, რომლებსაც ყოველთვის არ აქვთ დამცველი ბადეები. გვხვდება კიდევ, თუმცა იშვითად, აგრეთვე კრაქებიც, რომელნიც უკანასკნელ დრომდე შეადგენენ მალაროების განათების უმთავრეს საშუალებას.

მალაროების ჰაერის ქიმიური გამოკვლევების შედეგები ასეთია:

ნახშირმჟავას რაოდენობა (27 განსაზღვრა პეტენკოფერ-ნაგორსკის მეთოდით) როგორც ცხრ. ჩანს, აღემატება არამც თუ სანიტარულ ნორმას (0,1%), არამედ აგრეთვე კანონმდებლობით დაწესებულ ნორმასაც კი (0,5%). ნახშირმჟავას მომეტებული რაოდენობა აღინიშნება უკვე გვირაბის შესავალთანვე, რაც გამოწვეულია ალბათ შიგნიდან გამომავალი და ნახშირმჟავათი გამდიდრებული ჰაერის გავლენით. შემდეგ, ნახშირმჟავას რაოდენობა მალაროს ჰაერში მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებია განსხვავება შიგნითა და გარეთა ჰაერის ტემპერატურას შორის. ასე, როდესაც აღნიშნული განსხვავება უდრის 6°.ს, ნახშირმჟავას რაოდენობა უდრის 1,48%-ს, მაშინ კი, როდესაც განსხვავება უდრის 9,0° ან 10°-ს, ნახშირმჟავას რაოდენობა მალაროებში აღწევს მხოლოდ 0,74% და 0,62%-ს.

ნახშირმჟავას რაოდენობის 27 განსაზღვრისაგან მხოლოდ 7 ჯერ (ე. ი. 26%-ში) მივიღეთ 0,5%-ზე ნაკლები ნახშირმჟავას რაოდენობა, 13 შემთხვევაში (ე. ი. 48%)—0,6—1,0%-მდე CO₂ და 7 შემთხვევაში კიდევ (ე. ი. 26%) 1,0—2,0%-მდე CO₂. მაშასადამე, CO₂-ს რაოდენობა გადაცილებული იყო კანონმდებლობით დაწესებულ საზღვრებს 20 შემთხვევაში (ე. ი. 74%),

ლიტერატურული ცნობების თანახმად (ეჟ. ლიაშჩენკო) დონის აუზის ქვანახშირის მალაროებში 1923-24 წლის განმავლობაში CO₂ ამდენ რაოდენობით (1,0%-2,0%) განსაზღვრის მხოლოდ 73% შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, თუმცა ამასთანავე 16% შემთხვევაში აღნიშნული იყო 2,0%-ზე მეტი CO₂, რასაც სრულიად არ ჰქონდა ადგილი ჩვენი გამოკვლევების დროს ტყიბულის ქვანახშირის მალაროებში. 1924-25 წლებში დონის აუზის მალაროებში 0,5%-ზე მეტი CO₂-ს განსაზღვრის შემთხვევები უკვე შემცირებულა 61,6%-მდე, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა ისევ შესამჩნევად გაუარესებულა და უკვე 1925 წ. დამლევს 1%-ზე მეტი CO₂ იქ აღმოუჩენიათ 46 შემთხვევაში, ამავე დროს აღნიშნავთ შემთხვევები, როდესაც CO₂-ს რაოდენობა იქ აღწევდა 2,6—4,8%. ომის წინა დროს CO₂-ს რაოდენობა იქვე განისაზღვრებოდა 0,7—1,82%-ით (42 განსაზღვრა).

ნახშირმჟავას გადამეტებული რაოდენობა ტყიბულის მალაროებში, რომელიც ბევრით არ განსხვავდება დონის აუზის მალაროებში არსებული მდგომარეობიდან, მიგვიჩივთ თავის მხრივ აგრეთვე მალაროების განიავების ცუდ მდგომარეობაზე, რომელიც როგორც ზემოთ ვთქვით, დამოკიდებულია მხოლოდ ბუნებრივ პირობათაგან, მაგრამ ასეთი განიავებაც ძალიან გაძნელებულია მალაროების ადგილმდებარეობის ძლიერ დასერილი ხასიათის გამო. გარდა ამისა ჩვეულებრივი აქ ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა და ხშირი ნისლიანობაც ალბათ არ უწყობენ ხელს მალაროების ბუნებრივ განიავებას.

ჟანგბადის რაოდენობა, რომელიც გამოკვლეული იყო ორსას აპარატით და შესამოწმებლად ზოგჯერ პარალელურად აგრეთვე პროფ. ხლოპინის მეთოდითაც (სულ 13 განსაზღვრა), კანონმდებლობით დაწესებულ ნორმებს (20%) შესაძნევედ არ ჩამოპრჩებოდა, და ამ ცხრივ მალაროებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. დონის აუზისა და სხვა მალაროებში ჟანგბადის გამოკვლევის შესახებ ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვება, თუმცა კა-

წონმდებლობა მოითხოვს, რომ ყველა მალაროში ყოველწლიურად ჩატარებულ იქნეს ასეთი გამოკვლევები.

სხვა მვენე გაზების შესახებ აქ უნდა მიეუთითოთ გოგირდწყალბად-ზე (H_2S), რომელიც დრო-გამოშვებით იჩენს თავს აღმოსავლეთის უბნის მეო-თხე ჰორიზონტის მეოთხე ფენის სანგრევეში; გარდა ამისა ხანძარის დროს მალა-როებში ჩნდება ნახშირ-ჟანგი (CO).

უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ ტყიბულის მალაროებში ხანდახან იჩენს თავს მეტანი (მგრგვინავი გაზი, მალაროს გაზი, ჟაობის გაზი, ან როგორც მას ტყიბულში პირდაპირ უწოდებენ—გაზი) CH_4 , რომელიც არ არის მვენებე-ლი ჯანმრთელობისათვის, მაგრამ მისი გაჩენა მალაროებში საშიშია იმ მხრივ, რომ სათანადო პროპორციით ნარევი ჰაერში ის წარმოადგენს მგრგვინავ იმ-ფეთქებელ ნარევეს. სახელდობრ, როდესაც მეტანის შემადგენლობა ჰაერში აღ-წევს $5,5\%$ -ს, მაშინ მას აქვს აფეთქების თვისება, თუ მისი რაოდენობა აღწევს $9,5\%$ -ს, მაშინ ჰაერის აფეთქებას აქვს უძლიერესი ხასიათი, და თუ მის შემად-გენლობამ მიაღწია $13,5\%$ -ს, მას ეკარგება ამაფეთქებელი თვისება.

მეტანი ჩვეულებრივ ჩნდება მცენარეულ ნივთიერებათა უჰაეროდ ნელი დაშლის დროს. ქვანახშირის ფენებში მეტანი იმყოფება ნახშირის ფორმებში, საი-დანაც ის გადადის გარშემო ტენების ნაპრალებში და იქ იყრის თავს. შეკრე-ფილი გაზი ხან მუდმივ და თანაზომიერად, ხან კიდევ უტეხ ამონახეტქსავით გადმოდის მალაროებში, და განსაკუთრებით უკანასკნელ შემთხვევაში მოაქვს დიდი ზიანი.

შემთხვევები გაზის დიდი რაოდენობის ერთბაშად ამოხეთქისა ძალიან იშ-ვიათია. უფრო ხშირად გაზი სხვადასხვა ადგილას გამოდის ნელ-ნელა და შე-უშინველად მალაროს ჰაერში, იქ თანდათანობით იკრიფება მისი სიმსუბუქის გა-მო ჰაერის უფრო ზეგითა ფენებში, და თუ მალაროს განიავების საქმე ცუდადაა დაყენებული და ამის გამო სხვა ჰაერთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში არ გაიწოვება გარეთ, მისი რაოდენობა მალაროებში აღწევს იმ ფარგლებს, რომელ-საც ამაფეთქებელი თვისება აქვს. აფეთქების გამომწვევი უშუალო მიზეზია უმე-ტეს შემთხვევაში მალაროში შეტანილი ღია, დამცველი მოწყობილობით დაუფა-რავი ცეცხლი, როგორც მაგ. კრაქები, ანდა მალაროებში ჩვეულებრივ სახმარი ვოლფის ხელის სანათურები, თუ უკანასკნელთ არ აქვთ ასეთი შემთხვევისთვის დაწესებული დამცველი ბადეები.

ტყიბულის ძველ და ახალ მალაროებშიაც მეტანის არსებობა უდავოა. რო-გორც წარსულში, ისე ახლაც მალაროებში ადგილი ჰქონდა გაზის რამდენიმე მცირე აფეთქებას, რასაც შედეგად მუშების სხეულის სხვადასხვა ნაწილების (უმეტეს შემთხვევაში ხელების ან პირისახის) დაწვა მოჰყვა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამგვარად დაზიანდა აქ 5 მუშა.

მეტანის რაოდენობის ლაბორატორული განსაზღვრა ჩვენმა ექსპედიციამ ვერ ჩაატარა ამ მიზნისთვის საჭირო სპეციალური ხელ-საწყოს,—დრეიშიმდტის კაილარის—საზღვარგარეთიდან მიღების დაგვიანების გამო. დაახლოებითი გა-მოკვლევებით სპეციალურით, ეგრეთწოდებულ, ინდიკატორული სანათურებით, რომლითაც მალაროების აღმინისტრაცია ყოველდღე ყოველივე მუშაობის და-

წყების წინ აწარმოებს მეტანის განსაზღვრას, აქ მუდამ და თითქმის ყველა მა-
ლაროში აღინიშნება მეტანის არსებობა.

მტერიანობის გამოკვლევამ (10 განსაზღვრა), რომელიც ჩატარე-
ბული იყო ჰაერის გაწოვით პატარა ელექტრომორტორის საშუალებით მასრაში
ბამბიანი ფილტრით (სისტემაში გაწოვილი ჰაერის რაოდენობის განსაზღვრის-
თვის ჩართული იყო რეომეტრი), აღმოაჩინა, რომ ზამთარში ტყიბულის მალა-
როებში შედარებით ცოტა მტვერია და ამ მხრივ აქ მდგომარეობა უკეთესია,
ვიდრე დონის აუზის ქვა-ნახშირის მალაროებში, რაც შეიძლება მიეწეროს ტყი-
ბულის მალაროების დიდ დანესტიანებას.

დანარჩენი სამუშაოები ტყიბულის ქვა-ნახშირის რაიონში: ქვა-ნახშირის
გადაზიდვა, გადარჩევა, გარეცხვა, დატვირთვა ვაგონებზე და სხვ. წარმოებს
ღია ჰაერზე, და, მაშასადამე, მათ ახასიათებს სანიტარული მხრივ ყველა ღია
სამუშაოებისათვის ჩვეულებრივი მომენტები პლუს, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვა-
ნახშირის მტვრის გავლენა.

ზიათურის შავი ქვის მაღაროები.

შავი ქვის ამოღება დაწყებული 1879 წლიდან წლითი-წლად ვითარდებო-
და და 1913 წელს ამოღებამ მიაღწია მაქსიმუმს—60 მილიონ ფუთამდე წელი-
წადში. ერთ დროს აქ მუშაობაში ჩაბმული იყო ექვსი ათასზე მეტი მუშა. მსო-
ფლიო ომის დროს და მის შემდეგ მუშაობის სახომი აქ ძალიან შემცირდა. კონ-
ცესიონერმაც არ გააფართოვა სამუშაოები. მხოლოდ უკანასკნელ დროს დაარ-
სებულ შავი ქვის მრეწველობის ტრესტს განზრახული აქვს ხელახლა განავითა-
როს აქ მუშაობა ფართო სახომით.

ექსპედიციის მუშაობის დროს (1928 წ. იანვარ-თებერვლი) მუშაობა წარ-
მოებდა აქ მხოლოდ პერევისისა (ყოფ. კარუტოს მთავარ გვირაბში, ყოფილ სი-
მონოვის მალაროებში და თხილის წყალში) და რგანის უბანში (ყოფ. გელზენ-
კირხენის საზოგადოების მალაროებში).

კარუტოს მთავარ გვირაბში მუშაობდა მიწის ქვეშ 128 მუშა და 135 მუშა
ზედაპირზე, თხილის წყალში 174 მუშა მიწის ქვეშ და 45—ზედაპირზე. ყოფ-
სიმონოვის მალაროების (პერევისაში) ორ წყებაში (პირველ მალაროებში მხო-
ლოდ ერთი წყება მუშაობდა) მუშაობდა 210 მუშა მიწის ქვეშ და 12 ზედა-
პირზე. რგანშიაც მუშაობა ერთ წყებად ჰქონდათ და აქ დაბანდებული იყო 155
მუშა მიწის ქვეშ და 39—ზედაპირზე.

სულ მტვირთავ მუშებთან ერთად ჰიათურის რაიონში მომუშავეთა რიცხვი
არც კი აღწევდა ორ ათას კაცს.

მუშაობა მიწის ქვეშ აქაც ჰორიზონტალური მიმართულებით წარმოებს—
გვირაბებში და შტრეკებში, მხოლოდ კი მარტო ერთ ჰორიზონტში. გვირაბების
სიგრძე მაქსიმალურად აღწევს 1400 მეტრს. შავი ქვის ამოსაღებ თითო ადგილ-
ზე (სანგრევი, ლავა) მუშაობს ჯგუფი 8—16 კაცისაგან შემდგარი (4—8 მნგრე-
ველი, 3—6 მტვირთავი, 1—2 მეზიჯგე). სანგრევიდან გვირაბამდის ან ბრემს-
ბერგამდის შავი ქვის მოსაზიდად მიწის ქვეშვე სანგრევთან ახლოს მოთავსებუ-
ლი ჰყავთ თითო ცხენი. გვირაბიდან გარეთ და მიწის ზედაპირზე შავი ქვის
გადაზიდვა წარმოებს მექანიკური ძალის საშუალებით.

შავი ქვის ამონგრევა-ამოღება ყველგან წარმოებს ხელის იარაღებით — წერაქვისა და სხვ. საშუალებით. მხოლოდ ერთ ადგილას (ყოფ. სიმონოვის მაღაროები პერევისაში, გვირაბი № 7) მუშაობა წარმოებს მანქანების საშუალებით შეკუმშული ჰაერის ძალით, რაც შემოღებულია მხოლოდ უკანასკნელ დროს.

მიწის ქვეშ მომუშავენი მუშაობენ 7 საათს დღეში. სხვა სანიტარული მომენტები თითქმის იგივეა, რაც ტყიბულის მაღაროებში: იგივე სისველე და ტალახი, სიეწროვე და მცირე სიმაღლე მიმოსვლის გზებისა და სხვ.

ტემპერატურისა, სინესტისა და სხვ. ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორების გამოკვლევის საშუალო შედეგები მოყვანილია ცხრილ № 2-ში.

ცხრილის განხილვა გვიჩვენებს, რომ მაღაროების ტემპერატურა ზამთარში (39 განსაზღვრა) არ არის მაღალი და უდრის $12,2 - 18,2^{\circ}$ ც-ით, განსხვავება გარეთა ჰაერსა და მაღაროების ტემპერატურას შორის აღწევს $6,1^{\circ}$ -დან — $12,2^{\circ}$ -მდე. განსხვავება ჰაერის ქვეითა ფენებსა და 1.5 მ. სიმაღლის ტემპერატურას შორის უდრის $+0,4^{\circ}$ -დან $+3,4^{\circ}$ -მდე. როგორც ტყიბულში, აქაც გვირაბის ჰაერი უფრო ცივია (მაქსიმალურად $5,6^{\circ}$ -ით) ვიდრე სანგრევისა ან ლავისა.

ჰაერის შეფარდებითი სინესტე (39 განსაზღვრა ავგუსტის ფსიქრომეტრით) მაღაროებში აქაც ძალიან დიდია და ზამთარში აღწევს 90% — 100% . ეს ფაქტი უნდა აიხსნას აქ, როგორც ტყიბულშიაც, იმით, რომ ჯერ ერთი გარეშე ჰაერის სინესტეც აქ საკმარისად დიდია და, შემდეგ კიდევ, მაღაროებში ბევრ ადგილას ქერიდან და კედლებიდან წვეთს წყალი.

ჰაერის გამაგრებელი ძალა მშრალი კათათერმომეტრით (18 განსაზღვრა) აღმოჩნდა $6,1 - 8,2$ მილიკალორია.

ეფექტიური ტემპერატურა (18 განსაზღვრა) მაღაროებში უდრის $14,0^{\circ} - 15,8$, ე. ი. იმყოფება ვაგრილების სფეროში.

ჰაერის მოძრაობის სიჩქარე (23 განსაზღვრა) სანგრეებსა და ლავეებში აქაც სუსტი აღმოჩნდა ანემომეტრისთვის. მხოლოდ ვაგონეტკების მოძრაობასთან დაკავშირებით გვირაბში აღინიშნებოდა ცვალებადი მოძრაობა ჰაერისა $30-40$ მეტრის სისწრაფით წამში.

კათათერმომეტრითაც სანგრეებში და ლავეებში აღინიშნა ძალიან სუსტი სიჩქარის ჰაერის მოძრაობა ($0,076 - 0,16$ მეტრი წუთში ე. ი. $4,56 - 9,5$ მ. წამში).

ჰაერის მიწოდება მაღაროებში და უკანასკნელების განიავება წარმოებს მხოლოდ ჰაერის ბუნებრივი მიმოცვლის საშუალებით. არავითარი გამანიავებელი მოწყობილობა ჩვენი გამოკვლევების დროს მაღაროებში არ შეგვხვედრია. ბუნებრივი განიავების ეფექტი, რასაკვირველია, მეტად ცვალებადია და დამოკიდებულია გარეშე ჰაერის მეტერეოლოგიური პირობების ცვალებადობისაგან მაღაროების განიავების გარკვეული და დამუშავებული გეგმა აღმინისტრაციის არ აქვს.

ჰაერის სუსტი მოძრაობა და დიდი სინესტე სანგრეებში ალბათ წარმოადგენენ, მნგრეველის მძიმე ფიზიკურ ჯაფასთან ერთად, მთავარ მიზეზს იმ მოვ-

ზ ი ა თ უ რ ი ს

| № | გამოკვლევის დრო | გამოკვლევის ადგილი | მანძილი შუა-სავალიდან მეტრობით | ტემპერატურა ცელსის გრადუსობით |
|----|----------------------------------|---|--------------------------------|-------------------------------|
| 1 | 1928 წ. 23 იანვარი დილის 9 ს. | გარეთ | — | 6,1 |
| 2 | " | პერევისა-შუქრუთის სექცია (ყოფ. კარტო) მთავარი გვირაბი ლავა № 26 მარჯვენა კუთხე მიწასთან | 70 | 14,8 |
| 3 | " | 1,5 სიმაღლეზე | 70 | 17,8 |
| 4 | " | იქვე მარტხ. კუთხ. მიწასთან | 70 | 14,8 |
| 5 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 70 | 18,2 |
| 6 | " | იქვე ლავა № 21 მიწასთან | 50 | 14,4 |
| 7 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 50 | 14,8 |
| 8 | " | თვით გვირაბში 1,5 სიმაღლეზე | 40 | 12,2 |
| 9 | 25 იანვარი | გარეთ | — | 5,0 |
| 10 | " | ყ სიმონოვის მალარო (პერევისაში) გვირაბი № 7, შტრეკი № 15 მიწასთან | 30 | 13,4 |
| 11 | " | 1,5 მ. სიმაღლეზე | 30 | 14,4 |
| 12 | " | თხილის წყლის უბანი მეორე განყოფ., ლავა № 1 მიწასთან | 50 | 13,8 |
| 13 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 50 | 15,2 |
| 14 | " | თვით გვირაბში მიწასთან | 40 | 14,2 |
| 15 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 40 | 15,2 |
| 16 | 28 იანვარი | გარეთ | 40 | 4,2 |
| 17 | " | რგანის სექცია (ყოფ. გელზენკირხენი) კაპიტალური გვირაბი სანგრევი № 1 მიწასთან | 20 | 15,2 |
| 18 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 20 | 17,4 |
| 19 | " | იქვე სანგრევი № 2 მიწასთან | 20 | 14,2 |
| 20 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 20 | 15,4 |
| 21 | " | იქვე სანგრევი № 3 მიწასთან | 20 | 12,2 |
| 22 | " | იქვე 1,5 მ. სიმაღლეზე | 20 | 14,2 |

ცხრილი № 2.

შ ა ლ რ ო ე ბ ი.

| შეფარდებითი სინესტე %/%-ობით | მშრალ კათათერმომეტრ. ინდექსი მილიკალორიებში | ჰაერის მოძრაობის სიჩქარე მეტრობით წუთში | აკვივალენტეფექტიურ ტემპერ. ცელსის გრადუს. | CO ₂ %/%-ობით | O ₂ %/%-ობათ | მტრის რაოდენობა მგ. 1 კუბ. მეტრ. ჰაერში |
|---------------------------------|---|---|---|-----------------------------|----------------------------|---|
| 55 | — | — | — | — | — | — |
| 90 | — | — | — | — | — | — |
| 90 | 7,2 | 0,14 | 15,8 | 1,04 | 18,6 | 24,0 |
| — | — | — | — | — | — | — |
| — | 7,0 | 0,122 | 15,8 | 0,60 | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — |
| 95 | 7,1 | 0,106 | 14,6 | 0,63 | 18,2 | — |
| — | — | — | — | 0,15 | — | — |
| 70 | 15,6 | 0,563 | 0,0 | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — |
| 97 | 6,8 | 0,076 | 14,0 | 0,51 | 19,0 | — |
| 100 | — | — | — | — | — | — |
| 95 | 6,8 | 0,09 | 15,0 | 0,62 | 19,8 | 20,2 |
| 100 | — | — | — | — | — | — |
| 100 | 8,2 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — |
| 90 | — | — | — | 3,00 | — | — |
| 90 | 6,1 | 0,09 | 15,0 | 2,10 | 17,5 | 18,0 |
| 98 | — | — | — | — | — | — |
| 100 | 7,5 | 0,16 | 14,4 | 2,10 | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | 1,9 | — | — |

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X.

ლენისას, რომ მიუხედავად დამაკმაყოფილებელი თერმიული პირობებისა მალაროებში, მუშების თვით-შეგრძნობა აქაც, როგორც ტყიბულში, არ არის დამაკმაყოფილებელი.

სხვა ფიზიკური მომენტებიდან აქ კიდევ უნდა აღინიშნოს მალაროების სუსტი განათება. ყოფ. კარუტოს მალაროებში განათება ელექტრონისაა, მაგრამ მეტად უქმარისი. სანათურები ძალიან დაშორებულია ერთმანეთისაგან და თვით სანათურების სინათლე ძალიან სუსტია. ლუქსმეტრით გაზომვამ (20 განსაზღვრა) თვით სანათურებთანავე მოგვცა მხოლოდ 1—5 ლუქსი. რგანის კაპიტალური გვირაბი განათებული იყო ნავთის პატარა სანათურებით.

ჰაერის ქიმიურ შემადგენლობას მალაროებში ახასიათებს ნახშირმჟავას დიდი რაოდენობა სანგრეეებისა და ლაების ჰაერში. CO_2 აქ გაცილებით მეტია, ვიდრე ეს დასაშვებია როგორც სანიტარული ($0,1\%$), აგრეთვე კანონმდებლობითი ნორმებით. ამ მხრივ უფრო მძიმე პირობები აღმოჩნდა რგანის კაპიტალურ გვირაბში, სადაც შედარებით მოკლე მანძილზე შესავალიდან აღმოჩნდა CO_2 -ს უმეტესი რაოდენობა ($2,0$ — $3,0\%$).

თანგზადის რაოდენობაც ქიათურის შავიქვის მალაროებში საგრძნობლად შემცირებულია კანონმდებლობით დაწესებულ ნორმასთან (20%) შედარებით და უდრის $17,5$ — $19,0\%$. ამ მხრივაც უფრო მძიმე პირობები აღმოჩნდა რგანის კაპიტალურ გვირაბში, რადგან O_2 -ს რაოდენობა აქ უფრო მეტად არის შემცირებული ($17,5\%$).

მალაროების გამოკვლევასთან ერთად ქიათურაში გამოკვლეული იყო შრომის პირობები დამხმარე წარმოებებში: სარეცხ ქარხანაში და მექანიკურ სახელოსნოში, რომლებზედაც საჭიროა აქ შეეჩერდეთ მოკლედ.

ყველაზე დიდი სარეცხი ქარხანა (№ 24 ყოფ. კარუტოსი) მოთავსებულია დიდ სამ სართულიან ქვის შენობაში, რომელშიაც მოწყობილია ზევადან ქვეით განყოფილებები სარჩევი, დაზვებისა და დაზვის ქვეშა (подстаночный). შავი ქვის გასარეცხად, უბრალო ქანებისაგან განთავისუფლების მიზნით, იქ იხმარება ძალიან ბევრი წყალი, რომელიც იღვრება დაზვებიდან, გამოდის ქვრიტებიდან და ასველებს მუშებს, ქვედა სართულებში, განსაკუთრებით დაზვების ქვეშა განყოფილებაში. მუშების ხელები კი მაინც ხომ მუდმივ დასველებულია ციფი წყლით (წყლის ტემპერატურა აღმოჩნდა $+6^{\circ}\text{C}$). ნარეცხი, ქუჭკიანი წყალი გადმოდის და გროვდება ქარხნის წინ დიდ აუზში, სადაც ილექება და შეედევ გადის მდინარეში. ქარხნის შენობას არ აქვს არავითარი გასათბობი მოწყობილობა, თუმცა შენობაში აქა-იქ დარჩენილი რადიატორები და მილები, გვიჩვენებენ. რომ აქ წინეთ ყოფილა მოწყობილი ცენტრალური გათბობა. უნდა აღინიშნოთ კიდევ, რომ ქარხნის ბინა მოჩრდილულია დაზვებით, რის გამოც მუშაობა წარმოებს შერეულ შუქზე (ბუნებრივ და ხელოვნურ — ელექტრონის), ფანჯრებს ბევრ ადგილას არ აქვთ მინები, რომლების მაგიერ გაკეთებულია ფიცრის ნაჭრები. ჰაერის ტემპერატურა ქარხანაში უდრიდა $5,4$ — $7,8^{\circ}\text{C}$, იმავე დროს კი გარეშე ტემპერატურა იყო $1,4$ — $2,8^{\circ}$ -ით უფრო მეტი. შეფარდებითი სინესტე უდრიდა 85 — 90% , ჰაერის გამაცივებელი ძალა მშრალი კათათერმო-მეტრით იყო $9,0$ მილიკალიორია, ეფექტიური ტემპერატურა $6,0$ — $7,7^{\circ}\text{C}$.

როგორც აქედან ჩანს, შრომის პირობები სარეცხ ქარხანაში წარმოადგენენ მუშების სხეულის გაცივებისთვის ხელშემწყობ პირობებს აქ ხმარებული ცივი წყლისა და ბინის მოუწყობლობის გამო.

რაც შეეხება მექანიკურ სახელოსნოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის გააშენა კონცესიონერმა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილის ცალკ-ცალკე დამზადებული რკინის ნაჭრებიდან. ჭიათურაში სახელოსნოს აგების დროს ეს ნაჭრები მხოლოდ შეკრული იყო ერთმანეთთან. ამგვარად ამ საკმარისად დიდ შენობას (34 მ. სიგრძე და 18 მ. სიგანე, იატაკის მოედანი 612 კვ. მეტრი), რომელშიაც ზეშაობს 46 კაცი, აქვს მხოლოდ რკინის ფურცლებისაგან ამოყვანილი კედლები და სახურავი, რომლებიც შიგნიდან არ არიან დაფარული არაერთიანი საიზოლაციო მასალით.

მუშაობის პირობები ამგვარად „ამერიკული“ სისწრაფით და „ამერიკულ“ ყაიდაზე „სტანდარდული“ ნაჭრებისაგან მოწყობილ შენობაში მეტად მძიმე აღმოჩნდა, მეტადრე ზაფხულში. მზისგან გავარვარებული რკინის კედლები და სახურავი ძალიან ახურებდნენ სახელოსნოს ჰაერს (ცნობების თანახმად ზაფხულში აქ სიცხე აღწევდა 35°-მდე), რის გამოც აქ მუშაობისათვის პირდაპირ აუტანელი მდგომარეობაა. ჩვენ გამოკვლევების დროს ზამთარში, როდესაც გარეშე ჰაერის ტემპერატურა იყო 9,9° ც. და შეფარდებითი სინესტე 55%, სახელოსნოში მივიღეთ ჰაერის ტემპერატურა 10,4° — 12,8° ც., შეფარდებითი სინესტე 60 — 70%, მშრალი კათათერმომეტრის გამაცივებელი ძალა 8,2 — 8,6 მილიკალორია, ეფექტიური ტემპერატურა 11,0 — 12,5° ც. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, ეს რკინის შენობა ზამთარში სულაც ვერ იცავს შიგ მომუშავეებს გარეშე ჰაერის გამაცივებელი გავლენისაგან და, მაშასადამე, ზამთარშიაც აქ მუშაობისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი პირობები.

ამავე გამოკვლევის დროს შეკრეფილი მასალები ქვა-ნახშირისა და შავი-ქვის მალაროებში მომუშავეთა ყოფა ცხოვრებისა (საზრდობა, ბინა) და დაავადება-დაზიანების შესახებ მოყვანილი იქნება შემდეგ წერილებში.

მ. თოფუშია.

ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში.

II

ზგაერთ მოვლენათა თანამიმდევრობა ¹.

ეს წერილი წარმოადგენს ამავე სათაურით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო „მომომხილველ“ის №1¹ში დაბეჭდილი სტატიის გაგრძელებას და უმთავრესად გულისხმობს შედარებითი გზით აღდგენას სიტყვის ძირისას ისე, როგორც ეს თავის დროზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჟამთა ვითარებაში სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენის შეგვარდინების წყალობით სახე უცვლია. ჩვენი მიზანია სწორედ ამ ბგერით მოვლენათა გამოცნობა. ჯერ დავიწყოთ მარტივით.

I

ასიმილაცია.

ასიმილაცია, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, საკმაოდ გავრცელებული ბგერითი მოვლენაა: იგი გვხვდება როგორც ცალკე სიტყვებში, ისე ფუძისა და პრეფერბ-თანდებულთა თავ-და ბოლო-კიდურ თანხმოდან-ხმოდანთა შორის. დიალექტებში ამის მაგალითი ურიცხვია, სალიტერატურო ენა კი ცდილობს ასიმილაციას მოერიდოს, მიუხედავად ამისა მისი გამოვლენის არა ერთი და ორი შემთხვევა მოგვეპოვება ახალქართულთან ერთად ძველშიაც: აქცაე (← გცა: იოან. 4.10, აღიშ.), ააა მოსე მოქცა თქნ (იოან. 7.19, აღიშ.), ატრტვნეიდესე (ლუკ. 5.30, აღიშ.), შდ. ადრტვნეიდესე: ლუკ. 19.7, აღიშ.), აელაღატყაე (TP, IX, § 29, a, 12) და სხვადასხვა. სენურში ² კი ქართულთან შედარებით ასიმილაცია მაინცდამაინც გავრცელებული არ არის. მისი მიღების წესიც ჩვეულებრივია, ამიტომ მათზე შეჩერება აქ არც-კი ღირდა, რომ სა ნ დ ჰ ი ს ო რ ი ო დ ე მაგალითის ყურადღება არ მიექცია. ჩვენ ვლაპარაკობთ წინა სიტყვის ბოლოკიდურ და მომდევნო

¹) I და III თავი წაკითხული იყო მოხსენების სახით ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1926 წლის 26 ოქტომბერს.

²) შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი: ბზ. = ბალსემოური, ბჟვ. = ბალსკემოური, ბეჩ. = ბეზოური, ეცრ. = ეცურული, ლშა. = ლაშხური, ლნტ. = ლენტეხური.

სიტყვის თავიკიდურ ბგერათა დანსგავსების შესახებ, სახელდობრ: ბზ. აღწრ-ბეთ ლჷარაჲ → ლშზ. ჯღერბეთხვარაჲ (არს. ონიანი სიტქსტები, 33³³⁻⁴, 'ღმერთმანი'). რომ აღწრბეთ ლჷარაჲჲ პირველადი, ამას ამტკიცებს ბალსხემოური და იგივე ლაშხური, სადაც იხმარება ადელმ ლირდჲ ღვარაჲ (ib., 33⁷, 'დედის სიკოცხლემ'). ეგვევ გვეთქმის ბზ. აჲჩშელდჲ 'იმოდენა, იმდენი', ბზ. აჲჩხზნჲ, ბქჲ. აჲჩხენჲ 'იქიდან' კომპოზიტთა შესახებ. ესენი წარმოდგენ: აჲჯ + შელდჲ და აჲჯ + ხზნ||ხენჲ სიტყვათაგან. პრევერბის თანხმოვანიც რომ იმსგავსებს ფუძის ანლაუტს, ამის ნიმუშად გამოდგება ე(ჲრ. აესხრიჲ და ლნტ. აასხრიჲ 'მიდის' მაკალითი, რომელიც შეიცავს ეს-||ას- პრევერბსა და აღჯრიჲ — აწმყოს ფუძეს (ზმნას). ანალოგიური შემთხვევები არცთუ მცირეა, მაგრამ ჩვენ ამით დაეკმაყოფილებით და ქვევით შევეხებით ასიმილაციას სხვა ბგერით მოვლენასთან დაკავშირებით.

ბ. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ.

ამისათვის მაგალითი აბლარტიჲ და აბლერტიჲ ლიტერატურაში უკვე ცნობილია. სამწერლობო ენის აბარტიჲ და აბერტიჲ სიტყვებმა ჯერ მეტათესი განიცადეს და მოგვეცეს: ა* ბყარტიჲ და ა* ბყერტიჲ, შემდეგ მკლერმა ბ'მ ყ აქცია ღდ. ღ'სა და ყ'ს შენაცვლების სხვა შემთხვევაც დადასტურებულია ნწერლობაში: ააწყაჲ (ვისრამიანი, გვ. 131¹¹) ← აწ-ლა'ს შეერთებით. ამდენად აბლარტიჲ და აბლერტიჲში ორი ბგერითი მოვლენა — ჯერ მეტათესი და მერე ასიმილაცია — გვევლინება¹. ასევე გაშუქებულია დიალექტური აჲვანტყოფის წარმოშობა. ეს სიტყვა პირვანდელი აჲვათმყოფისაგან ჯერ მეტათესით (აჲვამყოფა), შემდეგ ასიმილაციითა (აჲვამტყოფი) და უკანასკნელ სუბსტიტუციით (აჲვანტყოფი) არის მიღებული. აქ, მაშასადამე, სამი ფონეტიკური მოვლენა (მეტათესი + ასიმილაცია + სუბსტიტუცია) იყრის თავს²... რა თქმა უნდა, მსგავსი მაგალითებით დიალექტოლოგიური მასალები ძალიან მდიდარია³. მათი აქ მოტანა შორს წაგვიყვანს, ამიტომ უპჯობესია ჯერ გამოურკვეველი და ძნელად გამოსააშკარავებელი ქართული სიტყვები ავიღოთ.

ბ. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ.

სვანურში ამის მაგალითებია:

1. ბზ. ალიშტკენჲ 'რქობა, სობა'. აქედან: ახაშტკენჲ 'არქობს', მაგრამ აორისტში თუ გადავიტანთ, მაშინ ძირისეული ტ სხვა სახით წარმოკვიდგება: აათშდკენჲ 'დაასო', აათშდკენი 'დაასობს'. ცხადია, ახაშტკენჲ 'ასობს' და

¹) არნოლდ ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: „არილი“, გვ. 71.

²) ibid.

³) განსაუთრებით ინგოლოური, სადაც გვხვდება: ნუგზი ზირამ (182²² ← ნიგვზი ზირამ), ოქს (193⁷ ← ექვს), ბოწ (187⁵ ← ბეწვ) და სხვა მრავალი. ამ შემთხვევებში ჯერ მეტათესი უნდა ვივარაუდოთ და შემდეგ სუბსტიტუცია, რადგანაც ინგილოურში ჷე → ო და ჷი → ქ (თქონ, წრ... მიქურს, შუღობით...). აგრეთვე: ნოხოთ (189¹⁵ ← ენახოთ), დამიხტო (185²² ← დამიხტდა: → დამიხტვა → დამიხტო → დამიხტო) და სხვა (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძველი საქართველო, ტ. II, ტფ. 1913, განყ. IV, ტექსტები: გვ. 181—211).

მსგავს შემთხვევებში რედუქცია-ასიმილაციასთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, ჯერ რედუქციაა (*ლი-შდკენე → ლი-შდკენე) და შემდეგ ასიმილაცია (ალი-შტკენე) ერთვის მას. სწორედ ასეთივე განმარტებით მოგვეყავს

2. ბზ. ალიშტკენე 'სლოკინი', აშშტკენე 'მასლოკინებს', მაგრამ აშშ-შდჰკენე 'დამასლოკინა', აშშდჰკენე 'დამასლოკინებს' და სხ. აქედან ჩანს დს ტ'დ ქტევის მიზეზი: *ლი-შდჰკენე → ლიშდკენე → ლიშტკენე. ეცერულში რედუქცია-ასიმილაციის თანამიმდევრობა დატულია, მაგრამ შეცვლილ ფორმაში: ალიშტკჰელე (შდ. ლშხ. ალიშტკენე), აიშტკჰელე 'სლოკინებს' (ლშხ. ახაშტკუ-ნალჰნე 'ასლოკინებს'), აორისტში კი ანდშდჰკჰალე 'დაისლოკინა' და სხ.

3. ნამყოში ხმარებული ბზ. აათსსტკენე 'ეწყინა' (აეთსსსტკენე: *Cf. mat.*, X, 186₂₇ 'ეწყინა', აათსსსტკენე: *ib.*, 164₃₂ 'ეწყინათ', ლშხ. აათსს-სტკენე, ეცრ. აათსსსტკენე) რომ ზემოთხსენებულ მაგალითებს უერთდება, ამას ააშკარავენ მისი აწმყოს ფორმა: ახსდიკ 'სწყინს' (ათესსსდიკ, ათსსსდიკ, ად-სსსდიკ sic: *Cf. mat.*, XVIII, 107₁, 22-3 'ვიწყინე'... ეცრ. ალისდიკელ 'წყენა') და სხვა.

თუ დასახელებულ შემთხვევებში ძირისეული -დ- ხმოვნის შეკუმშვის გამო დამეზობლებულ ძირისეულსავე -კ-ს დაემსგავსა, შეგვიძლია განოვნახოთ ისეთი მაგალითებიც, სადაც იგივე -დ- იმავე გარემოებაში სხვა თანხმოვანს როგორ ეერთფეროვნება.

4. ბზ., ეცრ. აშთქე (ლაშხ. ააშთქე: ტექსტ. '68₁₉ 'მაკე'), ბზ. ალინშთქე 'მაკება' ზმნის ფორმაში რომ მოვაქციოთ, დაეინახავთ შემდეგს: ეცრ. ანშდჰკელ 'მაკობს', ბზ. ადღნშდჰქე 'დაამაკა', ეცრ. ალინშდჰქე 'მაკება' და სხვა. ჩანს: ძირში -თ- მიღებული არის -დ-საგან ქს ზეგავლენით და ისიც რედუქციის შემდეგ.

5. ეცრ. ანშთქე 'ნამგალი' ნასიმილაციევია, მის ნაცვლად სხვა დიალექტში გვხვდება: ბზ. ანაშდჰქე, ბერ. ანაშდჰქე, ლაშხ. ანაშდჰქე და ლნტ. ანაშტჰქე. ანაშთქეში ხმოვნის შეკუმშვასა და ასიმილაციასთან გვაქვს საქმე. საჭიროა ხსენებულ სიტყვებში რედუქციას დაურჩეს ადგილი, რომ მყის ასიმილაცია მისი თანამხლები გახდეს, მაგ.: ბზ., ბერ. ანაშთქარ, ლაშხ. ანაშთქარ. ანალოგიური მოვლენები ხასიათდება: ბზ. ლაშდჰქე (← შდიქ 'კბილი', ლაშდჰქე 'კბილიანი = ფოცხი'), ალაშდჰქე 'საკბილე', ალაშდჰქე 'კბილა, ერთი ხნისა, ტოლი', აფინდიხე 'ტყვია' და სხვა. მრ. რიცხვში იქნება: ალაშთქარ, ლაშთქარ... აფინთხიზე (*genet.*) და სხ.

რა თქმა უნდა, რედუქციის შემდეგ ასიმილაციას სხვა თანხმოვანთა შორისაც ურჩება ადგილი. საილუსტრაციოდ ორიოდ მაგალითით დავკმაყოფილებთ: ბზ. ასაჩიქარ, ლაშხ. ასაჩიქარ 'საჩივარ' სიტყვისაგან მასდარი ალიშჩიქარ (ლაშხ. ალიშჩივარი: 46₃₁) და ზმნა ახუიშჩიქარ, ახიშჩიქარ, აიშჩიქარ 'ვუჩივი, ვივლობ'... ისე მიიღება, როგორც ბზ., ეცრ. ასაჩქარ 'საჩქარისაგან ბზ. ალი-შჩქარე, ეცრ. ალიშჩქარე 'ჩქება', ბზ. ახუაშჩქარე 'ვაჩქებ', ლაშხ. აქა ხა-შჩქარე (66₂₂) 'აჩქა' და სხვა ასეთები გვაქვს. ასევეა წარმოდგარი ეცრ. ახაშხა

¹⁾ სვანურს მაგალითებში ხმარებული უ ასო წველიზაგისმიერ ვ ბგერას გადმოგვეყვს. უ = ლაშხ. ტექსტებში გამოყენებულ კ'სა და პროფ. აკ. შანიძისა და ჩვენს წერილებში ნახ-მარ ტ'ს.

(წახება), ლშხ. ახაშხაე (ტექსტ. 1.) ახაებაააგან, ხოლო უკანასკნელი — ლნტ. ახაებაააგან 'ჰქია' (შდ. ეახე, ქართ. ძახ-ილი, ქან. ჯოხო) და სხვადასხვა. ამ წერილში მაგალათების ამოწურვა არ დაგვისახავს მიზნად. ჩვენი ყურადღება მიექცა მხოლოდ ზოგიერთთ, მათი მიბაძვით სხვათა გამოკვეცვაც არ არის შეუძლებელი, როგორც მაგ.: ბზ., ეცრ. ახატკლებე 'ენანება' — ლნტ. ახადაკლებე, და სხვა. აკ ამათი გამოჩინება იყო ძნელი, რადგანაც სხვადასხვა კომბინაციებში პირვანდელი სახე ყოველთვის აღგვიდგებოდა... ამას ვერ ვიტყვით იმ მაგალითების შესახებ ქართულიდან, როპელიც ჩვენ ხელთა გვაქვს. მათი ძირის მოსახნად საჭიროა მედიო-პასივი ზმნების შესწავლა.

II 1

სენურში II უღლილებისად² მიჩნეული ზმნები აქტივისა და მედიო-პასივის ფორმებს ერთურთისაგან ფუძის დრეკადობით ასხვავებენ: პირველს - იახასიათბს ფუძეში, ხოლო მეორეს - ე-. მართალია, აწმყოსეულ დროებში ფუძედრეკადი, იგივე II უღლილების, ზმნები გართულებულნი არიან სხვადასხვა სუფიქსით, მაგრამ დროთა II გჯუფში, განსაკუთრებით კი აორისტში, მათ შორის სხვაობა მხოლოდ -ე-სა და -ის ხმარებაში გამოიხატება; სხვა მხრით კი სრული იდენტობაა. თქმულის დადასტურება სათანადო მაგალითებითაც შეიძლება. ნიმუშებს ბალსზემოური დიალექტიდან მოვიტანთ:

| ა წ მ ყ ო ს ჯ გ უ ფ ი: | | ნ ა მ ყ ო ს ჯ გ უ ფ ი: | |
|------------------------|------------------------|------------------------|------------------|
| ა. აქტივი | მედ.-პასივი | აქტივი | მედ.-პასივი |
| 1 ტუიხ-ე ვაბრუნებ | ტუებ-ნი ვბრუნდები | ო-ტებ დავაბრუნე | შ ტუებ დავბრუნდი |
| 2 ტიხ-ე | ტებ-ნი | ა-ტებ | ა-ტებ |
| 3 ტიხ-ე | ტებ-ნი | ა-ტიხ | ა-ტახ |
| 1 ტუიხ-ას ვაბრუნებდი | ტუებ-ენდას ვბრუნდებოდი | ო-ტებ-ა/ე დავაბრუნო | ო-ტებ დავბრუნდე |
| 2 ტიხ-ას | ტებ-ენდას | ა-ტებ-ა/ე | ა-ტებ |
| 3 ტიხ-ა | ტებ-ენდა | ა-ტებ-ას/ეს | ა-ტებ-ს |
| 1 ტუიხ-ენლ ვაბრუნებდე | ტუებ-ენდლ ვბრუნდებოდე | | |
| 2 ტიხ-ენლ | ტებ-ენდლ | | |
| 3 ტიხ-ენლს | ტებ-ენდლს ³ | | |

¹) ეს თავი ცალკე მოხსენებად იყო წაკითხული ქართული სენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1828 წ. 27 მარტს.

²) ზმნების უღლილებებად დაყოფა როგორც ქართულში, ისე სენურში პროფ. აკ. შანიძის ვკუთნის (ქართული ზნის საკვები: „ტფ. უნივ. მოამბე“, VII, გვ. 316 და შემდ. და უმლაუტი სენურში: „არილი“. — პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 191, § 11).

³) ზოგი გამოყოფილ სუფიქსთაგანი, რა თქმა უნდა, იშლება, მაგრამ მისი შედგენილობა ამჟამად არ გვაინტერესებს. აქ შთავარი ყურადღება ექცევა ეველა დროში განმეორებულ ტიხ- / ტებ- ფუძეს.

აწმყოს ჯგუფში წარმოდგენილ ტიხ-/ტეხ-ში -ი- აქტივისა და -ე- მე- დიო-პასივისა აშკარად ჩანს, გამოსარკვევია ნამყოს ჯგუფის ამავე ფუძეში -გ-სა და -ჰ-ს გამოვლენა და აორისტის პირველს ორს პირში -ე-ს უგულვებლყოფა. საფი- ქრებელია, რომ აქტივის -გ- იმავე -ი-ს სუბსტიტუციით იყოს მიღებული, ხო- ლო III პ. მედიო-პასივ ფორმაში -ჰ- თეორიულად მოსალოდნელ -ე-ს აბლაუტს უნდა წარმოადგენდეს, რომლის (ე. ი. -ე-ს) რედუქციით დაკარგვამ პირველსა და მეორე პირში პრევერბისეული ა- გააუმლაუტა. თქმულის თანახმად აღდგე- ნილი სახე ამ ზმნისა აორისტში ასე წარმოგვიდგება:

1 *ა-ჰტებ → ო-ტებ. სუბიექტური პრეფიქსი -ჰ- იმსგავსებს წინდებულის ა-ს და იძლევა ო-ს.

2 *ა-ტებ

3 *ა-ტებ → ატებ. ალბათ სუფიქსის მოკვეციის გამო -ე- → -ჰ-¹.

მართლაც, თეორიულად დაშვებული ფორმა სვანურის სხვადასხვა დიალექტში ნამდვილად გვხვდება, სახელდობრ:

| ბეროურში | ვეურულში | ლაშურში | ლენტეხურში |
|----------|----------|---------|------------|
| 1 ო-ტებ | ო-ტებ | ო-ტებ | ა-ტჷებ |
| 2 ა-ტებ | ა-ტებ | ა-ტებ | ა-ტებ |
| 3 ა-ტახ | ა-ტახ | ა-ტახ | ა-ტახ |

რაც შეეხება ნამყოსეულ კონიუნქტივის, იქ ფუძეში -ე- მოგვეპოვება, მაგ- რამ კონიუნქტივის მაწარმოებელი -ე ნიშანი ბალსზემოურში არა ჩანს, -ს ფორმა- ნტი კი მხ. რ. III პ. მიგვითითებს. თუ სხვა დიალექტებს მივმართავთ, დავი- ნახავთ, რომ ნამყოსეული კონიუნქტივის მაწარმოებელი -ე არის, მაგ.:

| ბეროურში | ვეურ.-ლაშურში შდ. | ბალსზემ. |
|---------------------|-------------------|-------------------------|
| ონ-ტჷებ-ე მოვბრუნდე | ო-ტებ-ე დავბრუნდე | ო-ტებ |
| ან-ტებ-ე | ა-ტებ-ე | ა-ტებ |
| ან-ტებ-ე-ს | ა-ტებ-ე-ს | ა-ტებ-ს (უმლ., გვ. 193) |

-ე სუფიქსი ბალსზემოურში მოკვეცილად უნდა ვიგულოთ, როგორც ეს მას სხვა შემთხვევაშიც სჩვევია.

ზემოთ წამოყენებული დებულების განმტკიცება (რომ აქტივისათვის -ი- და მედიო-პასივისათვის -ე- გვევლინება) შეიძლება დროთა III ჯგუფის მი- ხედვითაც:

| ბალსზემოური | | ვეურული | |
|-------------|------------|---------|------------------|
| მიტნხა | მიბრუნებია | ამტება | დაჰბრუნებია |
| ჯიტნხა | | მიტნხა | ამტება |
| ხოტნხა | | ჯიტნხა | აჯჷება აატება |
| | | ხოტნხა | ახტება |

¹) ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში („ტფ. უნივ. მო- აზბე“, VII, გვ. 310).

| | | | |
|--------|-----------|---------|---------------|
| | ლენტეხური | | ლაზხური |
| მიტიხა | ამატეხა | მიტრხა | ამტეხა |
| ჯიტიხა | აჯატეხა | ჯიტირხა | აჯტეხა აჯტეხა |
| ხოტიხა | ახატეხა | ხოტირხა | ახტეხა |

მდგომარეობა არც ნაზნარ სახელებში იცვლება. საჭიროა მაგალითები ერთმანეთს დაეუპირისპიროთ, რომ ამაში დაერწმუნდეთ:

- a. მასდარი: აქტივი მიდიო-პასივი
 ლი-ტხ-ე (← *ლი-ტიხ-ე) დაბრუნება ლი-ტხე возвратиться
 b. მიმღეობა: ლგ-ტრხ (ლშხ.) დაბრუნებული (= რო- მე-ტხ-ე (← მე-ტხე-ე
 მელიც დააბრუნეს) — ეს უკანასკნელი
 ფორმა იხმარება ლენტეხურში) დაბრუნებული (= რომელიც დაბრუნდა) ¹
 ნატხუ ნაბრუნები ნატხუ (*ნა-ტიხ-უ)
 ნაბრუნები ² და სხვ.

ამგვარი ზმნები არცთუ მცირეა. უმრავლესობას ორივე ფორმის მოცემა შეუძლია, როგ. მაგ.:

| | | | |
|---------------|----------------------|---------------|------------------|
| ლი-დგ-ე | ლი-დეგ ქრობა აქედან: | დიგ-ე აქრობს: | დეგ-ნი ქრება |
| ლი-კუშ-ე ტეხა | ლი-კუშე ტყდომა | კუში-ე ტეხს: | კუშე-ნი ტყდება |
| ლი-თუფ-ე | ლი-თუფე დაკარგვა... | თუიფ-ე კარ- | თუიფ-ნი იკარ- |
| | | გავს | გება, ქრება |
| ლი-გბ-ე | ლი-გებ დასვრა | გბ-ე სვრის: | გებ-ნი ისვრება |
| ლი-ფშგ-ე | ლი-ფეშგ გახსნა | ფეშგ-ე ხსნის: | ფეშგ-ნი იხსნება |
| ლი-ნეკუ-ე | ლი-ნეკუ მოხრა, ლუნვა | | და სხვა მრავალი. |

ზოგი კი მხოლოდ მიდიო-პასივის ფორმით კმაყოფილდება და აქტივს არ ავითარებს ³, მაგ.:

| | | |
|--------------------------|---------|--|
| ლი-პეე მალვა | აქედან: | ხეპეენი ემალება |
| ლი-სედ დარჩენა | | სედნი რჩება... მაგრამ არ არის წარმოებული: |
| ლი-კუედ ნდომა | | *პიე-ე, *სიდ-ე და სხვა მსგავსი აქტივი ფორმა. |
| ლი-ეცხ ლეიძება, და სხვა. | | |

მოტანილი მაგალითებიდან აშკარა უნდა იყოს -ი-სა და -ე-ს ფუნქცია: პირველის ფუნქცია ჩართვით ზნა აქტივი ხდება, ხოლო -ე-ს გამოვლენით იგი მედიო-პასივის ფორმას ინიჭებს. რაც შეეხება აწმყოში მოცემულ -ე და -ენი (ზემო-სვან: და ლაშხურში -ენი ი → -ენი⁴) სუფიქსებს, ესენი თემატური არიან და, ცხადია, ამით აიხსნება დროთა II და III ჯგუფში მათი უგულებელყოფა.

¹) აკაკი შანიძე, უმაღლესი სფანურში, გვ. 196.

²) ib., გვ. 202.

³) ib., გვ. 196, შენიშ. 1.

⁴) რომ -ენი (სედ-ენი და სხვებში) რედუქციის გზით არის მიღებული -ენი სუფიქსისაგან, ამას ამტკიცებს ერთის მხრით ისეთი ფორმა ზნისა, სადაც ბოლოსართებთან დაკავშირებით რედუქციას არა აქვს ადგილი, მაგ.: ბზ. ახედ-ენი «'ჩრება'», ასედ-ენ-დსა, ეცრ. ასედ-ენი «'რჩებალი'» და მეორის მხრით რედუქცია განუვითარებელი ლენტეხური დიალექტი: ასედ-ენი «'რჩება'», ადეგ-ენი «'ქრება'»...

რომელი უღლილები ზმნებია ქართულში ამათი შესატყვისი?

სვანურ II უღლილების ზმნებს, როგორც ეს სპეციალ ლიტერატურაშია აღნიშნული¹, კონსტრუქციითა და მორფოლოგიური აღნაგობით ქართულში III უღლილების ზმნები შეეფარდება, ასეთებია, მაგ.: ჟ დნები, დნები, დნები-ს||დნე-ბა; ვ-თბები, თბები, თბები-ს||თბება, ვ წვები, ვ-დგები, ვ-ცთები, ვ-ხმები და სხვა.

კონსტრუქციით საერთო მათ შორის ის არის, რომ ორსავე ენაში მედიო-პასივ ფორმებს დროთა ყველა ჯგუფში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში მოეპოვება: აეჯა დეგნიე 'იგი ქრება': აეჯა ადგაე 'იგი გაქრა'... და თუ მათგან რეალური ფორმა ვაწარმოვეთ, მაშინაც სვანური კონსტრუქცია ქართულსაგან განსხვავებული არ არის: აეჯა (სახ.) ხოდგენი ეჩახე (მიც.) = იგი უქრება მახ', აეჯა ოთღგ ეჩახე = 'იგი გაუქრა მახ'...

მორფოლოგიური შედგენილობის მხრივაც ისინი ერთმანეთს ფარავენ: 1. სვანური ზმნების მედიო-პასივ ფორმებში გამოყენებული -ენ-ი სუფიქსი ქართულში -ებ-ი ბოლოსართით წარმოვიღებთ: ლნტ. ადგე-ენ-ი = ქრ-ებ-ი-ს, 2. ორივე — სვანური -ენ-ი და ქართ. -ებ-ი — ერთი ფუნქციითაა აღქურვილი: იხმარება აწმყოს ჯგუფის მედიო-პასივ ზმნებში: ადგ-ა-ს: 'დგ-ებ-ი-ს, წვე-ს: წვებ-ი ს, ა-ქრ-ობ-ს: ქრ-ებ-ი-ს-ე; ადგ-ეე 'აქრობს': ადგ-ენ-იე 'ქრების'... 3. ორივე თემატურია და ამიტომ II და III ჯგუფის დროებში არ გვევლინება: ადგ-ენ-იე: 'ქრ-ებ-ი-ს', მაგრამ: აა-დგაე: 'გა-ქრ-ა', ახო-დნგ-აე 'უ-ქრ-ი-ა', და სხვა.

აგრეთვე კონინქტივ II-ის წარმოება ორსავე ენაში -ე სუფიქსის მეშვეობით ხდება: ეცრ. აა-დეგ-ე-სე — 'გა-ქრ-ე-ს' ².

ამნაირად, დაპირისპირებით გამოირკვა სვან. II უღლ. და ქართ. III უღლილებისად მიჩნეულ ზმნათა ერთგვარობა: მათ კონსტრუქციის გარდა მორფოლოგიური მსგავსებაც აღმოაჩნდათ. ამით ჩვენი დახასიათება დამთავრებულად ჩაითვლებოდა, რომ ერთს ფრიად საინტერესო გარემოებას ყურადღება არ მიექცია: სვანურ მედიო-პასივებში ყოველთვის -ე- გვაქვს, რომლის მაგვარი ქართულში ერთის შეხედვით არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართ. III უღლ. ზმნათა ყველა ფორმა რომ გავითვალისწინოთ, დავინახავთ, რომ ძირში თითქმის მუდამ -ე- გვხვდება. ზმნის ძირი კი ჩვეულებრივ აორისტის I და II პირშია წარმოდგენილი. დავცათ ხსენებულ დროში:

ვ-დგ-ებ-ი, ს-დგ-ები

ვ-წვ-ებ-ი, წვ-ებ-ი

ვ-ძვრ-ებ-ი, ძვრ-ებ-ი

ვ ძღ-ებ-ი, ძღ-ებ-ი

ვ-წყრ-ებ-ი, ს-წყრ-ებ ი

ვ-დეგ (TP, III, 33₁₆), აღ-დეგ (ძვ. სას. პ., 10₃₈), ახალს-ქრთულში: ა-ვ-დექ'ი', ა-დექ'ი'.

და-ვ-წვე, და-წვე, ახალს-ქართულში ადექ'ის ანალოგიით გვაქვს დავწექი, დაწექი (პროფ. გ. ახვლედიანი, ყრუ mediae ქართულში: „განათლება“, № 4—5, 1920, გვ. 9).

გა-ვ-ძვერ-ი, გა-ძვერ-ი (ძვ.-ქ.: ვ-ძვერ, ს-ძვერ)

გა-ვ ძელ (გა-ვ-ძეხ-ი, გა-ძეხ-ი)

გა-ვ-წყერ-ი, გა ს წყერ-ი

¹) ზმლაული სვან., გვ. 195, 268.

²) დაწვრილებით „სვანურ გრამატიკა“ში.

- ვ-ყვ-ებ ი, ჰ-ყვ-ებ-ი (ამბავს) მო-ვ-ჰ ყვე-ი, მო-ჰ-ყვე-ი
 ვ-თერ-ებ-ი, თერ-ებ-ი და-ვ-თვერ-ი, და-თვერ-ი
 ამათ შეიძლება დაეუმატოთ ისეთი ზმნებიც, რომელთა ძირს, ვფიქრობთ,
 * ელ ფორმანტი გამოეყოფა:
 ვ-ჯღ-ებ-ი, ჯღ-ებ-ი და-ვ-ჯღ-ი, და-ჯღ-ი (← და-ვ-ჯექ-ი, და-
 ჯექ-ი: იხ. ყრუ mediae, გვ. 9)
 ვ-სხდ-ებ-ი-თ, სხდ-ებ-ი-თ და-ვ-სხდ-ი-თ, და-სხდ-ი-თ და, სხვა¹.
 არის რიგი ზმნებისა, რომელთაც დროთა I ჯგ. -ებ-ი ელემენტები გააჩ-
 ნიათ, მაგრამ ზემოთქმულს, ძირში რომ -ე- ბგერა იყოს, არ ამართლებს, ასე-
 თებია, მაგ.: ავ-ცხრ-ებ ი, ვ-კვდ-ებ-ი, ვ-შერ-ებ-ი, ვ-ცთ-ებ-ი, ვ-ქრ-ებ-ი, ვ-ხდ-
 ებ-ი და სხვა. ესენი აორისტის I და II ჰ., როგორც შევნიშნეთ, -ე-ს არ აღი-
 დგენენ: ადა-ვ-ცხრ-ი, მო-ვ-კვდ-ი, შე-ვ ცთ ი, შე-ვ-ქრ-ი, გა-ვ-ხდ-ი და სხვა.
 ავ-შერ-ებ-იე კი აორისტში სხვა ძირით გვევლინება. აქ ჩენი წესი თითქოს ირ-
 ლევეა, მაგრამ თუ ახალი-ქართულის ფარგლებს გავსკლდებთ და ძველს თხზუ-
 ლებებში ამ მაგალითებს მიმოვძებნით, იქ აღმოვაჩინებ:
 შერ-ებ-ი (რამსა თვს შოვრები: ი ე ბოლნ., 19₁-), და-ვ-შერ (ნოვ ოკოჯე
 ცოვდად დაეშოვრ: ib., 18₂₀)
 ვ-კვდ-ებ-ი მო-ვ-კუედ (მე უწინარეს
 მისსა მოვეყუედ²: ჰაგ. მას., 16—17.)
 ვ-ხდ-ებ-ი *წა-ხედ (← წარ-კედ: შთა-
 კედ, გარდამო-კედ, გარეწარ-ჰ-კედ: ძვ. ს. პ., 1₁)
 ვ-ცხრ-ებ-ი, ს-ცხრ-ებ-ი და-ვ-ცხერ, და-ს-ცხერ
 ვ-ქრ-ებ-ი, ჰ-ქრ-ებ-ი გა-ვ-ქერ, გა-ჰ-ქერ
 ვ-ცთ-ებ-ი შე-ვ-ცეთ (მცნებთა შენ-
 თაგნ მე არა შევსცეთ: უნივ. ხელნ., № 38, 179 r.)
 უკანასკნელთ და ამათ მსგავს სხვა ზმნებსაც ახ.-ქართულში ძირისეული -ე-
 I და II პირში იმიტომ არ აღმოაჩნდათ, რომ მათ III პირისაგან ნარედუქციალი
 ფუძე ისესხეს და ამით ერთგვარობა დაამყარეს: აშეკრთ-ა (← *შე-კერთ-ა), შე-
 ჰ-კრთ-ი, შე-ვ-კრთ-ი; შე-ცთ-ა (← *შე-ცეთ-ა), შე-ს-ცთ-ი, შე-ვ-ცთ-ი და სხვა,

¹) თ. შოღ და ნიას ეს მოვლენა აღნიშნული აქვს თავის „ქართულ გრამმატიკა“-ში (ტფ. 1899, გვ. 55—56, შენიშვნა), მაგრამ ზოგი მაგალითის მიმართ უმართებლო განმარტებ-
 ბას იძლევა. იგი წერს: „სახელ-ზმნანი, დაბოლოებულნი მარცვლებითა «ოლა» და «ომა», არ
 ემორჩილებიან ზემო-ნაჩვენებ კანონებს მიმოქცევითა. ესენი აწმყოში იცვლიან საბოლოოს მარ-
 ცულითა: «ები» (ეგ-ა-ები) მაგ. ცდომა = ვცდ-ები, ქრ-ოლა = ვქრ-ები. აგრეთვე: ვვედ-ები,
 ვშერ-ები (შტრომა), ვედ-ები, ვყვ-ები (ყოლა), ვრჩ-ები (რჩომა), ვთერ-ები (თერ-ომა) და სხ.
 ნამყო უსრულში მიიმატებენ «ლიო-ს; ნამყო სრულში მიიმატებენ ხმოვანსა «ი» სიტყვის ძირში,
 თუ მოხსენებულ საბოლოოთა წინ უხისთ უხმონი «დ» ანუ «თ» და «ტ» მაგ. ცდთ-ომა [sic] =
 (შე)ცთ-ი, კვდ-ომა = (მო)კვდ-ი (მაგრამ ჯდომა = დაეჯექ); დანარჩენ შემთხვევაში-კი ჩაისყმენ
 ხმოვანსა «ე» უხმოებშუა, მაგ. დგ-ომა = აუდ-ე-გ (აუდეკ), ქრ-ოლა = გაექ-ერ, შერ-ომა =
 ვშერ-ერ, დავცხ-ერ; გავეწყ-ერ; მაგრამ თუ ძირში ერთის მეტი უხმო არ არის, მაშინ ბოლოს
 დაერთვის მარცვალი «ე»: წ-ოლა = (და)წ-ე-გ (დაწეკ), ყოლა = (წა)ყ-ე-გ². ჩანს, ავტორის უხ-
 მოებშუა «ე» ძირისეულად არ ეგულებოდა.

²) -ედ აჰ სიტყვაშიაც ფორმანტი უნდა იყოს.

სწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს: ა-ც-ვი, ა-ც-ვი, ა-ც-ვა; ვ-სე-ი, (ჰ)-სე-ი, სე-აე, რაც ძვ.-ქართ. განსხვავებულია: აარა შე-ვ-სუე (მათე 26.42, აღიშ.), ასუ-თე (მათე 26.27), მაგრამ III პ. აარა სუ-აე (ი^ე ბოლნ., 49²²). აქედან დასკვნა: მედიო-პასივი ზმნები ძირში მუდამ -ე- ბგერას შეიცავენ. ეს დებულება, რა თქმა უნდა, ზემომოტანილი. მაგალითებიდან გამომდინარეობს, მაგრამ თუ აღმოჩნდა III ულლ. ზმნა, რომელსაც არცერთ ფორმაში -ე- ხმოვანი არ გამოველინება, ჩვენ თეორიულად მაინც შეგვიძლია დაეუშვათ -ე-ს არსებობა ძირში, სახელდობრ შემდეგს მაგალითებში: ა-ვ-ქ-რ-ე-ბ-ი — გა-ვ-ქ-რ-ი (ახლაც იხმარება), ვ-ხმ-ე-ბ-ი — გა-ვ-ხმ-ი — *გან-ვ-კემ (და მე ვ^ა თივამ განვექმ: უნ. ხელნ., № 38, 148 v¹, ვ-დნ-ე-ბ-ი — და-ვ-დნ-ი ← *და-ვ-დენ, ვ-ტფ-ე-ბ-ი — გა-ვ-ტფ-ი² ← *გან ვ-ტფე, ვ-შრ-ე-ბ-ი — გა-ვ-შრ-ი ← *გა-ე შერე და სხ. ამას ადასტურებს ერთის მხრით ძირში -ე- ბგერის შემცველი მრავალი ზმნა და მეორის მხრით მეგრული, სადაც -ე-ს ადგილას სათანადო ხმოვანი გვევლინება, მაგ.:

| | | |
|--------------|---------|---|
| ვ-ქ-რ-ე-ბ-ი, | ძირია : | ქერ (გა-ვ-ქერ, გა-ჰ-ქერ, გა-ქ-რ-ა) = ძირს: *ქირ—გონ-ქირ-აფ-ა 'გაქრობა'. |
| ვ-ხმ-ე-ბ-ი, | " : | კემ (გან-ვ-კემ, გან-ჰ-კემ, გან-კმ-ა) = ძირს: *ხომ (—კომ)—ხომ-აფ-ა 'ხმობა', ხომ-აფ-ირი 'გამხმარი'... ანალოგიური შესატყვისებია: ქყორ-ი = მ-წყერ-ი, გო-ქყორ-ი = გა-წყერ-ი. |
| ვ-დნ-ე-ბ-ი, | " | დენ (*და-ვ-დენ, და-ს-დენ, და-დნ-ა) = *დინ: დინ-აფა 'დაკარგვა'. |
| ვ-ტფ-ე-ბ-ი, | " | ტეფ (*გან-ვ-ტეფ, გან-ს-ტეფ, გან-ტფ-ა) = *ტიბ: ტიბ-აფა 'ტფობა, თბობა', ტიბუ 'ტფილი' = სვანურ ტებ- ძირს : ტებდი ← *ტებ-ი-დ-ი 'თფილი'. |
| ვ-შრ-ე-ბ-ი, | " | შერ (*გან-ვ-შერ, გან-ჰ-შერ, გან-შრ-ა) = *სქირ: სქირ-აფა 'შრობა', სქირ-ე 'შშრალი', გო-ვ-სქირ-ი = *გა-ვ-შერ → გა-ვ-შრ-ი... |

ჩანს, მეგრულ-სვანურიც ამტკიცებს ძირში დაშვებულ -ე-ს, ამდენად უფლება გვეძლევა ზემოთ წამოყენებული დებულების მიხედვით ა-ვ-ტ-კ-ე-ბ-ი, ვ-ქ-კ-ე-ბ-ი, ვ-ლ-პ-ე-ბ-ი და მისთანებში ყველგან ძირში -ე- ვივარაუდოთ.

ამგვარად, სვანურის II ულლ. მედიო-პასივი ზმნები როგორც სინტაქსურად, ისე მორფოლოგიურად, სრულებით ფარავენ ქართული ზმნების იმავე ფორმებს: 1. კონსტრუქციამ ერთგვარი ახასიათებსთ და 2. მორფოლოგიური აღნაგობაც იდენტურია. ეს მსგავსება ერთი ფაქტითაც გაძლიერდა: სვანურის მედიო-პასივებს ფუძეში -ე- ხმოვანი მოეპოვებათ, ეგევე -ე- ქართულ მედიო-პასი-

¹) უნ. ხელნ. № 38² დან ამონაწერები არან. ჩი ქობა ვამ გადმომცა, რისთვისაც მას მადლობას ვუცხადებ.

²) ტფ კომპლექსის გაძღვას ძველ-ქართულში ტფილ-სიტყვასა და სხვებში პროფ. გ. ახვლედიანი იმით ხსნიდა, რომ ტ^სთან ხმოვნის ჩანასახი ივლისხმებოდაო (ქართ. საენათმეცნ. საზ. 1926 წლ. სხდომის ოქმი № 1/4.).

ეებსაც აღმოაჩნდათ¹. მაგრამ განსხვავებასაც ვამჩნევთ: სვანური ზმნები ფუძე-დრეკადნი არიან, ზემომოტანილ ქართულ მაგალითებში კი დრეკადობას ადგილი არა აქვს. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ სვანური და ქართული ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთმანეთს შორდებიანო, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ ზემომაგალითები მხოლოდ მედიო-პასიენი არიან და ფუძის დრეკადობით აქტივის წარმოება ვერ ძალუძს, როგორც ეს ზოგი სვანურის ზნის მიმართაც აღენიშნეთ (იხ. ზემოთ, გვ. 297)², მაშინ ცხადი გახდება ჩვენი დაპირისპირების მეთოდოლოგიური შეცდომა: ფუძე დრეკადის ფუძე ფუძე ვლელთან შედარება. სრული ანალოგიისათვის კი, აშკარაა, სვანურ რიხ-ე — ტეხ-(ე)ნ-ი ტიპის ზმნებს ქართულშიაც ფუძედრეკადი უნდა მივუყენოთ, ე. ი. უკანასკნელთა საარვისო ქცევა რიხ-ე — ტეხ-(ე)ნ-ის მსგავსად ნულ-შაქტევრით უნდა იყოს წარმოდგენილი ერთის მხრით და მეორის მხრით ფუძის ხმოვანთა შეცვლასაც უნდა დაურჩეს ადგილი. ასეთი ზმნებია ქართულში:

| | აქტივი | მედიო-პასივი | |
|----------|------------|--------------|---|
| აქტივი | 1 ვ-დრეკ | ვ-დრკ-ებ-ი | ამას მისდევს: |
| | 2 ს-დრეკ | ს-დრკ-ებ-ი | კრებს, კრიბ-ა — შე-კრბ-ა (შეკრბა... ერი: ძვ. ს. პ., ნ ₁ - ₁₆) |
| | 3 დრეკ-ს | დრკ-ებ-ი-ს | შრეტ-ს, შრიტ-ა — და-შრტ-ა გლეჯ-ს, გლეჯ-ა — და-გლეჯ-ა |
| ალორისტი | 1 ვ-დრიკ-ე | შე-ვ-დრკ-ი | წყუელ-ს, წყვლ-ა — მო-წყლ-ა (*მო. წყულ-ა. ახ.-ქ. |
| | 2 ს-დრიკ-ე | შე-ს-დრკ-ი | წყვეტ-ს, წყვიტ-ა — გა-წყტ-ა) |
| | 3 დრიკ-ა | შე-დრკ-ა | წრედ-ს, წრილ-ა — *და-წრდ-ა, და სხვა (ა. შ ა-ნი ძვე, ნასახელარი ზმნები ქართულში: „უნიე. მოამბე“, № 1, გვ. 92, შნშ.). |

აქ აღსანიშნავია შემდეგი: აქტივი ფორმათა ფუძეში -ე-/-ი- ხმოვანი გვაქვს, თუ რომელია ამათში პირვანდელი, ეს არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში ისინი გარკვეულად სვანურ -ი-ს მოგვაგონებენ; მედიო-პასივში კი, დებულების თანახმად, -ე- არის მოსალოდნელი, პარადიგმაში -ე- არ მოგვეპოვება: მისი დაკარგვა რედუქციას შეიძლება დაეპარალოთ, მაგრამ ამით ხომ ვერავის დავარწმუნებთ. საჭიროა რაიმე გზით დებულების გამართლება. ახალი-ქართული ამ ზმნათა მედიო-პასივ ფორმებს საერთოდ გაურბის, იგი უფრო ი- პრეფიქსით გვიწარმოებს ვნებითებს: აი-შრიტ-ებ-ა, ი-წრილ-ებ-ა, ი-კრიბ-ებ-ა³ და სხვა, ამიტომ

1) ამ შემთხვევაში სახელებისაგან მედიო-პასივის მაწარმოებელი *-ენ- || -ელ- (დაგლახანების: ძვ. ს. ს. პ., 21, განშოვნების: იხ. მთვ) არ გვინტერესებს, თუმცა -ე- ყურადღებას იქცევს -ენ- || -ელ-ში.

2) ქართულში მედიო-პასივებისგან აქტივთ აფიქსების დართვით ვლელობთ: აღნ-ებ-ი-ს, თბ-ებ-ა, ლმ-ებ-ა, წყ-ებ-ა, დგ-ებ-ა და სხვათა აქტივი იქნება: აა-დნ-ობ-ს, ა-თბ-ობ-ს, ა-წყ-ენ-ს, ა-დგ-ენ-ს... ასევე ჩადის სვანურიც ფუძეარადრეკად მედიო-პასივების მიმართ: ახ-ე-აქ-ენ-ი 'ემალება', ააქც-ნ-ი 'ილიძებს' — აა-აქ-უნ-ე 'მალავს', აა-აქც-უნ-ე 'აღიძებს'.

3) II ულლილ. ზმნათა ი- პრეფიქსით წარმოება ვნებითში სვანურსაც ახასიათებს (ბზ. ლშ. ი-დრგ-ი იკრობა, და სხვა).

სჯობია ძველ-ქართულს მივმართოთ, ეგების იქ აღმოჩნდეს აორისტის I და II პ. -ფ: ადა უ ი სიმრავლც ერისაჲ შემოკერბითა (ი ე ბოლნ., 24₁₁). სამწუხაროდ ერთადერთი მაგალითი მოგვეყავს, მაგრამ მსჯელობისათვის ესეც კმარა. აკრებ-ს კრიბ-ა (ე-/-ი-ს შემცველი) აქტივია, ხოლო აშემო-კერბ-ი-თა (ე-ს მქონე) მედიო-პასივი. პირველ შემთხვევაში კ-ს მომდევნო ე-ს რედუქცია მოსდის, ხოლო მეორე შემთხვევაში ე-/-ი- გვეკარგვის. ძირში რომ ორივე უნდა ვივარაუდოთ, ამას მეგრული აკორობ-ჟაჲ გვაუწყებს (*კერე/იბ = კორობ-ჟაჲ, შდ. ახმებისის ძირი ა*კეშ = *ხოშ.). ამაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ აზრეტ-ს, დრეკ-ს, წრედ-ს, გლეჯ-ს, ლლეტ-ს და სხვა მედიო-პასივ ფორმებში თავიკიდურ თანხმოვანთა შორის ე- ხმოვანს აღიდგენენ, და აორისტის I და II პ. თავისუფლად დავუვებთ: ადა-ე-შერტ, და-პ-შერტ (და-შრტ-ა); შე ვ დერკ, შე ს. დერკ (შე-დრკ-ა), და-ე-წერდ, და-ს-წრდე (და-წრდ ა) და სხვა, მით უმეტეს ეს თეორიულად ძოსალოდნელი ფორმები მეგრულით დასტურდება ადრეკ-ა ← *დერეკ-ა = დირიკ-ჟა, *შერტ-ა = შქირიტ-ჟა, *წერედ-ა = წირი . ჟა, *ლლეტ-ა = ლილიტ-ჟა¹ და სხვა (შდ. ადნ-ებ ი-ს, შრ-ებ-ი-ს და მსგავსი მაგალითები, გვ. 300).

ამგვარად, თითქოს ქართულშიაც აღმოჩნდა სვანური ატიბ-ე—ტებ-(ე)ნ-ის მსგავსი ადრეკ-ს—დრკ-ებ-ის ტიპის ზმნები თავიანთი მედიო-პასივებში ე- და აქტივებში ე-/-ი- ხმოვნებით. მაგრამ საკიროა აქვე დავეძინოთ, რომ მიუხედავად ამ მსგავსებისა, ფუძის დრეკადობით ქართული ზმნები საკმაოდ განსხვავდებიან სვანურისაგან, ამიტომ უმჯობესი იქნება ამჟამად მედიო-პასივის ფორმებში ე-ს გაპოაშქარავებით დაკმაყოფილდეთ და სხვა მნიშვნელოვანს საკითხებს ამასთან დაკავშირებით მომავალში დაუბრუნდეთ².

III

ეს გრძელი ექსკურსი იმისათვის დაგვიკირდა, რომ გამოგვერკვია: სვანური მედიო-პასივების მსგავსად ქართულის იმავე ფორმების ზმნებს ფუძეში ე- ხმოვანი აღმოჩნდებოდა თუ არა. მონათესავე ენებთან შედარებამ და ძველმა-ქართულმა გარკვეული დებულება წამოგვაყენებინა: III ულლ. მედიო-პასივ ზმნათა ძირებში ე- ა რ ი ს. იგი ძირისეულად გამოიყურება აა-დეგე (დგ-ებ-ი-ს) ტიპის ზმნებში, ადერკ—დრკ-ებ-ი-ს ააში კი მისი ფუნქცია საარკვევია. მეგრულთან შედარება მასაც ძირის კუთნილებად ხდის.

ახლა თავშივე წამოყენებულ საკითხს დაუბრუნდეთ და „ბგერით მოვლენათა თანაჲმდევრობისათვის“³ ქართულშიაც სათანადო მაგალითები მიმოვძებნოთ. ამჟამად ჩვენს ყურადღებას მიიქცევენ ისეთი სიტყვები, სადაც ორს ფო-

¹) ქართულის მაგვარად მეგრულშიაც ფუძის დრეკადობა და ხმოვანთა დაკარგვა შეიმჩნევა: აშქირ ი ტ-ჟა—შრეტ-ა, შქირ ა ტ-ჟა — *შრტ-ომა, ნა-შქირ ი ტ-ა — ნა-შრეტ-ი, შქირ ა ტ-ილი — *ე-შრტ-არიჲ და აშქირ ი ტ-უნ-ს — შრეტ-ს, დო-შქირ ი ტ-უ — და-შრიტ-აჲ, მაგრამ: აშქირ ი ტ-უნ) — შრტ-ება, დო-შქირ ი ტ-უ — და-შრტ-აჲ...

²) გაოსარკვევ-ა, თჲ: რა დანიშნულებისანი არიან ქართულში ე-/-ი-(დრე/იკ) და ე- (დერკ). რა მიმართებაში იმყოფებიან ესენი სვანურ ი-სა და ე-სთან (ტიბ—ტებ), რომელია ძირისეული ხმოვანი და სხვა (იხ. სვან. გრამატ.).

ნეტიკურ მოვლენას თავი მოუყრია: რედუქციასა და ასიმილაციას. თანამედროვე ქართულში ასეთების გამონახვა არც ისე ძნელია, მაგრამ ძვ.-ქართულის მიმართ კი უფრო ჭირს: იქ შედარებითი მეთოდის წამოშველება აუცილებელია ზოგი შემთხვევის ნათელსაყოფად. საილესტრაციოდ ორი მაგალითი მოგვეპოვება: 1. ადა-შთ-აე და 2. აშე-ს-ცთ-აე ორივე აორისტის III პირია. გვხვდება სხვადასხვა სახით:

1. შთ ძირისაგან: აარა დაშთა მათგანი (კიმენი, 41₂), აშე განუზღალებელი დავშთი (უნივ. ხ., № 95, 340 a), ადაშთის (სახისმეტყვე., 28₃₂), აკელნი დაშთომილნი (ძვ. სას. პ., პა 22), აარა რაჲ დაშთომილ (TP, III, პა₁₇), „აარა დაშთა შეილი (ლკ. 20. 31, აღიშ.)... აქედან იქნება: აშთ-ომ-აე (შდ. დგ-ომ-ა, წყრომ-ა): ავ-შთ-ებ ი, 3 შთ-ებ-ი, შთ-ებ-ი-ს... რლ ნეშტი დაუშთებოდი (კიმენი, 163) და სხვა მრავალი.

2. ცთ ძირისაგან: აგანსკთიან (სახისმეტყვე., ი; 11), აუნქუესვე ცთიან (მრკ. 4. 17, აღიშ.), აყესეულად ცთის (მთ., 13. 21, ib.), აჰაშინ ცთენ მრავალნი (24. 10, ib.); აქედან კაუზატივი ფორმა: აცთუნება (შდ. არწილ-უნ-ებ-ი, ხტუნ-ებ-ა): ათვალე შენი გაცთუნებდე (მრკ. 9. 47; მთ. 5. 29, აღიშ.)... ასაცთურისაგან (ძვ. სას. პ., თა₁₈), ამატურის (ib., თა₁₉), აშეცთობა, ცთობილი, ვცთები, შემცთარი და სხვა მრავალი.

ორივე ზნა—ადაშთა, განსკთა—III უღლილებისაა, მედიო-პასივი ფორმა, ამდენად ძირში, ზემოთწამოყენებული დებულების თანახმად, -ე- ხმოვანია მოსალოდნელი, ამიტომ უნდა გვექონოდა: *ადა-ვ-შეთ, *და-პ შეთ (და-შთ-ა), ნამდვილად კი ძვ.-ქართ. ადა-ვ-შთ-ი (TP, III, პა₈) გვევლინება. ცხადია, III პ. ფუძე I და II პირშია გადასული (შდ. მსგავსი შემთხვევები ზემოთ). რაც შეეხება აშე-სკთა ზნას, იგი მართლაც ძირისეულ -ე-ს აღიდგენს: ავ ს-ცეთ (...მე არა შე-ვსკეთ: უნ. ხ., № 38, გვ. 179 r), ს-ცეთ (ს-ცთ-ა) და სხვა. მაშასადამე, -ე- ხმოვნის მიღების შემდეგ შეთ და ცეთ ძირები გვექნება. კითხვა ისმის: არიან თუ არა ეს ძირები პირვანდელი სახით წარმოდგენილნი? თუ შევადარებთ მეგრულ-სვანურს, დავინახავთ ასეთი კითხვის ბუნებრივობას: მათი მიხედვით აქ შეცვლილ ძირებთან გვაქვს საქმე. მართლაცა: შთ(ომა) მეგრულში სქიდ ძირს ემთხვევა (ბ-სქიდ-უ-ქე ვრჩები, ვიკურნები, ვისაზრობები¹; ალო-ფ-სქიდ-ი 'დავრჩი'...). ფონეტიკური შესატყვისობა გვიკარნახებს, რომ ქართ. *შეთ ← *შედ, რადგანაც მეგრ. სქ = ქ. შ (სქანი—შენი, სქვერი—შეღი, სქულა—*შე-ობა — შობა), -ე- = -ი (იხ. მედიო-პასივი ზნეები ზემოთ, გვ. 300) და მეგრ. დ = ქ. დ (პრევერბი ალო-და : დო-ქარუ -- და-წერა, კილა — კედელი...). მაშასადამე, პირვანდელი ძირი გამოდის *შედა, რომელმაც ჯერ რ ე დ უ ქ ც ი ა განიცადა (და იქცა *შდ-დ) და შემდეგ მშეინავ შსთან დას მეზობლობისას ასიმილაციას დაურჩა ადგილი. ამიტომაც ასე: *შედ — *შდ — *შთ — ჯერ რედუქცია, მერე ასიმილაცია. ამ ორი ფონეტიკური მოვლენის თავის მოყრით სიტყვის ძირი შეიცვალა. ახლა გასაგები უნდა იყოს ანეშტ-სიტყვის შედგენილობასთან ერთად (ადა მოვიღე ნეშტი იგი პურისაჲ: უნ. ხელნ., № 1104, 15 a) ძირისეული -ტ-ს წარმოშობაც: *ნეშდ-ი → *ნე-

1) მეგრულში სქიდ-უჲ ზნას იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც ქართ. რჩ-ებ-აჲ.

შდ-ი → ნეშტ-ი¹. აქაც რედუქცია-ასიმილაციის მოვლენებთან გვაქვს საქმე. აგრეთვე ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ თეორიულად აღდგენილ ძირს ძველი-ქართულიდან ამოღებული მაგალითებით დავადასტურებთ: ადგმდები ს თქნ სახლი თქნი ოკერია (მთ. 23. 38, აღიშ.), აარა დაშდეს აქა ქვაჲ ქვასა ზაჲ (მთ. 24. 2, ib.), შვილი არა დაშდეს (მრკ. 12. 19, ib.), აარა დაშდეს ქვაჲ ქვასა ზაჲ (მრკ. 13. 2, ib.). ამდენად *შედ-ე პირვანდელ ძირად მიიღება.

თითქმის ეგვევ გვეთქმის *ცეთ ძირის შესახებაც. აქ პირველად ფონეტიკურ მოვლენად, რა თქმა უნდა, რედუქცია მიიჩნევა, ხოლო მეორად ბგერითი მოვლენის — ასიმილაციის — ნაწყალობებს წარმოადგენს (ატომილ, მატურ-აში...) ძირისეული -თ, რომლის ნაცვლად თავის დროზე -დ უნდა ყოფილიყო. ჩვენი დაშვებით ცეთ ← *ცედ. მაშასადამე, ძვ.-ქართ. ას-ცთ-აში რედუქცია და ასიმილაციაა თავმოყრილი. განსხვავება *შედთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ იქ მეგრულმა გვიკარანახა -დ'ს არსებობა და ძვ.-ქართულმა დაამოწმა, აქ კი ძვ.-ქართ. ვერაფერს გვიდასტურებს და ვერც მეგრული გვშველის მაინცდამაინც. მიუხედავად ამისა, *ცედე ძირის პრიორიტეტობა უდაოდ მიგვაჩნია. ამაში სევანური ალიქაღ 'ატომმა' გვარწმუნებს (ახუე-ქდ-ი, ლტ. ახუე-ქაღ-ი 'ვცთები', ახუ-ა-ქდ-ენ-ი 'ვაცთენ', აეჯნემ თუფ ათქაღ ნიშანს 'მან თოფი ააცთინა ნიშანს', ალი-ქდ-უნ-ე 'ცთ-უნ-ებ-ა' და სხვა, ძირია: აქადე). ქართ. *ცედ სრული სემასიური და (თანხმოვნებში) ფონეტიკური შესატყვისობით არის წარმოდგენილი სევანურში: ქად (ქართ. ც = სვ. ქ: ცუ-მა ← *ცუ + ამ-ა — ლი-ქუ-ემ — პროფ. ა. შანიძის დაკვირვებით, ხოლო აკად. ნ. მართ: ცრემლი — ქიმ, ცდენა — ლი-ქდუნე, ქართ. ცვ: ვიცავ — სვ. ქბ: უქბოვშ 'საიდუმლოდ' Ахех.², გვ. 4, 15; ქ. დ = ს. დ: „ფონეტ. დაკვ. ქართვ. ენებში“: მიმომხილველი, № 1, გვ. 199). მაშასადამე, სევან. ქად- ძირი ქართულში ცედ'ს² შეისატყვისებს, რომლის პირველი მარცვალი (ცე-) ძვ.-ქართულით შეგერებულია, ხოლო პრიმარი -დ სევანურის მიხედვითაა აღდგენილი. ამდენად თანამედროვე ქართულში ხმარებული: აშეცდომა, შეცდა, ცდება (ცად ფუძისგან ნაწარმოები ავიციდი, ვციდი, ცდაჲ და სხვათა გავლენით მიღებული) უფრო ახლოს დგას პირვანდელ ძირთან, ვიდრე ძველი: აცთომილი, საცთური და სხვა. ძვ.-ქართულის ავ-ს-ცეთ, ს-ცეთჲ ფორმებში -თ III პირიდან არის გადმოსული (ას-ცთაჲ), ანდა აუსლაუტშია დ (*ცედ'ისა) დაყრუებული.

¹ ნეშტი სხვა წერილშია გარჩეული („ნე-, ნი-, ნა-პრეფიქსებისათვის ქართულში“).

² ხოლო აკად. ნ. მართ ამ სიტყვის ძირი ცდნ, ცთნ არის და... могут быть позднейшими перерождениями корня *цтн.. (Основ. табл., გვ. 10), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

ბ. ლომიძეძიძე.

მუცლის ღრუში ორსულობის საკითხისათვის.

საშილოსნოს გარეშე ორსულობის შემთხვევები საზოგადოდ ბოლო წლებში ფრიად გაერცელდა. ასე *Степановის* სტატისტიკური ცნობებით (სამარიდან) საშილოსნოს გარეშე ორსულობის ერთი შემთხვევა მოდის 70 მშობიარობაზე; ამასვე ამტკიცებს *Примаковის* სტატისტიკა *Скробанский* სკრიბანსკის კლინიკიდან, სადაც საშილოსნოს გარეშე ორსულობის შემთხვევები ბოლო წლებში 3%,-ზე მეტს შეადგენდა ყველა გინეკოლოგიურ ავადმყოფთა რიცხვისას. ამასთან ერთად გაიზარდა, ცხადია, მუცლის ღრუში ორსულობის შემთხვევებიც. *Кузнецовის* გამოანგარიშებით მსოფლიო ლიტერატურაში დღემდე აღწერილია 318 შემთხვევა მუცლის ღრუში ორსულობისა. ამ ციფრისაგან რომ გამოვყოთ შემთხვევები ორსულობის ბოლოს ცოცხალი ბავშვის გამოყვანით დამთავრებული, მაშინ ეს ციფრი რამდენჯერმე შემცირდება.

ამისათვის, მე მგონია, არ იქნება ინტერესს მოკლებული მოვიყვანო ის ერთი შემთხვევა, რომელიც მე შენებდა წარსულ წელს, მეტადრე რომ ქართულ ლიტერატურაში ასეთი შემთხვევა დღემდე არ ყოფილა აღწერილი. ამ ერთ შემთხვევას მე შემიძლია დაეუწატო კიდევ ერთი, რომლის ოპერაციის წარმოებაც მომიხდა ქ. ოდესაში 1913 წელს და რომელიც დღემდე აღწერილი არსად არაა. თუმცა ამ მეორე შემთხვევის ისტორია მე ხელთ არა მაქვს, მაგრამ მოვიყვან იმ ცნობებს, რაც მახსოვს.

I შემთხვევა: 1927 წელს I, VIII ქ. ბორჯომში მე მომმართა 33 წლის ავადმყოფმა, ჩივილით მუცლის საშინელ ტკივილზე. პირველი თვიური ნახა 12 წლისამ და ნახულობდა ყოველთვის წესიერად: 4 კვირაში ერთხელ და გრძელდებოდა 3—4 დღე. გათხოვდა 13 წლისა. 16 წლისას შესძენია ერთი ბავში, ამის შემდეგ ორსულად არ ყოფილა. 14 წლ. წინ დაქვრივდა და 5 წლ. წინ გათხოვდა მეორედ. არავითარ ქალურ ავადმყოფობას არ აღნიშნავს წარსულში. უკანასკნელი თვიური ნახა 1926 წლის დეკემბერში და ორსულად სთვლიდა თავის თავს. იანვარში და თებერვალში ჰქონდა 5-ჯერ ტკივილების შეტევები მუცელში, რამაც საშილოსნოს გარეშე ორსულობის ეჭვი გამოიწვია. ავადმყოფი პროვინციელია (ცხოვრობს მუდამ ახალ სენაკში) და ამ ავადმყოფობის გამო ჩამოვიდა ტფილისში, სადაც მიმართა ექიმებს, რომლებმაც საშილოსნოს გარეშე ორსულობა არ ნახეს, არამედ უნახეს რალაც სიმსიენე და ურჩიეს ოპერაცია, რომელზედაც ავადმყოფი არ დასთანხმდა და ისევ შინ დაბრუნდა.

თიბათვის დასაწყისიდან ავადმყოფმა იგრძნო ბავშვის მოძრაობა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და თანაც ამას დაერთო ძლიერი ტკივილები მუცელში. ავადმყოფი აღნიშნავს თვითონ, რომ ტკივილები ბავშვის მოძრაობაზეა დამოკიდებული და ამ ბოლო დროს პირდაპირ აუტანელი სიძლიერისა შეიქმნა, რის გამოც მოგვემართა ჩვენ. ადგილობრივ ექიმებს დაუსვამთ დიაგნოზი საშვილოსნოს გარეშე ორსულობისა.

St. praes. ავადმყოფი მალალი ტანისაა, სწორი აგებულობისა, ზომიერი კვებიანობისა, ანემური შეხედულებისა, ასტენური კონსტიტუციისა. გულისა და ფილტვების მხრივ არაფერი არანორმალური არ ისინჯება. მუცელი თანასწორადაა გადიდებული, მისი კედელი დაქიმული, მგრძობიარე. გარედან გასინჯვით მუცელში არაფერი არ ისინჯება: არც ნაყოფის ნაწილები და არც საშვილოსნო. მუცლის დაყურებით ბუნდოვნად ისმის ნაყოფის გულის ცემა, რიცხვით 130 წუთში: კიბის ღონეზე მუცლის მარჯვენა ნახევარში. ბუნდოვნად ისინჯება აგრეთვე ბავშვის მოძრაობა. შიგნითა გასინჯვით გარეთა სასქესო ორგანოები და საშო ცვლილებებს არ წარმოადგენენ; ბოქვენის უკან ისინჯება სხეული, რომელიც სიდიდითა და მოყვანილობით ფრად წააგავს ორსულობის 3 თვემდე გადიდებულ საშვილოსნოს, მომაგრო კონსისტენციისა, სუსტი მგრძობიარობისა, უძრავი. მის მარჯვნივ და უკან ბუნდოვნად ისინჯება მორბილო კონსისტენციის სიმინენე განუსაზღვრელი მოყვანილობისა, ძალზე მგრძობიარე, უძრავი. მარცხენა თალი ოდნავ ქვემოთაა დაწეული, შიგ არაფერი არ ისინჯება. 1^o ავადმყოფს ნორმალური აქვს, მაჯა ოდნავ დაქიმული, 80-ი წუთში, რითმიული.

ავადმყოფი დაწვა ბორჯომის საავადმყოფოში, სადაც მეორე დღეს გასინჯულ იქნა ზონდით საშვილოსნოს ღრუ; აღმოჩნდა რომ ზონდი მიდის წინ იმ სხეულში, რომელიც ისინჯებოდა ბოქვენის უკან, მისი სიდიდე უდრის 11 სანტ. დასმულია დიაგნოზი: მუცლის ღრუში ორსულობა 7 თვისა, ცოცხალი ბავშვით.

3; VIII გაუქვთდა ოპერაცია (დაიწყო ოპერაცია ზურგის ტვინის ანესტეზიის ქვეშ (stowaini 0,075), შემდეგ კი, როცა ოპერაცია გაგრძელდა და ანესტეზიამ გაიარა, მიეცა ცოტა ეთერი). ოპერაცია გაგრძელდა 1¹/₂ საათს. მუცლის კედელი გაქროლია თეთრ ხაზზე ბოქვენსა და კიბს შორის. მუცლის ღრუს გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბავში თავისუფალ მუცლის ღრუშია მოთავსებული ნაწლავების მარჯუშებს შორის. ბავში გამოყვანილია და კიპლარი გადასკვნილი. ამასთან ერთად დაიწყო ძლიერი სისხლის დენა მომყოლიდან, რომელიც მარჯვენა განიერ იოგზე აღმოჩნდა მიმაგრებული და საშვილოსნოს უკანა კედელზე. lig. infundibulo-pelvicum მარჯვენა მხარეზე და საშვილოსნოს მარჯვენა კუთხე გადასკვნილია და განიერი იოგის ზემო ნაწილი მოკვეთილი, რის შემდეგაც სისხლის დენამ იკლო. ვინაიდან სისხლის ძარღვების ცალკე გადასკვნა არ მოხერხდა, საშვილოსნოსთან დაკავშირებულ განიერ იოგის ნაშტზე დადებულია მრუდე Guytonის საქერი და განიერი იოგის ფუძე დაქერილია დოლბანდის დიდი ტამპონით. მუცლის კედელი გაკერილია 2 სართულიანი ნაკერით, და ნაკერის ქვემო კუთხეში გამოყვანილია მუცლის ღრუში დატოვებული საქერიცა და ტამპონიც. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის მაჯა არ ისინჯება. კანქვეშ შეტა-

ნილია 1000 კ. სანტ. ფიზიოლოგიური ხსნარი. მეორე დღეს ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა, მესამე დღეს გამოკეთდა, გამოკეთდა მაჯაც. საკერი ამოღებულია 48 საათის შემდეგ. ტაპონი თანდათან ამოღებულია მე-7 დღეზე, მაგრამ ვინაიდან მის ადგილზე დაჩირქება მოხდა, შეტანილია ახალი ტაპონი. მუცლის ნაკერი შეხორცდა *per primam intentionem*, მარჯვენა პარამეტრიუმში კი მოხდა დაჩირქება, რომელმაც მოითხოვა შემდეგში საშოდან გაქრა. შეხვევა კეთდებოდა 2 დღეში ერთხელ. ავადმყოფი საღი გაიწერა 1 თვის ოპერაციის შემდეგ.

II შემთხვევა. ავადმყოფი 36 წლისაა. შემოვიდა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო-გინეკოლოგიურ კლინიკაში 1913 წელს მუცლის ღრუში ორსულობის დიაგნოზით.

ავადმყოფი საშუალო ტანისაა, სწორი აგებულობისა, სუსტი კვებიანობისა. ლორწოიანი გარსები და კანი მკრთალი ფერისაა. მუცელი სიმეტრიულად გადიდებული. ხელებით ნათლად ისინჯება ბავშვის ნაწილები. მკაფიოდ ისმის ბავშვის გულის ცემა. ბიმანუალური გასინჯვით საშვილოსნო ისინჯება ცალკე ოდნავ გადიდებული და ოდნავ მარცხნივ გადაწეული, მარჯვნივ თალში ისინჯება მორბილო კონსისტენციის სიმპიენე განუსაზღვრელი მოყვანილობისა, უძრავი, ოდნავ მგრძნობიარე. ავადმყოფს ტკივილები არა აქვს. 9 თვის წინ ჰქონდა უკანასკნელი თვიური. 6—7 თვის წინ ჰქონდა რალაც ტკივილების შეტევები მუცელში, რომელმაც გაუარა. დასმულია დიაგნოზი: მუცლის ღრუში ორსულობა მეორადი ხასიათისა. ავადმყოფის ოპერაციაზე მზადება რომ დავიწყეთ ნაყოფის გულის ცემა გაჰქრა და აღარ ისმოდა (საფლარათოს გავლენით გამოწვეული პერისტალტიკა?).

ოპერაცია გაკეთებულია თეთრ ხაზზე. ნაყოფი აღმოჩნდა მუცლის ღრუში, ნაწილობრივ გარსებში შეხვეული, ნაწილი ნაყოფისა კი მოთავსებული იყო უშუალოდ მუცლის ღრუში. ბავში მკვდარი აღმოჩნდა, მახინჯი: *faux lupina* და *spina bifida*, მომწიფებული. ბავშვის გამოყვანის შემდეგ მოშორებულია მომყოლი, რომელიც აღმოჩნდა მიმავრებული მარჯვენა განიერ იოგზე და ნაწილობრივ საშვილოსნოზე. მომყოლის მოშორების შემდეგ იყო მკირე სისხლის დენა, რომელიც შეწყდა *lig. infund. pelvica*-ისა და საშვილოსნოს მარჯვენა კუთხის გადასკნის შემდეგ. საშვილოსნოს მარჯვნივ დიდი შეხორცებებია, რომელთა მოშორებაც ძლიერ გაძნელდა. გასქელებული განიერ იოგის უმეტესი ნაწილი ამოჭრილია. ნაწილი კი დატოვებული და მუცლის ღრუში ტაპონი შეტანილი, ავადმყოფი გარდაიცვალა მე-4 დღეს პერიტონიტის ნიშნებით, გვამი გაკრთილ არ იყო.

ამ ორ შემთხვევაში ჩვენ გვქონდა მუცლის ღრუში ორსულობა, რომელიც უნდა ჩაითვალოს მეორად ორსულობად: პირველად ორსულობა იყო, ალბათ, კვერცხსავალბებში და მერმე ან მილი გასკდა, ან ტუბალური ამორტით კვერცხი გადავიდა მუცლის ღრუში, სადაც განავრძობდა განვითარებას. ორსავე შემთხვევაში კვერცხსავალისა და საკვერცხის გასინჯვით შეუძლებელი იყო რისამე თქმა, ვინაიდან დანამატები ისე შეხორცებული იყო და ერთი მეორესთან და მომყოლთან შეზრდილი, რომ რისამე გარჩევა მაკროსკოპულად შეუძლებელი იყო.

როდესაც ასეთ იშვიათ შემთხვევების წამლობაზეა ლაპარაკი, როგორც არის მუცლის ღრუში ორსულობა, ყოველთვის მრავალი საკითხი წამოიჭრება ხოლმე, რომელთა გამორკვევეაც არც ისე ადვილია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვითელ აქტორს არ შეხედება მრავალი ასეთი შემთხვევა, და, მაშასადამე, გამოცდილების შექმნა შეიძლება მხოლოდ ლიტერატურული შემთხვევების შესწავლით.

პირველი საკითხი არის დიაგნოზის საკითხი. ჩვენს შემთხვევაში დიაგნოზი არ იყო ძნელი, ვინაიდან: 1) ბავში ცოცხალი იყო და ნათლად ისმოდა მისი გულის ტონები, 2) საშვილოსნო ნათლად ისინჯებოდა ცალკე, სიმპიენისაგან დამოუკიდებლივ, რაც იყო დადასტურებული საშვილოსნოს ზონდით გასინჯვით. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. იშვიათი არაა შემთხვევები, როცა დიაგნოზის დასმა შეუძლებელია. შეცთომის დაშვებას შეიძლება მრავალმა გარემოებამ შეუწყოს ხელი. თუ ბავში მკვდარია, ან ორსულობა პატარა, ასე რომ ბავშვის გულის ცემა არ ისმის, და არც მისი მოძრაობა ისინჯება, მაშინ ნაყოფის არსებობაზე ლაპარაკი ძნელია.

არა ერთი მითითება არსებობს ლიტერატურაში, რომ მუცლის ღრუში ორსულობის დროს განსაკუთრებულად მკაფიოდ და ნათლად ისინჯება ნაყოფის დიდი და წვრილი ნაწილები; ეს ნიშანი ფრიალ პათოგნომონურ ნიშნად ითვლება ამ დაავადების ამოსაცნობად (Potocki, Малиновский, Формозов). მაგრამ მეორეს მხრივ აღწერილია შემთხვევები, როცა ამ ნიშნის მიხედვით დასმული დიაგნოზი მუცლის ღრუში ორსულობისა შემეტარი გამოდგა და ნორმალური ორსულობა აღმოჩნდა (Engelmann, Falk, Hugier). მართლაც, როცა ბავში დევს არა საშვილოსნოში, არამედ უშუალოდ მუცლის კედლის ქვეშ, მისი ნაწილები შესაძლებელია ნათლად ისინჯებოდეს. მაგრამ ჩვენს პირველ შემთხვევაში მუცლის კედლის ძლიერი დაჭიმვისა და მგრძობიარობისა გამო ბავშვის ნაწილები სრულებით არ ისინჯებოდა; ასეთი შემთხვევები აღწერილია ლიტერატურაშიაც (Рожков, Тимошенко, Краснополяский, Муратов). ჩვენს მეორე შემთხვევაში ბავშვის ნაწილები ნათლად ისინჯებოდა, ასე რომ მართა ამ ნიშნით შესაძლებელი იყო სწორი დიაგნოზის დასმა. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ არა ჩვეულებრივი მკაფიო და ნათელი გასინჯვა ბავშვის ნაწილებისა ყოველთვის გვაძლევს საფუძველს მუცლის ღრუში ორსულობაზე ვიფიქროთ, მაგრამ, თუ ეს ნიშანი არ არის, ამ დიაგნოზის უარყოფა შეუძლებელია.

მეორე ნიშანი მუცლის ღრუში ორსულობისა არის საშვილოსნოს ცალკე მონახვა. ეს ნიშანი ორსავე ჩვენს შემთხვევაში ნათლად იყო გამოხატული, მაგრამ ყველა შემთხვევაში ასე არ არის. თუ საშვილოსნოსა და სანაყოფო პარკს შორის ძლიერი შეხორცებებია და მეტადრე, თუ საშვილოსნო სანაყოფო პარკის უკანა მოთავსებული, მაშინ მისი ცალკე გასინჯვა შეუძლებელია. ამგვარ შემთხვევაში შეიძლება ზონდით გასინჯვამ გადასწყვიტოს საკითხი (Кузнецов, Zurchel). ჩვენს პირველ შემთხვევაში, თუმცა საშვილოსნო ნათლად ისინჯებოდა ცალკე, მაგრამ მაინც ყოველი შეცთომის თავიდან ასაცილებლად ჩვენ მიემართეთ ზონდს, რომელმაც დადასტურა ჩვენი დიაგნოზი.

რასაკვირველია, დღეს დღეობით ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია რენტგენის სხივების საშუალებით გვააშუქოთ ავადმყოფი და ნაყოფის ნაწილები დავამტკიცოთ, რაც აგრეთვე სწყვეტს საკითხს, მეტადრე, თუ ზონდით გასინჯვით საშვილოსნო პატარა აღმოჩნდა. რენტგენოგრაფია კიდევ უფრო ნათელი და დამამტკიცებელი იქნება თუ uterographias მივმართავთ.

დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენ დიაგნოზის დასაში ანამნეზი. ჩვენს პირველ შემთხვევაში, მაგალითად, ანამნეზიდან გამოირკვა მრავალი რაიმე, რაც ექტოპიურ ორსულობის არსებობას ცხად ჰყოფდა. ცხადი იყო, რომ ორსულობის მე-3 თვეზე ავადმყოფს ჰქონდა რალაც ინსულტი, რის მიხედვითაც შეიძლება დასკვნა გამოგვეტანა, რომ ორსულობა მუცლის ღრუში მეორადი ხასიათისაა. აგრეთვე მეორე შემთხვევაშიაც შეიძლება დასკვნა გამოგვეტანა.

გარდა ამისა მუცლის ღრუში ორსულობისათვის ფრიად დამახასიათებელია ტკივილები (Бекман, Рыжков, Кузнецов). ამ ტკივილებს აქვს შეტევითი ხასიათი და დაკავშირებულია ჩვეულებრივ ბავშვის მოძრაობაზე. ჩვენს პირველ შემთხვევაში სწორედ იყო ასეთი ტკივილები, რომლებმაც აიძულა ავადმყოფი, რომ მიემართა ექიმისათვის და ავადმყოფის სიტყვებით ტკივილები აუტანელი სიძლიერისა იყო. რაც შეეხება ჩვენს მეორე ავადმყოფს, მას ტკივილები თუმცა ჰქონდა, მაგრამ არც ისე ძლიერი.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ კიდევ ამ დაავადების წამლობის შესახებ. თავის თავად ცხადია, რომ ამგვარ შემთხვევებში ერთადერთი თერაპია არის ოპერაცია, მაგრამ არ არსებობს ერთსულელობა იმ საკითხში, თუ როდის უნდა გაკეთდეს ოპერაცია. ზოგი გვირჩევს ორსულობის მეორე ნახევარში, როცა ბავში ცოცხალია, ოპერაციის მოცდა ორსულობის ბოლომდე, რათა ცოცხალი ბავშვის მიღება შესაძლებელი გახდეს (Отт, Рейн, Снегирев, Малиновский, Строганов). ზოგი კი მოითხოვს, რომ ოპერაცია გაკეთებულ იქნეს დიაგნოზის დასმისთანავე. ჩემის აზრით მეორე რჩევა უფრო სამართლიანია, ვინაიდან ბავში ასეთი ორსულობის დროს არა იშვიათად მახინჯიცაა, და ყოველ შემთხვევაში სიცოცხლის ნაკლები უნარიანობისა, ვიდრე ნორმალურ პირობებში განვითარებული. Baronetის მსოფლიო ლიტერატურიდან შეკრებილი სტატისტიკური ცნობისდა მიხედვით 303 ცოცხალი ბავშია გამოკვანილი მუცლის ღრუში ორსულობის დროს. ამ რიცხვიდან 58% გარდაიცვალა 24 საათის განმავლობაში. დანარჩენთაგან დიდი უმრავლესობა გარდაიცვალა პირველი 5 წლის განმავლობაში. ასე რომ 5 წლის შემდეგ ცოცხალი დარჩა მხოლოდ 13%. აქედან $\frac{1}{3}$ კიდევ მახინჯი იყო.

გარდა ამისა დედისათვის ასეთი მოცდა დიდ ხიფათს წარმოადგენს, ასე რომ არავითარი აზრი არა აქვს დედის სიცოცხლის ხიფათში ჩაყენებას ბავშვის ისედაც პრობლემატური სიცოცხლისათვის. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ დედამ შეიძლება თვითონ მოითხოვოს ოპერაციის გადაუდებლობა ძლიერი ტკივილებისა გამო, როგორც ეს იყო ჩვენს პირველ შემთხვევაში.

რაც შეეხება ოპერაციის ტექნიკას, იგი ყოველთვის ძნელია, და წინასწარ რაიმე გეგმის დასახვა შეუძლებელია. ჩვეულებრივ მოჰყავთ ხოლმე ორი სიძნე-

ლე ოპერაციისა, ერთი მდგომარეობს სისხლის ღენის შეჩერებაში, მეორე კი სანაყოფო კვერცხის გამოყოფა-მოშორებაში. ჩვენს პირველ შემთხვევაში ორივე მომენტი აღნიშნული, როგორც დიდი სიძნელის მომენტი. სისხლის ღენის შეჩერება ფრიად ძნელი იყო, ვინაიდან კვერცხი resp. მომყოლი მიმაგრებული იყო მარჯვენა განიერ იოგზე. რომლის ფუძიდანაც ძლიერ სისხლის ღენას ჰქონდა ადგილი, რომლის შეჩერებაც ძნელი იყო და დაგვირდა საჭერის à demeure შეტანა და დიდი ტამპონის გაკეთება. თუმცა Губареви აღნიშნავს, რომ სისხლის ღენის შეჩერება სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდესო, ვინაიდან სისხლის ღენა აუცილებლად რომელიმე დიდი სისხლის ძარღვისაგანაა, რომლის მონახვა და გადასვენა საჭიროო, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ სისხლის ძარღვის მონახვა და გადასვენა შეუძლებელი იყო. ჩვენ გადავსვენეთ lig. infund.-pelvicum და მასასადამე, art. ovarica-ც, რის შემდეგაც სისხლის ღენა მხოლოდ შემკირდა; ცხადი იყო, რომ იმ სისხლის ღენაში, რომლის შეჩერებაც ძნელი იყო, დაინტერესებული იყო art. uterina dex., მაგრამ მისი მონახვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან სწორედ განიერ იოგის ფუძეში იყო სისხლის ღენა, სადაც უნდა მოვეწინაა ეს არტერია. სისხლი მთელ ამ მიდამოს ისე ავსებდა ხოლმე, ასე რომ რისამე მონახვა შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენმა პირველმა ავადმყოფმა ბევრი სისხლი დაკარგა და სიკვდილს ძლივს გადაპრჩა, ვინაიდან მაჯა აღარ ჰქონდა უკვე.

ჩვენს მეორე შემთხვევაში, თუმცა სისხლის ღენა ძლიერი იყო, მაგრამ მისი შეჩერება არც ისე ძნელი. მე ამას ვაწერ იმ გარემოებას, რომ ბავში მეორე შემთხვევაში მკვდარი იყო და, უნდა ვიფიქროთ, პლაცენტალური სისხლის მიმოქცევა აღარ არსებობდა. მაგალითად, Кузнецовის შემთხვევაში სისხლის ღენას არა ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ბავში დიდი ხნის მკვდარი იყო.

თუმცა Brindeau, Begouin, Jeanneney და Villarის ცნობით ბავშვის სიკვდილის შემდეგ საჭიროა 1 $\frac{1}{2}$ -ს თვით მოცდა, რომ სისხლის მიმოქცევა პლაცენტაში შეწყდეს და ოპერაციის დროს დიდ სისხლის ღენას არ ჰქონდეს ადგილი. მეტი მოცდა არ ვარგა, ვინაიდან სანაყოფო პარკი შეიძლება დაჩირქდეს, ან სხვა რაიმე გართულება მოჰყვეს. ჩვენი მეორე შემთხვევა ამტკიცებს, რომ სისხლის მიმოქცევა მალე წყდება პლაცენტაში და აღნიშნული ვადა გადაპარბებულად უნდა ჩაითვალოს.

მეორე ძნელი მომენტი ოპერაციისა, როგორც აღნიშნულია ზემოთ, არის სანაყოფო პარკის გამოყოფა, მოშორება. ეს მომენტი აღსანიშნავია ორსავე ჩვენს შემთხვევაში, და ორივეში ნაწილი პარკისა, რომელიც განიერი იოგის ფუძეზე იყო მიმაგრებული, დატოვებულია. ეს გარემოება თუმცა არაა სასურველი, მაგრამ შესაძლებელია და ავადმყოფის მორჩენას არ შეუშლის ხელს. მეორე ჩვენ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი არ შეიძლება პარკის ნაწილის დატოვებას მიეწეროს.

დასასრულ მე ნებას მივსცემ ჩემ თავს რამოდენიმე დასვენა გამოვიტანო:

1) მუცლის ღრუში ორსულობის ამოსაცნობად ზოგ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საშვილოსნოს ზონდით გასინჯვასა და რენტგენის სხივებით გაშუქებას.

2) როცა ღიაგნოზი დასმულია, ოპერაციის დაყოვნება დედისათვის სახიფათოა და არც საჭიროა, ვინაიდან ასეთი ბავში უმეტეს ნაწილად მაინც იღუპება, ან მახინჯი იბადება, ასე რომ ბავშვის ცოცხლად გადაარჩენის იმედი მაინც ფრიად მცირეა.

3) ოპერაცია უმეტეს ნაწილად ტექნიკურად ძნელია. უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენს სისხლის დენის შეჩერება. სადაც ეს შესაძლებელია, უკანასკნელი უნდა ხდებოდეს სისხლის ძარღვების გადასკვნით, ან en masse ქსოვილების გადასკვნით; უკიდურეს შემთხვევაში ტამპონით უნდა იყოს დაქერილი პარენქიმატოზული სისხლის დენის ადგილი. რაც შეეხება სანაყოფო პარკის გამოყოფა-მოშორებას, თუ ეს არ ხერხდება, ის, რაც შესაძლებელია, უნდა მოშორდეს, და, რის გამოცალკეება არ მოხერხდება, უნდა დატოვებულ იქნეს; უკანასკნელ შემთხვევაში კრილობაში ტამპონი უნდა იქნეს შეტანილი ი.

К ВОПРОСУ О БРЮШНОЙ БЕРЕМЕННОСТИ.

Доц. Б. Гогоберидзе.

Приводится 2 случая вторичной брюшной беременности: в одном 7 месяцев—извлечен живой ребенок, который прожил 1 день, во втором—доношенный ребенок погиб при подготовке больной к операции, извлечен слегка мацеррированным—урод: spina bifida et faux lupina. Диагноз в обоих случаях установлен до операции. Операция в первом случае осложнилась сильным кровотечением из плацентарного места. В первом случае выздоровление, во втором—летальный исход.

Автор приходит к следующим выводам:

1) Для диагностики брюшной беременности в некоторых случаях имеет большое значение исследование матки зондом, а также и рентген.

2) В случае установки диагноза выжидание с операцией опасно для матери, да и в большинстве случаев бесполезно, так как такие дети в большинстве случаев или погибают, или рождаются уродами.

3) Операция технически в большинстве случаев трудна. Главная опасность заключается в трудности остановки кровотечения. Там, где это возможно, нужно перевязывать приводящие сосуды, или же близлежащие ткани en masse. В крайнем случае паренхиматозное кровотечение должно быть остановлено плотной тампонацией. Что касается выделения плодного мешка, то, если это не удастся, приходится удалить то, что удалось выдлить, остальное же оставляется с тампонацией этого места.

SUR LA GROSSESSE ABDOMINALE.

Par le D-r en médecine B. Gogoberidzé,

Professeur-agrégé (Tiflis).

L'auteur cite deux cas de grossesse abdominale. Dans un cas on a extré l'enfant de 7 mois, qui a vécu un jour; dans l'autre—l'enfant à terme est mort pendant les préparatifs de l'opération. Cet enfant était légèrement macéré et avait des monstruosité: la spina bifide et la gueule de loup. Ces deux cas ont été diagnostiqué avant l'opération.

Resumée: 1) L'examen de l'uterus par la sonde et les rayons de Röntgen ont une grande importance pour diagnostique des quelques cas de grossesse abdominale.

2) Quand le cas est diagnostiqué il ne faut pas retarder l'opération parce que c'est dangereux pour la mère, et dans la grande majorité de cas est inutile pour l'enfant, parce que les enfants dans la grossesse abdominale dans la grande majorité de cas meurent ou sont des monstres.

3) L'opération au point de vue technique est difficile. Le danger est dans la difficulté de prévenir l'hémorragie. Où c'est possible il faut lier les vaisseaux afférents, ou les tissus adjacents en masse. En tout cas l'hémorragie parenchimateuse il faut arrêter par le tamponnement solide.

Quant au sac foetal, il faut l'éloigner ce qui est possible; on laisse le reste sur place, en le tamponnant.

კ. კეკელიძე.

ქანონიკური წყობილება ძველ საქართველოში¹.

I

მეოთხე საუკუნის ნახევარში იბერიაში საბოლოოდ და ოფიციალურად დამყარდა ქრისტიანობა². ახლად მოქცეულს ქვეყანაში, თავისთავად იგულისხმება, უნდა ჩამოყალიბებულყო იყარაქიული ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა იბერიის ქრისტიანიზაციის საქმეს. იზადება საკითხი: საიდან ან როგორ გაჩნდა იბერიაში იყარაქია? ამის შესახებ გელასი კესარიელი მოგვითხრობს: „შემდგომად ეკლესიის დასრულებისა ტუვე-ქალი წინადადებას აძლევს მეფესა და დედოფალს, რათა მათ ვაგზავენონ ერთმორწმუნე მეგობართან და ლეთისმოყვარე კონსტანტინესთან [მოციქულები და სთხოვონ], რათა მათ, მისგან მთხოვენელთ, გამოეგზავნოს [ვინმე] ამ ეკლესიის საკურთხეველად. მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ ვაგზავნილი მოციქულები მიდიან კონსტანტინეპოლს და, აუწყებენ რა მეფე კონსტანტინეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის განმტკიცებას, სთხოვენ მიეცესთ მათ მისგან ეპისკოპოზი მათთან არსებული ეკლესიების კურთხევისათვის და აგრეთვე [საეკლესიო წესების] ჩამოყალიბებისათვის. სათნო და ქრისტესმოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, უხაროდა რა უფლისათვის; მაშინ შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზს ალექსანდრეს ხელთდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოზი“³. წმიდა ნინოს შატბერდული ცხოვრებით, მირიან მეფეს საბერძნეთიდან გამოუგზავნეს ერის მოსანათლავად „მღდელთმოდლუარი, მღდელნი და დიაკონნი“⁴, ან, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამბობს, „იოვანე ეპისკოპოზი, ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი“⁵. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ საბერძნეთიდან მოსულან „იოვანე ეპისკოპოზი და მისთანა მღუღელნი ორნი, დიაკონნი სამნიო“⁶. იმავე ლეონტის ცნობით, მირიანს ნათლისღების შემდეგაც გაუგზავნია საბერძნეთში „ეპისკოპოზი იოვანე და მისთანა წარჩინებული ერთი“

¹) მოხსენებულა საქართველოს საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1927 წლის 11 თებერვალს; მხედველობაში მიღებულია მას შემდეგ გამოსული ლიტერატურა.

²) კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ვერნალი მიმომხილველი I, 1—53, ტფილისი 1926 წ.

³) ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, მიმომხილველი I, 62.

⁴) Е. Такайшвили, Описание рукописей Общ. Грамот. II, 782—783.

⁵) Ibid. стр. 712—713.

⁶) ქართლის ცხოვრება მარია მღდლოვლისა, გვ. 97.

და უთხოვნია „მლუდელნი მრავალნი“, რომელთაც ის უპირებდა თავისი სამეფოს სხვადასხვა კუთხეში დაგზავნას¹. ერთი სიტყვით, გელასი კესარიელისა და ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობით, იბერთა მოსანათლად და მათ შორის საეკლესიო ორგანიზაციის შესაქმნელად სამღვდელოება საბერძნეთიდან, კონსტანტინეპოლიდან, მოსულა და ამ სამღვდელოების მეთაურად იოვანე ეპისკოპოზი ყოფილა. მაგრამ ჩვენამდე შენახულა ამის შესახებ სხვანირი ცნობაც; ეფრემ მცირე თავის თხზულებაში, რომელსაც „უწყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისათაჲ“ ეწოდება, გადწოგცემს რა თეოდორიტე კვირელის თხრობას იბერთა მოქცევის შესახებ, დასძენს, რომ „სხუათა წერილთა შინა... სახელიცა მოვლინებულისა მის ეპისკოპოსისა ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ეგესტათი იყო, ანტიოქელი პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესია იგი, მირიანის ნიერ მცხეთას აღშენებული, და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსიო“². ამასვე სიტყვა-სიტყვით იმეორებს ეფრემის თანამედროვე და თანამოღვაწე შავს ნთაზე, ნიკონ შავმთელი, თავისი „ტაქტიკონის“ 37. თავში, რომელიც დაწერილია 1082—1088 წლებში³. არსენ ბერიც წმ. ნინოს გადამეტაფრასტებულ ცხოვრებაში ამასვე ამბობს: კონსტანტინემ მოუვლინა მათ, ქართველებს, „ეგესტათი, ანტიოქელი პატრიარქი, ფრიადითა პატივითა... ესე ფრიადითა ძლუნითა გამდიდრებული მასწავლელად სჯულისა და წესთა და მოძღურებად ღმრთისმცენიერებისა მეფისა მიმართ ქართველთასა მოივლინა“⁴. ანტიოქელი პატრიარქი მაკარი, რომელმაც XVII საუკუნეში საქართველო მოინახულა, ამასვე იმეორებს თავის მემუარებში⁵. მიქელ ბრეკი, ანტიოქელი მღვდელი XVIII საუკუნისა, ამბობს, რომ კეისარმა კონსტანტინემ ქართველებს, მათი მოქცევის შემდეგ, თანახმად თხოვნისა, გაუგზავნა „ანტიოქიის პატრიარქი ეგესტათი, ვინაიდან საქართველო მის ეპარქიას ეკუთვნოდაო. ეგესტათი მივიდა მათთან, და მოძღვრა ისინი და მერე დანათლა. ამის შემდეგ უკურთხა მათ ეპისკოპოზები, მღვდლები და დიაკვნები, აგრეთვე უკურთხა რამდენიმე ეკლესია და, მოაწესრიგა რა ამნაირად თავისი სამწყსო, დაბრუნდა ანტიოქიაშიო“⁶. ამნაირად, ყოფილა წყაროები, რომლებშიაც ქართველთა მომნათვლელად და მათი ეკლესიის მომწყობად აღიარებულია ეგესტათი ანტიოქელი; ეს ცნობა შემოღუნახავსთ ნიკონ შავმთელს, მაკარი პატრიარქსა და მიქაელ ბრეკს, ხოლო ქართველებში იგი გაურკვევლობა ეფრემ მცირეს და მის შემდეგ მას იმეორებს არსენ ბერი. როგორც ვხედავთ, იბერთა პირველი იერარქიის შესახებ ორგვარი ცნობა ყოფილა: ერთით (გელასი კესარიელი, მოქცევაჲ ქართლისაჲ, ლეონტი მროველი და წმ.

¹) Ibid. გვ. 98.

²) თ. ყორღანია, ქრონიკები I, 36; ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XLIII, XLV.

³) А. Леонид, Три статьи по русскому палестиноведению (Палестинский Сборник, т. VI, вып. 1, стр. 46—47).

⁴) გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10, გვ. 34—35.

⁵) П. Жузе, Грузия в XVII столетии по описанию патриарха Макария, стр. 7.

⁶) Е. Порфирий, Восток христианский — Сирия (Труды Киевской Духовной Академии 1874 г. т. II, стр. 368—369).

ნინოს შატბერდული (ცხოვრება) იბერიაში მოსულა სამღვდელოება კონსტანტინეპოლიდან იოვანე ეპისკოპოსის მეთაურობით; მეორით (ანტიოქიური წყაროები) ბიზანტიის კეისარს იბერიაში ეკლესიის მოსაწყობად გამოუგზავნია ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი. როგორ უნდა შევეთანხმოთ ქართულ-ბიზანტიური და ანტიოქიური წყაროები? ასეთს წინააღმდეგობას ჯერ კიდევ XII. საუკუნეში მიაქცია ყურადღება კათოლიკოსმა ნიკოლოზ გულაბრიძემ, რომელიც ამბობს: „ესე უკუე შექველ არს, რამეთუ თვთ თავადი ევსტათი წარმოგზავნილ არს: გარნა ევსტათისა გუერდით შექველად მაშინ იოანეცა ყოფილ არს: ევსტათი იმისათვის, რათა მეფე და ყოველი ერი გზასა ვიდრემე ქეშმარიტსა დააყენნეს და ასწაოს და განმართნეს სჯულნი საღმრთონი, და რაჟამს დაამტკიცნეს თვთ თავადი უკუე კულადიქცეს თვსავე მას საყდარსა; ხოლო იოანე — რათა დაადგრეს და არა დაუტვენეს, ვითარცა ახალნერგი და უსწავლენი და საზრდელისა მტკიცისაგან ჯერეთ უცხონი“¹. მართალია, ნიკოლოზის თეორია თავისთავად საყურადღებოა, მაგრამ მას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი, იბერიის მოქცევას, როგორც ჩვენ გგვონია, ადგილი ჰქონდა, მეტი თუ არა, ოცი წლის შემდეგ მაინც ევსტათის გარდაცვალებიდან, მეორე — ჩვენ შეგვიძლია დანმდვილებით ვთქვათ, რომ ევსტათი იბერიაში არც ყოფილა არასდროს. ევსტათი გახდა ანტიოქიის პატრიარქი 325 წლის ახლო ხანებში, ხოლო 330 წელს, არიანელთა ხრიკების წყალობით, კონსტანტინე კეისარს მიერ ჩამოგდებულ იქმნა კათედრიდან და გაძევებულ თრაკიის ქალაქ ტრაიანოპოლში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. თავისთავად ცხადია, სანამ ის პატრიარქად იყო (325—330 წლ.), დროსა და მოცალებას ვერ იშოვიდა იბერიაში წამოსასვლელად, ხოლო კათედრიდან ჩამოგდების შემდეგ, როდესაც კეისარი გამწყრალი ჰყავდა, მას ასეთს საპატიოსა და დიდ მინდობილობას არ მისცემდნენ. თქმულება ევსტათის შესახებ შეთხზულა ანტიოქიაში სულ სხვა მიზნითა და მოსაზრებით, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ყოველ შემთხვევაში, როგორც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეს ორი თქმულება ერთიმეორეს და როგორც უნდა შევეთანხმოთ ისინი, ერთი ცხადია: ორივე ისინი ამტკიცებენ, რომ პირველი იერარქია იბერიაში ბიზანტიის კეისარმა გამოგზავნა. სრულიად ბუნებრივია, რომ იბერიის ახლადმოქცეულ მეფეს, რომელიც კეისარის მფარველობის ქვეშ იყო, თავისი მოქცევა ამ კეისარისათვის ეცნობებოდა; მას არც შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, ვინაიდან ერთერთი მოტივი მისი მოქცევისა იყო ბიზანტიასთან კულტურულ პოლიტიკური კავშირის განმტკიცება და გაძლიერება ქრისტიანობის საშუალებით. შეუძლებელი არც იმაშია რამე, რომ კეისარს ამ მიზნით მართლაც გამოეგზავნოს სამღვდლო პირნი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იბერიაში მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრამდე იერარქია, იგულისხმება უმაღლესი, მუდამ ბერძნული იყო, როგორც ჩვენს წყაროებშია გადმოცემული. ქვემოთ, თავის ალაგას ჩვენ დავი-

¹) სვეტიცხოველის საკითხავი, სიძველ. მუხეუმის ხელნაწ. № 160, გვ. 126—127. შეად. „საქართველოს სამოთხეში“ საბინინის გამოცემა, გვ. 96; აგრეთვე ვ. კარბელიაში ელიისა, გვ. 87.

ნახავთ, რომ იბერიაში თავდაპირველად სომხებსაც სკერიათ იერარქიული პოსტები; ყოფილა შემთხვევა, როდესაც სირიელები უკურთხებიან აქ ეპისკოპოზებად, მაგალითად — კირიონ კათოლიკოს სომხები უსაყვედურებდნ ჯერ ვინმე კისა სირიელის ეპისკოპოზად კურთხევას, მერე ცურტავეის კათედრაზე მოსეს მაგიერ აგრეთვე სირიელის დანიშნვას¹. თავისთავად ცხადია, თვით ქართველნიც არ იქნებოდნ მოკლებულნი ამ პატივს, როდესაც მათ შორის ღირსეული პირები აღმოჩნდებოდნ. ნაციონალიზაცია იერარქიისა თანდათან ხდებოდა, დასრულებულა ის მეექვსე საუკუნის გასულისათვის, კირიონ კათოლიკოსის დროს, როდესაც მხოლოდ ერთს ეპარქიაში, ცურტავეისაში, ვხედავთ სომეხ ეპისკოპოსს, ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ აქ შერეული მრევლი იყო, სომხებისა და ქართველებისა.

II.

ეხლა იბადება ასეთი საკითხი: თავდაპირველად იბერიაში ერთი მწყემსთმთავარი იყო, თუ რამოდენიმე, ესე იგი იბერია ერთს ეპარქიას წარმოადგენდა, თუ ის დაყოფილი იყო რამდენიმე საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულად? ის მკვლევარნი, რომელნიც ამ საკითხს შეზებებიან, ამტკიცებენ, რომ იბერიაში იმთავითვე რამდენიმე ეპისკოპოზი მოვიდა საბერძნეთიდან, რომ მას ჰყავდა არა ერთი, არამედ რამდენიმე მმართველი მღვდელმთავარიო². უმთავრეს არგუმენტად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ საბერძნეთიდან მოსულ იოანეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკაში ეწოდება მთავარ ეპისკოპოსი; თუ იოანე „მთავარეპისკოპოზი“ იყო, ამბობენ, მას ჰყოლია ხელქვეით სხვა ეპისკოპოზები, რომელთა უფროსი ან „თავი“ იყო ისაო. მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იოანეს „მთავარეპისკოპოსს“ უწოდებს, მაგრამ იგივე ქრონიკა მას „ეპისკოპოზადაც“ სთვლის; მაგ., სულ პირველად ასეა ნათქვამი: „ხოლო მეფემან წარავლინა ეპისკოპოსი იოანე“³, და „უთხრეს მეფესა და ეპისკოპოსსა“⁴. მას შემდეგ, რაც შირიან მეფეს მეორედ გაუგზავნია მოციქულები საბერძნეთში და იქიდან „ქვისამთელნი და კირითხურონი“ მოუყვანია, იოანე „მთავარეპისკოპოზად“ იხსენიება: და „დააყენა საქმე მოსწრაფებისაჲ, ვიდრე არა ისწავა მთავარეპისკოპოსისაგანო“⁵; ფიქრობენ, რომ სწორედ მეორე გაგზავნის შემდეგ იოანე გახდა მთავარეპისკოპოზი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამის შემდეგაც იოანე არაერთხელაა ეპისკოპოზად სახელწოდებული; მაგალითად, სიკვილის წინ ნინომ, ქელიშური ვარიანტით, „შეჭედრა იაკობ მღვდელი მეფესა და ეპისკოპოსსა“⁶, და, რაც უფრო საყურადღებოა, იოანე ეპისკოპოზად მომკვდარა: „და მოკულა იოანე ეპისკოპოსი“⁷. ერთი სიტყვით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“

¹) ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 173.

²) К. Цинцадзе, Автокефалия церкви грузинской, стр. 42—50.

³) Е. Такайшвили, Описание рукописей II, 713.

⁴) Ibid. стр. 714.

⁵) Ibid., стр. 714.

⁶) Ibid., стр. 718.

⁷) Ibid., стр. 719.

განურჩევლად ხმარობს სიტყვას „ეპისკოპოსი“ და „მთავარეპისკოპოსი“, ასე რომ უბრალო ეპისკოპოსს, ალბათ, შემდეგი დროის თვალსაზრისით, როდესაც მთავარეპისკოპოზობა გამტკიცებული ფაქტი იყო, მემატინანე „მთავარეპისკოპოზად“ სახელსდებს, ისე, როგორც ერთსადიამავე პირს იგი „დიაკონდაც“ სთვლის და „მთავარდიაკონდაც“¹. ეს კიდევ ცოტაა: ვახტანგ გორგასლანის წინადროის ეპისკოპოზებს, რომელნიც ეკლესიის სათავეში იდგენ, წმ. ნინოს „ცხოვრების“ კელიშური ვარიანტი უწოდებს აგრეთვე „კათალიკოზსაც“, თუმცა ხაზგასმით ანტკიცებს, რომ კათალიკოზობა პირველად ვახტანგმა შემოიღო. „მაშინ“, ამბობს ის, „გარდაცვალებულ“ იყვნენ მეფენი ათნი და კათალიკოზნი ცამეტნიო“². „მეფეთა ცხოვრება“ და ვახტანგ გორგასლანის ისტორია იმ პირთ, რომელნიც ეკლესიის სათავეში იდგენ ქრისტიანობის დამყარებიდან კათალიკოზობის შემოღებამდე, ყოველთვის და ყოველგან „ეპისკოპოსს“ უწოდებს და არა „მთავარეპისკოპოსს“. ვახტანგის ისტორიაში ნათქვამია, რომ მას გრიგოლ ღვთისმეტყველმა ჩვენებაში უთხრა: „შენგან განეწესნეს ეპისკოპოზნი და ეპისკოპოსთა მთავარი“-ო³, ასე რომ მის დრომდე არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკა, არც წმ. ნინოს უძველესი „ცხოვრება“ (შატბერდულ-კელიშური), არც ლეონტი მროველი ერთს ეპისკოპოსზე მეტს არ იცნობენ და არ იხსენიებენ ბაქარმა და არჩილმა, მემატინანის სიტყვით, განამრავლეს „ყოველისა ქართლისა მღუდელნი და დიაკონნი“⁴ და არა ეპისკოპოსნი, იგულისხმება, იმიტომ, რომ უკანასკნელთა გამრავლება არ შეიძლებოდა. ასე იყო პირველად სომხეთშიაც; იქაც, თითქმის ნეოთხე საუკუნის ბოლომდე, ერთი ეპისკოპოსი იყო, ხან გრიგოლ განმანათლებელის, ხან ალბიანეს სახლიდან⁵. ასეთი იყო პრაქტიკა სკვთთა ეკლესიისა, რომელსაც, ისტორიკოსთა მოწმობით⁶, განაგებდა მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი, ან, როგორც გიორგი მონაზონის ხრონოლოგის ქართულს თარგმანშია „საეკლესიოთა მოთხრობათაგან“ ნათქვამი, „სკვთეთს ყოველთავე ქალაქთა მხოლოდ ერთიოდენ აქუს ეპისკოპოსი“⁷.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ იბერიაში ვახტანგ გორგასლანამდე ერთზე მეტი ეპისკოპოზი არ ყოფილაო, ნებდევლობაში გვყავს მმართველი, ეპარქიული ეპისკოპოზი, ვინაიდან მმართველს გარდა, იქ ძველიდანვე უნდა ყოფილიყოს სხვა-

1) Ibid., სტრ. 713, 714.

2) E. Такайшвилл, Описание II, 725.

3) ქართლის ცხოვრება მარიაშ დედოფლისა, გვ. 147.

4) იქვე, გვ. 112, 121

5) H. Adonci, Армения в эпоху Юстиниана, стр. 365—366.

6) Sozomeni, Histor. ecclesiastica VI, 21, VII, 19; Theodoret, Hist. eccles. IV, 35.

7) ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 159. იბერიაში იმავედროს რამდენიმე ეპისკოპოსის არსებობას ვერ დავგვიტყობებთ ის გარემოება, რომ მირიანმა სიკვდილის წინ „დავედრა ეპისკოპოსნი“ (მარიაშ დედოფლის ვარიანტი, 111), ხოლო ვახტანგ გორგასლანს ინდოეთიდან დაბრუნებისას შეეგებნენ „ეპისკოპოსნი“ (იქვე, გვ. 176), ვინაიდან პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცხად შეუთმობათთან, უნდა იყოს „ეპისკოპოსი“ და არა „ეპისკოპოსნი“, რაც ჩანს მშენისაგან „დავედრა“ (და არა „დავედრნა“), მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად მახდვიანობის „ეპისკოპოსი“, რომელიც ვახტანგს კვლავ დაუბრუნებია თავის სამეფოში (ერთხელ გაძევებია შემდეგ) მას შემდეგ, რაც საარსებლთან სარწმუნოებრივი შეთანხმება მოუხერხებია (ქ. ცხოვრ. მარიაშ დედოფლისა, გვ. 161).

გვარი ეპისკოპოზიც, რომელსაც ეწოდებოდა „სახლის ეპისკოპოზი“ და რომელიც მეფეთა კარზე იჯდა. მაგალითად, შუშანიკ დედოფლის მარტილობაში მოხსენებულა „ეპისკოპოზი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფუტ“¹. სომხური წყაროებიც იხსენიებენ „სამეფო სახლის ეპისკოპოსს“, მაგალითად, კორიუნი „მესროპის ცხოვრებაში“ ვინმე დანიელს, „ეპისტოლეთა წიგნი“ ვილაც ბაღდენს, რომელიც დასწრებაჲ ქ. დვინის კრებას 506 წელს². მართალია, ჯერ კიდევ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ გამოთქვა მოსაზრება, რომ „სახლი“ აქ იგულისხმება „საგვარო მნიშვნელობით“³, ხოლო პროფ. ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ - მა კატეგორიულად განაცხადა, რომ „ამ შემთხვევაში მეფის პირადი, მისი კარის ეპისკოპოზი კი არ იგულისხმება, არამედ იმ მიწა-წყლის მღვდელთ-მთავარი, რომელიც მის უშუალო სამფლობელოს შეადგენდა“⁴, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს და აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვეკონდეს სწორედ სახლის ან კარის ეპისკოპოზთან. წინააღმდეგ შემთხვევაში რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ქ. დვინის 506 წლის კრებას, როგორც მისი აქტებიდან ვიცით, დასწრებაჲ „სამეფო სახლის ეპისკოპოზი“ (პაღდენი) თავისთავად, ტფილისის ეპისკოპოზი (საპაკი) თავისთავად, სამთავროს ეპისკოპოზი (ელიფაზი) თავისთავად და მცხეთის ეპისკოპოზი-კათალიკოზი (გაბრიელი) თავისთავად? ნუთუ უფრო საფიქრებელი არ არის, რომ მეფის უშუალო სამფლობელო მიწა-წყალს სწორედ ტფილისის ან მცხეთის რაიონი შეადგენდა? ყოველ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ დვინის კრების აქტებში მაშინდელი იბერიის ყველა, გამოუკლებლივ, კუთხისათვის ნაჩვენებია საკუთარი ეპისკოპოზი, მაშ რომელი „მიწა-წყალი“ (ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი თ) ან „ხევი“ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი თ) უნდა ვიგულისხმობთ „მეფის უშუალო სამფლობელოდ“, რომ იქ მისი „სახლის“ ეპისკოპოზი დავსვათ? ეს ერთი, მეორე: კირონ კათალიკოზი ერთერთს თავის წერილში, სადაც წარმოდგენილია სია ეპისკოპოსებისა, რომელნიც ცურტავის ეპარქიას განაგებდენ, ამ სიას იწყებს შუშანიკის შემდეგდროიდან („წმ. შუშანიკისითგან“) და ცურტავის პირველ ეპისკოპოსად ასახელებს აფოცს ან აფუტს⁵. ეს აფოც-აფუტი შუშანიკის მარტილობაში წარმოდგენილია, როგორც „ეპისკოპოზი სახლისა მის პიტიახშისაჲ“. ანნაირად, ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი აფუტსა სთვლის შუშანიკის თანამედროვე ეპისკოპოსად, კირონს კი ის შუშანიკის შემდეგდროინდელ მღვდელმთავრად მიანია. აქ წინააღმდეგობა არ არის; შუშანიკის სიცოცხლეში აფუტი იყო სახლის ან კარის ეპისკოპოზი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ცურტავში ეპარქია დაუარსებიათ, გამაზღვინებულნი ვასქენისათვის კი ქრისტიანი სახლის ან კარის ეპისკოპოზი ზედმეტი შექმნილა, ის გამხდარა პირველი ეპისკოპოზი ახლად დაარსებული ცურტავის ეპარქიისა. ფ ა უ ს ტ ო ს ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი ს

¹) ს. გ ო რ გ ა ძ ი ს გამოცემა, გვ. 3, შეად. გვ. 10, 21, 22.

²) ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 162-183; H. Goussen, Die georgische Bibelübersetzung, O r i e n t s Christianus, (1906), S. 305-306.

³) ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ო ა მ ბ ე I, 102.

⁴) ქართული სამართლი ისტორია I, 141.

⁵) ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 178.

ცნობით¹ „სახლის ეპისკოპოზი“ თავდაპირველად სომხეთშიაც ყოფილა, ის იქ მეფეს სუფრასა და პურს უკურთხებდა თურმე.

ამრიგად, ვახტანგ გორგასლანამდე იბერია წარმოადგენდა ერთს განუყოფელ მთლიანს, ერთს ეპარქიას, და მას ერთი მწყემსმთავარი განაგებდა. ქრისტიანობა იბერიაში თანდათან ვრცელდებოდა, ის იქერდა სულ განშორებულსა და მივარდნილ კეთხეებს ამ სამეფოსას, მაშასადამე, თუ წინათ ერთი ეპისკოპოზი გასწვდებოდა აქ ეკლესიას, ვახტანგ გორგასლანის დროს ის იმდენად გაიზარდა, თან იბერიაში იმდენად გაძლიერდა მაზდეიანობის ორგანიზაცია და პროპაგანდა, რომ საქირო შეიქმნა რამდენიმე ეპისკოპოზი. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ მეზობელს სომხეთში, რომელთანაც იბერია ეკლესიურად მტკიცედ იყო დაკავშირებული, მეხუთე საუკუნის ნახევარში უკვე 18 ეპარქია ითვლებოდა², ეს მისაბამ მაგალითად გამოდგებოდა იბერთათვისაც. ყველა ამის მიხედვით ვახტანგი იძულებული შეიქმნა იბერია ეპარქიებად დაეყო და თვითეული ეპარქიისათვის საეკლესიო ეპისკოპოზი მიეჩინა.

მემატთანე მოგვითხრობს, რომ ვახტანგმა 13 ეპარქია დაარსა: 1) მცხეთისა, რომლის მწყემსმთავრადაც კათალიკოსი დაადგინა, 2) სამთავროისა („ნეხეთასავე საეპისკოპოსოსა“), 3) ახიზისა (ქლარჯეთს), 4) არტანისა (ერუშეთს), 5) მანგლისისა (შეტომთი-ნიგალისა), 6) ბოლნისისა, 7) რუსთავეისა, 8) ნინოწმინისა [„უჯარმოას კარსა, რომელი ვახტანგ გორგასლანს აღუშენა“; უჯარმოას აღუშენების შესახებ იხ. მარიამ დედოფ. ვარიანტი გვ. 166. სტრ. 4, 180. სტრ. 6, 385 სტრ. 13-14], 9) ქერემისა, 10) ჩელეთისა, 11) ხორნაბუჯისა, 12) აგარაკისა (ხუნანს) და 13) ნიქოზისა³. პროფ. ი. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ვახტანგმა 16 კათედრა დაარსა (თუმცა მისი ჩამოთვლით 16 კი არა, 15 გამოდის (იხ. ქართველი ერის ისტორია I³, გვ. 277), მაგრამ ეს შეცთომავა, რაც აიხსნება იმით, რომ 1) მას ჩაუთვლია წუნდის კათედრა, რაც მათიანის თავდაპირველ ტექსტში, როგორც მარიამ დედოფლის ვარიანტიდან ჩანს, არ ყოფილა; 2) მემატთანის სიტყვებში: „ერთი ნინოწმინდას უჯარმო[ა]ს კარსა, რომელი გორგასლანს აღუშენა“ (მარიამ დედოფ. გვ. 179), მას ამოუკითხავს სამი ეპარქიის სახელი: ნინოწმინდის, უჯარმოასა და კარისა (?); რასაკვირველია, ამ სიტყვებში ნახევენებია ერთი და არა სამი ეპარქია, რაც, სხვა რომ არა იყოს, იქიდანაც ჩანს, რომ „უჯარმოას“ და „კარსა“-ს წინ არ არის სათვალავის აღმნიშვნელი „ერთი“, რომელიც თანსდევს სხვა სახელებს, ამ მომენტში რომ ვახტანგს სწორედ 13 კათედრა (1 კათალიკოსისა და 12 ეპისკოპოსისა) უნდა დაეარსებინა და არა მეტი, ეს ჩანს მემატთანის წინაცნობიდან: ვახტანგმა შეუთვალა კონსტანტინეპოლის ხელისუფლებას: „კათალიკოზი და თორმეტე ეპისკოპოზნი სწრაფით წარმოავლინენ“ (გვ. 177-178); ამის შემდეგ, თანახმად კონსტანტინეპოლიდან მიღებული წინადადებისა, ანტიოქიის პატრიარქმან „აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოზნი და პეტრე კათალიკოზად“ (გვ. 178). ი. ჯავახიშვილის აზრით თექვსმეტეც არ არის

¹) V, 29 Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 362-3, 368.

²) Н. Адонц, ibid. стр. 367.

³) ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფლისა, გვ. 179.

სრული რიცხვი, ვინაიდან აქ არც სამეფო სახლის ეპისკოპოზი და არც ცურტაეის მღვდელთმთავარი დასახლებულნი არ არიან, თუმცა მათი არსებობა ამ დროს დადასტურებულია ვახტანგ გორგასლანის „ცხოვრებით“ და „მუშანიკის მარტილობითო“¹. საქმე ისაა, რომ „სახლის ეპისკოპოს“ ვახტანგის დროს მოხსენება აღარ სქირდებოდა, ვინაიდან ის, როგორც ვაჩვენეთ, უძველესი დროიდანვე არსებობდა უკვე, რაც შეეხება ცურტაეის საეპისკოპოზოს, ის როგორც დაფინახავთ, ვახტანგის მიერ უნდა იყოს დაარსებული, მაგრამ ამის შემდეგ და არა ამ მონენტში. არ არის ამ სიაში, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, არც წილკნისა, არც სამთავისისა და არც რუისის ან ურბნისის საეპისკოპოზოები, მაგრამ არსაიდან, არც ვახტანგის „ცხოვრებიდან“, არც სხვა რომელიმე წყაროდან არ ჩანს, რომ ეს ეპარქიები ამ მომენტში მართლაც არსებობდა.

ცამეტი ეპარქიის დაარსებიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ კათედრების რიცხვს უფრო უმატნია; ქ. დეიწი 506 წელს მოხდა შეერთებული კრება იბერიის, სომხეთისა და ალბანიის ეკლესიათა ლეღელთმთავრებისა, რომელმაც უარყო ქალაქ დვინის კრება. კათოლიკოზის გაბრიელისა და „სამეფო სახლის“ ეპისკოპოზის პალტენ-პალდენის გარდა ამ კრებას დასწრებია იბერიიდან 22 კათედრის წარმომადგენელი. სახელები ამ კათედრებისა და მათი წარმომადგენლებისა შემოუნახავს „ეპისტოლეთა წიგნს“², მაგრამ ქართულიდან სომხურად, სომხურიდან ბერძნულად და მერე ბერძნულიდან სომხურად თარგმნისას ისე დამახინჯებულა, რომ ზოგიერთს ან სულ ვერ ვაიგებს ადამიანი, ან დიდის ვაივაგლახით; საერთოდ კი ეს ნუსხა მეცნიერებაში სრული ნდობის ღირსადაა მიჩნეული³. აი სია ჯერ ისეთი ეპარქიებისა, რომელთა სახელწოდება შედარებით ნაკლებად იწვევს ეჭვს: ბოლნისი — ბოლნისი, ორტავ — ცურტაეი, უსთავ — რუსთავი, ტულეაც — ტფილისი, მანგლეაც — მანგლისი, მარუელ — მროველი, სამთავაცი — სამთავისი, კუხორდოჲ — კუმურდო, წირქან — წილკანი, ფოზდბის — ბოდბე, ფორთაჲ — ბერთა respect. ჩელეთი, ქუნანაკერტ — ხუნანი, ტსერმილ — ქერემი, ქორჩონა — ქორჩანენ resp. ხორანთა — ხორნაბუჯი. ამას გარდა სიაში ნაჩვენებია აგრეთვე შემდეგი სახელები, რომელთა ქართული შესატყვისი ჰიპოთეზის სახით თუ შეიძლება ნხოლოდ აღინიშნოს⁴: კასდრაცი — კაწარეთი, სამურაალ — სამთავრო, ტუმასულ — დმანელი, აღსულელ — აწყვერელი, სარუსთიელ — წყაროსთაველი, კისდალ — ახიზა, მიდამილ — ნინოწმიდა, ტარს — ნიქოზი (?). თუ ამ სახელების ინტერპრეტაციას ვაგიზიარებთ, „ეპისტოლეთა წიგნის“ სია მოგვცემს მემატიანის ყველა სახელებს: მცხეთა, სამთავრო, ბოლნისი, რუსთავი, მანგლისი, ახიზა, ნინოწმიდა, ბერთა-ჩელეთი, აგარაკი-ქუნანაკერტ, ქერემი, ხორანთა-ხორნაბუჯი, წყაროსთავი-არტანი, ნიქოზი-ტარსი (?), სულ ცამეტს, ვახტანგისდროინდელ სახელს. ვახტანგის მიერ პირველად კათედრების დაარსების შემდეგ 506 წლამდე იბე-

1) ქართული ერის ისტორია I³, გვ. 277.

2) გვ. 162-183.

3) И. Джавახов, История церковного разрыва между Грузией и армениею в начале VII века (Изд. Акад. Наук. 1908 г. стр. 445-6).

4) შეჯ. ს. კაკაბაძის ქართული სახელმწიფოებრივობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე I, 50-52.

რიას შემდეგი ათი ეპარქია შექმნა: ღმანისი, სამთავისი, აწყური, კუმურდო, წილკანი, კაწარეთი, ტფილისი, რუისი, ბოღბე, ცურტავი. როდის, რა თანდათანობით დაარსდა ეს ეპარქიები, ან რატომ სწორედ აღნიშნულ ადგილას¹, ამის შესახებ გარკვეული ვერას ვიტყვით, წყაროების უქონლობის გამო. ეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცურტავის ეპარქია დაარსებულია ვახტანგის მიერვე, შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ მალე. მართლაც, როგორც ზემოთაღნიშნულთაგან, ეპისკოპოზი აფოცი, რომელიც შუშანიკის მატრეილობაში მოხსენებულა როგორც კარის ან სასახლის ეპისკოპოზი მისი, კირიონ კათოლიკოზის მეორე ეპისტოლეში აღნიშნულია როგორც პირველი მღვდელთმთავარი ცურტავის ეპარქიისა².

პროფ. ი. ჯაფახიშვილი ამბობს, რომ მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის ქართლის ეკლესიაში, ასურელ მონოფიზიტ-მოდეაწის სიმეონ ბეთ-არშამელის მოწმობის თანახმად, 33 ეპისკოპოზი იყო³, და თუ 506 წლის კრების აქტებზე 24 ეპისკოპოზს უწერია მხოლოდ ხელი, ეს იმიტომ, რომ სხვები ან შემთხვევით ვერ წამოსულან კრებაზე, ან და მონოფიზიტობას არ იზიარებდნენ⁴. „შემთხვევის“ გამოყენება, როგორც საბუთისა, დამაჯერებელი არაა, ხოლო რაც შეეხება მონოფიზიტობის „არგაზიარებას“, ეს ეწინააღმდეგება აპრამ კათოლიკოზის კირიონისადმი მიწერილ პირველ ეპისტოლეს, სადაც ნათქვამია, რომ კავად მეფეთა მეფის დროს „ჩვენი და თქვენი ქვეყნის მოძღვრებმა და მთავრებმა ბერძნებთან საზიარო აღსარება ერთხმად წერილობით უარყვეს“⁵. ამ ცნობის სისწორეს თვით კირიონიც არ უარჰყოფს⁶. რაც შეეხება სიმეონ ბეთ-არშამელის მოწმობას, ის არის გადაქარბებული და გაზვიადებული მოწმობა მონოფიზიტობის აპოლოგეტისა, რომელსაც იმის თქმა ჰსურს, რომ მონოფიზიტობა ისეთი მნიშვნელოვანი და მძლავრი მოძღვრებაა, რომ მას იზიარებს შორეული ქართლის 33 საეპისკოპოზო და სომხეთის 32-ი, თუმცა, როგორც დანამდვილებით ცნობილია, სომხეთის ეკლესიას ამ დროს კათოლიკოზიანად მხოლოდ 24 ეპისკოპოზი ჰყავდა⁷ და არა 32.

პროფ. გ. ჩუბინაშვილს იბერიაში საეპისკოპოზო კათედრების დაარსების პრობლემა ცოტა სხვანიარად აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით, ზემოთაღნიშნული სია 12 ეპარქიისა, მატინაში რომაა წარმოდგენილი, მაჩვენებელია იმ კათედრებისა, რომელნიც ვახტანგს დაუარსებია კათოლიკოზობის შემოღების შემდეგ, გასაღივლებად და შესასვებად უკვე მანამდის არსებულ ეპარქიათა რი-

¹) ს. კაკაბაძის ჰიპოთეზით ისინი უნდა წარმოშობილიყვნენ საგვარო წყობილების ნიადაგზე ცალკე სახლების წიაღში და ტერიტორიალურად განსაზღვრული ხევების ფარგლებში (საისტორიო მოამბე I, 103). ამ ჰიპოთეზს სარჩულად უღვეს ნ. ადონციის შეხედულება იმის შესახებ, რომ სომხეთში ეპარქიების წარმოშობას ხელი შეუწყო სანახარო, ფეოდალურმა სისტემამ (Армяния в эпоху Юстиниана, стр. 367).

²) ისტორიკოლოგია წიგნი გვ. 178.

³) ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 278.

⁴) იქვე, გვ. 349.

⁵) ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 164.

⁶) ი. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, გვ. 288, 290.

⁷) А. Д. Ош. Армяния в эпоху Юстиниана, стр. 329-333.

ცხვისა. ეს ცხადია, ამბობს ის, იმ ფაქტიდან, რომ 506 წლის სიაში დასახელებულია 23 კათედრა, ხოლო მათი საერთო რიცხვი იყო 35. ამნაირად, სხვა კათედრები, დაუსახელებელნი ამ სიაში, არსებობდენ უკვე ვახტანგ მეფის წინათ¹. მაგრამ აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: კირონ კათოლიკოზის ცნობა იბერიის ეკლესიაში 35 საეპისკოპოზო კათედრის არსებობის შესახებ² ეკუთვნის არა 506 წელს, არამედ სომხებთან კამათისა და მიწერ-მოწერის დროს, ესე იგი მეშვიდე საუკუნის დამდეგს. მაშასადამე, 506 წლის სიაში დაუსახელებელი კათედრები ვახტანგის დრომდე კი არ არსებობდენ, არამედ ისინი დაარსებულან 506 წლიდან 609 წლამდე.

III.

როდესაც ვახტანგ გორგასლანმა იბერია ეპარქიებად დაყო და თვითვე ეპარქიას თავისი მღვდელთმთავარი მიუჩინა, იბერიაში 13 ეპისკოპოზი გაჩნდა; რასაკვირველია, ამათ ერთი უფროსი ეპისკოპოზი უნდა ჰყოლოდათ, რომელსაც სხვები დაემორჩილებოდენ. ამნაირად გაჩნდა ჩვენში მთავარეპისკოპოზი, რომელმაც კათოლიკოზის ტიტული მიიღო. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ კათალიკოზობის შემოღება არსებითად იყო იბერიის განთავისუფლება უცხო ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან. „ცნობილია“, ამბობს ის, „რომ აღმოსავლეთის ქრისტიანეთა შორის „კათალიკოზი“ დამოუკიდებელი ეკლესიის მთავარი ეპისკოპოზისა და საკეთმპყრობელის აღმნიშვნელი წოდებულება იყო.... მაშასადამე, ვახტანგ გორგასლანისაგან საქართველოში კათალიკოზობის დაწესება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწესებად უნდა ვიგულისხმოთ“ (ქართველი ერის ისტორია I³, 319). მაგრამ ეს შემეტარი აზრია. კათალიკოზობის შემოღებას არავითარი ცვალილება არ მოუხდენია იბერიის ეკლესიის თავის იერარქიულ-კანონიკურ დამოკიდებულებაში და, ასე ვთქვათ, საეკლესიათაშორისო მდგომარეობაში. სიტყვა „კათალიკოზი“ არის ბერძნული—Καθολικός, და რეალურად ნიშნავს ისეთს ეპისკოპოსს, რომელსაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე სხვა ეპისკოპოზები უფროსად იცნობენ. ძველს ქართულს მწერლობაში ამ სიტყვით აღინიშნება არა მარტო დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, არამედ დამოკიდებულებაში მყოფისაც; მაგალითად, ექვთიმე ათონელის „მცირე სვნაქსარში“ ნათქვამია, რომ გერმანე „დაიდგინა კათალიკოზად კვზიკოს“ (სიძე. მუზ. № 648, 12 მაისი), თუმცა ცნობილია, რომ კვზიკის მწყემსმთავარი გერმანეს დროს, მერვე საუკუნეში, როგორც ყოველთვის, კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. ედესიის ან ურჰაას ეკლესიის მწყემსმთავარს იოანეს მეცხრე საუკუნეში ქართული ვერსია მისი ცხოვრებისა „კათალიკოსს“ უწოდებს (Христ. Восток. т. II, вып. 3), თუმცა ეს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქზე იყო დამოკიდებული. დამასკოას მწყემსმთავარს ალათანგელეს ქართული ვერსია მისი ცხოვრებისა აგრეთვე „კათალიკოსს“ უწოდებს (Христ. Восток, т. IV, в. 3), თუმცა დამასკო იერარქიულად ანტიოქიას ეკუთვნოდა. ასე ყოფილა არა მარ-

¹) რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 66-67.

²) ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 179.

ტო ქართულს, არამედ უცხო მწერლობაშიაც; მეექვსე საუკუნის დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება *Notitia Antiochiae et Ierosolymae patriarchatum*, ნათქვამია: „Hec est ordinatio sub apostolica sede Antiochiae Catholicorum, metropolitanorum, archiepiscoporum: Catholicus Irinopolis, que est Baldac, Catholicus Ani, qui est Persidas¹ et cet. აქ უკვე პირდაპირაა ნაჩვენები ანტიოქიაზე და მოკიდებული „კათოლიკოზები“, რომელთაგან ირინოპოლის „კათოლიკოზი“ ყოველ შემთხვევაში მართლაც არასდროს დამოუკიდებელი არ ყოფილა.

ამნაირად, თუ იბერიის ეკლესიის თავს „კათოლიკოზი“ დაერქვა, არა იმიტომ, რომ ის იერარქიულად განთავისუფლდა უცხო ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან, არამედ იმიტომ, რომ რამდენიმე ეპისკოპოსთა შორის იბერიაში ის შეიქმნა უფროსი, პირველი ეპისკოპოზი, „საზოგადო“, საერთო ხელმძღვანელი ყველა დანარჩენისა. ამ ტიტულის შემოღება იყო შედეგი იბერიის ეპარქიებად დაყოფისა და რამდენიმე საეპისკოპოზო კათედრის დაწესებისა და არა მისი უცხო ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა.

მემატიანე ასე მოგვითხრობს კათოლიკოზის მოყვანას: როდესაც ვახტანგი ბერძნებს ეომებოდა, გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე ის შეპხვდა ერთს მღვდელს, პეტრეს, და მონაზონს სამოელს, რომელთაც ის ამხილეს ქრისტიანეთა სისხლის დაღვრისათვის. აქვე ძილში ვახტანგს გამოეცხადა გრიგოლი და უთხრა: „შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარიო“; თან მან გვირგვინი დაადგა თავზე პეტრე მღვდელს და სამოელ მონაზონს და აუწყა, რომ პირველი მათგანი ვახდებდა „ეპისკოპოსთა მთავრად“ ქართლში, ხოლო მეორე—ეპისკოპოსად (ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 142-147). თავის სამეფოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგმა გაგზავნა კონსტანტინეპოლს მოციქული და სთხოვა კეისარსა და პატრიარქს, გამოუგზავნონ მას 13 ეპისკოპოზი, მათ შორის პეტრე მღვდელი—კათოლიკოზად, ხოლო სამოელ მონაზონი—უბრალო ეპისკოპოზად, დანარჩენი თერთმეტი კი მათი სურვილისამებრ. კონსტანტინეპოლიდან ეს თხოვნა წარუგზავნეს ანტიოქიის პატრიარქს და შეუთვალეს: აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი შენს სამწყსოს შეადგენს, მაშასადამე, იბერიაც შენი სამწყსოა, ამიტომ შენ აკურთხე პეტრე და სამოელი კათოლიკოზად და ეპისკოპოზად, აგრეთვე თერთმეტი სხვა, ვინც შენ გსურდეს, მერე ისინი ჩვენ გამოგვიგზავნე და ჩვენ აქედან დიდი საჩუქრებით წარუგზავნით იბერიაში². ყოველივე ეს ასეც მოხდა, ეპისკოპოზები მოვიდნენ, ვახტანგმა თვითიერულს მათგანს საკუთარი კათედრა მიუჩინა და ამით საფუძველი დაუდგა იბერიის ეპარქიებად დაყოფას. როდესაც ვახტანგმა მოციქული გაგზავნა კონსტანტინეპოლს კათოლიკოზისა და ეპისკოპოზების გამოსათხოვად, ეს ამბავი გაიგო მაშინდელმა იბერიის ეპისკოპოზმა მიქაელმა, რომელსაც არ ესიამოვნა „უმთავრებისა მისისა ქართლად მოყვანება“³, ესე იგი კათოლიკოზად

¹) Tobler et Molinier, Itinera Hierosolymitana et descriptiones terrae sanctae bellis sacris anteriora I, p. 332, Genevae 1879.

²) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 176-179.

³) Ibid. გვ. 177.

განწესება, ამიტომ „შურიტა ალგუნა“ და, როდესაც მეფე მივიდა მასთან და მოინდომა „შემთხვევა ფერხთა ებისკოპოსისათა“, მან ფეხი გაანძრია და „შემუსრა კბილი მისი“. შეურაცხყოფილმა ვახტანგმა მიქაელი გაგზავნა კონსტანტინეპოლს, სადაც ის გაასამართლეს და „ექსორია უყვეს მონასტერსა მღვიძარეთასა“¹.

ამ მოთხრობაში, რომლის დეტალებსაც საფუძვლად უდევს გიორგი ამასტრიდელის „ცხოვრების“ ზოგიერთი ეპიზოდები² და რომელიც ლეგენდას წარმოადგენს, ერთი რამეა საყურადღებო: კათოლიკოზობის შემოღება ჩვენში იმის შედეგი კი არ იყო, რომ ვახტანგს მიქაელმა შეურაცხყოფა მიაყენა, როგორც ნაგულისხმევია ზოგიერთს ძველ წყაროებში, პირიქით, შეურაცხყოფა იყო შედეგი იმისა, რომ მან კათოლიკოზობის შემოღება განიზრახა. როგორც ვთქვით, კათოლიკოზობის შემოღება შედეგი იყო იმ ადმინისტრაციულ-ეკლესიური რეფორმისა, რომელიც გამოიხატა იბერიის ეკლესიის ეპარქიებად დანაწილებაში. პროფ. ი. ჯავახიშვილი, რომელიც ვრცლად ეხება ამ საკითხს, ამტკიცებს, რომ ვახტანგ გორგასლანი იყო მონოფიზიტი და მონოფიზიტური იდეოლოგიის ბაიზანტარი იბერიაში, იმას უნდოდა ამ მოძღვრების გაბატონება თავის სამეფოში და ამისათვის განიზრახა იბერიის ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მოპოვება კათოლიკოზობის შემოღების სახით. ამ მიზნით მან გადააყენა ქალკედონიზმის დამცველი მიქაელ მთავარეპისკოპოზი და მის მადიერ დააყენა მონოფიზიტი კათოლიკოზი. რადგანაც, ამბობს ის, „ანტიოქიის პატრიარქი საქართველოში მონოფიზიტობის განმტკიცების გულისთვის ვახტანგ გურგასალის გეგმის განხორციელებაზე, ქართული ეკლესიისათვის კათალიკოზობის სახით დამოუკიდებლობის მინიჭებაზე, უფრო ადვილად დათანხმებოდა“, როგორც მონოფიზიტი, ამიტომ „საკუთხი პირები პირდაპირ ანტიოქიაში იქმნენ გაგზავნილი“³. ვახტანგ გორგასლანი რომ შესაძლებელია მონოფიზიტი ყოფილიყო, ეს „მოულოდნელი“⁴ არაა იმისათვის, ვისაც ვათვალისწინებელი აქვს ერთის მხრით მონოფიზიტობის ისტორია აღმოსავლეთში და კერძოდ იბერიაში, მეორეს მხრით—ვახტანგის მეფობის დრო და ხანგრძლივობა; მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მას მონოფიზიტობის განმტკიცებისათვის კათოლიკოზობის სახით ეკლესიის დამოუკიდებლობის ძებნა დაეწყოს და ისიც მონოფიზიტური ანტიოქიის მეშვეობით. კათოლიკოზის ტიტული თავისთავად, როგორც ვთქვით, არც დამოუკიდებლობის მომასწავებელია და არც დამოკიდებულებისა; თან ადამიანს, რომელსაც მიზნად ჰქონდა მონოფიზიტობის განმტკიცება, დამოუკიდებლობა და განცალკევება კი არ უნდა ეძია მონოფიზიტური ანტიოქიის მეშვეობით, არამედ მტკიცე კავშირი და გაერთიანება უკანასკნელთან. არც ისაა ადვილად დასაჯერებელი, ვითომც კათოლიკოზის არჩევისას მონოფიზიტმა ვახტანგმა იმითომ აუარა გვერდი მიქაელის კანდიდატურას, რომ უკანასკნელი ქალ-

¹) Ibid. გვ. 176-178.

²) კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე. ვახტანგ გორგასლანის ისტორიისი და მისი ისტორია (ჩვენის მეცნიერება, № 4, გვ. 32-33).

³) ქართველი ერის ისტორია I, გვ. 306-318.

⁴) იქვე. გვ. 317.

კედონისტი იყო. დღეს არსებული მასალებით იმდენადღე ძნელია მიქაელისა და ვახტანგის სარწმუნოებრივი იდეოლოგიის სხვადასხვაობის დამტკიცება, რამდენადაც გათვალისწინება ვახტანგის მონოფიზოტობისა. მართლაც და, მიქაელის ქალკედონისტობის დასამტკიცებლად სერიოზულად ხომ არ შეიძლება წამოვაყენოთ რამოდენიმე საუკუნის შემდეგ შექმნილი ლეგენდა მის მიერ ვილაც პეტრეს ჩაქოლვის შესახებ¹, ანდა ის გარემოება, რომ მიქაელი მობიდან მანიქეელის ნასაქმარს ებრძოდა და მის თხზულებებს სწვაუდაო²; განა მანიქეელობას და სხვა „მწვალებლობას“ მართო ქალკედონისტები ებრძოდენ? ცხადია ვახტანგმა იმიტომ აუარა გვერდი მიქაელის კანდიდატურას, რომ მისით უკმაყოფილო იყო, მაგრამ მიზნები ამ უკმაყოფილებისა იყო არა მათი სარწმუნოებრივი შეხედულებების სხვადასხვაობა, არამედ ის გარემოება, რომ მიქაელს, როგორც მემართიანეც გადმოგვეცემს³, ვახტანგის ქრისტიანობაში ექვი შეუტანია და, ალბათ სპარსეთიდან დაბრუნებამდე, შეუჩვენებია კიდეცა იგი⁴.

¹) იქვე, გვ. 313-316.

²) იქვე, გვ. 313, შეად. გვ. 283-4.

³) ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფლისა გვ. 177.

⁴) თუ რამდენად მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული ვახტანგ გორგასლანის საკითხის შესწავლა, ამას ნათელჰყოფს, სხვათა შორის, ცნობა მისი სიკვდილის შესახებ. მემეტრიანის სიტყვით, სპარსელებთან ბრძოლის დროს „სპარსმან ვინმე სცა ისარი მყრდსა ვახტანგისასა... დაძმბდა წყულება ვახტანგისი, რამეთუ შეწულ იყო ისარი ფირტულა“, ამიტომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ახოვანი მუფე გარდაიცვალა კიდეც (ქართ. ცხოვრ. მარ. დედოფ. გვ. 183-184). გარდა ამისა არსებობს მეორე ცნობაც, რომელიც თ. უორდ დანი იამ გამოაქვეყნა: „მოკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისაა ლილასა ქუეშე; და აღიყრა რა კრძალი თვისი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰყრა ისარი ლილასა ქუეშე, და მით მოკლა“ (ქრონიკები I, 50). მეორედ ეს ცნობა დაბეჭდა ს. კაკაბაძემაც (სისტორიული ძიებანი, გვ. 166-175), რომელიც მას შედგენის დროის მიხედვით აკუთვნებს მერვე საუკუნის დასასრულის ახლო ხანას, ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე დაწერილად არ მიაჩნია (გვ. 186). ამით ის ათარიღებს თვით ჯუანშერის თხზულებასაც: რადგანაც ჯუანშერს ვახტანგის დაკრის ამბავი სხვანაირად აქვს გადმოცემული, „ცხადია, ის არ იცნობდა ვახტანგის ზემოთმოხსენებულს მოკლე ცხოვრებას, თორემ იქ გადმოცემული ვახტანგის სიკვდილის შესახებ საინტერესო დეტალი ჰპოვებდა მის თხზულებაში გამოხატულებას. საფიქრებელია ამიტომ, რომ ჯუანშერის თხზულება შედგენილი უნდა იყოს ცოტა უფრო ადრე, მაშასადამე, არა უგვიანეს მერვე საუკუნის დასასრულისა“ (გვ. 187). უკანასკნელად ამ ცნობას შეეხო პროფ. ი. ჯაკაბიძე, რომელიც, მისი მიხედვით, ასკენის, რომ „ვახტანგი შინათგამცემლობისა და ლალატის მსხვერპლი შექმნილა; ეს ისეთი ცნობაა, რომ თავისი ნიშანდობილიობის გამო შეუძლებელია მერმინდელი მოგონილი იყოს. პირიქით, ჯუანშერის ცნობა, რომ მუფე მტრისაგან დაიჭრა, იმდენად ჩვეულებრივია, რომ შესაძლებელია ძველი უსიამოვნო ცნობის მერმინდელ შესწორებასაც ეი წარმოადგენდესო .. გაურკვეველი რჩება მხოლოდ, ერთპიროვნული იყო ეს ბოროტმოქმედება (ლალატი), თუ შეთქმულების შედეგს წარმოადგენდაო“ (ქართველი ერის ისტორია II, გვ. 268-269). შეიძლება თუ არა ამ ცნობაზე აშენებულ იქნეს ასეთი თეორიები, რას წარმოადგენს ის? თხრობა ვახტანგის შესახებ, რომელიც ზემოთყვანილ ცნობასაც შეიცავს და რომელიც თ. უორდანიამ და ს. კაკაბაძემ დაბეჭდეს, მომდინარეობს არსენ ბერის მიერ გადმოცემულ რუსთაველის წმ. ნინოს ცხოვრებიდან (გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 10, ტფილ. 1902 წ.). ამ „ცხოვრებას“ ბოლოში (გვ. 46-51) დართული აქვს „უწყებაჲ, თუ მეფე მირიან ანუ სხუანი მეფენი ქართველნი რომლის ტომისანი იყვნეს, ანუ ქართველნი რომელთა ნათესავთა უილნი ვართ“, სადაც ვახტანგზედაცაა საქმაოდ ვრცელი ლაპარაკი, კერძოდ მისი სიკვდილის შესახებ

როდის იქნა შემოღებული კათოლიკოზობა იბერიაში, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, როდის დაიყო იბერია ეპარქიებად? პროფ. ი. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ კათოლიკოზობის დაწესება მოხდა 472—484 წლებში: 472 წელს, როდესაც გარდაიცვალა შუშანიკი, ამბობს ის, მასთან სიკედილის წინ ციხეში მივიდა „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“, რაც „მთავარ ეპისკოპოსსა“ და არა „კათალიკოსს“ უდრის, მაშასადამე, ამ წელს კათოლიკოზობა ჯერ კიდევ არ ყოფილა დაწესებული; არ შეიძლება ის შემოღებული ყოფილიყო 484 წელზე უგვიანეს, ვინაიდან ვახტანგი ამ წელს სპარსეთს აუჯანყდა და, დამარცხების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში გადიხიზნა¹. თანახმად ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსის თქმულებისა კათოლიკოზობა შემოღებულია მაშინ, როდესაც ბიზანტიაში კეისარი ლეონ დიდი მეფობდა, მაშასადამე, 457—474 წლებში. იმავე ისტორიკოსის დახმარებით, რამდენადაც მის თქმულებაში სინამდვილის მონაგონარი გვაქვს, შეიძლება უფრო ზედმიწევნით განისაზღვროს ამ ფაქტის თარიღი; გამოსავალ წერტილად უნდა ავიღოთ ისტორიკოსის შემდეგი მოთხრობა: როდესაც ვახტანგი 22 წლისა იყო, ის სპარსეთის მეფე ჰორმიზ დასთან (457—458) ერთად იწყებს ბერძნების წინააღმდეგ ომს², რომელიც მთავრდება იმით, რომ ვახტანგი, სარწმუნოებრივი მოსაზრებით, კეისრის მხარეზე გადადის. „მეფემან სპარსთამან ვითარცა ცნა, ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძ, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა, და დაჯდა მეფედ ძე (უნდა იყოს „ძმაჲ“) მისი“³. მაშასადამე, 458 წელს, როდესაც გარდაიცვალა ჰორმიზი და ტახტზე ავიდა პეროზი, ვახტანგი 22 წლისა ყოფილა, აქედან—დაბადებულა ის 458—22 = 436 წელს⁴. პეროზმა თავისი გამეფების მესამე, ესე იგი 460 წელს (458—460),

ნათქვამია, რომ ის „მოიკლა სპარსთა ბრძოლას შინა მონაყოფილისა ვისგანმე მისისა ზაკუითა“ (გვ. 48). არსენის დასახელებული შრომა, როგორც ეს მე ვრთხელ უკვე აღვნიშნე (ქართული ლიტერ. ისტორია I, 320), შემდეგში ვილაყის თავის მხრივ გადაუყურებია: ზოგ ადგილას შეუმოკლებია, ზოგან განუერთია და მიუტია ახალი რედაქცია, რომლის სამი ნუსხაა დღესდღეობით ცნობილი. ვინაიდან არსენის მეტაფრასტული შრომა მეთორმეტე საუკუნის ნახევრისაა, თავისთავად იგულისხმება, მისგან გამომოკლებული რედაქცია უფრო გვიანი, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს მეცამეტე საუკუნისა, უნდა იყოს. და აი ეს, მე-13 საუკუნეში მეტაფრასტული გზით წარმოშობილი, ცნობა ეგრეთწოდებულის ჯუანშერის წინადაწინდელ, მერვე სუკუნის (ს. კაკაბაძით) ცნობადაა გასაღებული!

¹) ქართველი ერის ისტორია I, გვ. 320.

²) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 136—137.

³) იქვე გვ. 158.

⁴) თუ ვახტანგი 436 წელს დაიბადა, ჰენე შეგვიძლია ვთქვათ, რომ: 1) ათის წლისას (მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება გვ. 123), 446 წელს, საბერძნეთიდან მოუყვანია მიქაელ ეპისკოპოსი; 2) „ვითარ იქნა წლისა თორმეტისა“, „დაჯდა საყდართა ზედა მალათია“ (გვ. 125.) ესე იგი 448 წ. ვამეფებულა; 3) 496 წელს გარდაცვიოლა, ვინაიდან სიკვდილის უამს ის მიწვეწულ იყო ვითარ „სამეოცისა წლისა“ (გვ. 180); 4) მისი მამა მირდატი გამეფებულა 432 წელს ვინაიდან, ვახტანგი მას დაებადა გამეფებიდან მეოთხე წელს (გვ. 121); აქედან—მირდატის მამას არჩილს, რომელიც იყო ძმა პეტრე მთიუმელის პაპის, დიდი ბაქურისა, უმეფნია მხოლოდ 432 წლამდე. 496 წელს, როდესაც ვახტანგი გარდაიცვალა, ბიზანტიას „აღმოსავლეთის დიოცეზში“ მართლაც ჰქონდა სპარსეთზე ომი: ეს ჩანს ერთი ანონიმური თხზულებიდან, რომელიც ფსევდოდონისეს ქრონიკაში ყოფილა მოთავსებული 796 წლის (სელევკიდების ერა) ქვეშ. ეს თხზულება, რომელიც დაწერილია 507 წელს (Р а и т, История сирійской литерат., стр., 55), დაწერი-

ვახტანგს გამოუცხადა ომი¹, რომლის გათავების შემდეგ შეერთებული ძალები სპარსეთისა, ბიზანტიისა და იბერიისა იწყებენ ხანგრძლივ ომს ჰინდ-სინდ-ჰაბაშთა წინააღმდეგ²; ამ შემთხვევაში, როგორც აკად. მ. ბროსემაც აღნიშნა თავის დროს³, ჩვენ გვესმის ყურ გამოძახილი პეროზის ხანგრძლივი ომებისა ჰეფთალიტ-ჰუნების წინააღმდეგ, რომელთა ერთი პერიოდიც 466 წლის ომერაციით დამთავრდა⁴. აღნიშნულ ომებიდან ვახტანგი ბრუნდება მართლაც შვიდი წლის შემდეგ⁵, ესე იგი 467 წელს (460—467), და აარსებს კათოლიკოზობას, ასე რომ კათოლიკოზობა ვახტანგს 467 წელს შემოუღია. ამ თარიღს ვერ შეარყევს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ 472 წელს იბერიის ეკლესიის სათავეში იღგა არა კათოლიკოზი, არამედ „თავი ეპისკოპოსთაჲ“, ესე იგი—მთავარეპისკოპოზი. საქმე ისაა, რომ „თავი ეპისკოპოსთაჲ“ არის, როგორც თვით ი. ჯავახიშვილიც ამბობს⁶, იგივე „მთავარეპისკოპოზი“; ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ იბერიის ეკლესიის ეპარქიებად დაყოფისა და ამის შედეგად კათოლიკოზობის შემოღებამდე, ჩვენში „მთავარეპისკოპოზი“ არ ყოფილა, ზოგიერთი ძველი კი, მაგალითად, იგივე ვახტანგის ისტორია⁷, „ეპისკოპოსთა მთავრად“ კათოლიკოსს გულისხმობენ, მით უმეტეს, რომ „კათოლიკოზი“ არის ადმინისტრატიული და არა იერარქიული ტერმინი, იერარქიულად კათოლიკოზი ყოველთვის „მთავარეპისკოპოზი“ იყო. მაშასადამე, შუშანიკის გარდაცვალებისას, 474 წელს⁸, ეპისკოპოზთა თავად, ესე იგი კათოლიკოზად ყოფილა სამოელი. ეს ის სამოელ მონაზონია, რომელიც ვახტანგის ისტორიაში პეტრე მღვდელთან ერთად გვხვდება⁹ და, რომელიც ეპისკოპოზად იქმნა ხელდასხმული მაშინ, როდესაც პეტრე მღვდელი კათოლიკოზად აკურთხეს¹⁰. და რომ კათოლიკოზობა ყოველ შემთხვევაში 468 წელზე ადრეა შემოღებული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 468 წლის 8 იანვარს, როდესაც ვასქენ პიტიახშმა პირველად სცემა თავის მეუღლეს შუშანიკს¹¹, ეს სამოელი უკვე ეპისკოპოზია და „იღვწის და ნუგეშინისსცემს“ მას¹². თუ 474 წელს სამოელის სახით მეორე კათოლიკოზი იჯდა იბერიაში, პირველი, პეტრე, უეპეელია, უფრო ადრე უნდა გამხდარიყო კათოლიკოზად.

ლებით ავეიწერს სპარსეთის ომებს დასახელებულ დიოცეზში 495—507 წლებში (Продъ. А. Дьяконов, Иоанн Ефесский и его церковно-исторические труды, стр. 227, Петерб. 1908 г.).

¹) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა გვ. 158.

²) იქვე გვ. 165—6.

³) Histoire de la Géorgie I. 189 n. 2.

⁴) Lebeau, Histoire du Bas-Empire, VI, 439—444, 459—461.

⁵) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 176.

⁶) ქართველი ერის ისტორია I³, გვ. 320.

⁷) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 147, სტრიქ. 15—20.

⁸) და არა 472 წელს, იხ. ჩემი—ქართული ლიტერატურის ისტორია I, 123.

⁹) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 142—148.

¹⁰) იქვე, გვ. 176—178.

¹¹) ქ. კეკელიძე, ქართულ. ლიტერ. ისტორია I, 123.

¹²) წამება წმ. შუშანიკისა, გვ. 9, ს. გორგაძის გამოცემა.

ერთერთი კათოლიკოზის, საბას, შესახებ, რომლის მამათმთავრობა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მოდიოდეს, ვახტანგის ისტორიკოსი შენიშნავს: „აქაჲთგან არლარა მოიყვანებდეს ქათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასდებოდეს წარჩინებულთა ნათესაეთანიო“¹. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამასთან დაკავშირებით გვაძლევს შემდეგს საყურადღებო ცნობას: „და კათალიკოზი იყო საბა². მკვდრი მცხეთელი. და აქაჲთგან ორთა სახლთა³ აღიღეს⁴ კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკვდრთა“; ამ ცნობით საბა თითქოს უკანასკნელი, საბერძნეთიდან მოსული, კათალიკოზი იყო, მის შემდეგ ეკლესიის თავად უკვე ქართველები სხდებოდენ, წარჩინებულ ნათესაეთა ან გვართაგან, კერძოდ კათალიკოზობა ორს სახლში ან გვარში დამკვიდრებულია. აქ, პირველ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იერარქიულ თანამდებობას ძველს იბერიაშიც, როგორც მეზობელს სომხეთში⁵, მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონია, კათალიკოზობა, სხვათა შორის, ორი გვარის პრივილეგიად გადაქცეულა გარკვეულ ხანაში. სანამ ჩვენში ცოლოსანი ეპისკოპატი იყო, რაც მარტინეშიცაა დამოწმებული⁶, ეს მემკვიდრეობა იქნებოდა პირდაპირი, მამიდან შვილზე, — ასეთი მოვლენის გამოძახილი ჩვენში უახლოეს საუკუნებამდე გვემის, ყოველ შემთხვევაში დაბალი სამღვდელოების შესახებ. ხოლო, როდესაც ცოლოსანი ეპისკოპატი არ არსებობდა, მაშინ იერარქიული მემკვიდრეობა არაპირდაპირი, საგვარო, უნდა ყოფილიყო, არა მამიდან შვილზე, არამედ იმავე გვარის სხვა წევრზე. ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსის გადმოცემით, კათალიკოსატში ორგვარიანობის დამყარება მომხდარა მაშინ, როდესაც იბერია სპარსელებს აუხორციელათ, ან, უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, — როდესაც მათ შეფომა გაუუქმებიათ აქ, იბერიაში. „მიერიდან განიყუნეს ნათესაენი ვახტანგისანი“, ამბობს ისტორიკოსი, „რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმსახურებდეს სპარსთა, შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“⁷. საქმე ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მეფობის გაუქმების შემდეგ იბერიაში ორი პარტია შექმნილა: ელინოფილური და სპარსოფილური; იმისდა მიხედვით, თუ რომელი პარტიის გავლენა სპარსობდა ამათუიმ დროს, კათალიკოზიც ამ პარტიიდან ინიშნებოდა. ეს ფაქტი ჩვენ გვაგონებს სომხეთში IV-V საუკ. შექმნილ მდგომარეობას, როდესაც ეკლესიის თავს აქაც ორი სახლი ან გვარი იძლეოდა: გრიგოლისა და ალბიანესი; ეკლესიის თავი აქაც იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური გავლენა სპარსობდა, ბიზანტიური თუ სპარსული⁸: გრიგოლიდები გამოდიოდენ

¹) ქართლის ცხოვრება მარიაჲ დედოფლისა, გვ. 187.

²) შატბერდულ ვარიანტში შეცთომით — „დასაბია“.

³) კელიშურ ვარიანტში ქარაგმის არასისწორით გახსნის გამო სწერია „ორთა სხუთა“.

⁴) კელიშურ ვარიანტში — „დაიყრეს“.

⁵) ტრულის კრების კანონი 33. Н. А. Д о н ц. Армения в эпоху Юстиниана, стр.

⁶) Е. Такайшвили, Описание II, 727. მართლაც, მემარტიანე ცოლოსან კათოლიკოსების სიას საბას წინა და მომდევნო კათალიკოზებით (თაფთიჩგ, ველაღე) იწყებს.

⁷) ქართლის ცხოვრება მარიაჲ დედოფლისა, გვ. 187.

⁸) Н. А. Д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 352—353.

ბიზანტიის პოლიტიკის მომხრედ, ალბიანილები კი სპარსეთისა. სანამდე გასტანა ასეთმა მდგომარეობამ იბერიაში, დანამდვილებით არ ვიცით, შესაძლებელი კია ვიფიქროთ, რომ ან ბაგრატიონთა გვარის გაერისმთავრებამდე, ან და ირაკლი კეისრის ომებამდე კავკასიაში. ვინ იცის, იქნება კირიონ კათოლიკოზი, აშკარა მომხრე და გამტარებელი იბერიაში ბიზანტიური კულტურული გავლენისა, იყო ის პიროვნება, რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა მეორე, სპარსული კულტურისა და გავლენის მომხრე პარტია! ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია, რომ ვალაშქრება მისი სომხეთის ეკლესიის წინააღმდეგ გამომდახილი იყო არსებითად საპარსოფილური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლისა, ვინაიდან სომხეთის ეკლესია გამოდიოდა ამ დროს ბიარახტრად სპარსული კულტურულ-პოლიტიკური გავლენისა. ალბათ გაბრიელი, მცხეთის კათოლიკოზი 506 წლის კრებაზე ქალ. დეინში, ერთადერთი კათოლიკოზი არაა, რომელიც ჩვენს მემკვიდრეებს არ მოუხსენებია, შეიძლება შეგნებულადაც, როგორც მკვეთრი გამომხატველი და წარმომადგენელი ისტორიულად დამოძილის სპარსოფილური პარტიისა.

IV.

მეთხე საუკუნის ნახევარში, 355-6 წლებში¹, წარმოშობილმა იბერიის ეკლესიამ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც დაეინახეთ, მიიღო გარკვეული ორგანიზაცია, ის დაიყო ცალკე ეპარქიებად, ეპარქიებს განაგებენ

¹) იმ მოსაზრებებთან ერთად, რომელთა გამო მე ვამტკიცებ, რომ იბერთა მოქცევის ადგილი ჰქონდა 355-6 წლებში, კონსტანტინე დიდის შვილის კონსტანტის დროს, დასახლებული მაქვს მზის დაბნელების ფაქტი, როგორც საბაბი იბერთა მეფის მოქცევისა (ქართულთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმოხილველი. გვ. 38-40). პროფ. ივ. ჯავახიშვილი მა განაცხადა, რომ ეს საბუთიანობა შეცთომანხე დამყარებული, რადგანაც, გელასი კესარიელისა და სხვა ისტორიკოსთა თვშულებით, ამ შემთხვევაში მზის დაბნელება კი არ მომხდარა, არამედ ბ შ ი რ ი ბ რ უ ს ი უ ლ ა ო (ქართველი ერის ისტორია I², გვ. 207-208). მგონია, რომ უფრო ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა უნდა იყოს შეცთომანხე დამყარებული. მას გელასი კესარიელის სიტყვები არც მთლიანად მოჰყავს და არც ნაწილი მათი მნიშვნელობით; ასე, მაგალითად, *თარჯ ქაისნჯაი* ნიშნავს არა „ზორ ბურუსს“, არამედ უკუნს, წყვილად ბნელს (შეად. გამოსლ. X, 22), არც ერთს ლექსიკონში *თარჯ-ს ბურუსს* არ უდრის, არამედ, უცხო სიტყვები რომ ვიხმართ, Finsterniss, Dunkel, darkness, тьма, мрак, темнота, иочь. არსაიდან არა ჩანს, რომ გელასის მთარგმნელს რუფინოზსაც „ბურუსად“ ჰქონდეს გაგებული ეს ადგილი, როგორც ი. ჯავა—ლი ამბობს (გვ. 208): სიტყვები *obscurari densissimi tenebris dieni* და *densissima obscuritate* „ბურუსის“ ცნებას არ შერცავს. რაც შეეხება სხვა ისტორიკოსებს, რომელნიც. უშუალოდ თუ რუფინოზის მეშვეობით, გელასიზე არიან დამოკიდებულნი, სოკრატე ხმარობს სიტყვას *θῆλιχ*, მაგრამ იქვე უმატებს: *თარჯი ზე რაიხ; სოძომენნი სი ძეკრე აღნიშნავს იმასვე, რასაც თარჯი, იშვიათ შემთხვევაში აგრეთვე „ბურუსსაც“ (Nebel, tyman); ეს ძეკრე, რომელმაც, სოძომენის სიტყვით, დაფარა რე იანჯაიო აჯი რე რეკოი, იყო ანგ რე βελεία χα! თარჯი რაიხ; თეოდორიტეს რეკრე ნიშნავს არა „ბურუსს“, არამედ Finsterniss, Dunkel, Schatten, darkness, тьма, мрак, тьма, иочь. მოსე ხორენელი სიტყვებრიც (II, 86) ხაზს უსვამენ არა „ბურუსს“, არამედ იმ საშინელ უკუნს, წყვილად ბნელს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ. ჩამოთვლილი ისტორიკოსებისაგან სოძომენი უნდა გამორჩილოს, ვინაიდან მისი ძეკრე, როგორც ვთქვი, აღნიშნავს „ბურუსსაც“ და „ბნელს, ღამეს, უკუნსაც“; უნდა გამორჩიებულ იქმნეს აგრეთვე მოსე ხორენელიც, რადგანაც ის, როგორც ცნობილია, სოკრატეზეა დამოკიდებული; დანარჩენთაგან გელასი, რუფინოზი და თეოდორიტე ლაპარაკობენ დღამება-ჩა-*

ეპისკოპოზნი, ეპისკოპოზებს კი კათოლიკოზი. ეხლა უნდა დაისყვას ასეთი საკითხი: რა დამოკიდებულება ჰქონდა იბერიის ეკლესიას ამ დროს სხვა ეკლესიებთან, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორი იყო მისი საეკლესიათაშორისო მდგომარეობა?

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ იბერიის ეკლესია მაშინ აღმოცენდა, როდესაც მსოფლიო ეკლესიის ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო, ეს მეოთხე მსოფლიო კრებაზე მოხდა, მაშინ, მეოთხე საუკუნის ნახევარში, მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა ამ საქმეს, ამიტომ ცალ-ცალკე საეკლესიო ერთეულები, უფრო კი იმპერიის გარეშე, ეგრეთწოდებულ „ბარბაროზთა“ შორის, განაგრძობდნენ არსებობას ჯერ კიდევ „ძველად მიღებულ ჩვეულებათა“ მიხედვით (II მსოფ. კრების 2 კანონი). ამ „ჩვეულებათა“ ძალით, როდესაც ერთი რომელიმე ერი მეორისაგან ქრისტიანობას მიიღებდა, საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმეებში მის ხელმძღვანელობის ქვეშ რჩებოდა, სანამ თვით ამ ერში არ შეიქმნებოდა ისეთი პირობები, რომელნიც შესაძლებლად გახდიდნენ აქ დამოუკიდებელს, უმპრინციველს ცხოვრებას. ასე უნდა მომხდარიყო უეპქველად იბერიაშიც.

მობნელებაზე საზოგადოდ მისი მიზეზის აღუნიშნველად; მხოლოდ სოკრატეა, რომელიც ამ დღეებზე-ჩამობნელების მიზეზად თითქოს მართლაც „ბურუსს“ ასახელებს, მაგრამ ეს მისი პირადი ფანტაზიის ნაყოფია, ვინაიდან იბერთა მოქცევის ისტორიაში ის თავის წყაროდ რუფინოზს ასახელებს, რუფინოზი კი, როგორც დავინახეთ, „ბურუსზე“ არაფერს ამბობს. დაუშვათ ერთი წუთით, რომ ამ დაღამება-დაბნელების მიზეზად არა მართო სოკრატე, არამედ დანარჩენი ისტორიკოსებიც „ბურუსს“ ასახელებენ: ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მზის დაბნელების მოვლენას მართლაც არ ჰქონია ადგილი: მეოთხე-მეხუთე საუკუნეთა ბიზანტიელი ისტორიკოსები მეცნიერი ასტრონომები არ ყოფილან, რომ დაღამება-დაბნელების ასტრონომიული მიზეზი ეჩვენებიათ, მაშინ დაღამება-დაბნელების მიზეზად არამც თუ „ბურუსს“, პირდაპირ ზღაპრულ, მითიურ ამბებს უჩვენებდნენ. ამნაირად, გელასი კესარიელის *აჯარჯ* უეპქველად, მზის დაბნელებას ჰგულისხმობს, მით უმეტეს, რომ საღმრთო წერილში, რომლის სტილის დაცვას სცდილობენ საეკლესიო ისტორიკოსნი, ანალოგიური გამოთქმა სწორედ მზის დაბნელებას აღნიშნავს; მაგალითად, მზის დაბნელება 784 წლის 9 თებერვლისა ქრისტეს წინ აღნიშნულია სიტყვებით: *საჰაჯარჯაჲს ეჲ: ორჯ ღვ ჟამჲჲ ზა ჳაჲ: (ამოსი VIII, 9), დაბნელება 716 წლის 5 ივნისისა ქ. წ. გადმოცემულია ასე: საჰაჯარჯაჲს ეჲ: მანარჯაჲ ორჯამჲჲ (მიქეა III, 6); მზის დაბნელება, რომელსაც ადგილი ჰქონია იესო ნაზარეტელის ჯვარცმისას, ასეა აღნიშნული: *საჯარჯ ეყჷვეთ ეჲ: ორჯაჲ ორჯ ორჯ (მათ. XXVII 45, მარ. XV, 33, ლუკ. XXIII, 24)*. ჩვენს მემბრტანეთსაც ასე გაუგიათ ეს ადგილი, ვინაიდან ისინი ამბობენ: „შუა სამაარ ოდენ დაბნელდა მათ ზედა მზე და იქმნა ღამე, ბნელი უკუნი, და დაიკურნა ბნელმან არენი და ადგილინი“ ი.ე. თაყაიშვილის *Описание II, 772*, მისივე—ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 90). ს. კაკაბაძე ახალ თავის შრომაში იძლევა იბერთა მოქცევის ახალს კონცეფციას (საისტორიო კრებული II, 1—9). ის მთლიანად ეყრდნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—ს ქრონიკას, რომელსაც, სხვა, უხეო და ქართულ, წყაროებთან შედარებით, მისთვის მეტი ნიშნავლობა ჰქონია სწორედ იმით, რაც ამ ქრონიკაში, უნდა შევნიშნო. ყველაზე მეტად უტეხს სახელს, სახელდობრ—მასში მოცემული ქრონოლოგიური თარიღებით (გვ. 1). ამ ქრონიკაში შენახულია „ერთი“ ქრონოლოგიური ცნობა, რომელიც იძლევა თუმცა „მტკიცე საფუძველს ქრისტიანობის ქართლში დამყარების თარიღის გასარკვევად“, სახელდობრ, აქ გამოანგარიშებულია, რომ ნინო ქართლში მოსულა 303—304 წელს (გვ. 4). რადგანაც იმავე ქრონიკაში ნათქვამია, რომ ნინომ მეფეს არწმუნა მეშვიდე წელს, მირიანის მოქცევის თარიღად ავტორს მიუძღნევია 311 წელი (გვ. 8), თუმცა მირიანს, ამბობს ის, მანამდეც სწამდა ფარულად ქრისტე, მხოლოდ პასუხისგების თავიდან ასაცილებლად უცდიდა“*

ჩვენს საისტორიო მწერლობაში იბერიის საეკლესიათაშორისო მდგომარეობის შესახებ ასეთი აზრია: ქრისტიანობის მიღებიდანვე იბერიის ეკლესია სხვა ეკლესიას დაემორჩილა და თანდათან, საუკუნეთა განმავლობაში, ის თავისუფლებას პოულობდა. ვის ემორჩილებოდა ის?

ერთი შეხედულებით, რომლის მკვეთრი გამოხატველიც ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსია, იბერიის ეკლესია იმთავითვე კონსტანტინეპოლის ეკლესიას დაემორჩილა, ვინაიდან ქრისტიანობა მან საბერძნეთიდან მიიღო. მეორე შეხედულებით, თუმცა იბერებმა ქრისტიანობა საბერძნეთიდან მიიღეს, მაგრამ ეკლესიურად ისინი, ბიზანტიის იმპერატორისა და სამღვდლოების თანხმობით, ანტიოქიის პატრიარქს დაემორჩილენ, რადგანაც, საეკლესიო კანონებით, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი, მაშასადამე იბერიაც, მისს სამწყსოს შეადგენდა. ანტიოქიის პატრიარქი მიქაელი, რომელმაც მე-15 საუკუნეში აფხაზეთის კათოლიკოსად აკურთხა იოაკიმე, ამბობს: „პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათოლიკოზნი ანდიოზისა (ანტიოქიისა) პატრიარქთაგან იკურთხებოდნაო“ (თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, 294, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მცნება სარჯულო, გვ. 4). ამ აზრს იზიარებდნენ როგორც ქართველები, ისე ბერძნებიც და ყველაზე მეტად ანტიოქელები. ანტიოქიაში, როგორც ვთქვით უკვე, ძველიდანვე შეუთხზავთ თქმულება იმის შესახებ, რომ იბერიაში კონსტანტინე კეისარმა გაგზავნა თვით ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აქ საეკლესიო ორგანიზაციასო. მესამე შეხედულებით, იბერიის ეკლესია იმთავითვე სომხეთის ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა და მას ექვემდებარებოდა (იხ. ს. გ ო რ გ ა ძ ე, საქართვე. ეკლესია და მისი დასაწყისი, მოამბე 1905, V, 1-30).

(გვ. 6) 311 წლის საიმპერატორო დეკრეტის გამოცემასო (თითქოს მისი გამოცემა წინასწარ იყო განსაზღვრული და დადგენილი!): ქრისტიანობის ქართლში საბოლოოდ განმარტყვება შეიძლება ერთი „პრობლემატური“ ცნობის მიხედვით 330—333 წელს მიუკუთვნოსო (გვ. 8). რამდენად „მტკიცე საფუძველზე“ აგებული ჩვენი ავტორის ახალი გამოკვლევა, იქიდანაცა ჩანს. რომ „პრობლემატური ცნობა“ მას მიაჩნია „მტკიცე საფუძველად“ საძიებელი საკითხის გამორკვევისათვის; მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნინოს ქართლში მოსვლის თარიღის, რომელსაც ის გამოსავალ წერტილად იღებს, ქრონიკა იძლევა არა ერთს, არამედ ოთხს: 1) $310 + 10 + 4 = 324$, 2) $310 + 10 + 5 = 325$, 3) $338 - 15 = 323$. 4) $338 - 35 = 303$ (Списание И., 710—711, 718), არას ვამბობ შატბერდულ-კელიშვირი „ცხოვრების“ შესახებ, სადაც მოცემულია $317 + 1 = 318$ ქრისტესით, რომელიც თითქოს უდრის 5444 წელს დასაბამითგან, და $33 + 311 + 14 = 358$ ქრისტესით (ibid. 746, 760). სად არის „მტკიცე საფუძველი“ თარიღების ასეთი აღრვევისა, რაღა მაინცადამაინც 303 წელზე შეჩერებულა ს. კაკაბაძე? იმითომ, რომ ნინოს ქართლისაკენ გამოქცევის ის უკუემიგრების დეოკლიტიანეს 303 წლის დევნულებს (გვ. 5). მაგრამ ისტორიული კემპარობების მიძიებელი თუ კიდევ მონიღომებს ამ ლეგენდაზე დაყრდნობას, იმას უნდა ახსოვდეს, რომ, ლეგენდით, ნინო და მისი ამხანაგები საბერძნეთიდან გამოიქცენ არა 303 წლის დევნულების, არამედ დეოკლიტიანეს მიერ საცილოს ძებნის გამო, რასაც ადგილი ჰქონია, იმავე ლეგენდით, მისი გამეფების პირველსავე, 284, წელს. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რომელიც ჩემს მონოგრაფიას მისთვის ჩვეულებრივი მეთოდით „აკრიტიკებს“ (საისტორიო კრებული I, 129—136). ვერ გარკვეულა ვერც ჩემს ნათქვამში და ვერც პროფ. გ. ბ ო ლ ო ვ ი ს რ თულს არგუმენტაციამ ვითოპულთა მოქცევის თარიღის შესახებ და მაწერს იმას, რაც დამახასიათებელია მთელი მისი სამეცნიერო კვლევა-ძიებისა, სახელდობრ—„წინადადებული აზრით“ შედგენას ამათჟიმ დებულებისას (საისტორიო კრებული, I, გვ. 133—135); სწორედ ამას უწოდება „ჩემი შენ ვითარობა, გული მოგიკალიო“.

მიუღებელია ის აზრი, ვითომც იბერები კონსტანტინეპოლის ეკლესიას დაექვემდებარენ, ვინაიდან იმ დროს, როდესაც იბერებმა ქრისტიანობა მიიღეს, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არც კი არსებობდა, ის ისახება მეოთხე საუკუნის გასულს, მეორე მსოფლიო კრების შემდეგ, და საბოლოოდ ჩამოყალიბდება მეხუთე საუკუნის ნახევარში, მეოთხე მსოფლიო კრებაზე; მანამდე კი კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზი თვითონ ემორჩილებოდა პერაკლიის მიტროპოლიტს მცირე აზიაში. რაც შეეხება მეორესა და მესამე შეხედულებას, მთლიანად არც ერთია მართალი და არც მეორე, თუმცა ნაწილობრივ ერთიც შეიცავს ისტორიულ სიმართლეს და მეორეც. ეკვი არაა, რომ მეშვიდე საუკუნემდის იბერიის ეკლესიას უშუალო დამოკიდებულებითი კავშირი ანტიოქიასთან არ ჰქონია; არც ერთი სანდო ცნობა და წყარო არ მოიპოვება ისეთი, რომელიც ადასტურებდეს ასეთს კავშირს. მართალია, ასეთი თქმულებები არსებობს, მაგალითად ვესტათი ანტიოქელისა და ვახტანგ გორგასლანის დროის შესახებ, მაგრამ ეს არის გამოძახილი მერმინდელი კავშირისა და არა თავდაპირველისა. მეშვიდე საუკუნიდან კი იბერიის ეკლესიის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ აუცილებელი შეიქმნა ასეთი კავშირი, რომელიც შეწყდა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში, თუმცა ანტიოქიის პატრიარქები მერც არ უშვებდნენ ხელიდან იმ ძაფს, რომელიც აერთებდა მათთან იბერიას. მეორე მხრივ, ეკვიმუტანელია ისიც, რომ თავდაპირველად, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში, იბერიას სომხებთან ჰქონდა როგორც კულტურული, ისე იერარქიული კავშირი, რომელიც შეწყდა მეშვიდე საუკუნის დამდეგს.

ჩვენ უკვე შევეცადეთ გაგვერკვია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა პირველყოფისა და მკვიდრად ეგრეთწოდებულს გოგარენე-გუგარქში, რომელიც მაშინ პოლიტიკურად სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული და, როგორც ასეთი, იგულისხმება, ეკლესიურადაც სომხეთს ეკუთვნოდა¹. აქედან

¹) ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმოხილვ. ე. ლ. ი. 1, 14—15; პროფ. ი. ჯავახიშვილი უარყოფს ჩემს მოსაზრებას (ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, გვ. 13—18) ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ქართლისა (გოგარენე-გუგარქი) და იბერიის (ჭერეთი) შესახებ და ამბობს: სომხები ღორეს მდლობსა და ველს, ე. ი. გოგარეთის თემს, „ერაც დაშტ“-ს ანუ ვრაცთა მიწიდან უწოდებენ, მაშასადამე, სომეხთა „ვირქი“ ჰქრეთს კი არ უდრიდა, არამედ გოგარეთს ანუ ქართლის თემს. ქართლის ი პიტიახში ბერძნულად ითარგმნებოდა „პიტაკესი იბერონ“, სომხურად კი „ბდუშხ ვრაც“, ე. ი. ქართლის უდრიდა ბერძნულად „იბერეს“ და სომხურად „ვირქი“ და არა გოგარენე-გუგარქით (ქართველი ერის ისტორია I, გვ. 191). მეხუთე საუკუნის ისეთი ძველიდან, როგორცია იაკობ ხუცის „მარტვლობა შუშანიკისა“, განაგრძობს ის, სადაც მოთხრობილია ჭერეთის მთავრის ვახტანგის ამბავი, ჩანს, რომ ჭერეთი ქართლის ან იბერიის სამეფოს უკიდურესი სამხრეთი თემი იყო; სამხრეთიდან საქართველოში მომავალი პირველად სწორედ ჭერეთის მოადგებოდა, როგორც, მაგალითად, სპარსთა სამეფო კარიდან წამოსული ქართლის პიტიახში ვახტანგი „ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა ჭერეთისასა“ შევიდა პირველად, სანამ ცურტავს მიახვედა (გვ. 192). ყველაფერი ეს საყურადღებო იქნებოდა, ივ. ჯავახიშვილს რომ დაემტკიცებინა ამასთანავე, რომ გუგარეთის თემი „ერაც დაშტად“, ხოლო ქართლის ი პიტიახში „ბდუშხ ვრაცად“ ანდა „პიტაკესი იბერონ“-ად იწოდებოდა მეოთხე საუკუნის ნახევარამდე, ვიდრე ქართლ-გუგარქი იბერიას შეუერთდებოდა; თუ აღნიშნული ნომენკლატურა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ქართლ-გუგარქი იბერიას შეუერთდა პოლიტიკურად და მის საკუთრებად

ქრისტიანობა გადმოვიდა იბერიაში, სადაც მას, ექვს გარეშეა, თან გადმოჰყვა საეკლესიო ცხოვრება და სამღვდელოებაც. ასე რომ გუგარქიდან გადმოტანილმა საეკლესიო-საქრისტიანო კულტურამ და სომხურ იერარქიაში შემავალმა სამღვდელოებამ იბერია ეკლესიურადაც დაუქავეშირა გუგარქს, რომელიც პოლიტიკურად უფრო ადრე გაერთიანდა იბერიასთან, და სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში მოაქცია. კულტურული კავშირი ამ ორ ეკლესიათა შორის ამ დროს ყველასათვის ნათელი და ცხადია. მართლაც, ჩვენ უკვე გვექონდა შემთხვევა აღგვეჩინა, რომ როგორც სომეხთა ეკლესიის წარმომადგენელი, ისე ქართველები, მეათე საუკუნემდე ერთობლივ უსკამდენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივ-დოღმატური ერთობა არსებობდა, რომ ეს ორი ერთი აღიარებდა „ერთსადამიშავე რჯულს“, რომელიც მოუტანა მათ გრიგოლ განმანათლებელმა. ეს იყო ურყევი რწმენა ორისავე ეკლესი-

იქცა, ის ჩემ წინააღმდეგ საბუთად არ გამოდგება. ყოველ შემთხვევაში, სომეხები რომ „ვირქ“-სა და „გუგარქ“-ს ერთმანეთში არ ჰრეედენ და „ვირქ“-ის საბელწოდებით „გუგარქ“-ს არ აღნიშნავდენ, ეს ჩანს თუგინდ სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათოლიკოსის თხზულებიდან, სადაც ნათქვამია, რომ კვირიონი ხელდასხმულ იქმნა „ურაც“ და „გუგარაც“ ეპისკოპოსად (ისტორია, გვ. 65, გამ. 1912 წ.); აქ „ურაც“ სულ სხვაა, სწორედ ის, რასაც მე „ჭერეთის“ ვუწოდებ, „გუგარაც“ კიდევ სხვაა, ის, რასაც მე „ქართლ-გუგარქს“ ვუძახი. იმ შეფეხვა დეშნაიის მარტვილობის დამოწმებას. კატეგორიულად უნდა განვცახადო, რომ ვახრქენი იყო ქართლისა და არა ჰერეთის პიტიახნი; არსაიდან, არც ერთი წყაროდან არა ჩანს, რომ ის ჰერეთის მთავარი იყო და მისი რეზიდენცია ცურტაი ჰერეთში მდებარეობდა (გვ. 343—350). საზღვადოდ ცნობილია „პიტიახნი ქართლისა“ (მაგ. ვესტათე მცხეთელის მარტვილობა, საქართველოს სსრ-ის ბეჭ. 315). რომლის სამფლობელოს შეადგენდა, მოსე ხორენცლისა და კორიუნის ცნობით, ტაშირი, ლეონტი მროველის გადმოცემით—„სამშვილითგან მიღმართ ქვეყანაა თავადმდე აბოცისა“ (მარიაშ დედოფლის ვარიანტი, გვ. 112). ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით პიტიახნი „მთავრობდა თრიალეთს, ტაშირსა და აბოცს“ (მარიაშ დედოფ. ვარ. გვ. 208). ყველა ეს ქვეყანა მოკცეული იყო გუგარქისა და არა ჰერეთის საზღვრებში, ამიტომ მოსე ხორენელი არშუშა პიტიახშს [ვარსკქენის მამას] „გუგარქის“ მთავარს უწოდებს (III, 60). მემეტრიანეც ადასტურებს, რომ ვარსკქენი „იყო სომხითს“ (მარიაშ დედოფ. ვარ. გვ. 188). იაკობ ხუციის სიტყვები—„ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა ჰერეთისასა“, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჰერეთი ქართლის (=გუგარქის) მოსაზღვრე ქვეყანა იყო. ამით აიხსნება იაკობ ხუციის სიტყვები, რომ, როდესაც ვარსკქენი საპიტიახშოდან „ჩორად წარემართა“, მას დაედევნა უკან მისი ძმა ჯოჯიკი და „საზღვართა ჰერეთისათა“ დაეწია მას (ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 13). იაკობ ხუციის არც იმას ამბობს, რომ ვარსკქენი ქართლ-გუგარქის მოსაზღვრე ჰერეთში „სამხრეთიდან“ შემოვიდა; ის გადმოგვცემს მხოლოდ შემდეგს: „იჯმნა მეფისა მისგან სპარსთასა პიტიახშმან და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა ჰერეთისასა, ზრახვა ყო“ აქ და გადაწყვიტა—გამოგზავნოს თავის სამფლობელოში მონა და აცნობოს თავისიანებს დაბრუნება თვის, რათა ისინი „თანამიეგებნენ მას“ (ს. გორგაძის გამოცემა გვ. 2). განა სპარსეთიდან მომავალი ადამიანი საქართველოში უეჭველად „სამხრეთის“ გზით უნდა შემოსულიყო, ნუ თუ მას არ შეეძლო, მაგალითად, აღმოსავლეთიდან,—კამბეჩოვან-კახეთ-იორის (=ჰერეთი) გზით შემოსულიყო? ეს რომ შესაძლებელი იყო, ამას თვით ი. ჯავ—ლიც ადასტურებს, როდესაც სხვა ადგილას, თანამხად მემეტრიანისა, ამბობს, რომ სპარსეთის ჯარი, ვახტანგ გორგასლანის დროს, აღმოსავლეთის გზით შემოვიდა საქართველოში (გვ. 268); მემეტრიანე პირდაპირ ამბობს, რომ ჰეროსის წილი, ჰერეთი, იყო „ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ“ (მარიაშ დედოფ. ვარიანტი, გვ. 2—3) და არა უკიდურესი სამხრეთი თემი იბერიისა.

ისა¹. მტკიცედ ჰქონდა გადგმული ფესვები მათ შორის მწიგნობრულს, ლიტერატურულ ერთობასაც, ყოველ შემთხვევაში სომეხ-ქართველთა ლიტერატურა ერთისა და იმავე კულტურული წყაროდან ლებულობდა საზრდოსა და დასაწყისს; პირველი ლიტერატურული ძეგლები ქართულ ენაზე უმთავრესად სომხურიდან ითარგმნებოდა. კირიონ კათოლიკოზი პირდაპირ სწერს აბრაამ კათოლიკოზს: ზოგი ქართველი ეპისკოპოზთაგანნი სომხეთში იყვნენ განსწავლულნი... თქვენნი და ჩვენნი მოძღვარნი ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობდენ, ერთმანეთისაგან სწავლობდენ და ერთმანეთს ასწავლიდნო (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 178). ეკლესიური წესწყობილება და ზნეჩვეულებაც იბერიასა და სომხეთში ერთი და იგივე ყოფილა, მაგალითად: მოძრავი ღღესასწაულები და კალენდარი, საერთო წმიდანები (შუშანიკი), საერთო მარხვები (არაჯგორი, ბალარჯობა), უძრავი ქვის ტრაპეზი, საქონლის მსხვერპლად შეწირვა, საერთო საღვთისმსახურო წესები და ერთიდაიგივე ტიბიკონი იერუსალიმის რედაქციისა² და სხვ. ეს კულტურულ-ეკლესიური ერთობა და თანხმობა მაჩვენებელია იმისა, რომ იერარქიულადაც ეს ორი ეკლესია დანათესავებულნი უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც გრიგოლ განმანათლებელი, მისი „ცხოვრების“ არაბული ვერსიით, არამც თუ ნათლავს იბერთა მეფეს, არამედ იბერიაში ეპისკოპოზის დასადგენად და საეკლესიო ცხოვრების გასამართავად ჰგზავნის მიტროპოლიტს იბირბხუას. ფავსტო ბიზინტიელის თქმით (წიგ. III), გრიგოლის უფროსი შვილი ერთანესი იყო ეპისკოპოსად იბერიისა და ალბანიისა³. ერთანესის შვილი გრიგორის იუსუკ კათოლიკოზის ხელით იკურთხა ეპისკოპოსად იბერიისა, სადაც მან მრავალი ეკლესია ააშენა და განაახლა. წმ. ნერსე უამითიყამად მოგზაურობდა „მოციქულის ნუნეს სამკვიდრებელში“, სადაც აფუძნებდა ეპარქიასა და მონასტრებს. საჰაკ კათალიკოზმა აკურთხა ეპისკოპოზად კორიუნი და გაგზავნა იბერიაში სარწმუნოების განსამტკიცებლად⁴. თვით კირიონ კათოლი-

¹) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, მე თითქოს ვამტკიცებ, რომ ქართლ-გუგარქში ქრისტიანობა მიღებული ყოფილა „გრიგოლ განმანათლებელის წყალობით“ და ამ გრიგოლს ქართველები „მეოთხე საუკუნიდან“ მოყოლობული თავიანთ განმანათლებლად სთვლიდენ; მაგრამ როგორ შეიძლება ეს, გვეკითხება ის, თუ გრიგოლს თვით მთელი სომხეთის გაქრისტიანებასთანაც კი არ ჰქონია კავშირი და ყოველ შემთხვევაში მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარამდე ასეთი კავშირი აღნიშნული არაა? (ქართველი ერის ისტორია I³, გვ. 194—196). ამგვარი რამ მე არსად არ მითქვამს, პირიქით მე ვამტკიცებ, რომ ქართლ-გუგარქში „ქრისტიანობა იმავე მისიონერებს უნდა გავერცხლებიოთ, რომელნიც მას სომხეთში ავრცელებდენ“ მესამე საუკუნის განმავლობაში (ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, გვ. 20), და, მას შემდეგ, რაც, სხვადასხვა ლეგენდების წყალობით, ეს მისიონერები გრიგოლის პიროვნებაში განსახიერებულან და გრიგოლი, პროვინციალური მისიონერიდან, მთელი სომხეთის განმანათლებლად აღუარებიათ, ის სომხეთის ფარგლებში მყოფ ქართლ-გუგარქის განმანათლებლადც იქმნა ცნობილი (იქვე, გვ. 47, 49). განა აქ ნათქვამია, რომ ეს „განსახიერება“ და მთელი სომხეთის განმანათლებლად „აღიარება“ მეოთხე საუკუნეში მოხდა ან მეოთხე საუკუნიდან დაიწყო?!

²) სომხურად გამოცხადებულია Rituale Armenorum, Oxford, 1905, ქართულად — ჩვენი Иерусалимский Канонарь VII в.

³) Langlois, Collection I, 219.

⁴) Ibid. 213, 214, II, 27, 162, 167.

კოზი, ისტორიკოსის იოანეს ცნობით¹, უკურთხებია და იბერიაში გამოუგზავნია სომეხთა კათოლიკოსს მოსეს. შეიძლება ამ თქმულებათა რეტალებში ექვო შევიტანოთ და სამართლიანად არ დავეთანხმოთ მათ, მაგრამ ის კი ექვს გარეშეა, რომ, როგორ ზღაპრულიც უნდა იყოს ეს თქმულებები, დედა აზრია მათი მართალია: იბერიის იერარქია პირველად სომხურ იერარქიაში ითვლებოდა. ერთს შემთხვევაში ამას არც ჩვენი მემპრიანე უარაყოფს, ის ამბობს, რომ თრდატ მეფის დროს მწყემსთმთავრად იბერიაში იყო სომეხთა კათოლიკოზის ნერსეს დიაკონი იობიო². საყურადღებო მასალას გვაწვდის ამ საკითხის გამოსარკვევად კირიონ კათოლიკოზისა და სომეხთა ეკლესიის წარმომადგენელთა შორის გამართული ცნობილი მიწერ-მოწერა. მიწერ-მოწერა დაკინებით უსვამს ხაზს იმ ერთობას, რომელიც თავიდანვე არსებობდა ქართველთა და სომეხთა შორის³; შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში აქ იგულისხმებოდეს ერთობა კულტურულ-სარწმუნოებრივი და არა იერარქიულ-კანონიკური, მაგრამ ის ხევე წინამდებარეა, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ სომეხთა იერარქების წერილებში, რათა ქართველებმა არ უღალატონ ამ ერთობასა და კავშირს, არ უარაყოფონ ის რჯული, რომელზედაც მტკიცედ იდგნენ მათი წინაპარნი, და შორს დაიკირონ თავი ნესტორიანობისა და ქალკედონიტებისაგან⁴, გვაგონებს გულშემმატივარი მშობლების სწავლა-დარიგებას შვილებისადმი, რომელნიც მათი მზრუნველობიდან არ გამოსულან ჯერ კიდევ. მნიშვნელოვანია აგრეთვე შეკითხვა-დატუქსების კილო სომეხთა იერარქის წერილებისა⁵ და ერთგვარი თავის მართლება კირიონისა⁶; მართლაც, რატომ ბერძნებს, მაგალითად, ანადა ბერძნების ქვეშევრდომ სომეხებს არ არიგებენ, არ სტუქსავენ და ანგარიშს არ სთხოვენ დეინის კათოლიკოზები, ნუ თუ მათ, ქართველებთან შედარებით, ნაკლები სიმპათიები გამოიჩინეს ქალკედონისტობისადმი? იმიტომ რომ მათ, დეინელებს, ამის უფლება არ ჰქონდათ, ვინაიდან მათი იურისდიქცია უკანასკნელებზე არ ვრცელდებოდა. აბრაამ კათოლიკოზი თავის პირველს ეპისტოლეში სწერს კირიონს: „ხოლო აწ აუცილებელ საპიროებად ვცანი მოგთხოვოთ თქვენ წერილობითი პასუხი“⁷ თქვენი საქციელისათვისო. როგორ, ერთი ეკლესიის თავი პასუხს სთხოვს მეორე, დამოუკიდებელი ეკლესიის თავს? ასეთი რამ ეკლესიის ისტორიამ არ იცის. შეიძლება ეს იყოს უტაქტობა, თავხედობა და წინდაუხედველობა დეინის იერარქისა! მაგრამ ასეთი მოთხოვნის კანონიერებას არ უარაყოფს თვით კირიონი, როდესაც ერთერთ საპასუხო წერილში ამბობს: „როდესაც კურთხეული მოსე (დეინის კათოლიკოზი) ცოცხალი იყო, ის მწერდა მე, რომ რიგიანი არ არის სარწმუნოებრივი კავშირის დაქერა ნესტორიანებთან; მე ვიცოდი, რომ ის მართალი იყო, ამიტომ, თანახმად მი-

¹) ისტორია, გვ. 65, გამოცემა 1912 წლ.

²) Е. Т а к а й ш в и л и, Описание II, 720; ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა გვ. 113.

³) ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 178-179, 138, 164, 169 და სხვ.

⁴) იქვე, გვ. 136, 138, 169 et cet.

⁵) იქვე, გვ. 164.

⁶) იქვე, გვ. 166, 167.

⁷) იქვე, გვ. 165.

სი ბ რ ძ ა ნ ე ბ ის ა, მე გაეძევე ისინი ჩვენი წრიდანა¹. სწორუფლებიან იერარქთა შორის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა, საეკლესიო კანონებითა და პრაქტიკით, შეუძლებელი და დაუშვებელია. ანადა იგივე კირიონი სწერს აბრაამს: „ჯერ იყო ჩემდა, რათა მოვსულიყავ და ლოცვა მეყო წმიდასა შინა ეკლესიისა თქვენსა და მიმელო თქვენგან ლოცვა-კურთხევა, ანუ წარმოვეღონა მოწაფენი ჩემნი მოღებად მოკითხვისა უწმიდესობისაგან თქვენისა“². ლოცვა-კურთხევის მიღება, ეკლესიურ-კანონიკური თვალსაზრისით, სუბორდინაციის მაჩვენებელია, ვინაიდან მოციქული კატეგორიულად ამბობს: „თვნიერ ყოვლისა ცილობისა უმცირესი იგი უმჯობესისაგან (აჲ აբε:ζαοεε) იკურთხევიან“ (ებრ. VII, 7).

იბერიის ეკლესიურად სომხეთზე დამოკიდებულებას არ უარპყოფს ქართველთა მეორე იდეური მებრძოლი, არსენ დიდი კათოლიკოზი, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ, როდესაც სომეხნი „განეშორნეს რჯულითა ბერძენთა და იპრუსალიმსა“, მაშინ „ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენეს კელდასხმასა მღვდელობისასა სომხეთაგანა“³. როგორც ვხედავთ, არსენი ხაზს უსვამს, რომ, სანამ სომხები კათოლიკე ეკლესიას ჩამოსცილდებოდნენ, იბერიის სამღვდლოება ხელდასხმას, ქიროტონიას, სომხეთაგან ღებულობდა, მაშასადამე, იერარქიულად ის სომხებზე იყო დამოკიდებული. თუ სომეხურ წყაროებს ჩვენ ეკვის თვალთ შევხედავთ და გადაქარბებულად ჩავთვლით, ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვებს ქართველი იდეური მებრძოლისას გვერდს ვერ აუვლით⁴. ამით აიხსნება, რომ პტოლემეოსის გეოგრაფიის სირიულ ვერსიაში ჩართულია შემდეგი ცნობა: „ჩრდილოეთის ქვეყანაში ხუთი მორწმუნე ერია... კათოლიკოზი მათი იმყოფება ღვინში, სპარსეთის სომხეთის დედაქალაქში“; ამ ხუთ მორწმუნე ერთა შორის დასახელებულია გურზანი ან იბერიაც⁵, რომელიც, მაშასადამე, ღვინის კათალიკოზს ემორჩილებოდა, თუ ცნობა ღვინის კათოლიკოზის შესახებ მართლაც სომხეთს მხოლოდ არ ჰგულისხმობს⁶.

ყველა ამ ცნობებიდან ჩვენ შეკვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: თავდაპირველად იბერიის ეკლესია შედიოდა სომხეთის ეკლესიის შემადგენლობაში, სომხეთა იერარქისაგან ღებულობდნენ ქიროტონიას ჯერ ეპისკოპოსები და მერე კათოლიკოსები იბერიისა. არჩევანი იბერიისა ეკლესიის თავისა ხდებოდა თვით იბერიაში; მაგალითად, სომხური წყაროებიდან ვიცით, რომ კირიონი კათოლიკოზად თვით ქართველებს აურჩევიათ. კათოლიკოზის მოსაყდრე ვრთანესი სწერს ცურტავის ეპ-ეპისკოპოსს მოსეს: „მე მივსწერ ქართლის მთავრებს და, თუ ღვთის ნება იქნება, ისინი მალე ახალ კათალიკოზს აირჩევენა“. აქ პირ-

¹) იქვე, გვ. 178.

²) იქვე, გვ. 167.

³) თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 328.

⁴) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ამბობს, რომ არსენს ამ სიტყვეზის დაწერისას ხელთა ჰქონია ტუნდუნციური სომხური ქალკედონისტური წყაროები (ქართველი ერის ისტორია I², გვ. 305, შენ.) და ამიტომ მათ თითქოს მნიშვნელობა არ ჰქონდეთ; მაგრამ იდეურად მებრძოლ, განათლებულ იერარქს იმდენი უნარი კი უნდა ჰქონოდა, რომ საგანგებოდ დაწერილს პოლემიკულ ტრაქტატში ტუნდუნციური და მისთვის არასათარგებლო სომხური ცნობა არ შეეტანა.

⁵) The Syriac Chronicle XII, p. 327-328, London, 1899.

⁶) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I², გვ. 301-302.

დაპირა ნათქვამი, რომ საკათოლიკოზო კანდიდატს ირჩევდნენ მეფე-მთავარნი და მოწმუნენი. მართალია, მიწურ-მოწურაში სომეხთა კათოლიკოზი იბერიის ეკლესიის თავს კათოლიკოზს ეძახის, მაგრამ ეს მათი სწორუფლებიანობის მაჩვენებელი არ არის¹; ტიტული „კათოლიკოზი“, როგორც უკვე აღენიშნეთ, არ არის მაჩვენებელი არც სწორუფლებიანობისა და თავისუფლებისა, არც დამოკიდებულებისა; არც ამ შემთხვევაში აქვს მას ვადამწყვეტი მნიშვნელობა.

V

სომეხთა ეკლესიის შემადგენლობაში იბერია მეშვიდე საუკუნის დამდეგამდე იმყოფებოდა; მეშვიდე საუკუნის დამდეგს, 609 წელს, ის საბოლოოდ ჩამოშორდა მას და ახალი გზა აირჩია თავისი განვითარებისა. ისტორიული მისია იბერიის ეკლესიის სომეხთაგან განთავისუფლებისა წილად ხედა კათოლიკოზს კირიონს, განათლებულს, მტკიცე ხასიათისა და ენერგიით აღსავსე კაცს. ნიადავი ქართველ-სომეხთა ეკლესიურად გათიშვას რამდენადმე მოუშადა იმ მოძრაობამ, რომელიც შეექვეს საუკუნის გასულს, იმპერატორი მავრიკის დროს, დაიწყო ბიზანტიასა და სომეხეთში. მავრიკი კეისარს მიზნად ჰქონდა დასახული, პოლიტიკური მოსაზრებით, მონოფიზიტების შეერთება იმპერიის მართლმადიდებლობასთან სომეხების საშუალებით. ამისთვის ის სომეხები, რომელნიც ცხოვრობდნენ 591 წლის ტრაქტატით ბიზანტიისათვის დათმობილს სპარსეთის ტერიტორიაზე, ეკლესიურადაც ჩამოაშორა მან ღვინს და საკუთარი, ღვინისაგან დამოუკიდებელი, კათოლიკოზი გაუჩინა მათ. ამავე მიზნით მან 597 წელს კონსტანტინეპოლში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც იმავე სომეხთა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. კირიონ კათოლიკოზის მოქმედება პირდაპირი გამოძახილია აღნიშნული უნიონალური მოძრაობისა, რომელსაც ის, როგორც ბიზანტიის მცირე აზიის პროვინციებში (ნიკოპოლი, კოლონი) აღზრდილი, კარგად იცნობდა და ჯეროვანადაც აფასებდა.

ჩვენ აქ აღარ დავიწყებთ ამ გათიშვის მიზეზთა შესახებ ლაპარაკს, რადგანაც ამ მიზეზების გარკვევას მიძღვნილი აქვს სპეციალური ექსკურსი პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილისა². შევჩერდებით მხოლოდ კირიონის ეგრეთწოდებულს პენტარქიულ შეხედულებაზე, რომელსაც მთავარი როლი უთამაშნია ამ განხეთქილების დროს და გარკვეული გეზი მიუცია იბერიის ეკლესიის შემდეგი ცხოვრებისათვის.

ბიზანტიაში შემუშავდა 'შეხედულება, ვითომც მსოფლიო კრებებმა მთელი საქრისტიანოსათვის ხუთი საპატრიარქო განაწესეს, რის გამოც თვითეული ქრისტიანი ერი, სადაც კი ცხოვრობს იგი, უნდა ექვემდებარებოდეს ეკლესიურად ერთერთს ამ ხუთ საპატრიარქოთაგანს; აქედან წარმოდგა ტერმინი პენტარქია. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი 869 წლის კრებაზე პირდაპირ ამბობს, რომ ხუთი საპატრიარქო ღვთისაგანაა დაწესებულიო, ზვიერინს

¹) И. Джавახов, История церковного разрыва между Грузией и Армениею, стр. 511.

²) История церковного разрыва между Грузией и Армениею в начале VII века; მისივე—ქართველი ერის ისტორია I, გვ. 350-359.

მიტროპოლიტი მიტროფანე ამავე კრებაზე ხუთს პატრიარქს უწოდებს ხუთ თავს, დიდ მნათობს, რომელიც ღმერთმა დაამყარა ცაზე, რათა მათ განანათლონ მთელი მსოფლიო, გაყონ დღე ღამისაგან, ნათელი ბნელისაგან. განსაკუთრებით ამ აზრს ხაზს უსვამდა ამ კრებაზე იმპერატორის მოადგილე, რომელიც ამბობდა: „ღმერთმა თავისი ეკლესია დაამყარა ხუთს პატრიარქზე, რომელნიც, სახარებით, არასოდეს არ მოისპობიან, ვინაიდან პატრიარქები არიან „ეკლესიის თავი“. მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეთა მწერლები ხუთს საპატრიარქოს ადამიანის სხეულის ხუთ გრძნობას ადარებდნენ. მაგალითად ანასტასი ბიბლიოთეკარი (IX ს.) ამბობს: „ქრისტემ თავის სხეულში, ესე იგი ეკლესიაში, დააწესა იმდენი საპატრიარქო კათედრა, რამდენიც გრძნობაა მოკვდავი ადამიანის სხეულში; თუ ეს კათედრები შეკავშირებულნი არიან ერთი ნებისყოფით, მაშინ მთელი ეკლესია ჯანსაღია, ისე, როგორც ადამიანის სხეული მრთელია მაშინ, როდესაც ხუთი გრძნობა მთელი და უზაღაა“. ანტიოქიის პატრიარქი პეტრე (XI ს.) ამბობს: „ღვთის მადლით მთელს მსოფლიოში დაწესებულია ხუთი საპატრიარქო; როგორც ადამიანის სხეულში ყველა ნაწილები ექვემდებარებიან ხუთ გრძნობას, ისე ქრისტეს სხეულში, ეკლესიაში, ყველაფერს განაგებს ხუთი გრძნობა, — ხუთი დიდი საპატრიარქო კათედრა“¹.

აღნიშნული პენტარქიული მოძღვრება შედარებით ადრე ჩასახულა ბიზანტიაში. იმპერატორმა მაურიკიმ 597 წელს კონსტანტინეპოლში მოიწვია ბერძნებისა და სომხების სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, სომეხთა საკითხის გადასაწყვეტად. ბერძნებმა სასტიკი იერიში მიიტანეს სომეხებზე და ასეთი საკითხი დაუყენეს მათ: „ქვეყანაზე ოთხი პატრიარქია, ოთხ მახარებელთა კათედრების მიხედვით: ანტიოქიის პატრიარქი, რომელსაც უკავია მათე მახარებლის კათედრა, ალექსანდრიის პატრიარქი, რომელიც მარკოზ მახარებლის კათედრაზე ზის, რომის პატრიარქი, ლუკა მახარებლის კათედრის მპყრობელი, და კონსტანტინეპოლის პატრიარქი, რომელსაც უკავია იოანე მახარებლის კათედრა, ეფესოდან გადმოტანილი. [მეხუთეს] იერუსალიმის პატრიარქს, ასეთი ტიტული მინიჭებული აქვს მისი ქალაქის განსაკუთრებული სიწმინდის გამო. მთელი ქვეყანა ემორჩილება ამ პატრიარქებს. ვის ემორჩილებიან სომეხები? რა საბუთით ირქმევს მათი კათოლიკოზი პატრიარქის სახელს? თუ თქვენ პატრიარქი არა გყავთ (ჩამოთვლილ ხუთთაგან), თქვენ მწვალებლები ხართ, არიოსისა და სხვა ცთუნებულთა მიმდევარი“². აქედან ჩანს, რომ მეექვსე საუკუნის გასულს, როდესაც ქართველთა და სომეხთა შორის გაცხარებული ბრძოლა იწყებოდა, ბიზანტიაში პენტარქიული თეორია უკვე ფესვგამდგარი ყოფილა. თავისთავად ცხადია, რომ ეს თეორია ეცოდინებოდა კათოლიკოზ კირიონსაც, რომელიც საბერძნეთში აღიზარდა და ბიზანტიური სოფლმხედველობით იყო გაჯღენთილი. ამით აიხსნება, რომ სომ-

¹) Проф. А. Лебедев, Очерки внутренней истории византийско-восточной церкви в IX, X и XI веках, стр. 129-131, Москва 1902 г; Проф. Е. Голубинский, История русской церкви I, 1, стр. 260. прим. 1, Москва 1901 г.

²) „История Агван“ Моисея Каганкатвацци, перевод К. Патканова, стр. 218, შუად. А. Аннинский, История Армянской церкви, стр. 87.

ხებთან კამათში ის ეყრდნობა მსოფლიო ეკლესიის ხუთ პატრიარქთა ავტორიტეტს; ის სწერს კათოლიკოზ აბრაამს: „რომის მწყემსთმთავარი ზის წმ. პეტრეს საყდარზე, ალექსანდრიისა—მარკოზ მახარებელისაზე, ანტიოქიისა—ლუკა მახარებელისაზე, კონსტანტინოპოლისა—იოანე მახარებელის კათედრაზე, იერუსალიმისა—უფლის ძმის, წმ. იაკობისაზე; როგორ უნდა დაგიჯეროთ თქვენ და დავტოვოთ ის რჯული, რომელიც მათ უპყრიათ?¹ როგორც ვხედავთ, კირიონიც იმ რწმენისა ყოფილა, რომ მთელი ქვეყანა ხუთ საპატრიარქოდაა გაყოფილი, და ყოველი ქრისტიანე ერთი ვალდებულია ემორჩილებოდეს ერთს რომელიმე მათგანს და მის მიერ ყველას ერთად. სომხები კი ამ დროს იცავდნენ სულ სხვა შეხედულებას: იმათ არა სწამდათ ხუთ საპატრიარქოთა ავტორიტეტი; სომხის კათოლიკოზმა არამც თუ უარყო ქალკიდონის კრება, თავის თავს უწოდა პატრიარქი; აბრაამი, მაგალითად, პირდაპირ სწერს კირიონს, რომ ის თვითონ ზის სამოციქულო საყდარზე². ქვეყანა დაყოფილია ხუთ საპატრიარქოდ, სომხები არ სცნობენ არც ერთი მათგანის ავტორიტეტს, მათ თავისი საკუთარი პატრიარქი გაიჩინეს, რომელიც იმ ხუთთა რიცხვში არ ითვლება, ესე იგი—მათ ნამდვილად პატრიარქი არა ჰყავთ, მაშასადამე, ბერძნებთან ერთად, კირიონსაც შეეძლო ეთქვა, რომ სომხები ამ მხრივაც მწველებლები არიან, ამიტომ მათთან ერთად ცხოვრება დოღმატურადაც შეუძლებელია და კანონიკურადაც დაუშვებელი; *eo ipso* იბერია უუქველად უნდა ჩამოშორებოდა მათ. ამ ჩამოშორებაში მნიშვნელოვანი როლი ეროვნულ ფაქტორს არ უთამაშვია, ქართველები იმიტომ კი არ გამოჰყოფიან სომხებს, რომ ისინი ეროვნულად მომწიფდნენ და ეთაქილებობდათ სხვა ერის ბატონობა; როგორც ქვემოთ დავინახავთ, სომეხთაგან განშორების შემდეგ მათ ქელი მოუღრიკეს თავისი საკუთარი ნებით სხვა უცხო ერის უღელს და ამას ხომ ისინი არ ჩაიდენდნენ, ეროვნული მოსაზრებით რომ ეხელმძღვანელებიათ საეკლესიო იურისდიქციის საკითხებში.

VI.

ანაირად 609 წელს გაწყდა ის კავშირი, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში არსებობდა იბერიისა და სომხეთის ეკლესიათა შორის; ქართველები თავიანთ თავის ანაბარა, თავისუფალნი შეიქმნენ. მაგრამ ასეთი „თავისუფლება“ და დამოუკიდებლობა მათთვის მიუღებელი და დაუშვებელი იყო: პენტარქიული რწმენა მათგან კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ისინი დამორჩილებოდნენ ერთ-ერთ პატრიარქს. კირიონის წინაშე, მაშასადამე, წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყო მას თავისი სამწყსოს საეკლესიათაშორისო მდგომარეობა. ეს საკითხი კირიონს პირადად არ გადაუწყვეტია; ჩვენ ვიცით, რომ სომხებთან ცილობისა და კამათის დროს მან საგანგებოდ კაცი გაუგზავნა იერუსალიმის პატრიარქს, რომელსაც წერილობით აცნობა ყოველივე; ამავე კაცის ხელით მან მეორე წერილი გაუგზავნა რომის პაპს გრიგოლ დიდს³. უეჭველია,

1) „ეპისტოლეთა წიგნი“ გვ. 179.

2) იქვე, გვ. 184.

3) „ეპისტოლეთა წიგნი“ გვ. 140; უხტანესი, გვ. 48; თამარ აშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 575-5577.

ამ პატრიარქებს კირონი, სხვათა შორის, შეეკითხებოდა თავისი სამწყსოს შესახებაც: ვის, რომელ პატრიარქს დამორჩილებოდა ის სომხებისაგან განშორების შემდეგ? ასე რომ ეს საკითხი გადასჭრეს ბოლოსადაბოლოს იერუსალიმისა და რომის პატრიარქებმა; ამ შემთხვევაში მათ უნდა ეხელმძღვანელებიათ მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონით, რომელიც ამბობს: „აღმოსავლეთის ეპისკოპოსები უნდა ემორჩილებოდნენ ანტიოქიის საყდარს და აღიარებდნენ მის უპირატესობას“. ვინაიდან იბერია „აღმოსავლეთს“ ეკუთვნოდა გეოგრაფიულად, თავისთავად ცხადია, აღნიშნული კანონის ძალით, ის ეკლესიურად ანტიოქიას უნდა დამორჩილებოდა. სხვანაირად ამ საკითხს ვერ გადასწყვეტდნენ იერუსალიმისა და რომის პატრიარქები. ამნაირად, 609 წლიდან იბერიის ეკლესიის ისტორიაში იწყება ახალი ზანა, რომელსაც ახასიათებს ანტიოქიაზე იერარქიული დამოკიდებულება; სომეხთა კათოლიკოზის პრიმატობა შეიცვალა ანტიოქიის პატრიარქის პრიმატობით.

მაგრამ ეს პრიმატობა ფაქტიურად დიდხანს არ განხორციელებულა, ამას ხელს უშლიდა ორი გარემოება: 1) 610 წელს გარდაიცვალა ანტიოქიის პატრიარქი ანასტასი, რომლის დროსაც იბერია იცნო ანტიოქიის კათედრის პრიმატობა; მას შემდეგ 688 წლამდე ანტიოქიის საპატრიარქო კათედრა ან თავისუფალია, ანდა მწვალებლების, მონოფიზიტებისა და მონოთელიტების, ხელშია. 2) მეშვიდე საუკუნის მეორე მეხუთედში ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა მაჰმადიანობის სახით, რომელმაც 634-638 წლებში დაიკავა მთელი სირია პალესტინითურთ, ხოლო 643--645 წლებში იბერიაც. მაჰმადიანობა შუაყედლად აიშართა იბერიასა და ანტიოქიას შორის, მან, თუ საესებით შეუძლებლად არა, ყოველ შემთხვევაში მეტად საძნელოდ გახადა საკათოლიკოზო კანდიდატის მოგზაურობა პირველიდან მეორეში; არაბები არამც თუ მეშვიდე-მერვე საუკუნეში, გრიგოლ ხანძთელისა და ილარიონ ქართველის დროსაც კი ესხმოდნენ თავს და ანადგურებდნენ მგზავრებს, როგორც ეს მათ „ცხობრებაშიცაა“ დამოწმებული. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მთელი საუკუნე, თეოფილაქტე პატრიარქის დრომდე (741-751). ამ ხნის განმავლობაში, აღნიშნულ მიზეზთა გამო, ქართველი ეპისკოპოსები, ალბათ, იძულებულნი შეიქმნენ თვით ეკურთხებიან ხოლმე კათოლიკოზი, მაგრამ ეს იძულებითი გზა მათ ვერ დააკმაყოფილებდა: ასეთი ქიროტონია უკანონო იყო. ამიტომ ეფერემ მცირეს, თუ მის წყაროს, მართლაც შეეძლო ეთქვა, რომ ქართველთათვის „არა კურთხეულა კათალიკოზი მთავარეპისკოპოსი დღითგან ანასტასი მღვდელმწყალობისა“ თეოფილაქტე პატრიარქამდე¹ არა იმ აზრით, რომ იბერიაში მთელი საუკუნის განმავლობაში კათოლიკოზი არ ყოფილა, არამედ იმ აზრით, რომ არ ყოფილა კანონიერად ხელდასხმული კათოლიკოზი. თეოფილაქტე პატრიარქს, მიუღია რა მხედველობაში ყოველივე ეს, საკათალიკოზო კანდიდატი განუთავისუფლებია მოვალეობისაგან ხელდასხმა უეჭველად ანტიოქიაში მიეღო და ნება დაურთავს ქართველი ეპისკოპოსებისათვის თვითონ ეკურთხებიან მათ მიერ არჩეული კანდიდატი, ესე იგი სანქცია მიუცია ფაქტიურად შექმნილი მდგომარეობისათვის. უკანასკნელი

¹) თ. ეორდანი, ქრონიკები I, 76.

ვალდებული იყო მოეხსენებია ანტიოქიის პატრიარქი წირვა-ლოცვაში და ეხადა მისთვის ყოველწლიურად ათასი დრაჰმანი¹. ერთი სიტყვით, დამოკიდებულება იბერიის ეკლესიისა ანტიოქიაზე თავიდანვე, მეშვიდე საუკუნის დამდეგიდანვე, იყო ნომინალური.

როდესაც მეთე-მეთერთმეტე საუკუნეში საქართველო გაერთიანდა და ისეთ პოლიტიკურ ერთეულად იქცა, რომელსაც თვით ბიზანტია უწყვედა ანგარიშს, ხოლო საქართველოს კათოლიკოზი აღმოსავლეთის პატრიარქებს, განსაკუთრებით მაჰმადიანთა ხელში მყოფთ, არაფრით აღარ ჩამოუვარდებოდა, ასეთი ნომინალური დამოკიდებულებაც დროისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა და პატრიარქის პეტრე მესამის (1053-1057) მემკვიდრის თეოდოსის (1057—1058) დროს საბოლოოდ შეწყდა. ცხადია, ანტიოქიის მწყემსთმთავრები, განსაკუთრებით პატრიარქი პეტრე, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთერთი შეგნებული წარმომადგენელი იყო პენტარქიული იდეოლოგიისა, არ დააკმაყოფილებდენ ადვილად ქართველების პრეტენზიებს და შეებრძოლებოდენ მათ; გამომძახილი ამ ბრძოლისა ჩვენ გვესმის გიორგი მთაწმიდლის კამათში პატრიარქ თეოდოსისთან² და იმ ლეგენდაში, რომელიც ეესტათი ანტიოქელის სამისიონერო მოგზაურობას მოგვითხრობს იბერიაში და რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში ჩნდება.

VII

